დევი ბერძენიშვილი

# ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან

დევი ბერძენიშვილი

# ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან

თბილისი
2014

UDC(უაკ)94(479.221.1)+913.1(479.221.1)
ბ-571

რედაქტორები: დავით მუსხელიშვილი
გიორგი ჭეიშვილი

ყდაზე: აღჯაყალა-გაგის ციხე, ფოტო გ. გაგოშიძისა

ISBN 978-9941-0-7320-5

# წინათქმა

ამა წლის 20 ნოემბერს დევი ბერძენიშვილს 80 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო თარიღს ის, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო — 2008 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ტრაპიზონში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიციის მეხუთე სეზონის მუშაობის დასრულებისას, გარდაიცვალა.

დევი ბერძენიშვილმა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას უჭირავს. 1979 წელს გამოიცა მონოგრაფია „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი“, რომლის წინასიტყვაობაში პატივცემული მკვლევარი აღნიშნავს: «„ნარკვევების“ წინამდებარე ნაკვეთი ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის ზოგად საკითხებს ეხება; მისი ცალკეული ქვეყნების ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ჩვენებას შემდეგ ნაკვეთში შევეცდებით».

2000-2006 წლებში კრებულში „დმანისი“ ( II, IV, V) ქვეყნდება დ. ბერძენიშვილის ნაშრომები — „დმანისხევი“, „ხევი ბოლნისისა“, „დებედის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის“ — ქვემო ქართლის სხვადასხვა ქვეყნის ევოლუციას რომ ასახავს. ამაზე უწინ და ამის პარალელურად იბეჭდება „თრიალეთის უცნობი წარწერები“ (*სიგკ*, VI, 1982), „ჰუჯაბი“ (*ძეგლის მეგობარი*, 3, 1988), „ვარძაგარა“ (*დმანისი*, I, 1998), „ახტალის მონასტერი“ (*ლიტერატურა და ხელოვნება*, 2, 1998), „თრიალეთის სოფელთა სახელების აღდგენისათვის“ (*ანალები*, 1, 2000), „თრიალეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (თეზის ჴრამი)“ (*ანალები*, 3, 2008; გამოვიდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ)... ეს არასრული ჩამონათვალიც კარგად აჩვენებს, თუ რა ინტენსივობით განაგრძობდა მკვლევარი ახალ მონოგრაფიაზე მუშაობას, 1950-60-იან წლებში საველე დაზვერვებით მოპოვებული მასალის ახალ ფაქტებთან შეჯერებას, ძველი დებულებების გადამოწმებას და ახლებურად გააზრებას.

დევი ბერძენიშვილის სამუშაო მაგიდაზე სამი ნაშრომი აღმოჩნდა: „ზურტაკეტის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“, „წალკის ზეგნის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“, „თეთრიწყაროს რაიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა“. პირველი ორი წერილი, ავტორის ხელით სუფთად გადაწერილი, 2004 და 2005 წლებითაა დათარიღებული და, როგორც ჩანს, დასაბეჭდადაც იყო გამზადებული. მესამე, დაუმთავრებელი ხელნაწერი უთარიღოა, მანქანაზე ნაბეჭდი, ავტორისეული ჩასწორებებით. სავარაუდოდ, აღნიშნულ გამოკვლევათა დაბეჭდვაც კრებულში „დმანისი“ იყო განზრახული; ამით ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიის II ნაკვეთიც მომზადდებოდა.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ექვსი ნარკვევის კრებულს, რომელშიც გადმოცემულია ქვემო ქართლის ქვეყნების ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, საეკლესიო და ეთნიკური გეოგრაფიის პრობლემები. ავტორისეული სტილი უცვლელადაა დაცული, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები განიცადა დღევანდელი სალიტერატურო ნორმების

გათვალისწინებით; გასწორდა კორექტურული შეცდომები; შედგა საერთო საძიებელი და ბიბლიოგრაფია, შემუშავდა წყაროებისა და ლიტერატურის დამოწმების ერთიანი წესი, გასწორდა ან დაემატა მითითებები, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელი იყო.

ზოგი წყაროს ძველი გამოცემა, რომლითაც დ. ბერძენიშვილი სარგებლობდა, თანამედროვე, აკადემიური გამოცემით შეიცვალა. სხვა წერილობით ძეგლებთან ერთად, მკვლევარი ხშირად ოპერირებს „თბილისის ვილაიეთის 1727-1728 წწ. დავთრით“. იმ დროისთვის წყარო გამოუქვეყნებელი იყო და შესაბამის ცნობებს მას ქალბატონი ცისანა აბულაძე აწვდიდა. 2009-2010 წწ. აღნიშნული დავთარი სერგი ჯიქიასა და ნოდარ შენგელიას რედაქტორობით გამოიცა; ამიტომ ყველგან პუბლიცირებული წყაროს გვერდებიცაა მითითებული. მკითხველი შეამჩნევს, რომ, ერთი მხრივ, ც. აბულაძის და მეორე მხრივ, ს. ჯიქიასა და ნ. შენგელიას წაკითხვა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

წიგნში უცვლელად გადმოიბეჭდა გრაფიკული მასალა; ტექნიკური მიზეზების გამო მას არ ერთვის ფოტოები. ხელახლა გამოიხაზა რუკები; წალკა-ზურტაკეტის ნარკვევებისთვის რუკა *ანალების* №1 და №3 გამოქვეყნებული მასალის მიხედვით შედგა. კარტოგრაფიული სამუშაოები მ. სულხანიშვილმა შეასრულა.

„ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან“, ნაწილობრივ მაინც, ხორცს ასხამს დევი ბერძენიშვილის სამეცნიერო იდეას. ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს არამხოლოდ საქართველოს ისტორიითა და ისტორიული გეოგრაფიით, არამედ კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირებს, დარგის სპეციალისტებს.

გამოცემის ინიციატივა დევი ბერძენიშვილის დისშვილებს, ნათია და ნანა გვათუებს ეკუთვნის; წიგნის დაბეჭდვა კი შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელების, ბატონების მ. ბოჭოიძისა და ნ. ანთიძის მხარდაჭერით. „ნარკვევების“ მომზადება-გამოცემაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამავე სააგენტოსა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები: მ. ბუტიკაშვილი, ე. თაბუკაშვილი, ნ. თიგიშვილი, ნ. კვიციანი, ნ. მახარაძე, ა. რუაძე, ქ. ქამუშაძე, ლ. ხურცია. დიდი იყო „დმანისის“ რედაქტორის, ბატონ ჯ. კოპალიანის თანადგომა. ყველას მადლობას მოვახსენებთ დახმარებისთვის.

**დავით მუსხელიშვილი**

**გიორგი ჭეიშვილი**

# წალკის ზეგნის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

წალკის ზეგანი ქვემო ქართლის მხარეთა შორის ერთი ყვე-ლაზე გაუცხოებული მხარეა არა მარტო მოსახლეობით, არამედ ტოპონიმიითაც. უკვალოდაა დაკარგული სოფლთა ძველი ქართული სახელები, ასე ცოცხლად მახასიათებელნი იქაური მეურნეობისა, თუ ბუნებრივი გარემოსი. XIX ს-ში მოსულ მოსახლეობას თან მოუტანია სოფლების სახელები მათი ძველი საცხოვრებელი ადგილებიდან და აქაური ნასოფლარებისათვის შეურქმევია.

ქართულ პრესაში და სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა აზრი ქართული ტოპონიმების აღდგენის შესახებ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში. არსებობს რამდენიმე ცდაც თრიალეთის ძველ სახელწოდებათა ლოკალიზაციისა (ექვთ. თაყაიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვ. გურგენიძე, ი. კორელოვი, კ. ხარაძე...), მაგრამ ამ ცდათა შედეგები მაინც პირობითი რჩება დასაბუთების უკმარისობის გამო. ძველი რუკების შეჯერება და საველე დაკვირვებებიც კი ხშირად აღარ კმარა უტყუარი პასუხისათვის, საჭირო ხდება უფრო მეტი სხვადასხვა სახის წყაროთა მოძიება და გამოყენება.

აწინდელმა შეცვლილმა ვითარებამ აამოძრავა იქაური მოსახლეობაც – თავის სამშობლოს მიაშურეს ბერძნებმა, თრიალეთში გადმოსახლდნენ სვანები, აჭარლები, შეგხვდებათ თითო-ოროლა აფხაზეთიდან დევნილიც... ნავთობსადენისა და გაზსადენის წალკის რაიონზე გაყვანამ, ახალი გზების გაკვალვამ, საქართველოს ამ უძველეს მხარეს ერთიანად უცვალა იერი. გზებზე გამოჩნდა სოფლთა აღმნიშვნელი სახელები, თითქმის ყველა არაქართული... წალკის ზეგნის ისტორიულ გეოგრაფიაზე საუბარი, ამიტომაც, უმჯობესია იქაური სოფლების ძველი სახელების დადგენით დავიწყოთ.

სოფლების ძველ სახელწოდებათა ლოკალიზაციას, იქ სხვა პირობებთან ერთად, ართულებს ქვემო ქართლის ბარისაგან განსხვავებული გარემოც; ეს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაშიც“ ასა-ხულა: თრიალეთზე საუბრისას ისევე, როგორც თავის რუკაზე,

ვახუშტი ასახელებს ქციის შენაკად ხევებს (ბეშქენაშენისას, ერანთურანისა, ავლადისა, თუ კარწახისას). მაგრამ სოფელთა სიებში მათ ცალკე ერთეულებად არ გამოჰყოფს. ესაა თვალში საცემი განსხვავება ბარის ხევებთან შედარებით, სადაც მთავარ მდინარეთა შენაკადი მცირე ხევები თავისი სოფლებით ცალკე ერთეულებს ქმნიან. ასეთებია, ვთქვათ, კაზრეთის, ბალიჭის, ქვეშის, ირაგისა თუ სხვა ხევები, სადაც სოფელთა ლოკალიზაცია ამ მხრივაც ადვილდება. წალკისა და ზურტაკეტის ზეგანზე ისევე, როგორც ყაიყულსა და ტაშირში, ვახუშტი სოფლებს გაბმულად, ერთ რიგზე ჩამოთვლის.

ზემოთქმულის ახსნა უნდა ვეძიოთ ქვემო ქართლის ზეგან-მთიანეთის გეომორფოლოგიურსა და მეურნეობრივ თავისებურებებში. ადგილზე ნახვისას კარგად ჩანს, რომ ზეგნურ ვაკეზე მდორედ გაწოლილი მდინარეები და მათი შენაკადები, ბარის ხევებისაგან განსხვავებით, იქ ნაკლები სიღრმით სერავენ ნაპირებს.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ქართული სოფლების ხევისპირულობა არის შედეგი მათი მეურნეობრივი სახეობისა, რაც უმთავრესად მორწყვისაგან იყო დამოკიდებული. ქართული სოფლები ხევისპირული გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურნეო საქმიანობა შეიქმნა. ამიერიდან ქართული სოფელი ხევს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული გახდა“ (ნ. ბერძენიშვილი 1964: 423).

აღნიშნული მოსაზრება, საქართველოს სამხრეთ ზეგანზე, თავის დასაბუთებას ამგვარად იპოვის: ბარისაგან განსხვავებით, იქაური სოფლების უმეტესობა ხევისპირულად განლაგებული არაა იმიტომ, რომ იქ ნიადაგი მორწყვას არ საჭიროებდა და მოსახლეობა ხევზე მიკრული არ იყო. ამის გამო ზეგანზე მცირე ხევები ტერიტორიულ ერთეულებად არ ჩამოყალიბებულან, რაც აისახა კიდეც ვახუშტისეულ სოფელთა სიებში. „დასტურლამალში“ ნახსენები აიდარბეგის ხეობა ტაშირში ერთადერთი გამონაკლისია, მაგრამ იქ დაცული ცნობების ანალიზიდან ჩანს, რომ ეს ტერიტორიული კი არა, არამედ აიდარბეგის ადმინისტრაციული ერთეული იყო.

წალკის ზეგანზე ტერიტორიული ერთეულები მცირე ქედებით ფიზიკურ-გეოგრაფიულად გამიჯნული ქვაბურებია. ასეთებია ნარიანი, საპიტიახშო, რეხა-ცხვარეთ-საპონაური, ბარეთი, მაგრამ ესენი საციხისთავო მიკროქვეყნებად აღარ გადაქცეულან. კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთილი ტერიტორიული ერთეულებია ტაბაწყურისა და ფარავნის ტბები, სხვადასხვა მცირე წყლების შემკრები აუზები. მთა-გორებით მოზღუდული ეს მიკრორაიონები, ამ ტბების ირგვლივ მდებარე სოფლებით, ადრიდანვე ტერიტორიულ ერთეულებს ქმნიდნენ, რომლებიც ამავე ტბათა (შდრ.: ბაზალეთი, ერწო, პალაკაციო), ან იქაური ცენტრების სახელებს ატარებდნენ. ფარავნისა და ტაბაწყურის მიკროქვეყნები საციხისთავო ერთეულებიც ყოფილან, რასაც მოწმობს

ციხეები ფოკასა და ტაბაწყურში. ყველა ამათ ერთად „მატიანე ქართლისას“ ავტორის სიტყვით, ერქვა „ქუეყანანი თრიალეთისანი“, რაც კარგად გამოხატავს თრიალეთში შემავალი მცირე ქვეყნების ერთობლიობას.

ძველი ქართული მოსახლეობის სრული გაქრობის პირობებში, წალკის ზეგნის ამ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა სხვა დაკვირვებებსაც ნაკლებ ეფექტურს ხდის. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ორიოდე, მეტ-ნაკლებად სანდო, ორიენტირი, რომელთა გამოყენება სხვა მონაცემებთან შეჯერებით, აუცილებელია საწყისი სქემის შედგენისას. ესენია – ვახუშტის „აღწერა“, რუკა და სოფლების სია, ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი სახელი (საპიტიახშო, წალკა, ერან-თურანი...), ასევე რამდენიმე ძველი სახელწოდება მოხსენიებული არზრუმიდან გადმოსულ ბერძენ მოახალშენეთა სოფლების შესატყვისად. სქემაზე ამ ცნობილი პუნქტების დატანით იქმნება საფუძველი, რომელზედაც იწყება ძიება სხვა სახელთა ლოკალიზაციისათვის.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ 1707-1709 წწ-ის „დასტურლამალის“ ბოლო, 62 კარზე სათაურით – „თრიალეთის სოფლების სამძღვრები“; ის აქამდე არ გამხდარა ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღების ღირსი. მის მონაცემთა ფონზე, ყველა სხვა წყაროთა მოშველიებით, ვცდილობ მოვუძებნო წალკის ზეგნის სოფლებს ძველი ქართული სახელები; ბოლოსდაბოლოს, იქნებ მოხერხდეს მათი დაბრუნება კუთვნილ გარემოში.

აღნიშნული კარი იწყება საბეჭდავისა და ბარეთის საცილობელი ტერიტორიის განსაზღვრით. ამ უკანასკნელის შესახებ ვახუშტი წერს: „აღმოსავლით ბეშქენაშენისა არს ტბა ბარეთისა მცირე, უთევზო; გარემოს მისსა დაბნები ლაკვის მთამდე“ (ვახუშტი 1941: 42). ცხადია, ტბას სახელი მიუღია სოფლისაგან, რომელსაც ვახუშტის სოფლების სიაში და რუკაზე ვხედავთ ტბის ჩრდილო-დასავლეთით, ბეშქენაშენისწყლის მარცხნივ. ექვთ. თაყაიშვილიდან მოყოლებული, ყველა ვისაც ბარეთი უნახავს, თვლის, რომ **ძველი ბარეთი დღევანდელი სოფ. ბაშქოია**. ეს სახელი თურქულად „თავსოფელს“, „მთავარ სოფელს“ ნიშნავს.

„დასტურლამალში“ იკითხება: „წყალს გაღმა რომ დაქცეული კლდე არის... იმის გამოსწორ ქუაყრილი მოსდევს და ის ქუაყრილი კუთხეთ შეუბრუნდება გზამდისი; იმას ზეით ბარეთს დარჩა.

ის გზა ჩამობრუნდება და კლენთის (კლონეთის – დ. ბ.) ბოლოს სათიბში სამანი ზის; იმას ქუეით საბეჭდავს დარჩა... ბარეთელნი ტბისკენ ეცილებოდენ და დიდი გორა რომ შესდევს, იმას გარდმოღმა, ბარეთელთ სამამულედ ჰელი არა აქუსუ და საძოარ ნუ დაუჭერენ“ (ი. დოლიძე 1965: 326; სურგულაძე 1970: 622-623).

აქედან ჩანს, რომ საბეჭდავი და ბარეთი ბეშქენაშენისწყლის გაღმა-გამოღმა, მარჯვენა და მარცხენა მხარეს არიან (იხ. რუკა); საბეჭდავის

მოსაზღვრეა კლონეთი, რომელიც „ზევით“, ე. ი. მდინარის აყოლებითაა, რადგან გზა „ჩამობრუნდება კლონეთის ბოლოს“ და „იმას ქვეით საბეჭდავს დარჩა“. სოფლების ასეთ განლაგებას ეთანხმება ვახუშტის რუკა და სოფელთა სიაც, სადაც კლონეთი საბეჭდავის შემდეგაა აღნიშნული, ბეშქენაშენისწყლის მარჯვენა შენაკადზე. ვახუშტისთან ორი ბარეთია, რომელთა ტერიტორიაზე უნდა იყოს გაშენებული სოფ. ბაშქოი. იქ ახლა ოთხ ეკლესიაა. ამათგან ორ ძველსა და მოზრდილ შენობას ქართული ასომთავრული წარწერები აქვს. წმ. გიორგის ეკლესიის მაშენებლად ანტონი მანგლელი იხსენიება, მეორეზე – ვინმე ზაქარია; წარწერები XI და XIII ს-სა უნდა იყოს (თაყაიშვილი 1913: 59-60).

ბარეთის ჩრდილო-დასავლეთით, ბეშქენაშენისწყლის მარჯვენა შენაკადზე ახლა სოფ. ყარაკომია, რომელიც ძველი საბეჭდავის ნასოფლარზეა დასახლებული. ისევე, როგორც ბარეთში, იქაც ძველი ქართული ეკლესია მდგარა, რომელიც ბერძნებს განუახლებიათ.

ყარაკომის ჩრდილოეთით, დაახლ. 3 კმ-ზე, სოფ. გედაკლარისაკენ მიმავალი გზის პირას, ნასოფლარი და ნაეკლესიარი სწორედ ძველი კლონეთი უნდა იყოს, რომლის ბოლოზეც, ე. ი. დაყოლებით, ზემოხსენებული ამონაწერის მიხედვით, მიწა საბეჭდავს დარჩენია. 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სოფლებში სხვებთან ერთად იხსენიება ბარეთი და ცოტა ბარეთი, ასევე ორი კლონა (ი. დოლიძე 1970: 177).

1687 წ. ნიკოლოზ კათალიკოზს თრიალეთში აუშენებია სოფ. ბარეთი (შეცდომით წერია ბარალეთი), რომელიც ჟამთა ვითარებისაგან აოხრებული იყო (ი. დოლიძე 1970: 591). 1697 და 1729 წწ. საბუთების მიხედვითაც ბარეთსა და კლონეთში სვეტიცხოვლისა და ქართლის კათალიკოზის ყმებს უცხოვრიათ: ბარეთში 13 კომლს, კლონეთში – ხუთს (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102-183). ამათი მოურავები მაღალაძეთა საგვარეულოს წევრები იყვნენ, რომელთაც აქვე საკუთარი ყმებიც ჰყოლიათ (ი. დოლიძე 1970: 704; ი. დოლიძე 1972: 256). 1793 წ. აქ ისევ ყოფილან სვეტიცხოვლის ყმები, რომლებიც ჯავახეთს გაქცეულან, მერე კი, ისევ ქართლს მობრუნებულან (ი. დოლიძე 1974: 618).

„დასტურლამალის“ ტექსტი შემდგომ ასეთია: „სამადლოველნი და ქვემო ბეშკენაშენელნი ცილობდნენ. ტახტის გორა და გზამდისინ სწორეთ გარდმოუჭერით და ქუა ჩაუსვით, იმის შესწორ მაღლა რომ სამი ქუაკაცი ზის, პირზე იქიმდი გზას ზევით სამადლოველთა და გზას ქვეით ბეშკენაშენელთა. ქუაკაცს ზეით, მეთრევანას სამზღვრამდინ, გორას გარდაღმა ქუაკაცს ჩასწორ ჴევის პირამდი, ეძნის გზა მისდევს, – კიდევ სამადლოველთ. ვაკე და სათიბი ბეშკენაშნელთა. ორსავ ბეშკენაშენს შუა ზეით გორაზედ მეფეს სამძღვარი ებრძანა, და იმას ქვეით ზემო ბეშკენაშნელთ დავებიცა (უნდა იყოს: დაეფიცა – დ. ბ.), ერთად ფიცი იყო და ერთად ჴელმწიფის ბრძანება, უჴელმწიფოდ

ჩვენგან არ გარიგდებოდა“ (ი. დოლიძე 1965: 324; სურგულაძე 1970: 623). ამ ამონაწერში სამადლო, ქვემო ბეშქენაშენი და მეთრევანა იხსენიება ერთმანეთის მეზობლად. ამათგან მხოლოდ **ბეშქენაშენი** ვიცით: **ესაა დღევანდელი ბეშთაშენი,** ძველი ქართული სახელის დამახინჯებული ფორმა. 300 კომლიან ამ დიდ დასახლებას ძველი ზედა და ქვედა ბეშქენაშენის ნასოფლარები უნდა ეჭიროს. ამიტომაც აქ სამი ეკლესიაა და ერთი მცირე სალოცავი. წმ. გიორგის ეკლესიის XI-XII სს. წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესია აუგიათ გურგენისძეებს ვახტანგ ერისთავის ბრძანებითა და თანადგომით.

1392 წ. სოფ. ბეშქენაშენი, თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად, მცხეთის საკათალიკოსო მამულებშია ჩამოთვლილი (ი. დოლიძე 1970: 177); 1654 წ. ქრისტეფორე კათალიკოსი მეფის ბრძანებით ხელახლა აშენებს სოფ. ბეშქენაშენს (ჟორდანია 1897: 468); 1697 წ. იქაური გლეხები ისევ საკათალიკოსო ყმები იყვნენ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102); 1721 წ. იქ ითვლებოდა ერთი მებატონე (სვიმონ ბატონიშვილი), ოთხი მემამულე (აზნაური რჩეულიშვილები),12 გამომღები და 3 ბოგანო ყმა; ზემო ბეშქენაშენში კი საკათალიკოსო ყმები იყვნენ, 5 გამომღები და 2 ბოგანო (ლორთქიფანიძე 1935: 291; ნ. ბერძენიშვილი 1940: 102).

ვახუშტის რუკისა და სოფლების სიის მიხედვით, სამადლო პირველი უახლოესი სოფელია ბეშქენაშენის ჩრდილოეთით. მათ მიწებს შორის საზღვრად „დასტურლამალში“ დასახელებულია გზა, რომლის „ზეით“, ე. ი. მდინარის აყოლებით, ჩრდილოეთით სამადლოველთა მიწებია, ხოლო „ქვეით“, ანუ სამხრეთით – ბეშქენაშნელებისა. ასეთი ვითარების გათვალისწინებით, გზა უნდა მოდიოდეს აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მართლაც, ასეთია ის გზა, რომელიც მანგლისიდან იმერას გავლით მიდის ბეშთაშენს.

იხსენიება „ეძნის გზა“, რომელიც ხევის პირამდე ჩადის; მართლაც იმერა-ბეშთაშენს შორის გზის ერთი ტოტი სამხრეთ-დასავლეთით გაუხვევს სწორედ ბეშთაშნისწყლის შემდინარე მარცხენა ხევთან, გადაკვეთს ქციას და მივა ეძანს (ამჟ. წალკა). ყოველივე ამის შემდგომ გამოდის, რომ ძველი **სოფელი სამადლო ყოფილა აწინდელი საფარ ხარაბა,** ბეშთაშენის ჩრდილოეთით დაახლ. 2 კმ-ზე. სამადლოს შესახებ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება; 1721 წლის აღწერით კი, ამ სოფელში ითვლებოდა ერთი მებატონე – სულეიმანაშვილი, ოთხი გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 342). ახლა ეს სოფელი ბერძნებითაა დასახლებული და მათი ორი ახალი ეკლესია ძველ ქართულ ნაეკლესიარებზე დგას.

ასურეთისწყლის სათავეში მყოფი სამადლოსათვის ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სამადლო იწოდების მუნ ფუნდუკისათჳს“. ამის გამო ნ. ბერძენიშვილმა თრიალეთის სამადლოც საგზაო პუნქტად გაიაზრა მანგლის-თრიალეთის საქალაქო გზაზე მეთრევანას გავლით (ნ. ბერძენიშვილი 1966: 67-119).

ზემოხსენებულ კარში შემდგომ იკითხება: „გზას ქუეით ბეშკენაშნელთა, ქუაკაცს ზეით, მეთრევანას სამძღვრამდინ“; ე. ი. ბეშქენაშნელთა მიწები მეთრევანას ესაზღვრება. ვახუშტის სოფლების სიისა და რუკის მიხედვით, მეთრევანა ბეშქენაშენის აღმოსავლეთითაა, ბარეთსა და საბროწლე სოფლების მიდამოებში, ისიც გზისპირა სოფელია. ამას ადასტურებს იმავე ტექსტის სხვა ადგილიც: „მეთრევანას შუა, გაღმა მთის ძირში, დიდროვანი ლოდებია. იმას ჩამოსწორ ჰევის პირ ქუა ჩაგვისვამს. იმის გამოსწორ გვერდში ქუა ზის. იმის ასწორ მაღლა გზის პირს პატარა ქუიანი გორა არის. ეს ქალაქის გზას შეეყრება და წაივლის სამადლოსაკენ. გზას იქით კიდევ გორა არის. იმ გორის გასწორ, გაღმა გორაზე, დიდი ქუა ძევს. იმ ქუის გასწორ, ტბის პირს, ქუიანი გორა არის და ტბამდისინ ესენი სამზღვრად გაგვიჩენია“ (ი. დოლიძე 1965: 327; სურგულაძე 1970: 629). აქ მოხსენიებული ხევი იმერასთან ჩამავალი ეგრიჩაის ხევია, „ქალაქის გზა“ – ახლაც არსებული სამანქანო გზა; ყოველივე ამის გათვალისწინებით, **ახლანდელი იმერა ძველი სოფელი მეთრევანა გამოდის.**

გვიან მოსულ ბერძნებს აქაური ქართული ეკლესია დაუშლიათ და მისი ქვებით 1891 წ. აუგიათ ახალი, მოზრდილი ეკლესია. ძველი ეკლესიის ქართული ასომთავრული წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესია აშენებული ყოფილა წმ. სამების სახელობაზე XI ს-ში ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის ზეობაში, გიორგი ხუცის ხელით. 1670-იან წლებში მეფე გიორგიმ მანგლისის ღმრთისმშობელს შესწირა თრიალეთზედ სოფ. მეთრევანა, ხოლო მანგლელმა მთავარეპისკოპოსმა ევდემოსმა ამ სოფელს გამოსაღებად დაუდო 40 კოდი პური, საბა-ლახე გადასახადი, ერბო, ყველი და სხვა (ი. დოლიძე 1970: 584-585). 1721 წ. აღწერით ამ სოფელში ითვლებოდა ერთი მებატონე – მანგლელი ეპისკოპოსი, 3 გამომღები ყმა, ერთი ბოგანო (ლორთქიფანიძე 1935: 327).

“დასტურლამალის“ ტექსტში შემდგომ იკითხება: „ორსავ ჭიტებს შუა მთიდამ კარკნალი ჩამოსდევს, იმას ქუეით ცოტა გორაა, იმას ქუეით წყარო გამოდის, იმის პირდაპირ... მთის ძირში კიდევ წყარო გამოდის, წყაროების სწორად, შუაზე სათიბში სამანი ჩაგვისვამს. ჭიტებსა და უწყალოს შუა, მთიდამ თხრილი ჩამოსდევს და ბოლოს დიდი ჯვარიანი ქვა ზის საბატის თავისაკენ“ (ი. დოლიძე 1965: 324-325; სურგულაძე 1970: 624). აქედან ჩანს, რომ ჭიტები ორი სოფელია, რომელიც უწყლოს ემეზობლება. ამ სოფლებს შორის მთიდამ წამოსული თხრილი სოფ. საბატის თავამდე აღწევს. საბატე კი ქციის ნაპირზეა, მის მარცხნივ, რადგან ვახუშტის სიტყვით, „ერთვის ქციას ჰევი ერან-თურანისა, გამოსდის ერჯევნის მთასა, მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს, ქციას“ (ვახუშტი 1941: 42); ე. ი. ჭიტები და უწყლო საბატის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები ყოფილან. ჭიტები აღმოსავლეთით, უწყლო მის დასავლეთით (ასეა ვახუშტის რუკაზედაც). ამ სოფლებს

შორის, მთიდან ჩამოსული თხრილი კი, ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებისა იქნებოდა.

ჭიტების ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს მისი სახელის გააზრებასაც. ვახუშტისთან და „დასტურლამალში“ არის ჭიტები, ასევეა საბუთების უმეტესობაშიაც. მაგრამ, ეტყობა გადამწერთა შეცდომების წყალობით, ზოგან იკითხება ქიტები და ქისტებიც კი (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102-183). 1529 წლის ერთ საბუთში იხსენიება ჭიტი,XVII ს-დან კი – ჭიტები; ე. ი. ერთი სოფელი გაზრდილა და ორად ქცეულა. უფრო ადრეულ საბუთებში თრიალეთის ამ სოფლის სახელია ბჭითი, სიტყვისაგან ბჭე, რომელსაც შემდგომში დაუკარგავს თავკიდური „ბ“ (შდრ.: ბჭისკარი – ჭიშკარი). უნდა ვიფიქროთ, სოფლის სახელწოდებას აპირობებდა მისი მდებარეობა ერან-თურანისწყლის გასასვლელში.

ბჭითის ლოკალიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისა უნდა იყოს შიომღვიმის მონასტრის კრებულის დაწერილი ზოსიმესადმი (1200 წ. ახლოს), რომლის XVIII ს-ის მხედრულ მინაწერში იკითხება ასეთი ცნობა: „ქ. მღვიმეს რომ კრებულნი ბერები რომ წასულან და ბჭიტებს რომ საყდარი აუშენებიათ, ის კრებულნი ამაშიგან სწერია. იქ რომ სახელები სწერია საყდარზედა – ისინი არიან ეს კრებულნი“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 91). დაწერილში მართლაც ჩამოთვლილია მღვიმელ ძმათა კრებულის 24 სახელი.

“დასტურლამალისა“ და ვახუშტის ცნობებით მიღებულმა ორიენტირმა, ზემოხსენებული ჩვენების გათვალისწინებით, ბჭითის ძიებისას მიგვაყენა დღევანდელ სოფელ ქარიაქთან. იქაური ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ქართული ასომთავრული წარწერაა: „უფალო ღმერთო, შეიწყალენ სულითა ბასილი მემღვიმე და ძმაი მისი და შეუნდვენ დედასა და მამასა“. სამხრეთ კედელზე ასეთივე წარწერის ნაშთია: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე იოვანე“.

XIX ს-ის მიწურულს, ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობისას, ამავე ეკლესიის ყორეში იპოვებოდა ქვები ასომთავრულ წარწერათა ნაშთებით, სადაც გაირჩეოდა კიდევ სახელები: მიქაელ, პავლე, კვირიკე, სხვა ნატეხებზე იკითხებოდა: „სახელითა წმიდისა... შიო და ევაგრე“ ... (თაყაიშვილი 1913: 53-54)

მღვიმის ძმათა კრებულში მართლაც გვხვდება ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული პირები. იქ ჩამოთვლილია: ბასილი მნათე, ბასილი თავაური, ბასილი ტიმოთეს ძმაჲ. უნდა ვიფიქროთ ერთი ამათგანი შემდგომში მემღვიმე გახდებოდა და ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის წარწერაში ის იქნებოდა დასახელებული. ბასილი მემღვიმე იხსენიება შიომღვიმის დაახლოებით იმავე წლების სხვა საბუთებშიაც (ენუქიძე,სილოგავა,შოშიაშვილი 1984: 83). ეკლესიის სამხრეთი კედლის წარწერის იოვანე,მღვიმის კრებულში დამოწმებული მოძღვარი იოვანე უნდა იყოს,ხოლო ცალკე ქვაზე შერჩენილი სახელი მიქაელი,შეიძლება

გავაიგივოთ კრებულში ნახსენებ მიქაელ ისაკის მწირველთან, ან მიქაელ აფხაზთან...

საბუთის გვიანი მინაწერის ცნობით, მღვიმის ბერების კრებულს ბჭითის ეკლესია აუშენებია. სოფელ ქარიაქის ეს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია სუფთად გათლილი პერანგითაა შემოსილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ სარკმლებს წნული ჩუქურთმით შემკული საპირეები აქვთ. სამხრეთი სარკმლის ზევით, კიდევ ერთი ასომთავრული წარწერაა: „ქ. იესუ ქრისტეს ძლევად“. წარწერებს ახასიათებს კიდურწერტილოვნება და „ა“-ის ტანს მოშორებული ზედა ჰორიზონტალური ხაზი. ხუროთმოძღვრული დეტალები და პალეოგრაფიული ნიშნები ეკლესიას XIII ს-ით ათარიღებენ, რაც ადასტურებს ზემო-ხსენებული მინაწერის ცნობის სისწორეს – შიომღვიმის კრებულის მიერ ბჭითის ეკლესიის აშენების თაობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ **სოფ. ქარიაქის ძველი ქართული სახელი ყოფილა ბჭითი**. 1073 წ. შიომღვიმისადმი გიორგი II-ის მიერ მიცემულ სიგელში ბჭითი დასახელებულია მონასტრის ძველ საქონებელ სოფელთა შორის, რომლებიც „პირველ სიგელსა სწერია“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 46-47); 1123-1224 წწ. დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი ვკითხულობთ: „ასი ფური მომიხსენებია, რომელ თრიალეთს, მათსა სოფელსა ბჭითს და ბჭითს ზეით სოფლებსა და მათსა საფურესა მუხრანს დგეს“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 56). აქ მონასტრის კუთვნილი სოფელი ბჭითი მღვიმის ფურების საზაფხულო საძოვარია, მის ზევით მყოფ სოფლებთან ერთად. 1170 წ. გიორგი III-ის მიერ მღვიმისადმი მიცემულ სიგელში ნათქვამია, რომ „თრიალეთს ბჭითი ადარნასესაგან ნასყიდი და შემოწირული ყოფილა“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 62). მაშასადამე ეს სოფელი შიომღვიმისა გამხდარა X ს-დან და ასევე დარჩენილა შემდგომ ხანებშიაც.

1679 და 1729 წწ. საბუთების მიხედვით, ჭიტებში ყმები ჰყოლია ქართლის კათალიკოზსაც (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102-183). 1721 წ. აღწერით, დიდ ჭიტებსა და უკანა ჭიტებში მემამულედ ისევ შიომღვიმის მონასტერი ყოფილა, ხოლო მებატონედ – ამილახორი (ლორთქიფანიძე 1935: 375). 1766 წ. საბუთის მიხედვით, დემეტრე ამილახორისშვილის ნაქონი ჭიტებიდან „დიდი განჩინების ძალით“, ამ სოფლების მერვედი ერეკლე მეფისა გამხდარა (ი. დოლიძე 1972: 519-523).

ვახუშტის რუკა ამ ადგილას დღევანდელ ვითარებას ზუსტად არ ასახავს, დიდია განსხვავება ხუთვერსიან რუკასთან შედარებისასაც: ვახუშტისთან ჭიტებსა და უწყლოს შორის სოფლები ერანი და თურანია მოთავსებული, ხუთვერსიან რუკაზე კი, სოფ. ერანთურანი აღნიშნული სოფლებისაგან მოშორებით, ჩრდილოეთითაა დასმული ისე, რომ ქარიაქი და სანთა ერთმანეთის მეზობლადაა, ისევე როგორც

ბჭითი და უწყლო „დასტურლამალში“.

ბერძენ მოახალშენეთა გადმოსახლების 1832 წ. უწყისი იძლევა ზოგიერთი სოფლის ძველსა და ახალ სახელს (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 222-237). იქ ქარიაქის ძველ სახელად არის ქვემო ახალშენი, (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231),რაც თითქოს ეწინააღმდეგება ზემოთ მიღებულ ჩემეულ დასკვნას. დავიწყოთ იქიდან, რომ ვახუშტის სოფელთა სიაში და რუკითაც თრიალეთში მხოლოდ ერთი ახალშენია აღნიშნული, ისიც ამ მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთ შორეულ კუთხეში, ერჯევნის მთის ძირას, რაც ამ პუნქტების იგივეობას უკვე საეჭვოს ხდის. ამას გარდა, ამ უწყისის ცნობათა უკრიტიკოდ მიღებაც რომ არ შეიძლება, ჩანს სხვა მაგალითებიდანაც, სადაც აშკარა შეცდომებია. მაგალითად, იქ გაიგივებულია ეძანი და შეპიაკი (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231), მაშინ როდესაც ძველ რუკებზე ეს ორი სხვადასხვა პუნქტია ქციის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე, თანაც ეძანის გვიანი სახელი ბარმაქსიზია. ასევე არასწორადაა ამ უწყისში გაიგივებული ზემო ახალშენი და ბაშქოი (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231), ეს კი ძველი ბარეთია. შესაძლოა თრიალეთში მოსვლის შემდგომ, ბერძენმა მოახალშენეებმა გამოიცვალეს დასახლების ადგილები და ამან გამოიწვია სახელწოდებათა გადაადგილება, ან ადგილობრივ მოაწოდეს არასწორი ცნობები. ამიტომაც აუცილებელია ამ ცნობათა შემოწმება სხვა მონაცემებით.

ახლა ქარიაქში ცხოვრობენ ბერძნები, 1830 და 1860-იან წლებში გადმოსახლებულები არზრუმის მხრიდან. სოფლის ახლანდელი სახელიც იქიდანაა მოტანილი. შუა სოფელში 1862 წ. აუშენებიათ თავისი ეკლესია და სამრეკლო, რომელთა წყობაში ძველი ქართული ეკლესიის ქვები ჩაუყოლებიათ.

ზევით ჭიტების დასავლეთით ვივარაუდეთ უწყლოს მდებარეობა. ძველ რუკებზე ამ ადგილას აღნიშნულია სანთა და მის ჩრდილოეთით – გიულაქარაქ. ამ უკანასკნელის გამო ექვთ. თაყაიშვილი წერს, რომ ეს ბერძნების მიერ შერქმეული სახელია ადგილისა, სადაც ისინი დასახლებას აპირებდნენ, მაგრამ აღარ დასახლდნენო (თაყაიშვილი 1913: 56). მართლაც, ამ ადგილებში ერთი განმარტოებული სოფელია – უწყლო. ის ჭიტებს ემეზობლება სამხრეთ-დასავლეთიდან, ხოლო საბატეს – ჩრდილო-დასავლეთით. ამასვე ადასტურებს ამონაწერი „დასტურლამალიდან“: „უწყლოსა და საბატეს შუა, საბატელნი ჯვარიანს ქუას, და ტბის პირს ამბობდენ სამძღვრათა უწყალოველნი“. გამოდის, რომ ამ ორ სოფელს შორის ტბა ყოფილა. ის ძველ რუკებზე აღნიშნული არაა, ალბათ სიმცირის გამო და იმიტომაც, რომ ასეთი პატარა ტბები თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანზე დროდადრო გამშრალნი, წვიმიან წლებში ისევ გაჩნდებიან ხოლმე. ერთი ასეთი ტბა ახლაცაა სოფ. სანთის მახლობლად, თუმცა ის არც ერთ რუკაზე არაა. ალბათ მისმა არსებობამაც განაპირობა ამ „უწყლო“ სოფლის აქ დასახლება.

ამრიგად, **ძველი სოფელი უწყლო აწინდელი სანთა უნდა იყოს.**

სოფელში მდგარა ძველი ქართული ეკლესია დარბაზული ტიპისა, ნაგები გათლილი ქვებით. მის ადგილას ახალი გუმბათიანი ეკლესია აუშენებიათ, რომლის დასავლეთი კედლის წყობაში ძველი ეკლესიის ქვები გამოუყენებიათ. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაყოლებულ ბალავრის ქვას ქართული ასომთავრული წარწერა ჰქონია, რომელიც გვამცნობდა, რომ ეკლესია მეორედ აუგია თევდორე ხუცესს, ბალავარი დაუდია რატი ერისთავის ზეობისას. წარწერას ექვთ. თაყაიშვილი XI-XII სს. ათარიღებდა (თაყაიშვილი 1913: 53-54). ახლა წარწერა აღარაა. უწყლოს შესახებ საბუთებში თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. 1721 წ. აღწერით, იქ ითვლებოდა ერთი მებატონე – სულეიმანაშვილი, ოთხი გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 356). ამჟამად იქ ბერძნები ცხოვრობენ. XIX ს-ში მოსულნი არზრუმ-ბაიბურთის მხრიდან. იქიდანვეა მოტანილი სოფლის აწინდელი სახელი.

ზევით ვნახეთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, ერანთურანის ხევი ქციას ჩრდილოეთიდან მოერთვის საბატესთან, ასევეა მის რუკაზედაც. სინამდვილეში ეს ხევი ქციას კი არა, არამედ ბეშთაშნისწყალს უერთდება მარჯვნიდან და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაედინება ქციაში. ამის შესახებ უკვე აღინიშნა (ხარაძე 1985: 66). მიუხედავად ამ შეცდომისა, საბატე მაინც ქციის მარცხენა ნაპირზე ყოფილა, რაკი ვახუშტი აქ ჩრდილოეთიდან მომავალი ხევის შესაყარს გულისხმობდა. ამასვე ადასტურებენ ავტორის სიტყვები: „მას (ე. ი. საბატეს – დ. ბ.) ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი, წალკას. დიდი კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა“ (ვახუშტი 1941: 42). საბატის შემდეგ პირდაპირ წალკის დასახელება გვაფიქრებინებს, რომ წალკის აღმოსავლეთით პირველი სოფელი ქციის მარცხნივ იქნებოდა საბატე. ძველ რუკებზე ასეთი მდებარეობა აქვს სანომერს. ეს ადგილები ამჟამად წყლითაა დაფარული და მათი მოხილვა შეუძლებელია. XIX ს-ის მიწურულს სოფ. სანომერი უნახავს ექვთ. თაყაიშვილს. იქ ძველ ნაეკლესიარზე მაშინ ახალი სალოცავი ყოფილა აშენებული, სანომერის აღმოსავლეთით, ქციის დაყოლებით, მეორე ეკლესიის ნანგრევი ყოფილა, ირგვლივ ძველი სასაფლაოთი. გათლილი ქვით ნაგები ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობისა ყოფილა (თაყაიშვილი 1913: 22).

ვახუშტის რუკაზე ამ ადგილას ორი სოფელი საბატეა აღნიშნული, რომლებიც ზიგზაგი ხაზებითაა შეერთებული. თრიალეთში ასეთი შემთხვევა ვახუშტის რუკაზე რამდენიმეა: ორი საქათმე, ორი ბარეთი, ორი ლიპი, ორი ხევღრმა, ორი მერევანა ასეთი ხაზებითაა შეერთებული. ყველგან ამ ორი სოფლის სიახლოვე, ურთიერთზე დამოკიდებულება უნდა იგულისხმებოდეს (“დიდი“, „პატარა“, „ზემო“, „ქვემო“). ამიტომ ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი **სოფ. სანომერი და მისი**

**მახლობელი ეკლესია სასაფლაოთი, უნდა იყოს ვახუშტისეული ორი საბატე**. ამათგან დასავლეთისა პატარა საბატეა, რადგან ის ფარეხასთან იხსენიება, ეს კი ვახუშტის რუკაზე სამეხრეოთა შემდეგაა აღნიშნული, უფრო დასავლეთით.

"დასტურლამალის" მიხედვით, საბატე სახასო სოფელი ყოფილა, მუსხელიშვილის სამოურავო. იქვე იკითხება: „სადაც ჩვენს სახასოში, თრიალეთზე თუ სხვაგან, ბატი ჰყუანდეს ვისმე, ყველგან ასი ბატი შეაწერონ. თრიალეთს და კავთიჭევს სოფლად გაუყონ და მიაბარონ. თვითოს ბატზე წელიწადში სამ-სამი ჭუჭული ჩვენს ქარხანაში მოაბარონ" (ი. დოლიძე 1965: 260; სურგულაძე 1970: 524). ბუნებრივია, თრიალეთში ამ საბატეზეა საუბარი.

"დასტურლამალის" განსახილველ ტექსტში შემდეგ დასახელებულია კუკია და სამეხრეო: „უწყალოსა და საბატეს შუა, საბატელნი ჯვარიანს ქუას, და ტბის პირს ამბობდენ სამძღვრათა უწყალოველნი და ქუებიც ისხდა. გორა იყო, გელაზის ქუა რომ ძეს, იმის გასწორ კუკიას და სამეჯრეოს შუა დიდი სამძღვარის ქუა ძეს" (ი. დოლიძე 1965: 325; სურგულაძე 1970: 624). ე. ი. კუკია და სამეხრეო მეზობელი სოფლებია. ვახუშტის სოფელთა სიაშიც კუკიის მერე ორი სამეხრეოა, ხოლო რუკაზე საბატის დასავლეთით კუკიაა და შემდეგ ორი სოფელი სამეხრეო.

ამჟამად ეს ადგილები წალკის წყალსაცავს დაუფარავს, მაგრამ ექვთ. თაყაიშვილის აღწერითაც შეიძლება სოფლების ამგვარი განლაგების დადასტურება: სანომერიდან იგი სოფ. წინწყაროსაკენ წასულა (ე. ი. დასავლეთით). მათ შორის გზისპირა ყორღანზე ეკლესიის ნანგრევი უნახავს. იქაური დაზიანებული მხედრული წარწერიდან მას გამოაქვს აზრი, რომ ეკლესია განუახლებია არსენს, დიდთა მეფეთა თანადგომით; ეს უნდა იყოსო XVII ს-ის მანგლელი ეპისკოპოსი (თაყაიშვილი 1913: 22-23).

ერთ რუსულ ხუთვერსიან რუკაზე სანომერსა და წინწყაროს შორის, ქციის მარცხნივ აღნიშნულია ყორღანი ქართული ეკლესიის ნანგრევით. წალკის ჩრდილოეთით და სანთის სამხრეთით მყოფი, **ის უნდა იყოს** ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი ეკლესია და, **ჩემი ვარაუდით, იგივე სოფელი კუკია**. ამასვე უნდა ადასტურებდეს ეს აღწერილობითი სახელი, რაც თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, დაკუკებულს, წამომჯდარს, წამოსკუპებულს აღნიშნავს (თ. ბერიძე 1977: 201). სწორედ ასეთი იქნებოდა ყორღანი და მასზე მდგარი ეკლესია კუკიაში.

ამ სოფლის შესახებ „დასტურლამალიდან" მხოლოდ ის ვიცით, რომ მას ხელმწიფის ტყვის ხარჯი ჰქონია შეწერილი ორი მარჩილის ოდენობით. თრიალეთის სხვა სოფლებთან შედარებით, ასეთი პატარა გადასახადი სოფ. კუკიის სიმცირეზე მიუთითებს. XVIII ს-ის 40-50-იან წლებში აქედან გადასახლებულებს უნდა შეექმნათ სოფელი

თბილისის მახლობლად იმავე სახელწოდებით (ამჟამად თბილისის უბანია) (თ. ბერიძე 1977: 201).

კუკიის შემდგომ ექვთ. თაყაიშვილმა ნახა სოფ. წინწყარო, ახლაც რომ ცოცხალი სოფელია წყალსაცავის დასავლეთ ნაპირზე. ადრე წინწყარო უფრო აღმოსავლეთით ყოფილა. მისი ნაწილი წყალსაცავს დაუფარავს და მოსახლეობა დასავლეთით გადაწეულა. ამიტომაც ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღნიშნული 3 ეკლესიის ნაშთი წყალქვეშ აღმოჩნდა; გადარჩა ერთი – ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევი, გვიან გადაკეთებული მოსული ბერძნების მიერ. ამ ეკლესიის ძველი კედლის გათლილი ქვები და ჩუქურთმათა ფრაგმენტები განვითარებული ფეოდალიზმის ხანისაა. სავარაუდოა, რომ **წინწყარო ძველი ორი სამეხრეოს ტერიტორიაზე იყო განლაგებული**, რასაც უნდა მოწმობდეს 4 იქაური ეკლესიაც.

სამეხრეო 1457 წ. საბუთში იხსენიება არწივანის მეზობლობაში (სარგის კაკაბაძე 1913: 11-12); 1627 წ. სამეხრეო სამეფო იყო, იქაურ მამასახლისს, იორდანეს გიორგი მეფემ უბოძა ცხვრის საბალახოს სითარხნის წიგნი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 84). „დასტურლამალის“ მიხედვით, ეს სახასო სოფელი სამოურავო ყოფილა ოთარ მდივნისა; სოფელს შეწერილი ჰქონია ხელმწიფის ტყვის ხარჯი 11 მარჩილის ოდენობით (ი. დოლიძე 1965: 314; სურგულაძე 1970: 699-701).

საბუთებისა და ვახუშტის სოფელთა სიის მიხედვით, თრიალეთში წინწყარო უცნობია. უნდა ვიფიქროთ, ასე გვიან შეერქვა უსახელოდ დარჩენილ სამეხრეო ნასოფლარებს, მაშინ როცა ახალმოსული ბერძნები ჯერ ალგეთის წინწყაროში დასახლდნენ, 1830 წ. კი იქიდანაც თრიალეთში გადავიდნენ (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 229).

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში „დასტურლამალზე“ მითითებით სამეხრეო განმარტებულია, როგორც საგლეხო გამოსაღები სარჩოდ მეხრისათვის, რომელიც ბატონის მიწას ამუშავებს (ჩუბინაშვილი/შანიძე 1984). „დასტურლამალში“ სამეხრეო სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება: „ერთი სამეჯრეო რასაც მოხნავს“, „ბატონის ორის სამეჯრეოს მოხნულის მორწყვა“, „ორი სამეჯრეოს შენახვა, მისი ნახნავის გალეწვა“ (ი. დოლიძე 1965: 300, 302, 303). ე. ი. აქ სამეხრეო ხარ-მეხრესაც გულისხმობს და ხარ-გუთანსაც. სადედოფლო „დასტურლამალში“ კი ვკითხულობთ: „წინწყაროს სამეხრეო მეხრემ მოხნას, მანვე დაფარცხოს“ (სურგულაძე 1970: 708). აქ კი სამეხრეო მიწის ნაკვეთია, რომელსაც მეხრე ხნავს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თრიალეთის სამეხრეო იქნებოდა სამეფო სოფელი, რომელიც ბატონის ხარ-მეხრეთა სარჩოდ, ხარ-გუთნის შესანახადაც იყო განკუთვნილი, ხოლო სოფლის მამულები მეხრეებს უნდა მოეხნათ.

„დასტურლამალის“ ტექსტის შემდეგი წინადადება იწყება „და“ კავშირით. ის. დოლიძე მას ასევე იწყებს აბზაცით, ივ. სურგულაძე კი

მრავალწერტილს სვამს „და“ კავშირის წინ, ე. ი. გულისხმობს, რომ აქ რაღაც აკლია. მართლაც, თუ წინამავალ ტექსტს დავაკვირდებით, ვნახავთ რომ მანამდე ყველგან ორ სოფელს შორის საზღვრებზეა საუბარი, ამიტომ აქაც რომელიღაც სოფლის სახელი უნდა აკლდეს და შემდეგ გრძელდებოდეს: „...და ცრიცს შუა სამძღვარი მთიდამ ცოტა წყლიანი ჴევი ჩამოვარდება გზამდისი. გზას ქუეით წყლის პირს სამანი ზის. წყალს გაღმა თხრილი ჩამოვარდება, ბოლოს ქუა ჩაგვისვამს, თავსაც ქუა ჩაგვისვამს; იმ ქვის გადასწორ ფარეხას სამძღვრამდი კოხაჯელთა ერან-თურანისაკენ თივასა და საძოვარს ნუ დაუჭერენ“ (ი. დოლიძე 1965: 325; სურგულაძე 1970: 624-625).

აქ ნახსენები სოფლების – ცრიცის, ფარეხასა და კოხაჯის ლოკალიზაციისათვის ცნობა გვაქვს ბერძენ მოახალშენეთა უწყისში, სადაც 1832 წლისათვის ძველი სოფელი **ცრიცის ახალი სახელი ყოფილა აშყალა, კოხაჯისა – გუმბეთლი, ფარეხასი კი – დერექჲოი** (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231).

სოფლები აშკალა და გუმბეთი (იგივე გუმბეთლი) ქციის მარცხენა შენაკადის ორ ტოტზეა განლაგებული, ერთმანეთის მახლობლად. ამ ხევის მიმართულება კარგად ემთხვევა ვახუშტის რუკისეულ ხევს, რომლის ორი ტოტიდან ერთს აწერია ცრიცისწყალი, მეორეს კი – კოხაჯისწყალი, იქვე აღნიშნული ორი სოფლის, ცრიცისა და კოხაჯის მიხედვით.

„აღწერის“ ტექსტში ვახუშტი წერს, რომ წალკის ზევით (ე. ი. დასავლეთით) არისო „კოხტა-ცრიცის-ჴევი, სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მოერთვის ქციას არწივანს“ (ვახუშტი 1941: 42). მე ვფიქრობ, აქ კალმის შეცდომაა: უნდა იყოს „კოხაჯ-ცრიცის-ჴევი“, რადგან სოფ. კოხტა ვახუშტისავე რუკაზე და სოფლების სიაშიც სულ სხვაგანაა აღნიშნული – ბეშქენაშენისწყლის აღმოსავლეთით, სოფ. მარიამსა და ეძანს შორის.

აშყალასა და გუმბეთის ურთიერთმიმართება არ ემთხვევა ვახუშტის რუკაზე აღნიშნულ ცრიცსა და კოხაჯს, მაგრამ ავტორის ეს უზუსტობა გამონაკლისი არაა. სინამდვილეში აშყალა ცრიცისწყლის (ე. ი. აღმოსავლეთი ტოტის) მარცხნივაა, ხოლო გუმბეთი – კოხაჯისწყლის (ე. ი. დასავლეთი ტოტის) მარცხნივ.

თუ ისევ მივუბრუნდებით „დასტურლამალის“ ზემომოყვანილ ტექსტს, შეიძლება დავუშვათ, რომ ცრიცის წინ მრავალწერტილის ადგილზე იქნებოდა კოხაჯი; ე. ი. „კოხაჯსა და ცრიცს შუა სამძღვარზე“ ყოფილა საუბარი. ამას ადასტურებს მათ შორის რომ „მთიდამ ცოტა წყლიანი ხევი ჩამოვარდება გზამდისი“-ო, რაც ცრიცისწყალი უნდა იყოს; აგრეთვე ბოლო წინადადება რომ „ქვის გადასწორ ფარეხას სამძღვრამდე კოხაჯელთა“ ყოფილა და მათ ერან-თურანისაკენ თივასა და საძოვარს, როგორც ჩანს, ცრიცელები ვეღარ დაუჭერენ.

ექვთ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ გუმბეთი მოსულმა ბერძნებმა სოფელს შეარქვეს იქ არსებული გუმბათიანი ეკლესიის გამო, რომელიც შემდგომში ჩამოინგრაო (თაყაიშვილი 1913: 48).* სინამდვილეში კი ბერძნებმა ეს სახელი თავისი ძველი საცხოვრისიდან მოიტანეს (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 227), ხოლო კოხაჯის ძველი ქართული ეკლესია 1846 წ. შეაკეთეს ისევე უგუმბათოდ, როგორც დახვდათ. კედლის წყობითა და ჩუქურთმათა ნაშთების მიხედვით, ეკლესია განვითარებული შუა საუკუნეებისაა. დასავლეთ კედელზე სამი დაზიანებული ქართული ასომთავრული წარწერაა შემორჩენილი; პირველში იხსენიება ვინმე მკლავანი, მეორეში – ქობულ, მესამეში – იოვანე. ეკლესიის გალავნის გარეთ დიდი საფლავის ლოდია თითქოს ცხვრის გამოსახულებით და მხედრული წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე სული მამისაი“, ან „მამაისი“.**

კოხაჯისწყლის აყოლებით, ცხენის ბილიკი გადადის თრიალეთის ქედზე ტანისა და თეძმის ხეობებში ჩამავალი. ამ გზაზე კიდევ ორი ძველი ნასოფლარია, რომელიც ვახუშტის დროს აღარ არსებობდა.

ძველი კოხაჯის შესახებ საბუთებში ცნობები არ გვხვდება. 1721 წ. აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე – სვიმონ ბატონიშვილი, ათი გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 321). სოფლის სახელწოდება შესაძლოა იქაურ ქვიან ადგილს ახასიათებდეს: კოხი ცეცხლგამძლე, მაგარი ქვაა – საბა.

დღევანდელ სომხურ სოფელ აშყალაში ძველად სამი ქართული ეკლესია ყოფილა, სამივე გადაკეთებულია ახალმოსახლეთა მიერ. ისინი შეიცავენ ქვებს ადრეული შუა საუკუნეების მოტივებით ლავგარდანზე, ჯვარი ბოლნური მედალიონით გამოსახულია ბალავრის ქვაზე, ასევე სტელის ფრაგმენტზე. XIX ს-ის დასასრულს ექვთ. თაყაიშვილს აქ უნახავს ქვა გადაშლილი ქართული წარწერით, რომელიც მაშინ დიდი ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე იყო (თაყაიშვილი 1913: 50).

„დასტურლამალის“ მიხედვით, ცრიცი (იგივე აშყალა) სახასო სოფელი იყო, სამოურავო ბუხუტა სააკაძისა; სოფელს ხელმწიფის ტყვის ხარჯი ედო 12 მარჩილის ოდენობით; 1721 წ. აღწერით, იქ სააკაძე იყო ერთი მებატონე, 15 გამომღები და 5 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 370).***

ზემოხსენებული ნაწყვეტი „დასტურლამალიდან“ თავდება წინა-

---

* წალკა-გომარეთის პლატოზე გუმბათიანი ეკლესიები არ ჩანს, ასევეა დმანისხევში...

** ამ ქვას ლ. მელიქსეთ-ბეგი ვეშაპად მიიჩნევდა, წარწერაც ნაგვიანევი ეგონა. ვ. სილოგავა კი მას XII-XIII სს-ით ათარიღებს (იხ. ნადირაძე 1996: 33)

*** სააკაძისა ყოფილა ეს სოფელი XIX ს-ის 30-იან წლებამდე (იხ. ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231).

დადებით, საიდანაც ჩანს, რომ ცრიცელებს ერან-თურანისაკენ თივასა და საძოვარს ვერ დაუჭერენ. ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში ერანი და თურანი ორი ცალკე სოფელია, ერთმანეთის მეზობლად მდინარის ორ ტოტზე – ერანი დასავლეთით,თურანი – აღმოსავლეთით. ექვთ. თაყაიშვილს ერან-თურანი ერთ სოფლად უნახავს, რომელსაც მაშინ თეჯისი ეწოდებოდა. ერან-თურანი ერთ სოფლადაა ხუთვერსიან რუკაზედაც, ბეშქენაშენისწყლის მარჯვენა შენაკადზე.

სოფელში ოთხი ეკლესია ყოფილა, ამათგან ორის მხოლოდ ბუდეებიღა ჩანს. სოფლის შუაგულში მესამე ეკლესია უხეშად ნათალი ქვით ნაგები დარბაზული შენობაა, რომელიც გვიან მოსულ ბერძნებს განუახლებიათ... გალავანი ერთმანეთზე უხსნაროდ დალაგებული ლოდებისაა... გორაზე სოფელს გადმოჰყურებს მეოთხე ეკლესია. ის დარბაზული ნაგებობაა, ორი ტოლი ნავის შემცველი. ორივეს საკუთარი საკურთხეველი და სატრაპეზო ლოდი აქვს. შესასვლელი სამხრეთიდანაა, ორ ნავსაც ერთმანეთთან ერთი კარი აკავშირებს. კედლები დიდი, უხეშად დამუშავებული ქვებითაა ნაშენი, სახურავი აღარაა. სამხრეთ ნავში დაახლოებით 5 მ სიმაღლის და 1,1 მ სიგანის სუფთად გათლილი მონოლითი დგას, ზედ ამოჭრილი მაღალი ჯვრით. ქვა კედლებთან შედარებით უფრო მაღალია. ეკლესიის ირგვლივ მშრალად ნაწყობი დიდი ლოდების წრიული გალავანია, სამი ქვით შედგენილი შესასვლელით. საფიქრებელია, რომ ეს ციკლოპური გალავანი თავიდან მხოლოდ მენჰირს ევლებოდა გარს; ადრექრისტიანულ ხანაში მასზე ჯვარს ამოჭრიდნენ, შემდეგ ამ დიდ ქვაჯვარს ირგვლივ ეკლესიასაც შემოაშენებდნენ ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების სახელობისას (შდრ. მცხეთის ჯვარი). სოფლიდან ჩრდილოეთით მიმავალი ბილიკი გადაივლის ერჯევნის მთას, სადათვე მთით ჩადის თეძმისხევის პიტნარაში.

1529 წლის ერთი საბუთის მიხედვით, მეფე ლუარსაბ I-ს თრიალეთის ნასოფლარი თურანი გაუთავისუფლებია ყოველგვარი სამეფო ხარჯისაგან და ეს შეწირულება მიუბარებია დეკანოზ სვიმონ შოთაშვილისა და მისი ძმებისათვის. იქვე იკითხება: „ჭიტისა სადოლაბელის წყალზედ, სადაც უნდოდეს დოლაბი აღაშენოსო“ (რუხაძე 1947: 380). ეს ჭიტი ზემოხსენებული სოფ. ბჭითია, რომელიც ქარიაქთან გავაიგივე. ის კი, მართლაც, ერან-თურანს ემეზობლება სამხრეთიდან. ბჭისწყალს, ჩანს, სადოლაბელისწყალიც ერქვა, სიტყვისაგან დოლაბი (წისქვილის დიდი ლოდი), რაც, ცხადია, საამისო ქვის საბადოს იქ არსებობასა და მის დამუშავებაზე მეტყველებს.

1692 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ნასოფლარი თურანი, ქართლის მეფის მიერ ატოცის წმ. გიორგისადმი შეწირული, აუშენებია გივი თუმანიშვილს; ამიტომ მეფემ მას თურანის მოურავობა უბოძა, ატოცის დეკანოზმა ნათანმა კი, ამ მოურავობის მოუშლელობის პირობა მისცა (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 108-109). იმავე გივი თუმანიშვილის

წერილში ქაიხოსრო დეკანოზისადმი ჩანს, რომ მას თურანში ოცი კომლი კაცი დაუსახლებია, მაგრამ ამ სოფლის სამძღვარსა და სათიბს კოხაჯელნი ეცილებიან, რომელიც ბატონიშვილის სოფელი ყოფილა. თუმანიშვილი თხოულობს ჩამოუტანონ „თუ რამ იმ ალაგის წიგნი აქვთ, რადგან თუ სოფელს სათიბი არ წაერთმევა, 60 კომლი კაცი დასახლდება და ეკლესიას დიდად შეემატება“ (ცსა ფ. 1451, საქმე №2, 65 რ).

კოხაჯი, ანუ დღევანდელი გუნბეთი, ერან-თურანის, ანუ თეჯისის სამხრეთ-დასავლეთითაა და ეს საცილობელი საძოვრები მათ შორის გადაჭიმულ სერზე უნდა ყოფილიყო, რომელსაც დასავლეთ-აღმოსავლეთი მიმართულება აქვს.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ერანი და თურანი სახასო ნასოფლარებია; 1721 წ. აღწერით კი, ერანი სამეფო სოფელი იყო, სადაც ოთხი გამომღები და ორი ბოგანო ყმა ითვლებოდა (ლორთქიფანიძე 1935: 305). როგორც ჩანს, მოგვიანებით ამ ორი უახლოესი სოფლის შეერთებით შეიქმნა ერან-თურანი, ისევე როგორც ბეშქენაშენი, ჭიტები და სხვ. ახლა იქ თურქულენოვანი მოსახლეობაა, მოსული XIX ს-ის 30-იან წლებში.

თრიალეთის სოფლების განმსაზღვრელ კარში, „დასტურლამალის“ ტექსტი შემდეგ იხსენიებს თეზსა და ავლადს. ბერძენ მოახალშენეთა უწყისით კი, **თეზის ადგილი დაუჭერია ავრანლის, ავლადისა კი – ყიზილქილისას** (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231). მართლაც ეს სოფლები აშკალასა (ცრიცი) და გუმბეთის (კოხაჯი) დასავლეთითაა, პირველი – ჩრდილოეთით, მეორე კი – სამხრეთით, რაც ეთანხმება „დასტურლამალის“ ტექსტში თეზისა და ავლადის მოხსენიებას ცრიცის მეზობლად: „...თეზს შუა მთიდამ ჭევია გზამდისი, გზის პირს მგრგვალი ქუა ზის, იმის სისწორ მინდორში გორა არის, იმ გორას გამოსწორ ცრიცისაკენ ქუა ჩაგვისვამს... თეზელებმა დაიფიცეს და გარდასწყუიტეს. და ავლადს შუა ფიცით გარდაწყუეტილა“ (ი. დოლიძე 1965: 325; სურგულაძე 1970: 625).

ვახუშტი წერს, რომ საპონაურისა და ცხვრისის ხევის შემდეგ, „ქვემორ სამჴრიდამ ერთვის ქციას ავლადის-ჭევი“ (ვახუშტი 1941: 42) მართლაც, ყიზილქილისა, ანუ ავლადი ქციის მარჯვენა მცირე შენაკადზეა, თუმცა კი ძლიერ სხვაობს ვახუშტის რუკაზე მოცემული ამ ხევის მიმართულებისაგან.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ავლადი სამეფო სოფელი იყო, სამოურავო მდივანბეგის – ერასტი ყაფლანიშვილისა; სოფელს გამოსაღებად ედო ხელმწიფის ტყვის ხარჯი 12 მარჩილის ოდენობით. 1721 წ. აღწერით, ავლადში მეფე იყო ერთადერთი მებატონე, იყო 10 გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 320).

ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობისას ისევე, როგორც ახლა,

ყიზილქილისაში XIX ს-ში მოსული სომხები ცხოვრობდნენ,რომლებსაც ძველი ქართული ეკლესია გადაუკეთებიათ 1884 წელს. კიზილქილისა თურქულად წითელ ეკლესიას ნიშნავს; აქ სწორი შეიძლება იყოს ექვთ. თაყაიშვილის ვარაუდი, რომ ნასოფლარს ასე ეწოდა ძველი ქართული ეკლესიის ქვების წითელი ფერის გამო (თაყაიშვილი 1913: 44); ეკლესიის შენობაში მართლაც მრავლადაა კარგად გათლილი წითელი ლოდები.

ავლადის (კიზილქილისას) ჩრდილოეთით მოსაზღვრე სოფელია თეზი (ავრანლო), რომელიც ქციის მოსაბრუნში მდებარეობს, საიდანაც მდინარე ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებას იღებს. 1830 წ. მოსულ ბერძნებს ამ სოფლის ძველ ქართულ ნაეკლესიარებზე ახალი სალოცავები აუგიათ. ერთი ეკლესიის სიახლოვეს კლდეზე წარწერაა, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ ყოფილა საფლავი ვინმე მწიგნობრის ძე დაყუდებულისა. ნუსხური წარწერა XII-XIII სს-ებისა უნდა იყოს. სოფლის დასავლეთით ქციის კანიონში კიდევ ორი ეკლესიის ნანგრევია გალავნით გარშემორტყმული, აქვეა გამოქვაბულებიც. მათ ჩრდილოეთით კლდეზე მშრალი წყობის ციხე-გალავანია წინარექრისტიანული ხანისა, რომელიც გვიანაც გამოუყენებიათ. მთელი ეს კომპლექსი უნდა იყოს ის მონასტერი, რომლის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „თეზის ჴრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი“ (ვახუშტი 1941: 42). აქაურ ეკლესიებს ადრექრისტანული ხანის არქიტექტურული დეტალები აქვთ, მაგრამ მონასტერს უარსებია XII-XIII სს-ებშიაც, რაზედაც მიგვითითებს დაყუდებული ბერის ზემოხსენებული წარწერაც (დ. ბერძენიშვილი 1982: 15-17).

ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ ავრანლის ეკლესიებზე ის ქართული წარწერების ნახვას მოელოდა, რის შესახებაც მას ცნობა ჰქონია ა. იოაკიმიდისაგან. არ შეიძლება ეს მოლოდინი უსაფუძვლო ყოფილიყო და წარწერებიც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს (თაყაიშვილი 1913: 45-46). სამაგიეროდ ამ ბოლო ხანებში ქციამ გადარეცხა და გამოაჩინა წაქცეული მომაღლო ქვა, ზედ ხელისა და ჯვრის გამოსახულებით. იქვე ამოჭრილი ქართული ასომთავრული წარწერა გვაუწყებს, რომ ვახტანგის ძისწულისათვის უბრძანებიათ ვარდანის ძის ჴელის დასმა. წარწერა XIII ს-სა უნდა იყოს.*

1692 წ. ერთი საბუთის მიხედვით, მეფე ნაზარალიხანმა ფარემუზ ჯავახიშვილს უბოძა „სახასო სოფელი თრიალეთზედ თეზი, მასში მსახლობარის გლეხითა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით“.

---

* წარწერის შესახებ ავტორი საგანგებოდ მსჯელობს წერილში „თრიალეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (თეზის ჴრამი)“, *ანალები,* №3, 2007 – რედ.

საბუთის ტექსტის სპარსულ ნაწილში სოფ. თეზი მიწებით, ველებითა და წისქვილით, ფარემუზ ჯავახიშვილსა და მის შვილს როინს მიეცა თიულად, ე. ი. პირობით მფლობელობაში (ფუთურიძე 1955: 353-355).* „დასტურლამალის“ მიხედვით, ამ სოფელს ედო ხელმწიფის ტყვის ხარჯის გამოსაღები 16 მარჩილის ოდენობით; 1721 წ. აღწერით, იქ ერთი მებატონე იყო (ბატონის რძალი), 21 გამომღები და 7 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 313).

თეზის მეზობლად „დასტურლამალის“ ტექსტი იხსენიებს სოფელს, რომელიც ვახუშტის სოფლების სიაში არაა და არც მის რუკაზე ჩანს. ის. დოლიძე ამ წინადადებას აბზაცით იწყებს. ივ. სურგულაძე კი – მრავალწერტილით, ე. ი. გულისხმობს, რომ აქაც ტექსტი ნაკლულია: „... და ზემო ხორიეთს შუა ფიცი იყო და განაჩენიც იყო, გარეშე კაცები შეეგდოთ. შეგდებული მოფიცარი ჩვენ ვაპატივეთ და ცოტა საცილებელი ქონდათ თეზელთა, რაც სწერია იმათ უნდა იფიცონ. ეს ფიცი თეზელებმა დაიფიცეს და გარდასწყუიტეს“ (ი. დოლიძე 1965: 325; სურგულაძე 1970: 625).

ნაწყვეტის ბოლო წინადადებები გვარწმუნებს, რომ სადავო ყოფილა თეზსა და ხორიეთს შორის, რაც თეზელთა ფიცით გადაწყვეტილა. ხორიეთის მდებარეობის განსაზღვრისათვის ჩვენ არც საბუთებში გვაქვს რაიმე ცნობა. აქ შეიძლება საველე დაკვირვებას დავეყრდნოთ და თეზის ირგვლივ ნასოფლარს დავუწყოთ ძიება. ასეთი პუნქტი მართლაც არის თეზიდან ჩრდილოეთით, დაახლ. 3 კმ-ზე. იქ ხევის პირას ნასოფლარია და ნაეკლესიარის ბუდე.

1990 წ. იგივე ნასოფლარი უნახავს ხუროთმოძღვრების ისტორიკოსს გ. გაგოშიძეს. იქაური ნაეკლესიარი მას ბერძნების მიერ აღდგენილი დახვედრია; აქვე აღმოსავლეთ კედელში მას უნახავს თავდაყირა ჩაშენებული ლოდი ქართული ასომთავრული წარწერით. 1050 წ. წარწერაში საუბარია ეკლესიის მშენებლობაზე ბაგრატ IV ნოველისიმოსის მეფობისას (გაგოშიძე 2004: 48). ეს ნასოფლარი შეიძლება ყოფილიყო ხორიეთი. 1721 წ. აღწერის მიხედვით ხორიეთში ითვლებოდა 8 მებატონე – გლურჯიძეები, ერთი დამოუკიდებელი უყმო აზნაური – შანშიაშვილი, 9 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 378).

„დასტურლამალის“ ტექსტი ასე გრძელდება: „ბოლოს პატარა საბატისაკენ, ქციის გაღმა ორი საქცევი მიწა დაგვიდებია და ფარეხასაკენ რომ ლოშოს სამძღვარი არის, იმ სიგანეთა“ (ი. დოლიძე 1965: 325; სურგულაძე 1970: 625). სოფ. ფარეხას შესახებ ბერძენ მოახალშენეთა უწყისი გვამცნობს, რომ ამ ნასოფლარისათვის დერექიოი დაურქმევიათ (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231). ხუთვერსიან რუკაზე

* ბერძენ მოახალშენეთა უწყისითაც 1832 წ. სოფ. თეზი ისევ ჯავახიშვილებისა იყო.

წინწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, ქციის მარცხნივ აღნიშნულია სოფ. დარაქოვი, მას ახლაც ასე ჰქვია.

ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაშიც ფარეხა სამეხრეოს შემდეგაა მოთავსებული, რაც დარაქიოის მდებარეობას ემთხვევა. ამჟამად იქ სომხური მოსახლეობაა, რომელსაც ძველი ქართული ეკლესია 1859 წ. გადაუკეთებია. ექვთ. თაყაიშვილისათვის ადგილობრივ მოხუცს უთქვამს, რომ ბალავრის ქვაზე ადრე ქართული წარწერა ყოფილა, რომელიც ეკლესიის განმაახლებლებს მოუშლიათ და ზედ სომხური წარწერა ამოუკვეთიათ (თაყაიშვილი 1913: 27). გადაკეთებული ეკლესიის კედლებში შერჩენილია ქვები ბოლნური მედალიონებით, რაც ადრეულ შუა საუკუნეებზე მიგვითითებს. ლავგარდანის ჩუქურთმა კი განვითარებული შუა საუკუნეებისაა.

1721 წ. აღწერით, ფარეხაში სააკაძეთა გვარის რვა მებატონე იყო, 11 გამომღები და 6 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 352).* 1783 წლის ანდერძის წიგნით, შიოშ ბარათაშვილმა იულონ ბატონიშვილს უანდერძა თრიალეთზე სამკვიდრო სოფელ ფარეხას ნახევარი (ი. დოლიძე 1965: 913). სახელწოდების მიხედვით, ეს სოფელი მეცხვარეობასთან იქნებოდა დაკავშირებული. ნასოფლარი ფარეხა არის სამცხეშიაც, რაჭაში გვაქვს სოფ. ფარახეთი.

„დასტურლამალის“ ტექსტში სოფ. ლოშო არაერთგზის იხსენიება „ფარეხასაკენ რომ ლოშოს სამძღვარი არის“... „სათიბში აკუთას ეძახიან, იმას გაღმა ლოშოსაკენ დიდი სამანი ქუა ზის, ზემო ანდრაპსა და ზემო ფარეხას შუა (სამძღვარი – დ. ბ.) ეს არის“. „ჰევღრმას შუა ქუემო ლოშოსაკენ გორა არის, იქ ქუა ჩაგვისვამს“ (ი. დოლიძე 1965: 327; სურგულაძე 1970: 628). ამ ნაწყვეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ვახუშტის სოფლების სიაში, მისსავე რუკაზე, 1721 წ. აღწერით, „დასტურლამალის“ ტექსტის სხვა ადგილებისა და საბუთების მიხედვით, ფარეხა და ლოშო თითო-თითო სოფელია. ამიტომ მგონია, რომ ერთადერთხელ მოხსენიებული ზემო ფარეხა ზემო ანდრაპის გვერდით (ანდრაპი მართლაც ორი სოფელი იყო), გადამწერის კალმის შეცდომაა.**

სიტყვები „ქვემო ლოშოსაკენ გორა არისო“, არ უნდა ნიშნავდეს ქვემო და ზემო ლოშოს არსებობას.*** აქ სავარაუდებელია „ქვემოთ, ლოშოსკენ გორა არის“... ამას უნდა მოწმობდეს იმავე აბზაცის მომდევნო სიტყვები: „ყველგან ქუა აგვიმართავს, ზემო გორაზედაც

---

* სააკაძეებსვე ეკუთვნოდათ ეს ნასოფლარი ბერძნების გადმოსახლებისას.

** ამიტომ იას. ლორთქიფანიძე იძულებული იყო ფარეხა და გველფარეხა – ორი მეზობელი სოფლიდან ერთ-ერთი „ზემო ფარეხად“ მიეჩნია (ლორთქიფანიძე 1935: 352).

*** ასე ფიქრობდა ის. დოლიძე (ი. დოლიძე 1965: 666, საძიებელი).

ქვა აგვიმართავს, იმას ზემო ფარავნის გზა შესდევს, იმას შეეყრება“; ე. ი. ზემო და ქვემო გორაზე კი არაა საუბარი, ისევე როგორც არ არსებობდა ზემო და ქვემო ფარავნა, არამედ იგულისხმება „ზემოთ“. იგივე უნდა ყოფილიყო წინ ნახსენებ თეზსა „... და ზემო ხორიეთს შუა“... იქაც უნდა ვიგულისხმოთ „ზემოთ“. ბოლო თანხმოვნის დაკლება ამ კარში სხვაგანაც გვხვდება: „წყლიანი ხევი ჩამოვარდება გზამდისი“... ან კიდევ: „მთიდამ ხევია გზამდისი“, იქვეა შემთხვევები, როცა წერია „გზამდისინ“.

ვახუშტის რუკაზე სოფ. ლოშო ქციის მარჯვენა შენაკად ავლადისწყალზეა, სოფ. ავლადის ქვევით. ავლადი კი დღევანდელი კიზილქილისაა. მეორე ორიენტირია დარაქიოვ-ფარეხა, რაკი „ფარეხასაკენ ლოშოს საზღვარი არის“. მესამე ორიენტირად გამოდგება ხევღრმა, რადგან „ჰევღრმას შუა, ქვემოსთ ლოშოსკენ გორა არის“. ბერძენ მოახალშენეთა უწყისში აღნიშნულია, რომ ახალ ნარდევანს ძველად ერქვა „ხევარშლი“ (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231), რაც დამახინჯებული, ან რუსულად ცუდად დაწერილი ხევღრმაა.

აღნიშნული ორიენტირების მიხედვით, ქციის მარჯვენა სანაპიროზე დღეს ოთხი სოფელია: კუშჩი, გოლიანქი, ბურნაშეთი და გუნია-ოზნი. ამათგან სამი მოხსენიებულია ბერძენ მოახალშენეთა უწყისში: კუშჩი კიულფარეხაა, რაც ვახუშტისეულ გველფარეხას შეესატყვისება, გოლიანქი (წერია – გოლინხლი) ალთისი ყოფილა, იგივე ქართული ოლთისი, გუნიაოზნის კი, უწყისის მიხედვით, ჩანჩხაბეჟა რქმევია. საქმე ისაა, რომ ეს ჩანჩხაბეჟა და მის დასავლეთით მყოფი ბურნაშეთი არც ვახუშტისთან და არც საბუთებში თრიალეთის სოფლებად არ ჩანან; გამოდის – ადრე მათ სხვა სახელები ერქვა.

ვახუშტის სოფლების სიაში ჩვენთვის საინტერესო ადგილზე სოფლების ასეთი მიმდევრობაა: საპიტიახშო, ბოჟანო, ლოშო, ავლადი. საპიტიახშო დღეს ნასოფლარია, უკიდურესი დასავლეთი პუნქტი თრიალეთიდან ტაბაწყურს მიმავალ გზაზე, რომელსაც დამახინჯებით ზაბიტახჩას უწოდებენ. ავლადი ყიზილქილისაა და ე. ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ საპიტიახშოს შემდგომ პირველი სოფელი, რაც ვახუშტის მიხედვით ბოჟანო გამოდის, მერე კი – ლოშო. ასეთი თანმიმდევრობის დაცვით, **ბოჟანო დღევანდელი ბურნაშეთია, ლოშო კი – გუნია-ოზნი.**

თრიალეთის სახასო სოფლების ჩამოთვლისას „დასტურლამალშიც“ თითქოს გეოგრაფიული თანმიმდევრობაა დაცული: „ქუემო ოლთისი ფალავანდიშვილისა; ლოშხი; ბოჟანოსი მდივანბეგი; ავლადისაც მდივანბეგი“ (ი. დოლიძე 1965: 313). ლოშხი დამახინჯებული ლოშოა და ბოჟანოსთან ერთად იხსენიება ოლთისსა და ავლადს შორის.

ვახუშტისეული ბოჟანოს იგივეობას თანამედროვე სოფ. ბურნაშეთთან აღნიშნავდა ლ. მელიქსეთ-ბეგი, რასაც იზიარებდა ს. ჯიქია და იძლეოდა საყურადღებო განმარტებასაც: ოსმალთაგან

სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ჯავახეთიდან მოსახლეობა გადმოდიოდა თრიალეთში, სადაც გადმოჰქონდათ ჯავახური სოფლების სახელები. ასეთებია ხანდო, უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი სოფელი თრიალეთისა, კოთელია, რომელიც ძველ რეხას შეერქვა ხანდოს აღმოსავლეთით და ბურნაშეთ-ბოჟანო; შესაძლოა, თრიალეთის ამ პუნქტში დამკვიდრდა ჯავახეთის ორი სოფლის – ბოჟანოსა და ბურნაშეთის მოსახლეობა, შესაძლოა ამ ადგილსაც ერთდროულად ორივე სახელი ერქვაო (შეად.: კოთელია-რეხა) (ჯიქია 1958: 24). ასეთივე ვარაუდით, თრიალეთის გუნია-ოზნის ძველი სახელი – ჩუნჩხაბეჟა, მოხსენიებული მხოლოდ ბერძენ მოახალშენეთა უწყისში, შესაძლოა აღნიშნავდეს ჯავახური სოფლების – ჩუნჩხასა და ბოჟანოდან გადმოსულთა დასახლებას. ასეთი რამ მოხდებოდა ვახუშტის შემდგომ: ეს სახელი თრიალეთში არც მან და არც სხვა წყაროებმა არ იციან.

ვახუშტის მსგავსად და ისეთივე მიმდევრობითაა მოხსენიებული თრიალეთის სოფლები იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“, რომელიც XVIII ს-ის ბოლო ათეულშია ჩატარებული. იქ ბურნაშეთის ადგილზე ბოჟანოა, ხოლო ჩუნჩხაბეჟა არ ჩანს (იოანე ბაგრატიონი 1986: 49). გამოდის, რომ ძველ ლოშოს ჩუნჩხაბეჟა დარქმევია XIX ს-ის I მესამედში, თრიალეთის ბოჟანოსაც იმავე დროს შეიძლება შერქმეოდა ბურნაშეთი.

ბოჟანო-ბურნაშეთის ეკლესია დარბაზული შენობაა მოზრდილი, გათლილი ქვებით ნაგები. ეკლესიის სარკმლებსა და ბალავრის ქვაზე წნული ჩუქურთმებია, ჯვრები და ნუსხური წარწერები, რომლებიც ექვთ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა (თაყაიშვილი 1913: 40-43). იქ ეკლესიის მშენებლად მოხსენიებულია, ვინმე ოგ˜ლე შარას ძე, იხსენიება იოანე ჯვარისმამა, ე. ი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, აგრეთვე ესია, გიორგი, სვიმონ, მანხეველი. სამხრეთი სარკმლის წარწერიდან ირკვევა, რომ ქვა დაუსვამთ გაშატის ძეებს და ოცი გრივი კირი შეუწირავთ წმინდა ნათლისმცემლის ეკლესიისათვის. ჩუქურთმებისა და წარწე-რების მიხედვით, ბოჟანოს ეკლესია XII-XIII საუკუნისა უნდა იყოს.

ამ სოფლის შესახებ საბუთებში არაფერი გვხვდება. „დას-ტურლამალის“ მიხედვით ბოჟანო სამეფო სახასო სოფელი იყო, სამოურავო მდივანბეგისა. ამ სოფელს ხელმწიფის ტყვის ხარჯი ედო 9 მარჩილის ოდენობით. 1721 წ. აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე – მეფე, 12 გამომღები და სამი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 293). ამჟამად ბოჟანო სომხური სოფელია, რომლის მოსახლეობა XIX ს-შია მოსული.

გუნია-ოზნის, ანუ ძველი ლოშოს ტერიტორიაზე 3 ნაეკლესიარია შემორჩენილი, ამათგან ერთი სოფლის დასავლეთითაა და დარანშია მოწყობილი. საკურთხეველში კუბურ ბაზისებში ჩადგმული ორი

ქვაჯვარია ადრეული შუა საუკუნეებისა. ამ სალოცავს მოსახლეობა „მატუნს“ უწოდებს, რაც სომხურად საჭამნო, ეკვდერია. მეორე ეკლესია ქედზეა, მას მშრალი წყობის გალავანი ერტყმის. დარბაზული ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. საკურთხეველში ქვაჯვრის ბაზაა შიგ ჩადგმული, გადატეხილი სვეტით. იქვე შეიმჩნევა მოხატულობის კვალი.

მესამე ეკლესია 1860 წ. აუგიათ ძველი ქართული ნაეკლესიარის ადგილზე ძველივე ქვებით. ამრიგად, ლოშო შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ცოცხალი სოფელი ჩანს იქაური ძეგლების მიხედვით, თუმცა საბუთებში მის შესახებ არაფერი გვხვდება. „დასტურლამალის“ მიხედვით, ის სამეფო სახასო სოფელია, სამოურავო მდივანბეგისა. ხელმწიფის ტყვის ხარჯი აქ ორი მარჩილის ოდენობისაა. 1721 წ. აღწერით, იქ ერთი მებატონეა – წალკელი ეპისკოპოსი, ოთხი გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 324). სოფლები სახელწოდებით ლოშო გვხვდება ბაზალეთის ტბის მიდამოებში, ივრის ხეობაში. ამჟამად თრიალეთის გუნია-ოზნი სომხური სოფელია დასახლებული XIX ს-ში.

„დასტურლამალში“ სოფლების განმსაზღვრელი ტექსტი ასევე რამდენჯერმე იხსენიებს ანდრაპსაც: „ანდრაპს შუა ნიკოლოზს ქუა ჩაესვა; იმას იქით სათიბში აკუთას ეძახიან, იმას გაღმა ლოშოსაკენ დიდი სამანი ქუა ზის, ზემო ანდრაპსა და ზემო ფარეხას შორის შუა (საზღვარი – დ. ბ.) ეს არის“. „გველფარეხას იმავ ანდრაპის პირთან რომ ჰვევი ჩამოვარდება, იმის გამოსწორ, ქციის პირს ქუა ჩაგვისვამს, მის სწორად კიდევ ქუა ჩაგვისვამს, გზის პირს ჩაგვისვამს, გზას ზეით, გველფარეხელთ სანამდის სამანი აქუს, ანდრაპელთ ჰელი არა აქუსთ“ (ი. დოლიძე 1965: 326; სურგულაძე 1970: 626-627). მოტანილი ამონარიდების მიხედვით, ანდრაპი სოფლების – ლოშოს, ფარეხას და გველფარეხას გარემოცვაში გამოდის, თან ამ უკანასკნელისაგან ანდრაპს ხევი გამოჰყოფს.

ვახუშტის რუკაზე, ასევე სოფელთა სიაში, ორი სოფელი ანდრაპი მოთავსებულია ხევღრმის, თეთრიწყაროსა და ოლთისის სოფლებთან. ანდრაპის ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვანია „დასტურლამალის“ ტექსტის მითითება, სადაც გველფარეხასა და ანდრაპს შორის საზღვრად ქვა ჩაუსვამთ ქციის პირს; ე. ი. ანდრაპი ქციის მარჯვენა ნაპირზეა. ასევე მანიშნებელია დღევანდელი სოფელი აიაზმა, რაც ბერძნულად ნაკურთხ, წმინდა წყალს ნიშნავს. სოფლის სამხრეთით, დამრეც ფერდზე მართლაც შესანიშნავი წყარო გამოდის, გემრიელი და რძესავით თეთრი. მას ადრიდანვე მიუპყრია ყურადღება და VI-VII სს-ის ეკლესია სწორედ მასთან აუგიათ (ნ. ჩუბინაშვილი, რ. შმერლინგი 1948: 64).

ამასვე უნდა მიეცა სახელი სოფლისათვის – თეთრიწყარო, რასაც გვიან მოსულებმა აიაზმა შეარქვეს. ვახუშტის რუკაზე კი ანდრაპი

იმ ხევის ბოლოზეა, რომელზედაც თეთრიწყაროა აღნიშნული. ისიც საინტერესოა, რომ ბერძენ მოახალშენეთა უწყისში გეოგრაფიული თანმიმდევრობის დაცვით, ჩამოთვლილია ახალი სოფლები და ძველი შესატყვისები: **გოლიანქ-ალთისი, კუშჩი-გიულფარეხა, ნარდევან-ხევღრმა**; ამ უკანასკნელს მოსდევს ანდრაპი, რომელიც დაცლილ-დაუსახლებელ ადგილებშია მოხსენიებული. ეს იმიტომ, რომ გადმოსახლებულთა პირველმა ტალღამ 1830-1831 წწ. აღნიშნული ადგილები ვერ აითვისა და მხოლოდ შემდგომ მოსულებმა მოიტანეს ძველი საცხოვრისიდან ედი-ქილისა, ტავ-ქილისა და სხვ. (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 237). აღნიშნული ორიენტირების გათვალისწინებით, **დღევანდელი სოფ. ედი-ქილისა ქვემო ანდრაპი გამოვა**.

ედი-ქილისა თურქულად შვიდ ეკლესიას ნიშნავს და მართლაც ამ დიდ სოფელში 7 ეკლესიაა, მაგრამ, ჩანს, ასევე ყოფილა არზრუმის მხარის ბერძნულ სოფელშიც. თრიალეთის ედი-ქილისა შესაძლოა ორი ნასოფლარის ტერიტორიას მოიცავდეს – ქვემო ანდრაპის და ერთი მერევანისას. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მათი განლაგება ვახუშტის რუკაზე ქციის მარჯვნივ: ზემო და ქვემო ადრაპი, შემდეგ ორი მერევანა, შემდეგ წალკა.*

სოფლების ასეთ თანმიმდევრობას ემოწმება „დასტურლამალის“ ტექსტიც, სადაც ფარეხელთა და ანდრაპს შორის ჩაწერილია: „მერეკნელნი უჩიოდნენ და სამართალში არ მოჰყუნენ“... (ი. დოლიძე 1965: 325; სურგულაძე 1970: 626). ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ **დღევანდელი ტავ-ქილისა ერთ-ერთი მერევანის ნასოფლარზეა დასახლებული.**

თეთრიწყაროს (აიაზმა) ადრეული შუა საუკუნეების ეკლესია XI ს-ში შეუკეთებიათ, რაზედაც ნათქვამია ბალავრის ქვის წარწერაში, სადაც ვინმე ზაქარია მოხსენიებულია ეკლესიის სტოას მაშენებლად ოქროპირის კათალიკოსობისას (თაყაიშვილი 1913: 34).

ეკლესიის აღმოსავლეთით საინტერესო საფლავის ქვაზე ორი პატარა ფიგურა ცოლქმარს უნდა გამოხატავდეს.

„დასტურლამალის“ მიხედვით, XVIII ს-ში თეთრიწყარო სამეფო სახასო სოფელი იყო, სამოურავო ზურაბ თარხნიშვილისა. სოფელზე შეწერილი ხელმწიფის ტყვის ხარჯი 8 მარჩილი იყო. 1721 წლის აღწერით, იქ ითვლებოდა ერთი მებატონე (გარაყანიძე) და 10 გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 313). ახლა აიაზმაში სომხები ცხოვრობენ, მოსულნი XIX ს-ში.

ედი-ქილისა, ანუ ქვემო ანდრაპი თრიალეთის მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. ეკლესიებიდან წარწერა მხოლოდ ერთს შემორჩა,

---

* ს. ჯიქია შესაძლებლად მიიჩნევდა ედი-ქილისას ჯავახეთიდან თრიალეთში გადმოტანას; იქ სოფ. თოკთანაც ყოფილა სოფ. შვიდ-ეკლესია (ჯიქია 1958: 288).

რომელშიც იხსენიება მიქელ ქართლისა კათალიკოზი და დავით ბერი – ამ ეკლესიის მაშენებელი. წარწერისა და ჩუქურთმის მიხედვით, ნაგებობა XII-XIII ს-სა უნდა იყოს. სხვა ეკლესიებს შერჩენილი აქვთ ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურული დეტალები,რომლებიც აქ ძველი სალოცავების არსებობას მოწმობენ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია აქედან წაღებული სტელის ფრაგმენტი. მასზე გამოქანდაკებულია სავარძელში მჯდომი ღმრთისმშობელი ყრმით, რომელსაც დედა მარჯვენა ხელით ეხება. მარცხენა მხარეს შემორჩენილია მარჯვნივ მიმართული მფრინავი ანგელოზი. სტელა VI-VII სს-ით თარიღდება (გ. ჯავახიშვილი 1993: 23-25).

ნარდევნისწყლისა და ქციის შესაყარში, გორაზე ნაეკლესიარია და ციხის ნანგრევი. ეკლესიის ბალავრის ქვად, გვიანი გადაკეთების დროს, ადრე შუა საუკუნეების სტელა დაუდიათ. ციხის ნაშთი, ალბათ, აქედან ჯავახეთს მიმავალი გზის მაკონტროლებელიც იყო.

შემორჩენილი ძეგლებიდან ედი-ქილისაში ყველაზე მნიშვნელოვანია დიდი შენობის ნანგრევი. მისი ორი დარბაზის ზომებია დაახლ.: 5მX12მ და 25მX12მ დასავლეთ კედელში დიდი ბუხარია; აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში ორ-ორი ფართო სარკმელია, სამი შესასვლელი კი სამხრეთიდანაა. შიგნიდან აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულია გათლილი ლოდი, რომელზედაც მოგრძო ჯვარია ამოკვეთილი, ის სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე დგას. თვალს ხვდება კედლის წყობა: მაღალი ქვების ოთხი რიგი თევზის ფხურადაა დალაგებული. მშენებლობის ასეთი წესი ძალიან გავრცელებულია კახეთის ისტორიულ ძეგლებზე. ამ ოთხი რიგის ზევით და ქვევით წყობა რეგულარულია. ექვთ. თაყაიშვილი აქ ერისთავის საცხოვრებელს ვარაუდობდა, მღვდელ-მონაზონი კალისტრატე კი – წალკელი ეპისკოპოსის რეზიდენციას (თაყაიშვილი 1913: 30-32). შესაძლოა, აქ ქარვასლაც გვევარაუდა, მაგრამ მაშინ უცნაური იქნებოდა ვახუშტის მიერ მისი მოუხსენიებლობა.

ქვემო ანდრაპის ეკლესიის მაშენებელი ქართლის კათალიკოსი მიქაელ მირიანის ძე შეიძლება იყოს (XII ს-ის II ნახ.). თამარის დროინდელმა ამ პოლიტიკურმა მოღვაწემ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა მისტაცა ანტონ გნოლისთავის ძეს. არაა გამორიცხული ზემოხსენებული დიდი ნაგებობა მასვე აეშენებინა მცხეთის კუთვნილ ამ სოფელში.

ედი-ქილისას სამხრეთით, დაახლ. 3,5 კმ-ზე, ქედზე კიდევ ერთი დიდი ნასოფლარია, რომლის განაპირას დარბაზული ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. ეს შენობა ყურადღებას იმით იქცევს, რომ აქაც ისეთივე თევზიფხური წყობა გვხვდება, როგორც ედი-ქილისას დიდ შენობაშია. ეკლესიის ირგვლივ გალავანია და ძველი საფლავის ქვები. ერთ მოზრდილ საფლავის ქვას, მთელ სიგრძე-სიგანეზე რელიეფური ჯვარი დაუყვება. ეს უნდა ყოფილიყო ზემო ანდრაპი.

1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად, იხსენიება „ზემო ანდრაპს ოცი კომლი კაცი“ და ეკლესია (ი. დოლიძე 1970: 177). 1707 წ. ერთ საბუთში დასახელებულია „ანტრაფის მთა“, რაც ზემო ანდრაპს შეეფერება, თუმცა ასეთი დასახელება ორივე ანდრაპის საერთო საძოვარს უნდა გულისხმობდეს: „ღელის შეყოლებით ანტრაფის მთამდისინ სულ კარწახელთ უბოძეთ...“ (სარგის კაკაბაძე 1913გ: 12-14).

„დასტურლამალის“ მიხედვით, ქვემო და ზემო ანდრაპი სამეფო სახასო სოფლები იყო, ქვემო – სამოურავო გივი მდივნისა, ზემო კი – სარდლისა. ხელმწიფის ტყვის ხარჯს ქვემო ანდრაპი 9 მარჩილის ოდენობით იხდიდა, ზემო კი – 18 მარჩილის. 1721 წ. აღწერით, ორსავე სოფლის მებატონედ მეფე ითვლებოდა; ქვემო ანდრაპში 8 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა აღირიცხებოდა, ზემოში კი – 17 გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 283). ედი-ქილისა ამჟამად ბერძნებით დასახლებული დიდი სოფელია.

**ტავ-ქილისა, ანუ ძველი ქართული მერევანა** ქვემო ანდრაპის აღმოსავლეთითაა, ქციის მარჯვენა სანაპიროზე. იქაური ეკლესია რამდენჯერმე შეკეთებული, ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკაა. მისი მსგავსება ურბნისის ეკლესიასთან პირველმა შენიშნა ექვთ. თაყაიშვილმა, მანვე აღწერა ის და იქაური წარწერის ნაშთიც გამოაქვეყნა (თაყაიშვილი 1913: 27-28). ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა შუა საუკუნეების ყველა ეპოქის საფლავის ქვებით.

ამ სოფლის შესახებ საბუთებში ცნობები არ გვაქვს. 1721 წლის აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე – შანავაზ-ხანი და 12 გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 327). სოფლის სახელი მერევანი, მეორდება ერწოშიაც. კ. ხარაძის აზრით, მერევანა დამახინჯებული მერეყანაა, რაც „მდინარისპირა ვაკე ყანას“ ნიშნავს (ხარაძე 1991: 65). ავტორი არ ითვალისწინებს მერევანის არსებობას ერწოში. თან აუხსნელი რჩება, რატომ დარჩა ეს „ყანა“ უცვლელად სახელებში ოქროყანა, ბერთაყანა, დოლისყანა, თრიალეთსა და ერწოში კი ის მერევანად რატომ გარდაიქმნა. მერევანა, ანუ ტავ-ქილისა ახლა ბერძნებით დასახლებული სოფელია. მისი ძველი სახელი სცოდნია ეკლესიის ბოლო შემკეთებელ ბერძენს, რომელიც რუსულ წარწერაში იხსენიებს სოფლის სახელად „მერეკალას“.

სოფლების განმსაზღვრელი ტექსტი „დასტურლამალში“ გველფარეხასა და ანდრაპის შემდეგ იხსენიებს არწევანს: „არწევანს შუა ოთარ მდივანს და ნიკოლოზ მაღალაშვილს გაესამძღვრა, იმაზედ ქუები ჩაგვისვამს. ქუების შუა, ჰევში, ზემო გარდასაჭედავზე, ერთი-შუაზედ ჩაგვისვამს“ (ი. დოლიძე 1965: 326; სურგულაძე 1970: 627). არწევანის ლოკალიზაციისათვის აქ მხოლოდ მისი სიახლოვეა ანდრაპსა და გველფარეხასთან.

ვახუშტის რუკაზე სოფელი სახელით არწივანი აღნიშნულია

ქციის მარცხნივ, ფარეხას დასავლეთით, კოხაჯისწყლის ქციასთან შესაყარში. ამასვე ადასტურებს „აღწერის“ ტექსტის შესაბამისი ადგილიც: „კოხტა-ცრიცის-ჴევი (უნდა იყოს კოხაჯ-ცრიცისჴევი – დ. ბ.), სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მიერთვის ქციას არწივანს“; ე. ი. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მდინარეთა შესართავი არწივანთანაა. ხევების შეერთების აღნიშვნა მსგავსი ფორმით ვახუშტის ჩვეული ხერხია: ქცია „მიერთვის ხუანის მტკვარს“, ერან-თურანისხევი „მიერთვის ჩრდილოდამ საბატეს ქციას“, საპონაურ-ცხურისისხევი „მოერთვის ქციას თეზის ჴრამსა შინა“ და სხვ. ამიტომ არ უნდა იყოს სწორი ვახუშტის ნაშრომის „ქართლის ცხოვრებისეული“ გამოცემის შესაბამისი ადგილი; იქ კოხაჯ-ცრიცისხევის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა,მიერთვის ქციას“. წერტილის წინ გადასმის გამო, შემდეგი წინადადება აბზაცითა და არწივანით იწყება: „არწივანს, თეზის ჴრამსა შინა, არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული...“ (ვახუშტი 1973: 319-320).* ასე წაკითხვით გამოდის,რომ არწივანი ყოფილა თეზის ხრამში,მონასტერი კი – არწივანში. ამას არ ეთანხმება ვახუშტის რუკა, სადაც არწივანი კოხაჯ-ცრიცისხევის აღმოსავლეთითაა, თეზი და მისი ხრამი – ამ ხევის დასავლეთით, და რაც მთავარია, აბიბოს მონასტერი არწივანთან კი არა, არამედ თეზის სიახლოვესაა აღნიშნული, რაც სინამდვილეს შეეფერება. ამიტომაა, რომ „აღწერის“ ტექსტის მომდევნო წინადადება სრულად შეესატყვისება ვახუშტის რუკას; აბიბოს მონასტრის შემდეგ იგი წერს: „მას ზემორ (ე. ი. ქციის აყოლებით, დასავლეთით – დ. ბ.) საპონაურისა და ცხვრისის-ჴევი... მოერთვის ქციას თეზის ჴრამსა შინა“. ახალი წაკითხვით კი გამოვიდოდა, რომ საპონაურ-ცხვრისისხევი „არწივანს ზემორ“ უერთდება ქციას, რაც გამორიცხულია რუკის მიხედვით და არც სინამდვილეს შეესაბამება (“აღწერის“ ბოლო გამოცემა იმეორებს 1941 წლისას).

არწევან-არწივანის ლოკალიზაციისათვის ასევე მნიშვნელოვანია 1457 წლის ერთი საბუთი, რომლითაც გიორგი მეფე მიმართავს სამთავისის ეკლესიას: „შემოგწირეთ მცირე ესე ოდენი შესაწირავი **მამული არწევანი** სამეჯრეოსა და გველფარეხას შუა, მისითა მინდვრითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა, ეკლესიითა და ყოვლითა მისითა სამართლიანის საქმითა... პირველად მამისა ჩვენისა განცა შემოწირული იყო და აწ ჩვენც ახლად წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ და შემოგწირეთ“ (სარგის კაკაბაძე 1913: 11-12). ამ საბუთში არწივანი (“მამული არწივანი“) სამჯერაა დასახელებული იმ ატრიბუტებითა და ეკლესიით, რომელიც სოფელს შეეფერება; მაშ რატომ სოფლად არ მოიხსენიება? ეგების მაშინ ნაწილი იყო

* ეს შეცდომა გვიანი ხანის გადამწერისგან უნდა მოდიოდეს (ვახუშტი 1973: 331).

რომელიმე სოფლისა, ან ნასოფლარი „მამულად“ ქცეული...

„დასტურლამალის“ მიხედვით, არწივანი სამეფო სახასო სოფელი იყო, ოთარ მდივნის სამოურავო, რომელსაც ხელმწიფის ტყვის ხარჯი – 4 მარჩილი ედო. 1721 წლის აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე (მეფე) და 5 გამომდები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 284).

ამჟამად არწივანი არ ჩანს; მითითებული ორიენტირების მიხედვით, შეიძლებოდა ის ახლანდელ ჯინისად მიგვეღო, მაგრამ ამას ხელს უშლის ერთი გარემოება: ბერძენ მოახალშენეთა უწყისში **ჯინისის ძველი სახელი კარუშეთია** (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231). თრიალეთის კარუშეთი (სოფ. კარუშეთი იყო ჯავახეთშიაც) „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება X ს-ის ამბებთან დაკავშირებით: 988 წ. დავით კურაპალატს აცნობეს მის წინააღმდეგ ბაგრატ III-ის სამხედრო სამზადისის შესახებ. დავითი ჯარით მოვიდა ჯავახეთს და დლივში გაჩერდა. „მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს, დადგა კარუშეთს“. დარწმუნდა რა, რომ ძალით წინააღმდეგობა არ ივარგებდა, ბაგრატმა ჯარი თრიალეთში დატოვა, მარტო ეახლა ჯავახეთში დავითს და მოახსენა, რომ ის მხოლოდ რატი ბაღვაშის დასამორჩილებლად იყო გამოსული. ამის მერე დავითმა ის „გაგზავნა და უბრძანა ესრეთ: „მითავისუფლებიხარ რატის ზედა, დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“, რაც ბაგრატმა სისრულეში მოიყვანა (მატიანე ქართლისა 1955: 277).

ჩანს, კარუშეთი თრიალეთის მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, რომელიც XII ს-ში თამარის ერისთავთ-ერისთავსა და მსახურთუხუცესს – აფრიდონს ექვემდებარებოდა. ამაზე მიუთითებს ამ სოფლის ეკლესიის წარწერა, სადაც აფრიდონის მეუღლე, ხოშაქ ოსიყმის ასული მოგვითხრობს ეკლესიის მშენებლობაზე ვარძიის ღმრთისმშობლის სამსახურად. ეკლესიის ირგვლივ გალავანშემოვლებული სასაფლაოა. აქვეა მოზრდილი ქვაჯვარი, რომელსაც რელიეფური ჯვარი ამკობს.

კარუშეთი არ იხსენიება ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში. ავტორი ამ სოფელს არ ასახელებს თავის ისტორიის იმ ეპიზოდშიც ზემოთ რომ მოვიტანე „ქართლის ცხოვრებიდან“ იქ მხოლოდ ბაგრატის თრიალეთს მოსვლაზეა ნათქვამი (ვახუშტი 1973: 139). ეს მით უფრო უცნაურია, რომ 1721 წლის აღწერით ცნობილია თრიალეთის კარუშეთი, სადაც სამი მებატონე (სააკაძეები), სამი გამომდები და ერთი ბოგანო ყმა ითვლებოდა (ლორთქიფანიძე 1935: 318).* ასევე 1783 წ. ერთ საბუთში იხსენიება: „აქავ თრიალეთზე სამკვიდრო სოფელი მეორე კარუშეთი“, რომლის ნახევარი საუფროსოთი ეკუთვნოდა შიოშ ბარათაშვილს (ი. დოლიძე 1985: 913).

კარუშეთში ახლა ბერძნები ცხოვრობენ, თურქეთიდან გადმოსულნი 1830-1832 წლებში, საიდანაც მოუტანიათ სოფლის სახელი ჯინისი.

---

* სააკაძეებს ეკუთვნოდათ ეს ნასოფლარი 1832 წლამდე.

კ. ხარაძის აზრით, სოფ. ჯინისი ძველი კარუშეთია. ადრე მას ჯინისი არწივანი, იგივე კარუშეთი, ეგონა (ხარაძე 1991 რუკა; ხარაძე 1972 რუკა). საქმე ისაა, რომ არწივანისა და კარუშეთის იგივეობას გამორიცხავს 1721 წლის აღწერა, სადაც ეს სოფლები ცალ-ცალკეა დასახელებული, ამიტომ არწივანი კარუშეთის (დღევანდელი ჯინისის) სამხრეთით უნდა ყოფილიყო.

„დასტურლამალში“, თრიალეთის სოფლების განმსაზღვრელ კარში, შემდეგ ვკითხულობთ: „მელას ტამალიას შუა, ქციის პირს ნაწისქვილარა, ამის შესწორ მინდორში გორა იყო, ის არის, იმ გორის გამოსწორ ტამალისავე კუთხეთ ქუა ჩაგვისვამს. იმ ქუის შესწორ მინდორში დიდი ქუასამანი არის, იმ ქუის შესწორ ჭიტების სამძღვრამდის ის არის“ (ი. დოლიძე 1965: 326; სურგულაძე 1970: 627). ტექსტის ამ ნაწილში ორი ტამალია იგულისხმება: მელის ტამალია და ტამალია. თან ისიც ჩანს, რომ ერთი მათგანი ქციის მარცხენა ნაპირზეა, რადგან ის ჭიტებს ესაზღვრება. ვახუშტის სოფლების სიაში ორი სოფელი ტამალია მოხსენიებულია ეძანსა და საბატეს შორის, ასევეა მის რუკაზედაც – ერთი ტამალია ქციის მარცხნივ, მეორე კი – მარჯვენა სანაპიროზე, ოღონდ ორივე მსაზღვრელის გარეშეა ჩაწერილი.

ზემოხსენებული ტექსტი ასე გრძელდება: „(ტამალიას – დ. ბ.) ხუცის ტამალიისა ფიცით სათიბი გამოერთმია და გლეხს კაცებს წაებრიყუებინათ, ცოტა სათიბი ჩაუჭერ და ხუცის ტამალიას დავანებეთ. ტამალიელთ სათიბს უჩიოდენ და გავსინჯეთ. სამენახირეს საყდარსა და დიდი შარა რომ ჩამოსდევს, იმას აქეთ ერთმანეთთან ჴელი არა აქუთ“ (ი. დოლიძე 1965: 326; სურგულაძე 1970: 627).

ზემოხსენებული მელის ტამალიის ნაცვლად, აქ ტამალიას უკვე ხუცის ტამალია უპირისპირდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ორი სოფლიდან ერთია ტამალია მსაზღვრელის გარეშე, მეორე კი – მელის, ანუ ხუცის ტამალია. მელის ტამალია ქციის მარცხენა ნაპირის სოფელი უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიუთითებს ზემოხსენებული კარის ადრე განხილული ნაწყვეტი: იქ საუბარია ჭიტების, უწყლოსა და საბატის საზღვრებზე, სადაც სამანი ჩაუსვამთ, იქიდან კი, „მელას ტამალიას სწორად დიდი გოხია“... მეორე ტამალიის ქციის მარჯვნივ არსებობაზე მიგვითითებს ტექსტის მომდევნო ნაწილი: „ტამალიას შუა გზის პირს სამძღვარი ქუა ზის, იმას ქუეით ლელი ჩასდევს, სათიბს შეეყრება. გზის სამანს ზეით, მაღლა გორაზე ამართული ქუა ზის. კიდევ იმას ზეით მგრგვალი გორა არის, იმას ზეით სამენახირო საყდარი. ეძნისაკენ ცოტა ღელე არის, იმ ღელეს შესწორ დიდი მთის ცხვირი წამოსდევს. ასრე გაგვიჩენია“ (ი. დოლიძე 1965: 326-327; სურგულაძე 1970: 628).

როგორც ვხედავთ, ტამალია აქ ეძანს ესაზღვრება, ეძანი კი შემდგომში ბარმაქსიზი, დღევანდელი რაიონული ცენტრია ქციის მარჯვნივ. გარდა ამისა, აქ ორჯერ იხსენიება „სამენახირო საყდარი“.

ჩანს, ეს იყო გორაზე ცალკე მდგარი ეკლესია, იქნებ მენახირეთა დაკვეთით აშენებული. ზაქ. გულისაშვილი 1909 წ. თრიალეთზე მოგზაურობის ჩანაწერებში ამ ეკლესიას იხსენიებს წალკისა და მისი ციხის (ჰუნია-ყალა) აღწერის შემდეგ: „ამ სოფლის გასწვრივ, იალაღების დასაწყისში ძველი ეკლესიაა, რომელსაც ბერძნები ნახირქილისას – სანახირო ეკლესიას უძახიან, მაგრამ მწყემსობას საქართველოდამ ამოსულთ და თრიალეთის ქართველობას არ ავიწყდებათ... დღეობას არ ჰშლიან მის გარშემო. იქ კავთის წმინდა გიორგობას დღესასწაულობენ“ (გულისაშვილი 1953: 190-192).

ეს ეკლესია უნდა იყოს ახალი ხადიკის სამხრეთ-დასავლეთით გორაზე შემორჩენილი ნანგრევი. ის აქეთ გადმოსულ ხადიკელ ბერძნებს შეუკეთებიათ, გალავანი შემოუვლიათ და პეტრე-პავლეს სახელობაზე უკურთხებიათ. გალავანში ჩაყოლებულია ძველი კედლის ნაწილი, ეკლესიის საკურთხეველში კი ქვაჯვრის პატარა ბაზისი დგას.

ზემოთ აღნიშნული ორიენტირების გათვალისწინებით, ძველ რუკებზე **ქციის მარცხნივ აღნიშნული შეპიაკი მელის, ანუ ხუცის ტამალია გამოვა, ხოლო ქციის მარჯვნივ მყოფი ხადიკი – ტამალია.** ეს ორი ძველი სოფელი ამჟამად წყალსაცავს დაუფარავს; ხადიკის მოსახლეობა სამხრეთით გადაწეულა, შეპიაკისა კი – აღმოსავლეთით.

ძველ შეპიაკში ექვთ. თაყაიშვილს სამი ეკლესია უნახავს. ამათგან ერთს, მაშინ უკეთ გადარჩენილს, იგი თრიალეთის საუკეთესო ეკლესიათა შორის მოიხსენიებდა. მანვე გამოაქვეყნა პირველად ამ ეკლესიათა წარწერები (თაყაიშვილი 1913: 17-22). შეპიაკის ეკლესიას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ლ. რჩეულიშვილმა (რჩეულიშვილი 1963). წარწერათა ბოლო გამოცემა კი ნ. შოშიაშვილს ეკუთვნის (შოშიაშვილი 1980: 236-242).

X-XI სს-ის მიჯნის ამ წარწერებში იხსენიებიან რატი ერისთავი და ძე მისი ლიპარიტ ერისთავი, ეკლესიის აღმშენებელი ვინმე ფარვეჩინ, ქვის დამდები ვინმე ქველი (ორჯერ). ეკლესიის ლავგარდანზე შემორჩენილი წარწერის მიხედვით ვარაუდობენ, რომ ეს იყო შემოწირულობის აქტის ფრაგმენტი: „...თის ეკლესიისა შეწირული ჩნდეს წლისა გ-სა და ვაკურთხე სამამასახლისო დაწერილი წმიდა. ვინცა ვინ შეცვალოს წმიდაჲ იოვანე ნათლისმცემელი თჳთ განსჯის წინაშე ღმრთისა“ (შოშიაშვილი 1980: 236-242). აქედან ის აზრი გამოდის, რომ რაღაცა შეწირული ყოფილა რომელიღაც ეკლესიისათვის სამი წლის განმავლობაში და ვიღაცას „სამამასახლისო დაწერილი“ უკურთხებია. ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა ყოფილა.

„-თი“ დაბოლოების მქონე სოფლები თრიალეთში რამდენიმეა, მაგრამ საეჭვოა ამ წარწერაში რომელიმე მათგანის ეკლესია იგულისხმებოდეს. უფრო მოსალოდნელია, რომ სოფელი მელის ტამალია, სადაც ეს ეკლესია შენდებოდა, მცხეთის ეკლესიისათვის შეწირული გამხდარიყო, რომლის სამამასახლისო დაწერილს, ალბათ

კათალიკოსი, ან ეპისკოპოსი აკურთხებდა. „მცხეთისა ეკლესიაი“ სიტყვასიტყვით იხსენიება სამსრის ვანის (ჯავახეთში) X ს-ის ეკლესიის წარწერაშიაც (შოშიაშვილი 1980: 274).

სამხრეთ საქართველოში რამდენიმე სოფელია ტამალა-ტამალიად სახელდებული. ტამალა არის ასპინძასთან და ფოცხოვის ხეობაში, ასევე დმანისხევში, არტაანში იყო სამი სოფელი ტამალია. ტოპონიმის ასეთი გავრცელება ადგილის გარკვეულ თვისებას უნდა აღნიშნავდეს, რომელიც ზოგად მახასიათებლად ქცეულა. ნატამალი, ნატამნევი ძველ ქართულში ნანგრევს, ნასახლარს, ნაოხარს აღნიშნავს (ი. აბულაძე 1973), ჯავახეთში კი, თამალი საძირკვლის, ფუძის მნიშვნელობით იხმარება (ღლონტი 1974).

შესაძლოა ტამალია სწორედ ამ მნიშვნელობით იყოს ასახული სიტყვაში ნა-ტამალი.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ხუცის ტამალია უკვე სამეფო სახასო სოფელი იყო, სამოურავო რატიშვილისა (ი. დოლიძე 1965: 313-314). 1721 წ. აღწერით, თრიალეთის ტამალიაში ორი მებატონე იყო – შანავაზ ხანი და ყორღანაშვილი, 17 გამომღები და 7 ბოგანო ყმა. იას. ლორთქიფანიძის აზრით, იქ არ ჩანს თუ რომელი ტამალია იგულისხმება (ლორთქიფანიძე 1935: 348). აქ გვეხმარება 1763 წლის ერთი საბუთი, სადაც ადიბეგ ყორღანაშვილი ერეკლე მეფეს სთხოვს: „თრიალეთზე მელი ტამელიელნი კაცნი არიან ჩემი ყმანი... იმის წყალობას ვითხოვ, რომ დამნებდენ და მემსახურნენ“. ამის გამო მეფე ბრძანებს: „ვისაც ქართლში... მელა ტბალიელი კაცი გყვანდესთ გლეხი, ძველადგანაც ამ ყორღანაშვილის ადიბეგის ყმანი ყოფილან, და ვისაც გყავთ ახლავ მოეცით“ (ი. დოლიძე 1981: 67-68).

მელის ტამალიისა და ხუცის ტამალიის იგივეობაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ თრიალეთის სამეფო სახასო სოფლებში ხუცის ტამალია დასახელებულია მის დასავლეთით მყოფ საბატის შემდეგ; სწორედ ასეთია ვახუშტის რუკაზე მდებარეობა ქციის მარცხნივ მყოფი ამ ორი სოფლისა.

ქციის მარჯვნივ მყოფი მეორე ტამალია, ანუ ხადიკი საბუთებში იხსენიება როგორც პატარა ტამალია, რომელიც თრიალეთის ახალქალაქთან ერთად, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე გერმანოზიშვილთა სამოურავო იყო. ეს კი თავისთავად გამორიცხავს ამ სოფლის ხუცის ტამალიასთან იგივეობას, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ამ პერიოდში რატიშვილების სამოურავო იყო.

ექვთ. თაყაიშვილს მისი მოგზაურობის დროინდელ ხადიკზე არაფერი აქვს ნათქვამი, გადაადგილებულ ხადიკში კი ძველი არაფერია, გარდა განახლებული სამენახირო საყდრისა; იქ ახლა ბერძნები ცხოვრობენ, მოსულნი 1830-31 წწ.

თრიალეთის სოფელთა განმსაზღვრელი კარის ტექსტი ტამალიის გვერდით იხსენიებს ეძანს. ბერძენ მოახალშენეთა უწყისში ძველი

ეძანის ახალ სახელად ჩაწერილია შეპიაკი, მაგრამ ეს შეცდომა უნდა იყოს, ან სოფლის გადაადგილების შედეგი, რადგან ყველა სხვა მონაცემით ძველი ეძანი შემდეგდროინდელი ბარმაქსიზია. ეძანი ვახუშტის რუკაზე ტამალიასა და ახალქალაქს შორისაა აღნიშნული. ვახუშტი წერს, რომ ქცია „თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაჭრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მჴარი რ (ე. ი. 100) მეტი, სიგანით რპ (180) მჴარი და მეტიცა. ეძანს ქვეით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ, ძირს აქუს ტბა დიდი, ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი“ (ვახუშტი 1941: 41-42).

**თრიალეთის რაიონული ცენტრისათვის წალკა შეურქმევიათ წყალსაცავის შექმნის შემდგომ, მანამდე მას ბარმაქსიზი ერქვა, უფრო ადრე კი – ეძანი.** იქ ორი ეკლესიაა: ერთი დარბაზული შენობის ნანგრევი X ს-სა, რომლის ნუსხური წარწერის ნაშთი ჯერ კიდევ დახვედრია ექვთ. თაყაიშვილს (თაყაიშვილი 1913: 67), ახლა ის დაკარგულია. მეორე – სამეკლესიიანი ბაზილიკაა VI ს-ის II ნახევრისა. მისი რელიეფები ფრაგმენტული სახით შემორჩა, საყდმშენებლო წარწერა კი – აღარ (ალადაშვილი 1972: 17-23; ნ. ჩუბინაშვილი 1972: 35).

ეძანის ხიდის ბურჯებში ჩაშენებულ ქვებზე ასომთავრული წარწერებია; ისინი ექვთ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა და გამოთქვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს ქვები სხვა ეკლესიიდან უნდა მოხვედრილიყო აქ ხიდის მშენებლობისას XIX ს-ში (თაყაიშვილი 1913: 68-73). ამჟამად ეს ძველი ხიდი გაუქმებულია და მისი დაშლა წარწერების გამოსაღებად საშუ-რი საქმეა.

1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში სოფელი ეძანი დასახელებულია თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად ახალქალაქის გვერდით (ი. დოლიძე 1970: 177). 1412-1443 წწ. ერთი საბუთის მიხედვით, ალექსანდრე მეფეს გადაშენებული ივანაის ძეების მამულზე მაღალასძენი დაუსვამს და უბოძებია მათთვის „თრიალეთზე ეძანისა და თავფარავნის მოურავობა, ქადაგობა, სამცხეთოს მეათორმეტის მალისაგან ერთი...“(ცსა ფ1449 ფ777). 1559 წ. სიმონ მეფემ სვეტიცხოველს განუახლა ეძანისა და უკანა ბეშქენაშენის შეწირულების წიგნი, ხოლო 1561 წ. მანვე პაპუნა მაღალაძეს სამოურავოდ უბოძა „თრიალეთს სოფელი ეძანი“ (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 108, 83).

„დასტურლამალის“ მიხედვით, ეძანი თრიალეთის სამეფო სახასო სოფლებში ითვლებოდა და უკვე რატიშვილის სამოურავო იყო; ხელმწიფის ტყვის ხარჯი ამ სოფელს 14 მარჩილის ოდენობით ჰქონდა შეწერილი. 1721 წლის აღწერით, იქ ერთი მებატონე მეფე იყო, 19 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 306)

1830-იანი წლებიდან ბარმაქსიზად წოდებულ ეძანში ბერძნები

ცხოვრობდნენ, გადმოსულნი არზრუმის მხრიდან. ამჟამად წალკად სახელდებულ რაიონულ ცენტრში ცხოვრობს ბერძნული, სომხური, თურქულენოვანი მოსახლეობა, ჩამოსახლდნენ სვანები.

ჩვენი ძიების საფუძვლად აღებული კარი „დასტურლამალისა“ შემდგომ ასე გრძელდება: „მეორეს წელიწადს კიდევ ბატონმა თრიალეთზე დამაგდო გასარიგებლად; ახლა გავარიგეთ: ვარდისუბნის ნასოფლარი, სოფელს გაღმა ქუმო წყარო არის... ტბის იქით პირს ბეშკენაშენის სამძღვარი ზის; იმის გასწორ ზემო დიდი ფლატე არის, ფლატის გამოღმა სათიბის პირს, მაღლობი მოსდევს. მაღლობს აქათ წყარო გამოდის, – ამას ქუეით დარჩა ვარდისუბნელთ“ (ი. დოლიძე 1965: 326; სურგულაძე 1970: 628).

ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ვარდისუბანი სოფ. თურანის აღმოსავლეთითაა, ბჭითების ჩრდილოეთით, ახალდაბის ჩრდილო-დასავლეთით. სოფელთა სიაშიც ვარდისუბანი ახალდაბასა და ჭიტებს შორისაა დასახელებული. ზემოხსენებულ ტექსტში ნიშანდობლივია ტბა, რომლის იქითა ნაპირზე ბეშქენაშნელთა საზღვარი ყოფილა. ეს ტბა არც ძველ რუკებზეა და არც ჩვენ შეგვხვედრია, უნდა ვიფიქროთ, ის დაშრა... მეორე მნიშვნელოვანი ორიენტირია „სოფელს გაღმა ქვემო წყარო“ და „ფლატის გამოღმა... მაღლობს აქეთ წყარო“. წყაროთა ასეთი სიმრავლე ახასიათებს ნასოფლარ ბაიბურთს, რომელიც თავისი მდებარეობით აღწერილ ვითარებას შეესაბამება. ის უნდა ყოფილიყო ვარდისუბანი, რომლის ეკლესია გათლილი ლოდებითაა მოპირკეთებული; იგი XIII-XIV სს-სა უნდა იყოს.

თრიალეთის ვარდისუბნის შესახებ საბუთებში ცნობები არ შემოგვრჩენია. „დასტურლამალის“ მიხედვით, ის სამეფო სახასო სოფელი იყო, გივი მდივნის სამოურავო. 1721 წლის აღწერით, იქ იყო ერთი მებატონე (მეფე), ორი გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 307). 1830-31 წწ. გადმოსახლებულმა ბერძნებმა თავისი ძველი საცხოვრებლის სახელი შეარქვეს ქართულ ნასოფლარს, თუმცა კი მოახალშენეთა უწყისში ის არ იხსენიება (ს. ყაუხჩიშვილი 1942). XIX ს-ის მიწურულს ექვთ. თაყაიშვილს იქ მოსახლეობა აღარ დახვედრია, ძველი ვარდისუბანი ახლაც ნასოფლარია.

„დასტურლამალის“ ზემოხსენებული კარის ტექსტი კარწახისა და უზნარიანის სოფელთა საზღვრებსაც ეხება: „კარწახს შუა ქუემო გორაზე ქვაყრილი არის. იმას ზეით სათიბში სამანი ვიპოვეთ, იმას ზეით გორაზე ქუა ჩაგვისვამს, იმას შეყოლებით მთამდისინ.

... უზნარიანს შუა, საჯოგის ჭევს გაღმა ხრამის პირს მაღლობი არის, იმის შეყოლებით ჭევის პირს მაღლობი არის, იმას ზეით წყარო არის, იმ წყაროს კარწახისაკენ დიდი ლოდი არის და იმას კარგა ზეით მაღლობი გორა არის, – ეს გორა გაგვიჩენია სამძღვარათ. წყალსა და ბალახს ერთმანერთს ნუ დაუჭერენ“ (ი. დოლიძე 1965: 327; სურგულაძე 1970: 629). უზნარიანის წინ მრავალწერტილით აღნიშნული

ადგილი ხელნაწერში მოხეულია და ცხადია ტექსტიც ნაკლულია, მაგრამ, ვფიქრობ აქ მაინც კარწახისხევის სოფელთა საზღვრებზეა საუბარი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ახალქალაქს ქვეით ერთვის ქციას ჴევი აბანოსი ჩრდილოდამ. მას ქვეით ერთვის ქციას ჴევი კარწახისა, გამოსდის უზნარიანს, მოდის აღმოსავლეთად. კარწახის-ჴევის შესართავს ქვეით არს ციხე მოდამნახისა“ (ვახუშტი 1941: 42).

აღწერილი ხევის სახელწოდება სოფელ კარწახის სახელიდან მოდის, მაგრამ ვახუშტი არც სოფელთა სიაში და არც რუკაზე მას არ იხსენიებს, ე. ი. „დასტურლამალისაგან“ განსხვავებით, იგი ამ სოფელს სხვა სახელით იცნობს (შდრ: ტამალიები მასთან და „დასტურლამალში“). ვახუშტის ნიშანდობლივი აღწერით, ძველი კარწახისხევი დღევანდელი ჭოჭიანისხევია, ხუთვერსიან რუკაზე – ჯუჯიანი. ეს მოზრდილი და ღრმა ხევი მართლაც მოდამნახის ციხის ცოტა ზევით უერთდება ქციას. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

“მთა გაშრა, მიწა გამოჩნდა, გამწვანდა მთა და ბარია,
სათრიალეთოდ დაიძრა თუშისად ფშავლის ცხვარია,
ქალაქის პირში მოდგების როგორც ნაგუბარ წყალია,
ამოვა ჯოჯიანშია, შამაათეთრა მთანია“

(ბარდაველიძე ... 1979: 89).

აქედანაც ჩანს, რომ კარწახისხევის საძოვრებით სარგებლობდნენ თუშებიცა და ფშავლებიც.

ვახუშტის ნათქვამი, რომ კარწახის ხევი „გამოსდის უზნარიანს“, ნიშნავს იმას, რომ სოფელ უზნარიანს ჰქონია მთა, საიდანაც ეს ხევი იღებს სათავეს, იქვე იყო სოფელიც. სწორედ ასეა აღნიშნული ვახუშტის რუკაზე, ხოლო ხუთვერსიან რუკაზე ხევის დასაწყისში ხუთი წყაროსთვალია. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე უზნარიანი ერთი სოფელია, მის მეზობლად კი – ორი სოფელი კარუკუღმართი. „დასტურლამალის“ მოტანილ ტექსტში უზნარიანს სოფ. კარწახი ესაზღვრება. ამ სოფელთა ურთიერთმიმართებისათვის მნიშვნელოვანია 1707 წლის ერთი საბუთი, რომლითაც ვახტანგ ბატონიშვილი მიმართავს გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემელს: „შემოგწირეთ თრიალეთზედ ჩვენი სახასო სოფელი უზნარიანი და ძველი უზნარიანი, რომელსა კარუკუღმართობით აწ სახელსდებენ... უზნარიანის სამძღვარი ასრე გავარიგეთ: უკან მოთიბის ღელე რომ ჩამოვარდების, მოიარს და უზნარიანის სოფლის ბოლოს, ქვემოთ უზნარიანის წყალს შემოეყრების, იმ ღელეს გაღმა უზნარიანელთ ურცევნისაკენ ჴელი არა აქვსთ... უკან, მოთიბის სათივის თავს, გაღმა მთის გვერდში რომ წყარო არის, ის წყარო გაუსამძღვრეთ... ჩრდილოეთის მჭარეს,მეფისწყაროს ზეით,თქვენი ჯოგი რასაც ხანს, დადგებოდეს და სძოვდეს, მეჯოგენი ნურც ყანასა და ნურც სათივეს ნუ წაუჴდენენ... აღმოსავლეთისაკენ კარუკუღმართის მიწა მოვსჭერით და კარწახელთ უბოძეთ და კარუკუღმართიც შენ წმიდას

ნათლისმცემელს შემოგწირეთ ამ სამძღვრით: სოფლის ბოლოს, რომ მცირე ტბა არის ის ტბა გავსჭერით... დუბეს იქით რომ კლდოვანი სერსერი ჩასდევს წყლამდინ – კარუკუღმართელთ დავანებეთ, იმას ქვეით კარწახელთ მივეცით ... უზნარიანიდამ სათრიალეთო ეძნისაკენ რომ დიდი შარა წამოვა და დიდს ღელეს გამოიარს... იმ ღელის შეყოლებით ანტრაფის მთამდისინ სულ კარწახელთ უბოძეთ და ღელესა და ურიბად გაჭრილს შიგნით კარუკუღმართელთ დავანებეთ“ (სარგის კაკაბაძე 1913გ: 12-14).

მრავალმხრივ საყურადღებო ამ საბუთიდან პირველ რიგში ისა ჩანს, რომ XVIII ს-ის დასაწყისში ყოფილა სოფ. კარწახი, უზნარიანი და ძველი უზნარიანი, აოხრებული ნასოფლარი, რომლისთვისაც კარუკუღმართი შეურქმევიათ. უზნარიანის საზღვრების აღწერისას, პირველად ნახსენები ურცევანი ზურტაკეტის ერთ-ერთი უკიდურესი სოფელია მის დასავლეთ ნაწილში. უზნარიანსა და ურცევანს შორის მოთიბის ღელე ყოფილა, რომელიც საზღვარი იყო ამ სოფლებს შორის. ვახუშტის რუკაზე ორი კარუკუღმართი კარწახისწყლის მარცხნივაა, იმავე მხარესაა ორი ტბა უზნარიანსა და კარუკუღმართს შორის. ზემოხსენებულ საბუთში კი, კარუკუღმართთან ნახსენებია მცირე ტბა, რომლის ნაპირიც ამ სოფლისათვის მიუციათ, ხოლო „იმას ქვეით კარწახელთ“ დარჩენიათ. იქვე ნათქვამია, რომ აღმოსავლეთისაკენ კარუკუღმართის მიწა მოუჭრიათ და კარწახისათვის მიუციათ.

აღწერილი ვითარების გათვალისწინებით, **უზნარიანი, ძველი უზნარიანი (ე. ი. კარუკუღმართი) და კარწახი ხევის მარცხნივ განლაგებული სოფლები ყოფილა, შესატყვისი თანმიმდევრობით – ზევიდან ქვევით. მაშასადამე ვახუშტის რუკისეული ორი კარუკუღმართიდან, ქვედა ყოფილა კარწახი**.

კარწახი მოზრდილი ნასოფლარია ხევის მარცხენა ზეგანზე. ის აწინდელ სოფ. თრიალეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა დაახლ. 5 კმ-ზე. იქ შემორჩენილია დარბაზული ტიპის, სახურავჩაქცეული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთი მინაშენი აქვს თავისი საკურთხევლით. შენობის შიგნით და გარეთ გათლილი ქვების წყობა რეგულარულია, ეტყობა შეკეთების კვალიც. შესასვლელი სამხრეთიდანაა, სარკმლები – დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით. მთავარი ნავისა და მინაშენის აღმოსავლეთი სარკმლებს ლამაზი თავსართები აქვთ: ნალისებური ნაჭდევების გაბმული მწკრივი, რომელიც შუაში ნახევარწრიულია, ბოლოებში კი – სწორი. ჩრდილოეთ მინაშენში გასასვლელის მარცხენა ამყოლზე ჯვარია ამოკვეთილი. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, ერთ ქვაზე ხუცური წარწერის ნაშთი ჩანს: „ესე მატური“... სოფ. კარწახი ადრე შუა საუკუნეებიდან გვიანამდე არსებულა, ახლა მას ჭოჭიანს უწოდებენ.

„დასტურლამალში“ იხსენიება „საჯოგის ხევი“, რომელიც უზნარიანის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო, რადგან ზემოხსენებულ

საბუთში ამ სოფლის საზღვრებზე ნათქვამია: „ჩრდილოეთის მჭარეს, მეფისწყაროს ზეით ჩვენი ჯოგი რასაც ხანს დადგებოდეს და სძოვდეს, მეჯოგენი ნურც ყანასა და ნურც სათივეს ნუ წაუჭდენენო“.

XVIII ს-ის საბუთებში უზნარიანის, კარუკუღმართისა და კარწახის შესახებ ცნობები მრავლდება. მთის ეს მეზობელი სოფლები ერთმანეთთან სასაზღვრო დავაში ებმებიან. დავა უფრო მწვავდება მას მერე, რაც 1707 წ. ბატონიშვილმა ვახტანგმა უზნარიანი და კარუკუღმართი გარეჯის ნათლისმცემელს შესწირა. ახლადმოშენებული ამ სოფლების მაცხოვრებლები ჯერ საერთოდ გაუბეგრავი იყვნენ, მონასტრისათვის შეწირვის შემდგომ კი, გაცილებით შეღავათიან ბეგარას იხდიდნენ, ვიდრე თრიალეთის სხვა სოფლები. ეს პირობები ვრცლადაა ჩამოთვლილი 1707-1708 წწ. საბუთებში (სარგის კაკაბაძე 1913გ: 14-16).

რაკი კარწახელთა დავა ამ სოფლებთან არ წყდებოდა, 1719 წ. ბაქარ მეფემ გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემელს კარწახიც შესწირა. ამ შეწირულებას მეფე ასე ასაბუთებდა: „მას ჟამს, ოდეს მამას ჩვენს, მეფეს პატრონს ვახტანგს, თავის გამეფებაში პირველად უზნარიანი და კარუკუღმართი აეშენებინა, რადგან პირველი ნაყოფი სჯულიერად ღმრთისა შესაწირი არის, ამისთვის... ჩვენის სასოებისათვის შემოეწირა: და კარწახი, ჩვენი სახასო, ძველად აშენებული იყო და მათში მრავალი შფოთი და ცილება იყო სამძღვრებზედა, ჩვენც მრავალი თავის წყენა გვქონდა და მოსაქმენიც მრავალჯერ გავგზავნეთ, მაგრამე გლეხის კაცის თავჭედობა ვერ მოვშალეთ და აწ ის სოფელი კარწახიც ჩვენ შემოგწირეთ... რარიგადაც ძველს მამის ჩვენის სიგელში უზნარიანის სითარხნე გიწერიათ, ესეც ისე გვითარხნებია“ (სარგის კაკაბაძე 1913გ: 32).

ძველი უზნარიანი, ანუ კარუკუღმართი კარწახისწყლის მარცხნივ მყოფი ნასოფლარია თრიალეთიდან გომარეთს მიმავალ გზაზე. წყალგაღმა დემირბულახელთა ფერმებია. ნასოფლარში შემორჩენილი ნაეკლესიარი წმ. გიორგის სახელობისა, ბერძნებს ახლად აუშენებიათ, კედლის წყობაში ძველი ქვები ჩაუყოლებიათ: ჯვრიანი ქვა და ქვაჯვრის ბაზისი. ეკლესიის ირგვლივ მყოფ სასაფლაოზე მოზრდილი ქვის ცხენი დგას, იქვე გდია მისი მოტეხილი თავი. შესაძლოა, საზღვრებზე გამუდმებულმა შფოთმა და დავამ განაპირობა ძველი უზნარიანისათვის კარუკუღმართის შერქმევა: უკუღმართ სოფელი...

„დასტურლამალის“ მიხედვით, მონასტრისათვის შეწირვამდე კარწახი სამეფო სახასო სოფელი იყო, სამოურავო გილაქიშვილისა. სოფელს ხელმწიფის ტყვის ხარჯი ედო 5 მარჩილის ოდენობით. 1721 წლის აღწერით, უზნარიანსა, კარუკუღმართსა და კარწახში ერთი მებატონე იყო – ნათლისმცემლის მონასტერი. პირველ სოფელში ითვლებოდა 4 გამომღები ყმა, მეორეში – 5, მესამეში კი – 6 გამომღები და 4 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 317, 318, 350). აღსანიშნავია,

რომ 1761 წლის ერთ საბუთში კარუკულმართი აღარ იხსენიება, იქ მრავლობითი რიცხვითაა აღნიშნული „უზნარიანნი“, ე. ი. ორი სოფელი ძველი სახელწოდებით ისევ ნათლისმცემლის მონასტრისათვის შეუწირავთ (ჟორდანია 1903: 109).

სახელები უზნარიანი და კარწახი საქართველოს სხვა კუთხეებშიაც მეორდება: უზნარიანი ციხეა გუჯარეთისწყალზე წაღვერთან, კარწახი არის ჯავახეთში, აჭარაში, ხევსურეთსა და ფშავში. ჩანს, ეს სახელწოდებანი მთიან ადგილებს ახასიათებთ: კარწახი დიდ აღმართს ნიშნავს (მაკალათია 1975: 160), უზანი, უზნი – დაბალი ბუჩქოვანი მცენარეა; აქედან – უზნარი და უზნარიანი. თრიალეთის სოფელთა ეს სახელებიც გარემო პირობების შესატყვისი იყო. ახლა ამ ნასოფლარებში მესაქონლეთა ბინებია, ძველი ქართული ეკლესიები კი – ბერძნებისაგან შეკეთებულ-შეთეთრებული.

ამით სრულდება „დასტურლამალში“ თრიალეთის სოფლების განმსაზღვრელი კარი, ყველაზე სრული და სანდო ტექსტი ვახუშტის ნაშრომთან ერთად. ამის შემდეგ ძიება შეიძლება მხოლოდ ფრაგმენტული ცნობების გამოყენებით, რომლებიც ვახუშტის რუკას შეავსებენ.

ბერძენ მოახალშენეთა უწყისში ხადიკ-სანომერ-ახალიკის ქართულ შესატყვისად ჩაწერილია კოჩტი (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231). ერთად მოსული ბერძნული ეს სამი სოფელი შემდგომში გაფართოებულა, რომელთაგან ორი – ხადიკი და სანომერი ძველი ტამალიისა და საბატის ნასოფლარებზე დასახლებულა. ცალკე დარჩენილა ახალიკი – ეძანის აღმოსავლეთით და ახალქალაქის ჩრდილოეთით. მოახალშენეთა უწყისში დასახელებული კოჩტი უნდა იყოს ვახუშტის რუკისეული კოხტის დამახინჯება, რომელიც ბეშქენაშენისწყლის მარცხენა სანაპიროზეა აღნიშნული. სწორედ ამ კოხტის ნამოსახლარზეა შერჩენილი სოფელი ახალიკი.

იქაური დარბაზული ეკლესია დიდი, გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული. სამხრეთ სარკმელს ნახევარწრიული წარბი ამკობს, აღმოსავლეთისას – ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული ჯვარი. ექვთ. თაყაიშვილს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ეს ეკლესია ბერძნების მიერ უკვე გადაკეთებული დახვედრია. მის დროს კიდევ გაირჩეოდა ძველი ქართული წარწერის რამდენიმე ასო. მკვლევარს გამორჩენია ეკლესიის შიგნით, ჩრდილოეთ კედელთან იატაკად დადებული ქვა ასომთავრული წარწერით: ⴖⴓ ⴘⴓ ⴂⴕⴍ, ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე ივანე“. ქვა კედლიდან უნდა იყოს ჩამოღებული. შენობის ჩრდილოეთ კედელში საფლავის ქვებია ჩაყოლებული. წმ. ნიკოლოზის სახელობაზე ნაკურთხ ახალ ეკლესიას ირგვლივ ძველი სასაფლაო აკრავს, სადაც ცხენისა და ვერძის ქვის ფიგურებიც შემორჩენილა.

სოფელში კიდევ ორი ეკლესია ყოფილა, რომლებიც ისეა გადაკეთებული, რომ კედლებს სიძველისა აღარაფერი ეტყობათ. წმ. მარიამის

ეკლესიასთან ქვაჯვრის დიდი, კუბური ბაზისია, აქვეა ჯვრიანი ქვები, ერთს ხელის გამოსახულებაც ახლავს. ჩანს, სოფ. კოხტა შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე ცოცხალი დასახლება იყო.

საბუთების მიხედვით, 1543 წ. კოხტა ნასოფლარი ყოფილა, რომელიც ფარიშატ გერმანოზიშვილს ერგო. შემდეგ იგი ისევ მოშენებულა და 1721 წლის აღწერით, იქ ორი მებატონე (გერმანოზიშვილები) და სამი გამომღები ყმა ითვლებოდა. 1750 წ. კოხტაში ისევ გერმანოზიშვილების ყმები ცხოვრობდნენ (ლორთქიფანიძე 1935: 321). სოფელი სახელწოდებით კოხტა იყო სამცხეშიც, ასპინძასთან. ჩანს, იქაც და თრიალეთშიაც ამით გარემოს სილამაზე იყო ხაზგასმული.

ბერძენ მოახალშენეთა უწყისში არის კიდევ ოთხი დამახინჯებული ქართული სახელწოდება დაცლილ-ნაოხარი ნასოფლარებისა, სადაც აღარავინ დასახლებულა; ესენია: სატრე, კუპრაცხოველი, კუჩაი და კუნეი (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 231). პირველის გამოცნობა ძნელდება სახელის ძლიერი დამახინჯების გამო. ის ხევღრმასა და ანდრაპის მერეა ჩაწერილი,სა- პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი კი თრიალეთში ათია... მეორე სახელწოდება, ალბათ, კვირაცხოველია, მაგრამ ასეთი სოფელი სხვა წყაროებით თრიალეთში არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ სალოცავის სახელი მის ირგვლივ მყოფ ნამოსახლარზე გადაიტანეს. მართლაც, არსებობს ცნობა, რომ კვირაცხოველი იგივე თრიალეთის წინწყაროა,რომელიც ზევით სამეხრეოსთან გავაიგივე. მესამე სახელი – კუჩაი, ვახუშტისეული ქუჩათუბანი უნდა იყოს, კარწახისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო კუნეი, ეგების, გვირგვინეთი გამოდგეს.

ვახუშტის რუკის მიხედვით, კარწახისწყალზე 7 სოფელი იყო: გვირგვინეთი, თალა, ქუჩათუბანი – მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო მარცხნივ – უზნარიანი, კარუკუღმართი, კარწახი, ნადვალეთი. რუკაზე გვირგვინეთი პირველი სოფელია ქცია-კარწახისწყლის შესაყართან ამ უკანასკნელის მარჯვნივ. იქაური დარბაზული ეკლესიის ნანგრევს პერანგი შემოძარცული აქვს, კედლის შიდა წყობა კი, თანაბარი, გათლილი კვადრების რეგულარულ მწკრივებს შეიცავს; სახურავი შენობის შიგნით ჩაქცეულა, იქვეა ლავგარდანის ფრაგმენტები, რომლებზედაც ნალისებური ნაჭდევების უწყვეტი მწკრივია. შესაძლოა ,აქ ადრეული შუა საუკუნეთა სამლოცველო ყოფილიყო, რომელსაც შემდგომში განაახლებდნენ. ვახუშტის რუკაზე აქ გვირგვინეთია აღნიშნული, რომელიც 1543 წ. ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების საკუთრებას წარმოადგენდა (ი. დოლიძე 1972: 34).

კარწახისწყლის მარჯვნივ, გვირგვინეთს ზევით იქ, სადაც ზეგანი იწყება, კიდევ ერთი ნასოფლარია. ის გომარეთის დასავლეთითაა, მისგან დაახლ. 2 კმ-ზე. ნასოფლარში მცირე დარბაზული ეკლესია დგას, ნაგები დაუმუშავებელი ქვით. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაყოლებულია ქვაჯვრის კუბური ბაზა; ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით გდია ჩამოვარდნილი ბალავრის ქვა რელიეფური ჯვრით,

რომელსაც თაღი გადასდის; აღმოსავლეთი კედლის სარკმლის თავზე განსხვავებული ჯიშის ქვაა ასომთავრული წარწერით, რომელიც იწყება სიტყვებით – „თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველო“. ეკლესიის აღმშენებლებად წარწერაში დასახელებულია სამი ძმა – შიო, პეტრე და სვიმონი.

წარწერის პირველი გამომცემელი – ექვთ. თაყაიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს პატარა საჟამნო უნდა აეშენებინათ თამარ მეფის დროებით აქ ყოფნის გამო; მისი აგება ერთ დღეში შეიძლებოდა და იმიტომაა ასეთი უსახურიო (თაყაიშვილი 1913: 80). უნდა ვიფიქროთ, რომ აქ გადიოდა ჯავახეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა, რომლითაც გაივლიდა „თამარ ღმრთისა სწორი“. ეს უნდა ყოფილიყო ვახუშტის რუკაზე აღნიშნული სოფ. თალა. 1543 წ. თალა, უკვე ნასოფლარი, ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილებისა იყო (ი. დოლიძე 1972: 34).

თალას შემდეგ, კარწახისწყლის აყოლებით, ძველ ნასოფლარში ახლა დემირბულახელთა ფერმებია. იქაური ნაეკლესიარი ბერძნებს განუახლებიათ ეკლესიის ძველი ქვების გამოყენებით. ირგვლივ გალავანშემოვლებული სასაფლაოა, სადაც გადარჩენილა ქვის ვერძი. ვახუშტის რუკის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ იყო სოფ. ქუჩათუბანი. 1543 წ. ეს ნასოფლარი ქუჩამონასტრად წოდებული, იმა-ვე ფარიშატსა და გიორგი ბარათაშვილებს ეკუთვნოდა (ი. დოლიძე 1972: 34).* ჩანს, ერთ დროს აქ მონასტერი ყოფილა.

ზემოხსენებული სამი პუნქტი – გვირგვინეთი, თალა, ქუჩათუბანი 1543 წ. უკვე ნასოფლარები იყო. შესაძლოა, ამის მერე ისინი აღარც მოშენებულან, რაკი არც საბუთებსა და არც 1721 წლის აღწერაში მათი სახელები აღარ გვხვდება. უნდა ვიფიქროთ, ეს სოფლები უზნარიანივით (და იქნებ იმავდროულად) „ჟამთა ვითარებისაგან აოჭრებულ იყო მტერთაგან და არავის აჴსომდა შენებულება“ მათი (სარგის კაკაბაძე 1913გ: 16). ვახუშტის სოფლების სია და რუკა არ კმარა იმისათვის, რომ ეს ნასოფლარები XVIII ს-შიც ცოცხლად ვივარაუდოთ.

კარწახისწყლის მარცხნივ, მისი ქციასთან შესაყარის სიახლოვეს, ვახუშტის რუკაზე ნადვალეთია აღნიშნული. ეს უნდა იყოს მოზრდილი დასახლება თრიალეთის ახალქალაქის (დღ. ტაშბაშია) სამხრეთით, მისგან დაახლ. 4 კმ-ზე. ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს აქ გერმანელები ცხოვრობდნენ და სოფელს ალექსანდერსჰილფი (მოგვიანებით როზენბერგი) ერქვა. უკვე მაშინ ძველი ქართული ეკლესიები დაშლილი იყო, ხოლო მათი ქვები სახლების მშენებლობაში გამოეყენებინათ. ეკლესიას ბუდეები სამ ადგილას ეტყობოდა (თაყაიშვილი 1913: 78-79).

1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში

---

* კ. ხარაძის რუკაზე ეს სამივე სოფელი შეცდომით ხევის მარცხნივაა (ხარაძე 1991)

თრიალეთის სოფლების ეძანისა და ახალქალაქის შემდეგ დასახელებულია ნადვალევი (ი. დოლიძე 1970: 177). 1543 წლის საბუთის მიხედვით, ნადვალეთი (შეცდომით წერია – დადვალეთი), უკვე ნასოფლარია ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების საკუთრება (ი. დოლიძე 1972: 34). შემდგომ ხანებში აქ სოფელი მოშენებულა და 1546 წლისათვის ის თრიალეთის ახალქალაქთან ერთად, საკათალიკოსო გამხდარა, ამიტომაც იქაურ ბეგარას კათალიკოსი აწესებდა (ნ. ბერძენიშვილი 1940: 6). XVIIIს-ში ნადვალეთი ისევ ასაშენებელია, რაზედაც ლევან ბატონიშვილი ბრძანებს: „ნადვალეთი ჩვენი ჭელდებული არის, ფაზაშვილის შოშიასათვის მიგჳბარებია ... ამ სოფელს ჩვენ ვაშენებთ და ნუ რას კაცს ჭელი ნუ გაქუთ“ (თაყაიშვილი 1913: 53-54). 1712 წ. ვახტანგ მეფეს სხვა სოფლებთან ერთად, ურბნისის ტაძრისათვის შეუწირავს თრიალეთის ორი სოფელი – ქვემო და ზემო ნადვალეთები (ფურცელაძე 1881: 26). 1721 წლის აღწერით, ნადვალეთში მებატონე იყო შანავაზ ხანი, რომელსაც ჰყოლია 4 გამომღები და 2 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 333).

ვახტანგ მეფის ზემოხსენებული საბუთი თრიალეთში ასახელებს ზემო და ქვემო ნადვალეთებს. მართლაც, გარდა აღწერილი სოფლისა, ქცია-კარწახისწყლის შესაყარში კიდევაა ერთი დიდი ნასოფლარი. ის ზემო ნადვალეთის (დღ. თრიალეთი) სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, კარწახისწყლის მარცხნივ. იქაური დარბაზული ეკლესია დაუმუშავებელი ქვითაა ნაშენი. სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები მთავარი ნავის მთელ სიგრძეს უტოლდება. შესასვლელი ერთია სამხრეთიდან. კარ-სარკმლებს ჩუქურთმა არ ახლავს. გათლილი ქვისა მხოლოდ თაღები, ნახევარსვეტები და კაპიტელებია. ეს უნდა ყოფილიყო ქვემო ნადვალეთი, რომლის შესახებ სხვა ცნობა არ გვაქვს.

ნადვალეთი იყო სომხითშიაც, ეს კი ორივეგან დვალთა ყოფილ საცხოვრისს აღნიშნავს. გერმანელების შემდეგ თრიალეთის ნადვალეთში სომხები დასახლდნენ და სოფელს მოლოტოვო უწოდეს, ახლა მას თრიალეთი ჰქვია.

ვახუშტი ბატონიშვილის სოფელთა სიაში და რუკაზე ქციის მარცხნივ, მელის (იგივე ხუცის) ტამალიასა და ბეშქენაშენს შორის, ბეშქენაშენისწყლის მარჯვნივ აღნიშნულია ხუცის სოფელი. იას. ლორთქიფანიძეს ხუცის სოფელი იგივე ხუცის ტამალიად მიაჩნდა (ლორთქიფანიძე 1935: 379 ), მაგრამ ამას გამორიცხავს ვახუშტის მონაცემები: სიაში ორი ტამალია ცალკეა, ხუცის სოფელი – ცალკე, ასევეა რუკაზე.

ამჟამად ბეშქენაშენსა და წალკას (ძვ. შეპიაკი) შორის, გზის ჩრდილოეთით ქედზე ახალი, თეთრი, მცირე სალოცავია, რომელიც ძველ ნაეკლესიარზეა აშენებული. ის დღევანდელ რაიონულ ცენტრს გადმოჰყურებს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ძველ ნაეკლესიარს გალავანი ჰქონია, რომლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან უზარმაზარი

საფლავის ქვაა, შუაზე რელიეფური ზოლით.

სალოცავში სატრაპეზო ქვაზე მომაღლო რელიეფური ჯვარია გამოსახული, რომლის ყოველი მკლავი ორი წრით ბოლოვდება. ჰორიზონტალური მკლავების ქვეშ ორი ხელებაპყრობილი მამაკაცის ფიგურაა. რელიეფი X-XIII სს-სა უნდა იყოს.

თავისი ნიშანდობლივი მდებარეობის მიხედვით (მელის ტამალიასა და ბეშქენაშენს შორის), აქ უნდა ყოფილიყო ხუცის სოფელი. მის შესახებ წყაროებში არავითარი ცნობა არ შემოგვრჩენია. ეგების ამ ხუცის სოფლის მეზობლობამ მელის ტამალიასთან განაპირობა კიდეც მელის ტამალიისათვის ხუცის ტამალიის შერქმევა (იხ. ზევით).

ვახუშტის რუკაზე ქციის მარცხნივ კოხტის სიახლოვეს აღნიშნულია სოფ. მარიამი. სოფელთა სიაშიც ის ახალქალაქსა და კოხტას შორის იხსენიება როგორც ერთი სოფელი. ეს უნდა ყოფილიყო ნასოფლარი ახალიკის (ძველი კოხტა) მახლობლად, მისგან ჩრდილო-დასავლეთით. ბორცვზე მდგარი იქაური ეკლესია ბერძნებს შეუკეთებიათ 1909 წ., დაურქმევიათ „მეტამორფოზ“, ე. ი. ფერისცვალება. ძველი ეკლესიიდან შერჩენილია ტრაპეზის ქვა, რომელიც საკურთხევლის კედელში ჩაუყოლებიათ. მასზე ამოკვეთილია მოგრძო რელიეფური ჯვარი, შუაში კოპით.

1561 წლის საბუთის მიხედვით, სიმონ მეფეს ბარათაშვილებისათვის უბოძებია ნასოფლარი მარიამნი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 138). 1591 წელსაც მარიამნი ისევ ნასოფლარი იყო (თაყაიშვილი 1899: 409). 1693 წ. გიორგი მეფემ პაპუნა ბარათაშვილს ასეთი პირობა დაუდო: „თრიალეთს მარიამ ნასოფლარი გითარხნეთ ამ წესით, რომე რაც კაცი იქ დაასახლოთ, არა ეთხოვებოდეს რა“-ო (თაყაიშვილი 1899: 431-432). ჩანს ამ ღონისძიებით სოფელი მოშენებულა და 1713 წლის ბარათაშვილების (გოსტაშაბიშვილები) გაყრილობის დავთარში 21 გამომღები კომლია დასახელებული (თაყაიშვილი 1899: 355, 357-359, 363-366). 1719 წ. ბაქარ მეფემ მარიამელთა და ჩრდილისუბნელთა დავა გაარიგა: „გოსტაშაბიშვილის ამალღაბარისა და მისს სახლისკაცთ მარიამელნი და იქით ოთარ მდივნის ყმანი, და ბეგაშვილის ყმანი ლომკაცისა ჩრდილისუბნელნი მიწებსა და სათიბზე ცილობდნენ... თუ წადგეს ბეგაშვილი ლომკაცი და ჩრდილისუბანს მსხლობარი რვა მემკვიდრე გლეხი და ასრე იფიცონ...სადაც გაიარონ დარჩეს ჩრდილისუბნელთა და თუ ვერ იფიცონ დარჩეს მარიამელთა“ (თაყაიშვილი 1899: 85-86). 1721 წლის აღწერით, სოფ. მარიამში ითვლებოდა ერთი მებატონე (გოსტაშაბიშვილი), 8 გამომღები და 3 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 326).

სოფელი სახელწოდებით მარიამნი იყო ალგეთის ხეობაშიაც. სახელის მრავლობითი რიცხვი – მარიამნი, თრიალეთში ამ სოფლის მრავლობას არ გულისხმობდა, აქ ერთზე მეტი მარიამია დასახელებული

(შდრ.: მთავარანგელოზთა საყდარი). ამასვე უნდა მოწმობდეს ალგეთის ხეობის ნასოფლარი პატარა მარიამნი, რომელიც 1543 წლის საბუთში გვხვდება (ი. დოლიძე 1972: 34). მათესა და მარკოზის სახარების მიხედვით, მარიამ მაგდალელი და მარიამ დედა იაკობისი იყვნენ ქრისტეს ჯვარცმისა და გარდამოხსნის, ასევე მისი დაცარიელებული საფლავის პირველი მოწმენი; იოანეს სახარების მიხედვით კი, ქრისტეს ჯვარცმას დაესწრნენ ღმრთისმშობელი, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი (19, 25). შეიძლება ვიფიქროთ, ზემოხსენებულ მარიამთა სახელობაზე აშენდა ეკლესია, რომლის სახელწოდება გავრცელდა სოფელზეც (შდრ.: ანდრიაწმინდა...).

ბაქარ მეფის ზემოთ მოტანილი საბუთიდან ჩანს, რომ თრიალეთის მარიამს ესაზღვრებოდა სოფ. ჩრდილისუბანი, რომელიც ვახუშტის რუკაზე პირველის აღმოსავლეთითაა, აბანოსწყლის მარცხნივ. აბანოსწყალი მცირე ხევია ახალქალაქის მოპირისპირე მხარეს, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. „ახალქალაქს ქვეით ერთვის ქციას ჴევი აბანოსი ჩრდილოდამ“-ო წერს ვახუშტი (ვახუშტი 1941: 42). ხსენებულ ორიენტირებს ახალ შეპიაკთან მივყავართ, რომელიც ადრე ქციის მარცხნივ ესახლა (მელის ტამალია) და წყალსაცავის შექმნამ აქეთ გადმოიყვანა. შეპიაკელნი დასახლებულან ძველ ქართულ ნასახლარზე, რომელიც ჩრდილისუბანი უნდა ყოფილიყო. იქაური დარბაზული ეკლესიის ნანგრევი გათლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. ბალავრის ქვის ასომთავრულ წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე, ბაგრატ IV-ის თანამედროვე. დასავლეთი სარკმლის თავზე, დაზიანებულ წარწერაში დასახელებულნი არიან ვინმე გაბრიელ ხუცესის ძენი ჟივაი და ივანე. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, სადაც გამოირჩევა ქვის ყოჩებისა და ცხენების ქანდაკებანი. ჩრდილისუბანი იხსენიება, ასევე, 1721 წლის აღწერაშიაც, რომლის მიხედვით იქ ითვლებოდა ორი მებატონე – თუმანიშვილი მდივანი ოთარ და ბეგაშვილი. მაშინ იქვე ყოფილა 7 გამომღები და 2 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 366). ახალ შეპიაკში ახლა ბერძნების ნასახლარზე აჭარლები ცხოვრობენ ახალგადმოსახლებულნი.

ვახუშტის სოფლების სიაში ჩრდილისუბნის შემდეგ სარკინეთია დასახელებული. მისსავე რუკაზე ის ჩრდილისუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა. კლდეისის მოსახლეობა სარკინეთს უწოდებს მთას, რომელიც ამ სოფლის ჩრდილო-დასავლეთით და პატარა კლდეისის ჩრდილოეთით მდებარეობს. ეს მთა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დიდ ნასოფლარს, განლაგებულს კლდეისისწყლის ერთი სათავის დასავლეთით. ეს უნდა ყოფილიყო ვახუშტისეული სოფელი სარკინეთი. კარგად შერჩენილი ნასოფლარი მოზრდილ სამოსახლო კომპლექსებს შეიცავს,გაირჩევა ქუჩებიც. სააღმშენებლო ქვა აქ ბევრია

– ბედენის ქედის ნაშალი ლოდოვანები. ეკლესია გათლილი ქვით ყოფილა ნაგები, ჰორიზონტალური წყობით კედლის ორსავე მხარეს. ჩამონგრეული საკურთხევლის აფსიდა ნალისებურია, სარკმელი – ფართო. ირგვლივ სასაფლაოა დაუმუშავებელი საფლავის ქვებით. სარკინეთზე გამოივლიდა გზა ჭივჭავას ხეობის ნადარბაზევიდან თრიალეთ-ჯავახეთისაკენ მიმავალი. მასვე მოყვება ახლანდელი რკინიგზაც. უნდა ვიფიქროთ, რომ სარკინეთი არსებობდა ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიანამდე. მართლაც, 1721 წლის აღწერით, იქ ითვლებოდა ორი მებატონე (ყარაბუდახიშვილი), 4 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 344).

ქვემო ქართლში სარკინეთი იყო ასევე ზურტაკეტსა და სომხითშიაც. სახელწოდება მიუთითებს ამ პუნქტებში რკინის მადნის მოპოვება-დამუშავებაზე. ამას ადასტურებს სომხითში, ფოლადაურის მარჯვნივ, სარკინის ხევში არსებული ნასოფლარი სარკინეთი, სადაც ნაპოვნია ძველი მაღაროები და რკინის წარმოების ნაშთები.

აბანოსხევის მარცხნივ, ქციასთან შესაყარში, ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია ორი სოფელი ბაბია. ისინი ქციის მარცხნივ თრიალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უკიდურესი სოფლებია. ამდენად მათი მდებარეობა ძალზე ნიშანდობლივია და ემთხვევა დღევანდელ ნეონ-ხარაბას, რაც ხუთვერსიან რუკაზე ხარაბა-ენგიქის სახელითაა მოხსენიებული. ეს სოფელი ექვთ. თაყაიშვილს არ უნახავს. იქ ძველი ქართული სალოცავის ადგილზე ბერძნებს 1899 წ. ახალი გუმბათიანი ეკლესია აუგიათ და მის კედლებში ძველი ქვები გამოუ-ყენებიათ. იქ ახლა აჭარლები ცხოვრობენ, უკანასკნელ წლებში გადმოსახლებულნი.

აღნიშნული პუნქტის ჩრდილოეთით,დაახლ. 2,5 კმ-ზე შემორჩენილია ნასოფლარი და გვიან შეკეთებული ეკლესიის ნანგრევი. ის ნაშენი ყოფილა საშუალო ზომის გათლილი ქვებით. შესასვლელთან სამი ქვაჯვრის ბაზაა. აქვე საფლავის ქვის ნატეხი წარწერის ფრაგმენტით, რომელიც მოზრდილი რელიეფური ნუსხურითაა შესრულებული"... ლო საფლა..." ასო-ნიშნები კუთხოვანია, „ლ"-ნუსხური. ნაეკლესიარს ირგვლივ დიდი სასაფლაო აკრავს,დაუმუშავებელი საფლავის ქვებით.

ეს ნასოფლარი თრიალეთის ახალქალაქის აღმოსავლეთითაა, მის საპირისპირო მხარეს, იქ სადაც ამოდის ქციის ხრამს ამოყოლილი ბილიკი. სოფელი აქ ადრეული შუა საუკუნეებიდან არსებულა. აღწერილი პუნქტები უნდა ყოფილიყო ვახუშტის რუკისეული ორი სოფელი ბაბია. 1543 წლის საბუთის მიხედვით, ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების მამულებში იხსენიება ნასოფლარი ბაბია და დიდი ბაბია, რომელიც დასახლებული ჩანს (ი. დოლიძე 1972: 34). 1721 წლის აღწერით,ბაბიაში ითვლებოდა სამი მებატონე (გერმანოზიშვილები) და 4 გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 288). არ ხერხდება განსაზღვრა იმისა, თუ რომელია ამათგან დიდი ბაბია, მაგრამ **აწინდელი ნეონ-**

**ხარაბა რომ ერთ-ერთი ბაბია უნდა იყოს – ეს ნათელია.**[*]

თრიალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით უკიდურესი პუნქტი იყო კლდეკარი, სადაც ლიპარიტ ბაღვაშმა IX ს-ში ციხე ააგო. არც საბუთებით, არც ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით, ამ სახელწოდების სოფელი თრიალეთში არ არსებულა. მიუხედავად ამისა, ციხის უახლოეს სოფელს მის დასავლეთით ჰქვია გედაქლარი,რაც ქართული კლდეკარის თურქული გახმოვანებაა.[**] დღევანდელი სოფლის ადგილზე ვახუშტის რუკის მიხედვით, უნდა ყოფილიყო მოხისი.

სოფლის ჩრდილოეთ ნაპირზე დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, რომელსაც პერანგი მთლიანად შემოძარცული აქვს. ბათქაშზე შერჩენილი ანაბეჭდები გათლილი ქვების რეგულარულ წყობაზე მიგვანიშნებენ; ასეთივეა კედლების შიდა წყობაც. გადარჩენილია პროფილირებული ლავგარდანის ქვა, ასევე სატრაპეზოს ოთხკუთხა ლოდი საკურთხეველში. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, სადაც გამოირჩევა ყოჩის ქანდაკება. აქ გამოიცლის ციხისაკენ სამხრეთ-დასავლეთიდან მომავალი გზა, ასევე იქნებოდა ძველადაც. ამ სოფლის შესახებ წყაროებში არავითარი ცნობა არ შემოგვრჩა. სოფელი სახელით მოხისი იყო ალგეთისხევსა და შიდა ქართლშიაც. ის ყველგან მუხისაგან მიღებული სახელი ჩანს. ახლა გედაქლარში (მოხისი) XIX ს-ში მოსული თურქულენოვანი მოსახლეობაა.

კლდეკარის სამხრეთით უახლოესი სოფელია ჩოლიანი (იგივე კიზილ-აჯლი). ვახუშტის სიაში კი აქ მათი ასეთი თანმიმდევრობაა: საქათმე, ჩამძვრალა, ნალიბი, ახოტა, მოხისი. ე. ი. ჩამოთვლა ხდება სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ამის გათვალისწინებით **დღევანდელი ჩოლიანი ვახუშტის რუკისეული ჩამძვრალა გამოვა**.

ორი ეკლესიის ნანგრევი აქ ჯერ კიდევ დახვედრია ექვთ. თაყაიშვილს. დარბაზული ტიპის სამლოცველოები ნაგები ყოფილა დიდი დაუმუშავებელი ქვებით. ერთი ეკლესიის ირგვლივ მყოფ სასაფლაოზე ქვისაგან გამოთლილი ყოჩის ქანდაკება მდგარა, რომელზედაც გამოხატული ყოფილა ირემზე ნადირობის სცენები. ახლა ეკლესიის მხოლოდ ბუდეებიღა ჩანს და აღარც ყოჩის ქანდაკებაა. XVII საუკუნის ერთი საბუთის მიხედვით, სოფ. ჩამძვრალაზე შეწერილი იყო თერთმეტი სახასო მოლაშქრე. შესაძლოა, იქ თრიალეთის ჩამძვრალა იგულისხმება (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 247).

ამჟამად ჩოლიანში (ჩამძვრალა) თურქულენოვანი მოსახლეობაა,

---

* კ. ხარაძის შედგენილ რუკაზე ნეონ-ხარაბას ქვემო ბაბია ჰქვია, მის სამხრეთით კი ზემო ბაბიის ნასოფლარია აღნიშნული (იხ. ხარაძე 1991: 288). ქვემო და ზემო ბაბია წყაროებში არ ჩანს; იქ ნახსენები დიდი ბაბიის საპირისპიროდ კი პატარა ბაბია იქნებოდა.

** ეს ჯერ კიდევ ექვთ. თაყაიშვილმა აღნიშნა სავსებით მართებულად (თაყაიშვილი 1913: 65)

XIX ს-ში მოსული.

ჩოლიანსა და გედაკლარს შორის, პირველის დასავლეთით და მეორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მინდორში კიდევ ერთი ნასოფლარია, რომელსაც ახლაც და ხუთვერსიან რუკაზედაც მინას-ქიანდი ჰქვია. შემაღლებაზე ნაეკლესიარის ბუდეა, საკურთხეველში სატრაპეზო ლოდით. სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე ჯვარია გამოხატული, რომელსაც ზევიდან მთელ სიმაღლეზე ნალისებური ჯვარი გადასდევს, ქვევით ჰორიზონტალური ზოლით შეკრული. მარჯვნივ და მარცხნივ შეერთების ადგილები წრიული მარყუჟების სა-ხისაა. ეკლესიასთან მდგარა ორი ქვის ჯვარი. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდგარ ქვაჯვარზე გამოხატულია მარცხენა ხელის მტევანი, რომელსაც გარედან მოჩარჩოება აქვს, მის ზევით კი ჯვარია ამოკვეთილი. ნაეკლესიარს გალავანი ჰქონია; სამხრეთით ტერასებად განლაგებული ნასოფლარია.

ვახუშტის რუკის მიხედვით, მოხისის (გედაკლარი) უახლოესი სოფელი სამხრეთით არის ახოტა; ასევეა მის სოფლების სიაშიც. ამ ნიშნით, მინას-ქიანდის ნასოფლარი ახოტა უნდა იყოს. 1729 წლის ერთი საბუთის მიხედვით, კათალიკოსის ყმათა ნუსხაში თრიალეთის სხვა სოფელთა შორის იხსენიება ახოტს 8 კომლი და ერთი ბოგანო ყმა (ნ. ბერძენიშვილი 1940: 183).

მოხისის კვალად კლდეკარისაკენ სამხრეთიდან მიმავალი გზა ახოტაზედაც გაივლიდა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ამ სოფლების დამოკიდებულებას კლდეკარის ციხეზე. ახოთა,ახოტი სახელის მქონე სოფლები იყო ალგეთისა და ფოლადაურის ხეობებშიაც. შესაძლოა,ამ სახელის ფუძე იყოს ახო – ტყეში გამოკაფული ადგილი.

ბარეთის ტბის ჩრდილო-დასავლეთით არჯევან-სარვანი ერთ-ერთი დიდი სოფელია. ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიაში და რუკაზე თრიალეთში ასეთი სახელწოდების პუნქტი უცნობია. ავტორს სარვანი სოფლისა და თათრის ობის სახით, ალგეთის ხეობის ქვემო წელზე აქვს აღნიშნული. „აღწერაში“ კი ის ამბობს: სოღანლუღის ჭალიდან „იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა, მეფეთა აქლემთა დგომისათჳს, უწყლობით უნაყოფო“ (ვახუშტი 1941: 48).

ამ სპარსულ სიტყვას დავით ჩუბინაშვილი განმარტავს როგორც მეაქლემეს (ჩუბინაშვილი/შანიძე 1984). ბარის ამ სარვანისაგან განსასხვავებლად, თრიალეთზე ასულ მესაქონლეებს იქაური ნასოფლარისათვის არჯევან სარვანი შეურქმევიათ. ერჯევანი კი მთაა თრიალეთის ჩრდილოეთ ნაწილში. მას თავის ლექსში ვახტანგ VI ასე მოიხსენიებს:

“ხევღრმა რისათვის დავაგდოთ, ან ფილტვიანის არები,
მინდვრად მოსული მანძილო, რქამაღლად ზრდილი ხარები,

კვლავ ნაამორი უცხონი, დომბისა შესადარები,
და გაამოს ერჯევანცამა თუ დაგხვდეს კაი დარები“.
(ვახტანგ VI 1973: 28).*

„დასტურლამალი“ სამეფო სახასო სოფლებში ასახელებს ნასოფლარ ერჯევანს, რომელიც სწორედ არჯევან-სარვანი უნდა იყოს. ის მეფის კუთვნილი ნასოფლარია (ი. დოლიძე 1965: 314).

სოფელში სამი ეკლესია ყოფილა, რომელთაც ირგვლივ სასაფლაოები აკრავს. ერთ-ერთი ეკლესია მთელი გადარჩენილა, დიდი, კარგად გათლილი ქვებით მოპირკეთებული. კარ-სარკმლებსა და ლავგარდანს წნული ჩუქურთმა ამკობს. სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე ჯვარია გამოსახული, მას ზევიდან ორლილვიანი რკალი გადასდევს. აღმოსავლეთი სარკმლის ქვეშ, ასომთავრულ წარწერაში იხსენიება ვინმე მექარვე, ეკლესიის მაშენებელი გიორგის მეფეთა-მეფობაში. ასოები მოგრძოა, „ა“-ის ჰორიზონტალური ხაზი ტანს მოცილებული არაა, გვხვდება ლიგატურები. უნდა ვიფიქროთ, ეკლესია XI ს-საა და იგულისხმება მეფე გიორგი I. სოფ. ერჯევნის შესახებ საბუთებში არაფერია შემორჩენილი. ახლა იქ თურქულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს.

არჯევან-სარვანის აღმოსავლეთით მდებარეობს სოფ. ლივადი. იქაური ბერძნები 1833-64 წწ. არიან მოსულნი თურქეთიდან, იქიდანვე მოუტანიათ სოფლის სახელიც (ს. ყაუხჩიშვილი 1942: 237). მათ ნასოფლარში შემორჩენილი ნაეკლესიარი დაუშლიათ და ძველის ადგილზე ახალი აუგიათ, რომლის კედლებში ქართული ეკლესიის ქვები ჩაუყოლებიათ. ამ ქვებზე ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერათა ნაწყვეტებია ვინმე ადამისა და დ გაის მოხსენიებით. მესამე წარწერაში ვარდა, ზვიად ერისთავთ-ერისთავის ძე, შეწყალებას ითხოვს წმიდა თევდორესაგან. ეს წარწერები XI-XII სს-სა უნდა იყოს.

ეკლესიის აღმოსავლეთით, მოსახლის ეზოში დიდი დარანია ნაწი-ლობრივ მიწით ამოვსებული. თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანზე ასეთი დარნები შიშიანობის დროს სახიზარ-საცხოვრებლებად გამოიყენებოდა. დღევანდელი სოფლის მდებარეობა ვახუშტის რუკაზე აღნიშნულ საქათმეს უფრო ესადაგება, რომელიც ბარეთის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. საქათმის შესახებ წყაროებში არავითარი ცნობა აღარ შემოგვრჩენია.

ვახუშტის სოფლების სიაში მეთრევანას შემდეგ დასახელებულია საბროწლე. მისსავე რუკაზე ეს სოფელი ლაკვის მთების სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, თრიალეთის პირველი სოფელია. ასეთი

* ამ მხრივ საინტერესოა ზევით აღნიშნული სოფ. ჩოლიანის ყოჩზე გამოხატული ირმებზე ნადირობის სცენები, რომელიც ექვთ. თაყაიშვილს უნახავს. ალბათ, იქაური მონადირის საფლავზე თუ იდგა ქვის ყოჩი ნადირობის ამსახველი სცენებით...

ნიშანდობლივი მდებარეობით ის ემთხვევა დიდ ნასოფლარს,რომელიც მეთრევანის (დღ. იმერა) აღმოსავლეთით, გოხნარიდან მომავალი გზის ჩრდილოეთით შემორჩენილა. მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი უხეშად ნათალი, ადგილობრივი კლდის ქვებითაა ნაშენი, საკურთხე-ველი ნალისებურია. შენობის შესასვლელს (სამხრეთიდან) დიდი ბალავრის ქვა ადევს, სამსტრიქონიანი, განგებ გადაშლილი ასომთავრული წარწერით. ირჩევა მხოლოდ დასაწყისი: „ქ. სახელითა“... და მესამე სტრიქონის ბოლოს – „...ასად...“

ეკლესიის გარეთ ქვაჯვართა ბაზისები და სტელათა ნატეხები ყრია. შენობის დასავლეთით ხელისა და ჯვრის გამოსახულებიანი დიდი ლოდი დგას. ირგვლივ გალავანი ყოფილა, აწ ყორედ ქცეული. მის შიგნით საფლავის ქვებია – დაუმუშავებელი ლოდები.

ნასოფლარის ჩრდილოეთით, ლოდოვან ბორცვზე კიდევ ერთი ნაეკლესიარის ბუდეა. სატრაპეზო ლოდზე წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული, რომელსაც ზევიდან თაღი გადაუყვება; აქვეა ხელიანი ქვა. ნასოფლარში შემორჩენილი ეს ორი ხელიანი ქვა, შესაძლოა, სამიჯნე ზოლს აღნიშნავდეს თრიალეთის აღმოსავლეთით შემორჩენილი ძეგლების მიხედვით, სოფ. საბროწლე ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიანამდე არსებული უნდა იყოს.

1663 წ. საბროწლე ნასოფლარი ყოფილა. ბარათაშვილებმა ოთარმა, პაატამ, არსენმა და ვარაზამ ამ წელს მისი შეწირულება განუახლეს სვეტიცხოველს (ცსა 1449, 1797). 1697 წ. ქართლის კათალიკოსი იოანე დიასამიძე სვეტიცხოველის თრიალურ მამულებში ჩამოთვლის 7 სოფელს, მათ შორის საბროწლეს, რომელსაც იგი საბალახე გადასახადს უწესებს (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102). 1729 წ. კათალიკოსის ყმათა შორის, თრიალეთში საბროწლეთს იხსენიება 5 გამომღები და 2 ბოგანო ყმა (ნ. ბერძენიშვილი 1940: 183).

სახელი საბროწლე მოდის სიტყვიდან მროწლე, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „ჯოგი ზროხისათა, რომელსა მსოფლიონი ნახირსა უწოდებენ“; მასთანვე „სამროწლე“ – „სანახიროა“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993). ასევეა მიღებული გორის რაიონის სოფ. ბროწლეთის სახელიც (ღლონტი 1971: 12).

ვახუშტის რუკაზე თრიალეთის აღმოსავლეთი საზღვრის უკიდურეს სოფლებში დასახელებულია ნალიბი ჩამძვრალასა და ახოტას შორის. ამ რუკის გათვალისწინებით ძველი ნალიბი, შესაძლოა, ის ეკლესია და ნასოფლარი გამოდგეს, რომელიც ხუთვერსიანი რუკის ნასოფლარ ბაიბურთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, დაახლ. 2 კმ-ზე. იქაური ეკლესიის ნანგრევი დაუდევრადაა ნაგები, უმეტესად ნაგლეჯი ქვით, და გვიანი შუა საუკუნეებისა უნდა იყოს. ეკლესიის სასაფლაოზე ქვის ცხენი დგას. ნალიბის შესახებ საბუთებში არავითარი ცნობა აღარ შემოგვრჩენია.

კლდეკარისა და მოხისის დასავლეთით, ვახუშტის რუკაზე

ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აღნიშნულია ქედის სოფელი, გოგადგვერდი და ახალშენი. ისინი ბეშქენაშენისწყლის სათავეებშია განლაგებული, ახალშენი ოდნავ აღმოსავლეთით, დარჩენილი ორი კი – დასავლეთით.

ახალშენი შეიძლება ყოფილიყო ის სოფელი, რომელსაც ახლა ჩივთქილისა (ე. ი. წყვილი ეკლესია) ეწოდება, ადრე კი ზემო ჯინისი ერქვა. იქაური ეკლესია 1886 წ. აღუდგენიათ და ძველი ეკლესიის ქვები ჩაუყოლებიათ. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, ზოგიერთ ქვაზე – ადამიანის გამოსახულებები.

თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად, ახალშენი დასახელებულია 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (ი. დოლიძე 1970: 177). 1641 წ. ქართლის კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ, თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად, ახალშენსაც ისე განუსაზღვრა საბალახე გამოსაღები, რომ იქაურ „ყმასა და მსახლობელ კაცს ძალი და უსამართლო არ დამართოდა“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102-103). 1722 წლის საბუთის მიხედვით, თრიალეთის ახალშენში კათალიკოსს ჰყავდა 7 კომლი გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ნ. ბერძენიშვილი 1940: 183). კათალიკოსის სახლთუხუცესისა და მდივნის ხელის მქონე მაღალაძეებს კი 1713-1755 წლებში იქ ეკუთვნოდათ ყმა-მამული, „სახლკარი და სახდელი“ (ე. ი. ზეთსახდელი) (ი. დოლიძე 1972: 152, 440-441).

ახლა სოფელში სომხები ცხოვრობენ, რომლებიც XIX ს-ის II ნახევარში არიან მოსულნი. ადგილობრივთა განმარტებით, ზემო ჯინისთან მდებარე მეორე ეკლესიის გამო შეერქვა ამ ადგილს „წყვილი ეკლესია“. ახლა მისგან აღარაფერია დარჩენილი. სოფლიდან ქედის გადაკვეთით ბილიკი გადადის თემმისხევის სოფ. ჭვარებში.

ქედის სოფელი აღწერილობითი სახელია ერთ-ერთი უკიდურესი ჩრდილოეთის სოფლისა თრიალეთის ქედის ძირში. ვახუშტის რუკაზე, კლდეკარისა და ახალშენის მდებარეობის გათვალისწინებით, ეს უნდა ყოფილიყო სოფ. ქაბური. ის ქედის უბნის სახელწოდე-ბით თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად იხსენიება 1342 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (ი. დოლიძე 1970: 177). XVII ს-ში ქედის სოფელს ეწერა ოთხი სახასო მოლაშქრე (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 220).

ქაბურის მოზრდილი ეკლესია დარბაზული ტიპის შენობა ყოფილა, რომელიც აღწერილია ექვთ. თაყაიშვილის მიერ (თაყაიშვილი 1913: 58). მანვე აღნიშნა, რომ იქ მრავლად ყოფილა ქვები დაზიანებული წარწერებით. ჩემი იქ ყოფნის დროს (1967 წ.), სამხრეთი კედლის ქვედა მწკრივში აღმოჩნდა ქვა ასომთავრული წარწერით, რომელიც თავდაყირა იყო ჩაშენებული გვიანდელი შეკეთებისას. ის იკითხება ამგვარად: „წმიდაო სიმონ შეიწყალე იოვანე“; ჩრდილოეთ კედელში ასევე თავდაყირაა ჩაშენებული ქვა ისეთივე წარწერის ნაშთით:

„ქრისტე, შეიწყალე ძნე(ლაჲ?)“. წარწერები XI ს-სა უნდა იყოს. სოფელში აღმოჩნდა ამავე ეკლესიის ქვა წნული ჩუქურთმით.

ვახუშტის რუკაზე ქედის სოფლის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია სამი სოფელი ლიპი. სოფელთა სიებშიც ისინი ქედის სოფლის მეზობლად იხსენიება. ასეთი ვითარება კარგად ესადაგება ქაბურის დასავლეთით მეზობლად მყოფი სოფ. ხაჩქოის მდებარეობას, რომელიც ერთ-ერთი ლიპი უნდა ყოფილიყო. ამ სოფლებს შორის, გზის სამხრეთით, გორაკზე კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევი და სასაფლაოა შემორჩენილი. საფლავის ქვებში გამოირჩევა ყოჩის ქანდაკებანი და ქვები ცხვრის გამოსახულებით. ეს შეიძლება ყოფილიყო მეორე ლიპი. მესამე კი – სოფ. თარსონის ჩრდილოეთით მყოფი ნასოფლარი იქნებოდა, უკიდურესი ჩრდილოეთის მიმართულებით. ამრიგად, ვახუშტისეული სამი სოფელი ლიპი ერთმანეთის მიყოლებით ლოკალიზდება თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე. ამიტომაცაა, რომ ქედის ეს მონაკვეთი ზემოხსენებული სოფლების სახელითაა მოხსენიებული: მას „ლიპები“ ეწოდება 1794-1799 წწ. იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერის ქვეთავში – „თრიალეთის მხარეს მთები და მინდვრები საძოვარნი“ (იოანე ბაგრატიონი 1986: 79-80).

დღევანდელი ხაჩქოის ტერიტორიაზე სამი ნაეკლესიარია შემორჩენილი, რომლებიც გვიან მოსულ მოსახლეობას გადაუკეთებია. მათზე შერჩენილი წარწერები ექვთ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. ერთ-ერთში ვინმე ზაქარია იხსენიება, მეორეში კი – ეკლესიის აღმშენებელი ანტონ მანგლელი. გამომცემლის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო გუდარეხის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული ეპისკოპოსი, ანტონ ნაოხრებელის ძე, წარმოშობით მესხი, რომელიც ცხოვრობდა XIII ს-ში დიმიტრი თავდადებულის დროს (თაყაიშვილი 1913: 60).

მკვლევარს უნახავი დარჩენია მთავარი ეკლესიის დასავლეთით, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში მდგარი ოთხი ჯვრიანი ლოდი. ორ მომცრო ქვაზე მხოლოდ რელიეფური ჯვრებია გამოსახული, ორი გათლილი ქვა კი „ჴელია“. ესაა ხელის მტევნის გამოსახულება, რომელსაც ქვევით ბაგრატიონთა სამეფო ნიშანი უზის, ასე ცნობილი ქართული მონეტებითა და წალკის „ჴელის“ მიხედვით. ამ ორი ხელიანი ქვიდან ერთი მიწაშია ჩაფლული, მიწისზედა ნაწილი კი დაახლ. ერთი მეტრი სიმაღლისაა. ქვის გათლილი მხარე დადაბლებულია, მას სწორკუთხა ნაჭდევებით შექმნილი ჩარჩო შემოუ-ყვება. ჩარჩოს შიგნით რელიეფური პატარა ჯვარია გამოსახული. მის ქვევით რელიეფური ხელის მტევანია, რომელსაც ცერი მარცხნივ აქვს (მარჯვენა?). ხელი აზის ბაგრატიონთა ნიშანს ისევე, როგორც წალკის სტელაზე. ჯვარსა და ხელის მტევანს შორის ერთსტრიქონიანი წარწერა იწყება, რომელიც შემდეგ ხელის მარჯვნივ გრძელდება ჩარჩოსა და ხელს შორის. ამოკვეთილი წარწერა გარდამავალი მხედრულითაა შესრულებული, ქარაგმის ნიშანი მოკლე

სწორი ხაზია, ნახმარი პირველ და ბოლო სიტყვაზე. წარწერა ასეა შემორჩენილი: „... თ̃ო შე შლვა ე̃ე“, რაც შეიძლება ასე წავიკითხოთ: „(ღმერ)თო, შეიწყალე შალვა ერისთავთ-ერისთავი“.

ამ ხელიანი ქვის ფოტოანაბეჭდი გამოაქვეყნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რომლისათვის ის გადაუცია ფოტოგრაფ ი. გილგენდორფს. ავტორს ქვა ადგილზე არ უნახავს, წარწერას ის ფოტოანაბეჭდიდან კითხულობს როგორც „თომა თავაძე“... (მელიქსეთ-ბეგი 1957: 123 სურ. 19)

შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარწერაში იხსენიება შალვა თორელ-ახალციხელი ერისთავთ-ერისთავი, რომელიც წალკის სტელის წარწერაშიც გვხვდება. შეიძლება ვივარაუდოთ,რომ მის საგამგებლოში შედიოდა ერთ დროს სახასო თრიალეთის ერთი ნაწილი. თორელ-ახალციხელებს თრიალეთში სამამულო მფლობელობა ჰქონდათ XIII ს-ში (დ. ბერძენიშვილი 1982: 22), უფრო ადრე კი – საერთოდ ქვემო ქართლის სხვადასხვა ნაწილში (შოშიაშვილი 1966: 24, 26). ხაჩქოის წარწერა ხელიან ქვაზე შალვა თორელის თრიალეთში გამგებლობაზე უნდა მეტყველებდეს XII ს-ში.

ამავე სოფლის სხვა მოსახლის ეზოში კიდევ ერთი ხელიანი ქვა აღმოჩნდა,რომელზეც მხოლოდ ხელის მტევანია აღბეჭდილი. ამრიგად მხოლოდ ხაჩქოიში სამნაირი გამოსახულება გვხვდება ქვებზე: 1. ჯვარი, ხელი, ბაგრატიონთა ნიშანი. 2. ჯვარი და ხელი; 3. მხოლოდ ჯვარი. შესაძლოა, ეს ამ პუნქტში მფლობელობის სხვადასხვა ფორმას ასახავდეს, ან სხვადასხვა დროის მაჩვენებელი იყოს...*

ამ მხრივ ისიც საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1721 წლის აღწერით, თრიალეთის სამი ლიპიდან ორში მებატონე იყო მეფე, მესამეში კი – გოჩაშვილი, ვახუშტისავე სიტყვით, სამეფო საგვარეულოს შთამომავალი (ვახუშტი 1941: 25). მაშინ სამეფო ლიპებში უცხოვრიათ 3 და 4 გამომდებ ყმას, 3 და 2 ბოგანოს, გოჩაშვილის ლიპში კი 3 გამომდებსა და 2 ბოგანო ყმას (ლორთქიფანიძე 1935: 323). ამდენად ხაჩქოიში სამეფო მფლობელობას ძველი ტრადიცია ჰქონია, შეიძლება ვიფიქროთ, მაშინ (XIII ს.) მანგლელსაც ექნებოდა ყმა-მამული.

ხაჩქოიში ახლა XIX ს-ში მოსული სომხები ცხოვრობენ. სოფლის სახელწოდებას ისინი ზემოაღნიშნულ ჯვრებს უკავშირებენ: სომხურში „ხაჩ“ ჯვარია.

მესამე ლიპი თარსონის ჩრდილოეთით, დაახლ. 2 კმ-ზე მყოფ ნასოფლარში დავიგულეთ, რომლის სიახლოვეს კლდეში პატარა გამოქვაბულია გამოკვეთილი (დაახლ. 2მX3მ). ხევის მარცხენა ნაპირზე ბერძნებს ძველი ეკლესია შეუკეთებიათ, გადაუხურავთ. აფსიდაში ორი ქვაჯვრის ბაზისია. ერთ მათგანზე ბრწყინვალე ხელოვნების მოგრძო

* „ჴელი აღიმართებოდა ხოლმე „მამულზე“... „სახელოსა და ყმაზე“... „გლეხზე“, „საწისქვილოსა და წისქვილზე“, „აზნაურზე“... „სოფელზე“ (ნ. ბერძენიშვილი 1966ა: 137-138).

აყვავებული ჯვარია გამოკვეთილი. ორსავე მხარეს ჯვარს ვაზის გრეხილი რტო მიუყვება ორი მტევნით, რტოები დაბოლოებულია ლოტოსით. მარჯვენა ზედა კუთხეში ამოკაწრულია ასომთავრულით: „ქ ე შ ე, ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე“... მეტი აღარაა. ბაზისის ზომებია: 65X68X70 სმ, ფოსო – 35X35 სმ.*

ეკლესიას სამხრეთი მინაშენი ჰქონია და გალავანი, რომლის შიგნით საფლავის ქვებია – ძველი, დაუმუშავებელი ლოდები.

ამავე ქედზე დაახლ. 300 მ-ით აღმოსავლეთისაკენ მეორე ეკლესიაც განუახლებია მოსახლეობას. შიდა წყობა ეკლესიისა მეტნაკლებად რეგულარულია, მოზრდილ ქვებს ენაცვლება ბრტყელ ქვათა რიგი. საკურთხეველში ერთი ნიშაა მარჯვნივ და მოზრდილი სატრაპეზო ლოდი, რომელზედაც დარბაზული ეკლესიის გამოსახულებაა, სახურავის წვერზე შენობის სიგანე ჯვრით. შესასვლელი სამხრეთიდან, სარკმლები აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებზეა. შიგნიდან შეიმჩნევა შელესილობის კვალი. გალავანი და საფლავები აქ არ ჩანს.

ძნელია დაზუსტებით მტკიცება – რომელია ამ სამი ლიპიდან გოჩაშვილისა; მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი ნასოფლარი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა თრიალეთიდან თეძმისხევში გარდამავალ გზაზე – სოფლებში საჯიანი, ბალოვანი, ორმოცი... V-VI სს-ით დათარიღებული ეს რელიეფი ქვემო ქართლის ასეთსავე რელიეფებთან ავლენს კავშირს (ნ. ჩუბინაშვილი 1972ა) და აქ გამავალი გზის სიძველესა და მნიშვნელობაზე მეტყველებს.

თრიალეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ვახუშტი რუკასა და „აღწერაში“ ასახელებს საპონაურისა და ცხვრისის ხევებს, რომლებიც ქციას ერთვიან. სოფლების სიაშიც ცხვარეთი და საპონაური თითო სოფლადაა მოხსენიებული. ნასოფლარ ცხვარეთს დღევანდელი რეხელები და ხანდოელები მიუთითებენ ქციის მარცხნივ ხანდოს სამხრეთით, დაახლ. 2 კმ-ზე. გვიან გადაკეთებულ ძველ ქართულ ეკლესიას აღმოსავლეთ კედელზე ასომთავრულით აწერია: „ქრისტე, შეიწყალე აბულახტარ“, ის ეკლესიის მაშენებელი უნდა იყოს. წარწერა XI-XII სს-საა (დ. ბერძენიშვილი 1982: 14). ეკლესიის ირგვლივ გალავანშემოვლებული სასაფლაოა, საფლავის ქვათა შორის გვხვდება ორფერდად დამრეცი ლოდებიც.

თრიალეთის ცხვარეთში 1721 წლის აღწერით ითვლებოდა ერთი მებატონე ციციშვილი, 3 გამომღები და 2 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 370). სოფლის სახელწოდება გამჭვირვალეა და ცხვართანაა დაკავშირებული (შდრ.: ცხვრისი ალგეთსა და ქციის ხრამში). ამდენადვე სრული გაუგებრობაა ლ. მელიქსეთ-ბეგისა და კ. ხარაძის

* ჩემს მიერ გადაღებული ფოტოანაბეჭდი გამოქვეყნებულიაა წიგნში ნ. ჩუბინაშვილი 1972ა: 69 ტაბ. XXXIV.

მიერ ამ პუნქტის „წყურვეთად“ მოხსენიება, დაკავშირებული „წყურ“ („ყურ“, „კურ“) ტერმინებთან, რაც თითქოს თავს იჩენს სახელებში: „აწყური“ და „ტაბაწყური“, ანუ „ტბა-აწყური“ (მელიქსეთ-ბეგი 1938: 59; ხარაძე 1972: 69).

საპონაურიც ნასოფლარია ქციის მარცხენა შენაკადის სათავეებში. ის სწორედ იმ გზაზეა, რომელიც ტანისხევის სოფ. ლევიტანადან ამოდის თრიალეთში. მდინარის ორი სათავის შესაყარში განლაგებული ეს ნასოფლარი XX ს-ის I ნახევარში ჯერ კიდევ ოსებით ყოფილა დასახლებული, რომელთა სასაფლაოზე რუსული წარწერებიც გვხვდება ქართულთან ერთად. იქაური დარბაზული ეკლესიის ნანგრევი გვიანი შუა საუკუნეების შენობა უნდა იყოს. 1721 წლის აღწერით, საპონაურში ითვლებოდა ორი მებატონე (ციციშვილები), 5 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 343).

სოფლის მდებარეობა ხევის სათავეში, ჩანს, განაპირობებდა საპონაურისხევისათვის პუნქტის სახელის შერქმევას (შდრ.: კავთა-კავთისხევი, ცენა-ცენისწყალი-ცხენისწყალი) სახელწოდების ასახსნელად მნიშვნელოვანია საბას განმარტება: „საპონი, საპოვნი სხვათა ენათა მიერ მოპოვნებულ არს. ხოლო საღმრთო წერილში რომელსამე ადგილსა **შენაზავები**, რომელსამე **განსაწმედელი** აღუწერიათ, ხოლო იერემიას წიგნში და დანიელის წიგნსა შინა მდელოდ აღუწერიათ. რამეთუ არიან მდელონი ესევითარნი, რომელნი ფრიად განრსცხიან და განასპეტაკებენ სასარცხლოსა და განბანს მწიკვლსა კაცთასა“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993). მაშასადამე, საპონაური მოდის მრავალწლიანი ბალახის სახელისაგან საპონა, რომელიც მიხაკისებრთა ოჯახს ეკუთვნის, იკეთებს თეთრ ან ვარდისფერ ყვავილებს. მისი ფესვები წყალში გახსნისას ქაფდება საპონივით (ჩიქობავა 1986). აქედანვეა ყვავილის სახელწოდება – საპოვნელა.

ვახუშტი ბატონიშვილი ზემოხსენებულ ხევებს ასე აღწერს: „საპონაურისა და ცხვრისის-ჴევი... მოერთვის ქციას თეზის ჴრამსა შინა, პირისპირ კოხაჯის-ჴევის. ქვემორე სამჴრიდამ ერთვის ქციას ავლადის-ჴევი“ (ვახუშტი 1941: 42).

ვახუშტის ნაშრომის 1973 წლის გამოცემაში ეს ადგილი განსხვავებული პუნქტუაციითაა წარმოდგენილი: „საპონაურისა და ცხურისის-ჴევი... მოერთვის ქციას თეზის ჴრამსა შინა, პირისპირ კოხაჯის-ჴევის ქვემორ, სამჴრიდამ ერთვის ქციას ავლადის-ჴევი“ (ვახუშტი 1973: 320). წინა გამოცემისაგან განსხვავებით, აქ კოხაჯისხევის შემდეგ წერტილი არაა დასმული, ამიტომ ტექსტი შეიძლება ორგვარად გავიგოთ: 1. საპონაურისა და ცხვრისისხევი უერთდება ქციას თეზის ხრამში, „პირისპირ კოხაჯის-ჴევის ქვემორ“, ე. ი. ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით, ეს კი გამორიცხულია, რადგან თვით ვახუშტის რუკაზე თეზის ხრამი კოხაჯისხევის დასავლეთითაა; 2.“პირისპირ კოხაჯის-ჴევის ქვემორ“, სამხრეთიდან ერთვის ქციას ავლადისხევი. სწორედ ასე

აქვს ტექსტი გაგებული კ. ხარაძეს, რომელმაც კოხაჯისხევის შემდეგ დასმული წერტილი წინ გადაიტანა, „თეზის ჴრამსა შინას“ მერე. მისი აზრით, „პირისპირ კოხაჯის ჴევისა“ არ შეიძლება საპონაურ-ცხვრისისხევს ეხებოდეს: ორივე მდინარე ქციის მარცხენა შენაკადებია, ამიტომ მათი შესართავები პირისპირ შეუძლებელია იყოსო (ხარაძე 1991: 64)

ვახუშტის რუკაზე ავლადისხევი ქციას ერთვის მართლაც რომ კოხაჯის ხევის ქვემოთ სამხრეთიდან, რაც ფაქტობრივად ასე არაა. ამის გარდა, ვახუშტის ზემოაღნიშნული გამოცემით, თუ კ. ხარაძის მიერ შემოთავაზებული პუნქტუაციით, ორ მძიმეს შორის მოქცეული ეს „პირისპირ კოხაჯის-ჴევის ქვემორ“, გაუგებარი კონსტრუქციაა. ამიტომაც კ. ხარაძეს ვახუშტის ტექსტში ერთი ასო ჩაუმატებია. ის ორჯერ წერს: „პირისპირ კოხაჯის-ჴევისა“ (ხარაძე 1972: 68). მაგრამ სიცხადე არც ამით მატულობს. მაშინ, როცა ძველი გამოცემის მიხედვით, კოხაჯისხევის შემდეგ წერტილის დასმა გასაგებს ხდიდა, რომ საპო-ნაურ-ცხვრისისხევი ქციას უერთდება თეზის ხრამში კოხაჯის ხევის **პირისპირ**, ანუ **პარალელურად** ჩრდილოეთიდან. სიტყვას „პირის-პირ“ „პარალელურის“ მნიშვნელობით, ვახუშტი სხვაგანაც ხმარობს, მაგალითად, ქვეთავში ისპირისათვის იგი წერს: ისპირის ხეობას „სამჴრით მზღვრის მთა ისპირისა... და მდებარებს მთა ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად... ჩრდილოთ მზღვრის მთა ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდამ დასავლეთად... და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი ამისი ისპირის მთა“ (ვახუშტი 1973: 685-686). სავსებით ნათელია, რომ ისპირის ორი მთა ერთნაირი დამხრობისაა – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ავტორი კი მათ ურთიერთმიმართებას აღნიშნავს სიტყვით „პირისპირი“, რაც პარალელურს გამოხატავს. ასე რომ, აქაც ვახუშტის „აღწერის“ ძველი გამოცემა უფრო სწორია პუნქტუაციით, აზრობრივად და ფაქტობრივადაც, ვიდრე შემდგომი შესწორების ცდები.*

ქციის აყოლებით მის მარცხენა სანაპიროზე, ვახუშტის რუკაზე უკიდურეს სოფლად აღნიშნულია ნარიანი, მაგრამ ჩანს სოფლის სახელი მიკროქვეყანასაც ეწოდებოდა: თრიალეთის სოფლების სიას ამთავრებს ნუმერაციის გარეშე დასახელებული ფანავარი, შაორი, ნარიანი და წითელი საყდარი. ქციის აღწერისას ვახუშტი ამბობს, რომ ის „გამოსდის შავრაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ჴრამსა...“ (ვახუშტი 1941: 41) ამავე აზრს საბოლოოდ ადასტურებს გუჯარეთის აღწერისას ვახუშტის გამონათქვამი: „აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადაცა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე, ვიდრე ტბის-ყურამდე, ადგილსა ვაკესა და შვენიერსა. დის ქცია

* კ. ხარაძისეული ეს პუნქტუაცია გამეორებულია ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის“ 1997 წლის გამოცემაშიც.

საშუალს ნარიანისა კალმახითა სავსე (იტყვიან ტბის-ყურისას – თამარ მეფემან ყო ტბად, ვინათგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციიდამ – და აწ უქმი არს)“ (ვახუშტი 1941: 60). გამოდის, რომ გეოგრაფიულად და ისტორიულად თრიალეთში მყოფი ნარიანი, გვიან საუკუნეებში გუჯარეთს მიუერთებია („**აწ იყო** ნარიანიცა ამისი...“).

ნარიანი ქციის მარცხენა შენაკადების დაბლობია, შესანიშნავი საძოვრების ფართო მინდორი. ის მოზღუდულია შუანა მთის, თავკვეთილის, ქვაჯვარის, კენჭიყარას მთებით. გუჯარეთიდან აქ იოლი გზა ამოდის, აქაურ მინდორს ახლაც გუჯარლები თიბავენ.

ნარიანის დასავლეთით, ტაბაწყურიდან ცხრაწყაროსაკენ მიმავალი გზის ჩრდილოეთით, მოჩანს დარბაზული ეკლესიის ნანგრევი. ნაგებობის ქვები გათლილია და მეტნაკლებად რეგულარულად ნაწყობი; სამხრეთი კედელი აღარაა; დასავლეთი კედლის სარკმელს საპირე ამკობს – რელიეფური გრეხილი ზოლი,რომლის თავზე ასეთივე ჯვარია გამოსახული. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა და მოზრდილი ნასოფლარი. ტაბაწყურლები ამ ნანგრევებს წმ. გიორგის უწოდებენ. ის განვითარებული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე არსებული სალოცავი უნდა ყოფილიყო.

სოფელ ნარიანის შესახებ ცნობები არ ჩანს, მისი სახელი კი მოდის ეკლიანი ბალახის სახელწოდებისაგან – ნარი.

თრიალეთის სოფელთა სიაში ვახუშტის მიერ დასახელებული წითელი საყდარი დღევანდელი სოფელი ტაბაწყურია. ძველ ხუთვერსიან რუკაზე ამ სოფელს სამი სახელი აწერია: წითელი საყდარი, კრასნაია ცერკოვ და კიზილ ქილისა. იქაური ეკლესია, მართლაც, მოწითალო, ნათალი ლოდებით ნაგები მნიშვნელოვანი დარბაზული ეკლესია ყოფილა X ს-სა (დ. ბერძენიშვილი ... 2000: 81).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მთის გამოზიდულ ფერდზე წმ. ნინოს ეკლესიას მიუთითებენ, სადაც პერანგშემოცლილი ნანგრევიღა შემორჩენილა. ფერდობს სამი მხრიდან მორკალული კედლების რამდენიმე რიგი შემოსდევს. მათ შორის სათავსები ტერასულადაა განლაგებული. კედლების წყობა მშრალია; ნათხარში შუა საუკუნეების კერამიკული ფრაგმენტები ჩანს, ერთ ნატეხზე რელიეფური ჯვარია. უნდა ვიფიქროთ, აქ სოფლის სათავდაცვო სიმაგრე იყო, საკუთარი სალოცავით.

აქვე ერთ მშრალ ხევს „ნინოღელე“ ჰქვია, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში „ნინოყალად“-აც გაიაზრება (ე. ი. ნინოციხე). ეს სახელწოდება „ნინოს ხევის“ ფორმით იხსენიება ბერი ეგნატაშვილის ცნობაში XVI ს-ის ქართლის სამეფოს საზღვრებს რომ ეხება (დ. ბერძენიშვილი 1971: 16).

წითელი საყდარი თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად იხსენიება 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში (ი. დოლიძე 1970: 177). XVI ს-ის ბოლოს ეს სოფელი ტაბისყურის სახელით

იხსენიება გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში. მაშინ ის უკვე გაუკაცრიელებული ყოფილა, მაგრამ მარცვლეულისა და სხვათათვის მაინც შეწერილი ჰქონდა გადასახადი 3000 ახჩის ოდენობით, ხოლო ტბის თევზის გამოსაღები 10000 ყურუშს აღწევდა (ჯიქია 1941: 14). 1639 წ. ირან-ოსმალეთის ზავის მიხედვით, თორი აწყურამდე ქართლის შემადგენლობაში შევიდა, ტაბაწყურიც და ფარავნის ტბაც მაშინ უნდა დაბრუნებოდა ქართლს.

ვახუშტის სიტყვით, „ტბა ტბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი ბალახ-ყვავილოვანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა“ (ვახუშტი 1941: 43). ვახუშტის ზემოხსენებულ გადმოცემას თამარის მიერ რუს გაყვანის შესახებ ქციიდან ტაბისყურში ნ. ბერძენი-შვილი თევზის მომრავლების ხელოვნურ ღონისძიებად მიიჩნევდა. „თუ რა დიდი მნიშვნელობისად ითვლებოდა ფეოდალური მეურნეობის ეს დარგი – მეთევზეობა, კარგად ჩანს დავითის (თუ თამარის) ხალხური ეპიტაფიიდან: „თევზნი იმერთა წყალთაგან ამერთა წყალთა შთამესხნეს“ (ნ. ბერძენიშვილი 1964: 220).

ამასთან დაკავშირებით „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „დიდი ბადე თრიალეთზედ ვისაც ჰქონდეს, ან საბატონო, ან კათალიკოზისა, ან საბატონიშვილო, გარდააბან, შეამხანაგდენ; სანამდინ ტბისყურმან ისაქმოს, იქაურს თევზს, სანამდის ფარავანმან ისაქმოს, იქაურს თევზსა კვირაში ერთს საპალნეს ლარაძე ნუ დაგვაკლებს“ (ი. დოლიძე 1965: 262).

ვახტანგ VI ერთ თავის ლექსში ტაბაწყურის გარემოს ასე აღწერს:

„ნუ გიკვირთ, რომ ტბის-ყურისა ქება ვერ ვთქვათ ახლა სრული,
გაიხსნების უცხოთ რათმე მუნ შეკრული მწარედ გული:
ხენი ზრდილნი ტურფად რათმე ნაპირს უგავს შემორგული,
და სხვა კალმახი მის კალმახთან დიაღ არის დაკარგული“
(ვახტანგ VI 1975: 281).

ნ. ბერძენიშვილის აზრით, წითელი საყდარი გვიან შერქმეული სახელი არა ჩანს, მაგრამ ამ სოფლის ძველი სახელი ტაბისყურიც უნდა ყოფილიყო (შდრ.: ტაბახმელა, ტაბაკინი). „ტაბა“-საგან შეიქმნა სოფლის სახელი (ტაბისყური), შემდეგ კი ეს სახელი თვით ტბასაც შეერქვა, ისევე როგორც ფარავნის ტბა (ნ. ბერძენიშვილი 1964: 220,302). სოფელი ტბაში შეჭრილ ნახევარკუნძულზე დაარსებულა, იქ სადაც მყუდრო ყურეა შექმნილი. 1933 წ. სოფლის მოსახლეობა თითქმის სულ სომხური იყო (ჯავახეთის ბარალეთიდან). მცირე ნაწილი ქართველები იყვნენ გვარად სანდაძეები (უმეტესობა გასომხებული). „მარკოზ სანდაძის გადმოცემით, ამ სოფელს ძველად ხონი უნდა რქმეოდა. ძველი წიგნები გვქონდა ბეჟენცობის დროს დაგვეკარგა,

იქ ეწერაო: „ქციას რუ ვადინევი და ხონის ტბა ვადიდევიო“... ასეთი სახელი მართლაც შეიძლებოდა სწოდებოდა ამ ტბას, ხოლო სოფელს ხონი“ (ნ. ბერძენიშვილი 1964: 220-221). ქ. ხონის გარდა, სოფ. ხონი არის ყოფილ ორჯონიკიძის რაიონშიც, საჩხერის რაიონში კი – სოფ. ხვანი, სამცხეში ნასოფლარია – ხონა, რომელსაც ვახუშტი ხვანას უწოდებს. ეს საერთო ფუძე, ალბათ, ადგილის ზოგად მახასიათებელს შეიცავს (შდრ.: ხონი, ხონა, ხონჩა, ანუ ტაბაკი-ტაბაკინი).

ვახუშტი ბატონიშვილი სოფლების სიაში თრიალეთს მიათვლის ფარავნის ტბის ორ სოფელს – შაორსა და ფარავანს. რუკაზედაც თრიალეთ-ჯავახეთის საზღვრის ხაზი ფარავნის ტბას ისე კვეთს, რომ თრიალეთში მხოლოდ ზემოხსენებული ორი სოფელი რჩება, ასფარა, ფოკა და გასადინი კი ჯავახეთშია. ტბის ირგვლივ განლაგებულ სოფელთაგან, ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა ფარავანი, რომლის სახელი შერჩენია ტბა-ფარავანსაც და ირგვლივ მყოფ მიკრორაიონსაც. ეს ერთეული XI ს-ში უკვე იხსენიება.

ფარავნის ტბის გარშემო მთებს ძველთაგანვე საზაფხულო საძოვრებად იყენებდა ქართლისა და კახეთის მოსახლეობა. სწორედ ქართლელი მწყემსები დახვედრიან წმ. ნინოს ამ ტბასთან. ვახუშტი ტბის გამო აღნიშნავდა: „ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი“ (ვახუშტი 1941: 43). ამიტომ იყო, რომ გეოგრაფიულად ჯავახეთში მყოფი ფარავანი პოლიტიკურად ქართლში შედიოდა და თრიალეთის ნაწილად ითვლებოდა. ის იმდენად აუცილებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეთათვის, რომ მაშინაც კი, როცა სამცხე-ჯავახეთი ოსმალებს ეპყრათ, მწყემსები იძულებულნი იყვნენ, თავისი საქონლით სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ და ზაფხული იქ გაეტარებინათ. ფარავნის მიდამოებში თესავდნენ ქერსა და შვრიას, ტბა კი, ვახუშტის სიტყვით, იყო „თევზით სავსე“.

სოფელ ფარავანში ორი ეკლესიაა X ს-ისა და XIII-XIV სს-თა მიჯნისა. ხევის მარჯვნივ XIII ს-ის ქარვასლის ნანგრევია (დ. ბერძენიშვილი ... 2000: 11-13). აქ ქართულწარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვებიც ყოფილა – ამჟამად დაკარგული (ნ. ბერძენიშვილი 1964: 99).

ფარავანთან აღმოსავლეთიდან მომავალი ორი გზა იყრიდა თავს – თრიალეთისა და ზურტაკეტის გამოვლით. ამ უკანასკნელზე, ქედს გადაღმა ასეთივე ფუნდუკი იყო, რომელიც ვახუშტის ცნობით, თამარ მეფეს აუგია ზამთარში მოგზაურთათვის.

1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში სხვა სოფლების გვერდით დასახელებულია: „ფარვანასთავი, ფარვანი, სოფელი ფოკა“ (ი. დოლიძე 1970: 177). უნდა ვიფიქროთ, საკათალიკოსო იყო ეს სოფლები უფრო ადრეც. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში XVI ს-ის ბოლოსათვის ნასოფლარ ფარვანას შეწერილი აქვს გამოსაღები იმ თევზზედაც, რომელიც ამ ტბაში დაიჭირება –

სულ 1000 ახჩა. ვახტანგ VI თავის ერთ ლექსში ასე აღწერს იქაურ ნადირობას:

"ფარავანზე შექცეულნი თევზსა სვევდნენ მუნა ბადით,
არჩვსა ხოცდნენ, სხვა ნადირსა, თუ რამ ჰქონდეს მთას ნაბადით"
(ვახტანგ VI 1975: 28).

როგორც ვნახეთ, XIV ს-ის ბოლოს სოფლის სახელად უკვე ყოფილა თავი-ფარავანი, რაც ტბა-ფარავნისაგან უნდა იყოს მიღებული: ტბაფარავანი, თაფარავანი, შემდეგ კი გააზრებით თავი-ფარავანი – თავფარავანი. წყაროებში გვხვდება ფანავრა, ფანავარიც, რასაც ბგერათშენაცვლებით ხსნიან (შდრ.: მუხნარი, მუხრანი) (ჯიქია 1958: 345).

ვახუშტის რუკაზე ფარავნის ჩრდილოეთით აღნიშნულია შაორის მთა, იქვე ციხე და ოდნავ სამხრეთით სოფ. შაორი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ხევი ჩამოუდის. ამათ შესახებ ავტორი წერს: „კვალად ამ ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ და სავსე არს კალმახითა. ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი" (ვახუშტი 1941: 43). სოფელი უნდა ყოფილიყო შაორის ციხის ძირში, მის სამხრეთ-დასავლეთით, იქ, სადაც ახლა კახელ მეცხვარეთა საზაფხულო ბინებია. ეკლესიისა და სასაფლაოს კვალი აღარ ჩანს, მაგრამ შეიმჩნევა ნასახლართა ორმოები.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, 1595 წ. შაორი უკვე ნასოფლარია, თუმცა მაინც შეწერილი ჰქონდა გადასახადი 6000 ახჩის ოდენობით (ჯიქია 1941: 234).

სოფ. შაორი იყო რაჭაშიც, იქაც ტბის ნაპირას. გვიან შუა საუკუნეებში იქ იმერეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო. ჩანს, ის ადრეც მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. სწორედ იქ უნდა დაეწერათ ხელნაწერი 1002 წლისა და არა ფარავნის შაორში, როგორც ამას ს. ჯიქია ვარაუდობდა. ის დაწერილია „შაორსა... ჴელითა აკვილა მტბევრისაჲთა", ბაგრატ აფხაზთა მეფისა და ქართველთა კურაპალატის ბრძანებით (ჯიქია 1958: 349), რომელმაც რაჭის შაორის სიახლოვეს ააშენა ნიკორწმინდის ტაძარი.

ვახუშტის რუკის თრიალეთის ნაწილი და თანამედროვე განლაგება იქაური სოფლებისა, წარმოაჩენს დღევანდელ სახელებსა და მათ ძველ ქართულ შესატყვისებს. საჭიროა ძველ დასახლებათა აღდგენა.

* * *

წალკის მთიანი ზეგანი უძველესი დროიდანვე თრიალეთის სახელით იყო ცნობილი. ეს მხარე მდ. ქციის ზემო დინებასა და ყარაბულახის (ზურტაკეტის) აუზებს მოიცავდა. ადმინისტრაციულად




○ სოფელი / ნასოფლარი

საბატე სოფლის ისტორიული სახელწოდება

(სანომერი) სოფლის დღევანდელი სახელწოდება

აქვე იგულისხმებოდა გეოგრაფიულად ჯავახეთში მყოფი ფარავნის მიკრორაიონიც.

თრიალეთს აღმოსავლეთიდან ლაკვისა და ბედენის მთები ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან – თრიალეთის ქედი (კლდეკარისა და ერჯევნის მთები), დასავლეთიდან – სამსარ-კეჩუთის ქედები (თავკვეთილის, შავნაბადის, სამსარის, ჭიქიანის და შამბიანის მთები), სამხრეთიდან კი – ლუკუნის მთა.

ძირითადად უტყეო, ფართო საზღვრებიანი ზეგან-მთიანეთი ქვემო ქართლის ხევებისაგან მკვეთრად განსხვავებულ გეომორფოლოგიურსა და კლიმატურ პირობებშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 35-40 წლიწადში საგრძნობლად იმატა ხელოვნურ ტყეთა მასივებმა; ფიჭვისა და ნაძვის კორომებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტების მახლობელი გორაკები. უნდა ვიფიქროთ, რომ ოდესმე ადრეც ასე შეიძლება ყოფილიყო და აქაური ტყეების მოსპობა მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობამ გამოიწვია.

წალკის ზეგანი მთავარი მდინარის – ქციის სათავეებთან ზღვის დონიდან 2000 მ-დე აღწევს, აღმოსავლეთისკენ თანდათან დაბლდება; მწვერვალების აბსოლუტური სიმაღლე 2600-3000 მ-მდეა. სამსრისა და კეჩუთის ქედები ალპური საძოვრების შემცველია. ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთი ფერდობი უფრო უხვადაა განესტიანებული, ვიდრე დასავლეთი ფერდობი, რადგან აქამდე აღწევს ქვემო ქართლის დაბლობიდან აღმავალი ჰაერის მასები. ამით აიხსნება ქედის აღმოსავლეთი კალთების მცენარეულობის სიუხვე და ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირეც. ჭოჭიანისა და ქულბაქის მასივები გამსჭვალულია ობსიდიანის მძლავრი ძარღვებით. აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი ჭიქიანის მთის სახელი: ვულკანურ მინას ჭიქა უწოდეს. სწორედ აქაა მთელ კავკასიაში უდიდესი საბადო ობსიდიანისა, რომლისგანაც ადამიანი უძველეს იარაღს ამზადებდა.

ორთოგრაფიული თვალსაზრისით, თრიალეთში გამოიყოფა წალკის ქვაბური, რომელსაც მხარის ჩრდილოეთი ნახევარი უჭირავს; სამხრეთით ჭოჭიანის, გომარეთის და დმანისის ლავური პლატოებია, ერთმანეთისაგან გამიჯნული კვირიკეთისა და ლუკუნის მთიანი მასივებით. ამ ერთეულების შიგნით, მცირე სერებითა თუ მაღლობებით კიდევ გამოიყოფა ვაკე ტაფობები, რომლებზედაც სოფლებია განლაგებული.

აღსანიშნავია ტაბისყურის ტაფობი, ტექტონიკურ-ვულკანური წარმოშობის ღრმული. ტბის სარკე ზღვის დონიდან 1990 მ-ზეა. მისი უდიდესი სიგრძე-სიგანე 6,6 კმ და 4,3 კმ-ია.

ფარავნის ტბის ტაფობს ახალქალაქის პლატოსაგან სამსრის ქედი გამოჰყოფს. ეს ტბა ერთ-ერთი უდიდესია საქართველოს მთიან ტბათა შორის. მისი ქვერაიონის აბსოლუტური სიმაღლეები 1800-დან 2250 მ-მდე აღწევს. ფარავანი განსაკუთრებით მდიდარია წყაროებით,

რომელთაგან უდიდესია შაორი; იგი ტბას ჩრდილოეთიდან შეერთვის სოფ. ტამბოვკასთან. ამავე ტბიდან იღებს სათავეს მტკვრის მარჯვენა შენაკადი ფარავნისწყალი. ტაბაწყურისა და ფარავნის ტბათაგან გამდინარე წყლები ჯავახეთში იღვრება.

თრიალეთში წყალუხვობით აღსანიშნავია ნარდევნის, ოზნის, ოლიანქის, ყიზილქილისას, აიაზმის (ძველი თეთრიწყარო) წყაროები. ეს უკანასკნელი ეკლესიის ქვეშ გამოდის, ხოლო მისი კალმახი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაცულია „სიწმინდის“ გამო. ასევეა ოლიანქშიც, სადაც ერთი დიდი კალმახია მუდამ.

იქაური ტექტონიკური და ვულკანური წარმოშობის მცირე ტბე-ბი გაჭაობების გზაზეა დამდგარი. ნიადაგი შავმიწაა, უმეტესად გასტეპებული მდელოებისა და ყოფილი ტყეების უმნიშვნელო ნაშთებით, მცენარეული მეორადია.

სამსრის ქედზე თოვლის საბურვლის ხანგრძლივობა 6-9 თვეა, ხოლო თრიალეთში უცივესი თვის ტემპერატურა 5-6°C-ია, უთბესი თვისა კი 16-15 °C. აქაც ასევე, როგორც ა/კავკასიის სხვა რაიონებში, ჰავა ცვალებადობას განიცდიდა საუკუნეთა მანძილზე: III-XIV სს-ში თბილოდა, შემდეგ კი აცივებულა, რასაც მაქსიმუმისათვის XIX ს-ში მიუღწევია, შემდეგ ისევ დათბობა დაწყებულა (მარუაშვილი 1970: 304-339; ჯანელიძე 1970: 46).

შესაძლოა, სწორედ ზემოთ აღნიშნულ აცივების პერიოდში იყოს გაჩენილი თრიალეთ-ზურტაკეტის სოფლები ნიშანდობლივი სახელით – „ჩამძვრალა“, რაც მიწაში ღრმად ჩამჯდარ საცხოვრებ-ლებს გულისხმობს. ძველი თრიალური საცხოვრებლის ერთკარიანობა და სახურავზე მიწის სქელი ფენის დაყრა მათ დასათბობად იყო გამიზნული. საწვავის ნაკლებობის პირობებში, მსგავსად ჯავახეთისა, იყენებდნენ საქონლის ბუნებრივ სითბოსაც, რომლის სადგომი საცხოვრებლისაგან თხელი კედლით იყო გამოყოფილი (სუმბაძე 1976: 70-78).

ზემოთქმულის გათვალისწინებით საფიქრებელია, ფლორაც რამდენადმე შეიცვლებოდა, თუმცა კი მეურნეობის ძირითადი დარგები ძველი უნდა დარჩენილიყო. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის თრიალეთს აღწერს, მაგრამ, ცხადია, ტრადიციულად გაბატონებული მეურნეობის დარგებსაც ჩამოთვლის. მისი სიტყვით, ეს მხარე არის „ზაფხულ ფრიად შვენიერი ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე. არამედ ზიდვენ ერჯევნიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა; მოსავლით ვითარცა ტაშირი... დავსწერეთ თაფლითურთ... გარნა ესე უმჯობეს მისა. თჳნიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი... ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი... ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა“

(ვახუშტი 1941: 42).

ფარავნის ტბასთან დაკავშირებით ავტორი ამბობს, რომ „ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი“. მისივე სიტყვით ტაბაწყურის გარემო ყოფილა „ნაძოვანი ტყიანი“, ასევე კვირიკეთის მთა „ტყიანი და ნადირიანი“, მაგრამ ეს მაინც გამონაკლისი იყო.

იქაურ ფლორასა და ფაუნაზე, მეურნეობის სხვადასხვა სახეობაზე მეტყველებს თრიალეთ-ზურტაკეტის ტოპონიმიაც. ასეთებია შამბიანის მთა, რომელსაც სახელი შერქმევია „შამბ-ბალახის სიმაღლი-საგან, რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არ გამოჩნდების“; ასეთია არყნალისხევი, სხალნარი, იფნარი, მუხრანა, სარკინეთი, გვარჯილა, მაჩქათელა (ფრინ.), ბაღჩალარი, უზნარიანი, საბატე, კირკიტა, საქათმე, მოხისი, არწივანი, მაჩვთა, წალკა, ნარიანი, ურტევანი (ვახუშტი 1941: 41-43, სოფელთა სიები). ეს სახელები საკმაოდ გამჭვირვალე ტოპონიმებია, სხარტად მახასიათებელი ადგილებისა თუ მოსახლეთა საქმიანობისა. ამათგან ბახჩალარი თურქულენოვანი მოსახლეობის ნაკვალევია და სპარსულიდან შეთვისებული ბაღი-ბაღჩა-ს მრავლობას აღნიშნავს. XVII ს-ში ის უკვე ნასოფლარად იხსენიება (ი. დოლიძე 1972: 126).

იქაური მეურნეობის ძირითადი დარგის – მესაქონლეობის ამსახველი სახელებია: ცხვარეთი, საბროწლე (მროწლე), ფარეხა (ფარახეთი რაჭაშიცაა და იქაც ცხვრის სადგომს აღნიშნავს). შესაძლოა, ამავე ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული გომი, გომარეთი (გომი, გომური – საქონლის დასაყენებელი), რომლის **-ეთ** დაბოლოება მრავლობის, კრებითობის მაჩვენებელია.

1546 წლის ერთ საბუთში თრიალეთის ახალქალაქსა და ნადვალევს რომ ეხება, ლაპარაკია გამოსაღებზე, რომელსაც იხდიდნენ: ერთი ფურ-ბერწი, ერთი ცხვარი, ფურის თავზე ერთი ჩარექი ერბო, საყველიეროდ ერთი ლიტრა ყველი, 20 კვერცხი, გოჭი, ქათამი, სააღდგომო ძროხა, „ცხურისა სათვალავი ათის თავი“, დღიურ სახნავზე 4 კოდი ღალა,„თივისა – ათის თავი“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 6). აქ, ძირითადად, მესაქონლეობის პროდუქტებია ჩამოთვლილი, მაგრამ მარცვლეულის გადასახადიც ბარის სოფლებზე ნაკლები არაა.

1678-1683 წწ. სოფ. მეთრევანას გამოსაღები მანგლელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ ასე იყო გაბეგრილი: „უნდა გამოიღონ, მოვიდეს, თუ არ მოვიდეს: ოცი კოდი ანეულის გუთანზედ და ოცი შემოდგომის გუთანზედ, რამდენიც გუთანი გაებას, გუთნის თავს ორმოც-ორმოცი კოდი პური, რისაც კოდით თრიალეთზედ მეფისათვის იღებენ, იმ კოდით... საბალახე როგორც თრიალეთზედ იღების, ისრე იმ წესით გამოიღონ. ულაყი თუ იქ ტკბილი მიიტანოს მანგლელმა, ამათ უნდა მიიტანონ... ფური თუ მიაბაროს ბატონმა, ორი ლიტრა ერბო ფურზე და კამბეჩზედ ერბო ლიტრა სამი. თუ საყველეთ მიაბაროს კამბეჩზედ

ლიტრა ყველი თორმეტი“ (ი. დოლიძე 1970: 584-585).

შუა საუკუნეების საქართველოში თრიალეთის საძოვრებით სარგებლობა თავისუფალი, მაგრამ ფასიანი იყო. საამისო გამოსაღებს ნახირისთავი, პირისთავი და საბალახე ერქვა, რომლებიც ნატურით გადაიხდებოდა. 1697 წლის ერთი საბუთის მიხედვით, 100 სულ ცხვარზე საბალახედ უნდა გამოეღოთ ორი ცხვარი, ორი თხა, კრავი და თიკანი, ე. ი. დაახლ. 20 სულზე ერთი (ნ. ბერძენიშვილი 1940: 102-103). 1708 წლის მეორე საბუთით კი, საბალახე 30-ზე ერთი იყო, „150-ზე პირის თავი“, ხოლო ნახირისთავი: 20 კომლზე – ერთი ძროხა. იქვე ნათქვამია, რომ ეს შეღავათი ეძლევათ ამ სოფლებს ახალშენობისა და გარეჯის ნათლისმცემლისათვის შეწირვის გამო. ერთი მუხლი ვახტანგ ბატონიშვილის სამართლისა განმარტავს: „ბალახი, მთასა თუ ბარსა, კაცს კაცისაგან ამიტომ არ დაეჭირვის, რომ ჰელმწიფეს ცხურის საბალახე ეძლევის და ძროხის ნახირის თავი, და თუ ერთი მეორეს ბალახს დაუჭერს, ესეები ჰელმწიფეს დააკლდების“ (სარგის კაკაბაძე 1913გ: 16; ი. დოლიძე 1963: 524).

გავრცელებული იყო მებატონეთა მიერ მსხვილფეხა საქონლისა და ფრინველის შესანახად მიბარება თრიალეთის მოსახლეობისათვის. სოფ. მეთრევანას ზემოხსენებულ საბუთში ფურისა და კამეჩის მიბარებაზეა საუბარი, საიდანაც მანგლელს გარკვეული რაოდენობის ერბო და ყველი უნდა მისვლოდა. „დასტურლამალში“ კი, საბატონო გამოსაღებთა შორის გათვალისწინებულია ფურის მიბარება და უკვდავად შენახვა; ამისათვის შემნახავს ხბო რჩებოდა, ბატონს კი ყოველი ფურიდან სამი ლიტრა ერბო ერგებოდა წელიწადში, ხოლო მიბარებული ბატიდან – ორი ჭუჭული. 1707 წლის ერთ საბუთში აჯილღისა და კვიცის მიბარებაზეა საუბარი (სურგულაძე 1970: 617-620; სარგის კაკაბაძე 1913გ: 14).

XIX ს-ში თრიალეთის მოსახლეობის თითოეულ კომლზე მოდიოდა 44 სული სხვადასხვა სახელობის საქონლისა. ძროხა იყო ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო. მისგან მიღებული კარაქი და რძის პროდუქტები ანაზღაურებდა აქაური მკვიდრისათვის მოუსავლიანი წლებით მიყენებულ დანაკლისს. ძალიან მომგებიანი იყო მეცხვარეობა იმათთვის, ვისაც ჰქონდა საშუალება ბორჩალოში საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გადაყვანისა; მსხვილფეხა საქონელს კი ადგილზე აზამთრებდნენ ბაგური კვებით. მეღორეობას მისდევდნენ ძირითადად ტყეებთან ახლო მყოფ სოფლებში, მეფრინველეობას კი – ყველგან. თბილისის ბაზარს მთელი წლის განმავლობაში ამარაგებდა იქაური კვერცხი და ქათამი (ერიცოვი 1887: 481-486, 488-489).

ადგილობრივი მესაქონლეობის სრულ განვითარებას ზღუდავდა თრიალეთში საიალაღოდ მომავალი, გამრავლებული ჯოგები ნომადებისა ქვემო ქართლისა და კახეთის ბარიდან. მათი საქონელი იკავებდა არა მარტო ადგილობრივთა საძოვრებს, არამედ ნათეს

ფართობებსაც ემუქრებოდა. ამიტომაც იყო, რომ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, თრიალეთის ეკონომიკური აყვავება, აქაური სოფლების გამრავლება მაშინ ხდებოდა, როცა ადგილობრივი მესაქონლეობა ვითარდებოდა მთისა და ბარის მოწესრიგებული ურთიერთობის პირობებში. ამის კარგი მაგალითია დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი 1123 წლისა: „ასი ფური მომიჴსენებია, რომელ თრიალეთს, მათსა სოფელსა ბჭითს და ბჭითის ზეით სოფლებს და მათსა საფურესა მუხნარს დგეს“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 56). სამეფოდ ქცეული თრიალეთის სოფლებში მღვიმის საქონელია, ის მღვიმისავე მუხრანის საფურეში დგას, ალბათ, ზამთრობით.

ქართლისა და კახეთის მესაქონლენი უძველესი დროიდან სარგებლობდნენ თრიალეთის საძოვრებით; თუშეთისა და ფშავის მეცხვარენი თავფარავნის ტბის მიდამოებში ჩერდებოდნენ; ქციის სათავეების საძოვრები შიდა და ქვემო ქართლის მესაქონლეებს ეჭირათ. საქონლის გადასარეკად მათ ადრიდანვე არჩეული ტრასები ჰქონდათ. შირაქის, ელდარის და ტარიბანის საზამთრო საძოვრებიდან მეცხვარეები თავის ფარებს ასეთი მარშრუტით მიერეკებოდნენ: წითელწყარო, თავწყარო, ლაკბე, ბალბიანი, სამგორი, რუსთავი, იაღლუჯა, მარნეული, სანდარა, წინწყარო, თეთრიწყარო, ბედნიყელი, გოხნარი, წალკა; აქედან იშლებოდნენ ტაბაწყურისა და ფარავნის ტბის სხვადასხვა საძოვრებზე; მეორე გზა მაშავერისხევზე იყო: მარნეული, ყორანთა, ვარდისუბანი, ბაშკიჩეთი, საიდანაც ნაწილდებოდნენ ზურტაკეტისა და ჯავახეთის ქედის საძოვრებზე. ამ გზების გავლას 8-10 დღეს ანდომებდნენ. არჩეული ჰქონდათ ღამისთევის ადგილებიც ჩათმის, დემურდაღის, იაღლუჯის, წინწყაროს, ბედნიყელის, გოხნარისა და წალკის სიახლოვეს.

თრიალეთის ქედზე მიმავალი, კარსან-კლდეკარის შემაერთი გზით მიემართებოდა დიღმის, ძეგვის, ნიჩბისისა და კავთურას ხეობათა, ასევე „მცხეთის ზეით“-ს ცხვარი (შამილაძე 1979: 157, 162-163, 166).

თრიალეთის მეურნეობაში მეორე ადგილი მემინდვრეობას ეჭირა. XVII ს-ის II ნახევრის ერთი საბუთის მიხედვით, ზურტაკეტის სოფლებში დადასტურებულია პური, ქერი, ცერცვი, ოსპი (ივ. ჯავახიშვილი 1974: 70-71). ცნობილია, რომ ვიდრე ლობიო შემოვიდოდა, ქართველების ძირითადი სამარხვო საჭმელი ცერცვი იყო (ივ. ჯავახიშვილი 1935: 8-9). ამიტომ მისი გავრცელების არე თრიალეთში ადრე უფრო დიდი უნდა ყოფილიყო; „დასტურლამალში“ მოხსენიებული „სამარხვოს თესვა“, თრიალეთის სოფლებს რომ ევალებოდათ, სწორედ ცერცვს უნდა გულისხმობდეს (სურგულაძე 1970: 711-713).

თრიალეთის სამეფო სოფლებში საკომლო გადასახადი 40 კოდი პური იყო. თითო კოდი კი 24 ლიტრა გამოდიოდა. ქერის გადასახადი კომლზე 10 ლიტრა იყო; ამას გარდა კომლზე 5 კოდი ქერი ყოველ კომლს

თრიალეთის მოხელეთა სასარგებლოდ უნდა ეხადა (სურგულაძე 1970: 617-620).

XIX ს-ში თრიალეთის მთელი სავარგულების 29% მეხორბლეობას ეჭირა, მაგრამ ყველგან ერთნაირი ვითარება როდი იყო. საპიტიახშოში, მაგალითად, 6-7 წელიწადში ერთხელ მოდიოდა დათესილი ხორბლის მესამედი; თრიალეთის 20 სოფელში მეხორბლეობიდან საერთოდ არაფერი გამოდიოდა. წინწყაროს მიწების 40%, გუნია-ყალაში 60%, თაქ-ქილისაში 76% მიწისა მეხორბლეობას ეთმობოდა. გომარეთი, შედარებით უკეთეს პირობებში მყოფი, ხორბლისათვის თავისი მიწების 52% თმობდა, კაკლიანი – 70%, პატარა გომარეთი – 77%.

მარცვლეულიდან მეორე ადგილი ქერს ეკავა, რომელიც აუცილებელი იყო ადგილობრივი საქონლის გამოსაკვებად, შემდეგ მოდიოდა შვრია და ჭვავი. მცირემოსავლიანობას ემატებოდა ნათესების გადათელვა მესაქონლეთა ჯოგებით, რაც კიდევ უფრო ართულებდა მარცვლეულის პრობლემას (ერიცოვი 1887: 476-481). მოსახლეობა ყოველნაირად ცდილობდა ადგილობრივ პირობებთან შეგუებას, ფართოდ იყენებდა მარცვლეულის შესანახ ორმოებს, რომლებშიც ის აჩქარებდა დათესილი ხორბლის გაღვივებ-გაღოჯვას და ამოსვლას. თრიალეთის ზეგანზე, სადაც ურწყავი მამულები იყო, შემოდგომის ნათესების დაზამთრებამდე დაჯეჯილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამის განხორციელება კი ორმოში შენახული მარცვლის საშუალებით ხდებოდა (რუხაძე, ხაზარაძე 1980: 118).

იქვე ცნობილი იყო „საკორკოტე დღე“, როდესაც მოსახლეობა თესავდა ასლს, საქართველოში ადრიდანვე საყვარელ საკვებს (კეცხოველი 1957: 284).

თრიალეთის ტბებსა თუ მდინარეებში მრავლად იყო თევზი, რომელსაც დიდი რაოდენობით იჭერდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, „არს ტბა ფანავრისა დიდი და თევზით სავსე“, ხოლო ტბა ტბის-ყურისა – „კალმახითა სავსე, დიდ წვრილითა და ფრიად გემრიელითა“; სხვაგან ავტორი შენიშნავს: „იტყვიან ტბის-ყურისას – თამარ მეფემან ჰყო ტბად, ვინათგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციდამ და აწ უქმი არს“. ამ ცნობაზე დაყრდნობით ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს რუ ქციდან ტაბისყურში თევზის მომრავლებისათვის ხელოვნური ღონისძიება შეიძლება ყოფილიყო. ქციის შესახებ ვახუშტი ამბობს, რომ ჩანჩქერის გამო, რომელიც აქამდე მდორე მდინარის ღრმა კანიონში ჩავარდნითაა გამოწვეული, ახალქალაქს „ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი“. მისივე ცნობით, ამ ჩანჩქერით შექმნილ ტბაში ვახტანგ VI-ს კირსაგლის მეშვეობით ერთ დღეში 200 ორაგული დაუჭერიაო (ვახუშტი 1941: 41-43, 60; ნ. ბერძენიშვილი 1964: 220). ვახტანგ VI თავის ლექსში ამბობს:

„შუა ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამც ედარაო,
ჯერ მწყერაობით შექცევა, თუ ცამცა მოიდარაო,
მერმე ქციისა დასაგლვა, ორაგულს ყრიდენ გარაო,
და ჯერით, ზიდვით და აკიდვით ყოვლთ თავი შეაზარაო“
(ვახტანგ VI 1975: 281).

ზურტაკეტის კალმახის კიდევ ერთ საოცარ თვისებას აღწერს ვახუშტი. მისი სიტყვით, დაბა ყარაბულახს „ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა, არამედ სამჴრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი, და უკუთუ ჩასვა ჩრდილოსი სამჴრით, გაშავდების და სამჴრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდების“ (ვახუშტი 1941: 41).

„დასტურლამალის“ მიხედვით, თევზის საჭერად და თბილისს ჩამოსატანად ხალხი იყო გამოყოფილი თრიალეთის სამეფო თუ სადედოფლო 15 სოფლიდან. მათ კვირაში ერთი საპალნე (21 ფუთი) თევზი უნდა მოერთმიათ სამეფო ოჯახისათვის. ამ საქმეს ზურტაკეტელი მებატონე ლარაძე და წალკელი ეპისკოპოსი მოთავეობდნენ (ი. დოლიძე 1965: 262; სურგულაძე 1970: 509).

კლიმატური პირობების შეზღუდულობის მიუხედავად, თრიალეთის ზოგ სოფელში მაინც აშენებდნენ ბაღ-ბოსტნებს. 1702-1703 წწ. საბუთებში იხსენიება ბოსტნისა და საბოსტნე მიწის გაყიდვა, აქვე ნახსენებია ნიგვზნარი და ვენახიც. ესენი ზურტაკეტის სოფლებში რევაშენსა და საჭეში ყოფილა; ვენახი, ნიგვზნარი, მარანი და ქვევრი იხსენიება 1736 წლის კიდევ ერთ ნასყიდობის წიგნში, რომელიც ისევ ზურტაკეტის სოფ. ნიაწარს ეხება (თაყაიშვილი 1909: 188-189, 196, 388-389). ასეთი მიწები, ალბათ, მზიანსა და ქარისაგან დაცულ კანიონებში იყო; მართლაც, გიორგი ლარაძე 1792წ. თავის ანდერძში, დიდი ეგრისის მახლობლად იხსენიებს ჭალაში ზვარსა და ორ დოლაბს (თაყაიშვილი 1899: 294). გომარეთის ტოპონიმიაში შემორჩენილი ბოსტნების სახელები სულ ხევებშია გაფანტული.

XIX ს-ში თრიალეთის მებაღე-მებოსტნეობას იქაურ მიწების მხოლოდ 11 დესეტინა ეჭირა (ერიცოვი 1887: 486-487), მაგრამ ასე არ იქნებოდა ძველად. გარდა ზემოაღნიშნული კლიმატური ცვლილებებისა, აქ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ძველი, მკვიდრი მოსახლეობის შეცვლას XIX ს-ში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი თრიალეთის სოფლებში ქციის ზემო წელზე (ნარდევანი, კუშჩი) ზოგიერთი ჯიშის ხილი ხარობს.

ყვავილოვანი მდელოების სიჭარბე იქაურ მოსახლეობას ძველი დროიდანვე უბიძგებდა მეფუტკრეობის განვითარებისაკენ. იქ წესად ყოფილა ფუტკრის მიბარებაც. „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „აბულაშვილისათვინ რამდენი სკა თაფლად აწერია და მიგვიბარებია, იმდენი სკაზედ ჩარექ-ნახევარი სანთელი ჩვენს ქარხანაში მოაბაროს.

და სხვა ნაყარი თაფლი, ზიანი და სარგებელი მისი არის. ჩვენი თავნი ფუტკარი კი ნუ მოიშლება (სურგულაძე 1970: 536). აქ ნახსენები აბულაშვილები ზურტაკეტელი მებატონეები იყვნენ, ყმების მფლობელები იყვნენ სოფ. საჭესა და მაჩქათელაში (ლორთქიფანიძე 1938: 234).

XIX ს-ში მეფუტკრეობას მისდევდნენ თრიალეთის უმეტეს სოფლებში; იქაური თეთრი თაფლი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა (ერიცოვი 1887: 489-490), დიდი გომარეთის ტოპონიმიაში ერთი საძოვრის სახელად დღესაც გაისმის „საფუტკრის კლდე“.

ვახუშტის ცნობა თრიალეთურ სოფლებში სელისაგან ზეთის წარმოების შესახებ სხვა ცნობებითაც დასტურდება. სოფ. უწყლოს და საბატეს შუა „დასტურლამალი“ იხსენიებს გელაზის ქვას (ი. დოლიძე 1965: 225), რომელიც მაშინ უკვე მიტოვებული და უხმარი ჩანს. 1713 და 1755 წლების განჩინებებში, მაღალაძეთა გაყრას რომ ეხება, სოფ. ახაშენში იხსენიება საჭდელი (ი. დოლიძე 1972: 253-441; მოლოდინი 1980 ტაბ. XVIII-XIX), რაც ზეთის საწარმოს ხალხური სახელია; სელის ზეთის წარმოების მეტყველი ნაშთებია მრავალრიცხოვანი გელაზის ქვები, რომლებიც დღესაც იპოვება თრიალეთ-ზურტაკეტში.

საბუთებში იშვიათად გვხვდება ცნობები მოსახლეობის მიერ იქაური წიაღისეულის ათვისების ან დამუშავების შესახებ. 1524 წლის ერთ საბუთში საუბარია თრიალეთის ნასოფლარ თურანის შეწირულებაზე. მის მიმღებს უფლება ეძლევა სოფელ „ჭიტის სადოლაბელის წყალზედ, სადაც უნდოდეს დოლაბი აღაშენოს“ (ცსა ფ. 230 (5), დავთ. 2a, 2b, საქმე 21, 23v-24v, 62r-66r). ჩანს, საწისქვილე ლოდების მოტეხვასა და დამუშავებას მიუცია სახელი ამ ხევისათვის. სადოლაბელის წყალი დღეს არავინ იცის.

ზურტაკეტსა და თრიალეთში ორი სოფელი იყო სარკინეთის სახელწოდებით. საქართველოს სხვა ადგილების მსგავსად, აქაც ეს ტოპონიმი რკინის მადნის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა იქ მისი მოპოვება ან დამუშავება; ამ უკანასკნელს თითქოს ხელს შეუშლიდა საწვავი ტყეების სიშორე, თუმცა არაპირდაპირი საბუთი მაინც არსებობს: 1703 წ. მამუკა აბულაშვილი თავის სიძეს – სვიმონ ამირეჯიბს მიმართავს: „მოგყიდეთ საჭეს ჩვენი მკვიდრი და ალალი ნაფუზარი სოღმანაური, იქით ბოვის პირამდი“-ო (თაყაიშვილი 1909: 196). საბა განმარტავს: „ილეკროს გამოსადნობი პირველ. ბოვი არს, სადა ოქრო, ვეცხლი, ბრპენი, სპილენძი და მისთანანი ითხრების და გამოიდნობის“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991). საფიქრებელია, საჭეში რომელიღაც მადნის გამოდნობა სწარმოებდა.

1707 წ. უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერს, ქართლის მეფემ შესწირა თრიალეთის სახასო სოფელი უზნარიანი. მან ის ყოველგვარი გადასახადისაგან გაათავისუფლა: „არა ეთხოებოდესრა... არცა სეფისმუშაობა, არა ლეწვა, არცა ნახშირი... არა ოქრო და ვერცხლი,

არა რკინა და სპილენძი, არა კალა და ტყვია, არა პირუტყვი, არცა ფრინველთაგანი“ (სარგის კაკაბაძე 1913გ: 14). გადასახადში ჩამოთვლილ ამ მადანთაგან, შესაძლოა რომელიმე თრიალეთშიც იპოვებოდა; მისი არსებობის შემთხვევაშიც უფრო მოპოვება უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე დამუშავება...

ვახუშტისეულ აღწერაში ნათქვამია, რომ ტყის ნაკლებობის გამო, ადგილობრივნი სწვავდნენ წივას. XIX ს-შიაც ზურტაკეტისა და, ნაწილობრივ, თრიალეთის სოფლები სარგებლობდნენ ქციისა და ალგეთისხევის ტყეებით; დანარჩენები ტყეს ყიდულობდნენ საციციანოს, საჯავახიანოს, სათარხნოს მასივებიდან, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთით. ტყით სარგებლობისათვის მათ მფლობელებს თრიალური სოფლები, ძველი წესების მიხედვით, ფულთან ერთად უხდიდნენ ნატურით გამოსაღებს – მარილის, კარაქის, ცხვრისა და თაფლის სახით (ერიცოვი 1887: 440).

დამოუკიდებელი სამეურნეო მნიშვნელობის გარდა, თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოსათვის სხვა მხრივაც იყო განსაკუთრებული პროვინცია: „გეოგრაფიული ცენტრი, უმაღლესი ზეგანი, ოთხივე მხრით წყალგამყოფი ტერიტორია, მის გარშემო მდებარე ქვეყნებს (ზემო, შიდა და ქვემო ქართლს) ბუნებრივად ჰყოფდა და აკავშირებდა. გასაგებია თუ ... ეს ბუნებრივი გზასაყარი უძველეს დროიდანვე გზებით დაიქსელა. თრიალეთზე მიმოდიან სავაჭრო ქარავნები, ქართველთა ლაშქარი და უცხო დამპყრობელნი ოთხივ მხრივ... საი-დანაც უმარჯვესი გზები მიდიან“ (ნ. ბერძენიშვილი 1966: 65-66).

თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ გზები მიჰყვებოდა ყოველ ხეობას, ზოგს არაერთიც. ჯამჯამის მთიდან ერთი ასეთი გზა ძამის ხეობაში ჩადიოდა, რომელსაც მზოვრეთზე უნდა გაევლო. 1662 წლის საბუთში ნათქვამია: „რომელმანც მგზავრმა თრიალეთიდამე მზორეთსა ზედა და ან ქვეშეთ ჩამოიაროს, იმისიც ბაჟის მესამედი კათალიკოზისა არის“ (ი. დოლიძე 1965: 225).

ასევე ჯამჯამის მთით გადადიოდა გზა ტანის ხეობაში, რომელიც ბობნევის გავლით ატენს მიადგებოდა. სწორედ ამ გზით მოხდა X ს-ში რატი ბაღვაშის მიერ ატენის დაუფლება. XI ს-ში ლიპარიტ ბაღვაშმა და მისმა მომხრე აზნაურებმა „მოვლეს ზემო ქვეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს“ (მატიანე ქართლისა 1955: 298). ზემო ქართლიდან ლიპარიტს თრიალეთზე გამოუვლია და იმავე გზით ჩამოსულა ატენში (ტუსრებისა და საპონაურის გზები).

თრიალეთიდან თეძმის ხეობაში გარდამავალი ბილიკები მრავლად იყო, მაგრამ ისინი მაინც ორ მთავარ გზას უერთდებოდა. პირველი, ჭვარებისა და დეკციხის გავლით, რკონის მონასტერსა და მისსავე ციხეზე ჩამოივლიდა, მეორე კი კლდეკარიდან სალომია-სამაჭალოზე გამოდიოდა. XVII ს-ის ბოლოს ქართლის მეფე გიორგი თრიალეთზე კლდეკარს იდგა. აქედან „წაბძანდა მეფე გიორგი, ჩაიარა კრკონს...

აჰყარა რძალი... და თვითან გარდვიდა იმერეთს“ (სეხნია ჩხეიძე 1903: 7-8).

ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონია კლდეკარიდან კარსან-მცხეთაში მიმავალ გზას, რომელიც თრიალეთის ქედის ერთ-ერთ თხემს მიუყვებოდა დიდგორის, ლელობის და საყარაულო მთის გავლით. სწორედ მას გამოეყოფოდა კავთურას, ნიჩბისისა და ძეგვის, ასევე დიღმის და ვერის ხევებში ჩამავალი გზები. ამათგან პირველს უნდა გულისხმობდეს ბაგრატ ბატონიშვილი, რომლის მიხედვით, 1805 წ. „მიუწერა ყაენმან და მიუბოძა ხალათიც მეფის ძეს ფარნაოზს, რათა წარავლინოს არაგვსა ზედა და შეუკრას რუსთა გზა არაგვისა. ამისი მსმენელი მეფის ძე ფარნაოზ წარვიდა ფამბაკით და გარდაიარა თრიალეთი (ტაშირ-ზურტაკეტის გავლით – დ. ბ.), და კავთის ხევზე ჩავიდა აღვიდა არაგვსა ზედა და იწყო მუნ მაგრება“ (ბაგრატ ბატონიშვილი 1941: 41).

კარსან-თრიალეთის შემაერთი მოკლე და მოხერხებული მონაკვეთი დიდი მაგისტრალისა,სავაჭრო-სამიმოსვლოსთან ერთად,ძველი „ცხვრის გზაც“ იყო. მემატიანის ცნობა XI ს-ის ამბებთან დაკავშირებით, ამავე გზას გულისხმობს: ჯავახეთში დლივს მყოფი ბაგრატ III „წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჰიდი მცხეთისა“ (დ. მუსხელიშვილი 1966: 181-185).

თრიალეთიდან ალგეთისხევზე ერთი გზა კლდეკარის გავლით კოდისწყაროზე ჩამოივლიდა მანგლისისაკენ; მეორე ბარეთის ტბის ჩრდილოეთით, ლივადის მთიდან გოხნარს გამოუვლიდა. ამ გზაზე ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია სოფ. სამადლო. მეორე ასეთივე სახელი ალგეთის ხეობისა და სკვირეთის წყალგამყოფზე, ავტორის განმარტებით, ასე „იწოდების მუნ ფუნდუკისათჳს“ (ვახუშტი 1941: 47). ამის ანალოგიით თრიალეთის სამადლოშიაც ოდესღაც ფუნდუკი უნდა ყოფილიყო. მესამე გზა წალკა-მანგლისს შორის ოდესღაც მოქმედი ტრასის ადგილზე უნდა ყოფილიყო: ბეშქენაშენიდან იმერასაკენ, მერე ბედენის ქედის ჩრდილოეთით ის გოხნარით ან ზის ხეობით დაეშვებოდა. XIX ს-ში ეს მთავარი გზა იყო ალგეთის ხეობაზე (ფილიპოვი 1872: 290-297).

თრიალეთიდან სამშვილდისაკენ რამდენიმე გზა იყო. ერთი მათგანი ეძანიდან ბედენის პლატოზე გავლით ნადარბაზევს ჩაუვლიდა (აქ სამეფო საზაფხულო სადგომი იყო) და ჭივჭავას ხეობით სამშვილდეს მივიდოდა. აქეთ და მერე თბილისისაკენ მიმავალ გზათაგან ეს ყველაზე მოხერხებული მარშრუტია. ასე იყო XIX ს-ში (ფილიპოვი 1872: 290-297) და, ჩანს, XVIII ს-შიაც: 1750-იან წლებში ლეკები წალკის ციხიდან არბევდნენ ქართლს. თეიმურაზი და ერეკლე ტაბახმელაზე დადგნენ. აქედან „მეფენი წაბძანდნენ... ლეკის თავდასასხმელად. წალკას ბედენის მთაზე რომ აბძანდენ, იგრძნეს ლეკთა და გაიქცნენ (პაპუნა ორბელიანი 1981: 220). ამ გზას ემთხვევა მარაბდა-წალკა-

ახალქალაქის რკინიგზის ერთი მონაკვეთი.

ახალიკიდან ხორხების ციხეზე გამოვლით კლდეისში შეიძლებოდა ჩასვლა, მისი ხევითა და ქციის დაყოლებით კი ისევ სამშვილდეს მივიდოდა გზა. თრიალეთის ახალქალაქიდან (ტაშ-ბაშ) ქციის ხეობით მოდამნახის ციხესთან გამოვიდოდა კიდევ ერთი გზა (დღევანდელი შოსეც ასე გამოდის), რომელიც მდინარის ნაპირით, ან ირაგის ხეობით კვლავ სამშვილდესთან გავიდოდა.

გომარეთიდან კარწახისხევით შეიძლებოდა ჩასვლა მოდამნახის ციხესთან, აქედან კი – ქციის დაყოლებით... კარწახისხევზე ქციიდან ამოსული გზა სოფ. უზნარიანიდან გრძელდებოდა ეძანისაკენ. 1707 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: „უზნარიანიდამ სათრიალეთო ეძნისაკენ რომ დიდი შარა წამოვა და დიდს ღელეს გამოიარს, ის ღელე და გზა რომ შეიყრების... იმ ღელის გზამდე... გაუსამძღვრეთ“-ო (სარგის კაკაბაძე 1913გ: 12-14). გომარეთიდანვე სხვა გზა ქედ-ქედ მიდიოდა, წმ. გიორგის ეკლესიას გაუვლიდა და ქციაზე ჩადიოდა ვარდისუბნის მონასტერთან. აქედან კლდეისში შეიძლებოდა ასვლა, ან ქციითა, თუ ირაგისხევით სამშვილდისაკენ; გომარეთიდან რევაშენზე გავლით კიდევ ერთი გზა ჩადიოდა ქციაზე. აქ ზეგანზე ამოსასვლელს კოშკი იცავდა. თეთრიწყაროდან გომარეთს მიმავალი გზა-შარა დღესაც ასე მიემართება. ზურტაკეტისწყალს მიჰყვებოდა გზა,რომელიც ლიპარიტის უბანთან ქციაზე ჩადიოდა. ის ციხე-ქვაბის გამოვლით სოფ. საჭესთან მდგარ კიდევ ერთ ციხეს ჩაუვლიდა. ამ გზაზე იყო ლარაძეების სოფელი ეგრისი, ასევე სასახლე და მონასტერი ლიპარიტის უბანს. 1703 წლის ერთ საბუთში სოფ. საჭესთან იხსენიება „სახნავი... გზის პირამდის, ზეითი გვერდი სოფლის სანახირო გზა რომ ჩამოივლის ხრამისაკენ“ (თაყაიშვილი 1909: 196). 1763 წლის მეორე საბუთში კი ნათქვამია: „ციხე-ქვაბიდამ საქალაქო გზა რომ წამოვა, გაღმითკენ იოსების ხევი... არის... სამხრით მდინარე ზვირთაკეტა“ (თაყაიშვილი 1899: 289-290).

ზურტაკეტიდან დმანისხევში ორი გზა გადადიოდა: ერთი ორომაშენიდან გეტისხევში, დარბაზისა და ქვეშის ციხის გავლით, მეორე კი – ყარაბულახიდან მუსის ციხით ბაშკიჩეთში. ამ გზას გულისხმობს ვახუშტი 1695 წლის ეპიზოდში: „ნაზარ-ალიხან და ქალბალიხან შემოვლნეს სომხითი, დბანისჴევი და დადგნენ ყარაბულახს“ (ვახუშტი 1973: 472). წალკიდან სამხრეთით მიმავალი გზა ზურტაკეტისა და დმანის-ხევის გადავლით ტაშირში ჩადიოდა, იქიდან კი – სომხეთისაკენ, ან დებედისხევში შეიძლებოდა შემოსვლა. XVIII ს-ის 50-იან წლებში ლეკები წალკიდან არბევდნენ გარშემო ქვეყნებს; ქართველთა ჯარის გამოჩენაზე „აიყარნენ ღამე ლეკნი, წაიღეს ეს ნაშოვარი, გაიარეს დმანისის თავს, მთის ძირზე, ტაშირზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპატისა ხეობაზე“, წერს პაპუნა ორბელიანი (პაპუნა ორბელიანი 1981: 220). „დმანისის თავი“ აქ ქალაქს კი არა, ხეობას

გულისხმობს, ისევე როგორც XIII ს-ის ერთ საბუთში – „დმანისის პირს სოფელი ორომაშენი“ (ი. დოლიძე 1970: 156). ეს სოფელი ზურტაკეტშია, სადაც XIX ს-შიც მიდიოდა წალკიდან გზა, შემდეგ ბაშკიჩეთ-შახნაზარ-ვორონცოვკა-ჯალალ-ოღლით დებედისხევზე გადიოდა, ან სომხეთში – ბეზობდალის გადასასვლელით (ფილიპოვი 1872: 320-324).

ზურტაკეტიდან დასავლეთის მიმართულებით გზა ფარავანში გადადიოდა. ვახუშტის ცნობით, „აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს“ (ვახუშტი 1941: 40). ქარვასლის მოზრდილი შენობის ნანგრევი მართლაცაა შემორჩენილი სოფ. სალამალეიქის დასავლეთით. მისი ზომებია: დაახლ. 30მX15მ; აქვს ორი ფართო კარი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში, რაც გზის მიმართულებას ემთხვევა. ამ შენობის აგების შემდგომ ხევს, რომელსაც ეს გზა მოჰყვებოდა, ფუნდუკისხევი დარქმევია. ფარავნამდე გზა გაუვლიდა მოზრდილ ბაზისში ჩასმულ ქვის ჯვარს, რომელსაც დამდგმელის წარწერა ახლავს (დ. ბერძენიშვილი 1982: 17-19). შეიძლება ეს ძეგლიც გზასთანაა დაკავშირებული და იმ ეპოქისაა, რომლისაც ზურტაკეტის ქარვასლა. ამ ჯვრის მერეა დაახლ. 3,5 კმ-ზე ფარავნის ქარვასლა. ჩანს, უმოკლესსა და ადვილსავალ გზას არც გვიან დაუკარგავს მნიშვნელობა. ამაზე მიუთითებს მისალმების თურქული ფორმა, რომელიც ფუნდუკის სიახლოვეს მყოფ, ძველ ქართულ ნასოფლარზე გაშენებულ სოფელს ეწოდება – სალამალეიქ (მშვიდობა თქვენ).

ფარავანში მეორე გზაც გადადიოდა: ის წალკიდან ნარდევანს მისული, დაახლ. დღესაც მოქმედი გზის მიმართულებით მიადგებოდა უღელტეხილთან მდგარ მონოლითს, რომელსაც ახლა თიქმა-დაშს (ამართულ ქვას) უწოდებენ. აქედან დაეშვებოდა ფარავნისაკენ. სწორედ ამ გზას უნდა გულისხმობდეს „დასტურლამალის“ ბოლო თავის ერთი ადგილი, თრიალეთის სოფელთა საზღვრებს რომ ეხება: „ჰევღრმას შუა ქუემო ლოშისაკენ გორა არის... იმას ზეით ხარაზიანი შესდევს... იმას ზემო ფარავნის გზა შესდევს, იმას შეეყრება, მაღლა მთაში გზის პირს დიდი ქუა არის სამძღუარათ გაგვიჩენია“ (ი. დოლიძე 1965: 327). სულხან-საბას განმარტებით, „ხარაზანი - ლოდნი, წარიგებით ჩასხმულნი გრძლად საზღვართაებრ“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993).

ამ გზის არსებობის უფრო ძველი დადასტურება „ქართლის ცხოვრებაშიც“ გვაქვს: VIII ს-ში არაბთაგან შევიწროებული აშოტ კურაპალატი ქართლიდან ფარავნის ტბის გზით გარბის (სუმბატ დავითის ძე 1955: 376); XI ს-ში ლიპარიტ ბაღვაშიც თრიალეთიდან ამ გზით მიდის ჯავახეთის ფოკაში – ფარავნის ტბის განაპირა სოფელში (მატიანე ქართლისა 1955: 300).

წალკიდან ფარავანს გადასული გზა სამხრეთით აბოცისაკენ მიემართებოდა, მერე კი – სომხეთში. 1393 წ. თემურლენგი სომხეთის

აოხრების შემდეგ „წარმოემართა ქართლსა ზედა... გარდამოვლო აბოცი... ჩამოვლო თრიალეთი“, საბარათიანო და მოადგა თბილისსო, გვამცნობს ბერი ეგნატაშვილი (ბერი ეგნატაშვილი 1959: 328).

წალკიდან თეზის (ამჟ. ავრანლო) და საპიტიახშოს გავლით გზა ტაბაწყურში გადადიოდა; აქედან ჯავახეთის ახალქალაქისაკენ ან გუჯარეთისაკენ შეიძლებოდა წასვლა. გუჯარეთისაკენ სხვა გზა რეხასა და ნარიანის გავლით იმ უღელტეხილს გადაივლიდა, რომელსაც ქვაჯვარს უწოდებენ. აქ მართლაც დგას მაღალი ლოდი (1,75 მ), რომელზედაც მოგრძო ჯვარია გამოსახული. საფიქრებელია, ის აქ გზის მაჩვენებლად იყოს აღმართული. ვახუშტის ცნობით, 1695 წ. ყიზილბაშებს ქართველები დაუმარცხებიათ ყარაბულახში. იქიდან მათ ქაიხოსრო ციციშვილი გამოუგზავნიათ ჯარით. „ამან გარდმოვლო მთა თორისა, გუჯარეთსა ზედა“ (ვახუშტი 1973: 473). ცხადია, ზურტაკეტიდან ეს გზა თრიალეთის გამოვლით ჩადიოდა გუჯარეთში.

გზების ასეთი სიჭარბე თრიალეთის პატრონს ყოველთვის აძლევდა შემოსავალს ბაჟის სახით. „დასტურლამალის“ მიხედვით „თრიალური ბაჟი ასე აიღება: აბრეშუმისა და ლანდრის საპალნეზედა თვითო აბაზი; სხვა რაც საპალნე იქნების, ოროლი შაური. ამის აღებაზედ თვითო წალკელის კაცი გაუყრელად იქნებოდეს. რაც ბაჟი დაგროვდებოდეს, ორს წილს საბატონოდ წამოიღებენ და მესამედსა წალკელი წაიღებდეს (სურგულაძე 1970: 619-620). ეს ბაჟი კი აიღებოდა როგორც მოგზაურთა მცირე ჯგუფების, ასევე დიდი ქარავნებისაგან. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს 1750 წლის ამბავს: „გამოვიდნენ ლეკნი... საციციანოს მიუხდენ, მრავალი წამოიღეს, თრიალეთზე დიდი ქარავანი წაახდინეს. მოვიდა ერთი ჯარი ლეკისა, რომელსა წაეხდინათ საციციანო და ქარავანი აზრუმს მიმავალი, ალგეთზე. მარნეულის ბოლოს რომ ჩამოვიდნენ“, თეიმურაზ მეფის ლაშქარმა ამოწყვიტაო (პაპუნა ორბელიანი 1981: 175-176).

* * *

უძველესი ავტორი, რომელიც თრიალეთს იხსენიებს – პლინიუს უფროსია (ახ. წ. I ს.). მისი სიტყვით, იბერიაში ყოფილა „თასისა და თრიარის ოლქები“, (ლატიშევი 1949: 298) ე. ი. ტაშირი და თრიალეთი.

სომხური წყარო მას იხსენიებს, როგორც „თრელქ“, ქართულში კი ყველგან თრიალეთია, საიდანაც უნდა იყოს მიღებული არაბული „თარიალით“, რომელიც IX ს-ის არაბ ისტორიკოს ბალაზურისთან გვხვდება (სილაგაძე 1971: 82).

ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, თრიალეთი ეკუთვნის სახელწოდებათა ჯგუფს, რომლებიც „თრ“ → „თორ“ ფუძიდანაა წარმოებული. ის სომხურსა და ქართულში კარგადაა ცნობილი (თორი, თორთუმი),

მისგანაა ნაწარმოები ყველა ის სიტყვა სომხურში, რომლებიც სველს ნადენს, დაღვრას გამოხატავს. თრიალეთიც სწორედ ასეთი მხარეა, თავისი ტბებითა და წყაროებითო (მელიქსეთ-ბეგი 1934).

გ. მელიქიშვილი ფიქრობდა, რომ თრიალეთი შეიძლება დაკავშირებულ იქნას თრაკიულ-კიმერიული ტომის, ტრერების სახელთან. ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოდან ა/კავკასიაში ხდება ხალხთა დიდი მასების შემოჭრა ჩრდილოეთიდან, რომლის ნაწილი საქართველოსა და მის მეზობელ ადგილებშიაც დამკვიდრდა. ამ რაიონების მატერიალური კულტურა კი მკაფიოდ ავლენს სკვითურ-კიმერული ელემენტის აქ არსებობასო (მელიქიშვილი 1965: 85).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ თრიალი, თრიალა სახელი გვხვდება ნიგალსა და სამცხეშიაც. პირველში ის მთას ეწოდება, წყალგამყოფს მურღულისა და ხატილას ხეობისათვის; იქვეა თრიალისწყალიც. სამცხეში კი, ქვაბლიანისხევის მარჯვნივ, თრიალი ჰქვია ტბებიან ზეგანსა და ნასოფლარებს.

1259 წ. ძაგან აბულეთის ძე მღვიმისადმი დაწერილში იხსენიებს თრიალულ მიწას ქართლში; ე. ი. თრიალი, ან თრიალა ყოფილა თხოთისა და ანგროინის სიახლოვეს (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 140). თრელიგორები არის დიღომთანაც. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ამ საერთო ძირის მქონე სახელები, შესაძლოა, არცაა ტრერების ნაკვალევი.

სახელი წალკა თრიალეთის აღსანიშნავად პირველად გვხვდება XII ს-ის ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში, მთარგმნელის დამატების სახით: ლეონტისეულ ქართულ ტექსტშია – „შეკრბეს ორნივე სპანი თრიალეთს“, სომხური თარგმანი კი ასეთია – ადრიკი „შეებრძოლა არბაკს თრიალელთა ქვეყანაში, რომელიცაა წალკელთა“ (ი. აბულაძე 1953: 44). ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ სახელწოდებასაც ქართულ „წყალს“ უკავშირებდა და თვლიდა, რომ გეოგრაფიული ერთეულის ორსავე სახელს (თრიალეთი, წალკა) საფუძვლად უდევს წყლის ცნება (მელიქსეთ-ბეგი 1934).

უფრო სწორი უნდა იყოს ხსენებული ტოპონიმის დაკავშირება ბალახის სახეობასთან, რომელსაც წალკი ჰქვია. საქართველოში არაერთგან დასტურდება „საწალიკის მთა“ (შდრ.: „ნარიანი“...) (ნ. ბერძენიშვილი 1964: 31; ივ. ჯავახიშვილი 1935: 102). იმისთვის, რომ მხარის ზოგად სახელად ქცეულიყო, ჯერ თვით პუნქტი წალკა უნდა გამხდარიყო თრიალეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრად, რაც XI-XII საუკუნეებშია სავარაუდო.

თვით თრიალეთის სხვადასხვა ნაწილთა საკუთარი სახელები ამ მხარის მიკროქვეყნების არსებობაზე მიუთითებს. ასეთებია ფარავანი, ტაბისყური, ნარიანი, ზურტაკეტი...

ქართულ წყაროებში ფარავანი სხვადასხვა ფორმით იხსენიება: ფანავრა, ფანვარი, ფანავარი, ფარავნაჲ, ფარავანი (ლეონტი მროველი

1955: 10, 24, 85; ჯუანშერი 1955: 205; მატიანე ქართლისა 1955: 290; მოქცევაჲ ქართლისაჲ 1964: 116) ეს უკანასკნელი წინარე ფორმებისაგან მეტათეზისის გზითაა მიღებული (შდრ.: მუხნარი – მუხრანი) (ჭუმბურიძე 1966). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე ერქვა ერთ-ერთ სოფელს ამ ტბის ნაპირზე, შემდეგ კი ტბაზედაც გავრცელდა იგივე სახელი. უფრო გვიანი უნდა იყოს სახელწოდება თაფარავანი, რაც შესაძლოა ტბა-ფარავანისაგან იყოს მიღებული (ნ. ბერძენიშვილი 1964: 302; ჯიქია 1958: 345-348).

სახელი ტაბისყური, ტაბასყური (შემდეგ ტაბაწყური) უნდა რქმეოდა სოფელს ამ ტბის ნაპირას, ტბის ყურეს მნიშვნელობით. შემდეგ ის ტბაზედაც გადაიტანეს: ტაბისყურის ტბა (შდრ.: ფარავნის ტბა) (შანიძე 1981: 492).

იმასვე ვერ ვიტყვით ზურტაკეტზე. ვახუშტისა და სხვა წყაროების მიხედვით, ასეთი სახელი მხოლოდ მდინარეს ჰქვია. ერთ საბუთში დამოწმებული „მდინარე ზვირთაკეტა“ (თაყაიშვილი 1899: 289-290), რაც გაუგებარი ჰიდრონიმის ხალხური ეტიმოლოგია უნდა იყოს.

ჯერ კიდევ XIX ს-ში ღ. ალიშანმა, XX ს-ში კი ს. ერემიანმა ზურტაკეტის სახელი ცურტავს დაუკავშირეს. ამ უკანასკნელის აზრით, ვახუშტისთან მოხსენიებული ზურტაკეტი სომხური „ცურტაგეტის“ თურქული გამოთქმაა; ამჟამად მას ყარაბულახ-ჩაი ეწოდება და უერთდება მდ. ხრამს (ქცია), რომელსაც, ასევე, ცურტაგეტი ერქვაო (ერემიანი 1963: 87; იაკობ ცურტაველი 1978: 055). მაშასადამე, სახელი აქ გააზრებულია, როგორც ცურტავის მდინარე (სომხ. გეტ-მდინარეა), ალბათ უხტანესის „გაჩენაგეტის“ (გაჩიანის მდინარის) ანალოგიით.

მ. ჯანაშვილის მოსაზრებით, „ზურთა-კეტი“ (კეტი-კერტი-ციხე, სიმაგრე) უნდა იყოს ცურტავი (ჯანაშვილი 1906: 259).

ძნელია ამ ვარაუდების გაზიარება, რადგან არცერთ წყაროში ქციის ასეთი სახელი დადასტურებული არ გვაქვს; თუ კი ის მართლაც ამ მდინარის მხოლოდ ერთ შენაკადს შემორჩა მის ზემო წელზე, მაშინ ცურტავიც გომარეთის მაღალმთიან პლატოზე უნდა გვეგულისხმა; სხვა მონაცემთა გათვალისწინებით კი ეს წარმოუდგენელი ჩანს.

ზურტაკეტის მეორე სახელი – ყარაბულახი თურქული წარმოშობის გვიან შერქმეული ჰიდრონიმია, რომელსაც ვახუშტი თარგმნიდა როგორც „შავი წყარო“. მის ნაპირზე მყოფ მნიშვნელოვან დაბასაც მაშინ უკვე ყარაბულახი ერქვა. აქედანვე წარმოდგა XVIII ს-ის წყაროებში დადასტურებული „ყარაბულახის ხეობა“.

სამხრეთ საქართველოს ზეგანზე მცირე ხევების ტერიტორიულ ერთეულებად ჩამოუყალიბებლობა ზემოთ აღინიშნა. სამაგიეროდ, იქ ასეთი ერთეულები მცირე ქედებით ფიზიკურ-გეოგრაფიულად გამიჯნული ქვაბურებია: ნარიანი, საპიტიახშო, რეხა-ცხვარეთ-საპონაური, ბარეთი, ყარაბულახის ორი სანაპირო... ამათგან ზოგიერთი საციხის-თავო ადმინისტრაციულ მიკროქვეყნად ჩამოყალიბდა. ეს კარგად ჩანს

ფარავნისა და ტაბაწყურის მაგალითებზე: მთა-გორებით მოზღუდული ეს ქვერაიონები მცირე წყლების შემკრები ტბის აუზებია. ამ ტბათა ირგვლივ მდებარე სოფლები ადრიდანვე ქმნიდნენ ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც ამავე ტბათა სახელებს, ან იქაური ცენტრების სახელებს ატარებდნენ (შდრ.: ჯავახეთში კარწახის, ხანჩალის, საღამოს ტბები, ან ბაზალეთი, ერწო, პალაკაციო...) ფარავნისა და ტაბაწყურის საციხისთავო ერთეულების არსებობას მოწმობენ ციხეები ფოკასა და ტაბაწყურში. ზემოხსენებულ ერთეულებს „მატიანე ქართლისას“ ავტორის სიტყვით, ერქვა „ქუეყანანი თრიალეთისანი“, რაც იქაური მცირე ქვეყნების ერთობლიობას გამოხატავდა.

მიუხედავად წყაროებში მოგვიანებით გამოჩენისა, ფარავნის ქვერაიონის ადამიანის მიერ ძველთაგან ათვისებაზე იქაური ძეგლები მეტყველებენ. ტბის მიდამოებში აღმოჩენილია აშელისა და მუსტიეს „ღია“ სადგომები ჭიქიანის მთასთან (საქართველოს არქეოლოგია 1991: 120). ტბის ირგვლივ ყორღანული ველია, სადაც ეს უძველესი სამარხები ზოგან ჯგუფებად, ზოგან კი ცალ-ცალკე გვხვდება.

სოფ. როდიონოვკის (ფარავანი) მახლობლად აღმოჩნდა გვიან-მეზოლით-ადრეენეოლითური მასალა (საქართველოს არქეოლოგია 1991: 230).

ფარავნის ერთეულის ძველი დროიდან არსებობაზე კარგად მეტყველებს შაორის ციხე, ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის წვერზე აგებული (2751 მ). მშრალი წყობით ნაშენი ეს სიმაგრე ძვ.წ. II-I ათასწლეულს შეიძლება მივაკუთვნოთ. ის, შესაძლოა, წარმოადგენდა გვარებად დასახლებული სოფლების ტომობრივი გაერთიანების რელიგიურ-ადმინისტრაციულ ცენტრს (დ. ბერძენიშვილი 2006: 226-227, 242-243) რომელსაც შიშიანობის დროს თავსაც შეაფარებდნენ.

შესაძლოა, შაორის შემდეგდროინდელი ფარავნის ერთეულის ცენტრმა ფოკაში გადაინაცვლა. ამაზე უნდა მეტყველებდეს სოფლის განაპირა გორაკზე შემორჩენილი, ოვალური ფორმის მშრალი წყობის გალავანი. კედლის შიდა და გარე საპირე ქვები აქ მოზრდილი ლოდებია, შუაში კი ჩაყრილია ხურდა. ყველაზე მაღალ ადგილას თითქოს ნაკოშკარის ბუდეა. ანაკრეფ კერამიკულ ფრაგმენტებში არის გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის, შუა საუკუნეთა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიც. ისინი, წერილობით წყაროებთან ერთად, მოწმობენ ფოკას ციხის გამოყენებას სხვადასხვა ეპოქაში როგორც ფარავნის ერთეულის ცენტრისა (დ. ბერძენიშვილი 2006: 231).

წინარექრისტიანული დასახლების კვალია ტაბაწყურშიაც. ტბაში არსებულ მცირე კუნძულზე მშრალი წყობით ნაგები ნასახლარებია, რომლებიც დარნებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული (მელიქსეთ ბეგი 1938: 59).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი მთის გამოზიდულ ფერდზე მშრალი წყობის ციხის კედლებია, რომლებსაც ტერასებად შემოუყვება

სათავსთა კომპლექსები. თხემზე არსებული ნაეკლესიარის სახელის მიხედვით, ციხესაც „ნინო-ყალას“ უწოდებენ. ტბის აღმოსავლეთით, საპიტიახშოსაკენ მიმავალი გზის ნაპირებზე ყორღანებია.

განვითარებული მეზოლითის ხანის იარაღები აღმოჩნდა ეძანის ეხში, დღ. დაბა წალკის ჩრდილოეთით, სადაც დადასტურდა სადგომ-სახელოსნო. იქ აღმოჩენილი ძვლები მოწმობსკეთილშობილი ირმის, ძროხისა და გარეული ღორის არსებობას. ეს იძლევა უფლებას დასკვნისათვის, რომ ძვ.წ. IX-VI ათასწლეულებში იქ ნახევრადსტეპური პირობები ყოფილა, მთისა და ჭალის ტყეებით, ჰავა უნდა ყოფილიყო ზომიერად თბილი და შედარებით მშრალი, ჩანს მეთევზეობის განსაკუთრებული განვითარება.

ფრიად საყურადღებო ჩანს პეტროგლიფების აღმოჩენა მ. გაბუნიას მიერ დაბა წალკიდან 10-ოდე კმ-ში. კლდის გაშიშვლებულ ზედაპირზე ნაკაწრი ნახატებია ირმების, ცხენების, აქლემების, გველების, ფრინველების, გაურკვეველი ფანტასტიკური ცხოველების, მზის, მშვილდისრიანი კაცებისა. ესენიც, შესაძლოა, მეზოლითურ ხანას მიეკუთვნოს (საქართველოს არქეოლოგია 1991: 224-225).

მტკვარ-არაქსული კულტურის (ძვ. წ. III ათასწლეული) ნასახლარები და სამაროვნები აღმოჩნდა ოზნის, ბარმაქსიზის (ძველი ეძანი), ტაშ-ბაშის (ძველი ახალქალაქი), ბეშთაშენის ტერიტორიაზე. ეს პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის მქონე საზოგადოება ჩანს იყენებდა მშრალი წყობის, ე. წ. ციკლოპურ ნაგებობებს (საქართველოს არქეოლოგია 1992: 167, 169, 174).

ბეშთაშენისა და ოზნის ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს შიდა ქართლის (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები) თიხის ჭურჭელთან, ასევე ქვემო ქართლის კერამიკასთან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შიდა ქართლში მსხდომი ტომები ითვისებენ, ძირითადად, სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლს – წალკისა და ჯავახეთის პლატოებს (ო. ჯაფარიძე 2003: 106).

ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში წალკისა და ზურტაკეტის პლატოებზე, მთელ ამიერკავკასიასთან ერთად იწყება შუაბრინჯაოს ხანა, რაც აისახა ადრეყორღანული კულტურის გავრცელებაში (ე. წ. ბედენური კულტურა, თრიალეთური კულტურა). ტომთა და გვარების მეთაურთა ეს დიდი და პატარა სამარხები წარმოდგენილია შესანიშნავი კერამიკით და ბრწყინვალე ოქროსა, თუ ვერცხლის ჭურჭელ-სამკაულებით. ფიქრობენ, რომ ამ კულტურის გავრცელება დაკავშირებული უნდა იყოს მესაქონლეობის დაწინაურებასთან, ასევე ცვლილებებთან ეთნიკურ-ტომობრივ შემადგენლობაში (ო. ჯაფარიძე 2003: 136). ამ ყორღანების თანადროული ნასოფლარები წალკის პლატოზე იშვიათი გამონაკლისებია; მიუხედავად ამისა, მათი იქ არსებობის გარეშე წარმოუდგენელი ჩანს ასეთი დიდი ყორღანების აგება,რასაც ხალხის ფართო მასის ხანგრძლივი შრომა დასჭირდებოდა.

იმდროინდელი ტყის მასივების ინტენსიური განადგურება ხელს შეუწყობდა მეცხვარეობის დაწინაურებას; ფართოდ გავრცელდებოდა სამომთაბარო მეურნეობა, წვრილფეხა საქონლის სეზონური გადაყვანით საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე. ამ უკანასკნელისათვის სწორედ სამხრეთ მთიანეთის ზეგნები და წალკის პლატო გამოიყენებოდა, ხოლო საზამთრო საძოვრებად – ქვემო ქართლის ველი, ივრისპირები. წალკა-ზურტაკეტის პლატოებზე მაშინ იმატებდა ჯერ სეზონური, შემდგომ კი უფრო მუდმივი სამოსახლოები. მეცხვარეობა უფრო ჭარბ ნამატ პროდუქტს იძლეოდა, რაც ხელს შეუწყობდა საზოგადოებაში ქონებრივი უთანასწორობის გაძლიერებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია დიდი და მდიდარი ყორღანების სიჭარბე სწორედ წალკა-ზურტაკეტის პლატოებზე.

ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის ბოლოსათვის თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ წყვეტს თავის არსებობას. ამ მოვლენის შესაძლო მიზეზებად მიჩნეულია წინა აზიასთან ურთიერთობის შესუსტება, მეურნეობრივი ხასიათის ცვლილებები და ეკონომიკური ცენტრების გადმონაცვლება. გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ბარის ხელახალ ინტენსიურ ათვისებას, რაც ირიგაციული მიწათმოქმედების გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული.

შესაძლოა, თრიალეთის კულტურა, რომელსაც, ძირითადად, სწორედ ეს რეგიონი ეკავა, ქართულ-ხანური ენობრივი ერთობის მატარებელი ტომების კუთვნილება ყოფილიყო. არაა გამორიცხული სამხრეთიდან ხურიტული ეთნიკური ელემენტების გადმონაცვლება, რომლებიც მოსახლეობის ძირითად მასას შეერწყნენ (ო. ჯაფარიძე 2003: 180, 182, 183).

შუაბრინჯაოს ხანის მომდევნო საფეხურის ძეგლებად მიჩნეულია წალკის პლატოზე ბაიბურთის სამარხები, საპიტიახშოსა და ტაბაწყურის ყორღანები. გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება, ასევე, ბეშთაშენის სამაროვანიც. აქ მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ წალკის პლატო უფრო მეტად „სამთავრული“ კულტურის გავლენას განიცდიდა და გარკვეულ ხანაში მისი გავრცელების სფეროში შედიოდა. აქ შიდა ქართლიდან უნდა შემოსულიყო კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ კოლხური ცული, თოხი.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებიდან წალკა-თრიალეთი სამთავრული კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის. როგორც ჩანს ქვემო ქართლის მთასა და ბარს საზაფხულო და საზამთრო საძოვრებად ფართოდ იყენებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობა (ო. ჯაფარიძე 2003: 234-236).

ძვ.წ. II-I ათასწლეულებს უნდა განეკუთვნებოდეს წალკის ზეგანზე შემორჩენილი ათამდე მშრალი წყობის სიმაგრე თუ გალავნიანი ნასახლარი. ამათგან ზოგიერთს, ჯავახეთის ასეთივე სიმაგრის

მსგავსად, ადვილმისადგომი მხრიდან გალავნის გარეთ ხელოვნური თხრილიც ახლავს. ეს სიმაგრეები ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ფოტოებით, სქემატური გეგმებით, ზოგი კი შემოწმებულია გათხრებითაც (ბეშთაშენი, თეზი, სანთა, ნარდევანი...). იქაურ ციკლოპურ ძეგლებს არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიცია სწავლობს გოდ. ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით. შესწავლილია 16 ციკლოპური ნამოსახლარი, რომელთა ქრონოლოგიური ამპლიტუდა ძვ. წ. XV-VII ს-თა შორის მერყეობს. წალკის პლატოზე ჯავახურ სიმაგრე-ნამოსახლართა ყველა ტიპი მეორდება: გალავნიანი გორა-ნამოსახლარები, ტბათა ნაპირებზე ტერასულად განლაგებული ნამოსახლარები და სამოსახლოსაგან გამოყოფილი სიმაგრეები.

როგორც არქეოლოგები აღნიშნავენ, ყველაზე მნიშვნელოვანი შესწავლილთა შორის არის საბეჭდავის ნამოსახლარი. ის შედგება სასიმაგრო სისტემისა და კვარტალებად განლაგებული ნამოსახლარისაგან. 1,5 ჰა. ფართობი გარშემორტყმულია 3,5 მ სიგანის კედლით, რომელიც ბაზალტის ლოდებითაა ნაგები. გალავნის შიგნით, მთელ პერიმეტრზე მიშენებულია ერთსათავსიანი სახლები. სამოსახლოს საცხოვრებლები ორ-სამ სათავსიანია და მათაც გალავანი ერტყმის. სიმაგრესა და ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა XIV-XII საუკუნეებითაა დათარიღებული.

საბეჭდავის მახლობლად შესწავლილია კიდევ ერთი ციკლოპური სიმაგრე – ნამოსახლარი „კნოლე“. მისი ფართობია 50მX60მ. ის ნაგებია მშრალად ნაწყობი, დაუმუშავებელი ლოდებით; კედლის სისქე იქაც დაახლ. 3 მ-ია. არქეოლოგები მას ძვ. წ. VIII-VII სს-ით ათარიღებენ. საინტერესოა,რომ მახლობლად გაითხარა ამავე პერიოდის სამაროვანი (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1998: 35-36).

როგორც ზემოხსენებული ძეგლების გამოქვეყნებული გეგმებიდან ჩანს, თუ საბეჭდავის სიმაგრესა და სამოსახლოს საერთო გალავანი აკრავს, „კნოლეს“ სიმაგრის გარეთ განლაგებულ ნასახლარებს და სიმაგრეს საერთო გალავანი არ უჩანს (ნარიმანიშვილი ... 1998: 46, 49, 50). შესაძლოა, ამ ორი ძეგლის ქრონოლოგიურ განსხვავებულობას სოციალური ტეხილიც ახლავს. ზემოაღწერილი, გათხრილ-შესწავლილი ძეგლების მსგავსი გამაგრებული საცხოვრებლები იქნებოდნენ გუმბათი და ნარდევანი, ბეშთაშენი, თეზი, აშყალა, რომლებსაც, ასევე, ძვ. წ. II-I ათასწლეულებით ათარიღებენ (მეფისაშვილი, ცინცაძე 1970: 15-16, 26-27).

არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძეს ნარდევნისა და სანთის ციკლოპური ძეგლების დათვალიერებისას შეუმჩნევია ქვის კედლებზე ალიზის აგურების წყობის კვალი. ის მისულა დასკვნამდე,რომ მშრალი წყობის სიმაგრეთა კედლები 2-3 მ-ის სიმაღლეზე შენდებოდა ქვის ლოდებით, ზევიდან კი ედებოდა ალიზის აგურების წყობა. მას მიაჩნდა, რომ ტომის ბელადის რეზიდენცია – „ციტადელი“, „დიდი სახლი“ იყო

ორსართულიანი ნაგებობა. ქვის ქვედა სართული წარმოადგენდა საქონლის სადგომს, მეორე სართული, ალიზის აგურებით ამოყვანილი, იყო ბელადის ოჯახის საცხოვრებელი. გალავანში, რომელიც დიდ სახლს ეკვროდა ფერდის მხრიდან, ომის დროს თავს აფარებდა ხალხი და საქონელი. „დიდი სახლის“ გეგმარება ციხე-სახლის სახით, აქამდე შემორჩა მაღალმთიან თუშეთში, სვანეთში და სხვ. მისივე აზრით, საქართველოს ადრე შუა საუკუნეების ციხე-ქალაქების გეგმარება, ციკლოპური გამაგრებული საცხოვრებლის შემდგომი განვითარებაა (ცინცაძე 1988: 6-8).

ურარტული წარწერები მოწმობენ, რომ სამხრეთ კავკასიაშიშემოსული ურარტუელები იპყრობენ გამაგრებულ „ციხე-სიმაგრეებს“, რომელთა ირგვლივ რამდენიმე გაუმაგრებელი დასახლებაა, მათ მიერ ათვისებული სასოფლო-სამეურნეო ფართობებით. „ციხე-სიმაგრეებში“ „მეფედ“ წოდებული გვაროვნულ-ტომობრივ გაერთიანებათა ბელადები სხედან (მეშჩანინოვი 1932; მელიქიშვილი 1970: 381-382). ასეთივე ვითარება უნდა ვიგულისხმოთ ზემოხსენებულ სიმაგრეებთან დაკავშირებით წალკის ზეგანზე.

ამ მხარის სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი სამაროვნები აქემენიდური, ადრეანტიკური, ელინისტური ხანისა, მოწმობენ მოსახლეობის იქ განუწყვეტელ ბინადრობაზე მესაქონლეობისა და მემინდვრეობის ბაზაზე.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის უპირველესი ადმინისტრაციული დანაწილების დროს, ქართლოსის შვილებიდან გაჩიოსს ერგო „ორბის ციხე და სკჳრეთის მდინარითგან, ვიდრე თავადმდე აბოცისა“; მცხეთოსმა კი „დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგჳთგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა“ (ლეონტი მროველი 1955: 9). აქ თრიალეთი არ ჩანს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ის მცხეთოსის წილ ქართლში იგულისხმება, რადგან მცხეთოსის პირმშოს, უფლოსს დარჩენია „ქუეყანა არაგჳთგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე“, ე. ი. თრიალეთის ჩათვლით; ორიენტირებად აღებული არაგვი და ტასისკარი მტკვრის მარცხნივ, ტფილისი და ფანავარი კი მტკვრის მარჯვნივ მყოფ ქართლს აღნიშნავდა, „ფანავრითგან“ უკვე ჯავახოსის კუთვნილი ქვეყანა იწყებოდა (ლეონტი მროველი 1955: 10).

ფარნავაზის დროს, პირველ ერისთავთა განწესებისას, თრიალეთი ისევ შიდა ქართლშია, სპასპეტის საგამგეოში, რომელიც უფლოსის წილხვდომილ ქვეყანას ემთხვევა. სამშვილდის ერისთავი ამ დროს გაჩიოსის ზემოხსენებულ ქვეყანას იჭერს (ლეონტი მროველი 1955: 24).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები უძველეს ხანაში თრიალეთის კუთვნილების შესახებ არათანმიმდევრულია. მისი აზრით, გაჩიოსს ერგო „ობის (ორბის) ციხე და გარდაბანს სკჳრეთს ზეითი აბოცის მთამდე და ფანავარამდე“, ე. ი. ავტორი გაჩიოსის ქვეყნის დასავლეთ

საზღვარს „ფანავარამდე“ აღნიშნავს, რაზედაც ლეონტი დუმს. მეორედ (“აღწერა აწინდელისა ქართლისა“) ვახუშტი წერს: „მეორე საერისთაო – სამშჳლდისა – არს საბარათიანო, დბანის-ჴევი, სკჳრეთი, თრიალეთი, რომელი იყო წილი გაჩიოსი... რომელსა მისცა დედამან ობის-ციხე (A. ორბის ციხე) და სკჳრეთიდამ ვიდრე ფანავრამდე და აბოცის თავამდე“. ამ ცნობების მიხედვით, ავტორს თრიალეთი თავიდანვე გაჩიანში ეგულება, მაგრამ შემდეგ, ლეონტის ცნობის მსგავსად, ისიც თვლის, რომ უფლოსს ერგო „ტფილის-არაგჳს მდინარის დასავლეთი ტაშისკარ ლიხის მთამდე და ფანავრამდე თრიალეთი“, ჯავახოსს კი – „მტკურის აღმოსავლეთით ფანავრამდე“ (ვახუშტი 1973: 50, 330-331).

ფარნავაზის საერისთავოებზე საუბრისას, ვახუშტი სპასპეტის საგამგეოდ მიიჩნევს „შიდა ქართლს“ საზღვრების დაუსახელებლად, ხოლო სამშვილდისა და წუნდის ერისთავებს გაჩიოსისა და ჯავახოსის წილს მიაკუთვნებს, ორივეს „ფანავრამდე“ (ვახუშტი 1973: 57).

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ლეონტი მროველისაგან განსხვავებით, ვახუშტი ბატონიშვილი თრიალეთს ძველთაგანვე გაჩიანსა და სამშვილდის საერისთავოში თვლიდა; მხოლოდ ერთხელ უფლოსის წილ ქართლში აქვს შეტანილი „ფანავრამდე თრიალეთი“.

აქვე ყურადღებას იპყრობს მისი ბუნდოვანი გამოთქმა „ფანავრამდე“: გაჩიოსის, უფლოსის, ჯავახოსის, სამშვილდისა თუ წუნდის ერისთავთა სამფლობელოები, ერთსა და იმავე დროს, ყველა მხრიდან „ფანავრამდე“ მოდის, თითქოს ფარავანი არავის ეკუთვნოდეს. ლეონტი მროველთან, თითქოს, უფრო გარკვეულია: იქ „ფანავრითგან“ ჯავახეთია, ე. ი. ფარავნის ჩათვლით. საქართველოს ძველ ისტორიაში ვახუშტი ლეონტის კვალად იმეორებს, რომ მცხეთოსს ერგო ქვეყანა თბილისიდან და არაგვიდან სპერის ზღვამდე; ხოლო სამცხე-საათაბაგოს აღწერის დასაწყისში კი ის აღნიშნავს, რომ ქართლოსის ძე მცხეთოსმა „უწოდა ტფილისის და არაგჳს დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე, შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღუამდე უწოდა ზემო ქართლი“ (ვახუშტი 1973: 656). ავტორს აქ უკვე მცხეთოსის დროს ფარავანი გაჩიანში შემოაქვს თრიალეთთან ერთად, რადგან მისი სქემის მიხედვით, ზემო ქართლი ფარავნის დასავლეთიდან იწყება. თრიალეთი კი, მცხეთოსის ძმის-გაჩიოსის სამფლობელოა.

საინტერესოა, რომ ძველ ისტორიაში, ლეონტის საპირისპიროდ ვახუშტი ჯავახოსის წილს აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულებით კი არ განსაზღვრავს „ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა“, არამედ წინაუკმო – „მტკურის აღმოსავლეთით ფარავნამდე“. ამ ნიუანსით ის ადასტურებს წინ ნათქვამს და მცხეთოსის მერეც, ჯავახოსის დროს ფარავანს ჯავახეთის გარეთ სტოვებს. ავტორი ამას გარკვევით ამბობს სამცხე-საათაბაგოს აღწერის შესავალ ნაწილში: „ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თჳსსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა

ამ ადგილებთა ჯავახეთი“ (ვახუშტი 1973: 657).

ზემოთქმულიდან გამოდის, რომ საერთოდ ლეონტი მროველის სქემის მიმდევარი ვახუშტი ბატონიშვილი ამ შემთხვევებში, თითქოს, შეგნებულად გვერდს უვლის მას. ამის მიზეზი, შესაძლოა, ყოფილიყო შემდეგი გარემოება: ვახუშტიმ იცოდა, რომ გეოგრაფიულად ჯავახეთში მყოფი ფარავანი ოდესღაც თრიალეთს დაუკავშირდა ადმინისტრაციულად; თრიალეთი კი შიდა ქართლსა და სასპასპეტოში შემავალი, შემდგომში სამშვილდის საერისთავოში (საპიტიახშო) აღმოჩნდა. რაკი ამ მოვლენების დამათარიღებელი მას ხელთ არაფერი ჰქონდა, როგორც ხდებოდა ხოლმე, ავტორმაც ყველაფერი ისტორიის სიღრმეში გადაიტანა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, საერთოდ, ქვემო ქართლის ისტორიულ გეოგრაფიაზე წერისას, ვახუშტის უხდება ლეონტის ცნობებზე ძალდატანება; ეს იმიტომ, რომ ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი მაშინდელი შეხედულების მიხედვით, ავტორს თითქმის ორჯერ ნაკლებ ტერიტორიაზე უნდა გაეშალა, ვიდრე ლეონტი მროველს (დ. ბერძენიშვილი 1979: 26).

თრიალეთის საზაფხულო საძოვრების უდიდესი მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის ყოველთვის მოქმედი ფაქტორი იყო. ფიქრობენ, რომ ასეთი მეურნეობრივი დამოკიდებულება არსებობდა უძველესი დროიდან (ნ. ბერძენიშვილი 1975: 232), რაც შემდგომში, ალბათ, ადმინისტრაციულ ერთობაშიც გადაიზრდებოდა. ალბათ, ესაა ასახული ლეონტის ზემოხსენებულ ტრადიციაში: თრიალეთი უფლოსის ქვეყანაშია, ფარნავაზის დროიდან სასპასპეტოში შედის და ასე რჩება დიდხანს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეონტისეული შიდა ქართლის ასეთი გაფართოება სამხრეთით სწორედ თრიალეთის ფლობასთანაა დაკავშირებული. თრიალეთის ქედის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიჯნა გადალახა პოლიტიკურ-გეოგრაფიულმა საზღვარმა, დამყარებულმა ამ „შიდა ქართლის“ სამეურნეო-ადმინისტრაციულ ერთიანობაზე.

თითქოს, განსხვავებულია ფარავნის შესახებ წარმოდგენა ლეონტისა და ვახუშტის ცნობებში: პირველთან ის ჯავახეთში ჩანს, მეორესთან – გაჩიანში (თრიალეთთან ერთად). ამას გარდა, არსებობს საყურადღებო ცნობა წმ. ნინოს ცხოვრებიდან, რომელიც IV ს-ის ვითარებას ასახავს: ნინო მოსულა „მთათა ზედა ჯავახეთისათა“ და შეჩერებულა ტბასთან, „რომელსა ერქუა ფარავნაჲ“. აქ მას უნახავს მწყემსები,რომელნიც ყოფილან „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ 1964: 115-116).

როგორც ვხედავთ, ჯავახეთში მყოფ ფარავანზე მცხეთისა და მუხრანის საქონელი ბალახობს; ცხადია, ეს ძველი ტრადიციაა, რომელიც IV ს-შივე ფარავნის ქართლისადმი დამოკიდებულებაზე მიუთითებს ადმინისტრაციულად (დ. ბერძენიშვილი 1975: 85; დ. მუსხელიშვილი 1980: 208-209).

## წალკის ზეგანი IV-IX საუკუნეებში

ადრე შუა საუკუნეთა მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლები წალკის ზეგანზე, ისევე, როგორც სხვაგან, მომდევნო ხანის ნაკვალევით იფარება, ან სახეს იცვლის. ადრეული მრავალი პუნქტი ქრისტიანულ ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას. კარგად ჩანს ეს ძველ მენჰირებსა თუ ვეშაპებზე ჯვრების გამოსახვით, ქრისტიანული დღესასწაულების მათთან დაკავშირებით, რომლებშიც კარგად გამოსჭვივის წარმართული კულტმსახურება.

იგივე შეიძლება ითქვას ადრეულ ციხე-გალავნებსა თუ გამაგრებულ ნასახლარებზე, რომლებიც ახალ პირობებში გარდაქმნილნი კიდევ დიდხანს გამოადგებოდნენ მოსახლეობას. სოფელ ერანთურანში, მაგალითად, გორაზე დიდი მენჰირი დგას, 5 მ-მდე სიმაღლის სუფთად გათლილი მონოლითი ოვალური ფორმისა. მის ირგვლივ დიდი, დაუმუშავებელი ლოდების მშრალი წყობით ნაგები მრგვალი გალავანია. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ მენჰირის თითქმის მთელ სიგრძეზე ლამაზი, სადა ჯვარი ამოუჭრიათ, შემდგომში კი ირგვლივ ეკლესიაც შემოუშენებიათ ჯვართამაღლების სახელობისა. 3 ივლისს აქაურ დღესასწაულზე იკრიბებიან ბერძნები, სომხები, ქართველები. ამჟამინდელი ეკლესია, შესაძლოა, XIV ს-სა იყოს. შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ის მნიშვნელოვანი სალოცავი უნდა ყოფილიყო, რასაც ხელს შეუწყობდა შიდა ქართლიდან თეძმის ხევით აქეთ მომავალი გზა-ბილიკებიც.

ძველი, მშრალი წყობის გალავნებში ადრეული შუა საუკუნეების მშენებლობა თრიალეთის სხვა პუნქტებშიც ჩანს. ასეთია ეკლესია ნასოფლარში, რომელსაც ვხვდებით თარსონიდან ხაჩქოვს მიმავალი გზის მარცხნივ, თრიალეთის ჩრდილოეთ ნაწილში. იქ წრიული „ციკლოპური“ გალავნის შიგნით, რომლის დიამეტრი დაახლ. 25 მ-ია, ეკლესიის ნანგრევია. გალავანს შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. სიმაღლეზე დაყენებულ ორ დიდ მონოლითს ზევიდან მესამე, ასეთივე ქვა ადევს. ეკლესია დიდი,დაუმუშავებელი ლოდებით კირხსნარზეა ნაგები; მას ნალისებური აფსიდა ჰქონია. ასევეა ეს თრიალეთის დასავლეთ ნაწილში მყოფ, სოფ. ოზნიში, რომელსაც XIX ს-ის I მესამედში ჩუნჩხაბეჟა ერქვა. იქაც „ციკლოპური“ გალავნის შიგნით ეკლესია დგას, ჰორიზონტალურ წყობით ნაგები და გათლილი კვადრებით მოპირკეთებული. აფსიდაში შერჩენილია შელესვაზე მოხატულობის კვალი; იქვეა ქვაჯვრის ბაზისი, შიგ ჩარჩენილი, გადატეხილი სტელით. არქიტრავის ქვას ტოლმკლავა ბოლოებგაფართოებული ჯვარი ამკობს.

ასეთივე ვითარებაა ტაბაწყურთან, ფოკასთან, ზურტაკეტის კაკლიანში და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ წინარექრისტიანული,

ზემოაღნიშნული გამაგრებანი ადრე შუა საუკუნეებშიაც, თითქმის, ყველა მოქმედია სხვადასხვა დანიშნულებით. ცხადია, გაჩნდებოდა ახალი დასახლებანი, ციხეები, ეკლესიები...

თრიალეთის შემადგენელი მიკროქვეყნები შეიძლება იქაური ადრე შუა საუკუნეების ძეგლებზე დაკვირვებითაც გამოიყოს. ასეთი ჩანს თეზის ხრამი და მისი ქვაბური, სადაც ადრეული გალავანია შემორჩენილი და მნიშვნელოვანი საკულტო ძეგლებია რეხასა და აბიბოს მონასტერთან. ეს ერთეული საპონაურ-ცხვარეთისწყლისა და ქციას შორის ტერიტორიას მოიცავდა თეზიდან ნარიანამდე. საფიქრებელია, ამ პერიოდში ისევ მოქმედებდა ძველი ციკლოპური ციხე-გალავანი აბიბოს მონასტრის სიახლოვეს.

ნარიანი ასევე მიკროქვეყანა იქნებოდა, ადრიდანვე მცირე ქედებით გამოყოფილი. ვახუშტის ჩვენებით, გეოგრაფიულად ის თრიალეთს ეკუთვნოდა, მაგრამ დროდადრო თორის ეკონომიკური დანამატი იყო.

შემდეგი ასეთივე ერთეული ბოჟანოსა და ქციის წყლების შესაყარიდან იწყებოდა და საპიტიახშომდე აღწევდა დასავლეთით. ეს უნდა ყოფილიყო ლოშოს სიმაგრის ირგვლივ გაერთიანებული სოფლები, სადაც საპიტიახშო, მისი სახელწოდების მიხედვითაც, მნიშვნელოვანი პუნქტი იქნებოდა...

ცალკე ერთეულები, თავისი ცენტრებით სიმაგრე-გალავნებში, უნდა ყოფილიყო ცრიცისა და ერან-თურანის მახლობელი სოფლები. იქ ადრექრისტიანული ქვაჯვარებიცაა დადასტურებული.

ანდრაპ-ოლთისის ხევების შესაყარი ქციასთან თავისი ცენტრითაა დადასტურებული – ესაა ანდრაპის ადრე შუა საუკუნეების გალავანი. საკულტო ცენტრი აქ თეთრიწყაროს შესანიშნავი ბაზილიკა იქნებოდა VI საუკუნიდან.

თრიალეთის გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენდა ქციის შუა დინება ეძან-ახალქალაქამდე. აქ მნიშვნელოვანი პუნქტებია სანთა ანუ უწყლო, რომლის ძველი გალავანი ამ ეპოქაშიც მოქმედი უნდა ყოფილიყო. საკულტო ცენტრი, ალბათ, ეძანის VI ს-ის ბაზილიკა იქნებოდა, რომლის სიახლოვესაც შემდგომ ხანებში დაარსდა წალკის საეპისკოპოსო. არაა გამორიცხული, წალკაშიც ყოფილიყო მნიშვნელოვანი ადრექრისტიანული სამლოცველო...

ასევე შეიძლება გამოიყოს ბეშქენაშენ-ბარეთის ქვაბური მისი მიმდებარე სოფლებით. ბეშქენაშენის ციკლოპური გალავანი აქ ისევ იქნებოდა ადმინისტრაციული ცენტრი. ადრექრისტიანული საკულტო ძეგლების ნაშთები აქ ბევრგან გვხვდება.

ამ ერთეულის ჩრდილო-დასავლეთით კიდევ ერთი ქვაბურია, რომელიც ბჭითით (ქარიაქ) იწყება და ერან-თურანის წყლის სათავეებში განლაგებულ სოფლებს მოიცავს: ახალშენი (ჩივთქილისა), ქედისსოფელი (ქაბური), ლიპი (ხაჩქოი), ერან-თურანი (თეჯისი); ბჭითის

ციხე-გალავანი აქ მნიშვნელოვანი ცენტრი იქნებოდა იმ ერთეულისა, რომელსაც შემდგომ ხანებში სამეფო მონასტრის – შიომღვიმის სამფლობელოდ განიხილავს დავით აღმაშენებელი. იქ, ამ ერთეულს – „ბჭითსა და მის ზეით სოფლებს“, მონასტრის საფურე ყოფილა.

## წალკის ზეგანი IX-XIV საუკუნეებში

IX საუკუნეში აშოტ კურაპალატის ძემ გუარამ მამფალმა არაბებს ბრძოლით წაართვა თრიალეთი, მიმდებარე ოლქებთან ერთად და თავის „სამამფლო“-ში გააერთიანა, თუმცა მცირე ხნით.

IX ს-ის II ნახევარში არგვეთელმა აზნაურმა – ლიპარიტ ბაღუაშმა „შეიპყრნა... ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“ (მატიანე ქართლისა 1955: 258). „ქუეყანანი თრიალეთისანი“ სწორედ ზემოხსენებული მიკროქვეყნებია ზურტაკეტ-თრიალეთისა, რომელთა გაერთიანების ცენტრი ამიერიდან კლდეკარის ციხე ხდებოდა.

კლდეკარი ლიპარიტ ბაღუაშამდეც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილი იყო, აქ გამავალი სავაჭრო თუ მესაქონლეთა გზების გამო. მანამდე ამ გზებს საქართველოს ცენტრალური და აღმოსავლეთის ოლქებიდან სამხრეთისა და დასავლეთის ქვეყნებისაკენ მიმავალს, თეძმის მარჯვენა სანაპიროზე მყოფი დეკციხე აკონტროლებდა. სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული „ტანისხევის“ გამგებელი, ბარელი მეფის მოხელე აზნაური, აქამდე თრიალეთსაც ედგა ყელში და მასზე გავლენას ინარჩუნებდა. ახლა პირიქით მოხდა: კლდეკარის ციხის აგებამ დეკციხის როლი დააქვეითა და საბოლოოდ დასცა – იქ მეორე სააღმშენებლო პერიოდი აღარ ჩანს (დ. ბერძენიშვილი 2006: 127).

ბაღუაშებმა თანდათან ხელში ჩაიგდეს მაგისტრალური გზის კონტროლი, კლდეკარი გახდა რეზიდენცია ერისთავისა და ადმინისტრაციული ცენტრი კლდეკარის საერისთავოსი. ნიშანდობლივია ამ მხრივ ისიც, რომ ზურტაკეტ-თრიალეთში მაღალი შუა საუკუნეების ხანის სხვა ციხე არ ჩანს. ზურტაკეტ-თრიალეთი კლდეკარის საერისთავოს ძირითადი ტერიტორია იყო, მათი „მამული ქართლისა“, თუმცა ბაღუაშების უფლება ხშირად სცილდებოდა მას და მეზობელ მხარეებსაც სწვდებოდა. დამახასიათებელია ამ მხრივ ტოპონიმი „ლიპარიტის უბანი“. ის ეწოდება მოზრდილ ნასახლარებსა და მონასტერს ზურტაკეტიდან ქციის ხრამში ჩამავალ გზისპირას. ეს სახელი ბაღუაშთა მფლობელობის აღმოსავლეთით გაფართოების ადრეული ნიშანი უნდა იყოს, რადგან შემდგომ ხანებში სამშვილდეც მათ ხელში აღმოჩნდა. ხომ არაა შემონაზვნებული ლიპარიტ IV-ს თავდაპირველი სადგომი ამ მონასტერში (?) (შეად.: „შიოს უბანი“,

„დავითის უბანი“...).

ასევე დამახასიათებელი ჩანს ეკლესია მანგლისისხევის ერთი სათავის ნაპირზე მყოფ ნასოფლარში, რომელიც, შესაძლოა, ვახუშტის რუკისეული უგუდეთი იყოს. ეკლესიის წარწერაში ირჩევა „ე ე“, ე. ი. ერისთავთ-ერისთავი, რომელიც ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს. ნ. ბერძენიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ ეკლესია აგებული ყოფილიყო კლდეკარის ციხის ამგები ლიპარიტისაგან IX-X ს-ში (დ. ბერძენიშვილი 2006: 61-62). ნიშანდობლივია ვახუშტის ცნობა: „კლდე-კარი აღაშენა ლიპარიტ ბაღუაშმან, და არს მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი. ერთვის ალგეთს მჟავის-ჴევი, გამოსდიან კლდე-კარს, ამათ უწოდებენ კლდე-კრის სოფლებად“ (ვახუშტი 1941: 46). აქედან უნდა დაწყებულიყო ბაღვაშთა პრეტენზიები მანგლისხევის სოფლებზე.

ბაღვაშთა მიერ მეზობელი ხევების დაპატრონებამ (ატენი, ხოვლე, სკვირეთი, მანგლისი) კლდეკარის საერისთავოს აღორძინებას დიდი ბიძგი მისცა. ამისი შედეგი უნდა იყოს თრიალეთის ახალქალაქის წარმოშობა ეძანის აღმოსავლეთით. ეს გახდებოდა საერისთავოს ახალი ეკონომიკური ცენტრი მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარე,რომლის გაცხოველება ბიზანტიასთან ურთიერთობით სტიმულირდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა, რომ სწორედ ამავე ხანებში (IX-X სს) ხდება მეზობელ ჯავახეთში ახალქალაქის გაქალაქება, რომელიც იმავე გზაზე და მსგავს პირობებში წარმოიქმნა.

თრიალეთის ახალქალაქს ის დღეგრძელობა თითქოს არ ეწერა, როგორც ჯავახეთისას. უნდა ვიფიქროთ, აქ თავის როლს ითამაშებდა პოლიტიკური ვითარების შეცვლა: ბაღვაშთა დამხობა-გაძევების მერე, თრიალეთის ახალქალაქი უნდა დასუსტებულიყო, პირველობა წალკისათვის უნდა დაეთმო სამეფოდ ქცეულ ამ მხარეში. ცენტრი ამ მხარისა ახლა წალკა გახდა, საერისთავო გაუქმდა, წალკაში საეპისკოპოსოც დაარსდა და ციხეც აშენდა. სავარაუდოა, ასეთ პირობებში ისევ გაცხოველდებოდა კლდეკარით მიმავალი გზები თეძამ-მანგლისხევზე. ნიშანდობლივია ამ მხრივ ისიც, რომ სახელი წალკა პირველად XII საუკუნიდან გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში; თრიალეთის ეპისკოპოსი არ გვხვდება ძველ წყაროებში და მხოლოდ XIII ს-ის ძეგლში ჩანს წალკელი. თრიალეთის არცერთი წარწერა წალკელს არ იხსენიებს, ხოლო იქაური სოფლების დიდი ნაწილი სხვა საეპისკოპოსოებისა და მონასტრების საკუთრებაა. XIII ს-მდე წალკელის საეპისკოპოსო კათედრა რომ ყოფილიყო, ბაღვაშთა შეკვეთით ერთი ხელნაწერი მაინც შეიქმნებოდა იქ; ასეთები კი მათ სულ ერთიანად სხვაგან შეუკვეთეს (დ. ბერძენიშვილი 2006: 84).

ბაღვაშებს დროდადრო ეჭირათ ატენის, თეძმის, ვერისა და მანგლისის ხეობანი. ბაგრატ III-ის მეფობის დასაწყისში „იყო მას

ჟამსა ერისთავად კლდე-კართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ჴევი და სკჳრეთი; არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა“ (მატიანე ქართლისა 1955: 276).

მართალია, ბაღვაშთა თანდათან გაძლიერებისას კლდეკარის საერისთავოც ფართოვდებოდა თრიალეთის მომიჯნავე ქვეყნების ხარჯზე, მაგრამ ბრძოლა არ წყდებოდა და იმ ქვეყნების უფალთა, თუ საქართველოს მეფეთა წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომ წყაროებში სხვადასხვა დროს ხაზგასმითაა ნათქვამი: „მას ჟამსა შინა“, ე. ი. იმ დროისათვის ბაღვაშებს ესა და ეს ქვეყანა ჰქონდათო; ე. ი. კლდეკარის საერისთავოს არსებობისას მუდამ ასე არ ყოფილა.

პირველად ბაგრატ III-მ წაართვა ბაღვაშებს საერისთავო,989 წელს. მან აქედან გააძევა რატი ბაღვაში,რომელიც ისევ არგვეთში გადავიდა. ამის შემდგომ უნდა მოდიოდეს ზვიად მარუშიანის ერისთავობა წალკის ზეგანზე, რაზედაც იქაური ეპიგრაფიკული ძეგლები გვამცნობენ. ეს უნდა ყოფილიყო ბაგრატ III-ის მიერ დანიშნული ერისთავი,რომელმაც მემატიანის ცნობით, ბაგრატ III-ის ცხედარი ბედიაში დამარხა.

1021 წ. ბასილი კეისართან გიორგი I-ის შეტაკებისას დაიღუპა ერისთავი რატი. ის მაშინ არგვეთის ერთი ნაწილის ერისთავი იქნებოდა, რადგან მასთან ერთად მოკლული ხურსი, ასევე, არგვეთის მეორე ნაწილის (ქორეთ-სავანის) ერისთავი ჩანს (გაფრინდაშვილი 1970: 59-60). ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ზვიადი, სავარაუდოდ, თრიალეთის მაშინდელი ერისთავი. სუმბატ დავითის ძის სიტყვით, „მზაკვარნი იგი აზნაურნი“ მეფეს კეისართან დაზავებას უშლიდნენ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იაჰია ანტიოქელის ცნობაში ნახსენები ვაზირი, მეფეს რომ ბრძოლისათვის აქეზებდა, ზვიადი უნდა ყოფილიყო. „მისმა ვეზირმა სახელად ზვიადმა... ურჩია (გიორგის),რომ გამოეყენებინა მას ფიცი და ვალდებულება ღვთის სახელით... რომელიც ხაფანგში მოამწყვდევდა ბასილი კეისარს“. კეისარმა გაიმარჯვა, „აფხაზი, მისი ვეზირი და მიმდევარი ქვეშევრდომნი გაიქცნენ. კეისრის ლაშქარმა ხელთ იგდო აფხაზის დიდძალი ქონება... მისი ახლობლების ბარგი-ბარხანა... აიყვანა მისი შვილი (მძევლად) და მიიღო ზემოთ აღნიშული ციხე-სიმაგრეები და მამულები“ (ივ. ჯავახიშვილი 1965: 135; ცქიტიშვილი 1968: 130).

როგორც ირკვევა, გიორგი I-ს ექნებოდა საფუძველი კეისართან, საბოლოო დამარცხება ზვიად ერისთავისათვის დაებრალებინა, შეეპყრო იგი და მის საერთგულოდ დაღუპული რატის ძე ლიპარიტი ისევ თრიალეთის ერისთავად დაესვა. ამის შესახებ მეტყველებს დიდი გომარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერა.

1028 წ., როდესაც ბიზანტიელთა ჯარი ისევ შემოადგა თრიალეთს ,კლდეკარში მაშინ ლიპარიტ ბაღვაში ერისთავობდა, რომელმაც ითავა პარკიმანოზთან ბრძოლა. ამ დროიდან მოკიდებული იწყება

კლდეკარის საერისთავოს უდიდესი წარმომადგენლის გაძლიერება იმდენად, რომ მას უცხოური წყაროები „მთავარს“ (“მალიქ“), ხან კი კურაპალატსაც კი უწოდებენ.

XI ს-ის 40-იან წლებში ანისის სამეფოსთან ბიზანტიელთა ომის დროს, როდესაც ანელებმა ქალაქი ბაგრატ IV-ის დედას მარიამს გადასცეს,ბიზანტიელთა დამხმარედ გამოვიდნენ ლიპარიტი და ტაშირ-ზორაკერტის მეფე დავითი. ვ. კოპალიანის აზრით, ეს განაპირობა იმან, რომ ანისის აღებით საქართველოს მეფე ტაშირ-ზორაკერტის სამეფოსაც შეიერთებდა, რაც კვირიკიანთა აღსასრულს დააჩქარებდა (კოპალიანი 1964: 201). კვირიკიანთა და ბაღვაშთა ინტერესები აქაც მათ ერთმანეთთან აახლოებდა საქართველოს მეფის წინააღმდეგ. ქართლის სამეფოში პირველობისათვის აუცილებელი იყო თრიალეთის ფლობა.

დავით აღმაშენებელმა ეს საკითხი საბოლოოდ მოაგვარა, წალკის ზეგანი სამეფო დომენად აქცია. ამის შემდგომ ამ მხარეს მეფის უერთგულესი პირები მართავდნენ და ასე გრძელდებოდა მონღოლთა ბატონობის დამყარებამდე. კლდეკარის ციხის როლი ამის შემდგომ უნდა შემცირებულიყო და თრიალეთის ცენტრი წალკაში უნდა გადასულიყო. სწორედ წალკის ციხესთან აღიმართა ის უმნი-შვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც თრიალეთის სამეფო დომენად გადაქცევას იუწყებოდა: თამარისა და ლაშას „ჰველი“. ეს მოხდებოდა დავით აღმაშენებლის დროს, ან მის შემდეგ. შემდგომში სამეფო თრიალეთი საერისთავო თუ იყო, ეს უფრო მოურავის მსგავსი ერისთავი იქნებოდა და ის წალკაში იჯდებოდა. კლდეკარი თითქოს სატუსაღოს როლშია ამ დროს: დემნა უფლისწული იქ დაამწყვდიეს. სახასო თრიალეთში მიმავალი გზების კონტროლის ფუნქცია კლდეკარის ციხეს უნდა მოშლოდა, მისი დაქვეითებაც დაიწყებოდა.

მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ წალკის ზეგანი სხვა ოლქებზე მეტად დაზარალდა. ზემოთ აღწერილი სიკეთეები,რომლებიც შესაბამის პირობებში მხარის დაწინაურებას, მოშენებას უწყობდნენ ხელს, ახლა, მონღოლთა ბატონობისას, დამანგრეველად მოქმედებდნენ. მონღოლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ გზების კეთილმოწყობას. მათ საამისოდ დიდი გადასახადები შემოიღეს, რომლებიც გზისპირა მოსახლეობას აწვებოდა. ასეთი გზები კი წალკის პლატოზე ბევრი იყო. მოსახლეობა საგზაო ვალდებულებათა სიმძიმეს გაურბოდა, სტოვებდა ძველ საცხოვრებელს და სხვა რაიონში გარბოდა.

გარდა აღნიშნულისა, თრიალეთის მეზობელ ჯავახეთში წლების მანძილზე იდგა მონღოლთა ურდო, რომელიც თავისი საქონლისათვის, ბუნებრივია, თრიალეთის საძოვრებსაც იყენებდა. ესეც ავიწროებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც რამდენჯერმე გადახდა დამსჯელი ექსპედიცია და აწიოკება. ნ. ბერძენიშვილის აზრით „თრიალეთი აყვავდა X-XI ს-ებში, როცა არაბულ და ბერძნულ

სამყაროს შორის ეკონომიკური ურთიერთობა გაჩაღდა. მთელი ორი საუკუნით შეწყვეტილი... ერთხელ გზამ ააშენა,მეორეჯერ გზამ მოსპო“ (ნ. ბერძენიშვილი 1966: 113).

XIV ს-ის 30-იანი წლებიდან საქართველო ნელ-ნელა გამოდის მონღოლთა ბატონობიდან. ამ დროისათვის წალკის ზეგანი ისევ სამეფო იყო,მაგრამ იქვე იყო ყმა-მამული სვეტიცხოვლისა,მანგლისის საეპისკოპოსოსი და სხვა მონასტრებისაც. XIV ს-ის ბოლოს ეს მხარე ძლიერ დააზიანა თემურ-ლენგის შემოსევებმა, რომლის დროსაც აოხრდა აბოცი და თრიალეთი.

## წალკის ზეგანი XV-XVIII საუკუნეებში

XV ს-ის ბოლოსათვის, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლისას,წალკის ზეგანი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში დარჩა. ამავე დროს ქართლის სამეფო ოთხ სადროშოდ დაიყო, რომელთა სარდლებად განსაკუთრებით ძლიერი სათავადო სახლები გამოვიდნენ. ქვემო ქართლი, რომელშიაც თრიალეთი შედიოდა, ითვლებოდა „მეწინავე სადროშოდ“, რომლის სარდლებად ბარათაშვილები იყვნენ. ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილი საბარათიანოდ ითვლებოდა. ამ გვარის გაყრის შედეგად წარმოიშვა სენიორები: საბარათაშვილო, საორბელო, საზურაბიშვილო და სხვ. თრიალეთში სამეფო-სამოურავო სოფლების გარდა სხვა ფეოდალებსაც ჰქონდათ ყმა-მამული.

XVI-XVII ს-ისთვის ქვემო ქართლში და განსაკუთრებით,თრიალეთში მოსახლეობის მესამედიღა დარჩა – შაჰ-თამაზის,თათარხანისა და შაჰ აბასის შემოსევათა გამო.

XVII ს-ის 30-იანი წლებიდან იწყება შედარებით მშვიდობიანი პერიოდი ქართლის სამეფოს ისტორიაში. როსტომი და მისი შემდგომი მმართველები სარგებლობდნენ რა საგარეო პოლიტიკური ვითარებით, ამ დაცლილი რაიონების მოშენებაზე ზრუნავდნენ. ეს ასახულია დოკუმენტურ წყაროებსა და „დასტურლამალში“. თრიალეთში მეფეს 17 სოფელი და ოთხი ნასოფლარი ეკუთვნოდა, რომელთა მოსაშენებლად ბატონიშვილის ვახტანგის სამართლის 202 მუხლში ეწერა: „თუ საბატიოს კაცისშვილის ყმა სხვას საბატონოში წავიდეს, თუ ოცდაათი წელიწადი იქ დაყოს და ისე მოვიდა და სხვას კაცს ეყმო, ვეღარას შეუა. თუ ნაკლები დაყო და ისრე მოვიდა, ვერავინ შეეცილება, ისრევ თავის ძველ ბატონს უნდა მიეცეს.

მაგრამ თრიალეთზე, ქართველის ბატონის სახასოში, თორმეტის წლის წასული რომ მოვიდეს, აღარ მისცემენ“ (ი. დოლიძე 1963: 531).

გვიანი შუა საუკუნეების წალკის ზეგანი ვახუშტი ბატონიშვილთანაცაა დაკავშირებული: ვახტანგ VI-ის ვაჟი მამის დავალებით 1717-1724 წლებში ქვემო ქართლის სადროშოს სარდალი

იყო და მისი სადგომი თრიალეთის ახალქალაქში (ამჟ. დაშ-ბაში) იმყოფებოდა. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მას ევალებოდა 7 წელიწადში ერთხელ დასახლებული პუნქტების აღწერა. 1721 წ. თრიალეთისა და საბარათიანოს აღწერაში ვახუშტი ბატონიშვილი და გივი თუმანიშვილი მონაწილეობდნენ.

წალკის სოფლების უმრავლესობა ამ დროს სამეფო-სამოურავოა. ეპარქიალურად კი წალკელის სამწყსოს წარმოადგენდა. მისი იშვიათი ხსენება სწორედ მისი სამრევლოს დაცლით უნდა აიხსნას. XVII ს-ის ერთი საბუთის მიხედვით, საწალკელო, რომელსაც სვეტიცხო-ველი განაგებდა, თბილელს გადაებარა. ქრისტეფორე კათალიკოსი წერდა: „თრიალეთს რაც საწალკელოს სამწყსოში სოფლები აშენდეს და შენობა ჩავარდეს, ჩუენზედ შორს იყო და თქუენთვის მოგვიბარებია. საწირავს გარდა, ის რაც რამ იქაური გამოსაღებელი იყოს, სარჯულო ანუ დრამა და სარგო, ნახევარს სეტცხოველს ნუ დააკლებთ და ნახევარი თქვენთვის მოგვირთმევია“ (ი. დოლიძე 1970: 526-527). ამ იძულებით აქტში ასახულია ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენაც: „გვიან შუა საუკუნეებში მცხეთა-თრიალეთის გზა (მთა ქართლით) გაუდაბურებულა არახელსაყრელი პირობების გამო. შემორჩენილა თბილის-მანგლისის გზა, რომელიც უფრო „ახლო“ გამხდარა თბილელისათვის.

ჯავახეთის მოსაზღვრე წალკის ზეგანზე,როგორც ჩანს,XVII ს-დან, იქ ოსმალთა გაბატონების გამო, ხშირდება ჯავახელი ქართველების გადმოსახლება. მათ თავისი სოფლების ძველი სახელები თან მოჰქონდათ. ასეა მიღებული წალკის ზეგნის დასავლეთით კოთელია, რომელიც სოფ. რეხას მეორე სახელია, ასევე ბურნაშეთი ძველი ბოჟანოს მაგიერ (ორივე ჯავახეთის სოფელია). წალკის ზეგანზე ეს გაორმაგებული სახელები (ძველიც და ახალიც) ხშირად ერთად იხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილი მათ არ იხსენიებს, მაგრამ მასთან უკვე ჩანს ჯავახური ბოჟანო; იგი არ იცნობს არც ჩუნხაბეჟას,რომელიც ოზნის ერქვა მოახალშენეთა გადმოსახლებამდე. სხვა მაგალითების მსგავსად აქაც აქ უნდა ვიგულისხმოთ ჯავახური სოფლების – ჩუნჩხასა და ბოჟანოს გაერთიანება, რაც, ალბათ, იმ ორი სოფლიდან გადმოსული მოსახლეობის ერთად დამკვიდრებას უნდა გამოეწვია. მსგავსი მაგალითი ჯავახეთშივე გვაქვს: ცალკეა სოფელი ხიზა და ცალკე – ბავრა, იქვეა სოფელი ხიზაბავრა...

# ზურტაკეტის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ზურტაკეტი, ანუ გომარეთის პლატო, თრიალეთის ზეგნის სამხრეთი გაგრძელებაა. ეს შედარებით სწორი ველი მდინარე ყარაბულახის, ანუ ზურტაკეტის ხეობაში მდებარეობს და მთავრდება ამ უკანასკნელის მდინარე ქციასთან შესართავში, იქ სადაც ზეგანი დახრამდება და ქციის ხეობაში გადადის. გომარეთის პლატოზე გამოივლის ყარაბულახის სამი ტოტი, დაახლოებით მდინარის შუაწელზე შეიყრება და შემდეგ საკმაოდ ღრმა კანიონში მიედინება, რითაც ის ძლიერ წააგავს მაშავრის ზემო წელს.

აღნიშნული პლატო აღმოსავლეთიდან ქციის ხრამით ისაზღვრება, დასავლეთიდან – შამბიანის მთით (იქიდან იღებს სათავეს მდინარე ყარაბულახიც, რაც ქართულად შავ წყაროს ნიშნავს); სამხრეთიდან მას ლუკუნის მთა ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან კი – კვირიკეთისა. ეს მთები ერთმანეთისაგან მიჯნავენ ჭოჭიანის, გომარეთისა და დმანისის ლავურ პლატოებს, რომელთა შიგნით, მცირე სერებით, თუ მაღლობებით, გამოიყოფა ვაკე ტაფობები, სადაც სოფლებია განლაგებული.

იქ უცივესი თვის ტემპერატურა -5, -6°C-ია, უთბესი თვისა კი +16, +15°C. უნდა აღინიშნოს, რომ იქაური ჰავა, მსგავსად ამიერკავკასიის სხვა რაიონებისა, მუდამ ერთნაირი არ ყოფილა. შემჩნეულია, მაგალითად, რომ ახ. წ. III-XIV სს. საქართველოს მთიან რაიონებში შედარებით დამთბარა, რის გამოც ლანდშაფტური სარტყელი აქ 100-300 მ-ით მაღლა იყო აწეული; XIV ს-დან საგრძნობლად აცივებულა, რასაც მაქსიმუმისათვის XIX ს-ში მიუღწევია, შემდგომში კი ისევ დამთბარა (მარუაშვილი 1970: 324-339; ჯანელიძე 1970: 46).

ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნების მიხედვით, ზურტაკეტი ექცევა სამხრეთიდან დმანისხევს, დასავლეთიდან ჯავახეთს, ჩრდილოეთიდან თრიალეთისა და აღმოსავლეთიდან სამშვილდის ქვეყნებს შორის. ამასთან ჩანს, ზურტაკეტი ადრიდანვე ითვლებოდა თრიალეთის შემადგენლობაში: პლინიუსის (I ს.) უძველესი ცნობა ორ მეზობელ

ოლქს – ტაშირს და თრიალეთს ასახელებს, ზურტაკეტი არ იცის არც სომხურმა აშხარაცუიცმა. ასევეა გვიანაც: XIV ს-ის მცხეთის მამულების სიაში ზურტაკეტის სოფლები (მისი უდიდესი სამხრეთი სოფელი ორომაშენიც) თრიალეთის სოფელთა რიგში იხსენიება. სეხნია ჩხეიძე, ასევე ვახუშტი ბატონიშვილიც, ვახტანგ VI-ის მიერ თრიალეთის მონადირების აღწერისას, შამბიანისა და კეჩუთის მთებს (ზურტაკეტის დასავლეთ საზღვარზე) თრიალეთში ასახელებენ.

ამის მიუხედავად, ვახუშტი ზურტაკეტს თრიალეთის გვერდით ცალკე აღწერს და, როგორც ჩანს, მას თრიალეთის ერთ-ერთ ქვეყნად განიხილავს, რადგან რუკაზე ამ ქვეყნის სახელი წარწერილი არაა. „არამედ ლუკუნის მთის ჩდილოთ კერძ არს მდინარე ზურტაკეტისა; გამოსდის შანბიანის მთას და მიერთვის ქციას მდინარეს ქციას. ხოლო განჰყოფს ჴეობას ამას აღმოსავლით ქციის ჴრამი, სამჴრით მთა ლუკუნისა, ჩრდილოთ მთა კვირიკეთისა და დასავლით მთა შამბიანისა. არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების შამბ-ბალახის სიმაღლისაგან, რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არ გამოჩნდების, არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი, ჩრდილოდამ სამჴრით და მდებარებს მარადის თოვლი, გარნა ყვავილებითა, მრავალფერ მშვენვარითა და მფშვენითა, და წყაროთა შემკულ არს; უტყეო, გარნა ჴევთა არყნალნი. აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს, ხოლო სხვა არს ჴევი ფუნდუკისა, სხვა არყნალისა, სხვა შანბიანისა. არყნალ-შანბიანის ჴევს შუა არს წყარო შვენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ. ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგად და ხროთ, და სხვათა ნადირთაც. მოინადირა ჟდ მეფემან ვახტანგ და მოკლეს დღესა ერთს რჳ. ხოლო არს დაბა ველსა ზედა შავი წყარო – ყარაბულახი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა; არამედ სამჴრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი, და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსი სამჴრით, გაშავდების და სამჴრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდების. და ამის სამჴრით არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით ამოზღუდვილი, წოდებული მუსის ციხე-ყალა. შიგან სდის წყარო. და ზურტაკეტა ამას ქვევით დის ჩრდილო-აღმოსავლეთს შუა. ხოლო ამას ეწოდა რადაბრაგანი. და ყარაბულახს ქვევით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის-ჴევი. გამოსდის ქარვასლის-ჴევსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის-ჴევი. აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი. ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი, თვინიერ კალმახისა, და იგი მრავალი. კვირიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისათვის, რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის კვირიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არა არს ჴეობასა ამას შია ვენახნი, ხილნი, თჳნიერ მთის ხილთაგან კიდე, და ნაყოფიცა ეგრეთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი“ (ვახუშტი 1941: 40-41).

იქაური მეურნეობის ძირითადი დარგის – მესაქონლეობის ამსახველი ჩანს სახელწოდება გომარეთი (გომა, გომური – საქონლის დასაყენებელი ადგილია); მისი -ეთ დაბოლოება – მრავლობის, კრებითობის მაჩვენებელია და ამ დარგის მნიშვნელობაზე მეტყველებს. დიდ გომარეთს ახლა საქონელი ქაჩალგორზე (ჯავახეთში) დაუდის, ცხვარი ზამთარში იაღლუჯაზეა, ადრე კი კახეთსა და ყიზლარში დაუდიოდა. მსხვილფეხა საქონელს ადგილზე ბაგური კვებით აზამთრებდნენ.

სოფლის მეურნეობაში მეორე ადგილი ეჭირა მემინდვრეობას. XVII ს-ის II ნახევრის ერთი საბუთის მიხედვით, ზურტაკეტის სოფლებში დადასტურებულია პური, ქერი, ცერცვი, ოსპი (ივ. ჯავახიშვილი 1974: 70-71). XIX ს-ში გომარეთი ხორბლისათვის თავისი მიწების 52% თმობდა, კაკლიანი – 70%, პატარა გომარეთი – 77% (ერიცოვი 1887: 476-481).

„დასტურლამალის“ მიხედვით, თევზის საჭერად და თბილისს ჩამოსატანად ხალხი იყო გამოყოფილი სამეფო თუ სადედოფლო სოფლებიდან. მათ კვირაში ერთი საპალნე (21 ფუთი) თევზი უნდა მოერთმიათ სამეფო ოჯახისათვის. ამ საქმეს სოფელ ეგრისის მებატონე ლარაძე მოთავეობდა (ი. დოლიძე 1965: 262; სურგულაძე 1970: 509).

კლიმატური პირობებით შეზღუდულობის მიუხედავად, ზოგ სოფელში მაინც აშენებდნენ ბაღ-ბოსტნებს. 1702-1703 წწ. საბუთებში იხსენიება ბოსტნისა და საბოსტნე მიწის გაყიდვა, იქვე ნახსენებია ნიგვზნარი და ვენახიც. ზურტაკეტის ეს სოფლებია რევაშენი და საჭე; ვენახი, ნიგვზნარი, მარანი და ქვევრი იხსენიება 1736 წლის კიდევ ერთ ნასყიდობის წიგნში, რომელიც ისევ ზურტაკეტის სოფელ ნიაწარს ეხება (თაყაიშვილი 1909: 188-189, 196, 388-389). უნდა ვიფიქროთ, ასეთი მიწები მზიანსა და ქარისგან დაცულ კანიონებში იყო; მართლაც, გიორგი ლარაძე 1792 წ. თავის ანდერძში დიდი ეგრისის მახლობლად იხსენიებს ჭალაში ზვარსა და ორ დოლაბს (თაყაიშვილი 1899: 294); ხოლო გომარეთის ტოპონიმიკაში შემორჩენილი ბოსტნების სახელები სულ ხევებშია დადასტურებული.

ყვავილოვანი მდელოების სიჭარბე აქაურ მოსახლეობას ძველითგანვე უბიძგებდა მეფუტკრეობის განვითარებისაკენ. აქ წესად ყოფილა ფუტკრის მობარებაც. „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „აბულაშვილისათვის გვიბრძანებია: რამდენი სკა თაფლად აწერია და მიგვიბარებია, იმდენი სკაზედ ჩარექ-ნახევარი სანთელი ჩვენს ქარხანაში მიაბაროს. და სხვა ნაყარი თაფლი, ზიანი და სარგებელი, მისი არის, ჩვენი თავნი ფუტკარი კი, ნუ მოიშლება“ (სურგულაძე 1970: 531). აქ ნახსენები აბულაშვილები ზურტაკელი მებატონეები იყვნენ ყმების მფლობელნი სოფლებში საჭესა და მაჩქათელაში (ლორთქიფანიძე 1938: 234).

დიდი გომარეთის ტოპონიმიაში ერთი საძოვრის სახელად დღესაც

გაისმის „საფუტკრის კლდე“.

ზურტაკეტსა და თრიალეთში ორი სოფელი იყო სარკინეთის სახელწოდებით. საქართველოს სხვა ადგილების მსგავსად, აქაც ეს ტოპონიმი რკინის მადნის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა აქ მისი მოპოვება ან დამუშავება. ამ უკანასკნელს, თითქოს, ხელს შეუშლიდა საწვავი ტყეების სიმცირე, თუმცა არაპირდაპირი საბუთი მაინც არსებობს: 1703 წელს მამუკა აბულაშვილი თავის სიძეს, სვიმონ ამირეჯიბს მიმართავდა: „მოგყიდეთ საჭეს ჩვენი მკვიდრი და ალალი ნაფუზარი სოდმანაური, იქით ბოვის პირამდიო“-ო (თაყაიშვილი 1909: 196). საბა კი განმარტავს: „ილეკროს გამოსადნობი პირველ ბოვი არს, სადა ოქრო, ვეცხლი, ბრპენი, სპილენძი და მისთანანი ითხრების და გამოიდნობის“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991). ჩანს, საჭესთან რომელიღაც მადნის გამოდნობაც წარმოებდა, თუნდაც მცირე მასშტაბის.

ვახუშტის ზემოთ მოტანილ აღწერაში ნათქვამია, რომ ტყის ნაკლებობის გამო, ადგილობრივნი წივას სწვავდნენ. XIX საუკუნეშიც ზურტაკეტისა და ნაწილი თრიალეთის სოფლებისა სარგებლობდნენ ქციისა და ალგეთის ხეობათა ტყეებით. მათ მფლობელ ფეოდალებს ისინი, ძველი წესების მიხედვით, უხდიდნენ ფულთან ერთად ნატურით: მარილის, კარაქის, ცხვრისა და თაფლის სახით (ერიცოვი 1887: 440).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზებს, რომლებიც გომარეთ-ზურტაკეტს მეზობელ მხარეებთან და შორეულ ქვეყნებთანაც აკავშირებდა. გომარეთიდან კარწახის ხევით შეიძლებოდა ჩასვლა მოდამნახის ციხესთან. აქედან კი, ქციის დაყოლებით – თბილის-კახეთისა თუ ირანისკენ... კარწახის ხევზე იყო სოფელი უზნარიანი, საიდანაც გომარეთში ამოსული გზა ზურტაკეტ-ჯავახეთში გადადიოდა. გომარეთიდანვე სხვა გზა ქედ-ქედ მიდიოდა, გაუვლიდა წმ. გიორგის სახელგანთქმულ ეკლესიას და ქციაზე ჩადიოდა ვარდისუბნის მონასტერთან. აქედან კლდეისში შეიძლებოდა ასვლა, ან ქვევით, ირაგის ხევით, სამშვილდისაკენ. გომარეთიდან ხევაშენზე გავლით კიდევ ერთი გზა ჩადიოდა ქციაზე. აქ ზეგანზე ამოსასვლელს კოშკი იცავდა. ირაგა-თეთრიწყაროდან გომარეთს მომავალი გზა-შარა დღესაც ძველ ტრასას მოუყვება. ზურტაკეტისწყალს მიჰყვებოდა გზა, რომელიც ლიპარიტის უბანთან ქციაზე ჩადიოდა. ის ციხე-ქვაბების გამოვლით სოფელ საჭესთან მდგარ კიდევ ერთ ციხეს ჩაუვლიდა. ამ გზაზე იყო ლარაძეების სოფელი ეგრისი, სასახლე და მონასტერი ლიპარიტისუბანს.

1703 წლის ერთ საბუთში სოფელ საჭესთან იხსენიება „სახნავი... გზის პირამდის, ზეით გვერდი სოფლის სანახირო გზა რომ ჩამოივლის ხრამისკენ“ (თაყაიშვილი 1909: 196). 1763 წლის მეორე საბუთში კი ნათქვამია: „ციხე-ქვაბიდამ საქალაქო გზა რომ წამოვა, გაღმითკენ იოსების ხევი... არის... სამხრით მდინარე ზვირთაკეტა“ (თაყაიშვილი

1899: 289-290).

დმანისხევში ზურტაკეტიდან ორი გზა გადადიოდა, ერთი ორომაშენთან გეტისხევში, დარბაზისა და ქვეშის ციხის გავლით, მეორე კი ყარაბულახიდან, მუსის ციხის გავლით, ბაშკიჩეთში. ამ გზას გულისხმობდა ვახუშტი 1695 წლის ერთ ეპიზოდში: „ნაზარ-ალიხან და ქალბალიხან შემოვლნეს სომხითი, დბანისჴევი და დადგნენ ყარაბულახს“ (ვახუშტი 1973: 472).

წალკიდან სამხრეთით მიმავალი გზა ზურტაკეტისა და დმანისხევის გადაკვეთით ტაშირში გადადიოდა, იქიდან სომხეთისაკენ ან დებედისხევით შეიძლებოდა ჩამოსვლა. XVIII ს-ის 50-იან წლებში ლეკები წალკიდან არბევდნენ გარშემო ქვეყნებს; ქართველთა ჯარის გამოჩენაზე „აიყარნენ ღამე ლეკნი, წაიღეს ეს ნაშოვარი, გაიარეს დმანისის თავს, მთის ძირზე, ტაშირზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპატის ახეობაზე“-ო – წერს პაპუნა ორბელიანი (პაპუნა ორბელიანი 1981: 220). „დმანისის თავი“ აქ ქალაქს კი არა, ხეობას გულისხმობს, ისევე როგორც XIII ს-ის ერთ საბუთში – „დმანისის პირს სოფელი ორმომაშენი“ (ი. დოლიძე 1970: 156). ეს სოფელი ზურტაკეტაშია, სადაც XIX ს-შიაც მიდიოდა წალკიდან გზა, შემდეგ ბაშკიჩეთი-შახნაზარი-ვორონცოვკა-ჯალალოღლით დებედისხევზე გადიოდა, ან სომხეთში ბეზობდალის გადასასვლელით (ფილიპოვი 1872: 320-324).

ზურტაკეტიდან დასავლეთის მიმართულებით ფარავანში გადადიოდა გზა. ვახუშტის ცნობით, „აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს“ (ვახუშტი 1941: 40). ქარვასლის მოზრდილი შენობის ნანგრევი მართლაცაა შემორჩენილი სოფ. სალამალეიქის დასავლეთით. მისი ზომებია დაახლ. 30მX15მ; აქვს ორი ფართო კარი აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე, რაც გზის მიმართულებას ემთხვევა. ამ მნიშვნელოვანი შენობის აგების მერე ხევს, რომელსაც ეს გზა მოჰყვებოდა, „ფუნდუკის ხევი“ დარქმევია. არ გვაქვს საფუძველი არ ვენდოთ ვახუშტის, ამ ღონისძიებას თამარს რომ მიაწერს: თამარის „სამლოცველო“ ხომ აქვეა (სეიფაანთ საყდარი). ფარავანამდე გზა გაუვლიდა მოზრდილ ბაზისში ჩასმულ ქვის ჯვარს, რომელსაც დამდგმელის წარწერაც ახლავს (დ. ბერძენიშვილი 1982: 16-17). ეს ძეგლი გზასთანაა დაკავშირებული და იმ ეპოქისაა, რომლისაც ზურტაკეტის ქარვასლა.

ქვაჯვრიდან დაახლ. 3,5 კმ-ზეა ფარავნის ქარვასლა და ეკლესია. ჩანს, რომ უმოკლესსა დ ადვილსავალ გზას, არც გვიან საუკუნეებში დაუკარგავს მნიშვნელობა. ამაზე მეტყველებს მისალმების თურქული ფორმა, რომელიც ფუნდუკის სიახლოვეს ძველ ქართულ ნასოფლარზე გაშენებულ სოფელს ეწოდება – სალამალეიქ (მშვიდობა თქვენდა).

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ღ. ალიშანმა, ჩვენ დროში კი ს. ერემიანმა სახელწოდება ზურტაკეტა ცურტავს დაუკავშირეს. ამ უკანასკნელის აზრით, ვახუშტისთან მოხსენიებული ზურტაკეტი

სომხური „ცურტაგეტის“ თურქული გამოთქმაა; ამჟამად მას ყარაბულახ-ჩაი ეწოდება და უერთდება მდინარე ხრამს (ქცია), რომელსაც ასევე ცურტაგეტი ერქვაო (ერემიანი 1963: 87; იაკობ ცურტაველი 1978: 055). მაშასადამე, სახელი აქ გააზრებულია, როგორც „ცურტავის მდინარე“, ალბათ, უხტანესის „გაჩენაგეტის“ (გაჩიანის მდინარის) ანალოგიით.

მ. ჯანაშვილის მოსაზრებითაც,„ზურთა-კეტი“ (კეტი, კერტი – ციხე, სიმაგრე) უნდა იყოს ცურტავი (ჯანაშვილი 1906: 259).

ძნელია ამ ვარაუდების გაზიარება, რადგან არცერთ წყაროში ქციის ასეთი სახელი არ დასტურდება; თუ კი ის მართლაც ამ მდინარის მხოლოდ ერთ შენაკადს შემორჩა მის ზემო წელზე, მაშინ ცურტავიც გომარეთის მაღალმთიან პლატოზე უნდა გვეგულისხმა; სხვა მონაცემთა გათვალისწინებით (იაკობ ხუცესის ნაშრომი) ასეთი რამ წარმოუდგენელი ჩანს.

ზურტაკეტის მეორე სახელწოდება – ყარაბულახი, თურქული წარმოშობის გვიან შერქმეული ჰიდრონიმია, რომელსაც ვახუშტი თითქოს, ქართული „შავი წყარო“-დან თარგმნილად თვლიდა. მის ნაპირზე არსებულ მნიშვნელოვან დაბასაც მაშინ უკვე ყარაბულახი ერქვა; აქედან წარმოსდგა XVIII ს-ის წყაროებში დადასტურებული „ყარაბულახის ხეობა“.

მოსახლეობის კვალი ზურტაკეტში ადრიდანვე ჩანს*. აქ აღსანიშნავია მეზოლითური სადგომი, რომელიც ზემო ყარაბულახთან გათხარა და შეისწავლა მ. გაბუნიამ. საინტერესოა კლდეზე შემორჩენილი ნადირობის სცენები, ირმებისა და სხვა ცხოველთა გამოსახულებით.

შემდგომი პერიოდის ძეგლებიდან აქ გვხვდება ენეოლითური ხანის ცალკეული მონაპოვარი და ენეოლითური ნამოსახლარი, რომელიც სოფ. დიდ გომარეთში აღმოჩნდა 1962 წ. (გ. გრიგოლია, დ. თუშაბრამიშვილი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ადრებრინჯაოს ხანის დიდი, შესანიშნავი თავისი აღნაგობითა და მშენებლობის ტექნიკით, ყორღანები. მათ წლების მანძილზე თხრიდა და სწავლობდა აკად. ოთ. ჯაფარიძე. ამ ყორღანებში აღმოჩენილმა კულტურამ გვიჩვენა დიდი მსგავსება თრიალეთის ყორღანულ კულტურასთან, იგივეობა დამარხვის წესებსა და რელიგიურ წარმოდგენებზე, რომლებიც ამ მესაქონლე ტომებს ახასიათებდათ (საქართველოს არქეოლოგია 1991: 207-209; ჯაფარიძე 2003: 158-159). სავარაუდოა, რომ ამ ყორღანებში დაკრძალული ტომის ბელადები ზურტაკეტისავე იმდროინდელ სოფლებში ცხოვრობდნენ; თუმცა კი ასეთი ნასოფლარები იქ ჯერ აღმოჩენილი არაა.

---

* ავტორის ხელით სხვა მელნით ჩამატებულია: „ქვ. პალეოლითი გომარეთთან (საქართველოს არქეოლოგია, I, თბ. 1991, გვ.117)“ – რედ.

გომარეთში გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (გ. გრიგოლია, დ. თუშაბრამიშვილი), ადრეანტიკური, ელინისტური ხანის სამარხები (ქვაყუთები, ორმოსამარხები). მათი ინვენტარი აშკარად მოწმობს იქ მოსახლე ტომების ბინადარ ცხოვრებას მესაქონლეობისა და მემინდვრეობის ბაზაზე.

ამრიგად, განათხარი არქეოლოგიური მასალა მოიცავს ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ეპოქას და ნათლად მოწმობს, რომ ზურტაკეტ-გომარეთის პლატო თავისი კლიმატური, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით მუდამ აკმაყოფილებდა იქ საცხოვრებელ მოთხოვნილებებს.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის თვალის მიდევნება ამ რაიონში შესაძლებელია უძველესი ციხეების გაჩენის დროიდან.

ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს მუსის ციხე, ზურტაკეტის სამხრეთ ნაპირზე. აქ მდებარე კლდოვანი მთის თხე-მი კარგად მოჩანს მაშაველას ხევიდან ზურტაკეტს მომავალი გზიდანაც. კარკნალის თხემი, დაახლ. 130მX70მ, თავიდან მშრალი წყობის კედლებით ყოფილა მოზღუდული. ასეთივე წყობის სათავსები ჩანს კედლის შიგნითაც. მახლობელი სოფლებიდან აქ არსებულ მზა ლოდებს საშენ მასალად ეზიდებიან, ამიტომ ძველი ნაგებობების სრულად წარმოდგენა ჭირს; სამაგიეროდ, ნათხარში კერამიკული ფრაგმენტები უფრო ადვილად იპოვება. ანაკრეფ მასალაში აშკარად გამოირჩევა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები ჩაღარული და წნეხვით გამოყვანილი ზოლებით. ორნამენტი თევზიფხურია და ტალღოვანი, რომლებიც პატარა კოჭობის, ჯამებისა და სადღვებლის ზედაპირს ამკობდნენ.

სიმაგრე გამოუყენებიათ ფეოდალურ ხანაშიაც: შერჩენილი კედლების ნაწილი კირხსნარზეა ნაგები, კერამიკაში არის მოჭიქული ჯამების ფრაგმენტებიც, ყავისფერი და მწვანე ჭიქურით შემკული. ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ სოფელი აღარ ყოფილა, ის მხოლოდ ციხეს იხსენიებს და მასაც გვიანი სახელწოდებით: „არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუსის ციხე – ყალა, შიგან სდის წყარო“.

ციხის აღმოსავლეთით ნასახლარია და ახალი ბერძნული სასაფლაო. მის სამხრეთით ძველი ქართული სასაფლაო – დიდი, დაუმუშავებელი ლოდები; არის დამუშავებული, სამკუთხა, მოგრძო ქვებიც, რომლებსაც თავთან (დასავლეთ მხარეს) ჯვრები აქვთ გამოსახული. აქვეა მემორიალური ქვაჯვრების ბაზისები. ერთ მოგრძო ქვაზე ადამიანის სქემატური გამოსახულებაა: გულხელდაკრეფილ მკლავებს შორის ჯვარია რელიეფურად გამოყვანილი; მის სამხრეთით ასომთავრული წარწერაა: ⴑⵗⵖⵗⵜⵗⵣⵗ, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე სული ენოსი“.

ამავე სასაფლაოზე გვხვდება ყოჩის, ცხენის ქანდაკებები და

ოთხი ბრტყელი ლოდი ზედ ადამიანის გამოსახულებებით. ეკლესიის ბუდე აღარ ჩანს, მაგრამ სასაფლაო შეიძლება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით დავათარიღოთ. იგი მუსის ციხის ძველი ნასოფლარისა იქნებოდა.

უკეთესადაა შემორჩენილი ძველი ციხე და ნასოფლარი ზურტაკეტის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე, ჭოჭიანის სათავეებთან, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი კარწახისხევს უწოდებს. წყლის მარცხენა სანაპიროზე მოზრდილი ნასოფლარია; აქ დიდი ლოდების მშრალი წყობით ნაგები, ოთხკუთხა და მრგვალი სადგომებია; კარგადაა გადარჩენილი შესასვლელები,დიდი ზომის ბალავრის ქვებით გადახურული. ზოგიერთი ბლინდაჟის სახურავზე გეომეტრიული ნაკაწრებია.

წყლის მარჯვნივ, ორი ტოტის შესაყარ სამკუთხედში, ქედზე ასევე მშრალი წყობით ნაგები ციხე-გალავანია; ის ოვალურად ზღუდავს ტერიტორიას დაახლ. 80მX25მ. კედლები სამხრეთ საქართველოს ძველი ციხეების ანალოგიურია: მოზრდილი ლოდების ორ პარალელურ მწკრივს შორის ჩაყრილია მცირე ქვებისა და ღორღის მასა. კედლის სისქე 2 მეტრია. გალავნის შიგნითაც ათამდე სათავსია, გეგმით ზოგი ოთხკუთხა, ზოგი ნალისებური. დასავლეთით შერჩენილია გარედან ოთხკუთხა, შიგნით – მრგვალი კოშკი. ნასოფლარი და ციხე-გალავანი თანადროული უნდა იყოს, თუმცა ციხის გამოყენება შემდგომ ხანებშიც იქნებოდა შესაძლებელი. სოფელს დიდი წყარო ჰქონია, გემრიელი, მოთეთრო ფერის წყლით.

თრიალეთ-ჯავახეთის ასეთი ძველი ციხეებიდან ზოგიერთი გათხრებითაცაა შემოწმებული. მათი ზოგადი თარიღი ძვ. წ. II-I ათას-წლეულებს შორის ექცევა, ზოგიერთი კი ფეოდალურ ხანამდეც აღწევს (დ. ბერძენიშვილი 2006: 221-245).

ზურტაკეტის სოფლების სიაში ვახუშტი ბატონიშვილი ციხე-ქვაბს ასახელებს შესაყარისა და ვარდისუბნის შემდეგ, ეგრისის წინ. ლარაძის სოფელი ანუ ეგრისი ჰქვია ნასოფლარს დიდი გომარეთის სამხრეთით,დაახლ. 3 კმ-ზე; ის კანიონის პირსა და ზეგანზეა გაშლილი. სოფ. ახას ქვევით, ყარაბულახთან, მისი შენაკადების შესართავში, ვახუშტის რუკაზე სამი სოფელი „შესაყარია“ აღნიშნული. მისი მიგნება ადგილზე ადვილია: ძალზე ნიშანდობლივია მდებარეობაცა და სახელიც. ამის მერე ყარაბულახის ნაპირზე არსებულ ნასოფლარს ახელები ახლაც ვარდისუბანს ეტყვიან. ამრიგად, ვარდისუბანსა და ეგრისს შორის ნასოფლარი, რომელიც ზეგანზე და ხრამის ნაპირზე მდებარეობს, ციხე-ქვაბი გამოდის.

ამ ადგილას ხეობის ნაწილი სოფ. ყარაბულახის შემდეგ თანდათან ღრმავდება და კანიონი დიდ მანძილზე მიიკლაკნება. ის უფრო ვიწროა, ვიდრე მაშავრისა, ან ქციის ხრამი. აქ ბევრია კლდეზე ჩანჩქერად გადმოვარდნილი წყლები, რომლებიც, ჩანს, ბუნებრივი

გამოქვაბულების წარმოქმნაში მონაწილეობდნენ. ეს უკანასკნელნი კი, ზურტაკეტის ხრამის ორსავე კლდოვან ნაპირზე 3-4 იარუსადაა ზოგან განლაგებული. ამ ბუნებრივი გამოქვაბულებიდან ზოგიერთი კედლების ამოშენებით სახიზარ-სადგომად უქცევიათ.

ციხე-ქვაბის ნასოფლართან, კანიონის მარცხენა ნაპირზე, ზედა იარუსის ერთი გამოქვაბული თითქმის ზეგანს აღწევს. იგი ხევის მხრიდან ამოშენებულია გამოქვაბულის მთელ სიმაღლეზე; კედლის წყობა ადრეფეოდალურია: დამახასიათებელი საშუალო ზომის, თანაბარი კვადრები ჰორიზონტალურად კირზეა ნაგები. ჩასასვლელი ზევიდან უნდა ყოფილიყო გვირაბით. კედელზე ძელების გასადები ღრმულებია, ე. ი. კედელი ორ სართულს იტევდა. იქვე ყოფილა ორი ოთხკუთხა სამზერი, რომელთაგან ერთი მოგვიანებით სათოფურად გადაუკეთებიათ.

ამის ქვევით კიდევ სამი ერთმანეთში ჩამავალი გამოქვაბულია, მათ დაბლა – კიდევ ორი. ამათგან ყველაზე დიდი მოზრდილი კედლითაა ამოშენებული. აქაური წყობა გარედან ჭარბი კირხსნარითაა დაფარული, რაც გვიანი შეკეთების ნაკვალევია. ამ გამოქვაბულში მცირე დარბაზული ეკლესია დგას; ის გათლილი, თანაბარი ზომის ქვებით, ჰორიზონტალურ რიგებად კირზეა ნაგები; შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, არქიტრავის ქვაზე ბოლნური ჯვარია გამოსახული. საკურთხეველში ხვრელი მოჩანს, საიდანაც, ალბათ, სამალავში აისვლებოდა.

გამოქვაბულის დამცველ კედელზე ნიშებია ძელების გასადებად, რაც სართულებს ჰყოფდა. ამ კედელსაც აქვს სამზერები და სათოფურები. კედლის დასავლეთ ბოლოზე პატარა საპირფარეშოა ქარაფზე გადაკიდული. გამოქვაბულის აღმოსავლეთით, მახლობლად შესანიშნავი წყაროებია.

მდინარის გაღმა, მოპირდაპირე ნაპირზედაც გამოქვაბულებია, ოღონდ უფრო მცირე ზომისა. ქვევით, ვიწრო ჭალაში მიმავალი გზა ამ გამოქვაბულებსაც ერთმანეთთან აკავშირებდა.

ციხე-ქვაბი გვიანი საუკუნეების წერილობით წყაროებში არაერთგზის იხსენიება, რაც მიუთითებს ამ მნიშვნელოვანი პუნქტის ხანგრძლივ არსებობაზე, ფეოდალური ეპოქის მთელ მანძილზე.

ზურტაკეტის კანიონის გამოქვაბულები პირველად შეისწავლა კ. ჯავრიშვილმა, რომელიც მივიდა დასკვნამდე, რომ იქაურ გამოქვაბულთა ყველა კომპლექსი დაჯგუფებულ-დაქვემდებარებულია ციხე-ქვაბისადმი; მისი აზრით, მისასვლელთა ჩამკეტი კედლები, გზის საცავი თარო-სანგრები, გამოქვაბულთა ბუდეები ქმნიან ერთიან სათავდაცვო კომპლექსს, ციხე-ქვაბით სათავეში. ზურტაკეტის ქვაბთა 15-მდე ჯგუფი საშიშროების დროს 12 ათასამდე კაცს დაიტევდაო (ჯავრიშვილი 1963: 13-16).

ციხე-ქვაბის გამოქვაბულები არქეოლოგიური თხრით შეისწავლა

ნ. ბახტაძემ, რომელმაც პირველ კომპლექსში XIII ს-ის დასასრულის მონეტა აღმოაჩინა; ვერცხლის მონეტა თბილისშია მოჭრილი და მას „ყაანური“ ერქვა. ავტორი ამ გამოქვაბულებს კლდის სოფლად მიიჩნევს; კლდის სახლებში მან აღმოაჩინა, აგრეთვე, ერთი ხანისა და ტიპის თონე-კერიები, მოწყობილი როგორც საცხოვრებელ ქვაბებში, ისევე მათ წინ, ოდესღაც ხის კონსტრუქციებით შემოფარგლულ და გადახურულ ტერიტორიებზე. იქაური მძლავრი კულტურული ფენები აქტიურ სამეურნეო საქმიანობაზე მიანიშნებენ (ბახტაძე 2002: 41).

თვით სახელწოდების მიხედვით, ციხე-ქვაბი უფრო ძველი გამოდის, ვიდრე მისი სოფელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეს სოფლის სახელი ექნებოდა და არა პირუკუ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ციხე-ქვაბი ისეთ ძველ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის, როგორიცაა ციხედიდი, ციხეგოჯი, ციხებდავი, ციხესულორი... კ. ჯავრიშვილს ეს სახელწოდება ზოგად სახელად გამოაქვს, კედლით გამაგრებული გამოქვაბულისათვის (იხ. იქვე). ეს არ უნდა იყოს მართებული, რადგან ტოპონიმი სრულიად გარკვეულ პუნქტს აღნიშნავდა და სხვაგან არ მეორდება; არც ქართულ ენაში განზოგადებულა იგი ციხე-ბურჯის, ციხე-გალავნის, ციხე-დარბაზის, ციხე-კოშკის თუ ციხე-ქალაქის მსგავსად.

ადრეულ შუა საუკუნეებში ციხე-ქვაბის „შესავალი“ უნდა ყოფილიყო ზურტაკეტის პლატოს ის ნახევარი, რომელიც ყარაბულახის მარცხენა ნაპირს მოიცავდა, ფუნდუკისხევის შესაყარიდან სოფ. ეგრისამდე, შამბიანის მთამდე – დასავლეთით და კვირიკეთის მთამდე – ჩრდილოეთით.

კიდევ ერთი ნაციხარია ქცია-ყარაბულახის შესაყართან. აქ კლდოვანი ქედია დასავლეთ-აღმოსავლეთი მიმართულებისა, რომლის თხემი (ფართობი დაახლ. 125მX50მ) გალავნითაა მოზღუდული. დასავლეთ ნაწილში შერჩენილია გოდოლის ნანგრევი, რომელიც ზურგიანი კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველაფერი ნაგებია თანაბარი ზომის, საშუალი კლდის ქვით, კირხსნარზე. კედლის მაქსიმალურად შერჩენილი სიმაღლე 3 მ-ია, სიგანე – 1,25 მ.

გალავანს ჩრდილოეთით სამი მომრგვალებული ბურჯი აქვს; აღმოსავლეთით ქედს, მიუვალობის მიზნით, ყელი გადაჭრილი აქვს. ამ ციხის გვიან საუკუნეებშიაც ფუნქციონირება მიუთითებს გზასაყარის დიდ მნიშვნელობაზე ქცია-ყარაბულახის შესართავთან. ეს ციხე ბატონობდა ყარაბულახის ქვემო დინების სოფლებზე ეგრისის ქვევით ქციამდე.

ამავე ციხის მფლობელნი იქნებოდნენ იერემია და ფაჩლავრიჭ – ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც ციხის სამხრეთით მყოფ ნასოფლარში აღმოჩენილ წარწერაში იხსენიებიან. წარწერა მოთავსებულია ჯვრის ჩასასმელ კუბურ კვარცხლბეკზე. დასავლეთ მხარეს ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული, რომელსაც ორსავე მხარეს

ფრთოსანი მთავარანგელოზები ახლავან; მათ ასომთავრულით აწერიათ: „მიქელ“ და „გაბრიელ“.

სამხრეთ მხარეს ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში იკითხება: „შეწევნითა ღმრთისმშობლისადთა მე, ერემია და ფაჰლავრიჭ,ესე ჯუარი აღვმართეთ სალოცავად სულთა ჩვენთა და ცხორებისათვის შვილთა ჩვენთა“. ბაზისი VI ს-ის II ნახევრით თარიღდება (დ. ბერძენიშვილი 1976: 113-114). იგი ამ ნასოფლარისა და ციხის სიძველის მოწმობაც შეიძლება იყოს.

ამავე საციხისთავოში იქნებოდა სოფ. ძველი გომარეთი,ზურტაკეტის სოფლებში პირველ ადგილზე დასახელებული ვახუშტი ბაგრატიონის სოფელთა სიაში. ვახუშტისთანვე ჩანს ძველი გომარეთისწყალი და დიდი გომარეთი. სამივე ეს სახელწოდება ყარა-ბულახის მარცხენა მხარესაა. სავარაუდო ხდება, რომ ზეგანის ამ ნაწილს ერქვა სწორედ გომარეთი. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ავტორის ტექსტში ქვეთავად გამოტანილია „აღწერა ზურტაკეტისა“, ხოლო თანდართულ სოფელთა სიებში შესაბამის ჯგუფს აწერია – „გომარეთი და ზურტაკეტა“; ე. ი. ავტორს ყარაბულახის ხეობის ორი ნაწილი აქვს აღნიშნული,რომლებიც ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ მუსის ციხისა და ციხე-ქვაბის საციხისთავოებში.

ზურტაკეტის უძველესი ქრისტიანული ძეგლები სწორედ დიდ გომარეთსა და მის მიდამოებშია აღმოჩენილი. პანტიანის ზემოხსენებული კვარცხლბეკის გარდა,მსგავსი ბაზისები თუ სტელები შერჩენილია მამულა სოფელში, დიდ გომარეთში, ქეივან-ბულგასანში, ამბარლოსა* და დემირ-ბულახში, ასევე სოფ. ახაში. აქ ეს ძეგლები ზოგი ეკლესიის კედლებშია, ზოგი გალავანშია ჩაყოლებული, ზოგი კი სასაფლაოზე დაუდგამთ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ცხადია ამ სოფელთა სიძველე.

სტელებისა და ბაზისების მნიშვნელოვანი რაოდენობა მაინც დიდ გომარეთშია თავმოყრილი. შესაძლოა, ეს ამ ქართული სოფლის სიდიდითაც ახსნილიყო,რომლის მოსახლეობა ასეთ ქვაჯვრებს გვიან

---

* საქაღალდეში „ზურტაკეტი“ დ. ბერძენიშვილს ცალკე ფურცლად ასეთი ჩანაწერიც აქვს: „განახლება – ექვთ. თაყაიშვილის დროს ამბარლო ერქვა. ქართული სახელი ერქუშაანთ სოფელი იყო „იქ ბერძნები ცხოვრობენ და სახელიც იქიდან მოდის“ (ლ. მუსხ[ელიშვილი] დმანისი).
ძვ. გომარეთი – თაყაშვილი ჰყიდის გიორგი ბარათაშვილზე. ისინი პირველი მეპატრონეები იყვნენ. გაიყიდა სოფლის ნახევარი „ძვ[ელი] გომარეთის ნახევარი“ (ცსა, ფ. 1450, საქ. 45). ეს წილი გიორგი ბარათაშვილისაგან უყიდიათ თურქისტანიშვილებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს მეფე ლუარსაბის დროს მოხდა და ამისი წიგნიც გვაქვსო, „რომ ძვ[ელი] გომარეთი თურქისტანიშვილებისა არისო, მაგრამ ის წიგნი ჩვენ ვეღარ ვიპოვეთ და მამაჩემმაც ვეღარ დაგიმტკიცათ, ახლა კი მე გიმტკიცებთო“ (ცსა, 1450, დავთ. 39, საქ. 44. იოვანე ბარათოვი)“ – რედ.

საუკუნეებში სამიჯნეებადაც იყენებდა და ბუნებრივია, თავის მიწებში ინახავდა. ეს მოვლენა არეკლილია აქაურ ტოპონიმიაშიც: მიჯნის ველები, ქვაჯვრის მიწები, ქვაკაცის ბოლო, ქვაკაცის ზემო, ქვაჯვარა და სხვ. მიუხედავად ამისა, იქ აშკარად გამოირჩევა ახლაც სალოცავად აჩემებული სტელათა ჯგუფი, რელიეფური გამოსახულებებით; ისინი წივილაანთ უბნის ერთ მცირე ბორცვზე შეუკრებიათ, სადაც ეგების ეკლესიაც იყო ოდესმე. სამი მოზრდილი სტელა კვარცხლბეკშია ჩადგმული; ამ „სამებასთან“ დიდი დღეობა იციან კვირაცხოვლობას, აღდგომის სწორ კვირას; მაშინ აქ სხვა სოფლებიდანაც მოდიან მოსალოცად.

ჩამოთვლილი სტელა-ჯვრები, როგორც ჩანს, ზოგადად VI-VIII სს. ფარგლებში ექცევა. ისინი განიხილება, როგორც სალოცავ-მემორიალური და, ამავე დროს, მიწის დასაკუთრების მაჩვენებელი ძეგლები (ნ. ბერძენიშვილი 1966ა: 174; თოფურია 1942: 50-53, 61-63; ალ. ჯავახიშვილი 1949: 8, 12-13).

ზემოთ განხილული ქვაჯვარ-სტელათა სიმრავლე დიდ გომა-რეთს მნიშვნელოვან პუნქტად წარმოგვიდგენს ადრეფეოდალურ ხანაში; თუმცა კი იქ შემორჩენილ ხუთი ეკლესიის ნანგრევს, საშუალო საუკუნეთა სხვადასხვა პერიოდებში გადაკეთებულთ, ნაკლებად შერჩენია ადრეული იერი.

სოფლის ჩრდილოეთით, კვირიკეთის მთაზე, მცირე ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი („ბუჩქების ეკლესია“). ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „კვირიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისათჳს, რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის კვირიკესი“ (ვახუშტი 1941: 41). ავტორის ეს აღწერა ზურტაკეტის ჩრდილოეთით, მის საზღვარზე მყოფ წვერის წმ. გიორგის უნდა ეხებოდეს, ვიდრე დიდ გომარეთთან მყოფ ბრტყელაფსიდიან ეკლესიას, რომლის სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს შერჩენიათ ძველი წყობა: თანაბარი, საშუალო ზომის ქვათა ჰორიზონტალური რიგები. ეკლესია უსარკმელოა და შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. დასავლეთი კედელი და სახურავი განახლებულია.

დიდი გომარეთის ადრიდანვე დაწინაურებისათვის ხელი უნდა შეეწყო საუკეთესო სახნავებსა და საძოვრებს, ამ პუნქტს რომ გარს აკრავს, ქციის ხრამთან სიახლოვეს (ხე-ტყე, საბაღ-ბოსტნე მიწები), მოხერხებულ გზაჯვარედინზე ყოფნას. ყოველივე ამას იგი თავისი მიკროქვეყნის ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად უნდა ექცია.

არნ. ჩიქობავას აზრით, გვარსახელი გომართელი უნდა მოდიოდეს გომარეთიდან (ჩიქობავა 1942: 138). გომარ-ეთ-იდან უფრო მოსალოდნელი იყო გომარ-ელი; მართლაც, ბორჯომში ასეთი გვარი იხსენიება („თბილისი“ 1987). გომართელი კი, უნდა მოდიოდეს სახელწოდებიდან გომართა, რომელიც მდებარეობს შიდა ქართლში, ფცისწყლის

სათავეებში. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, იქ ყოფილა „ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი. მუნიდამ წარვალს გზა ლოხოისის მთასა ზედა და პერანგას მთასა ზედა. გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა“ (ვახუშტი 1941: 80).

ზემოთ ჩამოთვლილ სოფელთა გარდა, სადაც გვიან განახლებულ ეკლესიებში ადრეული არქიტექტურული დეტალებია შემორჩენილი, აქ გვხვდება ნასოფლარები ძველი სალოცავებით. ასეთია ამბარლოს აღმოსავლეთით გორაკზე არსებული დარბაზული ეკლესია, სამხრეთი მინაშენით (ამჟამად ის ხელოვნურად გაშენებულ ტყეს დაუფარავს); ძველია რევაზაშენის (ვახუშტისთანაა რევაშენი) სამნავიანი ბაზილიკა IX საუკუნისა და ეგრისის დარბაზული ეკლესია X საუკუნისა. სამივე ეკლესიის კედლებში ჩაშენებულია კუბური ფორმის ქვაჯვართა ბაზისები.

ლ. რჩეულიშვილი ზემოთ ნახსენებ ამბარლოსთან მყოფ ეკლესიას „ამაღლებას“ უწოდებს და VI-VII საუკუნით ათარიღებს. ასეთივე თარიღი აქვს მას სარკინეთის (დემირ-ბულახის) და ერქუშაანთ სოფელში (ქეივან-ბულგასანი) შემორჩენილი ეკლესიებისთვისაც (რჩეულიშვილი 1994: 16, 21).

ადრეული ხანის ძლიერ საინტერესო სტელა აღმოჩნდა ვახუშტის მიერ შესაყარ-ად დასახელებულ ნასოფლარში. აქ მდინარის სამი ტოტი ერთდება, რაც ნასოფლარის სახელწოდებაში აისახა. დარბაზული ეკლესიის ნანგრევში აღმოჩენილი სტელა, ალბათ, საკურთხეველში იდგა; მას ზევიდან ჯვრის ჩასასმელი ფოსო აქვს ამოკვეთილი.

სტელის ზედა ნაწილი ოთხმხრივაა დამუშავებული. მის დასავლეთ მხარეს სამი ჯვარია გამოსახული რელიეფურად. დიდი ჯვარი საფეხურებიან ბომონზე დგას. პატარა ჯვართან ორივე ხელაპყრობილი ფიგურაა. მარცხენა, ჩრდილო მხარეს სამკუთხა ქუდიანი მამაკაცია გამოსახული; მის მოპირდაპირე – სამხრეთ – მხარესაც ჯვარია, ხოლო აღმოსავლეთ მხარეს გაურკვეველი გამოსახულებაა.

ზურტაკის მეორე ნაწილი ყარაბულახის მარჯვენა სანაპიროა; ის მუსის ციხის „შესავალი“ ერთეული უნდა ყოფილიყო, ადრე შუა საუკუნეთა ძეგლები აქ უფრო ნაკლებადაა შემორჩენილი, ვიდრე მარცხენა სანაპიროზე. მათგან აღსანიშნავია ქვემო ყარაბულახის ნაეკლესიარი შუა სოფელში. მას აფსიდა ნალისებური ჰქონია. გვიან გადაკეთების კვალია ბალავრის ქვაზე გამოსახული პატარა ჯვარი; მეორე დიდ ლოდზე მკრთალად გამოსახული ლომი და იონა გველის ხახაში (XIII ს.).

სოფ. საჭეში (ახლა საჯა), მელქისედეკ კათალიკოსის მიერ (XI ს.) აგებული ეკლესია ადრეული ნასაყდრალის ადგილზე უნდა იყოს. ამის ნიშნებია: ლავგარდანი ნახევარწრიული თაღების მწკრივით, რომელთაც ზევიდან ღარები დაუყვებათ, სტელის ნაწილი, აღმოსავლეთ

კედელში ჩაშენებული, და დიდი კუბური კვარცხლბეკი, შიგ ჩასმული ქვაჯვრის გადანატეხით, რომელზედაც ჯვრებია ამოჭრილი.

შეიძლება ეს სოფელი იყო ზურტაკეტის სამხრეთ ნაწილის ადმინისტრაციული ცენტრი, ადრიდანვე დაწინაურებული პუნქტი საინტერესო სახელწოდებით. ის, შესაძლოა, აქ გამავალ გზებთან იყოს კავშირში: მდინარის მარჯვენა ქარაფზე გადმომდგარი ეს სოფელი უმოკლესი ბილიკებით უკავშირდება ქციის ხრამს, ასევე მუსის ციხესა და დმანისხევს. ვახუშტის რუკაზე საჭესთან აზნაურის რეზიდენციაა აღნიშნული, რაც, შესაძლოა, ძველთაგან მომდინარე ვითარების ამსახველია.

საინტერესოა, რომ ვახუშტი ზურტაკეტის ხეობას იცნობს მხოლოდ. დაბა ან ქალაქი ასეთი სახელით მან არ იცის. ყარაბულახს ის თარგმნის „ხოლო არს დაბა ველსა ზედა შავიწყარო – ყარაბულახი“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყარაბულახს (დაბას) არც ძველად ერქვა ზურტაკეტი, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მდინარეს სახელი შერქმეოდა პუნქტის მიხედვით. შესაძლებელია, ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყოს ვახუშტის რუკაზე აღნიშნული ნაპალატევი, ბახჩალარის მეზობლად მის დასავლეთით, ყარაბულახისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ეს პუნქტი საჭესა და მუსისციხეს შორისაა და ამ მიკროქვეყნისათვის საყურადღებოა თავისი სახელწოდებითაც – პალატი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სასახლეა, სამეფო სახლი.

განვითარებული შუა საუკუნეები ახალი აღმავლობით აღინიშნება გომარეთ-ზურტაკეტის ცხოვრებაში: შენდება ახალი ეკლესია-მონასტრები; განაგრძობენ არსებობას ძველი პუნქტები...

არაბობის დროიდან მოკიდებული ზურტაკეტ-გომარეთი თრიალეთთან ერთად მათდამი დაქვემდებარებული ქვეყანაა. შემდგომ მას ეუფლება გვარამ მამფალი და წარმატებით ებრძვის არაბებს. IX ს-ის II ნახევრიდან კი თრიალეთს ბაღვაშთა საგვარეულო ეპატრონება, ხოლო ქვემო ქართლში სომეხ ბაგრატუნთა პოლიტიკური ბატონობა იწყება.

ბაღვაშების „მამული ქართლისა“ ყოველთვის კლდეკარის საერისთავო იყო, მაგრამ ისინი მის მიმდებარე ხევებზეც ავრცელებდნენ თავის გავლენას. ეს კარად ეტყობა მათ მიერ აშენებულ ეკლესია-მონასტრებს ატენში, ქციის ხრამსა თუ გომარეთში.

ამ მხრივ დამახასიათებელია ტოპონიმი „ლიპარიტის უბანი“, რომელიც მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიაშია შემორჩენილი. ეს სახელი მიემართება ნამონასტრევსა და ნასახლარებს გომარეთის პლატოდან ქციის ხრამში ჩამავალი გზის სიახლოვეს. სახელწოდება შეიძლება გააზრებულ იქნას, როგორც ლიპარიტის სამფლობელოს საზღვარზე ახლადშექმნილი პუნქტის სახელი. არ ჰგავს, რომ ეს გვიანი ლიპარიტების ნაკვალევი იყოს: როდესაც ისინი

სამშვილდეს პატრონობენ, მაშინ ეს ადგილი მათი „უბანი“ კი არა, საპატრონო ქვეყნის უშინაგანესი რაიონია,სადაც „ლიპარიტის უფლება“ თითქმის ყველა ეკლესიაზეა წარწერილი. ამიტომ საფიქრებელია, აქ სწორედ პირველი ლიპარიტები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც ისისაა ფეხს იკიდებენ უცხო გარემოში.

ბაღვაშთა წარმომადგენლის პირველი ხსენება გომარეთის ეკლესიებზე გვაქვს. აქ ექვსი ეკლესია ყოფილა, რაც ამ პუნქტის სიდიდესა და მატერიალურ შესაძლებლობებზე მეტყველებს განვითარებულ შუა საუკუნეებში. სწორედ ამ დროიდან შეიძლება შერქმეოდა ზურტაკეტის ჩრდილოეთ ნაწილს მისი ცენტრის – გომარეთის სახელი.

დიდი გომარეთის ღმრთისმშობლის ეკლესია შუა სოფელში დგას, მას ვერტიკალურად დაყენებული ქვების გალავანი არტყია. წარწერა შესანიშნავად გაფორმებულ ბალავრის ქვაზეა ამოჭრილი: „ქრისტე ადიდე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი ამენ“; ცოტა დაბლა, უფრო მომცრო ასოებით: „სტეფანოსს და მამას და ყოველსა ერსა მათსა. წმიდაო ეკლესიაო სიგრილე ყავ დიდსა მას დღესა“; ბალავრის ქვის მარჯვენა მხარეს: „სახელითა ღმრთისაჲთა, მას ჟამსა ოდეს ძრიელმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრნა ზვიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალავარი დაიდვა ჴელითა ცოდვილისა მიქელ ხუც-გალატოზისაჲთა“.

შესასვლელის მარჯვნივ ჩასმულ ლოდზე, ასევე ასომთავრული წარწერაა: „ქ(რისტე), სახელითა ღმრთისაჲთა, მე კუხმან შევწირე წმიდასა ამას ეკლესიას წისქუილნი, ჟამის საწირავად მიჩინეს დღე ხარებაჲ, ამის ეკლესიისა მღუდელთ წირონ დღე ეგე“.

წარწერები გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან აქ მოხსენიებული მეფე გიორგი I და ლიპარიტ ბაღუაში იგულისხმა (თაყაიშვილი 1913: 83-83). ეს წარწერები მნიშვნელოვანი წყაროა გომარეთის ისტორიისათვის.

ცნობილია, რომ ბაგრატ III-მ, რატი ბაღვაშს 989 წელს თრიალეთი ჩამოართვა და მას არგვეთის მამული დაუტოვა (ივ. ჯავახიშვილი 1965: 127). დიდი გომარეთის წარწერა, სადაც ლიპარიტ ერისთავი და გიორგი მეფე ერთად იხსენიებიან, ცხადად მოწმობს, რომ კლდეკარის საერისთავო ბაღვაშთათვის გიორგი I-ს უკან დაუბრუნებია 1023-1027 წლებში.

გომარეთის ზვიად მარუშიანი და თრიალეთის ერთ წარწერაში მოხსენიებული ზვიად ერისთავი, ა. ბაქრაძის აზრით, ერთი პირია, თრიალეთის განმგებლად დანიშნული ბაგრატ III-ის მიერ ბაღვაშთა განდევნის შემდგომ (ბაქრაძე 1959).

ვ. ცისკარიშვილმა ეს პიროვნება გააიგივა ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის დროს ნარატიულ წყაროებში მოხსენიებულ ზვიად ერისთავთან,

რომელიც ზარზმის ხატის შემამკობელიც ყოფილა (ცისკარიშვილი 1959: 13-15).

ნ. შოშიაშვილს გომარეთის ზვიად მარუშიანი გაორმაგებული სახელი ჰგონია და არა გვარი. მისი აზრით, მარუშიანთა საგვა-რეულო არ არსებულა. ეს სახელი კი იხსენიება ვარდანისძეთა, აფაქისძეთა, გარეყანისძეთა და სხვა საგვარეულოებში (შოშიაშვილი 1966: 56-59).

დიდი გომარეთის წარწერიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თით-ქოს თავის საერისთავოში აღდგენილი ლიპარიტ ერისთავი ბაღვაშთა აქ შემცვლელ და მეტოქე ზვიად მარუშიანის შეპყრობას გიორგი მეფის მიერ ნიშნის მოგებით აღნიშნავს. გამოდის, რომ ბაღვაშები თრიალეთში გიორგი I-ს დაუბრუნებია, ალბათ, იმ ერთგული სამსახურისათვის, რომელიც მათ ბასილი კეისრის წინააღმდეგ ომში გამოიჩინეს მეფის მიმართ. ამიტომ ეს ამბავი 1023-1027 წლებში უნდა ვივარაუდოთ – 1023 წ. დაიდო ზავი კეისართან.

ამავე წარწერაში მოხსენიებული სტეფანოზი და მამა, საფიქრებელია, ამ ეკლესიის მღვდლები იყვნენ, რომლებიც თავისი „ერის“ – მრევლის, შეწევნას შესთხოვენ სალოცავს.

მიქელ ხუც-გალატოზი მშენებელთა მეთაურია, რომელიც გომარეთ-ზურტაკეტისა და დმანისხევის ეკლესიების მშენებლობას ხელმძღვანელობს სწორედ ამ დროს და იხსენიება წარწერებში (დ. ბერძენიშვილი 1982: 5).

რაც შეეხება კუხს, რომელიც ეკლესიას სწირავს წისქვილებს, ადგილობრივი ფეოდალი უნდა იყოს; მისთვის ჟამის საწირავად ხარება დღე გაუჩენიათ ამავე ეკლესიის მღვდლებს, რომლებიც, ეგების, სტეფანოზი და მამა ყოფილიყვნენ.

დიდი გომარეთის მეორე ეკლესიაზე არქიტრავის ქვას ისევ ასომთავრული წარწერები ახლავს: ჯვრის ორსავე მხარეს – „წმიდაჲ მამაჲ“; დაბლა იმავე ჯვრის ორ მხარეს: „ქრისტე ადიდე სული დიდისა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისაჲ“. უფრო დაბლა იმავე ჯვრის მარცხნივ: „ქრისტე მეუფეო დიდებისაო, ადიდენ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი“; ჯვრის მარჯვნივ: „სახელითა ღმრთისა დაიდვა ბალავარი ესე ადიდენ ღმერთმან ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის უფლებასა, ქორონიკონი იყო სნდ“ = 1034 წ.

ექვთ. თაყაიშვილი, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა ეს წარწერა, თვლიდა, რომ პირველ წარწერაში ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი გარდაცვლილად იგულისხმება; ხოლო დანარჩენ ორში მისი შვილი იგულისხმება – ბაგრატ IV-ის თანამედროვე (თაყაიშვილი 1913: 86-87).

წარწერების თავში მოხსენიებული წმიდა მამა, შესაძლოა, წინ აღწერილ გომარეთისავე ეკლესიის ბალავარზე, სტეფანესთან მოხსენიებული „მამა“ იყოს, აქაური ეკლესიების ან ბაღვაშთა სახლის სულიერი მამა.

პატარა გომარეთის ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის არქიტრავზე ამოჭრილი ჯვრის ორსავე მხარეს ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი“. შერჩენილი შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვა XI საუკუნისაა; წარწერის მოთავსებაც ჯვრის ორსავე მხარეს წააგავს გომარეთის წინგანხილულ წარწერებს და აქაც XI ს-ის ლიპარიტს გვავარაუდებინებს (თაყაიშვილი 1913: 90).

1032 წლითაა დათარიღებული ამბარლოს წმ. ილიას ეკლესიის ასომთავრული წარწერა ბალავრის ქვაზე: „ქორონიკონი იყო სმიბ. ქრისტე, მოწყალებითა ღმრთისაჲთა მე თეოდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცველად და შემწედ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა. მას ჟამ დაიდვა ბალავარი, ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავმან ამირაჲ“ (თაყაიშვილი 1913: 100-103).*

საყდრის აღმშენებელი თეოდორე სასულიერო პირიც კია, რომელიც უმაღლეს ხელისუფალთა დაკვეთას ასრულებს. წარწერა და ეკლესიის დასრულება ხაზგასმულია მნიშვნელოვანი მომენტით – ლიპარიტ ერისთავის მიერ ტფილელი ამირა ჯაფარის შეპყრობით. ამით ის წააგავს დიდი გომარეთის პირველ წარწერას, სადაც ასევე ხაზგასმულია გიორგი I-ის მიერ ზვიად მარუშიანის შეპყრობა. თითქოს ამ მოვლენების გამო ღმრთის სამადლობლად შენდება ეს ორი ეკლესია.

წმ. ილიას ეკლესიის აღმოსავლეთით, საფლავის ქვათა შორის, სტელის მომაღლო აჭრელებული ბაზისია. მის ერთ მხარეს უცნობი ასომთავრული წარწერა აღმოჩნდა, რომელსაც ქარაგმების გახსნით მე ასე ვკითხულობ: „ქრისტე, შეიწყალე თევდორე, 2. ქრისტე სახე 3. ლითა 4. ღმრთისაით 5. ა მე 6. თევდორე ღი 7. რს ვიქ 8. მენ აღ 9. შენება 10 დ. ამის ე 11. კლესიისა“. აქაც ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული თევდორე უნდა იხსენიებოდეს, ხოლო ეს ქვაჯვარი, ალბათ, ეკლესიის საკურთხეველში ან შენობის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს იდგა.

ტფილელი ამირა, ლიპარიტის მიერ შეპყრობილი, ბაგრატ IV-მ გაათავისუფლა. ამის მერე ხანგრძლივი მტრობა ჩამოვარდა მეფესა და ლიპარიტს შორის. ეს ურთიერთობანი კარგადაა აღწერილი ქართულსა და უცხოურ წყაროებში. ბოლოს ლიპარიტ დიდი მონაზვნად აღიკვეცა და საბერძნეთს წავიდა.

ამის შემდგომ ხანას განეკუთვნება მამულა სოფლის კაკლიანის დარბაზული ეკლესიის უცნობი ასომთავრული წარწერა არქიტრავზე: „ქრისტე შეიწყალე ჲოვანე ერისთავ-ერისთავი“. პალეოგრაფიულად

* ჩემს წანაკითხში გასწორებულია სიტყვები: „შემწედ“ (თაყაიშვილთან „შემდგომად“) და „დაიდვა“ (თაყაიშვილთან „მიწყია“)

ეს წარწერა XI საუკუნისაა და უნდა ეკუთვნოდეს ზემოხსენებული ლიპარიტის ძეს. იგი კარგადაა ცნობილი ქართულ წყაროში. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, ისიც არგვეთიდან მამასთან გაქცეულა საბერძნეთს, მაგრამ „ივანეს უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა, და თჳთ ბაგრატცა გამოიზიდნა და გამოიყვანა ამას სამეფოსა, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსთა და სპასალარ სიკეთითა მისითა“ (მატიანე ქართლისა 1955: 305). ეს მომხდარა 1059 წელს, ცხადია, კაკლიანის წარწერაც ამის მერეა გაკეთებული.

გომარეთის წარწერაში მოხსენიებული კუხის მსგავსად ადგილობრივ მფლობელებად შეიძლება ჩავთვალოთ ის პირები, რომლებიც ბაღვაშთა საგვარეულოს არ ეკუთვნიან და არც რაიმეპატივი ახლავთ მათ სახელებს.

ასეთია დიდი გომარეთის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „ქრისტე შეიწყალე მიქელ და შვილნი მისნი მოიხსენე“ (თაყაიშვილი 1913: 80-81). წარწერა, შესაძლოა, XII ს-ისა იყოს, ბაღვაშთა შემდგომი პერიოდისა.

ასევეა მამულა სოფლის წმ. მარიამის ეკლესიაზე – „ქრისტე შეიწყალე ბაკურ“; ველისპირის წმ. დიმიტრის ეკლესიის კარნიზზე: „უფალო შეიწყალე ვარაზ“; დემირ-ბულახის საფლავის ქვის ნატეხზე: „ეფემია“. სამათრო ნასოფლარის ნაეკლესიარის ბალავრის ქვაზე კი ქვედა კიდეზე იკითხება: „ადიდენ ღმერთმან... ქართლისა კათალიკოზი“.

ყველა ესენი განვითარებული შუა საუკუნეების წარწერებია, გარდა ეფემიასი, რომელიც პალეოგრაფიულად VIII-IX საუკუნით შეიძლება დავათარიღოთ.

წარწერებით ასევე მდიდარია ზურტაკეტის სამხრეთი ნაწილი, მაგრამ აქ ბაღვაშთა აღმშენებლობა არ ჩანს.

უადრესი წარწერა იქ ბაღჩალარის ნაეკლესიარზე ყოფილა, ბალავრის დიდ ჯვრიან ქვაზე. ეს ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე შეიწყალენ ნიკოლოზ და ივანე. შეწევნითა ღმრთისაჲთა დაიდვა ბალავარი ესე ქრონიკონსა სკიჱ, ჴელითა ცოდვილისა მიქელისი“. საინტერესოა, რომ ქრონიკონის აღმნიშვნელ ასოთა ჯგუფში, ათეულების გადმოსაცემად ერთის მაგიერ ორი ასოა: კ-20 და ი-10, რაც ზუსტად გამოხატავს გამოთქმას „ოცდაათი“; ერთად კი 1018 წ.

ამ წარწერის ნიკოლოზ და ივანე, ცხადია, ქტიტორები არიან, შესაძლოა, მამა-შვილი, ან ძმები. ისინი ადგილობრივი ფეოდალები ჩანან. „ცოდვილი მიქელი“ კი კალატოზია, ალბათ, იგივე „ხუცგალატოზი“ დიდი გომარეთის წარწერებში რომ იხსენიება.

ბახჩალარის დასავლეთით, დაახლოებით 8-10 კმ-ზე, სოფ. ქვემო ყარაბულახში, მთის ფერდზე პატარა ეკლესია დგას, რომელსაც

გომარელი ქართველები გაღმა სარკის წმ. გიორგის უწოდებენ. ბალავრის ქვაზე 5-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე, სახელითა ღმრთისაჲთა ესე ეკლესია წმიდისა გიორგისი, მას ჟამსა აღეშენა, ოდეს იოვანეს ჰქონდა ნიკოლოზის ძესა, სადიდებლად სულისა მათისა. დღეგრძჱლებისათვის ძისა მათისა ნიკოლოზისა. ქორონიკონი იყო სჲ“ = 1040 წ.

ზემოთ განხილული ეკლესიების ქტიტორთა დაკავშირება ერთმანეთთან ძალიან ბუნებრივი ჩანს: საერთოა სახელები, ეპოქა (განსხვავება 23 წელია), საერთო ტერიტორია (მდ. ყარაბულახის მარჯვენა სანაპირო). ეს ადგილობრივი ფეოდალები თავის საქონებელ სოფლებში აგებენ ეკლესიებს. დამახასიათებელია ერთისა და იმავე სახელების გამეორება ამ ფეოდალურ საგვარეულოში: ნიკოლოზი ჰქვია პაპასა და შვილიშვილს (გაღმასარკის წმ. გიორგის წარწერაში), შესაძლოა პაპისავე, ან ბიძის სახელია ივანეც...

საინტერესო ჩანს ხაზგასმით ნათქვამი: „ეს ეკლესია... მას ჟამსა აღეშენა, ოდეს იოვანეს ჰქონდა ნიკოლოზის ძესა“. თითქოს ისე გამოდის, რომ ქვემო ყარაბულახი, სოფელი, სადაც შენდება ეკლესია, ამ ფეოდალების საგვარეულო საქონებელი, შთამომავლობით კი არაა, არამედ ახალი შეძენილია, რის მატერიალურ დასაფუძვლებასაც ეკლესიის აგებაში ხედავენ.

აქაური წარწერებიდან კიდევ ორი იქცევს ყურადღებას – სოფ. საჭისა და კიროვისისა*. პირველი სოფლის ეკლესიის ნანგრევის არქიტრავის ქვაზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, რომელიც კვადრატულ ბუნზე დგას. ჯვრის მარცხნივ ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. იგი ასე იკითხება: „ქრისტე ადიდე მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ქორონიკონი იყო...“ მეტი არაა, ჩანს, არც დაუწერიათ.

კვადრატულ საყრდენზე, რაზედაც ჯვარი დგას სამსტრიქონიანი გადაშლილი წარწერა ასე შეიძლება აღდგეს: „ქრისტე, შეიწყალე გალატოზნი“, აქ მოხსენიებული მელიქსედეკ ქართლისა კათალიკოსი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელია 1010-1033 წლებში, დაუცხრომელი მოღვაწე, სვეტიცხოვლის „მეორედ აღმშენებელი“, რომელმაც ეკლესიას შემკობასთან ერთად მრავალი სოფელი შესძინა და შეუვალობა მოუპოვა; თავის „დაწერილში“ სვეტიცხოვლისადმი (1029-1033 წწ.), იგი ჩამოთვლის სოფლებს, მას რომ „მოუცია“. იქ საჭე არ ჩანს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სოფელი ადრევე ეკუთვნოდა სვეტიცხოველს: „და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქსა, შესავალნი იყუნეს; და მე მოვაჴსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჴადნეს... და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და

* სოფ. კიროვისის ამჟამად იფნარი ჰქვია – რედ.

დავდგენ ყოველგან სახლნი; და ავაგენ ეკლესიანი რიცხჳთ ყოველნივე“. სწორედ ამ ბოლო სიტყვებიდან უნდა ჩანდეს, თუ როდის და რატომ აუგია მელქისედეკს ეკლესია საჭეში, რომელზედაც თავისი სახელიც დაუტოვებია.

მელქისედეკის მომდევნო კათალიკოსის იოანეს სახელთანაა დაკავშირებული სოფ. კიროვისის წარწერა. ის სოფ. საჭედან ჩრდილოეთით, დაახლოებით 4-5 კმ-ზეა. ძველი ეკლესიიდან იქ მხოლოდ ცალკეული ლოდებიღაა გადარჩენილი. შუაზე გაჭრილ ბალავრის ლოდზე წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარია. მას ზევით ასომთავრული წარწერაა, შუასა და ბოლოში ნაკლული. იგი ასე შეიძლება წავიკითხოთ: „ადიდენ ღმერთმან იოანე ოქროპირი, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი“. იგი კათალიკოსად ჩანს მელქისედეკის მომდევნო ხანაში – 1033-1048 წლებში. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, „დაჯდა კათალიკოს-პატრიარქად ოქროპირი და ამანცა მრავალნი შემატნა დიდსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა... მრავალნი ეკლესიანი აღაშენნა და განააახლნა“.

იქვე არსებული გერმანული წარწერა გვაუწყებს, რომ აქ ყოფილა გერმანული კოლონია ვალდჰაიმი. ჩვენი გამყოლის, გომარელი შიო ხიზანიშვილის სიტყვით, გერმანელებამდე აქ თათრებს უცხოვრიათ და ამ სოფელს მაშინ ორომაშენი რქმევია. შემდეგ ისინი აქედან გადასახლებულან ოდნავ აღმოსავლეთით მყოფ ნასოფლარში, სადაც ძველი საცხოვრისის სახელიც გადაუტანიათ. დღეს ორომაშენი სულ სხვა სოფელს ჰქვია.

ზემოთქმულს ადასტურებს 1905 წლის ხუთვერსიანი რუკაც, რომელზედაც სოფ. ბახჩალარის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია ორომაშენი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – „თათრების ორომაშენი“.

სოფ. ორომაშენის სვეტიცხოვლისადმი კუთვნილებას, ამ წარწერის გარდა, მოწმობს კიდევ ორი საბუთი XIII და XIV საუკუნეებისა. პირველის მიხედვით, მიქელ ქართლისა კათალიკოსი 1241 წ. მცხეთის სახლის მსახურთუხუცესს ვაჩე გუარამაძს ძეს სამამულოდ აძლევს დმანისის პირს სოფელ ორომაშენს, იქ მცხოვრები სიგლოსანი ხუცებისა გარდა. აქვე იგი განსაზღვრულია, როგორც ძველადვე „ხატის სოფელი“, ე. ი. სვეტიცხოვლის კუთვნილი.

1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია ორომაშენიც. არ ჩანს, თუ რა დროიდან ეკუთვნოდა ეს სოფელი სვეტიცხოველს, აქაური ქართული წარწერა არ აღნიშნავს მანამდეც ასე იყო, თუ იოანე კათალიკოსმა „შემატა“ ის მცხეთას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქვე მყოფი სოფ. საჭის მსგავსად, ორომაშენიც ადრიდანვე საკათალიკოსო სოფელი იქნებოდა, ხოლო იოანე ოქროპირმა, მელქისედეკის მსგავსად, ააშენა ან განაახლა იქაური

ეკლესია. ორსავე სოფელში ძველი სალოცავების მეორე აშენებას გვაფიქრებინებს XI ს-ის მშენებლობაში გამოყენებული ადრეული არქიტექტურული დეტალები (დ. ბერძენიშვილი 1982: 4-9).

ზურტაკეტის ამ სამხრეთ ნაწილში ორგან გვხვდება წარწერა, სადაც სომეხ კვირიკიანთა წარმომადგენლებიც იხსენიებიან ქართულ წარწერებში. პირველი – ესაა სოფ. შახმარლო, ზურტაკეტის სამხრეთ-დასავლეთით განაპირა სოფელი. ასომთავრულ წარწერას არქიტრავის ქვის სწორკუთხა ფართობის მესამედი უჭირავს და ასე იკითხება: „ქრისტე, სახელითა ღმრთისაითა, აშენდა ესე ეკლესიაჲ ჴელითა გლახაკისა სიმონ მღვდლისა, სალოცველად წმიდისა დავით მეფისა და შვილთა მათთა. დაიდვა წმიდაჲ ბალავარი დავით მეფისა ცოდვათა შესანდობელად“.

ეკლესიის დასავლეთი სარკმლის მარცხნივ ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე, შეიწყალე ცხოვრება“.

ცალკე დაგდებული ქვის პატარა ნატეხზე ნუსხური ასოებია ამოჭრილი: „ქრისტე, შეიწყალე სიმონ“. შესაძლოა, ეს იგივე სიმონ მღვდელია, ბალავრის წარწერაში რომ იხსენიება.

რაც შეეხება დავით მეფეს, უნდა ვიფიქროთ, ის კვირიკიანთა დინასტიის წარმომადგენელია, მეფე ტაშირ-ძორაგეტისა (989-1048), რომლის სატახტო ქალაქი სამშვილდე იყო. ამის გამო მას ქართული წყარო „სამშვილდარსა და ძორაკერტელს უწოდებს (დ. ბერძენიშვილი 1982: 9-10).

იგივე დავით მეფე უნდა იყოს ზემო ყარაბულახის ეკლესიის წარწერაშიაც, რომლის ბალავრის ქვაზე იკითხება: „ქრისტე, ადიდენ ღმერთმან დავით მეფე, კვირიკე მეფე“.

ეკლესიის დასავლეთ სარკმელთან, ასევე, ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე შარიქაჲ“. წარწერების პირველი გამომქვეყნებელი – ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ ამ წარწერის დავითი აღმაშენებელია, ხოლო კვირიკე – კახთა მეფე (თაყაიშვილი 1913: 103-104).

ეს ეკლესია შეისწავლა ლევან რჩეულიშვილმა და მივიდა დასკვნამდე, რომ ის „ქართული მართლმადიდებლური მღვდელთმსახურებისათვის კი არ არის გაშენებული, არამედ სომხებისათვის“. მანვე დავითი და კვირიკე სომეხ კვირიკიან მამა-შვილად მიიჩნია (რჩეულიშვილი 1994: 40)

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: „სომხებისათვის“, ე. ი. გრიგორიანული მღვდელთმსახურებისათვის აშენებულ ეკლესიას რატომ უკეთებენ ქართულ წარწერას? პასუხი შეიძლება იყოს ის, რომ ეს სომხები გაქალკედონიტებულნი („გაქართველებულნი“) არიან, ან სომხური სარწმუნოების მიმდევარნი, „ქცევა-ზნითა“ (ვახუშტი ბატონიშვილის გამოთქმით) და ენით ქართველნი არიან.

როგორც არ უნდა იყოს, შახმარლოსა და ყარაბულახის ქართულ წარწერებში სომეხთა მეფეების მოხსენიება ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად პოლიტიკურად სომხური დინასტიის გაბატონებისა, ქვეყანა ისევ ქართული რჩება.

საინტერესოა ისიც, რომ ყარაბულახის მარცხენა სანაპიროზე ატეხილი ბაღვაშთა აღმშენებლობა მარჯვენა სანაპიროზე არ გადადის. წარწერებით ირკვევა, რომ აქ კვირიკიანთა უფლებაა დროებით დამკვიდრებული. თუ ბახჩალარის 1018 წლის წარწერაში ბაღვაშთა მოუხსენიებლობა შეიძლებოდა ახსნილიყო მათთვის კლდეკარის საერისთავოს ჩამორთმევით 989 წლიდან, ამას ვეღარ ვიტყვით ქვემო ყარაბულახის 1040 წლის წარწერაზე. ამ დროს ლიპარიტ ბაღვაში ისევ განაგებს თრიალეთს. ჩანს, აქაური ქართველი ფეოდალები კვირიკიანთა ქვეშევრდომები გახდებოდნენ, მაგრამ არც მათ იხსენიებენ თავის სააღმშენებლო წარწერებში. ზურტაკეტის ნახევარი კვირიკიანებს თავისი გავლენისათვის უნდა დაემორჩილებინათ 989 წლის შემდეგ, როდესაც ბაგრატ III-მ ბაღვაშებს თრიალეთი ჩამოართვა; სწორედ ამ წლებზე მოდის მათ მიერ დმანისისა და სამშვილდის აღება, ხოლო ზურტაკეტის ეს ნაწილი კი ამ ორი ქვეყნის სანაპიროზე იყო.

ასევე არ ახსენებენ კვირიკიანებს ქართლის კათალიკოსთა წარწერები საჭესა და ორომაშენში; მაგრამ ისინი არც ქართველ მეფეებს იხსენიებენ. საკათალიკოსო სოფლები,ჩანს,მხოლოდ მცხეთის პატრიარქის უმაღლეს უფლებას აღიარებდნენ, ხოლო პოლიტიკური დაქვემდებარება მეორეხარისხოვანი საკითხი იყო მათთვის.

ყარაბულახის მარჯვენა სანაპირო მუსის ციხის შესავალი ქვეყანა იყო. უნდა ვიფიქროთ, დმანისიცა და მუსის ციხეც (თავისი ერთეულით) კვირიკიანებმა უფრო ადრე აიღეს, ვიდრე სამშვილდეს სატახტო ქალაქად აქცევდნენ. მათი გავლენის გაფართოებას ზურტაკეტის მეორე, ჩრდილო ნაწილზე, ეგების, ბაღვაშთა უკან დაბრუნებამ შეუშალა ხელი.

საერთოდ, ბაღვაშთა და კვირიკიანთა მოკავშირეობა საერთო მტრის (მათ შორის, ქართველთა მეფის) წინააღმდეგ ხაზგასმულად ჩანს ქართულ და სომხურ წყაროებში. ამიტომ მაშინ, როცა კლდეკარის ერისთავები ყოველი მიმართულებით ცდილობენ განავრცონ თავისი სამფლობელო, კვირიკიანებთან კეთილმეზობლობას იცავენ.*

გიორგი II-ის მეფობისას ბაღვაშები კიდევ უფრო ავრცელებენ თავის საგამგეოს; ახლა სამშვილდეც მათ გადაეცათ და კახეთის ზოგიერთი ციხეც; მაგრამ ეს იყო მეფისგან მათთვის გადაცემული საგამგეო პუნქტები და არა სამამულოდ. ამიტომაც დამახასიათებელია, რომ მათი აღმშენებლობა და წარწერები უმთავრესად კლდეკარის

* კვირიკეთის მთაზე წვერის წმ. გიორგი.

საერისთავოსა და მის მომიჯნავე პუნქტებშია (ატენი, გოხნარი, კლდეისი).

ბაღვაშთა აქედან განდევნის შემდგომ,დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო მისცა „თევდორეს, ჭყონდიდელის დისწულს“. უნდა ვიფიქროთ, ზურტაკეტი მთელ თრიალეთთან ერთად აქაც მამულობით კი არ მიეცა თევდორეს, არამედ როგორც სახელმწიფო საქონებელი მას გადაეცა სამმართველოდ.

თრიალეთის ზოგიერთ წარწერაში მოხსენიებული ვახტანგ ერისთავი თევდორეს შემდგომი მმართველი ჩანს (ბეშთაშენი). ქვემო ჯინისში იხსენიება მსახურთუხუცესი აფრიდონ ერისთავთ-ერისთავი. საფიქრებელია, რომ მაშინ ამ მხარეს ის განაგებდა ვითარცა საქვეყნოდ გამრიგე მოხელე (თაყაიშვილი 1913: 53). ესაა უკანასკნელი ხსენება აქაური ერისთავისა. შემდგომში თრიალეთი, თითქოს, სამეფო დომენი ხდება. მისი საუფლისწულო მამულად გახდომა, ჯავახეთის ერთ ნაწილთან და ქვემო ქართლთან ერთად, დათარიღებულია XII-XIV საუკუნეებით; ამის მოწმობად მიღებულია აქაური „ჭელის“ გამოსახულებიანი და წარწერიანი ქვები, სამეფო მონასტრების მშენებლობა, სამეფო ოჯახის ზრუნვა ამ მხარეებზე და სხვა (ნ. ბერძენიშვილი 1966ა: 159-163; ბაქრაძე 1953: 224-225; შოშიაშვილი 1966: 56-59).

ამ მხრივ ზურტაკეტიც თავის მაგალითებს გვთავაზობს. ამათგან აღსანიშნავია უცნობი წარწერა „ჭელის“ გამოსახულებიან ქვაზე, ტყემლიანის ნასოფლარში. იგი წააგავს გუნია-ყალაში ნაპოვნ ქვას, ოღონდ იმაზე პატარაა და დამუშავების ხარისხიც უფრო მდარეა. ქვის ზედა, ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარი, სამსაფეხურიანი სადგარით. ჯვრის მკლავებს შორის ოთხი მრგვალი ბურთულაა. ჯვრის ქვეშ ხელის მტევანია. წარწერას უჭირავს გამოსახულების მარცხენა და ქვედა ნაწილი. ასომთავრული წარწერა 15 სტრიქონს შეიცავდა. ის დაზიანებულია და მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის აღდგენა ხერხდება: „ესე ხელი ჩემი არს რუსუდან მეფეთ მეფისა... არიან იოანე... ლომი... დავით მეფისა....“.

რუსუდან მეფეთ-მეფის და დავით მეფის მოხსენიებით, ეს წარწერა XIII ს-ით თარიღდება; იგი ისეთივე შინაარსის ძეგლი უნდა იყოს, როგორც იმავე რუსუდანის ჭელი, კავთის წმიდა გიორგის მამულის შეუვალობას რომ აღნიშნავს: „წმიდაო გიორგი კავთისაო. ქ. ესე ბრძანებაი ჩემი არს – რუსუდან: ნებითა ღმრთისაითა აზადად და შეუვალ არს მამული მათი, ნასყიდით და ყოვლითა საწესოთ. ნუვინ შალავთ ბრძანებასა ამას“ (ი. დოლიძე 1965: 36).

ამ ნასოფლარში მოზრდილ ნასახლართა შორის გამოირჩევა ერთი კვადრატული ნაგებობა, დაახლ. 3მX3მ. მის ყველა კედელში მცირე თახჩებია დაყოლებული. ასეთები გვხვდება ვარძიაში, კავთისხევთან,

მაღალაანთ ეკლესიის ანსამბლში, ასევე ყინცვისის მონასტერშიაც. მათი დანიშნულება უცნობია; თუმცა, გამოთქმულია ვარაუდი მათი „აფთიაქებად“ გამოყენების შესახებ (სალუქვაძე 1987: 114-130).

ნასოფლარს კლდოვანი გალავანი ახლავს. აქაური ეკლესია გვიანი შუა საუკუნეებისაა. ჩანს, აქ გზა ამოდიოდა ქციის ხრამიდან გომარეთისაკენ.

გომარეთის ზეგნის სამეფო საკუთრებაზე მეტყველებს კიდევ ერთი ეკლესიის წარწერა, რომელიც ჭოჭიანისხევის მარჯვენა სანაპიროზეა შემორჩენილი. ეკლესია ნასოფლარის აღმოსავლეთ ნაპირზეა. ამ პატარა შენობის აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის ზევით, სრულიად განსხვავებულ ქვაზე წარწერაა: „თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველო. ქრისტე შეუნდვენ შიოსა და ძმანი მისნი (sic) პეტრე და სჳმონი, რომელთა აღაშენეს ეკლესია ესე. პეტრეს შეუნდვენ ღმერთმან“.

საფიქრებელია, წარწერა მოწმობს თამარ მეფის აქ ხშირად ყოფნას ზაფხულობით, როდესაც ის აქ ლოცულობდა. შესაძლოა, სამეფო სადგომი აქაც იყო სადმე (ნაპალატევი?). ეკლესიის კედლებში ჩაშენებული ქვაჯვართა ბაზისები მოწმობს აქაური სამლოცველოს სიძველეს. არქიტექტორ ლეო რჩეულიშვილის აზრითაც, ეკლესია შესაძლოა XI საუკუნისა იყოს, წარწერა კი – გადაკეთების დროისა (რჩეულიშვილი 1994: 69).

ვახუშტის მიხედვით, თამარისავე აგებული ყოფილა სალამალექის ფუნდუკი „ზამთარ მოგზაურთათვის“ (იხ. ზემოთ), საიდანაც გზა გადადის ფარავნის ქარვასლაში. გზად კიდევ ეს ქვის ჯვარია ასომთავრული წარწერით: „შვილნო ღმრთისანო, ქრისტიანენო, საწყალი დათვაი ლოცვასა გვედივარ“. წარწერა XII საუკუნისა უნდა იყოს, დათვია კი ჯვრის აღმმართველია, რომელიც ორ ქარვასლას შორის დგამს სალოცველ ჯვარს. ის, ალბათ, გზის მიმართულების გარკვევასაც უადვილებდა ქარავანს უამინდობის დროს (დ. ბერძენიშვილი 1982: 18).

ნ. ბერძენიშვილი ამ ფუნდუკთან დაკავშირებით წერდა: „ზურტაკეტის ფუნდუკის ამშენებლის („თამარ“) საკითხი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორი იყო წესი გზის მშენებლობისა ძველ საქართველოში... გზას აშენებდა მეფე და ფეოდალი, ორივე თავთავიანთ ქვეყანაში. გზას აშენებდა ის, ვინც ეწეოდა ამ გზის ექსპლუატაციას. ფეოდალისაგან გზის აშენება იმაზეა დამოკიდებული, თუ ეს ფეოდალი რამდენად იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი მეფისაგან“ (ნ. ბერძენიშვილი 1966: 112-113).

ამავე გზებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მოსახლეობის შემცირება ამ მხარეში XIII ს-დან მონღოლთა ბატონობის ხანიდან. ურდო, „ჯავახეთის მთებში“ რომ იდგა, უეჭველი იყო მიზეზი თრიალეთის შევიწროვება-აყრისა. „თრიალეთი XIII-XIV საუკუნეებში

სწორედ იმითაც უნდა დაზიანებულიყო, რომ დიდ სავაჭრო და სამიმოსვლო გზაზე იდო. მონგოლთა პირობებში ეს ხომ უბედურება იყო. საინტერესოა თრიალეთი აყვავდა X-XI საუკუნეებში, როცა არაბულ და ბერძნულ სამყაროს შორის ეკონომიკური ურთიერთობა გაჩაღდა, მთელი ორი საუკუნით შეწყვეტილი... ერთხელ გზამ ააშენა, მეორეჯერ გზამ მოსპო“ (ნ. ბერძენიშვილი 1966: 113).

მოსახლეობის აქ მოზიდვის მიზნით, გვიან შუა საუკუნეებში ქართლის მეფე სხვადასხვა ღონისძიებებს ხმარობდა და აკანონებდა, რომ თრიალეთში დასახლებულ გლეხს ბატონი 12 წლის შემდეგ ვეღარ მოიკითხავდა (სხვაგან 30 წელს ეძებდა).

გომარეთი სადედოფლო იყო, ყარაბულახები – საყაფლანისშვილო, მათვე ეკუთვნოდა მუსისციხე, ციხე-ქვაბი, ნაქალაქევი და სხვა სოფლები. ამაში არამცირედი როლი უნდა ეთამაშა დმანისხევის სიახლოვეს, სადაც მათ მამულების უმეტესობა ჰქონდათ. ეგრისში მამულები ჰქონდათ ყაფლანისშვილებსა და ლარაძეებს.

საინტერესოა ამ სახელის გაჩენა გომარეთის პლატოზე. ვახუშტის სოფელთა სიაში და რუკაზედაც ის აღნიშნულია ფორმით – „ეგრი“. ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით, რომელიც ამ სოფლის უკანასკნელ მებატონეს – ლარაძეს მოსწრებია, ეს სახელწოდება სამეგრელოდან გადმოუტანიათ იქიდან გადმოსახლებულებს. ჭირს იმის დანამდვილებით განსაზღვრა, თუ როდის მოხდა ეს ამბავი.

ზაქ. გულისაშვილი აღნიშნავდა, რომ ეგრისის მებატონე ლარაძე ჯერ კიდევ ლუარსაბ მეფის დროს იყო „მიღებული სამეგრელოდან“ და „საქართველოს აზნაურთა გვარს ეკუთვნოდა“-ო. იგი საამისო წყაროს არ მიუთითებს (გულისაშვილი 1953: 194-195), ამიტომაც ძნელია ამ ცნობის შემოწმება.

შესაძლოა, მართლაც, სამეგრელოდან გადმოსულებმა გვიან შუა საუკუნეებში მოიტანეს ეს სახელწოდება, რომელიც მათ წიგნური ტრადიციით უნდა სცოდნოდათ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კვირაცხოვლის ეკლესიის მხედრული წარწერა დიდ გომარეთში, რომელიც ექვთ. თაყაიშვილმა წაიკითხა: „ქრისტე, ესა საყდარი კავირისა (sic) ცხოველისა დაქცეულ იყო მე ავაგე მეუნაგრი შავლამა დავ...“ ავტორის აზრით, წარწერაში მოხსენიებული მეუნაგრი,ანუ მეუნარგია მეგრული გვარია და აქ გაჩენილი უნდა იყოს ლარაძეთა სამეგრელოდან გომარეთში გადმოსახლებასთან დაკავშირებით. ამის მიხედვით, ავტორი ამ წარწერასაც XVIII ს-ით ათარიღებს (თაყაიშვილი 1913: 88).

ნასოფლარ ეგრისში, ეკლესიის სამხრეთი მინაშენის ერთ ქვაზე ასომთავრულით შესრულებული წარწერაა, სადაც ეკლესიის მაშენებლად მოხსენიებულია გიორგი ხუცესი. ექვთ. თაყაიშვილის აზრით, ეს გიორგი ხუცესი ლარაძე ცხოვრობდა XVIII ს-ის II

ნახევარში. აქვეა ხატი მხედრული წარწერით: „ქრისტე, მე ფრიად ცოდვილმან მხევალმან შენმან ხორეშან, გიორგი ლარაძის მეუღლემან, მოგიჭედინე ხატი ესე, სასოდ ჩემი ღმრთის მშობელი, შეიწირე კნინი ესე შესაწირავი, ვითა წლილი ქვრივისა და მიოხე წინაშე ძისა შენისა ჟამსა განსჯისასა. ნოემბერს იზ, ქ~ს აქეთ ჩღდვ“ = 1766 წ. (თაყაიშვილი 1913: 93-95).

ქვემო ყარაბულახის სიახლოვეს, მდინარის მარცხენა სანაპიროზე ეკლესიაა, რომელსაც ახლა სალომე საყდარს უწოდებენ. სამხრეთი შესასვლელის თავზე მხედრული წარწერაა, რომელიც ასე იკითხება: „ნებითა და შეწევნითა მღთისითა, აღვაშენე ესე საყდარი, პატრონის მამუკას, პატრონის რამაზის, მზეჭაბუკის, რევაზის ახნაურშვილმა უსეფამა, სახლმა ჩემა თამარ, შვილმა ჩემა შერმაზანამ და თეიმურაზ. ვინც წაიკითხოთ შენდობა ბძანეთ“. ექვთ. თაყაიშვილს აქვე დახვედრია სომხური ამოკაწრული წარწერის ნაშთი, სადაც სომხური წელთაღრიცხვის 1718 წელი იკითხებოდა.

აქ მოხსენიებული მამუკა, რევაზ, რამაზ, მზეჭაბუკ ყაფლანიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები, ადგილობრივი ფეოდალები არიან. ეს უსეფა კი, მათი ახნაურიშვილი, ადგილობრივი გაქართველებული სომეხი ჩანს (თაყაიშვილი 1913: 105).

სომხური წარწერებია შემორჩენილი დემირბულახის ეკლესიაზედაც. მათი თარიღებია 1694 და 1721 წლები, მაჩვენებელი ეკლესიისა და მინაშენის აგების დროისა. ტოპონიმიაში სომხური მოსახლეობის კვალი არ ჩანს, რაც მოწმობს მათ შემოსახლებას გვიან შუა საუკუნეებში.

დღევანდელი მოსახლეობა უმთავრესად თურქულენოვანია: ესენი არიან თურქულად მოსაუბრე ბერძნები, გადმოსახლებულები XIX ს-ის დასაწყისში ერზერუმის მხრიდან.

ქართველები სახლობენ დიდსა და პატარა გომარეთში, ახაში, მამულასოფელში, კაკლიანში. ისინი აქ XVIII და XIX საუკუნეებში არიან მოსულნი ჯავახეთიდან, იმერეთიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდან, ქვემო ქართლის ბარიდან. ახალჩამოსახლებულები არიან სვანები, აჭარლები...

ქვემო ქართლის სხვა ნაწილების მსგავსად, აქაურ ტოპონიმიაში ძველი ქართული სახელები უცხოენოვან მოსახლეობაში ხშირად დამახინჯებული, ან თარგმნილია: საჯა – ძველი საჭე, უსეინქიანდ – უსეინას სოფელი, დემირბულახ – სარკინეთი და სხვა.

თურქული სახელებიდან არის ისეთებიც, რომლებსაც უკვე ვახუშტი იხსენიებს; ასეთებია თოფრაყალა, ბოსტლარი, ბახჩალარი, ყარაბულახი, მუსიყალა, კეჩუთი. ეს სახელები უნდა გაჩენილიყო ქვემო ქართლში თურქული სახანოების ჩამოყალიბების შემდგომ.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთრის მიხედვით, გომარეთის ნაჰიეში 17 სოფელი ყოფილა. ყველაზე დიდი სოფელი მაშინ

დიდი გომარეთი ჩანს, რომელიც ითვლებოდა სომხითის მირლივად. ის ექვემდებარებოდა გომარეთს. სოფლის კომლთა რაოდენობა იყო 108, მათი გადასახადი 30000 ახჩას შეადგენდა. დანარჩენი სოფლები საკმაოდ პატარები ყოფილა (შენგელია 2000: 345; დავთარი 2009: 507-517).

საინტერესოა, რომ ზურტაკეტის სოფლების ერთი ჯგუფი, ზემოხსენებულ დავთარში „დმანისს დაქვემდებარებულ“ სოფლებშია ჩამოთვლილი; მათ შორის დამახასიათებელია მუსაყალა, სარკინეთი, შულავერი, შესაყარი, ყარაბულახი, მოსახლეობისაგან დაცლილია დემურას სოფელი, პატარა ვარდისუბანი, გვარჯილა, სარეხველა, საფიქლე, უსეინქენდი, ორმოშენი. უნდა ვიფიქროთ, 1728 წლისათვის მუსის ციხე მოშლილი იყო; ამ სახელწოდებით მხოლოდ სოფელია მოხსენიებული, რომელიც უკვე დმანისის ციხეს ექვემდებარებოდა, ადრე მუსის ციხის შემავალ სხვა სოფლებთან ერთად. მაშინ იქ 23 კომლი ყოფილა, უმეტესობა ქართველები, ან გაქართველებული სომეხ-თურქმენები. აღსანიშნავია, რომ იქ დასახლებულა ელიზბარ მღვდელი, რომელიც თანასოფლელებთან ერთად იხდიდა საქრისტიანო გადასახადს. ბუნებრივია, რომ დმანისს დაქვემდებარებული ზურტაკეტის სოფლები, ყველა საყაფლანიშვილო საკუთრება იყო. XVIII ს-ის დასაწყისის აღწერილობით, ზურტაკეტის სოფ. სარკინეთში დმანელ ეპისკოპოსს მამულებიც ჰქონდა (დავთარი 2010: 147-149; დ. ბერძენიშვილი 2000: 101-102).

# დმანისხევი*

ქართული წყაროებით „დმანისის ჴევი“ დმანისის ხეობას ერქვა,მდ. მაშავერის აუზს, რომელიც ისტორიული ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა. ქვემო ქართლი კი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ნაწილი იყო, რომელიც ამ ორივე მხრიდან საკმაოდ ნაპირებშემოჭმული შემოგვრჩა. დმანისჴევი ქვემო ქართლში ერთი უკეთ შესწავლილი ხევთაგანია. ეს თავიდანვე განაპირობა იმან, რომ რუსთაველის საიუბილეოდ 1930-იან წლებში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები დმანისის ნაქალაქარზე, რომელსაც ცნობილი მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. ორი წლის ინტენსიურ გათხრებთან ერთად, ამ ხეობაში მან ჩაატარა არქეოლოგიური ექსკურსიებიც, რომელთა შედეგები ცალკე წიგნად გამოვიდა 1941 წ. (ლ. მუსხელიშვილი 1941) ნაშრომი დმანისის არქეოლოგიური გათხრების შესახებ კი დაიბეჭდა კრებულში „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ (ლ. მუსხელიშვილი 1938ა).

ამის შემდგომ დმანისისა და მისი ხეობისადმი ინტერესი არ განელებულა, რასაც მოწმობს სხვადასხვა წლებში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციები ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზეუმისა თუ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ. ფრიად მნიშვნელოვანი იყო დმანისის ნაქალაქარზე განახლებული გათხრები (ხელმძღვანელი ვ. ჯაფარიძე) და კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი მ. სინაურიძე). 1961-1963 წლებში მეც მომიხდა ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების ჩატარება მაშავერის ხეობაში. მაშინ მოპოვებული საყურადღებო მასალა, გარდა XIII ს-ის დმანელი ამირას – იობ მიხრიკის ძის და ვარძაგარის წარწერებისა, დღემდე გამოუქვეყნებელი დარჩა. ამჯერად დმანისხევის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის შეძლებისდაგვარად მოხმობილია ჩემთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა სახის მასალა.

---

* პირველად დაიბეჭდა კრებულში „დმანისი“ II, თბილისი 2000, გვ. 96-186.

* * *

მაშავერის აუზს დასავლეთიდან ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთი კალთები ესაზღვრება (ვახუშტი ბატონიშვილი მათ კეჩუთისა და ბოლოლის მთებს უწოდებს), ჩრდილოეთიდან – მაშავერ-ქციის აუზთა წყალგამყოფი მასივი (ვახუშტით „მთა ლუკუნისა“), სამხრეთიდან – სომხითის ქედის მთები (ვახუშტის მიხედვით „მთა ყარაღაჯისა და ლოქისა“), აღმოსავლეთით კი – მაშავერ-ფოლადაურის აუზთა წყალგამყოფი მთები (ვახუშტით „მცირე მთა ბოლნისისა“).

იღებს რა სათავეს კეჩუთის მთებში, მაშავერა გზად იერთებს სხვადასხვა წვრილ თუ მოზრდილ ხევებსაც და ნახიდურის ქვევით ერთვის ქციას. მის შენაკადთა შორის აღსანიშნავია ფინეზაურის, ბალიჭისა და კაზრეთის ხევები მარჯვენა მხრიდან, მარცხნიდან – ბოსლებისწყალი (ვახუშტით „ხინწისხევი“) და გეტისხევი (ვახუშტი 1941: 39). მაშავერას, რომლის ხეობაშიც ლავური ღვარებია ჩაწოლილი, თავისი კალაპოტი ზოგან ამ ლავებში ჩაუჭრია და კანიონისებური ფორმები გამოუმუშავებია. მდინარეს ასაზრდოებს ჯავახეთის ქედის ვოკლუზები, ამიტომაც არის მასში კალმახი.

მაშავერისა და ფინეზაურის ზემო წელი ერთიანდება ხრამ-სომხითის მთიან რაიონში, აქ კი წლიური ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით ცვალებადობს 11-12°C-დან 6-7°C-მდე. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უდრის 21-23°C-ს (მცირდება ქვევიდან ზევით). ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა 500-700 მმ-ია. სამცხე-ჯავახეთთან შედარებით, ამ რაიონის უხვად განესტიანების მიზეზია კასპიის ზღვის მხრიდან მომავალი, აღმავალი ჰაერის მასები.

მაშავერის მთიანი ნაწილის მცენარეული საბურველი ფოთლოვანი ტყეების ძირითადი ფონით ხასიათდება (წიფელი, მუხა, რცხილა და შერეული). ტყიანი სარტყლის ზედა საზღვარი, როგორც წესი, ხელოვნურად დაწეულია (ზოგან 1600-1700 მ აბსოლუტურ სიმაღლემდე). ჭალის ტიპის ტყეები მაშავერისა და მისი შენაკადების ხეობებში ისტორიულ პერიოდშია განადგურებული. ლოქის მწვერვალი 2142 მ-ია. იგი ძირითადად ტყითაა შემოსილი: მაღალ სარტყელში წიფელი, დაბლა კი მუხა და რცხილა; ლოკალურად არის ფიჭვნა-რიც, თხემზე კი ალპური საძოვრებია გავრცელებული. შინდლარის (ლუკუნის) მასივის აბსოლუტური სიმაღლე 1900 მ-ს აღწევს, იგი გომარეთისა და დმანისის პლატოებს შორისაა ამართული. მასზე ტყის ნამდვილი საბურველი მხოლოდ ჩრდილოეთ კალთებზე და იმ ორ შტოქედზეა, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთით არიან მიმართულნი და აქეთ-იქიდან ზღუდავენ გეტის ხეობას. თხემი და სამხრული კალთები, რომლებიც დმანისის პლატოს დაჰყურებენ, ძირითადად, უტყეოა, დაფარული მეორადი ბუჩქნარით (მუხა, თხილი).

ზემოხსენებულ მთებს ენაცვლება დმანისის პლატო, რომელიც

შინდლარის მასივით, სომხითის ქედის დასავლეთი დაბოლოებითა და ჯავახეთის კალთებითაა მოზღუდული. ამ პლატოს გეგმაზე სამკუთხედი ფორმა აქვს და ვიწროვდება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მაშავერის დინების ჩაყოლებით. ჯავახეთის ქედის ძირთან მისი ზედაპირი 1600-1700 მ-ზეა ზღვის დონიდან, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოსთან, სოფ. დიდი დმანისის მიდამოებში, სულ 900-950 მ-ზეა.

დმანისის პლატოზე გამოიყოფა სამი საფეხური: ყველაზე მაღალი, რომელიც 1600-1700 მ-ზეა, საფუძველს წარმოადგენს სოფ. ბეზაკლოსა და ხელოვნური წყალსატევისათვის; შუა საფეხური (1350-1450 მ) მდებარეობს სოლუღლიგოლის (ვახუშტით „ოროზმანის ტბა“) მიდამოებში; მესამე, ქვედა საფეხური, სოფ. დიდი დმანისიდან და გორუნჯუკიდან დაბა დმანისამდე რომ ვრცელდება, ზღვის დონიდან 900-1250 მ სიმაღლეზეა. დმანისის პლატოს ქვედა საფეხურისაგან ეროზიით მოწყვეტილ ლავის ფრაგმენტზე, მაშავერისა და ფინეზაურის შესართავში დგას დმანისის ნაქალაქარი. დმანისის პლატო დანაწევრებულია ეროზიული კანიონებით, რომელთა სიღრმე 70-80 მ-ია. კანიონების შვეულ კალთებში ბევრი ხელოვნური და ნახევრადხელოვნური გამოქვაბულია.

მაშავერის ხეობის მონაკვეთი, ქვეშის ციხიდან ხრამის შესართავამდე, შედის სომხითის მთისწინა ქვერაიონში, რომლის აბსოლუტური სიმაღლეები 350 მ-დან 700-900 მ-ის ფარგლებში ცვალებადობს. აქ წლიური ტემპერატურა 11,5-13°C-ია, ყველაზე ცივი თვისა კი – 0,3-0,0°C; ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 20-24,5 °C-ია, ხოლო ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი 350-500 მმ-ია.

ამ რაიონის მცენარეული საბურველი მნიშვნელოვნად გარდაქმნილი, მეორადი ხასიათისაა. მოსპობილია ტუგაის ტიპის ხეობური ტყეები: მაგალითად, სატრედოსჭალა, რომელიც, ვახუშტის ცნობით, XVIII ს-ში ჯერ კიდევ არსებობდა ახლანდელი რაიონული ცენტრის სიახლოვეს.

აქვეა დისველის პლატო, მაშავერის მარცხენა სანაპიროზე. მისი აბსოლუტური სიმაღლე 500-800 მ-ია, ზომა – 19X3 კმ, ხოლო ზედაპირი ბრტყელი, თითქმის ჰორიზონტალური, დაუნაწევრებელი რელიეფით (მარუაშვილი 1969: 263-269, 314-317, 340-341).

მაშავერის ხეობა დღემდე გამორჩეულია წიაღისეული სიმდიდრით. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, მაშავერის მარჯვნივ არისო დაბა აბულმუგი, „იქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“ (ვახუშტი 1941: 39). 1772 წ. გიულდენშტედტი წერდა, რომ მაშავერის სამხრეთით 8 ვერსზე, დამბლუტისხევზე სოფ. დამბლუტთან, არის „ერთი საჟენი სიმძლავრის ძარღვი ტყვიის კრიალათი (ვერცხლით), სპილენძის ლაჟვარდთან და სპილენძის ალმადანთან ერთად. ეს უკანასკნელი ძარღვი და გარშემომდებარე ადგილები, რომლებიც 10 ვერსის მანძილზე ბევრ რკინასა და სპილენძის ძარღვებს შეიცავენ, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებენ. ყველა ეს

ძარღვი დავათვალიერე იქ, სადაც ისინი გაშიშვლებულად მოჩანან... მე ვფიქრობ, რომ ისინი უფრო მეტ სიღრმეზე უნდა მდიდრდებოდნენ. ეს მე მოვახსენე მის მეფურ უმაღლესობასაც (ე. ი. ერეკლე II-ს – დ. ბ.)". ბალიჭისხევზე მას უნახავს ქანები შავი, დაჩვრეტილი წიდის მსგავსი ქვიშაქვებისა (გიულდენშტედტი 1964: 13, 147).

XIX ს-ში ცნობილი იყო მაშავერის ხეობის სპილენძის საბადოების არსებობა დამბლუტში, ჯანბაღჩაში (კუჩენბახის მინის ქარხანასთან), აბულმუგში, სადაც სპილენძის გარდა ოქრონარევი ვერცხლის მადანიც იპოვებოდა; ტყვიანარევი ვერცხლი იყო დამბლუტში; ოქრონარევი ქვიშა მოიპოვებოდა კაზრეთისწყალში, აგრეთვე კაზრეთსა და ბალიჭს შორის, აბულმუგის სიახლოვეს მაშავერაში, ბაშკიჩეთთან – ასევე მდინარეში.

მაშავერის შენაკადებზე ეკატერინენფელდამდე (დღ. ბოლნისი) ყველგან მოიპოვებოდა ბოლნური ტუფი, ბაზალტი და გრანიტი. საწისქვილე ქვებს ე. წ. ქარხნის ხევში ამზადებდნენ მდინარის მარცხენა სანაპიროზე (ერიცოვი 1887: 377, 383). XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოში ნამყოფი რაინეგსი კი აღნიშნავდა, რომ ქვეშის მიდამოებში მოიპოვებოდა მარმარილო, მწვანე და წითელი ეშმის ქვა, ანუ იასპი (დუმბაძე 1963: 166).

ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ბოლო წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ ხეობაში დაადასტურეს მადნის მოპოვება და წარმოება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ფეოდალური ეპოქის ჩათვლით. ასეთი წარმოებისათვის საჭირო საწვავი ხე-ტყის სახით აქ მრავლად იყო.

ბუნებრივ-კლიმატური პირობების სხვადასხვაობა მაშავერის ხეობაში მეურნეობის დარგებსაც შესატყვის განვითარებას კარნახობდა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ეს ხეობა ყოფილა „დბანის ქვეით ქციამდე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვლითა, ფრინველნი მრავალნი გარეულნი და შინაურნი, ზამთარს თბილი და მშვენი, ზაფხულს შეზავებული, წყარონი ცივნი მშვენნი, ჭალა-ტყენი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი" (ვახუშტი 1941: 40). ასეთ პირობებში ხეობის ქვემო წელზე დიდი ადგილი ეჭირა მემინდვრეობას; მარცვლეული კულტურებისათვის შესანიშნავი ყოფილა დისველის მინდორი, სადაც, ვახუშტის მიხედვით, ბრინჯ-ბამბის გარდა ყოველგვარი მარცვლის მოუცდენელი მოსავალი სცოდნია. დისველი დიისველია, დია კი ნასოფლარია ამ ველის კიდეზე. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „დია-ბევრია, დიაღ". ეს უკანასკნელი კი აღნიშნავს „ფრიადსავით"-ს (სულხან-საბა ორბელიანი 1991). ორივე შემთხვევაში ეს ტოპონიმი ადგილის, ნიადაგის მეტ მოსავლიანობას უნდა ახასიათებდეს. ამის გარდა, საბუთებში იხსენიება ხოდაბუნები (საბატონო დიდი ყანები) სოფლებში: ღორისთავს, ჯალდამში, გორუნჯუკსა და სხვ. (თაყაიშვილი 1909: 66, 335, 351). XIX ს-ში

გეტისხევის დარბაზის მიწებიდან 82% მარცვლეულ კულტურებს ეთმობოდა (ერიცოვი 1887: 476-479).

კარგი პირობები იყო აქ მევენახეობისა და მეხილეობისათვისაც. საბუთებში დამოწმებული ცნობების გარდა,ამას ნათლად ადასტურებს განათხარ ქვევრ-მარანთა დიდი რაოდენობა, ახლაც ნანგრევებად შემორჩენილი ძველ ნასოფლარებში.

დმანისის ქვევით, მაშავერის სამხრეთ შემდინარე ბალიჭის ხევზე ვახუშტი წერს, რომ ის არისო „ვენახიანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი“; გეტისა და ქვეშის ხევი „ეგრეთითავე ნაყოფიერებითა“; კაზრეთისხევი – „ესეცა ეგრეთივე, ვითარცა ჰეობა ბალიჭისა“ (ვახუშტი 1941: 39-40).

ფეოდალური ხანის გვიანი საუკუნეების საბუთებში, დმანისხევის ბარის სოფლების და დასახელებისას, ყოველ მათგანთან იხსენიება „სახნავი და ვენახი“. უფრო ნიშანდობლივ ზვრები გვხვდება ვარდისუბანში (ჟორდანია 1897: 443), ღორისთავს (თაყაიშვილი 1909: 66), მუსეფრიანში, ჯანაზიანში, ტანძიაში, ჯალდამში (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964), რატევანს (ნ. ბერძენიშვილი 1940: 130). 1774 წ. იესე ბარათაშვილი რატევნის „მამულის“ გამო წერდა: „სუფრის იარაღი განვიძარცვე, ვალად თეთრი ავიღე, სარგებელი უნდა ვაძლიო და ოცი წლის ხარაბა მამული დავიგირავე, ეგების ქვეყანა აშენდეს, ჩემს შვილიშვილებს მრავალი ღვინო ექნებათ და შენდობას მითხრობენ“ (იესე ბარათაშვილი 1950: 63).

მაშავერის ხეობის ქვემო წელზე ჰქონიათ ბაღ-ბოსტნებიც. საბუთებში იხსენიება ბაღები კაზრეთისა, ჯანაზიანის ბაღი მებაღითურთ, ბაღი ღორისთავისა, მარელისა (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964), ისპიანის ბაღი და ნიგოზი (თაყაიშვილი 1899: 429). ახალშენის ბაღჩა-საბოსტნე (თაყაიშვილი 1909: 335); ქვეშისხევის ბაღებს იხსენიებს რაინეგსიც (დუმბაძე 1963: 166).

განვითარებულ მეთევზეობაზე მიუთითებს საბუთებში ხშირად ნახსენები საწყლისპიროები; ერთ საბუთში იხსენიება თევზის დაჭერის სხვადასხვა სახეობანი; საოჩხე, საფაცრე, საფიჩხულე ქვეშისა (ნ. ბერძენიშვილი 1940: 295).

განვითარებულ მიწათმოქმედ საზოგადოებას სარწყავი სისტემაც მოუწყვია, რაც ასახულია წერილობით წყაროებში. 1428 წ. ერთ საბუთში იხსენიება ველკეთილის რუ (კაკაბაძე 1913ა: 37). ალ. ორბელიანის ცნობით, ერასტი ვახტანგის ძე ორბელიშვილს (XVII-XVIII სს.) „ერთი არხი გაუკეთებია, იმისი სათავე აბულმექის სოფლიდამ დაიწყობა და იმის ბოლო სატრედოს ბოლოს მამულში მოწყდება. სიგრძე უნდა იყოს იმ არხისა ვიდრე 30-დგან 40 ვერსამდინ, რომლისაგანაც მაშავერის წყლით იმ არხიდამ რამდენი მამულები ირწყვებოდა“ (ქავთარია 1991: 155). გივი თუმანიშვილის მიერ შეთხზულ ვახტანგ VI-ის ეპიტაფიაში ვკითხულობთ:

“სტამბა მოვიგე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი,
მაშავერის რუ ტბას შევრთე, შიგ ჩავსხნი თევზნი ყველანი,
ესე მთა მოვინადირე, ვხოცე ირემნი ძველანი“

(ვახტანგ VI 1975: 164).

1816 წ. თეკლა ბატონიშვილი ერთ თავის წერილში აღნიშნავდა: „უსაყვარლესო დებო ეკატერინევ და გუქავ... ღვთის მოწყალებით ჩემი ჯავრი ნურა გავქსთ-რა, აღარც პურსა ვყიდულობ, ყოველთვის ხვნა მაქვს ასანხოჯალოს; არხიც გავაკეთებინე... ბაღსაც უმატებ და ვაკეთებ, თქვენს უკან ბევრი მაქვს მომატებული, უცხო რამ არის“ (უთურაშვილი 1991: 111).

განსხვავებული ვითარება იყო მაშავერის ზემო წელზე, ქალაქ დმანისის ზევით, სადაც ვენახ-ხილიანი ზონა წყდებოდა. აქაური მთების ალპურსა და სუბალპურ ზონებს ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი და ჴევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი, წყაროიანნი... ხოლო კეჩუთის მთათა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა ... ხოლო მდანისამდე მდინარის იმიერ და ამიერ, მთასა შინა დაბნებიანი, და ვითარცა ტაშირი აღვსწერეთ, ნაყოფიერი და პირუტყვითაცა ეგრეთი“ (ვახუშტი 1941: 39). ტაშირისა და დმანისხევის მეურნეობა კი ხასიათდებოდა მემინდვრეობით, მესაქონლეობით, სელის, ზეთისა და თაფლის წარმოებით. მაშავერის ზემო წელის მემინდვრეობის დასახასიათებლად საინტერესოა ორბელიშვილთა 1690 წ. საბუთი, სადაც იკითხება: „ამ წელიწადს ბარის სათემო მოსცდა, მოვიდა მთის სათემოში პური კოდი 1250, ტანძიის სამეჯრეოში, მიჯის სამეჯრეოში... ამის გარდაის ბარის ქვეყანის გარდაის, ტაშირსა და ლოქს გარდაის, მარტო დმანისჴევში გუთანზე მოვკრიფე პური და ქერი 14000 (კოდი – დ. ბ.) (ხეც Sd-1932-v).

ამ რაიონის მესაქონლეობა, ძირითადად, ადგილობრივ საძოვრებს ემყარებოდა. ზამთრობით საქონლის უმეტესი ნაწილი ბაგურ კვებაზე იყო, თუმცა ჩანს, რომ ზოგან საზამთრო საძოვრებიც ჰქონიათ. ამის დასტურია ქვეშისხევზე ჯერ ნასოფლარი, შემდეგ მოშენებული სოფელი ყიშლაღი, რაც თურქულად ზამთარში საქონლის გასაჩერებელ ადგილს ერქვა. პატარა დმანისის სამხრეთ-დასავლეთით ერთ სოფელს ანგრევანი ეწოდება, ძველ ქართულში კი ანგროვანი ცხვრის ფარას, შინაურ პირუტყვს ერქვა (ი. აბულაძე 1973). XVII ს-ის II ნახევრის საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარში ჩამოთვლილია იქაურ სოფლებზე შეწერილი ძროხა, ცხვარი, ღორი, თხა, ბატკანი, თოხლი, ერბო, ყველი, მოთალი, ქათამი, კვერცხი, პური, ქერი, ცერცვი, ოსპი და სხვ. (ივ. ჯავახიშვილი 1974). 1744 წ. ამბების თხრობისას ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერს: „გამოვიდა ჯარი

ლეკისა... დაესხა ორბელიანთ მამულს, ზამთარი იყო და საქონელი სოფლად ყვანდათ, წაიღო მრავალი, გარდაიტანა ჯავახეთს“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 74).

ასეთი იყო დმანისხევის ძირითადი დარგები ფეოდალური ეპოქის სოფლის მეურნეობაში. შემდგომ ხანებში ცვლილება განიცადა მცენარეულმა საფარმა, ნაწილობრივ – მეურნეობამაც: მაშავერის ზემო წელზე ახლა ფართოდ მისდევენ კარტოფილის მოყვანას, დაბლობში კი თამბაქოს კულტურაც გავრცელდა.

მაშავერის ხეობა გამოირჩეოდა მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი მოხერხებული გზებითაც. აღმოსავლეთით, ქციისა და მტკვრის დაყოლებით, ხუნანზე გავლით გზა მიდიოდა ძველი ალბანეთისა და შემდეგ ირანისაკენ; დმანისიდან დასავლეთით, კეჩუთისა და ბოლოლის მთების გადავლით, ჯავახეთზე იდო გზა, საიდანაც იგი ბიზანტიისაკენ, სამცხე-აჭარისა და სამცხე-იმერეთისაკენ იტოტებოდა; დმანისიდან სამხრეთით, ფინეზაურის ხეობის ავლით, ლორე-ტაშირსა და სომხეთში შეიძლებოდა გადასვლა (ახლაც სამანქანო შოსე დაახლ. იმ ძველი მიმართულებით მიდის); ჩრდილოეთით, ქვეშისა და ბერიქალის ციხის გავლით, სამშვილდეში მიდიოდა მოხერ-ხებული გზა. ამ მნიშვნელოვანი არტერიების გარდა იყო საქონლის გადასარეკი გზები და საცხენოსნო ბილიკები. ზემოხსენებულ გზებზე წყაროთა ზოგიერთი ცნობაც მოგვითხრობს. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი III მცირე რაზმით მდგარა „შორის მთათა ლორისა და დმანისისათა“, სადაც მას თავს დასხმია სულთნის ლაშქარი. იგი გელაქუნის ტბიდან (სევანი) სამხრეთის გზით წამოსულა (ისტორიანი და აზმანი 1959: 23). 1750-იან წლებში თრიალეთის მაოხრებელი ლეკები ნაალაფევით წასულან წალკიდან, „გაიარეს დმანისის თავს მთის ძირზე, ტაშირზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპატის ხეობაზე“, – წერს პაპუნა ორბელიანი (პაპუნა ორბელიანი 1981: 290). ესეც წინ ნახსენები გზაა, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით; ჩანს, წალკიდან იგი კეჩუთის მთის ძირზე ბაშკიჩეთთან გადიოდა, შემდეგ უერთდებოდა დმანისიდან წამოსულს და ჰამამლუს გავლით გადადიოდა ტაშირში. ამ გზაზე საინტერესოა მთების სახელწოდებანი ლეზგი დერე და ბოღაზქესანი, რაც ლეკების ხევსა და გადაკეტილ ყელს, გასასვლელს ნიშნავს.

“მატიანე ქართლისა“ შენიშნავს, რომ XI ს-ში სომხეთიდან „სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კჳრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა“ (მატიანე ქართლისა 1955: 307). აღწერილი ეპიზოდის მიხედვით, სომეხთა მეფეს დმანისსა და ქვეშის ციხესთან უნდა გაევლო, რომ ქვეშის ჭალაში მისულიყო. 1662 წ. ერთ საბუთში ქვეშის ხევიდან მიმავალი კიდევ ერთი გზაა აღწერილი, რომელიც თბილისისაკენ მიემართებოდა: „აკაურთიდამე რომ საქალაქე შარა გამოვა, ავაზნის წყაროს ძირს გამოივლის და დისველის პირს მიადგების, გზას ქვეით იოთამიშვილებისა არის და გზას ზედათი

აბაშიანთი“ (ი. დოლიძე 1972: 121).

აღმოსავლეთიდან მიმავალი გზის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტის ისტორია: 1695 წ. დიდი ლაშქრით ხუნანს მოსულ ქალბალიხანს ერეკლე I შეხვდა. აქედან კი „ნაზარ-ალიხან და ქალბალიხან შემოვლნეს სომხითი, დმანისჴევი და დადგნენ ყარაბულახს“ (ვახუშტი 1973: 472). ამ მთავარი გზის კიანეთთან გამოყოფილი ტოტი გადიოდა მაშავერის მარჯვენა ნაპირზე, მერე დიდგალავნის, ღორისთავის, კაზრეთის, ბალიჭისა და გორუნჯუკის გავლით, მიდიოდა დმანისამდე, რომლის პირდაპირ, ფინეზაურზე, ხიდი იყო. ამავე გზის მეორე შტო ბალიჭის მერე მიჰყვებოდა დამბლუტისხევს და ლოქის ციხესთან უღელტეხილით ტაშირში გადადიოდა. კაზრეთიდან უმოკლესი გზა „ბოლნისის ხევისა“ და „ბოგირების“ გავლით ბოლნის-ხაჩინში გადადის. ეს გზა 1741 წ. ერთ საბუთში იხსენიება, სადაც იარალი იარალიშვილი ზურაბ ზურაბიშვილს მიმართავს: „მოგყიდე რაც ისპიანში წილი მქონდა, თავისის ბოლნისის კენჭიყარია რომ გარდავა... და კაზრეთისაკენ რომ გზა წავა და ხევი ჩამოვარდება იქამდის“ (თაყაიშვილი 1899: 430).

ქციის ხრამიდან და ქვეშიდან გეტისხევს მიჰყვებოდა გზა მდინარის სათავისაკენ, გაივლიდა ხახალა-ჯვარს, ზურტაკეტს და ფუნდუკისხევით ჯავახეთს გადიოდა. ასე იარა ალექსანდრე ბატონიშვილმა 1818 წ., როდესაც მას რუსეთის ხელისუფლება დასაჭერად ეძებდა. სოფ. ქვეშთან ღამენათევს, მეორე დღეს მას ხახალა-ჯვართან, ზედ მესაზღვრე ჯარის შტაბ-ბინაზე გაუვლია, ხელიდან გასხლტომია მდევარს და ჯავახეთის ხერთვისში მისულა (ორჯონიკიძე 1999: 306-307).

დმანისხევის სავაჭრო-სამიმოსვლო გზები დიდ სარგებლიანობაზე მიუთითებს ახლაც შემორჩენილი გოჩულუსა და სამტრედოს ძველი ხიდები. ამ უკანასკნელის შესახებ ვახუშტი წერს: „სატრედოს, მაშავერზედ შენი არს ხიდი ქვითკირისა ზ (ე. ი. 7 – დ. ბ.) თვალი წყალდიდობისათვის“ (ვახუშტი 1941: 40). კიდევ ერთი პატარა თაღოვანი ხიდია შემორჩენილი დამბლუტისხევზე, ბალიჭებსა და გორუნჯუკს შორის. ნახიდურთა ბურჯები გვხვდება მაშავერაზე კაზრეთთან, ბალიჭებთან, დმანისთან, მიჯასთან, ასევე ფინეზაურზე... საბუთებში დამოწმებულია დმანისის საბაჟო (ი. დოლიძე 1972: 18), ქვეშის ციხის საბაჟო (თაყაიშვილი 1909: 40), დმანისის ხეობის დამღა, ვარდისუბნის დამღა (ურდანია 1897: 424), რაც სავაჭრო გადასახადი იყო. აქ გამავალ ქარავნებს ეხმაურება ისიც, რომ სომხეთს მიმავალ გზას „აქლემის გზას“ უწოდებდნენ (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 330). ამ გზებით გაცხოველებულ ვაჭრობას მოწმობს დმანისში აღმოჩენილი მონეტები ბიზანტიისა, რუმის სელჩუკებისა, სომხურ-მონღოლური, ქართული, ჩინგიზიდებისა, ჯალალედინისა, ჰულაგუიდებისა, ილდიგიზებისა და სხვ. (ლომოური 1938: 309).

დმანისხევის მოხერხებული გზებით საუკუნეების მანძილზე სარგებლობდნენ ქართლ-კახეთის მესაქონლეები, რომელთაც ცხვარ-ძროხა

გადაჰყავდათ ზურტაკეტ-ჯავახეთის საძოვრებზე და უკან. XIX ს-ში კახეთიდან მომავალი ეს გზა ასეთი მარშრუტით გადიოდა: სოღანლუღი – კუმისი – კოდა – მარნეული – დაშტიყულარი – ეკატერინენფელდი – რატევანი – ქვეში – სოფ. დმანისი – ყალამშა – ბაშკიჩეთი. აქედან იტოტებოდა ტაშირის, ზურტაკეტის და კეჩუთის მთით ჯავახეთისაკენ. ეს უკანასკნელი ელმექლისა და დელიდაღის მწვერვალებს შორის გადაკვეთდა უღელტეხილს. ვახუშტი ბატონიშვილის დროს სახელწოდება ბაშკიჩეთი არ არსებობდა. უნდა ვიფიქროთ, ეს სახელი მოგვიანებით შეარქვეს ამ პუნქტს თურქულენოვანმა მესაქონლეებმა (ახლა დაბა დმანისი), რაც მათ ენაზე მთავარ გასასვლელს, მთის გასასვლელს აღნიშნავს. მთის სახელწოდება კეჩუთი მათ გაიაზრეს, როგორც „გეჩიდ“ – გადასასვლელი. ამ მხრივ საინტერესოა სოფლის ძველი სახელი საკარისი (დღევანდელი შახმარლო). იგი მაშავერის სათავეებთან მდებარეობს და ისევ გზა-გასასვლელთან, კართან უნდა იყოს დაკავშირებული.

* * *

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა დმანისის ნაქალაქარზე სენსაციური აღმოჩენებით დაადასტურეს, რომ იქ ყოფილა ევრაზიაში უძველესი ადამიანის სადგომი (ვ. ჯაფარიძე 1991). პალეოლითის ხანაში მას უცხოვრია ასევე პატარა დმანისთან, ვარდისუბანთან და კაზრეთთან,სადაც ამ პერიოდის ქვის არტეფაქტებია აღმოჩენილი (საქართველოს არქეოლოგია 1991: 117).

ენეოლითური ხანის საცხოვრისი მიკვლეულია სოფ. ჯავახთან (ძველი მიჯა), მაშავერის მარცხენა, მაღალი ტერასის ძირში, სადაც ადრესამიწათმოქმედო ეპოქის კულტურული ფენა დადასტურდა.

ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III ათასწლ.) ნასახლარი და სამაროვნები გამოვლენილია ვარდისუბანთან, ღრმახევისთავზე; ამავე ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის ნასახლარის ნაშთი აღმოჩნდა ყორანთის გორაზე (საქართველოს არქეოლოგია 1992: 62, 158, 169); ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები ნაპოვნია დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზეც, ხოლო კაზრეთის ხეობაში შემთხვევით გამოჩნდა იმავე პერიოდის ნასახლარის ნაშთი (სინაურიძე 1985: 11).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები აღმოჩნდა ვარდისუბანთან, ჯავახთან, განთიადში, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, კაზრეთის ხეობაში. იქ, ძირითადად, სამარხებია გათხრილი, რომლებიც აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ სამაროვანზე განთიადთან გათხარეს ე. წ. „მეტალურგის სამარხი“, რომელშიც მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ ლითონის ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები. ეს სამარხი

ძვ.წ. VIII-VII ს-ით თარიღდება და ნათელი მოწმობაა ამ ხეობაში მეტალურგიის უძველესი ტრადიციებისა (კახიანი, იორდანიშვილი 1984: 36); გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განათხარი კერამიკის საფუძველზე არქეოლოგები მიდიან დასკვნამდე, რომ ამ პერიოდის ქვემო ქართლის მოსახლეობა შეადგენდა ერთ დიდ ეთნიკურ ჯგუფს, რომლის ერთიანობა შემდგომშიც არ დარღვეულა (სინაურიძე 1985: 29).

გარდა არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი ძეგლებისა, მაშავერის ხეობაში კიდევ არის დამოწმებული რამდენიმე პუნქტი, სადაც დაზვერვით მოპოვებული მასალის მიხედვით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები უნდა იყოს. ამათგან ყურადღებას იქცევს ფინეზაურის ზემო წელზე, მის მარცხნივ, სოფ.საკირის სამხრეთ-დასავლეთით,დაახლ. 3 კმ-ზე მყოფი გამაგრებული გორაკი. იგი მცირე ხევის ორი ტოტის შესაყარშია და კლდოვანი თხემით ბოლოვდება. ქედის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს ციცაბო კლდეებია,სამხრეთ და დასავლეთ მხარეს კი მშრალი წყობის კედლები, რომლებიც თხემს ირგვლივ ევლება სარტყლებად. მათ შიგნით სათავსოთა ნაშთებია. თხემზე კაცის სიმაღლე ბრტყელი ლოდები ერთმანეთის მიყოლებითაა ჩასმული,ნაწილი მშრალი წყობის კედლებით შეუვსიათ და სადგომი შეუკრავთ. ანაკრეფ მასალაში გამოირჩევა შავი კერამიკა და რეტუშირებული ოფსიდიანის ნატეხები. აქვეა ფეოდალური ხანის კერამიკაც – მოწმობა ციხის გამოყენებისა გვიან ხანაშიც. ეს ბუნებრივია, რადგან აქვე, ჩრდილოეთით, ფეოდალური ხანის ნასოფლარია ეკლესიის ბუდით,რომელზედაც ბერძნებს ახალი ეკლესია დაუდგამთ. ციხეს ახლა საქონლის შესარეკ ბაკად იყენებენ. თავდასაცავი და გზის მაკონტროლებელი მნიშვნელობა ექნებოდა მას ფეოდალურ ხანაში. ეს ნასოფლარი უნდა იყოს აღუმბრუ, რომელიც ვახუშტის რუკაზე ფინეზაურის ზემო წელზეა აღნიშნული.

ქვეშის ციხის აზიდულ კლდეზე ახლა მხოლოდ გვიანი კედლებია შერჩენილი,მაგრამ,ჩანს,მას ყურადღება არ მოკლებია წინაფეოდალურ ხანაშიც; კლდის ძირში ოფსიდიანის ლამელები და ხელსაფქვავები იპოვება,სხვადასხვა დროის კერამიკულ ფრაგმენტებთან ერთად. ამავე პერიოდის გალავანშემოვლებული დასახლება ჩანს კაზრეთისხევის მაშავერასთან შესაყარში. მას ფეოდალურ ხანაში ღორისთავი ერქვა. იმდროინდელ კერამიკასთან ერთად, აქ მრავლადაა ოფსიდიანის ნამგლისპირები, რეტუშირებული ლამელები და კერამიკული ფრაგმენტები. მიწის დამუშავებისას ხშირად ჩნდება ქვაყუთები, დამხრობილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რომლებშიც პოულობენ თიხის ჭურჭელს, ბრინჯაოს ქინძისთავებს, მძივებსა და მახვილებს.

ძალზე საინტერესოა გორა მაშავერის კანიონში სოფ. ტნუსის პირდაპირ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ტნუსის თეკენების ქვედა ეკლესია სწორედ ამ გორაკზე დგას, რომელიც, შესაძლოა, ძველი ნამოსახლარი გამოდგეს. ადგილობრივმა მოსახლემ მაჩვენა ამ

გორაკზე ნაპოვნი ირმის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ზურგზე დატოტვილი რქები და საკიდი ყუნწი აქვს. გორის ფერდებზე ნასახლართა ბუდეებია, აქვე კერამიკაც ჩანს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა. აღწერილი გორის დასავლეთით, დაახლ. ერთ კმ-ზე, კიდევაა გამხოლოებული გორა, რომელსაც „გოლგოთას“ უწოდებენ. მისი თხემი კლდოვან-ლოდოვანია, ფერდებზე კი ნასოფლართა ბუდეები ჩანს. აქაცაა ოფსიდიანის ფირფიტები, ხელსაფქვავები და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკული ფრაგმენტები. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გორების სიახლოვეს, კანიონის მარცხენა ნაპირის გამოქვაბულებში, დასტურდება გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაშთები (ბახტაძე 1991: 100).

შედარებით მცირეა მომდევნო ხანის ძეგლთა აღმოჩენის ფაქტები, რაც, შესაძლოა, შემთხვევითი გამოდგეს. ძვ.წ. VI-IV სს-ის სამარხები დადასტურდა განთიადის სამაროვანზე, აქემენიდური პერიოდისა კი – ვარდისუბანთან, ღრმახევისთავზე; აქვეა გვიანანტიკური ხანის სამარხები, ხოლო ადრეელინისტური ხანა გვხვდება აბულმუგის სამაროვანზე (კახიანი, იორდანიშვილი 1984; ძნელაძე, ხუბულური 1981; ლ. მუსხელიშვილი 1941). კაზრეთის „თელების ველის“ სამაროვანზე გამოვლენილი ინვენტარი ძვ.წ. IV-II სს-ით თარიღდება (სინაურიძე 1985: 38). ძვ.წ. I საუკუნეს განეკუთვნება მაშავერის ხეობაში ნაპოვნი ავგუსტუს და დიოკლეტიანე იმპერატორების რომაული მონეტები, ასევე პართული დრაქმა ოროდ II-სა. ახ.წ. III ს-ისაა განთიადში ნაპოვნი ვარაჰრან I-ის სასანური მონეტა (ჯალაღანია, ჯაფარიძე 1987: 30).

ამრიგად, მაშავერის ხეობა მოსახლეობის მიერ უძველესი დროიდანაა ათვისებული და თითქმის უწყვეტია მისი აქ ცხოვრების კვალი. ოდითგანვე შერჩეულია ადგილები ბუნებრივ-კლიმატური, სამეურნეო პირობებით, წიაღისეული სიმდიდრით, ბუნებრივი დაცულობით. სწორედ ასეთი პუნქტები გადაიქცნენ ფეოდალური ხანის მოწინავე ადმინისტრაციულ, რელიგიურ, სტრატეგიულ, საწარმოო და სავაჭრო ცენტრებად ქართლის სამეფოს ამ ყოველმხრივ შემკულ კუთხეში.

* * *

პირველი წერილობითი ცნობები მაშავერის ხეობის პუნქტების შესახებ დმანისსა და ქვეშს ეხება. ესაა 506 წ. საეკლესიო კრების ქართველ მღვდელმთავართა სია, სადაც იხსენიება სამუელ დმანელი ეპისკოპოსი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97, 159). VII ს-ის სომხური გეოგრაფია, რომელიც უფრო ადრეულ ვითარებას ასახავს, ქვემო ქართლის ტერიტორიულ ერთეულებს შორის ასახელებს ქვეშისხევს (ერემიანი 1963: 104).

ზემოხსენებული ცნობიდან უნდა დავასკვნათ, რომ უკვე IV-V სს-


დმანისხევი შუა საუკუნეებში
სამშვილდე
ნახიდური
დია
სენები
აკაურთა
რატევანი
ყორანთა
ტანძია
ქვეში
ხაბრედო
მუხნარი
ხრამი
ხახალაჯვარი
კიპრუჭი
ლორისთავი
დარბაზი
კიანეთი
მუშევანი
ჭრეში
დავით-საგარეჯო
ორომაშენი
გეტა
ტანძია
ბოსლები
ბაბილაშენი
ეარდისუბანი
ისპიანი
წითელი ეკლესია
ყალამშია
ბალიჭი
სათხე (ევირაცხოველი)
შინდნარი
ბაშკინეთა
მიჯა
ჩინჩხური
ჩინჩხური
საკარისი
დმანისი
ეკანგორი
ბუნუკუნი
დავითის უბანი
გადირეული
ოროზმანი
ანგრევანი
ეაზრეთის თავი
თაგუთი
ლაკლაკაშენი
დამბლუტი
ეარძაგარა
ჟაშხათალა
ჭანდარი
ლოქი
ტ ა შ ი რ ი
ციხექალაქი
ციხე
კათედრალი
მონასტერი
სოფელი ეკლესიით
ხიდი
უღელტეხილი

ში ქვეში იყო მაშავერის ხეობის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთე-ულის ცენტრი, რომლის სახელითაც ეს ხეობა იხსენიებოდა. სწორედ ცენტრების სახელებითაა ჩამოთვლილი ამ გეოგრაფიაში მეზობელი ერთეულები: მანგლისის, ბოლნისის, კოლბის ხევები თუ ხუნანი. მართალია, სოფ. ქვეშში იყო მნიშვნელოვანი ძველი ეკლესია, მაგრამ ეს პუნქტი უნდა დაეწინაურებინა ამ მიუვალ კლდეზე ციხის აგებას. შესაძლოა, იგი პირველ ყოვლისა გეტისხევის სოფლებსა და იქ გამავალ გზებზე საბატონოდ აშენდა, მაგრამ მისი როლი თანდათან გაზრდილა; მაშავერის აუზის სხვა ციხეებთან შედარებით, გარკვეულ პირობებში, ქვეშის ციხეს პირველობა მოუპოვებია და მთელი ხეობის ცენტრად ქცეულა. ეს პროცესი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სამშვილდის, როგორც საერისთავოს ცენტრის დაწინაურებასთან და იქით მიმავალ გზასთან, რამდენადაც ქვეშისხევი სამშვილდის საერისთავოს განუყოფელი ნაწილი იყო.

სახელწოდება ქვეში ასახავს პუნქტის მდებარეობას: მართლაც, აქ იწყება მაშავერის ქვემო წელი, განსხვავებული, გაშლილი გარემოთი. საქართველოს სხვა კუთხეებშიაც დამოწმებული ქვეში, ქვეშეთი, იქაც მსგავს ვითარებას ასახავს.

სამშვილდის საერისთავოში შემავალი და სომხურ გეოგრაფიაში „ქვეშაფორად“ მოხსენიებული მაშავერის აუზი თავისთავად კიდევ უფრო მცირე ხევებისაგან შედგებოდა. ეს ტერიტორიული ერთეულები ვახუშტი ბატონიშვილს აქვს ჩამოთვლილი თავის „აღწერაში“: გეტისხევი, კაზრეთისხევი, ბალიჭისხევი, ფინეზაურისხევი, ხინწისხევი. ვახუშტისავე სოფლების სიაში ამათ ემატება ლუკუნისა და ლოქის მთის ერთეულები. ჩანს, ეს მიკროქვეყნები, ისტორიულ-გეოგრაფიული ეპოქების შესაფერისად, იცვლიდნენ ადმინისტრაციულ კუთვნილებას სხვადასხვა ცენტრების, ციხისთავ-ერისთავებისა თუ თავადური სახლებისადმი.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ მაშავერას ერთვისო „გეტის-ჴევი და ქვეშის-ჴევი; გამოსდის ლუკუნს“ (ვახუშტი 1941: 39). მართლაც, გეტისწყალი სათავეს იღებს ლუკუნის მთაში და მოედინება აღმოსავლეთით, ვიდრე არ შეიერთებს ჩრდილო შემდინარეს და შემდგომ, ქვეშისციხის გავლით, უერთდება მაშავერას. გამოდის, რომ ამ ხეობის ზემო და შუა წელი ითვლებოდა გეტისხევად, სადაც იყო კიდეც სოფელი გეტა; ქვემო წელი კი, ორი ტოტის შესაყარიდან მაშავერამდე, იყო საკუთრივ ქვეშისხევი. ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებს ნასოფლარ ძველი ქვეშის არსებობა ქვეშის ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული სოფ. არაქელთან, ე. ი. გეტისწყლის შენაკადის მარცხენა სანაპიროზე. ასე იყო ეს ვახუშტის დროს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბუთებში ეს ერთეული ქვეშისხევად იხსენიება. თვითონ ვახუშტი სოფელთა სიაში 19 სოფელს აერთიანებს ქვეშისხევის (და არა გეტისხევის) შემადგენლობაში. უნდა ვიფიქროთ,

ეს მერყეობა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცვლილებების ასახვა იყო, პროცესი კი, ალბათ, ასე ვითარდებოდა: იყო საკუთრივ ქვეშისხევი, ქვეშის ციხის შესავალი მცირე ერთეული; ქვეშის ციხის დაწინაურებამ იგი მაშავერის ხეობის ცენტრად აქცია და ქვეშისხევი შეერქვა მთელ მაშავერის აუზს. ასე იყო IX-X საუკუნემდე. ამ პერიოდში საკუთრივ ქვეშის მცირე ხეობას ახალი ცენტრი გაუჩნდა – გეტა და ისიც გეტისხევად იქცა. დმანისის გაქალაქებამ გეტისხევს დაუბრუნა ძველი სახელი – ქვეშისხევი, ვახუშტი ბატონიშვილი კი უკვე მერყეობს ძველსა და ახალ ვითარებას შორის.

ზემოაღწერილ ხევში, ისევე როგორც აქაურ სხვა მიკროერთეულებში, არის ადრეული ხანის ყველაზე მასიურად შემორჩენილი ძეგლები, ესაა სტელა-ჯვრები და მათი ბაზისები. დროსთან ერთად იცვლებოდნენ თაობები, აღარავინ იყო ქვაჯვრების აღმმართველთა მომგონებელი და ეს სტელებიც ეკლესიათა კედლებს ხმარდებოდა მორთულობაში. ამის მაგალითია სოფ. ქვეშის ეკლესია გარეთ გამოტანილი მრგვალი საკურთხევლით. აქ ძველი ქვაჯვრები ნახევარსვეტებად ჩაუყოლებიათ ჩრდილო კედელში. სტელათა ნატეხებია ჩატანებული მუსეფრიანის ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში, ქვემო გულავერთან მდგარი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც მამაკაცის ფიგურა მოჩანს. ვახუშტის სოფლების სიის მიხედვით, ტანძიასა და დარბაზს შორის დასახელებულია გულეული. სწორედ ასეთი მდებარეობა აქვს ხევის მარცხნივ მყოფ დღევანდელ სოფელ გულავერს. მისი სახელი გულეულის სახენაცვალი ფორმაა. გოლეული ფიჭიანი თაფლია და ეს ტოპონიმი აქ გავრცელებულ მეფუტკრეობაზე მეტყველებს, ისევე როგორც მის დასავლეთით მყოფი სოფლის სახელი კიპრუჭი, რაც გამაგრებულ თაფლს აღნიშნავს. ძველ ხუთვერსიან რუკაზე ჯერ კიდევ კიპრუჭი ეწერა, ახლა მას დამახინჯებით კიპირჯიკს უწოდებენ.

ადრეული სტელების კუბური ბაზისები შერჩენილია დარბაზის მიდამოებში მყოფ ეკლესიებთან და თვით ქვეშის ციხის ეკლესიის სამხრეთ კედელშიც, სადაც, ციხის ხშირი შეკეთების გამო, ძველიდან თითქმის აღარაფერი გადარჩენილა. აღარ ჩანს წყაროც, რომელსაც ვახუშტი ციხესთან ასახელებს და რომელიც ციხის სიმტკიცე-აუღებლობის ერთ-ერთი პირობა იყო.

ქვეშის ციხესთან ძველთაგანვე არსებობდა საბაჟო, რაც მის მფლობელს დიდი შემოსავლით უზრუნველყოფდა მნიშვნელოვანი გზასაყარის გამო. აქ გადიოდა ზემოთ აღწერილი გზები ჯავახეთისა და ტაშირით სომხეთისაკენ, ქვეშისხევის გავლით – სამშვილდისა და თბილისისაკენ. გეტისხევს მიუყვებოდა მოკლე გზა ზურტაკეტისა და თრიალეთისაკენ. გზასთანაა დაკავშირებული გეტისხევის სოფელთა ძველი სახელები: იწრია („გზა და მისთანა უგანური“ – საბა), სავანეთი, დამღალო, რაც დამღა-ტამღასთან დაკავშირებული სახელი უნდა ყოფილიყო.

ადრიდანვე გამორჩეული ჩანს კაზრეთისხევის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. აქაც ხეობა ცენტრალური სოფლის სახელს ირქმევს. გარდა ამჟამად არსებული კაზრეთისა, მისგან დაახლ. 8 კმ-ზე, ხევის სათავისაკენ, არის დიდი ნასოფლარი, რომელსაც „კაზრეთის თავს“ ეტყვიან. აქედან წამოსული ბალიჭისხევის მარჯვენა შენაკადსაც კაზრეთისხევს უწოდებენ, რაც კაზრეთში გადამავალი გზით უნდა აიხსნას. ამიტომ ძველი კაზრეთი ახლანდელი დაბის ადგილზე უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს საბუთებისა და ვახუშტის რუკის მონაცემებიც.

კაზრეთის ხეობის ადრეული ფეოდალიზმის ხანის საკულტო ნაგებობათა ნაშთები უმეტესად ქვაჯვრების სახით შემორჩა მოგვიანებით აგებულ ეკლესიებში. ისინი შესწავლილი და დათარიღებულია V-VI სს-ით (ვ. ჯაფარიძე 1982: ტაბ. LIII-LXXIII; სინაურიძე 1985: ტაბ. XXIV-XXVIII). დიდად საყურადღებოა ბერძნული რელიეფური წარწერის აღმოჩენა სტელის კვარცხლბეკზე, რომლის ოთხივე მხარე ჯვრებით ყოფილა შემკული. ორად გატეხილი ეს ბაზისიც მცირე ეკლესიის კედლებში იყო ჩაშენებული. ეკლესია იდგა ნასოფლარ ბუჩურიანში (ვახუშტისეული ბუჩუკუნი). წარწერის ქართული თარგმანი ასეთია: „სალოცველად სვიმეონისა და ავლიანოსისა, ყოვლითა მათითა სახლითურთ. უფალო შეეწიე თეოდორეს“. წარწერა თარიღდება VI-IX სს-ით. როგორც ჩანს, სვიმეონი და ავლიანოსი მაღალი წრის წარმომადგენლები არიან, ერთმანეთთან ნათესაობრივად ან თანამდებობრივად დაკავშირებულნი, ინიციატორები ამ სტელის დადგმისა. თეოდორე კი ხელოსანი უნდა იყოს, სტელისა და წარწერის გამკეთებელი. ბერძნული წარწერის გაკეთება იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობის გავრცელების მერე აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისათვის ბერძნული საერთაშორისო ენა გახდა. ამ ტრადიციას შემდგომ საუკუნეებშიც ხშირად უხდიდნენ ხარკს (თ. ყაუხჩიშვილი 1967: 162). ბერძნული წარწერა, რომელიც VI-VIII საუკუნეებითაა დათარიღებული, ასევე აღმოჩენილია მეზობელ თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ლიპში; რამდენიმე ბერძნული ასო ჩანს აბულმუგის ეკლესიის ორ ქვაზეც.

ბუჩუკუნის წარწერის სიმონი და ავლიანე (ასეთია ამ სახელების ქართული ფორმა) ადგილობრივი აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც თავის მამულში აღმართავდნენ ქვაჯვარს. ამიტომ წარწერაში ნათქვამი „ყოვლითა სახლითა მათითურთ“ მხოლოდ ოჯახს არ გულისხმობს. ძველად სახლი მიწა-წყლისა და ადმინისტრაციული ერთეულის, სამფლობელოს აღმნიშვნელი ტერმინიც იყო (ივ. ჯავახიშვილი 1982ა: 132, 184) და ეს ერთეული კაზრეთის ხეობა უნდა ყოფილიყო.

ბუჩუკუნის მნიშვნელობას ადასტურებს ნასოფლარის სამხრეთ განაპირა ქედზე შემორჩენილი ეკლესიის ნანგრევი. ეს ადრეული

ხანის სალოცავი მოზრდილი ნაგებობა იყო (11მX5მ), გარეთ გამოტანილი, წრიული საკურთხევლით, კედლები თარაზული წყობით იყო ნაშენი, კირზე ნაწყობი, თანაბარი, საშუალო ზომის კვადრებით. 1966 წ. ეკლესიის ნანგრევთან ექსკავატორი იყო მომდგარი. ჩანს, ეს ეკლესიაც მადნეულის კარიერებს შეეწირა, რადგან შემდგომში არქეოლოგებს იგი უკვე აღარ აღუნიშნავთ. საფიქრებელია, ამ ეკლესიასთან იქნებოდა სტელების ერთი ნაწილი, რომელიც შემდეგ გვიანი ეკლესიის კედლებში ჩააშენეს (სინაურიძე 1985: 39-43; ვ. ჯაფარიძე 1982: ტაბ. LXII, LXIII).

ასევე საყურადღებოა ციხე ბუჩუკუნის მახლობლად, რომელიც ბოლნისისა და დმანისის ხევების საზღვრად, ქედზე აუშენებიათ. მას რკინის მთას უწოდებენ (დემირ დაღ), აქვე იღებს სათავეს რკინისწყალი (დემირ სუ) – ფოლადაურის მარჯვენა შენაკადი. ეს სახელები შემთხვევითი არაა; ციხის სიახლოვეს რკინის წარმოების ნაშთებია, რაზედაც აშკარად მიუთითებს მადნის შემცველი კლდეები და წიდის დიდი რაოდენობა. ციხეს კონუსური კლდის თხემი უკავია, იქ მისასვლელად კლდეში ბილიკია გაჭრილი. მოზრდილი ფართობი უჭირავს ნაგებობას, რომელშიც სამ სართულად ჩაყოლებულია სამზერ-სათოფურები და ბუდეები გადახურვის კოჭებისათვის. მცირე ეზო კედლითაა გადაკეტილი. კლდის ქვევით ოთხკუთხა კოშკია შემორჩენილი, რომელიც რეგულარული წყობის საშუალო ზომის ქვებითაა ნაგები. იგი ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს (სურ. 1)

ეს ციხე გზაჯვარედინს აკონტროლებდა: ერთი გზა კაზრეთის-ხევიდან ბოლნისში გადადის, მეორე უკანგორ-დამბლუტისაკენ მიემართება, მესამე კი ქედებით მიდის ლოქის ციხისაკენ. იგივე ციხე იცავდა მნიშვნელოვან რკინის საწარმოს. ასეთი მეზობლობა აუცილებელი რომ ყოფილა, ჩანს გიულდენშტედტის ჩანაწერიდან: მას დამბლუტის გაუდაბურებული გარემო ხელსაყრელად ვერ მიუჩნევია რკინის წარმოების მოსაწყობად. ამაზე ერეკლე მეფეს უთქვამს, რომ იგი აქ ციხეს ააშენებდა რკინის მწარმოებელთა დასაცავად (გიულდენშტედტი 1964: 147).

ვახუშტი ბატონიშვილი ბუჩუკუნის ციხეზე არაფერს ამბობს, თუმცა კი რუკაზე აღნიშნული აქვს. ციხის შემორჩენილი კედლების ორი ძირითადი ფენა აქაური წარმოების ინტენსიურობაზე უნდა მიგვანიშნებდეს ადრე და გვიანფეოდალურ ხანაში.

ადრეული სტელებისა და მათი ბაზისების შემცველი კიდევ ორი ეკლესია იყო კაზრეთის დასახლებისა და მის ორ მოქმედ სამაროვანზე. აქედან ერთი გათხრილი და შესწავლილია (სინაურიძე 1985), მეორე კი, უფრო მოზრდილი, სახურავჩაქცეული, დარბაზული შენობა იყო, გარედან შელესილი და სრულიად შეთეთრებული. მის კედლებში მრავლად ჩანდა ჩაშენებული ძველი სტელები. მარტო აღმოსავლეთ კედელში ხუთი სტელისა და ერთი ბაზისის ქვა იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ



სურ. 1. ბუჩუკუნის ციხის გეგმა, ჭრილი და SO ფასადი.
არქიტ. გ. ტონია. 1962 წ.

კუთხესთან, საფლავის ქვათა შორის, მოზრდილი ქვაჯვარა ეგდო... ყველაფრიდან ჩანს, რომ კაზრეთის ძველი ეკლესიებიც, ბუჩუკუნის მსგავსად, მრავლისმეტყველ უძველეს ძეგლებს შეიცავდნენ.

მაშავერის მარჯვენა შემდინარე ბალიჭისხევი ლოქის მთაში იღებს სათავეს. სახელი ხევს სოფ. ბალიჭისაგან შეერქვა, რომელიც ამ ხევის ქვემო წელზეა. ძველად ბალიჭი ერთი სოფელი იყო, ახლა ორია, ამიტომაც უწოდებენ ბალიჭებსო. მაგრამ მანამდეც მოსახლეობა თურმე სახელის მრავლობით ფორმას ხმარობდა. ასეთი შემთხვევები სხვაცაა: მაგ. სათხეები კაზრეთისხევში, კოურები, ფარცხისები, ტბისები აგეთში და სხვ. (დ. ბერძენიშვილი 1976: 108).

ბალიჭისხევის ადრეული ძეგლები საყურადღებო მასალებს იძლევიან აქაური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის წარმოსაჩენად. ასეთია უკანგორი, სადაც ეკლესიებთან აღმოჩენილია მაშავერის ხეობის უძველესი ქართული წარწერების რამდენიმე ნიმუშთაგანი. V-VI ს-ით დათარიღებულ ამ რელიეფურ წარწერებში იხსენიებიან ადგილობრივი ფეოდალები თათვარაზ და აბაზა, რომელნიც ეკლესიებთან აღმართავენ ჯვრებს მათი სულისა და ოჯახისათვის სალოცველად (შოშიაშვილი 1980: 89-93). საინტერესოა, რომ თათვარაზი ჯვრის აღმართვას ათარიღებს „პეტრეს ხუცესობით“. ამიტომ ლ. მუსხელიშვილი აქ ხევისბერობის მსგავს მოვლენას ვარაუდობდა (ლ. მუსხელიშვილი 1941: 13). საფიქრებელია, ქვაჯვრებზე გამოსახული ადამიანები აქაური ფეოდალური სახლების წარმომადგენლები იყვნენ (ვ. ჯაფარიძე 1982: ტაბ. XX-XXIII), მით უფრო, რომ ქვემო ქართლის ადრეული ხანის სხვა სტელებზე გამოსახული ფეოდალებიც ასეთსავე ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი. ბუნებრივია, ამ აზნაურთა სამფლობელოს ცენტრი უკანგორი იქნებოდა.

მეორე ასეთივე საბატონოს ცენტრი უნდა ყოფილიყო ბალიჭში,

სადაც ძველი ქვაჯვრები აღმოჩნდა მოგვიანო ეკლესიის კედლებში. მათი შემკობის თემატიკა უკანგორული სტელების ანალოგიურია და მათი თანადროული უნდა იყოს. ერთ ქვაჯვარზე აქაც საერო პირთა გამოსახულებებია შემორჩენილი, რომლებიც ადგილობრივი ფეოდალები უნდა იყვნენ (ვ. ჯაფარიძე 1982: ტაბ. XLIII-LII).

ამასვე დაუკავშირდება ბალიჭში აღმოჩენილი სარკოფაგი VI-VII სს-ისა. მის ორფერდა სახურავზე რელიეფური ჯვარი და ასომთავრული წარწერაა: „დესეს სული ქრისტე მოიხსენე“. წარწერის უფრო საეჭვო წაკითხვას იძლეოდა თ. ბარნაველი,რომელიც,როგორც ჩანს,ბუჩუკუნის ბერძნული წარწერის გავლენით, აქაც „დესე სახლისუფალს“ ხედავდა (ვ. ჯაფარიძე 1972; შანიძე 1972; თ. ბარნაველი 1982). ცხადია, ეს სარკოფაგი საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენელს ეკუთვნის, რომლის სამკვიდრო-სასაფლაო ბალიჭში ყოფილა.

ბალიჭის ხეობელი აზნაურ-ფეოდალებისა უნდა ყოფილიყო ლოქის ციხე, რომლისკენ მიმავალი ერთი გზა ბალიჭისხევს მიჰყვებოდა. ეს ციხე კეტავდა ტაშირში გარდამავალ უღელტეხილს, საიდანაც გზა სხვადასხვა მხარეს იტოტებოდა. ამ უღელტეხილთან იყრიდა თავს ლოქისწყლითა და ფინეზაურით ამომავალი გზებიც. ლოქის მთა ალპური საძოვრების ქედია, რომლის აღმოსავლეთი, კლდოვანი გვირგვინი, ციხეს უჭირავს. შვეული, მიუდგომელი ტინი ოდნავ მისაწვდომ ადგილებში მაღალი კედლებითაა ამოშენებული, რომელთა ქვები სხვაგნით მოუტანიათ. კედლის წყობა რეგულარულია, საშუალო ზომის კვადრები კირზეა ნაგები. კედლები კარგად შერჩენილა სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს. შესასვლელი სამხრეთიდან ყოფილა, ჩრდილოეთით კი ოთხკუთხა კოშკები შეიმჩნევა (სურ. 2). კლდის სამხრეთ კალთაზე მცირე გამოქვაბული ეკლესიად მოუწყვიათ: დასავლეთი, სამხრეთი და საკურთხევლის ნახევარი კედლები ციხისავე ქვითა და წყობითაა ამოყვანილი. შიგნით, საკურთხევლის კედელში ადრეფეოდალური სტელა ჩაუშენებიათ. მასზე გამოსახულია „ბოლნური მედალიონი“, რომელიც მაღალ ბუნს ეყრდნობა,ეს უკანასკნელი კი ორსაფეხურიან აღსავალზე დგას. ბუნის შუა წელზე ორი ნახევარპალმეტი ჯვრის აყვავებას გამოხატავს. სტელაზე მოცემული კომპოზიცია ძალიან წააგავს უკანგორის მცირე ეკლესიასთან ნაპოვნი ქვაჯვრის გამოსახულებას, რომელიც VI ს-ით თარიღდება (ვ. ჯაფარიძე 1982: ტაბ. XXIV, I). ვახუშტი ბატონიშვილი ლოქის ციხის შესახებ არაფერს ამბობს,თუმცა რუკაზე ის აღნიშნული აქვს ბალიჭისხევის სათავეში, სოფლების სიაში კი ლოქის მთაში 9 სოფელს ჩამოთვლის.

პირველი ცნობა ქვემო ქართლის საეპისკოპოსოების შესახებ ჯუანშერის თხზულებამ შემოგვინახა, რომლის მიხედვით ვახტანგ გორგასალს V ს-ის II ნახევარში განუწესებია ეპისკოპოსები მანგლისს, ბოლნისს და აგარაკს, ანუ ხუნანს. 506 წ. საეკლესიო

კრების მონაწილეთა სიიდან ირკვევა, რომ ქვემო ქართლში უკვე 5 ეპისკოპოსი ყოფილა: მანგლელს, ბოლნელს და ხუნანაკერტელს დამატებია დმანელი და ცურტაველი. აკად. კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ჯუანშერის მიერ დასახელებული ეპარქიები უძველესია, დმანისისა და ცურტავის საეპისკოპოსოები შემდგომ ჩამოყალიბებულა 506 წლამდე (დ. ბერძენიშვილი 1979: 115). თუკი ასეა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დმანისის პირველი საეპისკოპოსო ტაძარი უნდა აგებულიყო V ს-ის II ნახევარში, 506 წლამდე.

დმანისის საეპისკოპოსო, პირველ ყოვლისა, მაშავერის აუზის სოფლებს მოიცავდა. ტაშირის სოფლების მოსახლეობაც დმანელის სამწყსოში შედიოდა, რაც ამ ორი მხარის ერთიანობას უწყობდა ხელს (დ. ბერძენიშვილი 1979: 118).

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, დმანისს „ეწოდა სახელი ესე დაბნების გამო: „დაბანი ისი“ (ვახუშტი 1941: 39). XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელიც ამ ქალაქს უწოდებს „დამანისს“ (დავლიანიძე 1966: 247), რაც ვახუშტის ზემოხსენებულ ახსნას ეხმაურება. „დაბა“ უძველესი ქართული სიტყვაა და ათვისებულ-დასახლებულ ადგილს ერქვა უდაბნოს საპირისპიროდ. ამ ფუძით წარმოებული სახელები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება: დაბა, ახალდაბა, დაბაძველი და სხვ. ფუძეზე დართულია მრავლობითობის ნიშანი „ნ“




სურ. 2. ლოკის ციხის გეგმა. არქიტ. გ. ტონია. 1962 წ.

და ნაგენეტივარი დაბოლოება „ის-ი“. სახელების ასეთი წარმოება ძალიან ძველია და გავრცელებულიც, შდრ.: ურბნისი, ბოლნისი, მანგლისი, ქუთათისი და სხვ. გამოდის, რომ VI ს-მდეც ნაქალაქარის ადგილას დაბა ყოფილა, სადაც შემდგომში საეპისკოპოსო ტაძარი აუგიათ. დმანისში აღმოჩენილი სტელები VI-VII ს-ით თარიღდება, მაგრამ ნაქალაქარის ტერიტორიაზე VI-VII-VIII სს-ის ბიზანტიური მონეტებია აღმოჩენილი, რაც ქალაქური ტიპის მნიშვნელოვანი პუნქტის აქ არსებობას უნდა მოწმობდეს IX საუკუნემდეც (ვ. ჯაფარიძე 1998: 19). VI ს-ში დმანისში ეკლესია მდგარა, რომლის კვალი გათხრების დროს აღმოჩნდა. შემდგომში ის, როგორც ჩანს, დანგრეულა და მის ადგილას ახალი ტაძარი აღუმართავთ IX ს-ში, „გარდამავალი ხანის“ ერთ-ერთი უდიდესი უგუმბათო ეკლესია (არჯევანიძე: 26,28). ნაქალაქარის გარდა დმანისი ჰქვია კიდევ ორ სოფელს და ეს სახელები საბუთებშია დამოწმებული. დიდი დმანისი მდებარეობს ნაქალაქარიდან 5-ოდე კმ-ზე მაშავერის დაყოლებით,მის მარცხენა სანაპიროზე. პატარა,იგივე ძველი დმანისი კი ნაქალაქარიდან ერთ კმ-ზეა, ფინეზაურის მარჯვენა ნაპირზე. სახელის ასეთი გავრცელება უნდა მიუთითებდეს ცენტრისადმი დაქვემდებარებული სამეურნეო რაიონის ათვისებაზე, შდრ.: ასევე სამი – შუა, ქვემო და ზემო – ბოლნისი მეზობელ ფოლადაურის ხეობაში. სწორედ ზემოხსენებული დმანისების არეალშია მოქცეული სოფ. ვარდისუბანი, რომლის განა-პირას, კანიონის კიდეზე გათხრილი მრგვალი, გუმბათიანი ეკლესიის ნაშთი ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია დმანისის მიდამოებში. იგი პირდაპირ გაჰყურებს ნაქალაქარს და ისე ახლოა მასთან,რომ დღევანდელი ვარდისუბანი ძველი დმანისის გარეუბნად მოჩანს. ნაქალაქარზე სიონის აგებამდე, შესაძლოა, ეს გუმბათიანი ეკლესია იყო დმანისის საეპისკოპოსო ტაძარი,რომელსაც შემდგომში ადგილი შეუცვალეს. ასეთ ვარაუდს არ ეწინააღმდეგება ვარდისუბნის ეკლესიის აგებისა, თუ მისი არსებობის ჯერჯერობით მიღებული თარიღები (ჩაჩხუნაშვილი 1992: 69-74; ბოლქვაძე 1994).

ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ესე ლუკა მახარებლის ეკლესიისათვის,რომელი აღშენებული არს თხემსა ზედა მის მთისასა, და მის ქვემორე არს სამჭრით მონასტერი წითელი – ეკლესია, ქვით წითლით შენებულობისათვის, შვენიერი, გარემო შენობანი მრავალნი წითლითა ქვითავე, არამედ აწ ცარიელ არს“ (ვახუშტი 1941: 40). ეს დიდი საძოვრიანი ქედი,რომელიც დმანისხევს ზურტაკეტისაგან გამოჰყოფს, 1900 მ სიმაღლისაა. ლუკა მახარებლის სახელობის ეკლესია პატარა ნაგებობაა, ადგილობრივი კლდის ქვით კირზე ნაგები. საკურთხეველი ნალისებურია, სადაც ქვაჯვრის ბაზისი დევს. წყობაში ზოგან ტუფის ქვაა გამოყენებული. ბალავრის ქვაზე გადაშლილი წარწერის ნაშთია. ვახუშტის მიერ წითელ ეკლესიად წოდებული მონასტერი ახლანდელ სოფელ კიზილ ქილისაში უნდა ყოფილიყო, რაც ქართული სახელწოდების

თურქული თარგმანია. მონასტრიდან თითქმის აღარაფერი შემოგვრჩა, გადარჩენილია ჩრდილო და აღმოსავლეთი კედლების კუთხე: წითელი, ლამაზი ქვის ჰორიზონტალური წყობა დაცულია კედლის შიდა და გარე პირზე. ჩრდილოეთი კედლის მესამედი პილასტრითაა გამოყოფილი, კაპიტელი პროფილირებულია. ირგვლივ ძველი სასაფლაოა.

ვახუშტი ლუკუნის მთაში ცხრა სოფელს ჩამოთვლის: ქარატაკი, ბოსლები, ქვაბლოვანი, ჯანდიდი, ტანძია, წითელი ეკლესია, სამაგარა და ორი შინდლარი. ოსმალთა მიერ 1727-1728 წწ. შედგენილი თბილისის დავთარი ამათგან მხოლოდ ბოსლებსა და წითელ ეკლესიას იხსენიებს. ბოსლების მერე დასახელებული ქობადალეთი, შესაძლოა, ვახუშტისეულ ქვაბლოვანს გულისხმობს. საინტერესოა, რომ წითელი ეკლესია თარგმნილი კი არაა თურქულად, არამედ „წითელ ეკლესიად“ ჩაუწერიათ, სადაც 15 კომლი სახლობდა: რევაზ პაპუნას ძე, ბეჩუა მისი ძე, ასლან ედიშერის ძე, ფირანოზ მისი ძმა, დათუნა ლაშქარას ძე, როსტომ მისი ძე, ანდრიან დემურჩის ძე, აბო მისი ძმა, არუთინ მისი ძმა, შერმაზან მისი ძე, ბეჩუა, მარქარა, მახარა იაკობის ძე, ჯანყულა შალვას ძე. ისინი იხდიდნენ 6540 ახჩას ხორბლის, ქერის, ფეტვის, ჭვავის შემოსავალზე, აგრეთვე გადასახადს თაფლზე, ღორზე, ცხვარსა და თივაზე. აქვე შედიოდა ისფენჯი – გადასახადი ქრისტიან მოსახლეობაზე (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი*; დავთარი 2010: 144-145, 158-159).

კიდევ ერთ ძველ მონასტერს ასახელებს ვახუშტი კეჩუთის მთაში: „აქა არს უდაბნო კლდისა გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკნი წმიდის დავით გარეჯელისაგან ქმნული და აწ ცარიელი“ (ვახუშტი 1941: 39). თავის რუკაზე ავტორი ამ პუნქტს „დავითის უბანს“ უწოდებს. მაშავერის სათავეებში მყოფი მონასტრის სიახლოვეს არავითარი დასახლება არ ყოფილა. კანიონის კლდოვან მარცხენა ფერდზე ბუნებრივი გამოქვაბულების ჯგუფია. მათი უმეტესობა მცირე ზომისაა, ზოგან შეიმჩნევა გაფართოებისა და მოწყობის ნაკვალევი – კირზე ნაგები კედლის ნაშთი. ზედა, უფრო მოზრდილი მღვიმე სიმაგრედ უქცევიათ კოშკისებური მინაშენის წყალობით. შედარებით ფართო ადგილზე მცირე, დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. მისი ზომებია: 6,5მX3,5მ კედლის წყობა შიგნიდან და გარედან რეგულარულია. აფსიდა ნალისებრია და ასეთივეა დასავლეთ კედელზე შერჩენილი თაღიც. შესასვლელი სამხრეთიდანაა, თითო სარკმელი – აღმოსავლეთ და დასასავლეთ კედლებში. ნაგებობა ორსაფეხურიან ხარისხზე დგას. ეკლესია IX-X საუკუნეებითაა დათარიღებული (ბახტაძე 1991: 103), ე. ი. ის არ შეიძლება დავით გარეჯელის „ქმნული“ იყოს, თუმცა არაა გამორიცხული აქვე უფრო ძველი ფენის არსებობა.

დავითის უბანთან დაკავშირებით გვაგონდება კიდევ ერთი მო-

* გამოუქვეყნებელი ხელნაწერის თარგმნისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ცისანა აბულაძეს.

ნასტერი კაზრეთისხევ-მაშავერის შესაყართან, რომელსაც დავით-საგარეჯო ჰქვია. იგი გვიან გადაკეთებული XIII-XIV სს-ის შენობა უნდა იყოს, თუმცა აქაც სავარაუდოა ძველი ნაგებობის ნაშთი. ალ. ორბელიანს ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვით დავით გარეჯელი თითქოს მაშავერის ხეობით მოსულა, მერე თბილისს გადასულა და ბოლოს გარეჯაში დამკვიდრებულა (თაყაიშვილი 1951: 165). ვახუშტი ბატონიშვილი ყარაიასა და გარეჯის მთაზე ამბობს,რომ „მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანის მთავარნი და აზნაურნიო“ (ვახუშტი 1941: 15). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებული ტრადიცია დმანისხევში მათი დამკვიდრებულია და უნდა მიუთითებდეს გარეჯის უდაბნოს აქაურ მეტოქეებზე, დავითის სახელობის მონასტრებზე.

* * *

“მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, არაბთა სარდალმა ბუღა თურქმა IX ს-ში „განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი სახლი სამასი და დასხნა იგინი შანქორს. დარიელანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლნი ასნი და დასხნა იგინი დმანისს“ (მატიანე ქართლისა 1955: 257). ნიშანდობლივია, რომ ბუღა თურქმა ეს თავისი მოკავშირე ოსები მაინცდამაინც დმანისში დაასახლა: ე. ი. კარგად შეაფასა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა, გაამაგრა იგი და შექმნა საყრდენი ორი მხრიდან მოსალოდნელი დარტყმის მოსაგერიებლად. საქმე ისაა, რომ ამ მოვლენას წინ უძღოდა სომეხთა ერისთავის აბულაბაზისა და მამფალ გვარამ აშოტის ძის გაერთიანებული აქცია ბუღა თურქის წინააღმდეგ. მათთან შეტაკება კი სწორედ ტაშირისა და ჯავახეთის გზებით იყო მოსალოდნელი, რაც მალე დაამტკიცა მოვლენათა განვითარებამ. მოკლე დროში „გუარამს დაეპყრა ჯავახეთი,თრიალეთი, ტაშირი და აბოცი... და ჰბრძოდა სარკინოზთა: ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა“ (მატიანე ქართლისა 1955: 257). ჩანს, იმჯერად დმანისი არაბთა ხელში დარჩენილა.

ამ პერიოდს უნდა ემთხვეოდეს დმანისში პირველი სიმაგრის აშენება, რომელიც შემდეგ დედაციხედ იქცა, ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთით აღმართულ კლდეზე, მთელ კონცხზე სტრატეგიულად გაბატონებულ ადგილას. შესაძლოა, მაშინვე იზრუნეს წყალსაზიდი გვირაბის შექმნაზე, მაშავერისაკენ რომ ჩაჰყვება კლდეს, ურომლისოდაც გაჭირდებოდა ციხის დაცვა ალყის პირობებში.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალთახედვით, დმანისში ციხის აგება ნიშნავდა მაშავერის ხეობის მთისა და ბარის რაიონების უფრო მჭიდრო დაკავშირებას ერთმანეთთან და მეზობელ, ტაშირ-ჯავახეთ-თრიალეთის ზეგნებთან. დმანისის გაქალაქებაში კი გადამწყვეტი მაინც ის იყო, რომ ეს ამბები დაემთხვა საქართველოში ფეოდალური

ახალქალაქების წარმოქმნის ხანას, როცა ერთმანეთის მიყოლებით წარმოიშვნენ დმანისი, თრიალეთისა და ჯავახეთის ახალქალაქები, ატენი, არტანი და არტანუჯი (ჭილაშვილი 1970: 84). ციხესიმაგრის დაარსება დმანისში,შემდეგ კი მისი გაქალაქება იყო ის მნიშვნელოვანი ტეხილი,რამაც მთელ ხეობას შეუცვალა სახე და შინაარსი. რელიგიური ცენტრი ხეობის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა, ამის გამო ძველი „ქვეშისხევი“, ბუნებრივია,„დმანისხევად“ შეიცვალა. იგივე განმეორდა ქვემო ქართლის წოფისხევში, სადაც ხოჟორნის ციხის აგებით IX-X სს-ში ხეობის ცენტრმა იქ გადაინაცვლა და „წოფისხევი“ „ხოჟორნისხევად“ გადაიქცა (დ. ბერძენიშვილი 1979: 46). დმანისის დაწინაურება მოასწავებდა ძველი სამშვილდის საერისთავოს ერთიანი ცენტრის მოშლას, ქვემო ქართლის ამ „დედაციხისათვის“ ახალი მეტოქის გაჩენას მეზობელ ხევში,რაც დმანისის არაბ ამირასა და სამშვილდის მფლობელთა შორის პოლიტიკურ წინააღმდეგობაში უნდა ასახულიყო.

დმანისის მოსახლეობა თავიდანვე ნარევი წარმომავლობისა იქნებოდა, არაბი იყო აქაური ამირაც, მაგრამ ჩანს, ამას ხელი არ შეუშლია ირგვლივ მცხოვრები ქართულ-ქრისტიანული ფეოდალური საზოგადოებისათვის ამ პირობებშიც განეგრძო თავისი სულიერი ცხოვრება. ამიტომაც იყო,რომ საბოლოოდ არ შეწყვეტილა ეკლესია-მონასტრების მშენებლობა ქვემო ქართლის სხვადასხვა პუნქტში,რაც კარგად გამოჩნდა სამშვილდესა და ბოლნისისხევშიც.

VIII-IX საუკუნეებითაა დათარიღებული ასომთავრული წარწერა ჯვრიან ქვაზე, რომელიც თავდაყირა ჩაუშენებიათ სოფ. კიანეთის მახლობლად მოგვიანებით აშენებულ ეკლესიაში. წარწერაში საუბარია ჯვრის აღმართვაზე შემწირველის სულის საოხად (შოშიაშვილი 1980: 255). იმავე სოფ. კიანეთის მეორე ეკლესია X ს-ში აუგია მიქაელ კალატოზს და თავისი წარწერა ეკლესიის შიგნით მოუთავსებია (მეფისაშვილი 1972). ასევე ძველი ნაეკლესიარია ჩართული X ს-ის სათხის ხუროთმოძღვრულ ძეგლში, რომელიც კაზრეთის ხეობაში მდებარეობს. აქაური წარწერები განლაგებულია აღმოსავლეთ, სამ

ხრეთ და დასავლეთ ფასადებზე. მათი გამომცემლები თვლიან,რომ აქ იხსენიებიან მუშები (თაყაიშვილი 1951) ან ხელოსნები (შოშიაშვილი 1980), რომელთაც უშრომიათ ეკლესიის მშენებლობაზე.

აღმოსავლეთი სარკმლის ზევით, საპირესა და მოსართავს შორის, მორკალულ ასომთავრულ წარწერაში იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე მიქელ ცოდვილი ბწტი“. ასევეა ამოკოდვილი წარწერა სამხრეთი ფასადის მარჯვენა სარკმელთან, სადაც იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ივანე ნიკოლოზის ძე და შვილნი მისნი, ამენ“. სამხრეთი ფასადის ლავგარდანქვეშა ქვაკუთხედზე, ზუსტად აღმოსავლეთის წარწერის ხელით ამოჭრილ წარწერაში ვკითხულობთ: „ქრისტე, შეიწყალე კვირიკე გალატოზი, ამენ“. ამ წარწერის ქვევით წერია: „ქრისტე

შეიწყალე იოვანე, გიორგი“. წარწერა არის მთავარი ნავის დასავლეთი შესასვლელის არქიტრავზედაც: „ქრისტე, შეიწყალე მონა შენი თავძაძა, ე შვილნი მისნი, ამენ“.

როგორც ვხედავთ, ამ ხუთ წარწერაში მხოლოდ კვირიკე გალატოზის პიროვნებაა გარკვეული. მაგრამ მაინც საეჭვოა, ყველა ერთნაირად მშენებელ-ხელოსნებად მივიჩნიოთ: განსხვავებულია წარწერებისათვის შერჩეული საპატიო ადგილები. კვირიკე თავის წარწერას ათავსებს ზედა ქვაკუთხედზე, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე გამომავალ მხარეს აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება ამკობს. გალატოზ კვირიკეს წარწერის ქვევით დასახელებული იოანე და გიორგი, მართლაც, ხელოსნები უნდა იყვნენ. ბალავრის ქვაზე, აღმოსავლეთსა და სამხრეთ სარკმლებზე ჩუქურთმებს შორის მოთავსებულ წარწერებში მოხსენიებული პირები კი, უნდა ვიფიქროთ, ქტიტორები არიან, ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ამიტომაცაა, რომ თავძაძა ხუთი შვილით იხსენიება, ივანე – მამითა და შვილებით, ხოლო მიქელ ცოდვილი ზედწოდებით – ბაწატი, ან ბუწატი. ასეთივე ზედწოდება უნდა იყოს კიანეთის ეკლესიის ერთ წარწერაში: „ქრისტე, შეიწყალე მიქელ ბხტ“ (ლ. მუსხელიშვილი 1941: 31). საკუთარ სახელებზე დართული, გაუგებარი ზედწოდებანი სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებშიცაა; მაგალითად, ჭოლკვესი ახლავს იოვანე მაწყვერელ ეპისკოპოსს პატარა სმადის ეკლესიის წარწერაში, ასევეა იოვანე ლიშაი–ხონის წარწერაში, მიქაელ ქორდაი – ქორეთის წარწერაში და სხვ. (სილოგავა 1980: 121,137). ასე რომ, სათხის ეკლესიის ეს წარწერა გამონაკლისი არაა. დასავლეთი ბალავრის ქვაზე მოხსენიებული თავძაძა ისეთივე წარმოების ქართული სახელი უნდა იყოს, როგორიცაა თავბერი, თავდიდი, თავზარა და სხვები, რომელთაგან წარმოებული გვარები ახლაც გვხვდება. რაც შეეხება სამხრეთ სარკმელთან დასახელებულ ივანე ნიკოლოზის ძეს, ესეც ადგილობრივი ფეოდალი უნდა იყოს. მეზობლად მყოფ ზურტაკეტში XI ს-ის ეკლესიათა წარწერებში ეს ორი სახელი სამ თაობაში გამეორებული ჩანს (დ. ბერძენიშვილი 1982: 6). შესაძლოა, სათხის ეკლესიის ივანე ნიკოლოზის ძე ზურტაკეტში მოხსენიებულ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

წარწერები ახლავს მაშავერის მარჯვენა სანაპიროზე მყოფ მუშევანის ეკლესიას, რომელიც X-XI სს-ის მიჯნით თარიღდება. სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე შერჩენილი ასომთავრული წარწერის ნაშთი ეკლესიის მშენებლობასა და მისთვის რაღაცის შეწირვაზე მოგვითხრობს. აქვე იქნებოდა მოხსენიებული მისი აღმშენებელი, რომლის სახელიც აღარ შემორჩენილა. იმავე ხელითაა ნაწერი დასავლეთ სარკმელთან მოთავსებული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე კრავაჲ დედოფალი“. IX და X საუკუნეებში ორი კრავაი დედოფალია ცნობილი: სამცხის აზნაურის მირიანის მეუღლე (გიორგი

მერჩულე) და ვალეს ტაძრის X ს-ის წარწერაში მოხსენიებული. მუშევანის ეკლესიის წარწერის კრავაი ახალი, აქამდე უცნობი დედოფალი უნდა იყოს (საყვარელიძე 1960: 40).

ასევე ეკლესიის აშენებასა და მისთვის გაკეთებულ შეწირულობაზეა საუბარი ნასოფლარ მიჯის წარწერის ფრაგმენტში, რომე-ლიც ჩაუყოლებიათ XIX ს-ში აგებულ ყალამშიანის ეკლესიაში (სურ. 3).

სავარაუდო აღდგენით, იგი შეიძლება ასე წავიკითხოთ: „(სახელითა ღმრთისაჲთა აღეშენა) ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჴელითა... (სულისა ჩემისა სალოცველა)დ შევწირე ეკლე(სიასა)“... პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა IX-X ს-ით შეიძლება დათარიღდეს.

X ს-ის 80-იან წლებში ტაშირის მმართველი კვირიკე ბაგრატუნი ქვემო ქართლის სამხრეთ სანაპიროზე ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს



სურ. 3

აყალიბებს, რომელსაც კვირიკიანთა სამეფოსაც უწოდებდნენ. კვირი-კიანები მოყვრობით იყვნენ დაკავშირებულნი ქართლისა და კახეთის ბაგრატიონებთან, ქართულ და სომხურ ფეოდალურ სახლებთან. ამ სამეფოს ყველაზე ძლიერმა წარმომადგენელმა – დავითმა, სტეფანოს ტარონელის ცნობით, 989 წ. აიღო დმანისი და დაამარცხა თბილისის ამირა (დ. ბერძენიშვილი 1979: 78). სწორედ ამის შემდეგ უნდა აეშენებინა ვინმე სიმონ მღვდელს დარბაზული ეკლესია მაშავერის ზემო წელზე, მის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელ სოფელ შახმარლოში, რომლის ძველი სახელი, ვახუშტის რუკის მიხედვით, საკარისი უნდა იყოს. ეკლესიის ბალავრის ქვის წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესია აშენებულა დავით მეფის ცოდვათა შესანდობელად (დ. ბერძენიშვილი 1982: 10). აქ ისეთივე შემთხვევაა, როგორიც დიღმისხე-ვის სოფ. მაჩხაანში, სადაც X ს-ის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებუ-ლია ქართლის არაბი ამირა ჰომად კიტრის ძე, რომლის ცოდვების შენდობას უფალს შესთხოვენ (შოშიაშვილი 1980: 225). როგორც ჩანს, იმდროინდელ ქვემო ქართლში პოლიტიკური სიტუაცია მერყევი იყო. დმანისს არაბი ამირა განაგებდა თუ ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანი მეფე, ქვეყანა წინანდებურად ქართული რჩებოდა, ქართული მიწის მფლობელობითა და ადგილობრივი ხელისუფლებით, რაც ასახულია აქაურ ეკლესიათა წარწერებში.

ლუკუნის მთის ჩრდილოეთით, გეტისხევის სათავესთან მდებარე სოფ. ორომაშენის ეკლესიას (სურ. 4) დასავლეთ სარკმელთან შერ-




სურ. 4. ორომაშენის საყდრის ჭრილი, გეგმა და ფასადები. არქიტ. ამ. ბახტაძე.

ჩენილი აქვს ასომთავრული წარწერა (სურ. 5). იგი ასე იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე ხიჭაჭ შარასძე“ (ან შარეს ძე). სახელის ამ ფორმას გვკარნახობს 1765-1776 წწ. მოხსენიებული გვარი ხიჭაჭაძე (საურმაგ კაკაბაძე 1967: 365). ვინმე შარას ძე გვხვდება, აგრეთვე, თრიალეთის სოფ. ბურნაშეთის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერაშიც. იქ იგი იხსენიება მშობლებთან და ძმებთან ერთად (თაყაიშვილი 1913: 40). არ არის გამორიცხული, რომ ორ მეზობელ მხარეში აქაც ერთი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ.

ორომაშენის მეორე წარწერის ნაშთი მოსახლის ყორეში აღმოჩნდა. ზემოხსენებული წარწერის მსგავსად, ესეც ეკლესიის სარკმლის ასეთივე ორნამენტიან ქვაზეა ამოჭრილი და სამხრეთი კედლიდან უნდა იყოს. მას ასეთი სახე აქვს (სურ. 6), სადაც შეიძლება ამოვიკითხოთ: „ადიდენ ღმერთმან ხიჭაჭ ერისთავთ-ერისთავი. აღაშენა წმიდა ეკლესია სადიდებლად და სალოცველად მ...“ ეს ეკლესია XI ს-ით თარიღდება (ციციშვილი 1951ა: 319).

როგორც ვხედავთ, ეკლესიის მაშენებელი აქ ერისთავთ-ერისთავადაა დასახელებული, უნდა ვიფიქროთ, სხვა წყაროებით უცნობი ეს პირი ლუკუნის მთის სოფლების ერისთავი იქნებოდა, თუ სხვისიც არა. ამას გვაფიქრებინებს XI საუკუნეშივე მოხსენიებული ლოკის ერისთავი, ე. ი. დმანისხევის მეორე ასეთივე შემადგენელი ერთეულისა და ციხის გამგებელი, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ გვიდასტურებს (დ. ბერძენიშვილი 1964: 29).

ორომაშენი, სადაც ზემოხსენებული ეკლესია დგას, ამ სოფლის ძველი სახელი არ არის. იგი აქ გადმოუტანიათ ზურტაკეტის სოფ. ორომაშენიდან გადმოსახლებულებს (დ. ბერძენიშვილი 1982: 8). ლუკუნის მთის აღწერისას, წითელი ეკლესიის შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „ჯანდირს არს მონასტერი ეგრეთივე და აწ ცარიელი (ვახუშტი 1941: 40). „ეგრეთივეო“ რომ წერს, ავტორი წითელი ქვით ნაგებს გულისხმობს, რაც ორომაშენის ეკლესიასაც ახასიათებს. გარდა ამისა, ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში აღნიშნული ჯანდიდი ანუ ჯანდირი თავისი მდებარეობით ემთხვევა დღევანდელ



სურ. 5



სურ. 6

ორომაშენს. ამიტომ, გვაქვს საფუძველი, ხიჭაჭ შარას ძის აშენებული ეკლესია ჯანდიდის სამლოცველოდ ჩავთვალოთ.

ზემოთ უკვე ნახსენებ მიჯის ეკლესიაზე კიდევ ერთი ასომთავრული წარწერა ყოფილა, რომლის ორი ქვა ასევე ყალამშიანის ეკლესიაში ჩაუყოლებიათ. მას ასეთი სახე აქვს (სურ. 7 და 8). წარწერაში ირჩევა: „სახელითა ღმრთისაჲთა მე ივანე ლომსიანის ძემან დავწერე მიჯაჲსა ეკლესიასა მ ვირე მიჯა ჰლხს“. მეორე ფილაზე: „...ნ ადიდონ ღმერთმ(ან). (და)წერილი გავ(უკუეთე)...იმცა წმიდაჲსა ყ(ოვლისა საოხა)დ ვინცა (მოუშალოს კრულია) ღმრთისაგან... (ნაწ) ილიმცა“... აქედან ჩანს,რომ ვინმე ივანე ლომსიანის ძემ უკვე აშენებულ მიჯის ეკლესიას „დაუწერა“, ე. ი. შესწირა რაღაც. მეორე ფილის წარწერა კი იმავე დაწერილის დამამტკიცებელი და კრულობითი ფორმულის შემცველია. პალეოგრაფიული ნიშნებით, ეს წარწერა XI-XII სს-ისა უნდა იყოს. ივანე ლომსიანისძე სხვა წყაროებით უცნობი, ადგილობრივი ფეოდალია. იგი შესაძლოა იმ აზნაურთა ერთ-ერთი სახლიდანაა, „მატიანე ქართლისა“ რომ იხსენიებს „ლომსიანნის“ სახელით XI ს-ში. ისინი და „გურიელნი აზნაურნი“ ბაგრატ IV-ს ეხმარებოდნენ ხუფათის აღებაში (მატიანე ქართლისა 1955: 299).

დმანისხევის ლომსიანიძისეულ საბატონოში, მიჯასა და ყალამშიანთან ერთად, იქნებოდა კანიონის მეზობელი სოფლებიც მდინარის ორსავე ნაპირზე, რომლებიც ხიდით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ძველი ნახიდურის ბურჯები ამჟამად ახალი ხიდის წყობაშია მოქცეული. მიჯის სიახლოვეს ბუნებრივ გამოქვაბულთა რამდენიმე სართულია. ისინი ადამიანის მიერ მათი გამოყენების სხვადასხვა პერიოდს წარმოაჩენენ: არის კედლები მშრალი წყობისა და არის კირხსნარზე ნაგებიც. ზოგიერთ გამოქვაბულს სახელებიც აქვს – დიდმაღარო, კიდობნის მაღარო. ადგილობრივთა გადმოცემით, კიდობნის მაღაროში დიდი მიჯიდან გვირაბი ჩადის, რომელიც ახლა ამოვსებულია. აქვეა „საკირის ჭალა“; იქ მაღალხარისხოვანი კირი ყოფილა და ყველა ძველი ნაგებობა იმითაა აშენებული. იგივე კირი უხმარიათ ახალი ხიდის მშენებლობისას. ასეთი საკირე დმანისის სიახლოვეს, ცხადია, დიდ უპირატესობას უქმნიდა აქაური ქალაქისა თუ სოფლების მშენებლებს. ასეთი სიძველის წარწერაში მოხსენიებული სოფლის სახელი მიჯა, შესაძლოა, სპარსულიდან შემოსულ „მიჯნას“ უკავშირდებოდა – საზღვარს ან სასაზღვროდ ჩაყრილ ქვებს (შდრ.: межа). მართლაც, აქ კანიონიდან ზეგანზე ამოდიოდა გზა და ალბათ აქ თავდებოდა დმანისის „ქალაქის პირის“ სოფლები.

დმანისხევის ქართული ფეოდალური საზოგადოება, ბუნებრივია, საქართველოს მეფის საყრდენი იყო უცხოელებთან ბრძოლაში. ეს კარგად გამოჩნდა 1065 წ.,როდესაც საქართველოზე გამოლაშქრებულმა ალფ-არსლანმა ცოლად მოითხოვა ბაგრატ IV-ის დისწული,რომელიც ტაშირის მეფე კვირიკეს ძმისწულიც იყო. კვირიკესაგან უარის მიღების

გამო, ბაგრატმა მას მოციქულად მიუგზავნა ერისთავი ვარაზბაკურ გამრეკელი. მან „იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშჳლდეს შემომავალი სომეხთა მეფე კჳრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა“. ბაგრატ IV-მ მათ სამშვილდე წაართვა და „ეგრეთვე მონებდეს სომეხნი“, წერს „მატიანე ქართლისა“ (მატიანე ქართლისა 1955: 307). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარაზბაკურ გამრეკელი თორელია, რომელსაც დმანისხევში ფეოდალური მფლობელობა აქვს, ან ბაგრატ მეფის აქაური ხელისუფალია. ამიტომ, სწორედ მისთვის



სურ. 7



სურ. 8

უნდა დაევალებინათ ეს რთული საქმე (საურმაგ კაკაბაძე 1967: 24). ეგების, მაშინ ჩაეყარა საფუძველი თორელთა მფლობელობას ქვეშის ხევში, რაც მოგვიანებით ამ საგვარეულოს განშტოებას სახელად შერჩა „ქვეშელთა“ სახით.

ასეთი იყო გარემო, რომელშიც დმანისის საქალაქო ცხოვრებამ თავისი აყვავების მწვერვალს მიაღწია. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ის განსაკუთრებით ინტენსიური ცხოვრებით XI-XIII სს-ში ცხოვრობს. აღმოჩენილია აბანო, მეჩეთი, მედრესე, მინარეთი, კერამიკული სახელოსნო XII ს-სა, ზეთსახდელი XIII-XIV სს-სა. არის ნიშნები ფაიანსის ჭურჭლის, მინისა და ძვლის ნივთების ადგილობრივ

წარმოებისა (ვ. ჯაფარიძე 1966: 36). დმანისის ადგილობრივი ნაწარმი სხვა ქალაქებშიც გადიოდა; მაგ., არაბი ავტორის იაკუთის ცნობით, დმანისი ქალაქია თბილისის მხარეში, საიდანაც გააქვთ აბრეშუმი (იაკუთი 1964: 57).

უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის მოწმობაა გათხრების დროს აღმოჩენილი ჩინური კერამიკის ძვირფასი სახეობა – სელადინი, სპარსული ფაიანსი. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს ამ ქალაქის კავშირებს როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთთან, ისე სამხრეთის ახლო თუ შორეულ მეზობლებთან. XI-XIII სს-ის ქართულ მონეტებთან ერთად აქ აღმოჩნდა უცხოური მონეტების დიდი რაოდენობა, მათ შორის ჰენრიხ ფლანდრიელისა (1205-1206 წ.); რაც მთავარია, XIII ს-ში აქ მოუჭრიათ ადგილობრივი მონეტებიც, რომელთა არაბულ ზედწერილებში აღნიშნულია მათი მოჭრის ადგილი – დმანისი. ვარაუდობენ, რომ აქვე უნდა მოჭრილიყო მონეტები ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებით და სომხური წარწერით (მეტრეველი, ბერძნიშვილი, მესხია 1979: 109; ჯალაღანია, ჯაფარიძე 1987: 17, 31). დმანისის გაქალაქების დროიდანვე უნდა შექმნილიყო ქალაქის მესვეურთათვის დიდად შემოსავლიანი საბაჟო, რომელიც XVI ს-ის საბუთშია დამოწმებული.

ეკონომიკურად ძლიერი ქალაქი XI ს-დან უკვე პოლიტიკურადაც დიდ როლს თამაშობს ამიერკავკასიაში. აქაური ამირები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. 1060 წელს, როდესაც ბაგრატ IV-მ თბილისი აიღო, მან იგი თბილისელი ჯაფარიდი ამირების დმანისის შტოს შთამომავალს – სითილარაბს გადასცა, რის სანაცვლოდაც მისგან 44000 დრაჰკანი მიიღო (მესხია 1982: 244). 1074 წ. მალიქ-შაჰის სარანგს დმანისის ამირა ეხმარებოდა გიორგი II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფარცხისთან ომში მეფემ მტერი დაამარცხა, მაგრამ არ ჩანს, რა ბედი ეწია დმანისის ამირას (მატიანე ქართლისა 1955: 317).

დავით აღმაშენებლის მიერ შევიწროებულმა თურქმანებმა, თბილისის, დმანისის და განძის ვაჭრებმა, დიდგორის ომამდე სულთანს მიმართეს თხოვნით და მეფის წინააღმდეგ საომრად მოიწვიეს (დავითის ისტორიკოსი 1955: 340). ჩანს, თურქი სელჩუკები, მომთაბარე თურქმანები მათთვის უფრო მისაღები ყოფილან, ვიდრე მეფე. თურქმანებს, ბუნებრივია, ამ ქალაქებთან ვაჭრობა ზამთრობით ჰქონდათ: ცხვარი, ხარ-ძროხა, ცხენი, მატყლი, ტყავი – აი, თურქმანი მეჯოგეების სავაჭრო საქონელი. ამასთან, როგორც ჩანს, დავითის ლაშქრობებმა გზები სახიფათო გახადა: მან დაიჭირა ლორე, ე. ი. განძა-ანისის, თბილისანისის, თბილის-თავრიზის გზების კვანძი, ხოლო სომხითში თბილის-დმანისის, განძა-დმანისის გზები. ამით მან იქაური ვაჭრები, რა თქმა უნდა, შეავიწროვა. ვაჭრობა და ვაჭრობის ინტერესები სხვაგანაც გამხდა-რა ომის მიზეზი, ჩვენთან იგი დავითის საერთო შეტევას

დაემთხვა (ნ. ბერძენიშვილი 1979: 94). ცხადია, დმანისელ ვაჭართა ასეთი აქტივობა და პოლიტიკური ნაბიჯი მაშინდელ ამიერკავკასიაში მათ დიდ წონასა და გავლენაზე მეტყველებს. ეს არ იყო ამ ქალაქებს შორის მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა, არამედ მათ შორის პოლიტიკურ კავშირსაც გულისხმობდა, რაც მაშინდელ პერიოდში საქართველოს მეფისაგან დმანისის დამოუკიდებლობაზე მეტყველებს (მესხია 1986: 117). 1123 წ. მარტში დავითმა დმანისი აიღო და ამიერიდან იგი სამეფო ქალაქი გახდა. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ მაჰმადიანურმა ამირატებმა საქართველოს შემოუტიეს, თუმცა კი ამას დიდი პოლიტიკური შედეგები არ მოჰყოლია; მაგრამ ქართული და სომხური წყაროების ცნობით, 1128 წ. დემეტრე მეფეს ისევ აუღია ხუნანი და დმანისი, ხოლო 1130 წ. გაგის ველზე დაუმარცხებია შაჰარმენი (ცაგარეიშვილი, მარგარიანი 1985: 141). იმავე წყაროთა ჩვენებით, დემეტრე I-ს დმანისის ციხეში დაუმწყვდევია მის წინააღმდეგ შეთქმული ძმა ვახტანგი და მხედართმთავარი ივანე აბულეთის ძე, რომელიც 1145 წ. სიკვდილით დაუსჯიათ (დავლიანიძე 1974: 98).

სომხეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქის – ანისისათვის საქართველოს მეფეთა საუკუნოვანმა ბრძოლებმა დმანისი-ლორე-ანისის მაგისტრალი კიდევ უფრო გააცოცხლა. არაბი ისტორიკოსის ალფარიკის ცნობით, 1175 წ. ათაბაგმა ელდიგუზმა და სხვა მაჰმადიანმა მმართველებმა დიდი ჯარით გაილაშქრეს საქართველოზე. თრიალეთ-ახალქალაქთან და ლორესთან ერთად მაშინ მათ აუოხრებიათ დმანისი, თუმცა მალე უკან გაბრუნებულან (მესხია 1979: 282). ეს ლაშქრობა სამხრეთიდან მომავალი ლორე-დმანისის გზით მომხდარა და იქ სანადიროდ მყოფი მეფე გიორგი III დატყვევებას ძლივს გადაურჩა (ისტორიანი და აზმანი 1959: 12).

სამეფო ქალაქი დმანისი ცენტრალური ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობის ობიექტი გახდა. ლაშა გიორგის დროს დმანისის საეპისკოპოსო ტაძარს, ეპისკოპოსის თევდოსის ინიციატივით, დასავლეთიდან მოაშენეს დიდი და ლამაზი კარიბჭე. მისი ერთი წარწერა ასეთი შინაარსისაა: „ქ .სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, დაამყარონ ღმერთმან მეფეთა მეფობაჲ გიორგისი, რომელთა მიერ ღირს ვიქმენ მე, მიწა მათი, ეპისკოპოსი თევდოსი მამა კალნაპეტის ძე, აღშენებად კარისბჭისა ამის, სადიდებლად ღმრთივ დაცულისა მეფეთა მეფობისა მათისა და მოსაჴსენებელად ცოდვილისა სულისა ჩემისა, ბიძისა ჩემისა ანტონის, მშობელთა და ნათესავთა ჩემთათვის“... მეორე წარწერაც კარიბჭის აგების ხანისაა: „ქ. ამისა შენებასა შინა შემოსწირა აფრიდონ ლ (30) დრაჰკანი, დღე გაუკვეთა აღაპად ღმრთისმშობლის შობაჲ“ (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 386). საინტერესოა, რომ თევდოსი ეპისკოპოსის მამის სახელი უნდა მეორდებოდეს ტაშირში, ძელი ჭეშმარიტის, ანუ ჰნევანქის ქართული მონასტრის ეპიტაფიებში. XIII ს-ის ასომთავრულ

წარწერებში იქ იხსენიება იოსებ მამა კალონაპეტის ძე და კვირილე მამა კალონაპეტის ძე მურადიანი 1977: 140). არაა გამორიცხული, ისინი თევდოსი დმანელი ეპისკოპოსის ძმები ყოფილიყვნენ. რაც შეეხება აფრიდონს, რომელმაც კარიბჭის მშენებლობისას 30 დრაჰკანი შესწირა, ის ადგილობრივი ფეოდალი უნდა იყოს.

დმანისის კარიბჭის მესამე წარწერა ოდნავ მოგვიანოა და დავით ულუს მეფობით თარიღდება: „ქ. სახელითა მღრთისაითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ესე დაწერილი და ნიშანი მე, დმანისისა მამამთავარმან... ეკლესიჲსა კარისბჭესა დაუდე. ჩემსა შემოსულასა შინა... სამართალი იქნებოდა: უმეყვსოთა უბრალოთა ქალ-ყრმათა, მამადედათა ქორწინებად არა მიუშუებდეს, ვირე ოქროსა არ აიღებდეს. ვითა დადებულ სამართალ იყო, ეგრე ჩემსა დმანჲსისა მამამთავრობას შინა... თოის ამიღია დავითჲს დღეგრძელობჲსათჳს და ვინცა შემდგომად ჩემსა აღჴოცოს, წყევასამცა ქუეშე არს, ვითა ნესტორ და ორიგჲნე, ამენ“. ამ დაზიანებული წარწერიდან ირკვევა, რომ დმანელი მამამთავარი (მისი სახელი აღარ ჩანს) აუქმებდა აქაურ ეკლესიაში შემოღებულ უმართებულო წესს – კანონიერი ქორწინებისათვის ოქროს გამოღებას რომ თხოულობდნენ. 1218 წ. ანისში ასეთივე ღონისძიება გაატარა საქართველოს კათალიკოსმა ეპიფანემ, რომელმაც იქაურ მართლმადიდებელ მოსახლეობას ანელი ხუცესებისაგან გაზრდილი საეკლესიო მისაცემელი შეუმცირა ჯვრისწერის, ნათლობისა და წესის აგების შემთხვევებში (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 389).

XIII ს-ის დმანისის ისტორიისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქვაჯვრის წარწერა საყდრიქედის ეკლესიიდან, რომელიც ფინეზაურის მარჯვენა მხარესაა, დმანისიდან დაახლ. 3 კმ-ზე (სურ. 9).

ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა, ღმრთისმშობლისაჲთა, ადიდენ დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოჳძლეველი მეფეთ მეფობაჲ გიორგისი. მე, მიწამან მეფობისა მათისამან, იობ მიხრიკის ძემან, დმანისს ჩემსა ამირობასა შინა აღვჰმართე ჯუარი ესე სახელსა ზედა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა, სალოცველად მეფობისა მათისა, საჴსენებლად სულისა ჩემისა“ და ა.შ. როგორც ვხედავთ, იობ მიხრიკის ძე მეფის მიერ დანიშნული დმანისის ქართველი ამირაა, რომელსაც ადმინისტრაციულად ხელი მიუწვდებოდა „ქალაქის პირის სოფლებზე“. ამის აღმნიშვნელია მის მიერ დმანისიდან უკანგორს მიმავალ გზაზე, ეკლესიაში ჯვრის აღმართვა. დმანისში მისი მოვალეობა იქნებოდა ეკონომიკური ცხოვრების ზედამხედველობა, წესიერების დაცვა, ქალაქის გაშენება-თავდაცვასა და მის მეურნეობაზე ზრუნვა (დ. ბერძენიშვილი 1964ა: 75).

ჯვრის მონასტრის აღაპებში XII-XIII სს-ის ხელით ჩაწერილია აღაპი ელმიხრიკის ძისა (მეტრეველი 1962: 156). ასევე 1189-1200 წწ. შიომღვიმის კრებულის დაწერილში იხსენიება მემღვიმე

აბრაამ მიხრიკის ძე (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 86). ზემოხსენებულ პირთა დაკავშირება დმანისის ამირა იობ მიხრიკის ძესთან, შეიძლება, არ იყოს გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ მათი მოღვაწეობის თარიღებს და ამ იშვიათ სახელსაც – მიხრიკ.

საყდრიქედის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში აღმოჩნდა მეორე ქვაც ასომთავრული წარწერით, რომელშიც უფალს შენდობას შესთხოვენ ინაის, გიორგის, იაკობის, ბეშანგის და მათთა მსახურთა სულთათვის, აგრეთვე მათთა მიცვალებულთა – ხუდადის ძე გიორგის და მისი მეუღლის მარიამისათვის. ბოლოს იხსენიებიან ტიკნაც ტიკინი ვარდერესი და ხუფარაც ტიკინი. სხვა წყაროებით უცნობი ეს პირები არც წარწერაში ამჟღავნებენ თავის სოციალურ მდგომარეობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი ფეოდალები არიან, ეკლესიის მშენებლობის მონაწილენი. ბოლოში მოხსენიებული ორი ქალბატონი სომეხი ჩანს წარმოშობით. „ვარდერესი“ სომხური სახელია და ქართულად ნიშნავს „ვარდისახას“ (შდრ.: ქართულში „ვარდისახარი“). მათი წოდება სომხური „ტიკინ“ ქართულად დედოფალს, ქალბატონს აღნიშნავს და მაღალი წრისადმი მათ კუთვნილებაზე მიუთითებს (ვ. ჯაფარიძე 1974: 162). სავარაუდოა, რომ ქართულ გარემოში მათ ქალკედონიტობა მიიღეს და მონაწილეობენ ქართული ეკლესიის მშენებლობაში – ასეთი შემთხვევები კი ხშირი იყო მაშინდელ ქვემო ქართლში (დ. ბერძენიშვილი 1979: 106).

საყდრიქედთან უახლოესი ნასოფლარია ყაფარასოფელი, რომელსაც საკუთარი ეკლესია ჰქონია კვირაცხოვლის სახელობისა. გორაკზე შერჩენილია მისი ბუდე, ირგვლივ სასაფლაოთი. ყაფარასოფელი ახალი სახელი ჩანს, რადგან იგი არაა ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიებში. ასევე უცნობია ის დოკუმენტებში. ამ ნასოფლარს და პატარა დმანისს მცირე ხევი ჩამოუდის სამხრეთ-



სურ. 9

აღმოსავლეთიდან, რომელიც ფინეზაურს მიერთვის მარჯვნიდან. გორუნჯუკსა და პატარა დმანისში მას „ჩინჩხვარასხევს“ და „ყაფარასოფლისხევს“ უწოდებენ,ჩინჩხურისხევი იხსენიება 1738 წ. ერთ საბუთშიც (თაყაიშვილი 1909: 35). ჩინჩხური, ცნობილი საბუთებისა და ვახუშტის მიხედვით, უნდა იყოს ახლანდელი ყაფარასოფლის ძველი სახელწოდება. გვიან-დელ საბუთებში მოხსენიებული ეს სოფელი თავისი ეკლესიით „ძველთაგანვე“ დმანისის ღმრთისმშობლის საკუთრებაა. მასთან ერთად უნდა ვიგულისხმოთ საყდრიქედის ეკლესიაც, რომელშიც თამარისა და დავითის სახელით 1200 წ. მოჭრილი მონეტების განძი აღმოჩნდა, შეწირული ეკლესიისათვის ყაფარასოფლის ნანგრევებში კი დმანური, მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები და ლურჯი მინის სამაჯურის ნატეხები იპოვება.

ზემოხსენებული ოსმალური თბილისის დავთრის მიხედვით, 1727-1728 წწ. ჩინჩხურში ყოფილა 38 კომლი. მოსახლეობა ქართული, სომხური და თურქული სახელების მქონე იყო – თორნიკე, ბაღდასარ, შაჰნაზარ, პაპო, გოდერძი, რამაზ, ხაჩიკ, ამამჯან, ბაღო, რევაზ, ასლამაზ, ბაადურ, ბასილ, ვართან, სულხან, თეიმურაზ, დემურჩი, ბიჭუა, სეხნია, ხოსია, ბერო, არუთინ და სხვ. ისინი იხდიდნენ გადასახადებს ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ერბოზე, ფუტკარზე, ცხვარზე, ღორსა და თივაზე, სულ –19885 ახჩას (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 161). სიტყვა ჩინჩხუარი შეშისა და ფიჩხის წვრილ ნაპობს აღნიშნავს, ხოლო ჩინჩხორი და ჩინჩხი იმერულსა და მთიულურში – მცენარეს (ჩუბინაშვილი/ღლონტი 1961; ღლონტი 1975); ე. ი. სოფლის სახელი იქაური ტყის მახასიათებელი იქნებოდა.

ქალაქ დმანისის აყვავების პერიოდი ემთხვევა საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერების ხანას. მძლავრი, მშვიდობიანი აღმშენებლობა შეიმჩნევა მთლიანად დმანისხევშიაც. ამ დროსაა ინტენსიურად ათვისებული ქალაქ დმანისის გასწვრივ, მაშავერის მარცხენა კალთაზე მყოფი გამოქვაბულთა კომპლექსი. აქ 4 იარუსად განლაგებული 70 სათავსია, რომელთა უმრავლესობა ქვითკირის კედლებითაა აღდგენილი. გამოქვაბულებზე მიშენებულია ეკლესია, სატრაპეზო, მოწყობილია სენაკები, სამეურნეო ნაგებობანი, კერამიკის გამოსაწვავი ქურა. სათავდაცვო ნაგებობანი აქ არაა, რაც აიხსნება ძლიერი ციხე-ქალაქის სიახლოვით. ანაკრეფ მასალაში გვხვდება მრავალფერად მოხატული და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, რაც XI-XIV სს. თარიღდება (ბახტაძე 1991: 100, სურ. 46, 46).

მდ. ფინეზაურის ზემო წელზე, მის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. საკირის სიახლოვეს, ქედზე კიდევ ერთი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებია შემორჩენილი, რომელსაც ხატის ტყის პატარა კორომი ფარავს. ეკლესიის ქვის წითელის ფერის გამო მას „კიზილ ქილისას“ – „წითელ ეკლესიას“ უწოდებენ. შემორჩენილია გალავნის კედლები და მის შიგნით რამდენიმე ნაგებობის ნაშთი, აქვეა ამოშენებული

წყარო. ეკლესია მცირე დარბაზული ნაგებობაა, რომელსაც ხშირი გადაკეთების კვალი ეტყობა, კედლებში მრავლად ჩაუყოლებიათ ადრეული ხანის ქვაჯვრები და მათი ბაზისები ჯვრების, წმინდანების, ფრინველებისა და ცხოველების რელიეფური გამოსახულებებით. ისინი ეკლესიის ანაზომებთან ერთად ვ. ჯაფარიძემ გამოაქვეყნა. მას, ისევე როგორც ლ. მუსხელიშვილს, რომელსაც „გავლით, საჩქაროდ დაუთვალიერებია“ ეკლესია, შეუმჩნეველი დარჩენია წარწერიანი ქვის ნატეხი (ვ. ჯაფარიძე 1982: 30; ლ. მუსხელიშვილი 1941: 53). იგი ეკლესიის გადაკეთების დროს ჩაუყოლებიათ სამხრეთი შესასვლელის ამოქოლილ ქვედა წყობაში შიგნიდან. სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ნაშთი ამოღარული ასოებითაა შესრულებული, რომლებიც ხშირად ერთმანეთშია ჩაწერილი. ზოგიერთი ასო და ქარაგმათა სწორი ხაზები კიდურწერტილოვანია, განკვეთილობის ნიშნად ორწერტილია ნახმარი (სურ. 10). ნაკლული ადგილების შევსებით წარწერა ასე შეიძლება წავიკითხოთ:

“ქ. უფალო ღმერთო, ადიდე შენ (მიერ...მაშენებელი ამის) საყდრისა. (ქრისტე შეიწყალე) ცოდვილისა... სული, ამენ“. სხვა ქვაზე, უფრო



სურ. 10

წვრილი, განსხვავებული, ხელით ამოჭრილია ასონიშნები: „განვ“..., სადაც ნუსხურია „ვ“. ეკლესია შემდგომში შელესილი და მოხატულიც ყოფილა, შელესვა ეტყობა გარედანაც.

ამრიგად, აქაური სამლოცველო ადრეული ხანიდან არსებულა და იგი XI-XII სს-ში აღუდგენიათ. იმდროინდელი უნდა იყოს წარწერები, რომლებიც მოგვიანო ხანის გადაკეთებისას ამოშენებული კარის შიდა წყობაში მოუქცევიათ. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ აქ მონასტერს არ იხსენიებს, თავის რუკაზე კი დაახლ. ამ ადგილებში აღნიშნული აქვს სოფლები: აღუმბრუ, გელდიგილანი, სოფელი, ღამიში და კოტრაწაგეღცი, რაც ქართული გატეხილი საყდრის სომხური შესატყვისია. ვახუშტის შემდეგდროინდელია საკირის სახელი ყაშხათალა. 1735 წ. საყაფლანო სოფლებში ის უკვე გვხვდება (ნ. ბერძენიშვილი 1955: 37).

XII-XIII სს-ში უნდა იყოს აგებული სოფ. ჰამამლუსთან მდებარე

ეკლესიაც, რომლის წარწერებში თამარ მეფე იხსენიება. ეკლესიის კედლებში ჩაყოლებული ადრეფეოდალური ქვაჯვრებისა და მათი ბაზისების ფრაგმენტები, ყაშხათალის მსგავსად, აქაც ადრეული ხანის სამლოცველოს მეორედ აღშენებაზე უნდა მიგვითითებდეს. პირველი წარწერა ასე იკითხება: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე თამარ, ერისთავი კახაძ“. ცოტა ქვევით იმავე ხელით ამოჭრილია: „ქრისტე, შეიწყალენ ბეღელას ძე ოქროპირი და კრავაი, ძენი მათნი, ამისნი მაშენებელნი“. წარწერა კიდურწერტილოვანია და ლამაზად გამოყვანილი.

გამოდის, რომ თამარის მეფობაში კახა ერისთავი, ალბათ, თორელი, განაგებდა სამეფოდ ქცეულ დმანისხევს. თორელები შემდგომში, ისევე როგორც სხვაგან, დმანისხევის სამეფო დომენში გარკვეულ პუნქტებს თავის სამამულო მფლობელობაში აქცევდნენ. ამის მაგალითია ქვეში, რომელიც თამარის მეფობაში გადაეცა მათ სამემკვიდროდ „ციხითა, ბაჟითა, და მისითა მიმდგომითა“. ქვეშის ციხე და ხევი მათ დიდხანს შეინარჩუნეს, რისთვისაც თორელთა ამ შტოს ქვეშელები ეწოდა. ბეღელას ძე ოქროპირი, მეუღლე კრავაისთან და შვილებთან ერთად, ამ ეკლესიის მაშენებელი ადგილობრივი ფეოდალები უნდა იყვნენ (საურმაგ კაკაბაძე 1967: 14). ბეღელაძე ახლაც გავრცელებული გვარია ზემო იმერეთში. ჯვრის მონასტრის აღაპებში XII-XIII სს. ხელით ჩაწერილია აღაპი ანტონ შეღელაძის ძისა, რომელსაც მონასტრისათვის 1000 დრამა შეუწირავს (მეტრეველი 1962: 94, 159). ეს ანტონიც ბეღელაისძე უნდა ყოფილიყო, ხოლო აღრევა გრაფიკულ ნიადაგზე მოხდებოდა. ასეა იქვე აღაპი ბურდიაშვილისა და შურდიაშვილის (მეტრეველი 1962: 128), ან „მატიანე ქართლისაში“ მესხი აზნაური ისაკ ტოლობელისძე, რომელიც ტოლოშელისძე იყო ჯავახეთის ტოლოშიდან (დღ. ტოროშელიძე). ასე რომ, ჯვრის მონასტრისათვის 1000 დრამის შემწირველი ანტონი ოქროპირ ბეღელასძის ნათესავიც შეიძლება ყოფილიყო.

სახელწოდება ჰამამლუ (რაც თურქულად „აბანოს სოფელს“ ნიშნავს) წყაროებში არ იხსენიება, იგი ახალია. ლ. მუსხელიშვილი შენიშნავდა, რომ დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ახლა ჰამამლუ მდებარეობს, ვახუშტი უჩვენებს თაგუთსო (ლ. მუსხელიშვილი 1941: 52 შენ. 2). ქვემოთ დავინახავთ, რომ სოფლის იდენტიფიკაციისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდება ზემოხსენებული ეკლესიის კიდევ ერთი წარწერა. იგი რელიეფური ჯვრის ორ მხარესაა ამოჭრილი ოთხ სტრიქონად, უფრო წვრილი ასომთავრულით, ვიდრე სააღმშენებლო წარწერა თამარის, კახასი და ოქროპირის მოხსენიებით. ლ. მუსხელიშვილი ამ მეორე წარწერის გამო შენიშნავდა: „თუმცა თითქმის ყველა ასო კარგად ჩანს და წანაკითხი ეჭვს არ იწვევს, მაინც წარწერის აზრის გაგება ძნელია. პირველი ორი სტრიქონი ადვილად გაიხსნება: „წმიდაი გრიგოლ ზღუისა მცველი“, დანარჩენი

კი გაუგებარია. მესამე სტრიქონის ხაზზე თვით ჯვარზე ჩანს თითქოს რაღაც ასოს ნაშთი, ეგებ „უ“ იყო. მაშინ ამ სტრიქონის მეორე სიტყვა შეიძლებოდა წაგვეკითხა, როგორც „ურჩთა“ (სამწუხაროდ, ჰამამლუს ფოტოგადანაღებმა სულ ერთთავად გვიღალატა, ამიტომ წარწერის პალეოგრაფიულ თვისებათა შესახებ ვერაფერს ვიტყვი. წარწერების გადაღება ჰამამლუში ძნელდება იმით, რომ მათ წინ ამოსული ხის ტოტი ჰფარავსო“ (ლ. მუსხელიშვილი 1941: 55). 1964 წ. ადგილობრივმა ბოროტმოქმედებმა წარწერიანი ქვები ეკლესიის კედლიდან ჩამოყარეს. ამის შემდეგ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისინი თბილისში ჩამოიტანა.

ახლა, როდესაც ჰამამლუს ეკლესიის წარწერიანი ლოდები მუზეუმშია დაცული (საინვენტარო ნომრები 736 და 737), მათი წაკითხვა

სურ. 11

იოლია. მეორე წარწერაში ფაქტობრივი ვითარება ოდნავ სხვაობს ლ. მუსხელიშვილის წანაკითხისაგან: მესამე სიტყვის ბოლო ასო „ა“-ს მაგიერ „ჲ“-ა, მეხუთე და მექვსე სიტყვებში კი „ჩ“-ის მაგიერ იკითხება „ს“-ები. (სურ. 11). საბოლოდ ეს წარწერა ასე იხსნება: „წმიდაჲ გრიგოლ ზღუდისაჲ, მცველი ვარძაგარისთა მზღვრისა“. წინადადების პირველი სამი სიტყვა აღნიშნავს წმიდა გრიგოლის ეკლესიის ადგილმდებარეობას, ისევე როგორც, ვთქვათ, „წმიდაჲ გიორგი სადგერისაჲ“, ან „წმიდა ღმრთისმშობელი დმანისისაჲ“. ამავე ქვის ქვემო მარცხენა კუთხეში წერია: „ქრისტე, შეიწყალე იოანე“, იგი ხელოსანი უნდა იყოს.

ჰამამლუს წარწერების აღმომჩენი და პირველი გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი ამ ეკლესიის შესახებ წერდა: „ჰამამლუდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, ყარასუს მარჯვნით, მცირე სამოსახლოს ნაშთებია, რომელსაც რამდენიმე

ნაბიჯითაა დასავლეთისაკენ დაშორებული გალავნით შემორტყმული ეკლესია და მცირე სასაფლაო.

სამოსახლოში შემონახულია რამდენიმე სახლის ქვის საძირკველი. კედლები უდუღაბოდ ყოფილა ნაგები. საინტერესოა ერთი მოზრდილი, სწორკუთხოვანი ნაგებობა, რომელიც ბაკსა ჰგავს (კრომლეხსაც შეიძლება მივამსგავსოთ, თუმცა მრგვალი არაა). უშველებელი ბრტყელი ლოდები ჩასმულია ღრმად მიწაში ფარღალალა მწკრივად. სამხრეთიდან ამ ნაგებობას თითქოს კარი ჰქონია – აქ ორი განსაკუთრებით დიდი სწორკუთხოვანი ქვა დაახლოებით ორი მეტრითაა ერთიმეორეს დაშორებული... ეკლესიის გალავანიც ამ „ბაკის“ მსგავსადაა ნაგები, თუმცა უფრო მცირე ზომის კლდეებით. ისე რომ სამოსახლო წარმოშობით, ნაწილობრივ მაინც, უთუოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული“ (ლ. მუსხელიშვილი 1941: 54).

ზემოხსენებულ წარწერაში ვარძაგარის ამოცნობამ ნათელი გახადა, რომ ესაა ვახუშტის რუკაზე ხევის მარცხნივ აღნიშნული სოფელი, რომელიც თავისი მდებარეობით კარგად ემთხვევა დღევანდელი ჰამამლუს სოფლის ტერიტორიას. წყალგაღმა, ყარასუს მარჯვნივ, ლ. მუსხელიშვილის მიერ აღწერილი, ლიტონი კლდის ქვებით ნაგები სამოსახლო და გალავანი უნდა მივიღოთ ვარძაგარის ცალკე უბნად, რომელსაც, შესაძლოა, ზღუდე ერქვა, ან ზღუდერი. მაშინ ზემოხსენებული წარწერებიანი ეკლესია იქნებოდა „წმიდაჲ გრიგოლ ზდუღისაჲ, მცველი ვარძაგარისთა მზღვრისა“, ანუ სახნავ-სათესისა. სოფ. „ანდიკა მისითა მზღვრითა“ იხსენიება მეზობელი ფოლადაურის ხეობის ეკლესიის 1189 წ. წარწერაში; ასევე სომხეთში სოფ. კოშის XIII ს-ის ქართულ წარწერაში კვლავ იკითხება „კოშელთა ზემო და ქვემო მზღვარი“, რასაც აკად. აკ. შანიძე რუსულად გადმოსცემდა სიტყვით межа. იქ საუბარია ამ მზღვრებში მოწეული ხორბლის ღალის გაუქმებაზე, სამაგიეროდ კოშელთა მიერ სახვნელი მიწის საკუთარი ხარით და ჭურჭლით ხვნაზე (შანიძე 1959: 8). უფრო გვიანი ხანის საბუთებში, ჩვეულებრივ, იხმარება „სოფელი მისითა სამართლიანითა მზღვრითა“.

XVIII ს-ის დასაწყისის ერთ საბუთში ვარძაგარის 60 დღის სამეხრეო იხსენიება (ჯამბურია 1955: 99), ეს კი დიდ სახნავ-სათესს გულისხმობს, რომლის დამუშავება აქ ძველთაგან მომდინარე ტრადიცია ყოფილა. 1537 წ. ამ სოფელში 60-მდე კომლი იყო, ხოლო 1701-1711 წწ-ის აღწერით, ვარძაგარაში ითვლებოდა 4 მემამულე, 47 გამომღები და 8 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 309). 1707 წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ, დმანისხევის სოფელთა უმეტესობას თითო ძროხა დაევალა, ვარძაგარას კი შეეწერა „ძროხა – 3, იქით მოურავს ჯანიაშვილს – ძროხა 1“ (თაყაიშვილი 1909: 209). 1727-1728 წწ-ში ოსმალთა მიერ შედგენილი თბილისის დავთრის მიხედვით, ვარძაგარაში 54 კომლი ყოფილა, რომელთაც შეწერილი ჰქონდათ გადასახადი 23570 ახჩა. ამის

ნახევარზე მეტი ხორბლის, ჭვავისა და ფეტვის მოსავალზე მოდიოდა. სოფელში მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა ოთხი თვალი წისქვილი (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 150-151). ერთი სიტყვით, ამ სოფლის ეკონომიკური შესაძლებლობანი ბოლომდე მეტობდა მეზობელი სოფლებისას.

ვარძაგარა შედგენილი სახელი ჩანს, ისევე როგორც დმანისხევის მეორე სოფლის სახელწოდება – სამაგარა, ან წინაგარა მეჯუდის ხეობაში. ამ სიტყვების მეორე ნახევარში მოჩანს აგარა, ე. ი. ვისიმე კუთვნილი სოფელი, ყანა, ველი. „ვარძ“ ფუძე თავს იჩენს სიტყვაში „სავარძელი“, ასევე ტოპონიმებში „ვარძა“, „ვარძია და „ვარძანეთი“. აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ძველად ვარძ-ვერძი მამაკაცისა და მამალი ცხოველის გამომხატველი ყოფილა (ივ. ჯავახიშვილი 1950: 166).

ჰამამლუ XIX ს-შია გაჩენილი. თუ იგი ახალმოშენეთა მიერ ძველი საცხოვრისიდან მოტანილი სახელი არაა, მაშინ შეიძლებოდა გვევარაუდა მინერალური წყლის აღმნიშვნელი ვეძა-ვერძა (შდრ.: ვეცხლი-ვერცხლი), რაჭაში მადნის წყალს ახლაც ვერძას ეტყვიან, აქედან ვერძაგარა-ვარძაგარა (შდრ.: ველკეთილი, ვერკეთილი, ვარკეთილი). ასეთ შემთხვევაში ახალმოსულებს მეტი საფუძველი ექნებოდათ ნასოფლარისათვის „აბანოს სოფელი“ ანუ ჰამამლუ შეერქმიათ. ხუთვერსიან რუკაზე სოფლის სიახლოვეს მართლაც არის წყარო.

თვით სოფელში,ყარა-სუს მარცხნივ,ძველი სასაფლაოა,სადაც ადრე ლ. მუსხელიშვილს ეკლესიის ერთი კედელი უნახავს, ჩუქურთმიანი ქვების ოთხი ნატეხით. ჩემი იქ ყოფნისას ეკლესიიდან აღარაფერი დამხვდა. საფლავის ქვებად იყო ცხვრისა და ცხენის ქანდაკებანი, ბრტყელი ლოდები სხვადასხვა გამოსახულებებით. აქვე იყო ქვის ჯვარი,რომელიც ლ. მუსხელიშვილს არ უნახავს: გამყოლს დავიწყებია ეჩვენებინა მისთვის (ლ. მუსხელიშვილი 1941: 75). ორსაფეხურიანი კვარცხლბეკი მიწაში იჯდა. მასში ჩასმული ჯვრის სიმაღლე 2 მ იყო, მკლავების სიგრძე კი – 40 სმ მათ გადაკვეთაზე ორი რელიეფური, კონცენტრირებული წრე იყო, ქვედა ვერტიკალს ავსებდა ორი რელიეფური, გრეხილი ზოლით შექმნილი, რვიანის მსგავსი ჩუქურთმა, წრეში ჩასმული ვარდულებით. შესაძლოა ერთი ასეთი წრე და ვარდული ყოფილიყო აღწერილი ორის თავზე, სადაც გადანატეხის შეკოწიწებისას იგი დაზიანდებოდა და ხსნარით დაიფარა. ჯვარი ნახა და ჩუქურთმის მიხედვით, VIII-IX სს-ით დაათარიღა ხელოვნების ისტორიკოსმა, ქალბატონმა რ. მეფისაშვილმა (მეფისაშვილი 1971: 30).

კვარცხლბეკის ქვედა საფეხურის სიგრძე-სიგანე 1 მ იყო,ზედასი – 70 სმ. მის დასავლეთ კედელზე დაწყებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სამხრეთ კედელზე ორი სტრიქონით მთავრდებოდა (სურ. 12). იგი შეიძლება ასე წავიკითხოთ: „ქრისტე, რომლისა მიერ მოვიგე

ძელია პატიოსანი, რომელი ქვეშე ჴმარხივარ მესხაჲ ვარ შაოსანი, არზნ ამას ვიკადრებ ღარიბი, არშვილოსანი“. სამხრეთი გვერდის პირველ სიტყვას ან ასოთა ჯგუფს „არზნ“ რაღაც აკლია ან ქარაგმის ქვეშ იგულისხმება. დასავლეთ მხარეს სამ სტრიქონს განკვეთილობის ნიშნები თუმცა არ ახლავს, მაინც შეინიშნება სიტყვების დაშორება, სამხრეთით კი ასონიშნები ერთმანეთთან მიჯრითაა ამოკვეთილი. ამიტომ ხელოსანს ბოლოში თავისუფალი ადგილიც კი დარჩენია. აქ პირველი 7 ასოა „არზნამს“,რომელსაც ორგან ქარაგმის ნიშანი აზის. ვფიქრობ, ეს ასე უნდა წავიკითხოთ: „არზანგად ამას“, ე. ი. სიტყვა,



სურ. 12

არზანგი. საბას განმარტებით, „არძანგი, არძანიგი და არზანგი სამივ საჴდომელსა პატივსა ეწოდების კაცთათვის ღირსებისაებრ მათისა“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991). ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსული ეს სიტყვა „ღირსება“,„ხარისხის“ მნიშვნელობით გვხვდება წერილობით წყაროებში (ანდრონიკაშვილი 1966: .288). აზრობრივადაც ამ სიტყვის ვარაუდი გამართლებული ჩანს: „არზანგად ამას ვიკადრებ“, ე. ი. ღირსეული პატივი იქნება ეს ჯვარი ჩემთვისო.

საბოლოოდ წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

“ქ. რომლისა მიერ მოვიგე ძელია პატიოსანი,
რომელი ქვეშე ჴმარხივარ მესხაჲ ვარ შაოსანი,
არზანგად ამას ვიკადრებ ღარიბი არშვილოსანი“.

სტრიქონების მოტანილი ფორმით დალაგება უკეთ წარმოაჩენს,

რომ ჩვენს წინაშეა 16-მარცვლიან ლექსად გამოთქმული ეპიტაფია. ასეთი რამ მეზობელ ტაშირშიაც მოიპოვება: ქობერის მონასტრის ქართულ საფლავის ქვათა წარწერებიდან ერთ-ერთი XIII ს-ის II ნახევარში რუსთველური შაირით შეთხზული ლექსია:

“გამოვედით სოფლისაგან ცუდ-ქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლნი მომდებიან, ამომდიან პირით ალნი,
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჩის ნაფერთალნი,
და კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენნი სამართალნი“.

ეს საფლავი მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს (შანშეს და ხუაშას) ეკუთვნით, წარწერა რამდენჯერმე გამოიცა მურადიანი 1977: 172; სილოგავა 1990: 115). ვარძაგარის ეპიტაფია ქობერისას, ცხადია, ჩამორჩება მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შემთხვევები გამონაკლისი არ ყოფილა მაშინ. ამ ტრადიციას უნდა აგრძელებდეს ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეთა საქართველოში ლექსად გამოთქმული ეპიტაფიების საყოველთაო გავრცელება.

ჩვენი წარწერის „მესხად“ გარდაცვლილის სახელი უნდა იყოს. ასეთი სახელი გვხვდება XIII ს-ის II ნახევრის სვანეთის კრების მატიანეში: მესხად, რომელიც აბდალიანის გვარისა უნდა იყოს (ინგოროყვა 1941ა: 143). პირის სახელი მოდის ტომობრივი სახელწოდებისაგან „მესხი“, ისევე როგორც კახი – კახა, თუში – თუშა, ლაშხი – ლაშხა, თურქი – თურქა... მესხას თუ მის ჭირისუფალს „მოუგია ძელი პატიოსანი“ (სხვა წარწერებში გვხვდება ასევე „ძელი ცხოვრებისა“, „ჯვარი პატიოსანი“, „ძელი ჭეშმარიტი“); ე. ი. დამკვეთს გარკვეული საფასით შეუძენია ეს ჯვარი, დაუდგამს მიცვალებულის საფლავზე, რომელიც ყოფილა „შაოსანი“, „ღარიბი“ და „არშვილოსანი“. „ვეფხისტყაოსანში“ შაოსანი დამწუხრებულის, მგლოვიარის სინონიმია:

“ქალმან დედასა შესტირა: „ჰაი მე, რა ვქმნა დედაო!
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო“...
(შოთა რუსთაველი 1937: 1628)

„ღარიბი“ იქვე აღნიშნავს მამულიდან გასულს, გარეშეს, უცხოდ მყოფს: „ვარ უცხო ვინმე ღარიბი, სამყოფთა მოშორვებული...“ (შოთა რუსთაველი 1937: 984) ყურადღებას იქცევს ბოლო სიტყვა, უშვილოს მნიშვნელობით ნახმარი „არშვილოსანი“, რომელიც რითმის საჭიროებისთვისაა მოტანილი: პატიოსანი, შაოსანი, არშვილოსანი. ასე შედგენილი სიტყვა და მასთან გარითმული სტრიქონები ისევ რუსთაველთან გვხვდება – ესაა სიტყვა „არ-ბარგოსანი“, ე. ი. უბარგო, დაუტვირთავი:

“ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ-ბარგოსანი,
შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი“...
(შოთა რუსთაველი 1937: 1355).

ეპიტაფიაში ამგვარი ეპითეტების ბურუსით მოცული „მესხად“ ჩემთვის სხვა წყაროებით უცნობი პირია. დამატებითი მასალის უქონლობის გამო, ძნელია მისი გაიგივება სვანურ მატიანეში მოხსენიებულ მესხა აბდალიანთან. მიუხედავად ამისა, თითქოს ის მაინც ჩანს, რომ იგი აქ ძველი მკვიდრი არაა, მსხემია, სხვაგნით მოსული პირი.

წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიდან ყურადღებას იპყრობს სტრიქონების მოქცევა ოთხხაზიან ბადეში; „ა“-ს ტანს მოშორებული ზედა ზიგზაგი ხაზი; თითქმის ასეთივე მოკლე ქარაგმის ნიშანი, რომელსაც ასოთა ჯგუფის „მსხ“-ის თავზე მოზრდილი ნაპრალი გაუჩენია; „ო“-ს მაღლა აზიდული კაუჭი; „დ“-ის მოგრძო ყელი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვარძაგარის ეპიტაფია XIII ს-ით შეიძლება დავათარიღოთ. აქვე საყურადღებოა ხელოვნების ისტორიკოსის, დიმ. თუმანიშვილის აზრი, რომ ქვაჯვრის ორნამენტი, შესაძლოა, ძველის მოგვიანო მინაბაძი იყოს და კვარცხლბეკის წარწერა ჯვრის ორნამენტის თანადროულიც გამოდგეს. სამწუხაროდ, 1964 წ. მუსლიმანმა ფანატიკოსებმა ეს ქვაჯვარი მოანგრიეს და წარწერაც მაშინ დაიღუპა.

ვახუშტის რუკის მიხედვით, ფინეზაურის ამ უსახელო, მარცხენა შენაკადზე (დღ. ყარა-სუ) 7 სოფელი ყოფილა: ლაკლაკაშენი,ანგრევანი, ვარძაგარა, მოლამსხმუტი (მოლა მასხუდი), ზემო და ქვემო თაგუთი, ფარანჯუკი. დღეს იქ 4 სოფელია: ჰამამლუ, მამიშლუ, საფარლუ და ანგრევანი. ამათგან ჰამამლუს ძველი სახელი ვარძაგარაა, მამიშლუს თაგუთი ერქვა (ზისერმანი 1870: 148),ანგრევანი კი თავისსავე ადგილზე სახლობს. ამის შემდეგ, ვახუშტის რუკის შედარებით თანამედროვე ვითარებასთან, ადვილდება საფარლუს ლოკალიზაცია. ეს სოფელი ფინეზაურისა და ყარა-სუს შესაყართანაა. სწორედ ასეთი მდებარეობა აქვს ვახუშტის რუკაზე ლაკლაკაშენს. იგი განმხოლოებული სოფელია და არ შეიძლება სხვაში აგვერიოს. ლაკლაკი იგივე ყარყატია, ასე გავრცელებული ფრინველი საქართველოს სამხრეთ მთიანეთში. აქედან მოდის კაცის სახელი ლაკლაკი (ლაკლაკიძენი), მერე კი – ლაკლაკაშენი (შდრ.: ბეშქენაშენი, რევაშენი, ბაბილაშენი).

ოსმალური თბილისის დავთრის მიხედვით, 1727-1728 წწ-ში ლაკლაკაშენში 29 კომლი ყოფილა. სახელებით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობა აქაც ნარევია: პაპუნა, ყაზარა ყაირამის ძე, ალავერდი მისი ძე, არუთინ, აბო, თავან სოლომონის ძე, ვართან ოხანის ძე, ულუხან მისი ძე, თამაზი, სარქის, ოთარა, სულხან, დათია, ავაქ, ზურაბ, სარგის, ვაჰან, ხანდამა, ლამაზა, იოანე, ხეჩუა და სხვები. ისინი იხდიდნენ ქრისტიანებზე შეწერილ გადასახადს (ისფენჯი) – 3480 ახჩას. ასევე გადასახადებს სხვადასხვა მარცვლეულზე, ერბოზე, ფუტკარზე, ცხვარზე, ღორზე და ერთ თვალ წისქვილზე, სულ – 9690 ახჩას (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 151).

სოფ. ბალიჭების ჩრდილოეთით, მაშავერის მარჯვენა სანაპიროზე, გრანიტის კლდოვან ქიმზე შერჩენილ ეკლესიას ახლა ძეძვების საყდარს უწოდებენ. იგი ადგილობრივი კლდის მოზრდილი ლოდებითაა ნაგები. წყობის რეგულირებისათვის ნახმარია მცირე ზომის ქვათა მწკრივები. ეკლესიას ჩრდილოეთიდან მინაშენი აქვს, იქ გასასვლელის მარჯვენა მხარეს ადრეფეოდალური სტელა ჩაუშენებიათ. ეკლესიას კარი და ერთი სარკმელი სამხრეთიდან აქვს. კარის მარჯვენა წირთხლის ქვაზე, კიდურწერტილოვანი ასომთავრულით, ორ სტრიქონად ამოკოდილია სამი სიტყვა (სურ. 13), ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე ოქროპირი“. ქარაგმის ნიშანი მოკლე ზიგზაგია, განკვეთილობისა კი – ორწერტილი. წარწერა XII-XIII სს-ის უნდა იყოს, მაგრამ სხვა მონაცემების გარეშე ძნელია ამ პიროვნების იდენტიფიკაცია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ადრეფეოდალური ხანიდან არსებული სალოცავი XII-XIII სს-ში განუახლებიათ. ალბათ, ამ საქმის ინიციატორი იყო წარწერაში მოხსენიებული ოქროპირი. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, იქვეა ნასოფლარიც. ეს ვახუშტის რუკაზე აღნიშნული სოფ. თავდიდიანი შეიძლება იყოს, ბალიჭების უახლოესი პუნქტი ჩრდილოეთით.

საერთოდ ქვეყნის და, კერძოდ, დმანისხევის ეკონომიკური აღმავლობა კარგად ჩანს ისპიანის სამების მაგალითზეც. კაზრეთისხევის ამ სოფელში XIII ს-ის I მეოთხედში შენდება



სურ. 13

სამონასტრო კომპლექსი, რომლის დიდი ერთნავიანი ეკლესია, თავისი მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით, იმ ეპოქის საუკეთესო ძეგლებს მიეკუთვნება. ეკლესია მოხატული ყოფილა, რომლისგანაც მხოლოდ საკურთხეველში შერჩენილი სცენები გაირჩევა: კონქში ალბათ ღმრთისმშობელი, სარკმლის ქვემოთ – ქრისტე ჯვრული შარავანდედით, სარკმლის წირთხლებზე – წმინდანები კოზმან და დამიანე, ქვემოთ – მოციქულთა მოძრავი ფიგურები, სულ დაბლა კი – ეკლესიის მამათა მწკრივი; აღსანიშნავია, რომ ისპიანისა და ქობაირის ეკლესიათა კედლის მხატვრობა საერთო სქემით ხასიათდება, რომელიც

ქართულ კედლის მხატვრობაში აღარ მეორდება (სხირტლაძე 1981: 90, შენ.10).

ისპიანის ეკლესიის მახლობლად შერჩენილია სატრაპეზო,რომელიც ერთი უდიდესთაგანია საქართველოში. ესაა ორსართულიანი შენობა, რომლის ყოველი სართულის ფართობი 140 კვ.მ-ს აღწევს. აქვეა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები, ირგვლივ კი – გალავანი. ისპიანის ეკლესია და სატრაპეზო თავისი მნიშვნელობით აღემატება სოფლის ორდინალურ საკულტო ნაგებობებს და, უნდა ვიფიქროთ, სამეფო დომენში შენდება მეფის ან მისი მოხელის ინიციატივით (ვ. დოლიძე 1987: 56; ვ. დოლიძე 1970: 16). ამ სოფლის სახელწოდებაში ასახულია გარემო, სადაც მოთეთრო მცენარე ისპინი, ისპი ჭარბობს. აქედანაა ადგილის სახელი ისპიანი.

საქართველოს მეფე ლაშა გიორგი დასახელებულია კაზრეთის ხეობის მეორე ძეგლის, სათხის ეკლესიის კანკელის წარწერაში, რომელიც ამ დროს შეუქმნიათ ვინმე იოანე მოძღვრის ინიციატივით. იმავე დროისაა ეკლესიის სამხრეთიდან მოშენებული სტოა და დასავლეთი ეკვდერი (ვ. დოლიძე 1970: 14). კანკელის წარწერა ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და წმიდისა კვირიკესითა, მე გლახაკი იოანე მოძღვარი ღირს მყო ღმერთმან, და აღვაშენნე კანკელნი ესე. დაამყარენ ღმერთმან მეფეთა მეფისა გიორგისათვის, და საჲკსრად ფრიად ცოდვილისა სულისა ჩემისა“ (თაყაიშვილი 1951: 162). როგორც ვხედავთ, კანკელი აუშენებიათ მეფეთა მეფე გიორგისათვის, რაც მიუთითებს ამ ხეობის მაშინდელ სამეფო საკუთრებაზე.

ლაშა გიორგისდროინდელი უნდა იყოს ბოსლების სამების ტაძარი, მოგვიანებით ის შიგნიდან შეულესავთ და მოუხატავთ (შოშიაშვილი 1980: 44). ამავდროული უნდა იყოს გალავანიც. ის უკვე 40-იან წლებში ძლიერ დაზიანებული მდგარა.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ყორანთა აღნიშნულია, როგორც მცირე მონასტერი, ტექსტში კი ავტორი ამბობს, რომ „ყორანთას არს ეკლესია სასვენი ატოცის წმიდის გიორგის ჯვრისა“ (ვახუშტი 1941: 40). ამ უკანასკნელის შესახებ ის აღნიშნავს, რომ მის დროს ჩხარის ეკლესიაში ყოფილა „ჯვარი დიდი ფრიად, მდებარებს მას შინა ბეჭი მთავარმოწამისა გიორგისა, მარადის სასწაულთმოქმედი. ეს ჯვარი პირველ იყო ყორანთას, შემდგომად სამცხეს, მერმე ატოცს და აწ აქა“ (ვახუშტი 1941: 153). XIII-XIV სს-ის მიჯნაზე შექმნილი ყორანთის ეკლესია ძლიერი გალავნითაა შემორტყმული და მშფოთვარე ხანას ასახავს (გომელაური 1966: 267). გალავნის შიგნით და გარეთ რამდენიმე სადგომის ნაშთია, ხოლო მთის ძირში – ნასოფლარი. ქედზე აბანოს ნანგრევი ჩანს, რომელშიც კედლებიდან მილები შემოდის. ქვის წყობა წყალგაუმტარი ბათქაშითაა შელესილი,თაღოვანი გადახურვა დახშულ

საკანს ქმნის, აქ უნდა ყოფილიყო ნასოფლარი ყორანთა, საიდანაც იყვნენ შოთასძე – შოთაშვილები, ყორანთის წმიდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის დეკანოზები. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები მუდამ თან ახლდნენ ჯვარს სადგერში, ატოცსა თუ ჩხარში (ფირცხალაიშვილი 1987).



სურ. 14

ვახუშტის „აღწერაში“ არაფერია თქმული, მაგრამ მის რუკაზე აღნიშნულია მონასტერი კაზრეთისხევისა და მაშავერის შესაყართან, მას აწერია „დავით“, ადგილზე კი უწოდებენ დავით-საგარეჯოს. აქ ორი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია და სხვადასხვა სადგომთა ნაშთები. აქვეა თიხის მილებით მოყვანილი წყარო, გატეხილი ბალავრის მხედრული წარწერა ჟამთა ვითარებისაგან დაქცეული მონასტრის მეორედ აღშენებაზე მოგვითხრობს. საკურთხევლის მარცხენა მხარეს ამოჭრილია ნუსხური წარწერა (სურ. 14). ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე სული გიორგისი“. მონასტრის ამ ეკლესიას ლ. მუსხელიშვილი XIII-XIV სს-ით ათარიღებდა (ლ. მუსხელიშვილი 1941: 34), ნუსხური წარწერა კი შეიძლება უფრო ძველი იყოს. დავით-საგარეჯოს მონასტერთანვე უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ნასოფლარი ქვეშის ციხის პირისპირ, მაშავერის მარჯვენა სანაპირო ქედზე, რომელსაც ვახუშტის რუკაზე საბერეთი ჰქვია. ნასოფლარის სამხრეთით, კლდეში, გამოქვაბულია, რომელსაც გარედან მცირე გალავანი იცავს. გამოქვაბულში ოთხკუთხა შესასვლელი გამოუჭრიათ, რომელსაც ზევიდან კლდეშივე გამოყვანილი, ორი გრეხილი ლილვისაგან შედგენილი წარბი აზის. კლდის ზემოთ პატარა ქრისტიანული სასაფლაოა, დაუმუშავებელი საფლავის ქვებით, ეკლესიის კვალი არსად ჩანს, შესაძლოა ის გამოქვაბულშივე იყო. ნაშთების მიხედვით, საბერეთი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ნასოფლარი ჩანს.

ამავე ეპოქისა უნდა იყოს გამოქვაბულები მაშავერის მარჯვენა სანაპიროზე, კაზრეთის მიდამოებთან. გამოქვაბულთა მისადგომები და კლდის ნაპირები ქვითკირის ზღუდეებითაა ამოშენებული, რაც პირველ რიგში, თავდასაცავ სადგომებს გულისხმობს (ბახტაძე 1991: 100. სურ. 43). ამას „ბარგიყარიოს კლდეს“ უწოდებენ, ერთ დიდ გამოქვაბულს კი – „ნაღაროს“ (ე. ი. „მაღარო“), სადაც აღმოჩნდა XII-XIII სს-ების კანკელის ფრაგმენტი.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში კაზრეთის ხეობას ზემო წელზე ახალი ციხე უჩნდება. „კაზრეთის თავის“ ნასოფლარიდან

დაახლოებით 2 კმ-ზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით აზიდულ კლდეზე შერჩენილ ნანგრევს „პატარა ციხიანს“ უწოდებენ. ნაგლეჯი ქვით კირზე ნაგები კედლები შერჩენილია კლდის დასავლეთ და ჩრდილო მხარეზე, სხვა მხრიდან იგი მიუვალია. კედლები ნახევარწრიული ბურჯებითაა გამაგრებული. შემორჩენილია წრიული კოშკის ნაშთი. ციხე დარაჯობდა გზასაყარს, რომელთაგან ერთი უკანგორში გადადიოდა, მეორე კი – ფოლადაურის ხეობის სოფ. ჩათახში. ცხადია, მას სოფლის დაცვაც ეკისრებოდა, რასაც, ალბათ, მეფის მოხელე ციხისუფალი ასრულებდა.

ისევე, როგორც ადრე, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც კაზრეთისხევი მოწინავეობს ეკლესია-მონასტრებისა თუ თავდასაცავი ნაგებობების მშენებლობით. სამეფო ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ყურადღება აქაური სამთამადნო წარმოების აღმავლობით უნდა აიხსნას. ქართველმა არქეოლოგებმა აქ გამოავლინეს რკინის გამოსადნობი ქურა-სახელოსნოები, რომლებიც XI-XIV სს-ს განეკუთვნება (გძელიშვილი, ამირანაშვილი 1965; გძელიშვილი ... 1966; გძელიშვილი ... 1967).

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, გიორგი რუსის აჯანყების წინ, 1191 წ., მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი ყოფილა „ლიხთაქეთ პატრონი ორბეთისა და კაენისა... და თჳთ ქუეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა“ (ისტორიანი და აზმანი 1959: 49). ვარდან დადიანი გაგის პატრონიც იყო და, თუ თავის სამყოფად მას მაინც ქვეში ჰქონდა შერჩეული, ეს ამ ციხის არამარტო სიმტკიცე-უვნებლობაზე მეტყველებს. ამ მხრივ ორბეთი და კაენი ქვეშის ციხეს არ ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მოხერხებულ გზასაყარზე იდგა, იმდროინდელი მოვლენებისათვის უმნიშვნელოვანესი პუნქტების შუაგულში (თბილისი, სამშვილდე, გაგი, ლორე, დმანისი, წალკა, ახალქალაქი). აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფის წინააღმდეგ მოქმედ ვარდან დადიანს, ბუნებრივია, ქვემო ქართლის ზემოხსენებული ციხეები ჩამოერთმეოდა; მისი საპატრონო გაგი და კაენი მხარგრძელებს გადაეცა (ისტორიანი და აზმანი 1959: 51, 54). ამირსპასალარ გამრეკელთან ერთად, თორელები პირველ რიგებში ებრძოდნენ დადიანთა წინამძღოლობით წამოსულ აჯანყებულებს, ამიტომაც ვარდანის საპატრონო ქვეშის ციხე ამ დროს უნდა გადასცემოდა თორელებს. თორელთა შთამომავალ ჯავახიშვილთა XV ს-ის ერთ საბუთში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მათ უბრუნებენ თამარის მეფობაში სამკვიდროდ მიღებულ ქვეშს „ციხითა, ბაჟითა, მისითა მიმდგომით“ და სოფელ რატევანს „უნაკლულოდ“ (თაყაიშვილი 1909: 40). თორელების ამ შტოს ქვეშელები ეწოდა. XIII ს-ის ერთ საბუთში იხსენიება ლიპარიტ ქვეშელი, რომელსაც ხელი აქვს ჩართული დაწერილში (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 225). ეს, ალბათ, იგივე ლიპარიტ ქვეშელია, რომელიც გვხვდება XIV ს-ის დასაწყისისათვის ჯვრის მონასტრის აღაპებში (მეტრეველი 1962: 21,

74). მისი სახელი კიდევ გამოჩნდება ჯავახეთში, 1308 წლის ღრტილას ეკლესიის წარწერაში, სადაც ქვეშელი ლიპარიტის ცოლი, თმოგველთა ქალი რუსუდანი აშენებს ეკლესიას (ცისკარიშვილი 1959: 94). ჩანს, ამ დროს ლიპარიტი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ქვეშელებს „ქვეში ციხითა, ბაჟითა და მისითა მიმდგომითა“, ე. ი. ქვეშისხევი თავისი სოფლებით, XIII ს-ის შემდგომ კიდევ დიდხანს ჰქონიათ სამკვიდროდ. ამაზე მიუთითებს თორელთაგან წარმომდგარ ჯავახიშვილების საგვარეულოში საკუთარ სახელად შემორჩენილი ქვეშელი, რომელიც XVI ს-ის დასაწყისის ერთ საბუთში გვხვდება (შდრ.: ასევე სახელებად ქცეული თორელი, ახალციხელი) (საურმაგ კაკაბაძე 1967: 50).

განვითარებული ფეოდალიზმის ხანისა უნდა იყოს კიდევ ერთი ციხე გეტის ხეობაში, მთაზე აღმართული ქვემო გულავერის სამხრეთ-აღმოსავლეთით და მუსეფრიანის სამხრეთით. მთის წვერს ოთხკუთხა გალავანი ერტყმის, რომლის შუაში, კლდეზე, ნაგებობის კვალია, შესაძლოა კოშკისა. გალავნის კედლები ზოგან 2-3 მ-სა შემორჩენილა, ნახევარწრიული ბურჯებით გამაგრებული, იგი ნაგებია ადგილობრივი კლდის ქვით კირხსნარზე. წყობა ნარევია, ზოგან თარაზული, სადაც მოზრდილ, თანაბარი ზომის ლოდებს ენაცვლება მცირე ქვების მწკრივი. არსად შეიმჩნევა სამზერი ან სათოფური ხვრელები. ციხის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე ნასახლართა ბუდეებია, აქვეა სასაფლაო და ეკლესიის ნანგრევი. პერანგშემოძარცვული შენობის ბათქაშს მოსაპირკეთებელი ქვების ჰორიზონტალური წყობის ნაკვალევი შერჩენია. ამ ციხე-გალავნისაკენ მიემართება გზა მაშავერის მარცხენა სანაპიროდან, კიანეთის გამოვლით, იგი მთას გადაკვეთს და ეშვება გეტისხევის სოფლებისაკენ.

ქვეშის ციხის მახლობლად, გეტისხევში, მცირე სიმაგრის არსებობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი დაქვემდებარებით ქვეშის ციხის მფლობელთადმი. უფრო მეტიც: თუ გავითვალისწინებთ, რომ დმანისხევში მომავალ გზებს ქალაქ დმანისთან არსებული საბაჟო აკონტროლებდა, იმავე დროს მოქმედ ქვეშის საბაჟოს თბილისიდან და სამშვილდიდან გეტისხევზე მიმავალი გზების კონტროლი უნდა დაკისრებოდა. ასეთ შემთხვევაში ზემოაღწერილ ციხე-გალავანს, შესაძლოა, სწორედ ასეთი ფუნქცია ეკისრა. ვახუშტის რუკისა და სოფლების სიის მიხედვით, ეს ნასოფლარი ჯანაზიანი უნდა იყოს.

მონგოლთა შემოსევამ დიდად დააზარალა დმანისი. ჟამთააღმწერლის ცნობით, 1235 წ. რუსუდან მეფეს მტრის მოახლოებისას თბილისის მცველად დატოვებული მუხას ძისათვის დაუბარებია: „უკეთუ დმანისამდე მოვიდნენ თათარნი,... მოწუას ტფილისი... რომელ არღარა იპყრან სახლად ვითარ ხვარაზმელთა“ (ჟამთააღმწერელი 1959: 187). დმანისის შემდეგ თბილისამდე სამშვილდეც იყო, მაგრამ ჩანს, მტრის შეჩერება უიმედო ყოფილა.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ 1263 წ. ბერქა ყაენისაგან

ლტოლვილი ოსთა რაზმები ულუ დავითს ეახლნენ. მან ისინი მონგოლთა ყაენთან გაგზავნა. ყაენმა უბოძა ხარაჯა და მოლაშქრედ და თანამბრძოლელად „განაჩინნა და ესრეთ მეფისა თანავე წარმოავლინნა, ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე დმანისსა, და სხუანი ჟინვანს“ (ჯამთააღმწერელი 1959: 251). ამრიგად, საქართველოში მოსული ოსები მონგოლთა სამსახურში ჩამდგარან, დმანისისა და ჟინვალის გარნიზონები შეუვსიათ, რისთვისაც მათ ყაენმა „ხარაჯა უბოძა“ო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში აკრეფილი გადასახადებიდან მათ თავისი სარჩენი სახსრები უნდა მიეღოთ (გამრეკელი 1976: 188). ახლაც, ისევე როგორც ბუღა თურქის დროს, ეს მოსული ოსები დმანისში დასხეს იმიტომ, რომ მნიშვნელოვან გზასაყარზე მყოფი ქალაქი დამპყრობლებს უფრო მტკიცედ სჭეროდათ ხელში.

იგივე ისტორიკოსი ამავე ხანებში მომხდარ სასწაულზეც მოგვითხრობს: ულუ დავითის პირმშო გიორგი ისე დასნეულებულა, რომ სიკვდილის პირამდე მისულა. დამწუხრებულ მეფეს მოახსენეს დმანისის ღმრთისმშობლის სიძლიერე; ისიც წასულა ამალის თანხლებით, ფეხშიშველი და მხურვალე ცრემლით მავედრებელი. დმანისის ღმრთისმშობლის ხატთან პირველსავე შეხებაზე ავადმყოფი განკურნებულა და უვნებელი წამომდგარა (ჯამთააღმწერელი 1959: 255). ასეთი სასწაული, ბუნებრივია, კიდევ უფრო აამაღლებდა დმანისის სიონისა და მთელი ქალაქის ავტორიტეტს.

კოლბის ხეობის სოფ. ბარანას ციხის წარწერაში, რომელიც დემეტრე II-ის მეფობაშია გაკეთებული, საუბარია ივანე ამირსპასალარის მიერ დმანისის ციხის აგებაზე და იქიდან კირის წამოღებაზე კოლბისხევში ციხის ასაშენებლად (შანიძე, ცისკარიშვილი 1968: 24; მურადიანი 1977: 228). უნდა ვიფიქროთ, კირი წამოიღეს ზემოხსენებულ მიჯის საკირიდან, დმანისის სიახლოვეს რომ იყო. კირი ყველგან არ მოიპოვებოდა და მშენებლობისას ის ხშირად შორიდან მოჰქონდათ. ასე ყოფილა ხანძთის ეკლესიის შენების დროსაც, როცა მშენებლებს ძალიან შორიდან კირი ზურგით უტარებიათ ძნელ გზებზე (გიორგი მერჩულე 1964: 277).

1278 წელს, დემეტრე მეფის ურდოში ყოფნისას, მონგოლებს მისთვის მოუთხოვიათ „საფასე ურიცხჳ განზრახვითა სადუნისითა“ (ჯამთააღმწერელი 1959: 272). სადუნ მანკაბერდელი, გასომხებული ქურთი, მაშინ მონგოლთა მიერ საქართველოს ათაბაგად და მეფის მზრუნველად იყო დანიშნული. რაკი დემეტრემ მოთხოვნილი თანხის გადახდა ვერ შეძლო, ეს საქმე სადუნმა იკისრა, რის სამაგიეროდაც მოინდომა დმანისის გადაცემა მის საკუთრებაში. ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქის გაცემა მეფეს მეტად ეძნელებოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა „და უნებლიად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი, და უმეტეს განდიდნა სადუნი“ (ჯამთააღმწერელი 1959: 272). დმანისის „მიმდგომი“, ქალაქთან ერთად რომ ჩაუგდია ხელში სადუნ მანკაბერდელს, უნდა ყოფილიყო დმანისხევის ერთი ნაწილი, „ქალაქის პირის სოფლებს“

რომ მოიცავდა. XIII ს-ის ერთი საბუთის მიხედვით, „დმანისის პირის სოფელი“ ყოფილა ორომაშენი, რომელიც საკათალიკოსო სოფლად ითვლებოდა და დმანისის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლ. 17 კმ-ზე მდებარეობდა.

დმანისი შემდგომშიაც სადუნის ძის ხუტლუ-ბუღას საკუთრებაში დარჩენილა, თუმცა რამდენჯერმე გადასულა ხელიდან ხელში. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, 1288 წ. დაპატიმრებულ ხუტლუ-ბუღას თავის დასახსნელად დმანისი დემეტრე მეფისათვის უძღვნია. მცირე ხნის შემდეგ, ბექა ჯაყელის თხოვნით, მის სიძეს – ხუტლუ-ბუღას არღუნ ყაენმა დმანისი დაუბრუნა. ბოლოს, 1293 წელს, ხუტლუ-ბუღას სიკვდილით დასჯის შემდეგ, ილხანმა ქეიღათუმ მთელი მისი ქონება დავით VII-ს უბოძა. მეფე „მოვიდა დმანისს და არიგებდა საქართველოსა“ (კიკნაძე 1973: 162, 178;) ამრიგად, დმანისი ისევ სამეფო ქალაქი გამხდარა. სამეფო იყო იგი ვახტანგ III-ის დროს XIII-XIV სს-ში. ჟამთააღმწერლის ცნობით, გამეფებისთანავე მან „დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე“ (ჟამთააღმწერელი 1959: 310). დიდად საყურადღებოა, რომ ნახჭევანს გარდაცვლილი ვახტანგ III დმანისში დაკრძალეს, ხოლო მისი შვილებიდან „დიმიტრის დმანისი აქუნდა, და გიორგის სამშვილდე“ (ჟამთააღმწერელი 1959: 322). როგორც ჩანს, მონღოლთა მფლობელობისას დაქუცმაცებულ საქართველოში დმანისი, დმანისხევთან ერთად, უფროსი უფლისწულის სამკვიდრო გამხდარა და პროვინციის მეფეთა ახალი შტოსათვის შეუქმნია საფუძველი (ნინიძე 1989: 42). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ერთეულის დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალს იმდროინდელ საქართველოში.

XIII ს-ის ბოლოდან ჩნდება დმანისში სომხური წარწერები, ვინმე ჰაკობ ხუცესი თავისი ახლობლების ორ საფლავზე აღმართავს ხაჩქარებს (სომხ. ქვაჯვარი). შესაძლოა, ეს მიუთითებს ქალაქსა თუ მის გარეუბანში სომხური ეკლესიის არსებობაზე (მელიქსეთ-ბეგი 1954: 160). XIII-XIV სს-ში იქაური მუსლიმანური მოსახლეობის დიდ რაოდენობაზე მეტყველებს მათი სასაფლაოს ვრცელი ტერიტორია. ასეთი ფაქტები იმდროინდელი კავკასიის დიდ ქალაქებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. უცხოელები ძირითადად ვაჭარ-ხელოსანთა ფენას შეადგენდნენ, ფეოდალური წრე კი ქართული რჩებოდა. სხვა წერილობით წყაროებთან ერთად, ამას ადასტურებს ტაშირში ქობაირის მონასტრის საფლავთა ქართული წარწერები. იქ ერთ ქვაზე იკითხება: „ქ. ესე საფლავი ლოკელისა დავითისი, შეუნდვენ ღმერთმან“ (მურადიანი 1977: 172). XIII-XIV სს-ში ეს პიროვნება ზემოთ აღწერილი ლოქის ციხის მფლობელია. მისი წოდება – ლოკელი, ლიპარიტ ქვეშელის მსგავსად, უნდა მიუთითებდეს რომელიღაც ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლის მიერ ამ ციხის სამუდამოდ დაუფლებაზე.

ამავე ლოქის ციხისაკენ ფინეზაურის მარჯვენა სანაპიროთი

მიმავალ მოკლე გზასთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი გალავნიანი კოშკი. იგი პატარა დმანისის სამხრეთ-დასავლეთით, ფინეზაურსა და მის მარჯვენა შენაკად მცირე ხევის შესაყარშია აგებული. კოშკის შემორჩენილი, მომრგვალებული მხარე მოწმობს მის სამსართულიანობას. მონგრეული კედელი ბრტყელი ყოფილა. იგი კირზეა ნაგები, მოზრდილი ქვების თითქმის თარაზული წყობით, რომელიც მცირე ქვებითაა გასწორებული. ეს სიმაგრე აკონტროლებდა გზას, რომელიც გორუნჯუკიდან მომავალ „აქლემის გზას“ გამოეყოფოდა, ქედებით მიემართებოდა ლოქ-ჯანდარისაკენ და შემდეგ ლოქის უღელტეხილისაკენ. ის გაცილებით მოკლე იყო, ვიდრე ფინეზაურის მარცხენა სანაპიროთი მიმავალი გზები, რომელთაც დმანისის ციხე დარაჯობდა. ამდენად, აღწერილი კოშკიც დმანისის მიერ გზათა მაკონტროლებელ საერთო სისტემაში უნდა განვიხილოთ. კოშკის მახლობლად, ხევგაღმა, ნასოფლარია თავისი სასაფლაოთი, ეკლესია აღარ შერჩენილა. ვახუშტის რუკისა და ადგილობრივ დამოწმებული სახელების მიხედვით, შეიძლება ეს იყოს სოფ. სიქიშხანი თავისი „მთითა, ველითა და ყოვლითა შესავლითა“, როგორც ნათქვამია XVI ს-ის ერთ საბუთში (ი. დოლიძე 1972: 20).

დმანისხევის აყვავების პერიოდს უნდა ემთხვეოდეს იმ ძველი სამოსახლოს დაწინაურება, რომელსაც 40-იან წლებამდე ბაშკიჩეთი ერქვა. ახლა იგი მოიცვა რაიონულმა ცენტრმა დმანისმა. ლ. მუსხელიშვილს მაშინდელ სოფელში ერთი დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევი უნახავს, ხოლო სოფლის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას, დიდ მინდორზე – კიდევ ერთი სამლოცველოს ნანგრევი. იქვე ყოფილა ძველი სასაფლაო და მწკრივებად ჩარიგებული ნასახლარები. ადგილობრივებს ჯერ კიდევ ახსოვდათ, რომ აქედან მაშავერის კანიონში გვირაბი ჩადიოდა, რომელიც თვითონ ამოუვსიათ. მკვლევარი ამ ნანგრევებში მცირე ქალაქსა და ციხეს ვარაუდობდა (ლ. მუსხელიშვილი 1941: 51), რომელსაც შესაძლოა ვახუშტის რუკისეული ტამალა შეესაბამებაო.

დიმ. გორდეევის მიერ შედგენილ ძველი ქართული კულტურის ძეგლების ბარათებში (ინახება ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში), ზემოხსენებულის გარდა, აღნიშნულია კიდევ სამი სტელის ფრაგმენტი, რომლებიც სოფლის ეკლესიაში ყოფილა ჩაშენებული. მასვე შეუნიშნავს სიმაგრის ნაშთი კლდოვანი მთის წვერზე, საცხოვრებლად გამოყენებული ბუნებრივი გამოქვაბულები და ორსართულიანი სასახლის ნანგრევი, რომელიც რენე შმერლინგს ქარვასლად მიუჩნევია. შენობას შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონია, შეიმჩნეოდა თაღოვანი გადახურვის კვალი, კედლის სისქე 2 მეტრამდე აღწევდა და მოპირკეთებული ყოფილა მუქი ნაცრისფერი, მოზრდილი გათლილი ლოდებით (გორდეევი 142). ჩანს, ეს ძეგლები რაიონული ცენტრის გაფართოებულმა მშენებლობამ შეიწირა, გარდა

სოფლის ეკლესიისა. მის წყობაში ჩანს ადრეფეოდალური ნაგებობის კედლები: საშუალო, თანაბარი ზომის ქვების ჰორიზონტალური რიგები. აქედან წამოღებული სტელის ფრაგმენტზე გამოსახულია წარჩინებული მამაკაცი მარჯვენა ხელში ყვავილით. გამოსახულება VI ს-ით თარიღდება (ნ. ჩუბინაშვილი 1972ა: 94).

დღევანდელი რაიონული ცენტრის სამხრეთით, მაშავერის მარცხენა სანაპიროს კლდოვან კანიონში შემორჩენილია გვირაბი, რომლის შესასვლელი და ზოგიერთი ადგილი მხოლოდ მუცელზე გართხმული ხოხვით შეიძლება გადაილახოს. შიგნით გვირაბი განიერდება და იტოტება, თუმცა ტოტები მალევე წყდება. ორგან, ძირითადი გასასვლელის მოსახვევებში მოზრდილი ოთახებია დაახლ. 9 მ სიგრძისა და 2,5 მ სიგანის; სიმაღლე 1,8 მ-ია. დაახლ. 70 მ სიგრძის გვირაბი კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ გაძრომა შეუძლებელი შეიქმნა (სურ. 16). კედლებს ეტყობა წერაქვით გაგანიერების კვალი. გვხვდება კერამიკის უსახური ფრაგმენტები და ბრტყელი, წრიული ქვის ნახევარი, რომელიც გვირაბში გასაძრომის ჩასაკეტად იქნებოდა გამოყენებული. როგორც ჩანს, სხვა საცხოვრებელ გამოქვაბულებთან ერთად, აქაურ მოსახლეობას თავდასაცავად დარან-სამალავებიც გამოუყენებია. ბაშკიჩეთიდან ერთი გზა მაშავერას გადაკვეთს და ოროზმანის გავლით ტაშირისაკენ მიემართება. სწორედ ამ გზაზე უნდა ყოფილიყო ვახუშტის რუკაზე აღნიშნული სოფ. აღუმბრუ„მისის ციხითა, მისის მთითა და ველითა“ (ი. დოლიძე 1972: 25).

* * *

XV ს-ში ქართლში ჩამოყალიბდა სენიორია ფეოდალური საგვარეულოსი, რომელსაც გვარის მამამთავრის სახელის მიხედვით, საბარათიანო ეწოდა. ბარათაშვილთა საგვარეულო გადმოცემა ამ გვარიშვილთა გაყრის შესახებ მოგვითხრობს, რომ „აბაში სამშვილდეს დარჩა, გუგუნა ალგეთზე, უმცროსი დავით გარეჯას“. ეს უკანასკნელი დმანისხევის ზემოხსენებული მონასტერი დავით-საგარეჯო უნდა იყოს. ამრიგად, გადმოცემის ეს ნაწილი ბარათაშვილების განაყარ შტოთა მიერ დაუფლებულ ხეობებს გვისახელებს: ალგეთს, ქციის ხრამსა და დმანისხევს (დ. ბერძენიშვილი 1979: 93).

დმანისხევის სოფლების დასაკუთრება ბარათაშვილთა თუ მის განაყართა მიერ ერთბაშად არ მომხდარა. ერთი პირველი სოფელთაგანი, რომელიც მათ აქ უშოვიათ, იყო ტანძია, ქავთარ ქაჯიფასძის მიერ „ხრმლითა მონაგებითა საფასითა“ ნაყიდი და შეწირული ფიტარეთის ეკლესიისათვის XIII ს-ში. სწორედ ტანძია გახდა შემდგომში „სამკვიდრო სასახლე“ ბარათაშვილთაგან გამონაყოფი ყაფლანიშვილების შტოსი.




სურ. 15. ბაშკიჩეთის დარანი. არქიტ. ამ. ბახტაძე

1392 წ. ყორანთა და ველკეთილი საკათალიკოსო მამულებში ითვლებოდა (ი. დოლიძე 1963: 178). დმანისხევის ეს სოფლები თემურლენგის 1400 და 1403 წწ. შემოსევების დროს დაზარალდებოდა მთელ ქვემო ქართლთან ერთად. საფიქრებელია, მაშინ გახიზნეს აქედან ყორანთის წმ. გიორგის ჯვარი. 1428 წ. კი ყორანთა ბარათა ქაჩიბაძის „ნაღუაწი“ და „მკვიდრი მამული“ იყო, ალბათ იმიტომ, რომ იგი მისი ღვაწლით მოშენდა. ამის გამოა ნიშანდობლივი ბარათა ქაჩიბაძის მიერ ამ სოფლის მცხეთის სვეტიცხოველისათვის შეწირვა. ამ საბუთში ყორანთის „სამართლიანი მზღვარი“ ასეა მოხაზული: „დიის ველი ძუელითგანვე გასამზღვრული იყო და მოლიო შემოუვლის რატევნის ჭალითა, რასაც წისქულნი და ზემო დიდნი მუხანი გამოიტანებენ, მას ქუემოთ და წისქუილნიცა თქუენ დაგრჩეს. ველკეთილისაკე, რაცა რუს ზეითი და ურწყავი არის, სამანი ჩავსუით და რუს ქუემოთი, რაცა ველკეთილის ჴევი ჩაიტანს წყლამდი“... (კაკაბაძე 1913ა: 37). ამრიგად, ყორანთის მამულები ჩრდილოეთით დიის ველს ესაზღვრებოდა, დასავლეთით – რატევანს, აღმოსავლეთით კი – ველკეთილს. ეს იყო ის ძირითადი ტერიტორია, რომელზედაც შემდგომში გაშენდა დღევანდელი რაიონული ცენტრი ბოლნისი.

ბაგრატ მეფის მიერ 1468 წ. ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისათვის მიცემული საბუთიდან ჩანს, რომ ჯავახიშვილებს ძველთაგან ნაქონი ქვეშის ციხის ხელახლა ყიდვა უხდებათ. მეფე ბრძანებს: „ძუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან სამკვიდროდ მათთვის ბოძებული, და ახლადვე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული, მათივე ალალითა საქონლითა მათვე მიჰვყიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეში, ციხითა, ბაჟითა და მისითა მიმდგომითა, და სოფელი რატევანი, მისითა სამართლიანითა და შესავალ-გასავლითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ: წყლითა, წისქვილითა, სანადიროთა, ველითა, ვენახითა, სათიბითა და მისითა მიმდგომითა... და თუ ვისიმე ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი და სიგელი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამით გაგვიცუდებია“ (ი. დოლიძე 1965: 137). აქედან ირკვევა, რომ ჯავახიშვილთა წინაპრებს ქვეში და რატევანი თამარ მეფისაგან სამკვიდრო მამულად მიუღიათ. თამარის შემდგომაც მეფეებს ეს მამულები თავიანთი სიგელებით დაუმტკიცებიათ. არ ჩანს როდის, რა პირობებში დაკარგეს ქვეშელებმა თავისი სამკვიდრო. ალბათ ეს მოხდა თემურლენგის შემოსევისას XV ს-ის დასაწყისში. მაშინ მან ქვემო ქართლში, ლორე-თბილისის გზაზე 15 ციხე აიღო და ბოლოს, უკანასკნელი სიმაგრე ბირთვისიც დაეცა, მისი დამცველი თორელი კი სიკვდილით დასაჯეს (ტაბატაძე 1979: 708).

თემურლენგის შემდეგ ქვეშის ციხე უპატრონოდ ვერ დარჩებოდა. არ ჩანს, ვის ეჭირა ის, მაგრამ ასეთი მფლობელი რომ უნდა ყოფილიყო, გაცხადებულია ზემოხსენებულ საბუთში: ვისაც ამ მამულის

გაცემულობის სიგელი ჰქონდეს, ამით გაცუდებულაო. იმერეთიდან ქართლში ახლად გადმოსულ ბაგრატ VI-ს თავადური სახლებისათვის მამულების დამტკიცებაში მომეტებული გადასახდელი მოუთხოვია (ივ. ჯავახიშვილი 1982: 324). ამათ რიცხვში აღმოჩნდნენ ჯავახიშვილებიც, რომელთაც ქვეშისა და რატევნისათვის „დიდი ფასი და საქონელი გამოუღიათ“.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით,1483 წ. ყვარყვარე ათაბაგს,500 მეომრით არეშს მიმავალს, გამოუვლია ფარავანი და ჩამოსულა დმანისზე, სადაც მას თითქოს ორბელიანებმა უმასპინძლეს (ბერი ეგნატაშვილი 1959: 346). ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება და ამდენად, საეჭვოდაა მიჩნეული. მართლაც, იმდროინდელი დმანისხევის ძირითად მეპატრონეებად ორბელიანთა დასახელება არასწორია – ეს გაცილებით გვიან მოხდა, ბარათაშვილთაგან ორბელიშვილთა გამოყოფის შემდეგ. ამიტომაც 1486 წ. იაყუბ-ხანის შემოსევისას, დმანისხევში მტერს სწორედ ბარათაშვილები დახვედრიან. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მტრის ჯარი დასხმია „დბანისს და ქუეშისჴევს, მოსტყუევნეს და წარვიდნენ. სცნეს ბარათიანთა, გარდაუდგნენ სიმაგრეთა და ბრძვეს ძლიერად, და ძალითა ზენათი მოსრნეს და წარიქცივნნეს“ (ვახუშტი 1973: 386). ამ ცნობის საფუძველზე საფიქრებელი ხდება, რომ დასახელებული ადგილების მეპატრონეები უკვე ბარათაშვილები არიან და ქვეშის ციხე „მისითა მიმდგომითა“ ჯავახიშვილებს აღარ ეკუთვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეშისხევის დამცველებად, პირველ ყოვლისა, ისინი უნდა გამოსულიყვნენ (ჯამბურია 1955: 11).

1537 წ. იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის განჩინებაში ჩანს, რომ დმანისხევში ისინი ფლობდნენ 60-ზე მეტ სოფელს. ეს დოკუმენტი საინტერესო დეტალებს შეიცავს დმანისხევის სოფლების დასახასიათებლად. იოთამს შეხვედრია „დმანის ციხეში სასაფლაოდ დმანისათა ღმრთისმშობლის ნახევარი და კარისბრჭე... დემეტრე დეკანოზი... ხუცესი იოანე“. მასვე რგებია „დმანისის ნახევარი და საუხუცესო, საბაჟოს ნახევარი და საუხუცესო“. იოთამის წილში დასახელებულია დმანისელი „ხანდამაშვილის სახლი, შიგნით სახლი, სათორნე ერთი, მარანი ერთი, ქვევრი დგას სხვილ-წურილი თეთრმეტი; საჯინიბო, კარაპანი, ეზოსახდელი. ამისის ყმის ყარაგოზას სახლი, კიდევ შიგნით სახლი, ბოსელი, დერეფანი, ეზო და სათიბური“. აქვეა ჩამოთვლილი 70-მდე კომლი გლეხი, რომელთაგან ნახევარზე მეტი მამულის მქონებელია. აზნაურები და მამულიან ყმათა უმეტესობა ქართველებია, ქართული ან გაქართულებული გვარებით: ჯანიაშვილი, ჩაჩიკაშვილი, სომღულაშვილი, მაზმანიშვილი, გალიკაშვილი, თოფჩიშვილი, სვანიშვილი, მემარნიშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ბარამიშვილი, მირიმანაშვილი, შაღუბათაშვილი, შიხიაშვილი... ამათ შორის სახელებით გამოირჩევიან 5-6 სომეხი და ამდენივე „თათარი“. ამ უკანასკნელთა საქმიანობაში მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებაც იკიდებს

ფეხს. ხანდამაშვილის ყმას ყარაგოზას აქვს ბოსელი, ეზო და სათიბური, მაგრამ ფირ-აზიზას აქვს მამული.

გამოდის, რომ იმდროინდელ დმანისში 140-მდე კომლი ყოფილა, რომელთა მამულები ქალაქის გარეუბნებში იქნებოდა, ალბათ პატარა და დიდ დმანისში. ზემოხსენებული ხანდამაშვილის სახლი სათონეთი, მარნით, საჯინიბოთი და ზეთსახდელით, შესაძლოა, ქალაქის ფარგლებშიც ყოფილიყო. დმანისში მცხოვრებ ხელოსნებს უნდა გულისხმობდეს აქვე ჩამოთვლილი ხარაზი და პროფესიის მანიშნებელი გვარები, რომელთაც სახელები არ ახლავთ: მაზმანიშვილი (მაზმანი – ბალნის თოკის მგრეხელი), მემარნიშვილი, ოქრომჭედლისშვილი, ისევე როგორც ოქრომჭედელი სოფ. სიქიშხანში.

ცალკეა დასახელებული 31 „ციხეში თათარი... დღეს რისაც მქონებელი არის“. ესენი ალბათ ციხის მეურნეობის უმამულო მომსახურენი და მისი მცველები იყვნენ. ასეთები საქართველოს სხვა ციხე-ქალაქებშიც ეყოლებოდათ, საიდანაც უნდა მოდიოდეს „ციხისთათარი“ და გვარი ციხითათრიშვილი. ყველა ამათი ურთიერთობის ენა ქართული იქნებოდა, რასაც ადასტურებს „თათრების“ გაქართულებული გვარები ხოჯა-აზიზაშვილი, შაყულისშვილი და სხვ. (ი. დოლიძე 1972: 15-18).

იოთამის წიგნში დმანისის მერე დასახელებულია „მანაკერტს საუხუცესოდ სასახლე კომლი. გამგებელა, დღეს, რისაც მამულის მქონებელი არის“. შემდეგ ჩამოთვლილია იქვე 16 მამულის მქონე და 4 უმამულო გლეხი. ამათგან ნახევარი, სახელების მიხედვით, ქართველები ჩანან, სხვები – გაქართველებული სომხები (ი. დოლიძე 1972: 18). ამრიგად, მანაკერტი მოზრდილი სოფელი ყოფილა 45-მდე კომლით. მას ჰყოლია გამგებელი. აქვე ყოფილა სასახლე, რომელიც სათავადო სახლის რთულ ერთეულს წარმოადგენდა. საცხოვრებლის გარდა, მას ახლდა სამეურნეო შენობათა ჯგუფი (საჯინიბო, სახაბაზო, სამზარეულო, კალო, საბძელი), ჰქონდა კარის ეკლესია, იცავდა კოშკი (ჯამბურია 1955: 110).

სოფ. ბაშკიჩეთთან, ზემოთ აღწერილი ნაგებობათა ნაშთები ძალიან ჰგავს იოთამ ბარათაშვილისათვის საუხუცესოდ (ე. ი. უფროსი მემკვიდრის ხვედრით) მიღებულ სასახლეს. ეს მით უფრო, რომ ამ განჩინებით, დმანისხევის სხვა სოფელში ასეთი სასახლე არ ჩანს. ვახუშტის რუკაზე, მაშავერის მარცხნივ ამ ადგილას აღნიშნულია სოფ. მანაკერტი. ყოველივე ზემოთქმულის მერე, შეიძლება ბაშკიჩეთი მასთან გავაიგივოთ. ეს ადგილი, როგორც მნიშვნელოვანი საგზაო პუნქტი, ყოველთვის იქნებოდა ადგილობრივ ფეოდალთა ყურადღების საგანი. ამიტომაც ექნებოდა თავისი გამართლება სასახლის აქ აგებას. ამ მთიან ზოლში, ეგების, ეს მათი საზაფხულო სადგომი იყო, რადგან XVII ს-ში სასახლე დმანისშიაც დასტურდება. ვახუშტის რუკაზე მანაკერტი მხოლოდ სოფელია და იქ რეზიდენციის ნიშანიც არ ზის. უნდა ვიფიქროთ, იქაურმა სასახლემ ვახუშტის დროს ადგილი შეიცვალა.

მანაკერტი მნიშვნელოვანი პუნქტია 1727-1728 წწ. თბილისის დავთრის მიხედვითაც. იქ 28 კომლია: ასლან ბეროს ძე, შაჰვერდი, ოჰანესი, ასლანი, ყაზარი მისი ძე, რევაზ, ამირხან, თეიმურაზ, ჯანბას ბალიას ძე, გიორგი მისი ძე, ავთანდილ მისი ძმა, ნოდარი, ზაალი, ლაჩი ძე მარტიროზისა, ფარემუზ მისი ძე, ნასყიდა, რუსთა, ზაქარია მინას ძე და სხვ. მათი საქრისტიანო გადასახადი შეადგენდა 2260 ახჩას. იხდიდნენ გადასახადს მარცვლეულზე, ერბოზე, ცხვარზე, ღორზე, ფუტკარსა და თივაზე, ასევე, ექვს თვალ წისქვილზე მთელი წლის განმავლობაში. სულ – 10505 ახჩას (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 142-143). ექვსი თვალი წისქვილი მიუთითებს სოფლის სიძლიერეზე, მარცვლეულის დიდ მოსავლიანობაზე.*

იოთამ ბარათაშვილის წილხვდომილთა შორის, აკაურთა ერთი მნიშვნელოვანი სოფელთაგანია. მისი ნახევარი, საუხუცესო და იქაური გამგებელი იოთამს ერგო. მასვე შეხვდა იქაური 31 მამულიანი გლეხი. ამათგან ნახევარი ქართველი ჩანს, ნახევარი – სომეხი და „თათარი“. გვარებით დასახელებულია როსტომაშვილი, ფოჩიაშვილი, ვართანაშვილი. 65 კომლამდე ყოფილა მაშინ ამ სოფელში, რომელსაც ჰქონია შარა, წყარო, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ავრანბეგაული ვენახი, ბაღჩა (ი. დოლიძე 1972: 19). ვახუშტის რუკაზე აკაურთასთან აღნიშნულია აზნაურის რეზიდენცია „აღწერაში“ კი ავტორი ამბობს, რომ იქვე არისო „ქვიტკირის შენებულებანი მრავალნი“ (ვახუშტი 1941: 40). უნდა ვიფიქროთ, ეს რეზიდენცია ვახუშტისდროინდელი იოთამაშვილებისა იყო. ძველ შენობათაგან მხოლოდ ეკლესიაღა გადარჩა, მაგრამ ის საპატიო სიძველისა და ხარისხისაა ამ ხეობის ადრეულ ძეგლებს შორის. აკაურთა უძველესი წარმოების ქართული სახელწოდებაა, რომლის ფუძე – აკაური აღნიშნავს ყარყატის მსგავს ფრინველს (შდრ. ყორანთა).

სხვა მნიშვნელოვანი სოფლებიდან, იოთამს რომ შეხვედრია, ყურადღებას იქცევს ვარძაგარა (შეცდომით წერია კარშაგარი), სადაც 60-მდე კომლი ყოფილა. ამათი ნახევარი – 31 გლეხიდან 17 ქართველია (ყავლიასშვილი, იოანესშვილი, ბეჟიასშვილი), დანარჩენი – გაქართველებული სომხები და „თათრები“ (პეტროზაშვილი, მარქარაშვილი, ფირაიზაშვილი) (ი. დოლიძე 1972: 22).

დიდ დასახლებათა გვერდით იყო 2-3 კომლიანი სოფლებიც, რომლებიც გაყრისას შუაზე აღარ გაუყვიათ: ჩინჩხური, მარაბდა, უკანგორი, გულეული; ასეთივე პატარა სოფლები უნდა ყოფილიყო ქვემო თაგუთი, ხული, ლორაშენი, რომლებიც გაუყოფლად, „მისის

* პუბლიკაციის საკუთარ ეგზემპლარზე აქ ავტორს ფანქრით მიუწერია: „დმანისი III-ში შ. ადუაშვილი წერს: „ბაშ-კიჩეთი ტამალიაზე დასახლდაო“ (279). ის მანაკერტის მეზობელია და იმასაც დაფარავდა“ – რედ.

მთითა და ველითა“ ერგო იოთამს, აგრეთვე აღუმბრუ (შეცდომით წერია აღუმარე),„მისის ციხითა,მისის მთითა და ველითა“ (ი. დოლიძე 1972: 24). თაგუთი დღევანდელ მამიშლოს ერქვა (ზისერმანი 1870: 148), ხოლო საფარლუსა და მამიშლუს შორის არსებული ორი ეკლესია თავისი სასაფლაოებით ქვემო და ზემო თაგუთისა უნდა იყოს.

აღუმბრუს სახელით სამი სოფელი იწოდებოდა: მაშავერის, ფინეზაურისა და ბალიჭის ხევებში. ჩანს, ეს სახელწოდება ადგილის რაღაც ზოგად მახასიათებელს გულისხმობდა. ლორაშენი და ხული ფინეზაურის ხეობის პატარა სოფლებია. მათთან დასახელებული აღუმბრუც მახლობლად უნდა დავიგულოთ. მართლაც, ყაშხათალის (საკირე) სამხრეთ-დასავლეთით არსებული, ზემოთ აღწერილი ნასოფლარი და ციხე უნდა იყოს „აღუმბრუ მისის ციხითა,მისის მთითა და ველითა“, რომელიც იოთამ ბარათაშვილს ერგო. სხვა ციხე არსად ჩანს არც ფინეზაურის,არც ბალიჭისა თუ მაშავერის შესატყვის ადგილებში.

იოთამს სოფ. მიჯაც გაუყოფლად ერგო, იქ მცხოვრები 17 კომლი „თათარით“. საინტერესოა, რომ ამათგან 16 მამულის მქონეა, ე. ი. მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედი გლეხები არიან. მიჯის შემდეგ, იოთამის წილში ჩამოთვლილია: „ყადრუყელის ნახევარი, ავანხევი მისის მთითა და ველითა“ (ი. დოლიძე 1972: 26).

ამ განჩინებაში,სადაც შედარებით მეტი სოფელია დასახელებული დმანისხევიდან, ზოგი სახელწოდება დამახინჯებულია, მაგრამ ზოგიერთი ტოპონიმი უფრო ძველი ფორმით უნდა იყოს შემონახული. ცნობილია, რომ გვიან მოსული, არამკვიდრი მოსახლეობა თარგმნიდა ან თავის ენაზე იაზრებდა ძველ ქართულ, მისთვის გაუგებარ სახელებს. ასეთებია: გატეხილი საყდარი – კოტრაწაგეღცი, შავსაყდარი – სევაგეღცი-ყარაქილისა, წითელი ეკლესია – კიზილ ქილისა, კეჩუთი – ბაშკიჩეთი და სხვ. ვახუშტის სოფლების სიაში არის სოფ. ღადირყული, რაც ჩვენი განჩინების ყადრუყელი უნდა იყოს. ასეთი დაბოლოების მქონე სახელი სხვაცაა – ჯაბარყელა (ქციის ხრამში), რაც ორგანვე გზას, გასასვლელს უნდა უკავშირდებოდეს. ქართული ყელი თურქულენოვანმა მოსახლეობამ გაიაზრა როგორც ყული – მონა. სახელის პირველი ნაწილი – ღადირი კი „ქედია, გორაკათა წარზიდული“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993). ასე რომ, ღადირყელი ქედზე, გორაკებზე გადასასვლელს აღნიშნავს.

ვახუშტი ბატონიშვილი სოფელს სახელ „ავანხევით“ არ ახსენებს, მასთან გვაქვს ავანჯუკი. დმანისხევში იყო კიდევ ფარანჯუკი და გორინჯუკი. ამ სახელთა ერთნაირი დაბოლოებანი ადგილის ზოგადი მახასიათებელი უნდა იყოს. თუ ყადრუყელი და ღადირყული ერთმანეთს გახმოვანებით მაინც ემსგავსებიან, ავანხევი და ავანჯუკი მხოლოდ სიტყვის პირველი ნახევრით იგივეობენ. მათი გაიგივება და ერთ პუნქტად მიჩნევა ვახუშტის რუკით დასტურდება, სადაც ღადირყული

და ავანჯუკი მეზობელი სოფლებია, ისევე, როგორც განჩინების ყადრუყელი და ავანხევი. ცხადია, სოფლის სახელის ძველი ფორმა ყოფილა ავანხევი, რომელიც გვიან ავანჯუკით შეუცვლიათ.

იოთამის კუთვნილ სოფლებში დასახელებულია „დარბასჭალას თავდარბაზი; სამი საწოლი კომლი, გულისადები დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, აბესალამაშვილი დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, ბასილისშვილი დღეს რისაც მამულის მქონებელი არის; დარბასჭალის ნახევარი და საუხუცესო“ (ი. დოლიძე 1972: 31). დმანისხევში დარბაზი ორი იყო – ფინეზაურის ხეობასა და გეტისხევში. ზემოხსენებული დარბასჭალა გეტისხევისა უნდა იყოს. ჭალა-მდინარისპირა ნაყოფიერი მინდორი იქ მართლაც არის (შდრ.: „ქუეშის ჭალა“, მოხსენიებული XI ს-ში). მოგვიანო ხანის საბუთებში გვხვდება დარბაზთალა, რაც დარბაზჭალის გააზრება უნდა იყოს თურქულად: თალა-ახო. თავდარბაზი – მთავარი დარბაზი იქ უნდა ყოფილიყო, რადგან ვახუშტის რუკაზე გეტისხევის დარბაზთან მთავრის რეზიდენციაა აღნიშნული. შესაძლოა, ეს „სამი საწოლი კომლიც“ თავდარბაზის მომსახურე ოჯახები იყვნენ. ისიც ნიშანდობლივია, რომ იქაური ბასილაშვილის გვარი მეორდება მეზობელ სოფელ გულეულშიაც (ი. დოლიძე 1972: 26). დარბასჭალის მომდევნო სოფლებში იხსენიება „წნორის ნახევარი“. ესეც გეტისხევის სოფელი ყოფილა, რომელსაც 1870 წ. უკვე ყარადაში ერქვა (ზისერმანი 1870: 151).

აღსანიშნავია, რომ იოთამის კერძ სოფლებში არ ჩანს ქვეშის ციხე. უნდა ვიფიქროთ, ის ორბელის საკუთრებაში დარჩა. ასევე იქნებოდა გეტისხევის ტანძიაც... ამ სახელწოდების სოფელი დმანისხევში სამი იყო: ბალიჭისხევში, ლუკუნის მთაში და გეტისხევში. იოთამს ერგო ტანძია, წითელი ეკლესია, შინდლარა მთლიანად, ხოლო ბოსლები და ლუკუნი – სანახევროდ (ი. დოლიძე 1972: 26). ზემოხსენებული სოფლების გარემოცვაში ეს უნდა იყოს ლუკუნის მთის ტანძია და არა გეტისხევისა, რომელიც ქვეშის ციხის მსგავსად, ორბელს უნდა დარჩენოდა. საფიქრებელია, რომ ლუკუნის მთის ტანძია არის ის „ძველი“ ტანძია, რომელიც 1721 წ. აღწერაში გვხვდება, სადაც მებატონეებად სწორედ იოთამიშვილები იხსენიებიან (ლორთქიფანიძე 1935: 349).

XVI ს-ის 60-იან წლებში, ირანთან სიმონ მეფის ბრძოლების დროს, მეფის ძმა დავითი შაჰს ეახლა, გამაჰმადიანდა და დაუთ-ხანად წოდებულმა საგამგეოდ მიიღო თბილისი ქვემო ქართლთან ერთად. საბარათიანოს ფეოდალების ერთმა ნაწილმა სიმონ მეფეს დაუჭირა მხარი, ნაწილი დაუთ-ხანს მიემხრო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ „დაუთხან დაიპყრა ქართლი. არამედ ვიეთნიმე მთავარნი განდგნენ და არა მორჩილებდნენ. და დაჯდა დაუთ-ხან ქუეშის ციხესა შინა და განცხრებოდა პორციელად;

და ოდესმე იყვის ტფილისს, არა რისა მზრუნველი სულისა და ქუეყანისათჳს“ (ვახუშტი 1973: 409). მას შემდეგ, რაც ირანის შაჰმა სიმონ მეფე ტყვეობიდან გაათავისუფლა, ქართლი ჩააბარა და ოსმალებთან საომრად გამოისტუმრა, დაუთხანმა ციხეები ოსმალებს გადასცა და თვითონ სტამბულს გაემგზავრა.

აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ერთი „მეჩეთი“, რომელიც ქვეშის ციხის სამხრეთით, მაშავერისა და გეტისწყლის შესართავში, მის მარცხნივ მდებარეობს (ახლა იქ ვენახი და კარტოფილის ნათესებია). ესაა მავზოლეუმის ნაშთი, რომელიც თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. ექვსწახნაგა შენობიდან სამი კედლის ნანგრევია შემორჩენილი. ყრუ კედლებს თითო რელიეფური, ფართო თაღი დაუყვება, რომელთაც ორი მხრიდან გრეხილი ლილვები საზღვრავს. ამ „მეჩეთის“ აღმოსავლეთ კედელს ქართული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი კოპი აზის, წნული ორნამენტით შემკული. ეს კი რ. მეფისაშვილს აფიქრებინებს, რომ ქტიტორი ვიღაც გამაჰმადიანებული ქართველი იყო. მშენებლობის ხარისხით და შემკულობით ეს „მეჩეთი“ დმანისის მიდამოებში შემორჩენილი ასეთივე ნაგებობებისაგან იმდენად სხვაობს, რომ ბუნებრივი ჩანს მისი აღმშენებლობა დაუთხანს მივაწეროთ. ეს მოხდებოდა მისი მეფობის იმ პერიოდში, როდესაც იგი ქვეშის ციხეში ცხოვრობდა.

დაუთ-ხანს ეკუთვნის ცნობილი სამკურნალო წიგნი „იადიგარ დაუდი“, რაც სპარსულად დავითის მოსახსენებელს, სახსოვარს აღნიშნავს. წიგნი ავტორს ოსმალეთში გარდაცვალების წინ დაუსრულებია. ქართული მედიცინის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ დაუთ-ხანს სამედიცინო ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ჯერ კიდევ სპარსეთსა და საქართველოში ყოფნისას უნდა მიეღო, სტამბოლში კი შეევსო და დაესრულებინა აქ დაწყებული ნაშრომი. ამის საფუძველს იძლევა ავტორისავე სიტყვები მისი წიგნის შესავალ ნაწილში: „რაც ბრძენთა და ფილოსოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და ან ნათქვამი სიტჰყუანი და საქმეები იყოს, და ან მე ცოდვილსა და უღირსსა მამეგონოს და გამომელღოს და არ მრავალჯერ დამეცადოს, ყუელა ამა წიგნშიგა დავსწერო“ (დავით ბაგრატიონი 1985: 97).

ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა საყურადღებო იყოს სოფლის სახელწოდება ჯანაზიანი, ქვეშის სიახლოვეს, გეტისწყლის მარჯვნივ, რომლის პირველი ხსენება 1537 წ. საბუთში შემოგვრჩენია. იმავე ხეობაში გვხვდება სოფლის სახელები – ჯავშანიანი, მუსეფრიანი, ძეძვნარიანი, ბალიჭის ხეობაში – ქადაგიანი, თავდიდიანი, ყალამშიანი. ამჟამად იან-ი აღნიშნავს ყოლა-ქონებას, ძველად კი მისი ფუნქცია ყოფილა წარმომავლობა ვინმესგან, შემდეგ გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა (შანიძე 1980: 122).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სოფლის სახელწოდება ჯანაზიანი შეიძლება აღნიშნავდეს ჯანაოზის, ან ჯანაოზიშვილთა

სოფელს. ეს სიტყვა ქართულში განთქმული მკურნალის აღმნიშვნელია და მოდის ახ. წ. II ს-ის ცნობილი რომაელი ექიმის, კლავდიუს გალენოსისაგან. შუა საუკუნეების მსოფლიო მედიცინაში იგი აღიარებული ავტორიტეტი იყო, მისი სახელი კი ჩვენში არაბული ტრანსკრიფციით დამკვიდრდა. „ჯალინოზ აქიმი“ ხშირად იხსენიება ქართულ სამკურნალო წიგნებში. თანდათან ჯალინოზი კარგი მკურნალის ზოგად სახელად იქცა ჯანაოზის ფორმით: „მანდილოსნები დაგვადგნენ ჯანაოზებად სნეულთაო“, ამბობდა ვაჟა-ფშაველა. ჯანაზიანი, შესაძლოა, სწორედ ჯანაოზიანთა, ჯანაოზიშვილთა სოფელი ყოფილიყო, ისევე როგორც სოფელი თავდიდიანი – აზნაურ თავდიდიშვილებისა, ან ფეიქრიანი კახეთში. მართლაც, 1700 წლის ერთ საბუთში იხსენიებიან დონდარაშვილები, რომლებიც ყიდიან მიწას „ჯანაიზაშვილის მიწის მიდგამამდე“. დონდარაშვილები ქვეშისხევის სოფ. ჭრეშის უყმო აზნაურები იყვნენ (ლორთქიფანიძე 1938: 375), მათი მიწაც იქვე იქნებოდა, ჯანაზიანის მახლობლად, რომელიც ჯანაოზაშვილ-ჯანაიზაშვილების გვარს უნდა უკავშირდებოდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაუდ-ხანის ქვეშში დამკვიდრება ჯანაზიანის მახლობლად, შესაძლოა, მისი სამედიცინო ინტერესებითაც იყო შეპირობებული. ამასთან დაკავშირებით, ეგების არც ის იყოს შემთხვევითი, რომ სოფ. ქვეშში, ქვეშის ციხესა და ტანძიაში წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიები და ხატებია; ის კი დავრდომილთა შემწედ და „უბრალოთა სიკვდილისაგან დამხსნელ“ წმინდანად იყო მიჩნეული.

1578 წ. ირან-ოსმალეთის ომი ჩილდირთან ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა და ლალა მუსტაფა ფაშამ თავისი ჯარი ჯავახეთზე გამოვლით თბილისისაკენ წამოიყვანა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, მათ „დუმანიჩის უღელტეხილს მოაღწიეს. აქ გაიცა ბრძანება ციხის შეკეთებისა და აღდგენის შესახებ, მაგრამ ციხის მშენებლობას ხელი შეუშალა დიდმა წვიმებმა და ამიტომ ამ განზრახვაზე ხელი აიღეს. აქ რამდენიმე დღეს გაჩერდნენ, ხოლო შემდეგ დაბინავდნენ ისეთ ადგილას, სადაც წყალი და ბალახი ბლომად იყო“ (იბრაჰიმ ფეჩევი 1964: 60). შემდგომში სიმონ მეფესა და ოსმალებს შორის ბრძოლის ძირითად არენად დმანისხევი იქცა. თბილისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს სწორედ ამ გზით მოსდიოდათ სამხედრო დახმარება და სურსათი. ქართველები პარტიზანულ ომებს დმანისხევის ტყეებიდან აწარმოებდნენ. 1584 წ. ოსმალებმა გაამაგრეს ლორე და დმანისი, სადაც მაშინ 12000 მეციხოვნე ჩაუყენებიათ (გუჩუა, სვანიძე 1973: 132, 138; ც. აბულაძე 1980: 155). ამას მოჰყოლია სიმონ მეფის საპასუხო დარტყმები. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, მეფემ „შეჰყარა სპა თვისი და მოადგა დმანისს, რამეთუ მაშინ დმანისი ეპყრათ ურუმთა, და მოსრნა ყოველნივე დმანისის მყოფნი ურუმნი და დაიპყრნა ყოველნივე გარემონი“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 375).

ჩანს, ამ მძიმე ბრძოლებს უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან ვახუშტი ბატონიშვილი დმანისზე საუბრისას დასძენს, რომ ის სიმონ მეფემ წაართვა ოსმალებს და ციხე-ქალაქი ამის შემდეგ მოოხრდაო (ვახუშტი 1973: 315). ცხადია, არსებობა დმანისს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია, დარჩა ციხე, საეპისკოპოსო და მცირე დასახლება, რომელსაც ერთ დროს მოწინავე ქალაქის ძველი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. 1587 წ. ოსმალებმა ისევ შემოიყვანეს ჯარები საქართველოში, ააშენეს ციხეები დმანისში, ლორეში, გორსა და ახალციხეში. მათ იქ დააყენეს მეომრები, მოათავსეს ხაზინა და სურსათი, დანიშნეს ბეგლარბეგები (ფუთურიძე 1960: 289). ერთი წლის შემდეგ ოსმალები დაუზავდნენ სიმონ მეფეს და ქართლის მეფედ აღიარეს იგი.

1589 წ. არის დაწერილი არზა სიმონ მეფისა სულთან მურად III-სადმი, სადაც ოსმალთა მიერ დაკავებული ციხეების შემოგარენში მაშინ არსებული სოფლებია ჩამოთვლილი. დმანისის ციხის სანახებში დასახელებულია 32 სოფელი (შეცდომით წერია: „სოფლების რაოდენობა 34“), რომელთაგან 9 ბალიჭისხევშია, 8 – ფინეზაურში, 7 – მაშავერისხევში, 3 – ლუკუნში, 2 – ტაშირში და 3 – კაზრეთისხევში. ამ უკანასკნელში მოხსენიებული წითელი კლდე სხვა წყაროებით უცნობია, მაგრამ ისიც იქაურ ტოპონიმიკაში დღემდე შემორჩენილი „წითელფლატოები“ უნდა იყოს.

არზის ბოლოს სიმონ მეფე წერს: „დასამალი არ არის, რომ ხსენებული ციხეების გარშემო მდებარე სოფლები ესენია, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული – სხვა არ არის“ (ც. აბულაძე 1980: 162). მოტანილი სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ დმანისის ციხის გარშემო მყოფი სხვა სოფლები დაცლილ-ნაოხარია და რომ აქ მთელი დმანისხევი არ იგულისხმება. ამ აზრს ადასტურებს ისიც, რომ არ არის დასახელებული ქვეშისხევის არც ერთი სოფელი, რომლებიც ქვეშის ციხისადმი დაქვემდებარებულ სანახებში უნდა შესულიყვნენ. ამასვე უნდა მოწმობდეს ორი წლით ადრე ნასოფლარ ველკეთილის მოხსენიება სოფლების ყორანთის და სატრედოს საზღვრებს შორის. დმანისხევის ქვემო წელის ეს სოფლები კი დმანისის ციხის სანახებში არ შედიოდნენ. დმანისის სანახებში უნდა ყოფილიყო ზემო ოროზმანი, მაგრამ ჩამოთვლილ სოფლებში ის არ ჩანს. საფიქრებელია, რომ ის ამ დროისთვის აოხრებულიყო, რადგან სოფლის ეკლესიის სასაფლაოზე ათი წლის წინ ჯერ კიდევ იმარხებოდნენ. ამაზე მეტყველებს საფლავის ქვა ასომთავრული წარწერით: „ქ. ესე არს განსასვენებელი ჩემი მოიხსენეთ პაპონა... სზ“. ბოლო ასოები ქრონიკონს გამოხატავს და უდრის 1579 წ-ს. საინტერესოა ტაშირის ორი პუნქტის – ოქრომჭედლის სოფლისა და არმანისის მითვლა დმანისის ციხისადმი დაქვემდებარებულ სოფლებში. გეოგრაფიულად ისინი ლორის ციხის სანახებში შედიოდნენ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, დმანისზე იყვნენ დამოკიდებულნი ხელოსნური ნაწარმით ან სხვა

სახის ურთიერთობით.

ზემოხსენებულ სოფლებზე დაკვირვება მიგვანიშნებს დმანისხევში, ისევე, როგორც მთელ ქართლში შექმნილ გარკვეულ ვითარებაზე. ოთხ უმნიშვნელოვანეს ციხესთან ერთად ოსმალებს უპყრიათ მათ სანახებში მყოფი სოფლებიც. დმანისხევის სხვა ციხეებისა და სოფლების დამორჩილება მათ ვერ მოუხერხებიათ და ამ დროს დაიდო ზავი. მაგრამ სიმონ მეფეს არც ეს სოფლები ემეტებოდა, მათგან მოითხოვდა სამეფო და საბატონო გადასახადს თავისი აზნაურებისათვის. ამის შესახებ 1590 წ. სულთანი მურად III პირდაპირ სწერს „ქართლის ქვეყნის მფლობელ სიმონს“: „ციხეში მომსვლელებსა და სხვა გამვლელ-გამომვლელებს ავიწროებ... და ამბობ, რომ ციხეების გარშემო განლაგებული სოფლები და ნათესები უწინდელივით ჩემს მფლობელობაში უნდა იყოსო. ციხეები რომ შენდებოდა... ჩემი ჯარებით დაპყრობილი და დამორჩილებული სოფლებისა და ნათესების საქმეებში ერევი და ციხის მიდამოებში მდებარე ყანებიდან უშურს ითხოვ. ყველა ციხის გარშემო მდებარე სოფელი და ნათესი გალავნით არაა შემოზღუდული“ (სვანიძე, ჯიქია 1966: 234).

XVII საუკუნე ირან-ოსმალეთის ახალ ომში შაჰ აბასის გამარჯვებებით დაიწყო. მან ქართლის მეფე გიორგი X-ს 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა, რითაც ცდილობდა ქართველი მეფე ირანის მოხელედ ექცია. სამაგიეროდ შაჰ აბასმა გიორგი მეფეს ლორის ოლქი და დებედის ხეობა გამოსთხოვა. ლორეში მან სახანო შექმნა, სადაც ხანად ადგილობრივი გამუსლიმანებული ფეოდალი დანიშნა, ხოლო დებედის ხეობაში ჩამოასახლა თურქმანული ტომი ბორჩალუ, რომელიც აღჯაყალის ირანელ ციხისთავს დაუმორჩილა (ჯამბურია, სვანიძე 1973: 247). ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, შაჰ აბასმა ეს ოლქები „ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა“ (ვახუშტი 1941: 35). ამრიგად, ქართლის სამხრეთი ზღუდე მოირღვა და დმანისხევიც უშუალოდ გაუმეზობლდა მაჰმადიანურ სახანოს, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მის შემდგომ ბედზე.

1606-1607 წწ. შაჰ აბასმა ზედიზედ აიღო ოსმალთა მიერ დროებით დაკავებული განჯა, თბილისი, ლორე და დმანისი, სადაც ოსმალთა მაგიერ ახლა ყიზილბაშები ჩადგნენ. ქართლ-კახეთს ქრისტიანი მეფეები განაგებდნენ, რომლებიც ირანის ვასალებად ითვლებოდნენ. პოლიტიკური ვითარების ხშირი ცვლა აისახებოდა დმანისხევის სოფელთა მფლობელობაზეც: 1608 წ. ლუარსაბ II-მ გიორგი სააკაძეს უბოძა ქვეშისხევის ნასოფლარი ყიშლაღი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 179,2335). 1609 წ. იმავე ლუარსაბ მეფეს ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის უბოძებია „მკვიდრად და სამამულედ ქვეშის ხევში სოფელი კრკონი“

(ჯამბურია 1955: 25). სხვა წყაროების მიხედვით, ასეთი სოფელი ქვეშისხევში არ დასტურდება. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აოხრდა, ან სახელი შეეცვალა. ლუარსაბ II-ისგანვე, სომხითის მელიქ ათაბეგს ჰქონდა მიღებული დმანისხევის სოფლები ქარატაკი და ჩალაქთაგი. ისინი მას ბაგრატ VII-მ 1616 წ. ჩამოართვა სოფ. ქვემო წერაქვის სანაცვლოდ (საურმაგ კაკაბაძე 1967: 92). ქარატაკი ლუკუნის მთის სოფელი იყო, ჩალაქთაგი კი ჩალაგამაშა-ჩარგამაშენი უნდა იყოს, რომლის ადგილმდებარეობა დაუდგენელია.

კიდევ უფრო გართულდა ვითარება საბარათიანოში, როდესაც მეწინავე სადროშოს სპასპეტმა ბარათა ბარათაშვილმა მამულებისათვის ბრძოლებში თავის მოგვარეთა სისხლი დაღვარა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „მოსწყჳდნა ბარათამ სახლეულნი თჳსნი, და ყაფლან ძმისწული მისი ივლტოდა და მივიდა წინაშე შაჰაბაზისა“. მარაბდის ომის შემდგომ „წარმოუგზავნა შაჰაბაზ სპანი და მოეწივნენ ბარათას ფარავანსა ზედა და მოკლეს იგი“ (ვახუშტი 1973: 428).

ასე დაიწყო XVII ს-ის 20-იანი წლებიდან ყაფლან ორბელიშვილმა თითქმის განადგურებული სათავადოს თავიდან „აშენება“. დმანისხევის სოფლებში ისევ დაიწყო მფლობელობის ცვლა. 1627 წ. მეფე სიმონ II-მ ყაფლან ბარათაშვილს მისივე ბიძაშვილის, ბარათას ნაქონი მამულებიდან უბოძა სოფლები ქვაბევანი, თეკნადი (თეკენამი), ძველი დმანისი (ფუთურიძე 1955: 63). როგორც ყაფლან ორბელიშვილის ეპიტაფიიდან ჩანს, მას თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იოთამ ბარათაშვილთან განაყარი ორბელის ძველი მამულებიდან 17 დასახლებული სოფელიღა დახვედრია. ყველა დანარჩენზე იგი ამბობს, რომ „ბარს და მთაში მტრისაგან გაოჴრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი ჲა“-ო (61 – დ. ბ.) (თაყაიშვილი 1929: 89). ამ სოფლების უმეტესობა დმანისხევში მდებარეობდა.

1632-58 წწ. ერთი საბუთის მიხედვით, ფიტარეთისათვის შეწირული შინდნარი, სავანეთი, დარბაზი და ჭრეში (გეტისხევში) დასახლებული სოფლები ყოფილა. აქ ყმამამულისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სახლთუხუცესი ყაფლანი და მისი მოგვარეები (ი. დოლიძე 1972: 110). ზემოხსენებული სამამულო დავის გარიგებისას, ყაფლანს არგუნეს ჭრეშს მაცხოვრები ყაითმაზაშვილი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 268). ყაითმაზაშვილები ყაფლანიშვილთა მემამულე აზნაურები იყვნენ, რომლებიც, საბუთების მიხედვით, შემდგომ ხანებშიაც ჭრეშში ცხოვრობდნენ.

ამასვე ადასტურებს 1655 წლის სომხური წარწერა, მოთავსებული უსახელო ნასოფლარის ეკლესიის დასავლეთი შესასვლელის მარჯვნივ. წარწერაში ეკლესიის ამშენებელი თამაზი იქვე მოიხსენიებს თავის მეუღლე დარეჯანს, მამას – ბატონ ღაითმაზს,

დედასა და შვილებს – ნარიმანსა და რამინს. ეს ბატონი ღაითმაზი შემდგომი ხანის აზნაურ ყაითმაზაშვილების ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი უნდა იყოს*. ამაზე მეტყველებს კარის ეკლესიის აშენება, იქვე მდებარე 5-სართულიანი, ოთხკუთხა კოშკი, ზედ მიკრული საცხოვრებელი შენობით. კოშკის ყოველ სართულს ახლავს ბუხარი, სათოფურები, სარკმლები და თითო კარი, ალბათ ხის აივნებზე გამოსასვლელად. აზნაურ ყაითმაზაშვილებს უნდა გულისხმობდეს გამოთქმა „ყაითმაზიანთ მიჯა“, საბუთებში რომ გვხვდება, რაც მათ მფლობელობაზე უნდა მიუთითებდეს იმ სოფელში, მეორე მიჯისაგან განსხვავებით.

აღწერილი კომპლექსის დასავლეთით, მცირე ხევის გაღმა, დაახლ. 600 მ-ზე ისეთივე კოშკი და ეკლესიაა. კოშკზე მიდგმული ორსართულიანი სასახლიდან მოზრდილი დარბაზებია გადარჩენილი. ხუთსართულიან კოშკს აქაც ბუხრები და სათოფურები აქვს. გვიანი საუკუნეებისაა კარის ეკლესიაც, ნაგლეჯი ქვით დუღაბზე ნაგები. ჩუქურთმა ან წარწერა მას არ ახლავს. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მეორე აზნაური სახლობდა, დონდარაშვილი ან თანდარაშვილი. ისინი 1625 წ. ერთი საბუთის მიხედვით, იარალაშვილების აზნაურები იყვნენ და ჭრეშში ცხოვრობდნენ ყაფლანიშვილების აზნაურიშვილ ნარიმანასთან ერთად (თაყაიშვილი 1909: 145). ეს უკანასკნელი კი ზემოხსენებულ სომხურ წარწერაში ეკლესიის მაშენებელი თამაზის ძეა. კოშკების მახლობლად მდებარე სასაფლაო ეკლესიით, ასევე დიდი ნასოფლარი, უნდა იყოს საბუთებში და ვახუშტის რუკაზე აღნიშნული სოფ. ჭრეში.**

პაპუნასა და ყაფლან ბარათაშვილების დავა 1646-1658 წწ. საბუთის მიხედვით ასე გაურჩევიათ: „ჭრეშისა ასრე უნდა იქნას და ამაზე უნდა გარდასწყდეს. ყაითმაზაშვილი მისის სამართლიანითა მამულითა და რაც თავკაცად კაცი უნდა ყაფლანბეგს, ან მის აზნაურიშვილს ეყიდოს, პაატა ნუ ეცილება... სავანელის კაცისა ასრე გაგუირიგებია: თუ ქაიხოსროს დროს აყრილიყოს და ლორეს მისულიყოს, სახლისუხუცესს მოეყუანოს, პაატა ნუ ეცილება. და თუ პაატას სავანეთოს შოვნის უკან აჰყროდეს, დარჩეს პაატასა. დარბაზისა... რომ ისარჩლებიან, მახსოვარნი და ალაგის კაცნი გავიკითხოთ... თოფრაყალის ვისაც

---

* პუბლიკაციის საკუთარ ეგზემპლარზე აქ ავტორს ფანქრით მიუწერია: „ავთანდილ – დამწერი და მოწმე ჭრეშის მელიქ მირიმან [ნარიმანიშვილსა] და მის შვილებს შორის მამულის გაყოფის წიგნისა (1619 წ. – 1450-26/5). პირთა ანოტირებული ლექსიკონი. I, თბ., 1991. გვ. 81“ – რედ.

** პუბლიკაციის საკუთარ ეგზემპლარზე აქ ავტორს ფანქრით მიუწერია: „1643 წ. თეიმურაზ მეფე რევაზ ბარათაშვილს: „გიბოძეთ ... თქვენი სამკვიდრო მამული... ფაზაანთ კარაქა, მუსეფრიანი, ქობევანი, ძვ. დმანისი, თეკენამი, მიჯა“. ცსსა. ფ.1449 № 1267“ – რედ.

ქუევრი დაეთხაროს და ან დაემტურიო[ს, უნდა] სახლისუხ[უცესს?] უზღუევინოს“ (ი. დოლიძე 1977: 590-591).

დმანისხევის ახალ სათავადოებში ძველი სოფლების მოშენება თუ აღორძინება დაემთხვა ქართლში შედარებით მშვიდობიან პერიოდს, როსტომის მეფობას რომ მოჰყვა. ეკონომიკური აღმავლობა და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება მთელ ქართლში შეიმჩნეოდა. ყაფლან ორბელიშვილის წარმატებას კი ისიც განაპირობებდა, რომ იგი მდივანბეგი და სახლთუხუცესი იყო როსტომ მეფის კარზე, ხოლო ვახტანგ V-ს ყაფლანის ქალიშვილი ესვა დედოფლად. დმანისხევის სოფლების ასაღორძინებლად ყაფლან ორბელიშვილის მიერ ჩატარებული სამუშაოები ასახულია იმდროინდელ საბუთებში. საამისოდ იგი იყენებდა მამულის მიბარების ფორმასაც. 1653 წ. ერთი საბუთის მიხედვით, ვინმე ალიაღა და მისი შვილი სოფი სახლთუხუცესს, ბატონ ყაფლანს, ასე მოახსენებენ: „თქუენი ერთგული და მოსამსახურე კაცნი ვიყუენით, წყალობა გვიყავით, თქუენი სამკვიდრო მამული, ყოვლის კაცისაგან უცილობელი სოფელი მუხნარა სამის კუამლის გლეხითა გვიბოძეთ და ასაშენებლად ჩუენ მოგვაბარეთ; ჩუენ ეს პირობა დაგიდევით და მოგახსენეთ, რომ ავაშენოთ და თქუენ გამსახუროთ და როდისაც თქუენ ჩუენთვინ მოსაბარებლად აღარ გეპრიანება, თქუენი სამკვიდრო მამული სოფელი მუხნარა ისიევე თქუენ დაიჭიროთ და ჩუენ ჴელი აღარა გვქონდეს“ (თაყაიშვილი 1909: 415). ეს ალიაღა გაქართველებული „თათარი“ უნდა იყოს, რომელიც ყაფლანის სოფლის აშენებით, ცხადია, თვითონაც ისარგებლებდა.

ახალი სათავადოს შექმნა დაგვირგვინდა გვარეულობის ჩამოყალიბებით, რომლის წარმომადგენლები იწოდებოდნენ ყაფლანიშვილებად. იყო შემთხვევები, როდესაც მათ ძველებურად ორბელიშვილად ან ბარათაშვილობითაც მოიხსენიებდნენ. პაპუნა და ყაფლან ბარათაშვილების ზემოხსენებულ საბუთში ნათქვამია გეტისხევის დარბაზის საცილობელი მამულების შესახებაც. ის ჭრეშის ჩრდილოეთით დღესაც არსებული სოფ. დარბაზის ტერიტორიას ემთხვევა. ვახუშტის რუკაზე იქ მთავრის ანუ თავადის რეზიდენციაა აღნიშნული. მართლაც, სოფლის სიახლოვეს შემორჩენილია სამსართულიანი, ოთხკუთხა კოშკი ბუხრებითა და სათოფურებით. აქვეა დარბაზული ეკლესია კლდის დაუმუშავებელი ქვით დუღაბზე ნაგები, რომელიც შიგნიდან შელესილი ყოფილა. ოდნავ მოშორებით, სამხრეთისაკენ, ორსართულიანი სასახლის ნაშთია, თანმხლები კარის ეკლესიით. დარბაზული ტიპის სამლოცველო აქაც ნაგლეჯი ქვით უშენებიათ. აღმოსავლეთ ფასადზე კედელში ჩაღრმავებულ ჯვარს შუაში გამოჭრილი სარკმელი აქვს. აღწერილ ნაგებობათა ირგვლივ ნასახლარებია. მთელი ეს კომპლექსი ფეოდალური ხანის გვიანი საუკუნეებით თარიღდება და ბარათაშვილთა ერთ-ერთი რეზიდენცია უნდა იყოს. თვით სახელწოდება „დარბაზი“ აქ ძველთაგანვე

მნიშვნელოვანი პუნქტის არსებობაზე მიგვანიშნებს. ამიტომვეა დარბაზის შემოგარენში მაღალი ხარისხის საკულტო ნაგებობანი, რომელთა ასაკი წინ უსწრებს XVI-XVII სს-ის სათავადოებს.

XVII ს-ში ყაფლანიშვილთა ძირითადი რეზიდენცია გეტისხევის ტანძიაში იყო. აქ ჰქონდათ მათ სასახლე და კარის ეკლესია. ყაფლან ორბელიშვილს ხუთი ვაჟი დარჩენია. ალ. ორბელიანის ცნობით, ყაფლანის გარდაცვალების შემდეგ მათ „თავ-თავისთვის გაუკეთებიათ სახლები სოფელ ტანძიას და ყმა და მამულიც თავ-თავისთვის დაუჩემებიათ... სოფელ ტანძიას ოთხი ძმა ერთ მხარეზე მდგარან და სალოცავად პაპუნას ეკლესია ჰქონიათ ოთხს სახლობას. ამათზე ცოტა მოშორებით, ჩრდილოეთის მხარეს მეორე ძმა ორბელ მდგარა და ეკლესიაც ცალკე ჰქონია თავისთვის“ (ჯამბურია 1955: 82).

ტანძიაში ყაფლანიშვილთა ნასახლარიდან თითქმის აღარაფერი გადარჩენილა. სამი ერთნავიანი ეკლესიიდან ორს წარწერები აქვს. ღმრთისმშობლის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე მხედრული წარწერა ასე იკითხება: „ქ. სამკვიდროთა ჩვენთა, ტაშირის და საორბელოთ პატრონი და მრავლისა დიდებისა მქონებელი, ხუთთა ძმათა უფროსი, უძეო ვიქმენით და ჴელ ვყავი ამას ჩვენთვის სახსენებლად, შენდობა ბრძანეთ, გევედრები. ქორონიკონსა ტნიჱ სრულ იქმნა“. თარიღი 1680 წ. გამოდის. მეორე მხედრული წარწერა დასავლეთ შესასვლელთანაა: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ პატრონის ყაფლანის შვილმა ბატონმა პაპუნამან და თანამეცხედრემან ჩვენმა, აბაშის ქალმა ბატონმა ბანგიჯასპიმ, აღვაშენე წმიდა ესე ტაძარი კარისა ღმრთისმშობლის სახელზედა ჩვენდა შესანდობელად“. ამრიგად, ეკლესიის მაშენებელი ყოფილა პაპუნა ყაფლანიშვილი, ძმებს შორის უფროსი, რომლის ეპიტაფიაში ნათქვამია, რომ ის იყო „სომხითის მოურავი, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა“ (თაყაიშვილი 1929: 90). სწორედ ამ პაპუნას ეკლესია ჰქონდა სალოცავად ოთხ ძმას,როგორც ამას ალ. ორბელიანი გვაუწყებს.

წმ. ნიკოლოზის სახელობის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია უკეთესად ნაგები შენობაა, რომლის სამხრეთ შესასვლელთან ასომთავრული წარწერაა: „ქ. წმიდაო ნიკოლოზ მეოხ ექმენ პატრონს ორბელს“. ამ ორბელის მიერ შეწირული სვინაქსარის მინაწერში ეკლესიის აღშენების გარემოება უფრო ვრცლადაა მოთხრობილი: „ქორონიკონსა ტოა (1683 წ.). ქ. მე ფრიად ცოდვილმან საქართველოს მოსამართლემან, ქართლისა და კახეთისა ჴელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმამან, დიდის ორბელის შვილის, ბატონის ყაფლანის ძემან, მდივანბეგმან ორბელ, აღვაშენე ჩემს სამკვიდროს სასახლესა შინა ტანძიას კარის ეკლესია სახელსა ზედა წმიდისა და დიდებულისა, უბრალოთა სიკვდილისაგან დამხსნელისა, წმიდისა ნიკოლოზისა, და შევამკევი ყოვლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა, წიგნითა და

ხატებითა, შესამოსლითა და მოფენილობითა... ცოდვილისა სულისა ჩემისა განსასვენებლად და მეუღლისა ჩემისა, არაგვის ერისთვის ზაალის ასულის ბატონის თამარის ცოდვათა შესანდობელად და რვათა ძეთა და სამთა ასულთა წარსამართებლად და სადღეგრძელოდ“... (თაყაიშვილი 1929: 94). ეს ორბელი (იგივე ვახტანგი) ზემოხსენებული პაპუნას ძმაა, რომლის რვა ძეთა შორის ერთი იყო სულხან-საბა ორბელიანი.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია ვახუშტი ბატონიშვილის მითითება, რომ ტანძიას არის „ქვიტკირის შენებულებანი მრავალნი“, ხოლო მის რუკაზე აქ აღნიშნულია დიდი მთავრის, ანუ დიდი თავადის რეზიდენცია. პაპუნასა და ვახტანგ ყაფლანიშვილების მესამე ძმა, ასლანი, მოხსენიებული ყოფილა კიდევ ერთ წარწერაში, რომელიც ახლა დაკარგულია. ალ. ორბელიანის ცნობით, „ზევით, ჩვენ მამა-პაპის მთის ძირში, სოფელია საკარისი, აქ წყაროზე ქვიტკირის თაღია და ქვაზე ესრეთ აწერია: „შეწევნითა ღმრთისათა, მე ორბელის შვილის ბატონის ასლანისა და თანამეცხედრის ბატონის თამარის აზნაურშვილმა, ავთანდილისშვილმა იაგანამა, საკარისის მოურავმა გავაკეთე სასახლის საკარისის წყარო ერეკლეს მეფის დროსა (ერეკლე I – ალ. ორბელიანი), ვინც ნახოთ ჩემთვის შენდობა ბძანეთ“ (თაყაიშვილი 1951: 165). ეს ასლანი ან ასლანბეგი სომხითის მოურავიც ყოფილა, გარდაცვლილა 1701-1702 წწ. იაგანა ავთანდილიშვილი 1701-1711 წწ. აღწერით, საკარისის მემამულე იყო. მაშინ იქ ყოფილა 24 გამომღები და ორი ბოგანო ყმა (ჯამბურია 1955: 341). 1721 წ. აღწერით, ყაფლანიშვილების ამ ორ სოფელში 14 გამომღები და 5 აყრილი ყმა ითვლებოდა. შემდგომ ხანებში მოსახლეობა მომრავლებულა, რაც ჩანს ოსმალურ თბილისის დავთარში: 1727-1728 წწ. იქ აღწერილია დმანისს დაქვემდებარებული ზემო და ქვემო საკარისები. ზემო საკარისში 41 კომლია, თითქმის მთლად ქართველები: თამაზი ძე თათარასი, დავითი ძე პაპუნასი, ზურაბ მისი ძე, გივი მირველის ძე, პაპუნა პაპუნას ძე, ბეჩუა მისი ძე, შიო მისი ძმა, გოგინა ძე სოფრომისი, ბერო მისი ძე, ნასყიდა ძე საღინასი, გივი მისი ძე, ბერო მახარას ძე, ოქრო მისი ძე, მამუკა სულხანის ძე, გოგიტა ზურაბის ძე, გიორგი ივანეს ძე, პაპუნა ბიძინას ძე, სეხნია მახარას ძე. ასლან ყაფლანის ძე და სხვ. გაქართველებული თურქმანი და სომეხი უნდა ყოფილიყო ყარახან ძე თამაზისი, ასლამაქ ყაზარის ძე, ასლან აკოფის ძე. ყველა ესენი საქრისტიანო გადასახადს იხდიდნენ, ასევე გადასახადს ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ერბოზე, ფუტკარზე, ღორზე, ცხვარსა და თივაზე, სულ – 17380 ახჩას.

ქვემო საკარისში უფრო მეტი იყო უცხო წარმომავლობის მოსახლეობა, ქართველებთან ერთად იქ 38 კომლია: ზალინა შაჰვერდის ძე, ათაბაგი მისი ძე, ასლან ძე გულიასი, თამაზა ბიჭუას ძე, თამამა მამუკას ძე, ნურალი ყულიხანის ძე, აკოფ მისი ძმა, ასლამაზ სულხანის ძე, ასატურ ჭიშმარიტას ძე, რევაზ მისი ძმა, მხითარ ვართანის ძე,

გარეგინ მისი ძმა, აზადი ძე კირაკოზისა, მამაჯან მისი ძე, გარეგინ ასატურას ძე, კირაკოზ მისი ძმა, ღარიბა მახარას ძე, ბიჭუა კირაკოზის ძე, დავითი მისი ძე და სხვ. აქაც ყველა ქრისტიანია, რისთვისაც ისფენჯით იბეგრებიან. ზემო საკარისის მსგავსად აქაც იხდიან გადასახადს მარცვლეულზე, ფუტკარზე, ღორზე, ცხვარსა და თივაზე. მაგრამ მისგან განსხვავებით, ქვემო საკარისში ერბოს მაგიერ ზეთზეა გადასახადი, რადგან მუშაობს ბეზირხანა, ანუ ზეთსახდელი და ერთი თვალი წისქვილი. აქვეა აღნიშნული ერთი თავისუფალი მიწა (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 139-140). შესაძლოა, ის ეკუთვნოდა აქაურ მებატონე ყაფლანიშვილს, რომლის შთამომავალი უნდა ყოფილიყო ზემო საკარისის მოსახლეთა ბოლოს დასახელებული ასლან ყაფლანის ძე (შდრ.: ზემოხსენებული ასლანბეგ ყაფლანიშვილი).

დმანისხევის სოფლების უმეტესობას ყაფლანიშვილები დაეპატრონენ და ამიტომ ეს მხარე, ზოგადად, საორბელო-საყაფლანიშვილოდ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, დროდადრო ცალკეული სოფლები სხვათა მფლობელობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამათგან განსხვავებით, XVII ს-ში კიდევ ერთი სათავადო – საზურაბიშვილო ჩამოყალიბდა, რომლის ძირითადი ტერიტორია კაზრეთის ხეობის სოფლებმა შეადგინეს. აქ იყო მათი რეზიდენცია სასახლით, ძირითადი სასაფლაოთი, მონასტრით და კარის ეკლესიით. საზურაბიშვილოს შემქმნელად ითვლება ზურაბ ბარათაშვილი, საბარათიანოს სარდალი სიმონ II-ისა და როსტომის მეფობაში (ჯამბურია 1955: 58). როგორც საბუთებიდან ჩანს, კაზრეთის ხეობის სოფლების გარდა, ზურაბიშვილებს მამულები ჰქონიათ დმანისხევის და ქციის ხეობის სხვა სოფლებშიაც. ზურაბ სარდალს „უშოვნია ახპატი“ ლორეში, რომელიც XIX ს-მდე ზურაბიშვილთა ხელში იყო (თაყაიშვილი 1899: 437).

1662 წ. ზურაბ ზურაბიშვილს „მეორედ აღუშენებია“ სათხის ეკლესია კაზრეთის ხეობაში. ამის შესახებ მოგვითხრობდა მხედრული წარწერა ჩრდილოეთი ეკვდერის აღმოსავლეთ ფასადზე: „ქ. ჩვენ, ზურაბის შვილმან, ძემან პატრონი... შანშესი, პატრონმა ზურაბ, მეორედ აღვაშენე სა...(ვინც) წაიკითხოთ შენდობით მიხსენეთ. დაიწერა აპრილის ა ქორონიკონსა ტნ“ – 1662 წ. (თაყაიშვილი 1951: 161). ამჟამად წარწერიდან მხოლოდ ზოგიერთი ასოღა ირჩევა. აქ ნახსენები „მეორედ აღშენება“ ეკლესიის შეკეთებას გულისხმობს.

სათხე ძველი წყაროებით უცნობი სახელია, მას ადგილობრივ განმარტავენ, როგორც გარეული თხების შესაკრებელ ადგილს. ვახუშტის რუკაზე კაზრეთისხევის მარცხნივ, ამ ადგილას, კვირაცხოველია აღნიშნული, რაც ამ ეკლესიის და ნასოფლარის ძველი სახელი უნდა იყოს. ამის მოწმობად შეიძლება გამოდგეს მოგვიანო ხანის საზურაბიშვილო სოფლებში, სვიმონ ზურაბიშვილის მიერ დასახელებული „სოფელი კვირაცხოველი და ჩვენი სასაფლაო“

(თაყაიშვილი 1899: 437). ეს უკანასკნელი კი სწორედ სათხის ეკლესიაში უნდა ყოფილიყო, ამიტომაც ბუნებრივი იქნებოდა ზურაბ ზურაბიშვილის მიერ გამოჩენილი მზრუნველობა ამ ეკლესიის მიმართ.

1690 წ. ერთი საბუთის მიხედვით, ვახუშტიშვილმა პატრონმა მანუჩარ და მისმა ბიძაშვილმა პატრონმა ბადურ ბატონ ზურაბს მიჰყიდეს „ორ ძმათ წილი ისპიანი, მისის სამარლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, მიწითა, წყლითა, საწყლისპიროთა, საწისქვილოთა, ჭალითა, სასაროთა, ყოვლისა თავისი კერძითა“ (თაყაიშვილი 1899: 428).

ისპიანის სამების მახლობლად, კაზრეთისხევის მარცხენა სანაპიროს ტერასებზე ნასახლარია, რომელსაც ახლა სამტრედოს უწოდებენ. ალ. ორბელიანის გადმოცემით, აქ ყოფილა ბაბილაშენი, იგი ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღნიშნული რუკაზე და მოხსენიებული სოფლების სიაში. ბაბილაშენში იყო ზურაბიშვილების რეზიდენცია და კარის ეკლესია. ეკლესიის მხედრული წარწერა ამჟამად დაკარგულია, ის ალ. ორბელიანის გადმონაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ექვთ. თაყაიშვილმა: „ქ. ბრძანებითა ღთისითა ჩვენ ზურაბიშვილმან ბატონმან რევაზ და თანამეცხედრემა ჩვენმა, ფალავანდის შვილის ქალმა ბატონმა თამარმა, აღვაშენეთ წმიდა ესე ეკლესია ღთაებისა, მამისა და დედისა ჩვენისა სასულიეროთ და ჩვენდა მომხსენებლად და შვილთა ჩვენთა გასაძლიერებლათა. ვინც მობრძანდეთ, ჩვენს ცოდვილს სულს შენდობა უბრძანეთ. სრულ იქმნა თუესა ივლის ათსა, ქორონიკონს ტპე (1697 წ.). ღვთაებაო შემწე მეყავ აღმშენებელსა შენსა“ (თაყაიშვილი 1951: 163). რევაზ ზურაბიშვილი გიორგი XI-ის მეფობაში ზურაბიანთ სახლის უფროსი ყოფილა, რომელსაც საგვარეულო მამულების შემოსავლიდან ორი მესამედი ერგებოდა (ჯამბურია 1955: 59). XIX ს-ში აქ მოგზაურობის დროს ბართოლომეის კიდევ ერთი მხედრული წარწერა უნახავს, რომელიც ბროსემ გამოაქვეყნა: „... შადრუენთ წყარო ესე ჩვენა... ზესა ამას ბ...გი...მ და თანამეცხედრემა ჩვენმა ელენემ“ (მელანუ აზიატიკ 1854). როგორც ვხედავთ, შადრევნის წყარო გაკეთებული უნდა იყოს რომელიღაც ზურაბიშვილისა და მისი მეუღლის – ელენეს მიერ.

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ბაბილაშენის რეზიდენციაში ორი სასახლე მდგარა – ქვისა და აგურის. აქვე ყოფილა კარის ეკლესია, საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები, სამზარეულო, ნახევრად ღია მარანი. ყოფილა სახელოსნო რკინის სადნობი ქურებით, რომელიც ადგილობრივი მადნით მომარაგდებოდა (სინაურიძე 1985: 53).

ვახუშტის რუკაზე რეზიდენცია, მონასტერი, იასპიანი და ბაბილაშენი ცალ-ცალკეა აღნიშნული, რაც შეცდომა უნდა იყოს.

კაზრეთისხევის მაშავერასთან შესაყარის სიახლოვეს საზურაბიშვილოს და საყაფლანიშვილოს ერთმანეთში საცილობელი მამულები ჰქონდათ მაშავერის ორსავე ნაპირზე. ორბელიშვილ-ყაფლა-

ნიშვილებმა თანდათან შეისყიდეს ყმა-მამული და მაშავერისპირა სოფლებს დაეპატრონენ, თუმცა კი დავა XIX ს-მდე გრძელდებოდა, რაც ასახულია ისტორიულ დოკუმენტებში. ყურადღებას იპყრობს ერთი საბუთი 1704 წლისა, რომელსაც შაჰყულიხანი აძლევს ორბელიშვილს სულხან ყოფილ საბას: „მაშინ ოდეს ზაალ ერისთვის ქალს ბატონს დედათ თქვენს თავის მზითვის სამკაულით ჯალდამი და ღორისთავი ეყიდა, მერმე ჩვენის ერთგულობისათვინ და ნამსახურობისათვინ ერეკლე მეფეს დაუნაშავებლად ასრე წაეჴდინე, არც ამ ქვეყანას დაეყენებინე, და ნასყიდიც წაერთმია, თავად დაუნაშავებლად წართმა და მერმე ნასყიდისა აროდეს ყოფილიყო, თვითან მასუკან იმასვე თქვენი დაუნაშავებლობა შეეტყო... და ახალციხიდან ისრევ მოეყუანეთ და დედის თქვენის ნასყიდი ისრევ ებოძა,ჩვენც ამ სიგელით დაგვიმტკიცებია, რომე სრულობით ჯალდამი და ღორისთავი თავისის სამართლიანის სამძღვრით დედის თქვენის ნასყიდია და არას კაც ჴელი არ აქვს“ (თაყაიშვილი 1899: 82). სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ კიანეთი, ღორისთავი და ჯალდამი მოსაზღვრე სოფლები ყოფილა, რომ ჯალდამსაც ძველად ღორისთავი რქმევია, რომ ეს სახელწოდება ბოლოს მაშავერის მარჯვენა სანაპიროზე შერჩენილა (ი. დოლიძე 1977: 77, 396).

სულხან-საბას კუთვნილი ღორისთავის მახლობლად მდებარეობს დავით-საგარეჯოს მონასტერი, რომლის ეკლესია მეორედ აუშენებია საბას ძმას ერასტი მდივანბეგს. ეს მომხდარა მას შემდეგ, რაც სულხან-საბა ბერად აღკვეცილა დავითგარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერში. დავით-საგარეჯოს ეკლესიის ბალავრის ქვაზე მხედრული წარწერა ყოფილა ამოჭრილი, რომელიც ახლა ნანგრევებშია ჩალეწილი. ალ. ორბელიანის მიერ გადმოწერილი, იგი გამოაქვეყნა ექვთ. თაყაიშვილმა: „ჩვენ დიდმა ორბელის ძემან, მდივანბეგმან ერასტი და თანამეცხედრემან ჩვენმა ბატონიშვილმა ანახანუმ, ეს მონასტერი წმიდის დავითისი ჟამთა ვითარებისაგან განრყვნილ იქმნა და აწ ჩვენ მეორედ აღვაშენეთ და შევამკეთ ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და საქმეთა ჩვენთა წარსამართებლად. ვინც იხილვიდეთ ნაშრომსა ამას, შენდობას გვიბრძანებდეთ, სრულ იქმნა ქორონიკონსა ტჟბ (1694 წ.) მეფობასა გიორგისა თვესა აგვისტოსა“ (თაყაიშვილი 1951: 165). მონასტრის ეზოში სხვა სათავსოთა ნანგრევები და თიხის მილებით მოყვანილი წყაროა. ეკლესიის განმაახლებელი აქვე დაუკრძალავთ, რასაც მოწმობს საფლავის ქვებს შორის ერთი წარწერა: „მე ტომად ორბელიანთამან, ძემან ვახტანგისამან ერასტიმ ვიმდებარე საფლავსა ამას ქრისტეს აქათ ჩღლა (1731 წ.) ოქტომბრის კა (21)“ (თაყაიშვილი 1951: 165).

ერასტი მდივანბეგის მიერ გაყვანილი, ზემოთ უკვე ნახსენები, არხი მნიშვნელოვანი სამეურნეო წამოწყება უნდა ყოფილიყო. ის მორწყავდა მაშავერის მარცხენა სანაპიროს მამულებს სოფ. აბულმუგიდან სოფ.

სატრედოს ბოლომდე, დღევანდელი რაიონული ცენტრის ქვევით. შესაძლოა,ამ არხის გაყვანას უსწრებდა წინ ერასტის მიერ სატრედოს მამულების შესყიდვა საამ ბარათაშვილისაგან, რომელიც 1718 წ. ერთ საბუთში წერს: „მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ალალი, უცილებელი მაშავრის პირს ჩვენი წილი სატრედო... მისის საკომლოთა,სასაფლაოთა, მთითა,ბარითა,წყლითა,წისქვილითა,ჭალითა,სათიბითა და სახნავითა“ (თაყაიშვილი 1909: 50).

1721 წ. „აღწერა მეწინავე დროშისა“, სამეფო და სადედოფლო საბარათაშვილოების გვერდით, აღწერს საყაფლანიშვილოსაც. ამ უკანასკნელში ქციისა და დმანისხევის 36 სოფელი გაერთიანებულია „დაბალში“ (ლორთქიფანიძე 1935: 16, 258). მათი მდებარეობა, მართლაც, დაბალია საყაფლანიშვილო ტაშირის, ლოქის, ზურტაკეტისა და დმანისხევის მთის სოფლებთან შედარებით. აღწერის „დაბალი“ ქციისა და დმანისხევის ბარს გულისხმობს, ვახუშტი ბატონიშვილისეული „უვენახო“ ზონის საპირისპიროს. დმანისხევიდან აქ ჩამოთვლილია გეტისხევისა და მაშავერის მარცხენა სანაპიროს სოფლები ქვეშის აღმოსავლეთით.

ისევე როგორც მთელ საქართველოში, გვიანი საუკუნეების ქვემო ქართლშიაც, ძველი ხევები ან „ახალქალაქობის ხანის“ ქვეყნები უკვე სათავადო სახლებისადმი კუთვნილებით აღინიშნებოდნენ: საბარათაშვილო, საორბელო-საყაფლანიშვილო... ეს იმიტომაც, რომ სამშვილდე და დმანისი, როგორც ქალაქები, აღარ არსებობდნენ და ქართულ წყაროებში ისინი ამ სახელწოდების მხოლოდ პუნქტებს ან ციხეებსღა აღნიშნავდნენ. იყო გამონაკლისებიც, მაგ. ესაია ჰასან ჯალალიანცის ცნობით, 1720 წ. ლეკები შეჭრილან საქართველოში და აუკლიათ „ოლქები, რომელთაც სომხითს და დმანისს უწოდებდნენ“ (ესაია ჰასან ჯალალიანცი 1971: 26). ეს ძველი ტრადიციის გავლენა უნდა იყოს, რადგან 1730 წ. ამბებს სეხნია ჩხეიძე ასე აგვიწერს: „გამოვიდა ლეკის ჯარი... ააოხრეს საციციანო... საბარათაშვილო თავით ბოლომდე, ქციის გაღმართი დმანისს ქვეითი (სეხნია ჩხეიძე 1903: 4).

1727-1728 წწ. შედგენილ ოსმალურ თბილისის დავთარში დმანისს დაქვემდებარებულია ორმოც სოფელზე მეტი. ისინი ძირითადად მაშავერის ზემო წელისა და ფინეზაურის ხეობაში განლაგებული პუნქტებია. მაგრამ აქ საინტერესო ისაა, რომ „დმანისს დაქვემდებარებულ“ სოფლებში ჩამოთვლილია ზურტაკეტის სოფელთა ერთი ჯგუფიც. მათ შორის დასახლებული ყოფილა მუსაყალა, სარკინეთი, შულავერი, შესაყარი და ყარაბულახი. მოსახლეობისაგან დაცლილია დემურას სოფელი, პატარა ვარდისუბანი, გვარჯილა, სარეხველა, საფიქლე, უსეინქენდი, ორმოშენი (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 147-149).

ზემოთ განხილულ, 1589 წ. სიმონ მეფის არზაში, დმანისის ციხის სანახებში ჩამოთვლილი სოფლები მაშავერის აუზის პუნქტებია.

ზურტაკეტის სოფლები იქ არ იხსენიება, ალბათ იმიტომ, რომ ისინი მაშინ სხვა ციხის სანახებში ითვლებოდნენ და ექვემდებარებოდნენ მუსის ციხეს. 1727-1728 წწ. ეს ციხე მოშლილი ჩანს და მუსიყალას სახელწოდებით მხოლოდ სოფელია მოხსენიებული, რომელიც უკვე დმანისის ციხეს ექვემდებარება, ადრე მუსის ციხის შემავალ სხვა სოფლებთან ერთად. მაშინ იქ 23 კომლი ყოფილა, უმეტესობა ქართველები ან გაქართველებული სომეხ-თურქმანნი. აღსანიშნავია,რომ მუსაყალაში, რაც ქართული მუსის ციხის თურქმანული შესატყვისია, დასახელებულია ელიზბარ მღვდელი, რომელიც თანასოფლელებთან ერთად იხდიდა საქრისტიანო გადასახადს. ბუნებრივია, რომ დმანისს დაქვემდებარებული ზურტაკეტის ზემოხსენებული სოფლები ყვე-ლა საყაფლანიშვილო საკუთრება იყო. XVIII ს-ის დასაწყისის აღწე-რილობით კი ზურტაკეტის სოფელ სარკინეთში დმანელ ეპისკოპოსს მამულებიც ჰქონდა (ლორთქიფანიძე 1935: 344).

დმანისის ციხის ტერიტორიაზე გათხრებმა გამოავლინა წარ-წერიანი ქვევრი. მხედრული წარწერა ქვევრის პირზე გამოწვამდეა შესრულებული და ასე იკითხება: „ქ. ესე ქვევრი არის სოფლის სიონის და დაუწერია ზაალის ქალს (ხამფერეს?)“. წარწერა XVII ს-სა უნდა იყოს და იმას გვაუწყებს,რომ დმანისი ამ დროს ქალაქი კი არა, არამედ სოფელია, ხოლო მისი საკათედრო ტაძარი – „სოფლის სიონი“ (კოპალიანი 1996: 111).

თუ რას წარმოადგენდა დმანისი XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ჩანს 1730 წ. ერთი საბუთიდან, რომელიც ორბელიანმა გორჯაპისშვილმა ქაიხოსრომ მისცა მდივანბეგიშვილებს, სახლთუხუცესს ელისბარსა და ვახტანგს: „დმანის სასახლე,ნარიყალა და ნაციხვარი კურთხეულს პაპა თქვენს ორბელს ძმებისაგან წილში რგებოდა და სახლიც აეშენებინა. მასუკან ბიძა თქვენი სულხანი იქ მდგარიყო და მამა თქვენს ქორწილი იქ ექნა. მას უკან ერეკლე მეფის ჟამში ბიძა ჩემს პაპუას იქ ცოტა რამ შენობა ექნა, მერმე ბიძა თქვენმა, მდივანბეგმა ერასტიმ, ლაპარაკი დაგვიწყო და გვთხოვა... ადგილი იმისი იყო, მივართვით და ციხე და სახლები თითონ ააშენა და ჩვენის შენობის ფასს დაგვპირდა, ვეღარ მოგვცა და ზედავ დარჩა. ახლა თქვენ... მოგახსენეთ და... პაპუას შენობის სასახლის ფასი თქვენ მოგვეცით“ (თაყაიშვილი 1909: 356).

საბუთში ნახსენები არაა, მაგრამ იმავე დროის აღმშენებლობაზე მოგვითხრობს, დმანისის მცირე, დარბაზული ეკლესიის სამხრეთ ბალავარზე მოთავსებული მხედრული წარწერა: „შეწევნითა ღმრთისაითა, მე ფრიად ცოდვილმან, ბატონიშვილის მარიამის გამ-დელმან ისახარ, კუალად განვაახლე დაქცეული საყდარი ესე წმიდის მარინისა, ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და ბატონთა ჩვენთა მოსახსენებლად ქრონიკონსა ტჟ“ – 1702 წ. (ვ. ჯაფარიძე 1982ა: 51). წარწერაში დასახელებული ბატონიშვილი მარიამი შესაძლოა

ზემოხსენებული ერასტის ქალიშვილი იყოს, რომელიც 1712-1174 წწ. ცოლად გაჰყოლია იესე მეფეს, ვახტანგ VI-ის ძმას (ქავთარია 1991: 154). გამდელის სახელი ისახარი წარმომდგარი უნდა იყოს იის სახა-დან ისევე, როგორც ვარდისსახადან მივიღეთ ვარდისახარი (ამის შესახებ იხ. ზემოთ სახელთან ვარდერესი). გამოდის, რომ მაშინდელი დმანისი ეს იყო ციხე, ორბელიშვილთა სასახლეები, საეპისკოპოსო ტაძარი და წმ. მარინეს ეკლესია; აქვე ყოფილა ყაფლანიშვილთა დუქნები (ჯამბურია 1955: 107). მცირე მოსახლეობა ძირითადად ალბათ ამალა და შინამოსამსახურეთა ოჯახები.

1727-1728 წწ. ოსმალური დავთარი დმანისის ციხის რაბათში მხოლოდ ცხრა კომლს ასახელებს: ქიტუა, რამაზ, ნიკოლოზ, პაპას ძე, თაყა, გიორგი, მამუკა, ბათა, რომელთა გადასახადი 4500 ახჩა ყოფილა (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 163).

1739 წ. ლეკებმა სომხითი ააოხრეს და დმანისის ციხეს მიადგნენ. პაპუნა ორბელიანის ცნობით, „გავიდის მებრძოლი დმანისის ციხით და შეების ლეკთ ვერა ავნეს რა ციხეს და ვერცარა წაუხდინეს... გავიდნენ ყაფლანიშვილები, სრულიად მიუძღვენ ლეკზე, გაემარჯვათ... ასე დაფანტეს ჯარი ლეკისა, რომ ათს დღემდის ტყეში იჭერდნენ მრავალს და მოჰყავდათ ცოცხალნი დმანისის ციხესა შინა“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 43). პაპუნა ორბელიანი, ისტორიკოსი და პოეტი, ყაფლანიშვილთა თავადური სახლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, თვითმხილველი და მონაწილე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა. ამიტომ მისი ცნობები დმანისხევთან დაკავშირებით უტყუარი და ნიშანდობლივია.

1741 წ. ზურაბ ზურაბიშვილს სარდალ ქაიხოსროსათვის მიუყიდია მისი წილი სოფ. ქვეში თავისი ციხით (ნ. ბერძენიშვილი 1940: 295). ამის შემდგომ ქვეშის ციხე მნიშვნელოვნად შეუკეთებიათ, რის შესახებაც მოთხრობილი ყოფილა ციხის წარწერაში. ის ამჟამად დაკარგულია, მაგრამ მისი არსებითი ნაწილი ექვთ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა, სადაც იკითხება: „დწ... ყებასა ქრისტეს აქათ ჩღმბ (1742 წ.) ამირ სპასპეტ სარდალ მსაჯულთუხუცეს მდივანბეგ (ორბელიანმა ქაიხოსრომ) მოიყიდა ადგილი ასე ქვეშის დუშენი, მოზღუდა ციხე და განკაფა კლდე... იხსნა ნებითა თვისითა და ბრძანებითა თვითმფლობელისა მის სარდ... რევაზ და შემდგომად მიცვალ... ნე სრაპალა ულ“. ბოლოში მოხსენიებული თარიღითა და ტიტულებით გამომცემელმა სამართლიანად ივარაუდა სარდალი ქაიხოსრო, რომლის შვილი რევაზი მამის გარდაცვალების შემდეგ (1747 წ.) დაეპატრონა ქვეშსა და მამის სახელოს (თაყაიშვილი 1951: 154). წარწერაში გაუგებარია სიტყვა დუშენი. შესაძლოა, აქ ყოფილიყო შეცდომით დაწერილი ან ამოკითხული „დუბენი“. მაშინ გამოვიდოდა, რომ ქაიხოსრომ „მოიყიდა ადგილი ესე ქვეშის დუბენი“, დუბე კი დაბალი ადგილია. მართლაც,

იმ საბუთში, სადაც საუბარია ქვეშის ციხის გაყიდვაზე, ზურაბიშვილს ქაიხოსროსათვის მიუყიდია სოფ. ქვეშს მცხოვრები 9 კომლი თავისი მამულებით, წისქვილით, სახლკარით, ქვევრ-მარნით და კალო-საბძლით (ნ. ბერძენიშვილი 1940: 295). ყველა ესენი უნდა ყოფილიყო ქვეშის დუბეებში, ციხის მახლობლად, სადაც ქაიხოსრომ „მოზღუდა ციხე და განკაფა კლდე". როგორც ჩანს, რევაზს იქვე აუშენებია „სრაპალატი".

1743 წ. ლეკებმა ზურტაკეტზე გამოვლით საბარათიანო ააოხრეს. ისინი დმანისხევს მოსულან: „მიუხდნენ მანაკერტს, ქვაბები იყო გამაგრებული, ასეთი იერიში მიუტანეს, კიბეებზე აუცვივდნენ, დაუშინეს შიგნიდამ, მრავალი ლეკი დახოცეს, იქავ იარაღით დაინარჩუნეს, შემოეცალნენ ლეკნი და მათ ვერა ავნეს რა". აქედან გაქცეული ლეკები სანაინს გადასულან, ბევრი ტყვე და ნაშოვარი წამოუღიათ, მაგრამ ქვეშის ციხეში მყოფი ქაიხოსრო ყაფლანიშვილი წამოსულა და ლეკები დაუმარცხებია (პაპუნა ორბელიანი 1981: 67). იმავე ისტორიკოსის სიტყვით, იმხანად „მუდამ იყვის ლეკი ორბელიანთ მამულში და აოჴრებდნენ, ასე რომ არაფერი მიწის ნაყოფიერება აღარ ააღებინეს რა" (პაპუნა ორბელიანი 1981: 69).

1744 წ. დმანისში თეიმურაზ მეფე მდგარა, აქ ჰქონია მას თოფ-ზარბაზნის საცავი, აქედან ებრძოდა იგი ლეკებს და არბევდა ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთს (პაპუნა ორბელიანი 1981: 85). 1746 წ. დმანისში ციხესთან ერთად მოქმედებდნენ დუქნები, ყოფილა ბაღი, წისქვილი და თევზის საჭერი ბადე, იქვე ყოფილა მცირე მოსახლეობა, რომელიც მიწას ამუშავებდა (ჯამბურია 1960: 121).

1747 წ. ნადირ-შაჰისაგან უზომო გადასახადებით შევიწროებული ქართლ-კახეთის მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს. ყიზილბაშთა შემოსევების შიშით ხალხმა მთასა და ტყეს მიაშურა. თეიმურაზ მეფის ნებართვით, ყაფლანიშვილებს თავისი მამულების დაცვაზე უზრუნიათ. სარდალი ქაიხოსრო ქვეშის ციხეში გამაგრებულა, პაპუნა (ისტორიკოსმა) და ყაფლან ორბელიანებმა კი მიმართეს „თვისსა სამკვიდროსა ციხესა დმანისისასა. აჰყარეს მამული თვისი და შემოკრიბეს ციხესა შინა, აგრეთვე აჰყარეს ტაშირის ქვეყანა და შემოიყვანეს ციხეში". უპატრონოდ დარჩენილი ლორიდან ორბელიანებთან მოციქულები მოსულან: „ჩვენ მუდამ ორბელიშვილთ ოჯახის შემწეობით ვდგომილვართო და ახლა ასე უპატრონოდ ვართო და მოგვიარეთო". ყაფლანს ლორის ციხეში თავისი ხალხი ჩაუყენებია და ლორეს ქვეყანა დაუმშვიდებია (პაპუნა ორბელიანი 1981: 122).

ერთი იმდროინდელი საბუთის ცნობით, დმანისხევში 80 ლეკი ყოფილა, რომელთაც გამუდმებული თავდასხმებით 26 კაცი დაუტყვევებიათ, მათთან ერთი აზნაური ჩაჩიკაშვილი. ყაფლან ორბელიშვილს ეს ლეკები შემოურიგებია და ტყვეები გაუთავისუფლებია (თაყაიშვილი 1909: 541). შემორიგებული ლეკები დმანისს მოიყვანეს. „მისცეს ჯარს

ულუფა და დააყენეს სოფელსა ჩინჩახურს, ციხის მახლობელ და აღარსად გაუშვეს ლეკნი სამტროდ“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 122).

ამ წლებში დმანისხევი დიდად დააზარალა აბდულა-ბეგის თარეშმა, რომელიც სამშვილდის ციხეში იყო გამაგრებული. ქართ-ლის ბაგრატიონთა გამაჰმადიანებული ბატონიშვილი ერეკლეს წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი, ძირითადად, გარეშე მაჰმადიანურ ძალებს ეყრდნობოდა და თითქმის გამუდმებით არბევდა მეზობელ სომხითსა და დმანისხევს, ნაძარცვი კი ქვეშისხევით სამშვილდეში მიჰქონდა (პაპუნა ორბელიანი 1981: 135). ჩანს, ქვეშის ციხე დაბრკოლება არ იყო ამ გზაზე, თუმცა კი მეციხოვნენი აბდულა-ბეგის მოწინააღმდეგენი იყვნენ. საქმე ისაა, რომ ქართლში უმეფობის დროიდან ზურტაკეტის სოფ. ეგრისის სამეფო აზნაური გიორგი ლარაძე სარდალ ქაიხოსრო ორბელიშვილის მსახური გახდა, მისი ყმა-მამულის მოურავი. გიორგი ლარაძე ასე წერს თავის თავზე: „აბდულა-ბეგმან რომ სომხით-საბარათაშვილო გაიერთგულა, მე იმჟამად ქვეშის ციხეში დავრჩი 80 კაცით. მოურავი ვიყავ ქვეშისა და იმჟამად აბდულა-ბეგმან ხან ჯარის გარეშემოდგომით მოინდომა ქვეშის ციხის წართმევა, და ხან მრავლის დიდებისა და პატივის აღთქმით“. მაგრამ ქვეშის ციხე თეიმურაზ მეფის ერთგულებას შერჩენია (თაყაიშვილი 1899: 295). ამრიგად, ქვეშის მეციხოვნენი მაშინ თავის და ციხის დაცვაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე დმანისხევის გზების კონტროლზე. მღვდელი გიორგი ლარაძე ქვეშის ციხისთავი ყოფილა 1750 წელსაც (იოსელიანი 1980: 94).

ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში ორბელიშვილებმა სახლიკაცობის რიგით დააწესეს, რომ რაც საერთო მამულში ციხეები იყო, ყველა სახლის უფროსის ხელდებული ყოფილიყო. თუ რამ შემოსავალი იქნებოდა ამ ციხეებიდან, ის საძმოდ განაწილდებოდა, მაგრამ საერთოდ ციხეები სახლის უფროსს ებარებოდა და სახლიკაცები მისი მორჩილნი უნდა ყოფილიყვნენ (ჯამბურია 1960: 24). 1744 წ. ორბელიშვილები ასე მიმართავდნენ დიმიტრი ორბელიანს, გამორჩეულს სახლისა და მამულის უფროსად: „...რაც საორბელიშვილოს კაცი იყოს აზნაურიშვილი, მსახური თუ გლეხი საერთოსო და საუფლისწულოსი, ყველა აგაყრევინოთ, დმანის ციხეში დააყენო, ყველამ ჩვენი კაცი იქიდამ ვიმსახუროთ. სადამდინ არეულობა იყოს, იქ იყვნენ; და რომელმანც შევიძლოთ დმანის ხევში სიმაგრე გავაკეთოთ, იმ ადგილის გლეხი გავიყვანოთ და იმ სიმაგრეში დავაყენოთ... საერთოდამ მანაკერტი დაგიდევით და საუფლისწულო მოგეცით“ (ი. დოლიძე 1977: 706). აქედან კარგად ჩანს, რომ გლეხების დასახლება მხოლოდ ციხესიმაგრის მახლობლად იყო შესაძლებელი, სადაც შიშიანობისას თავის შეფარება მოხერხდებოდა. ამიტომ ეს სიმაგრეები ძირითადად გვიანი ხანის გალავნების ტიპისა უნდა ყოფილიყო. მანაკერტი, ძველებურად, თავადური სახლის უფროსისათვის საუფლისწულო ყოფილა.

1750 წ. თეიმურაზ მეფის დავალებით დიმიტრი ორბელიანს აუშენებია შულავრის, რატევნისა და მარნეულის ციხეები, „დააყენა მეთოფენი მცველად ციხისა და დაასახლნა გლეხნი, რაოდენნი დაიტევდნენ ციხენი ესენი“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 174). რატევნის ციხე ახლა აღარ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, ეს იქნებოდა გალავნის ნაშთი წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლად, რომლის ქვებიც შემდგომში სხვადასხვა მშენებლობებზე გამოიყენეს. XVIII ს-ის 50-იან წლებში ლეკიანობამ ქვემო ქართლში კატასტროფული ხასიათი მიიღო. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1757 წლისათვის „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში... აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბუდახის შვილები სამშვილდესა შინა“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 244). საბუთებიდან ჩანს, რომ იმავე ხანებში უნდა აყრილიყო დმანისიც, ხოლო დმანელი ეპისკოპოსი თბილისს ჩამოსულა (ი. დოლიძე 1972: 550), დაცლილა საკარისი (ნ. ბერძენიშვილი 1953: 75), აოხრებულა რატევანი (იესე ბარათაშვილი 1950: 63).

ქართლ-კახეთში მეფე ერეკლეს ერთმმართველობამ ქვეყანა გააძლიერა და XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან დმანისხევის სოფლებმაც მოშენება იწყეს. ორბელიშვილ-ყაფლანიშვილთა სახლის უფროსი დავითი ერეკლეს სიძე იყო, რასაც, ცხადია, ამ თავადური სახლისთვის წარმატება მოჰქონდა. 1776 წლით იყო დათარიღებული მოოქროვილი, ვერცხლით შეჭედილი ხატი ქვეშის ციხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა, რომელსაც მხედრულად ეწერა: „მღვდელთ მოძღვართა შორის კანონო, ღვთივ სულიერო ნიკოლოზ, მე სახელისა შენისა მოსავი და ხატისა ამის შენისა სასწაულით მხილველი, გიმკობ ვერცხლითა ხატსა ამასა შენსა ქვეშს სასვენებელსა, ორბელიანთ სარდალი სახლთ უხუცესი დავით, მშობელთა ჩემთა შენ მიერ საოხად და თანამეცხედრისა ჩემისა, ყოვლისა საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თამარისა და ჩემად და ძეთა და ასულთა ჩემთა საკეთილდღეოდ... თვესა მაისსა იგს (13), ქრისტეს აქეთ ჩღოვ“ (1776 წ.) (თაყაიშვილი 1951: 154). საბუთების მიხედვით, მოსახლეობა მობრუნებულა რატევანს, აკაურთას, ტამალიას, ტანძიას, თოფრაყალას, ძეძვნარიანში, თაგუთსა და დმანისხევის სხვა სოფლებში.

არსებობს იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერა“, ჩატარებული 1794-1799 წწ. „დროსა მეფისა ირაკლისასა და მეფისა გიორგისასა, ნებითა ამ ორთა მეფეთა აღწერილი სოფლები. შენი და უშენი სოფლები ქართლისა და კახეთისა... რომელნი სოფელნი მიეწერებიან თვითეულს ხეობას“ (იოანე ბაგრატიონი 1986). დმანისხევი, ისევე როგორც სხვა ერთეულები, აქ ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერის“ სოფელთა სიებს მისდევს. ამ აღწერიდან

არ ჩანს, რომელია ამ დროს „შენი“ ე. ი. დასახლებული და რომელი „უშენი“, ანუ ნასოფლარი. არის უმნიშვნელო განსხვავებებიც, მაგ.: „კაზრეთის ხეობა ისპიანად წოდებული“, სხვაობანი მიღებული ვახუშტის სიების არასწორი გაგებით: ლოქისა და ლუკუნის მთებს მიკუთვნებული სოფლები ვახუშტისთან გაყოფილია სათაურებით – „ლოქში“, „ლუკუნში“; იოანესთან კი იკითხება: „ლოქშის ხეობა აწ ლოქად წოდებული“, ვახუშტისეული „ლუკუნში“ აქ სოფლადაა გაგებული სხვა სოფლებთან ერთად; ბუჩუკუნი და ყიშლაღი შეცვლილია ბულუჭნი-თა და ყიზლარა-თი, გამოტოვებულია საბერეთი და სხვ. (იოანე ბაგრატიონი 1986: 51).

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისის დმანისხევში არსებული სოფლების დასამოწმებლად უფრო ნიშანდობლივია საბუთების ჩვენებანი. ასეთია, მაგალითად, 1803 წ. საყაფლანიშვილო სოფლები, „გიორგის შვილის სახასო, რაც შენათ არის: ყალამშიანი... ოროზმანი, ტამალა, ქვემო ოროზმანი, ფარანჯუკი, ხანძორთალა, დამბლუტი, დარბაზთალა, წნელაქარი, ბერთაქარი“. ამავე წლის „მდივანბეგისშვილის სახასო, რაც შენათ არის: შინდნარა, იაღლუზი, ქედის ეკლესია... გოგარჩლუ, აღუმბრუ, სუგეჩანი, ქერანდელი, ერგენთალა, კიპრუჭი, ლოქში შუმბუნი“ (ჯამბურია 1960: 138,141). 1808 წ. ერთ საბუთში იხსენიება კიდევ სოფლები ისპიანი, ღორისთავი, კიანეთი, ჯალდამი (ი. დოლიძე 1977: 336), ხოლო, 1814 წ. – ჯავშნიანი, კაზრეთი და ბალიჭი (თაყაიშვილი 1899: 477).

ექვთ. თაყაიშვილს უნახავს ხის ხატი მხედრული წარწერით: „შემოგწირე ხატი ესე ივანე დონდარაშვილის მეუღლემ მარიამ სავანეთის საყდარს ესე მთავარანგელოზის ხატი, საოხად სულისა ჩემისა, შვილთა ჩემთა“ (თაყაიშვილი 1951: 155). დონდარაშვილი ჭრეშელი აზნაური იყო გეტისხევში და წარწერის სავანეთიც ამ ხეობის ზემო წელის სოფელია.

ხატი XVIII ს-ის მიწურულისა უნდა იყოს, რაც ამ პერიოდში სავანეთის ეკლესიისა და სოფლის არსებობაზე მიუთითებს. ასევე სოფ. ქვეშის მოშენების მოწმობაა 1816 წლის ხატი მხედრული წარწერით: „ქ. შენ ზღვათა და ხმელთა სასწაულითა აღმავსებელისა ქვეშის წმიდის ნიკოლოზისას, შეგიმკობინე ხატი ესე აღსაზრდელად შვილთა ჩემთა და შესაწევნელად ჩემდა დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, წინაშე შენგან ღვაწლ დადებულისა იესო ქრისტესა, მე მონამან შენმან ორბელიანმა ასლანმან ჩყივ წელსა, ქორონიკონ ფდ“ (თაყაიშვილი 1951: 155).

* * *

დმანისხევის საეკლესიო გეოგრაფიის შესახებ მასალის სიმწირე ადრეული პერიოდისათვის მხოლოდ დმანელი ეპისკოპოსის სამწყსოზე გვაძლევს ვარაუდის უფლებას. გვიან საუკუნეებში დოკუმენტური მონაცემები შედარებით მატულობს და, გარდა დმანისისა, სხვა ეკლესიათა მფლობელობაზეც ვხვდებით ცნობებს. დმანისის სიონი თავიდანვე ამ პუნქტის ცენტრალური ნაგებობა იყო და ასეთად დარჩა იგი ბოლომდე. ამასთან ერთად, ციხე-ქალაქში მუსულმანური მოსახლეობის მატება იქაურ ნაგებობებზეც ასახულა: შუა ქალაქში გათხრილი შენობა X-XI ს-ის მიზგითია. ის ძლიერ წააგავს თანადროულ ქართულ სასახლეებს, მიჰრაბიც ზუსტად ბუხარივითაა ამოყვანილი და ადგილობრივი მშენებლის აგებულია. მისგან 100 მ-ის მოშორებით მინარეთია, რაც მიუთითებს ამ უბანში არაბთა დასახლებაზე აღნიშნულ საუკუნეებში (რჩეულიშვილი 1994: 167).

ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან დმანისი, ისევე როგორც თბილისი, ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის სხვა ქალაქები შუა საუკუნეებში,ხასიათდებოდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების საკულტო ნაგებობათა თანაარსებობით. ანისში, დვინში, მარაღასა და თავრიზში ერთმანეთის გვერდიგვერდ მოქმედებდნენ საკრებულო მეჩეთები, სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანული ეკლესიები, ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები (თოფურია 1985: 47-49). ეროვნული სიჭრელე მოსახლეობას რელიგიურ შემწყნარებლობას უკარნახებდა.

ქართველ მამამთავართა შორის დმანელი ეპისკოპოსი შესაფერისი პატივით სარგებლობდა: დარბაზობის დროს იგი იჯდა ჭერემ-ქალაქელსა და დადაშნელ მამამთავარს შორის (ი. დოლიძე 1965: 49). XIII-XIV ს-ში, დმანისის ყველაზე დიდი აღმავლობის დროს, დმანელ ეპისკოპოს ელისეს უმოგზაურია იერუსალიმში, სადაც ჯვრის მონასტერში წმიდა დავითნი შეუკრავს (ცაგარელი 1889: 11).

დმანისხევში საკათალიკოსო მამულები ჰქონია სვეტიცხოველს. გარდა საბუთებში დამოწმებული ცნობებისა, ამაზე მეტყველებს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ეკლესიის ნანგრევი ორ-საყდრებსა და კიანეთს შორის, რომელსაც სვეტიცხოველს უწოდებენ (ლ. მუსხელიშვილი 1941: 29). ვახუშტის რუკის მიხედვით, აქ უნდა ყოფილიყო სოფ. ჯალდამი. 1392 წ. მცხეთის ტაძარს ეკუთვნოდა სოფ. ყორანთა და სოფ. ველკეთილი (ი. დოლიძე 1963: 178). ისინი თავისუფალნი იყვნენ ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან. XV ს-ში სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბაძეს ყორანთა ისევ შეუწირავს მცხეთისათვის და მის საზღვრებში მოუქცევია წისქვილებით (კაკა-ბაძე 1913ა: 37). XV-XVI სს-ის საბუთებიდან ჩანს, რომ ბარათაშვილებს ყორანთა ერთხანს ისევ თავისთვის დაუჭერიათ, მეორედ – სოფელი

ამოწყვეტილა. ასეთ შემთხვევებში ისინი მცხეთას უახლებდნენ ყორანთის შეწირულების სიგელს და მტკიცედ განსაზღვრავდნენ შეწირულებას (კაკაბაძე 1913ა: 59; ი. დოლიძე 1972: 42). სვეტიცხოველს ეკუთვნოდა ყმა-მამული ტანძიაშიც. 1559 წ. სიმონ მეფემ მცხეთას განუახლა ძველად შეწირული ტანძიელნი მათი მამულებითურთ (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 199). უნდა ვიფიქროთ, ეს ლუკუნის მთის ან ბალიჭისხევის ტანძიაა და არა გეტისხევისა.

1586 წელსაა დაწერილი სიმონ მეფის საბუთი, რომლითაც მან დმანისის ღმრთისმშობლის ეკლესიას განუახლა ძველი შეწირულება: სოფ. ჩინჩხორი სრულად, სოფ. მუტავისი, დიდ დმანისში ოთხი კომლი, დმანისის ხეობის დამღის მესამედი. ამათ გარდა მეფემ იმავე ეკლესიას შესწირა სოფ. ვარდისუბანი სრულად, სოფ. დმანისის ნახევარი, დამღის მესამედი ნახევრამდე გაზარდა, ხოლო გუდარეხის მონასტერი მთელი მისი საქონებლით დმანელ მთავარეპისკოპოსს დაუქვემდებარა. საბუთის ბოლოს მეფე ბრძანებს: „დმანისის ჴევისა და საბარათიანოს ტარუღანო და მელიქნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ“ (ფუთურიძე 1955: 25). აქ ორი ადმინისტრაციული ერთეულის მოხელეთა დასახელება იმითაა გამოწვეული, რომ გუდარეხის მონასტერი მისთვის შეწირული სოფლებით საბარათიანოში ითვლებოდა, სხვა დანარჩენი კი – დმანისხევში.

1587 წ. ერაჯ, გულაბ და საჩინო ბარათაშვილებმა მცხეთის სვეტიცხოველს მისცეს საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ მათ ეკლესიის „საქონელი და ბევრი თეთრი“ დაუხარჯავთ, ვალის დასაფარავად კი მისთვის გადაუციათ მათი მკვიდრი ნასოფლარი ველკეთილი „ყორანთის სამზღურამდის, სამშვილდის სამზღურამდის და სატრედოს სამზღურამდის“ (კაკაბაძე 1913: 56). როგორც ჩანს, ველკეთილის ხელახალი შეწირვა გამოიწვია იმან, რომ ბარათაშვილები დროებით ისევ დაეპატრონენ მას.

XVII ს-ის პირველ მესამედში, მეფე სიმონ II-მ ქვეშისხევის სოფ. კიანეთი მანგლისის საყდარს შესწირა (ჯანდიერი 1980: 95). 1700 წ. შაჰნავაზის ძე ვახტანგს ეს სოფელი მთელი მისი მამულებით ისევ შეუწირავს მანგლისის სიონისათვის (ფურცელაძე 1881: 10), თუმცა კი XVIII ს-ში იქ მანგლისის მფლობელობა აღარ ჩანს (ლორთქიფანიძე 1935: 319).

ლუკუნის მთის სოფ. შინდნარი (შემდგომში შინლარი) XVII ს-ის დასაწყისში უკვე შეწირული იყო ფიტარეთის მონასტრისათვის, სადაც ბარათაშვილთა ერთ-ერთი სასაფლაო იყო (ი. დოლიძე 1972: 110).

1646 წ. ყორანთა ისევ საკათალიკოსო სოფელი ყოფილა, რომლის მოურავი, ჯვარისმტვირთველი პეტრე, ქრისტეფორე კათალიკოსს გაუგზავნია საწისქვილოზე დავის გასარიგებლად (საურმაგ კაკაბაძე 1967: 198). ყორანთის მოურავი ეს პეტრე, შესაძლოა, დეკანოზ-ჯვარისმტვირთველთა იმ გვარს ეკუთვნოდა, რომელსაც ყორანთის წმიდა გიორგის ჯვრის „დასაბამითგან ხლება ევალებოდა“ (ფურცელაძე 1881: 29). ამ დროისათვის ყორანთის ჯვარი უკვე ჩხარში იყო დასვენებული,

ხოლო პეტრე ჯვარისმტვირთველი კათალიკოსის კარზე იმყოფებოდა.

სვეტიცხოვლისადმი შეწირულების წიგნში ნიკოლოზ კათალიკოსს 1687 წ. ჩაუწერია: „ყორანთის თავს ერთი სოფელი ავაშენე და ყორანთას კაი მარანი დავდგი მისი მორთულობითა და ქვევრებითა და კაი საწნახელიც ავაშენე“ (ი. დოლიძე 1963: 59). აშენებული სოფლის სახელს კათალიკოსი არ იხსენიებს და, შესაძლოა, მასზედაც ყორანთის სახელი ვრცელდებოდა. 1692 წ. იმავე ტაძარს ეკუთვნოდა „ყორანთის ქვევით ველკეთილი, რომლის მეღალეობა იოანე კათალიკოსმა უბოძა სვეტიცხოვლის დეკანოზ ფოცხვერას (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 89).

1672 წ. ეკუთვნის ისპიანის სამების ფრესკული წარწერა, რომელიც ახლა დაღუპულია. ალ. ორბელიანის გადმონაწერის მიხედვით ის გამოაქვეყნა ექვთ. თაყაიშვილმა, სადაც იკითხება: „მოიხსენე უფალო წიაღსა შინა ცხოვრებასა ბატონიშვილი ბოვანელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ წმიდასა ამას მონასტერსა... ჩემის მამის და დედის ბატონის ელენეს შესანდობლად და ჩემის ცოდვილის თავის მოსახსენებლად. ვინცა ამა მონასტერსა შიგან ჟამსა წირვიდეთ, შენდობას ეტყოდეთ ღმრთის მიმართ. ქორონიკონსა ტნი“, ე. ი. 1672 წ. (თაყაიშვილი 1951: 156). ეს ნიკოლოზ ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ბაგრატ მუხრან-ბატონის ძე იყო, ამიტომაც ბატონიშვილად იხსენიებს თავს ამ წარწერაში. იგი ცნობილია თავისი აღმშენებლობით ბოლნისის სიონში, რის შესახებაც მოგვითხრობს იქაური სამრეკლოს წარწერა (ლ. მუსხელიშვილი 1938: 349). ისპიანის ფრესკულ წარწერაში ნიკოლოზი მოხსენიებულია „ბოვანელად“ და არა „ბოლნელად“. ბოლნისის ეპის-კოპოსები საბუთებშიაც იხსენიებიან „ბოვნელის“ ფორმით: ორი „ლ“-დან პირველი „ვ“-დ გადაიქცა. ასევე მოხდა ტოპონიმ გლოლა-დან წარმოებულ გვარსახელში: გლოლელი-გლოველი. ამ წარწერაში ნათქვამი არაა ან აღარ იკითხებოდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკოლოზ ბოლნელმა მონასტრის მოხატულობა განაახლა. არ ჩანს, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ბოლნელ ეპისკოპოსს ეზრუნა დმანისხევში მყოფ მონასტერზე. შესაძლოა, ბოლნელს ხელი მიუწვდებოდა ისპიანის მონასტერზე ეპარქიალურად ან ყმა-მამულის სახით, სადაც შემდგომ ხანებში ზურაბიშვილები გაბატონდნენ.

დმანისის საეპისკოპოსო ტაძართან, ისევე როგორც ბოლნისში, მონასტერიც ყოფილა. 1689 წლის ერთი საბუთით ორბელის ძე, პატრონის ყაფლანის შვილი პაპუნა ასე მიმართავს მას: „მონასტერსა და საეფისკოპოსა და თავსა სასაფლაოსა ჩვენსა, დმანისისა ღმრთის მშობელსა“ (ხეც ფ. Ad-1291). სწორედ ამ მონასტერს შესწირა პაპუნამ 1688 წ. გათარხნებული ყარახანა, სელის ზეთის გამომხდელი, რომელსაც აღარაფერი ეთხოვებოდა მონასტრის „სამსახურისა და სახდელისაგან კიდე“ (ყორდანია 1897: 508). მანვე 1689 წ. დმანისის მონასტერს შესწირა ზურტაკეტის სარკინეთში მცხოვრები ერთი კომლი ბიძინა პაატას შვილის შვილები გიორგი და მახარა თავიანთი

მამულებით (ჟორდანია 1897: 508).

გარდა შეწირულების სახით მიღებული ყმა-მამულისა, დმანისის სიონს მამულის შეძენის სხვა გზითაც უსარგებლია. 1698 წ. ზურაბ ყარჩიხაშვილმა დმანელ ელისეს ნასყიდობის წიგნი მიართვა: „დმანისისა ღუთისშობლის ვალი გვემართა ბეგაშვილის დმანელის ქრისტეფორესაგან მოცემული. აწე ვეღარ შევძელით იმ ვალის გარდაჴდა. სხვა ღონე და ადგილი არა გუქონდა და ჩუენი მემკვიდრე ყმა გალუსტაშვილი ნაზარ და ერაპეტა მათის შვილითა და მომავალითა, მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, საჴნავითა და უჴნავითა, მისის საფიჩხულოთა, მისის ვენაჴითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მოგართვით ჩუენს ვალში ოცდა რვას თუმანში“-ო (ნ. ბერძენიშვილი 1940: 106). საბუთის დამწერი და მოწამე ფიტარეთის წინამძღვარი იობია, რაც მიგვანიშნებს, რომ დმანელის მიერ მიღებული ყმა-მამული ქციის ხრამში უნდა ყოფილიყო. მართლაც, 1721 წლის აღწერით, ყარჩიხაშვილი ნახიდურელი მებატონე იყო (ლორთქიფანიძე 1938: 228).

ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში დმანელის ეპარქია ისევ მოიცავდა დმანისხევისა და ტაშირის სოფლებს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ტაშირს „მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი, არამედ სამწყსონი არიან დმანისისა“ (ვახუშტი 1941: 38). უნდა ვიფიქროთ, დმანისსა თუ მის რომელიმე გარეუბანში იყო სომხური ეკლესია, რომელიც აღნიშნულ მოსახლეობას მწყემსავდა (დ. ბერძენიშვილი 1979: 119).

დმანელ ეპისკოპოსს სამწყსო ჰყოლია მეზობელ ქციის ხეობაშიაც, სადაც ამის გამო მას დროდადრო ცილობა ჰქონდა თბილელ და მანგლელ ეპისკოპოსებთან. 1671 წ. ბარათაშვილებმა, სულკურთხეულის ყაფლანის შვილებმა პაპუნაბეგ, მოლარეთუხუცესმა ასლან, ვახტანგ, თამაზ, გიორგიმ, თბილელ იოსებს წიგნი მიართვეს: „ცოტა ხანს წარუთი და ბალახაური აღარა დაგნებებოდა სამწყსოდ... მართალი შევიტყეთ, რომ სიონთა ღთისმშობლის და თფილელისა იყო სამწყსოდ. ჩვენაც ასე დაგვინებებია, რომ ვერამ ჩვენმა სახლის კაცმა ვერა გამოსწიროს და ვერცა გამოახოს. ამასთან დმანელს ჴელი არა ჰქონდეს“ (ჟორდანია 1903: 221). აქედან ჩანს, რომ ქციის ხეობის საყაფლანიშვილო სოფლები, ადრე თბილელის სამწყსო, დროებით დმანელს დანებებია. შეცდომა გამოსწორებულა ყაფლანიშვილთა ჩარევით, რომლებიც, ჩანს, დიდ როლს ასრულებდნენ მათი სოფლებისათვის მწყემსმთავართა დავაში. 1699 წ. კათალიკოსი იოვანე დიასამიძე, მანგლელ ეპისკოპოსს მისთვის სამწყსოდ მიცემულ ქციის ხეობის სოფლებს რომ განუსაზღვრავდა, იქვე დასძენდა: „კიდევ თქვენ და დმანელს სამწყსოზედ სარჩელი შეგქონდათ და ბატონიშვილს კათალიკოზს გაესამზღვრა და გარიგებინა; და ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ“-ო (ი. დოლიძე 1963: 620). აქ საცილობელი სოფლები დასახელებული არ არის, მაგრამ ქციის ხეობაში 1543 წ. მოხსენიებულია ჭიტაანთ დმანისი (ი. დოლიძე 1972: 33),

რომელიც შემდგომში ჯვარადმანისად იწოდებოდა (ლორთქიფანიძე 1935: 381). შესაძლოა, ეს ყოფილიყო სოფელი, სადაც დმანელის ყმა-მამული ან სამწყსო იმყოფებოდა,რისთვისაც შეერქმეოდა მას დმანისი.

XVIII ს-ში, ისევე როგორც მანამდე, დმანისხევში გრძელდებოდა სხვა ეკლესიათა მფლობელობა. 1720 წ-ის ერთი საბუთის მიხედვით კათალიკოზს ყმები აქაურ სოფლებში ასეთი რაოდენობით ჰყოლია: ველკეთილს – 20, ბოგანო – 5, ყორანთას – 12, დისველზედ – 6 (ნ. ბერძენიშვილი 1940: 183). 1725 წ. მეფე ვახტანგმა მანგლელ არსენ დოლენჯიშვილს დაუმტკიცა სიმონ მეფის მიერ გაცემული სოფ. კიანეთის წყალობის სიგელი (ფურცელაძე 1881: 12).

ხდებოდა ახალი შეწირულებანიც: 1746 წ. ედიშერ ქავთარიშვილმა ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტერს შესწირა მისი რატევნელი ყმები – შავდემეტრაშვილი პაპა, სვიმონა და გოგია. ისინი მანამდე ხაშმში იყვნენ გადასულნი და მონასტერს ემსახურებოდნენ (კაკაბაძე 1913გ: 64). 1779 წ. მდივანბეგმა იოანე ორბელიანმა დავით სარდალ-სახლთუხუცესს ანდერძით დაუტოვა მთელი თავისი ნასყიდი და უსყიდი. იქვე იკითხება: „ტანძიის ბოლოს რომ თოფრაყალა არის,იმის ძირში ერთი სოფელი არის რომ ძეძვნარიანი ჰქვიან,ჩემის მარგალიტის საყელოთი ნასყიდი არის, მამისჩემისაგან ისი ფიტარეთის ეკლესიის შეწირული არის, ის არ მოუშალო რომ ღმრთისმშობლის შეწირული არის“ (ი. დოლიძე 1985: 910). 1780 წ. ზაალ ყაფლანიშვილმა გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოს შესწირა მამამისის ნასყიდი,გორინჯუკელი თურმანიშვილი, რომელიც თავის ცოლ-შვილით თელავს იყო (კაკაბაძე 1913გ: 95).

დმანისის საეპისკოპოსო, როგორც ჩანს, XVIII ს-ის შუა წლებში მოიშალა. უკანასკნელი დმანელი უნდა ყოფილიყო ელისე, რომელიც მტბევარ მიტროპოლიტადაც იხსენიება (თაყაიშვილი 1909: 367). 1748 წ-ის თბილისის საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით, პაპუნა ორბელიანი ბოლნელის გვერდით იხსენიებს დმანელ ეპისკოპოსსაც (პაპუნა ორბელიანი 1981: 155). 1749 წ. კი მეფე ერეკლე და ანტონ კათალიკოსი წერენ: „...და თუ სადმე იქმნეს განახლებაჲ ბოლნელისა საეპისკოპოზოჲსა საყდრისა... ეგ-სახედ წალკელისაცა და დმანელისა საყდართა,რომელნიცა მოშლილ არიან დღეს“... (ი. დოლიძე 1965: 400). გამოდის, რომ დმანელის საეპისკოპოსო 1748-1749 წწ. გაუქმებულა.

1767 წ. შამშადილუდან მოსული სომეხი ყარდაშა სასამართლოში აღიარებდა: „ოცდახუთი წელიწადი არის, რომ დმანისს მოველ, იქ ვიდექ და დმანისსა ღმთისმშობლის ყმად ვიყაო. სანამდის დმანისი იყო, დმანელს ემსახურებდიო და დმანისი რომ აიყარა ქალაქს ჩამოვედით და სანამდის ელისე დმანელი ცოცხალი იყო იმას ემსახურებდი, მერმე ოთხიოდ წელიწადი ჩემთვის ვიყაო, მერმე დიმიტრი ეშიკაღასბაში მიმსახურებდაო“. სასამართლომ ყარდაშა ისევ დმანისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ყმად დატოვა (ი. დოლიძე 1972: 549). უნდა

ვიფიქროთ, შამშადილუდან მოსულმა სომეხმა ქალკედონიტობა მიიღო და ისე ემსახურებოდა ელისე დმანელს.

დმანისის საეპისკოპოსო აოხრებისაგან დაცლილთა შორისაა დასახელებული 1770-იან წლებშიაც (ი. დოლიძე 1963: 929). როგორც ჩანს, ამის შემდგომ საეპისკოპოსო კათედრა დმანისში აღარ განახლებულა. ჩემთვის ცნობილ წყაროებში დმანელ მამამთავართა ასეთი თანმიმდევრობა ჩანს:

506 წ. – სამუელ დმანელი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97, 159);

1214-1222 წწ. – თევდოსი კალნაპეტის ძე (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 386);

XIII-XIV სს. – ელისე დმანელი (ცაგარელი 1889: 11);

1595 წ. – იოსებ დმანელი სააკაძე (საურმაგ კაკაბაძე 1967: 345);

1662 წლამდე –იოსებ თარხნიშვილი (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 333);

1665 და 1689 წწ. – ქრისტეფორე ბარათაშვილი (ალექსიძე,ბურჯანაძე 1964: 76; 10.508);

1673 წ. – ფილიპე დმანელი მართაშვილი (ბარათაშვილი?) (ნ. ბერძენიშვილი 1940: 594);

1698 წ-მდე– ქრისტეფორე დმანელი ბეგაშვილი (ნ. ბერძენიშვილი 1940: 108);

1698-1748 წწ. – ელისე დმანელი, მტბევარი მიტროპოლიტი (თაყაიშვილი 1909: 367).

ეს ელისე შესაძლოა მგალობლიშვილი ყოფილიყო (ჟორდანია 1967: 58).

ლ. მუსხელიშვილი შენიშნავდა, რომ XVII ს-ის დამლევს ვინმე პავლე (?) ყოფილა დმანისის ეპისკოპოსად, რომელიც გარდაცვლილა 1700 წ. ამ ეპისკოპოსის საფლავის ქვა მოთავსებული ყოფილა დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭეში. მისი წარწერა კი ცალკე იქნება გამოცემული, დმანისის სხვა საფლავის წარწერებთან ერთად (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 333). დმანისის ქართული წარწერები უკანასკნელ ხანებში გამოსცა ვ. ჯაფარიძემ, მაგრამ იქ ასეთი ეპისკოპოსი არ ჩანს (ვ. ჯაფარიძე 1982ა).

* * *

„ – უკაცრავად ქალბატონო, რას საქმიანობთ ბოლნისში?

– ჩვენ ამ რაიონის ისტორიულ ძეგლებს ვიკვლევთ.

– ნეტაი ვისთვის?!... ეს კითხვები ბოლნისის უნივერმაღის ქართველმა თანამშრომელმა დამისვა“ (რ. მეფისაშვილი).

დმანისის ნარევ მოსახლეობაზე ზემოთ გზადაგზა იყო საუბარი.

მცირე ცნობები დმანისხევში მოსახლეობის დინამიკაზეც მოიპოვება, უფრო კი გვიან ხანაში.

1656 წლის ერთი საბუთის მიხედვით, დმანისის ხეობის თავში, ნაოხარ ადგილ ოროზმანს თამარმა სათავისოდ დაასახლა თავისი ძმის ნაყმევი „ჯავახი მესხი კაცები“, როსტომ მეფემ კი ეს გლეხები გაათარხნა (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 76). საბუთში მოხსენიებული თამარი ყაფლან ორბელიშვილის მეუღლე, „მესხი ამილახორის ქალი, პატრონი თამარი“ უნდა იყოს, დედა ვახტანგ ყაფლანიშვილისა (თაყაიშვილი 1929: 94). საბუთის დამწერი მესხს ფართო მნიშვნელობით ხმარობს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრის აღსანიშნავად, გადმოსახლებულები კი ჯავახები უნდა ყოფილიყვნენ. სამცხე-საათაბაგოდან მოსახლეობის გადმოსვლა ქვემო ქართლში განსაკუთრებით გახშირდა ოსმალთა მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, XVII ს-დან. ასე რომ, მათ შორის შეიძლება ყოფილიყვნენ „კოლაელი მესხი კაცებიც...“ ეს პროცესი შემდგომშიც არ შეწყვეტილა, მაგ.: 1779 წ. აზნაურიშვილ ბეჟან დოროთაშვილს ჯავახეთიდან გლეხი გადმოუყვანია და მას დმანისში იმსახურებდა (ი. დოლიძე 1977: 89).

1685 წ. საბუთიდან ჩანს, რომ გეტისხევში ებრაელთა დასახლებაც ყოფილა. იქ ისხენიება ანლუაშვილის სავენახე, რომელიც მდებარეობდა „ჭრეშულ ვენახებში, ურიების პირდაპირ“ (თაყაიშვილი 1909: 14). საქართველოში ებრაელები, ჩვეულებრივ, საგზაო-სავაჭრო პუნქტებს ირჩევდნენ დასასახლებლად, ზემოთ განხილული მასალების მიხედვით, ასეთივე უნდა ყოფილიყო სოფ. ჭრეშიც.

XVIII ს-ის II ნახევარში დმანისხევის ბევრ სოფელში ნარევი მოსახლეობა იყო, მაგრამ უკვე გაქართველების გზაზე შემდგარი. 1770-იანი წლების მორიგეთა ნუსხაში ჩამოთვლილია: ძელქვეშის მამასახლისის ძმა გოგია, ფრანგი ოჰანეზაშვილი გალუსტა (ეს კათოლიკე შეიძლება ახალციხელი იყოს), ხურო სარქისა, მექათმე ვართანა, ხურო არუთინა, იორამაშვილი მოსია, მამასახლისი საჰაკა, საკარელი თათარაშვილი თამაზა, გადაბმული პაპას ძმა თამაზა, ბაჩაშვილი გოგია, დურგალი არუთინაშვილი პაპა, დოლმაზაშვილი გოგია, იეღუტაშვილი კირაკოზა, კოჭლი ოსეფა, ქვისმჭრელი გრიქოლა, ტაბახმელელი არაქელაშვილი ღარიბა, ტაბახმელელი საღორელი პაპას შვილი გოგია, ისმეილა ნალბანდიშვილი თანდილა, ხურო დავითა, კალატოზი არაქელაშვილი, ტნუსელი არუთინა, დალაქი ფარემუზა, წიფორელი ველიხანაშვილი, უნდუშელი ბეჟანა (ნ. ბერძენიშვილი 1953: 83). გვიანი ხანის საბუთებში დამოწმებულ დიდი რაოდენობის სომხური და თურქული წარმომავლობის გაქართულებულ გვარებსა თუ სახელებს რომ ვაკვირდებით, გასაგები ხდება ვახუშტი ბატონიშვილის შენიშვნა დმანისხეველთა შესახებ: „არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი“-ო (ვახუშტი 1941: 39). ცხადია, რომ ეს სიტყვები არაქართული წარმოშობის მოსახლეობას გულისხმობს.

აქ არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ მოგვაგონდეს აზნაურული საგვარეულო ყაითმაზაშვილებისა გეტისხევის ჭრეშიდან, რომლის წინაპარი XVII ს-ის შუა წლებში სომხურ წარწერას აკეთებდა ეკლესიაზე. მათი შთამომავალი უნდა იყოს XVIII ს-ის II ნახევრის ცნობილი მოღვაწე ფილიპე ყაითმაზაშვილი. იგი ბევრს მუშაობდა ანტონ კათალიკოსთან, რომელსაც ის დაუმეგობრებია კიდეც. ფილიპე ანტონს უმზადებდა მასალებს სომხური წყაროებიდან თარგმნით. მისი მეცნიერულ-მთარგმნელობითი ხელი ატყვია 21 კაპიტალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომას. ანტონ კათალიკოსის სიტყვით, „მღდელი ვინმე ნათესავით ერმანიანი (რომელ არს ჰაოსიანი), სახელით ფილიპე ყაითმაზაშვილი, გუარითაცა აზნაური, იყო დიდ თავადთა ორბელიანთა სამთავროთაგანი“; ე. ი. ის ყოფილა ტომით და წარმოშობით სომეხი, თან ქართველი აზნაური ორბელიანთა სამფლობელოდან, მაშასადამე, გაქართველებული სომეხი. თანახმად დოსითეოზ ნეკრესელისა, იგი ყოფილა „ქართველთა ენისა, ქცევისათა ფრიად მეცნიერი“. 1755 წ. ანტონ კათალიკოსმა ის თბილისის ახლად გახსნილი საღვთისმეტყველო-საფილოსოფოსო სემინარიის რექტორად დანიშნა. 1758 წ. კი ერეკლეს იგი თელავში გადაუყვანია საფილოსოფოსო-სათეოლოგო სკოლის რექტორად (კეკელიძე 1960: 364-369).

მაშინ,როცა საამისო პირობები იქმნებოდა,იყო ამის საწინააღმდეგო შემთხვევებიც. მაგალითად, 1727-1728 წწ. ოსმალურ დავთარში სოფ. აღუმბრუს აღწერისას, კირაკოს, სარგის, სარუხან, ნაზარ და თამაზის გვერდით დასახელებულია ვინმე აბდულაჰის ძე, რომელსაც ახლავს შენიშვნა, რომ ესაა ახლადგამაჰმადიანებული (1727-1728 წწ. თბილისის დავთარი; დავთარი 2010: 154). ცხადია იგი ჯერ გაქრისტიანებული ყოფილა, დავთრის შედგენის დროს კი ხელახლა გამაჰმადიანება მას საქრისტიანო გადასახადისაგან (ისფენჯი) გაათავისუფლებდა.

XVIII ს-ის ბოლოსათვის დმანისხევი ძველი მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა. აქა-იქ შერჩა ძველი ქართული მოსახლეობის ნაშთები. ერეკლესა და გიორგის მეფობაში შემოსახლდნენ ყარაბაღელ სომეხთა ახალი ტალღები და თარაქამები (თაყაიშვილი 1909: 394). 1801 წ. სადედოფლო მამულების ნუსხაში დარეჯან დედოფალი წერდა: „ქ. ჰასანხოჯალოს თათრები განსვენებულის ანახანუმ დედოფლის დროს ოსმალოში გაქცეულნი იყვნენ; მეთხუთმეტე წელიწადია მე მოვაყვანინე. ამათი მახტა წელიწადში თეთრად – 8, ასევე ვეჯათ – 2. ამ ასანხოჯალოელთ ღალა წლისა პური, ქერი, ფეტვი – კოდი 70“ (თაყაიშვილი 1910: 300). ეს სოფელი ახლაცაა მაშავერის ქვემო წელის მარცხენა სანაპიროზე.

თუ მანამდე უცხო მოსახლეობა დმანისხევში მეზობელი ქვეყნებიდან შემოდიოდა, რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში მთავრობამ გერმანელებიც შემოასახლა. მათი პირველი ნაკადი ვიურტემბერგის

სამეფოდან და ბადენიდან 1817 წ. გამოჩნდა. გერმანელთა ახალშენები შეიქმნა ქვემო ქართლშიაც. მათგან ყველაზე დიდი იყო ძველი ყორანთის მახლობლად და ველკეთილის ნასოფლარზე გაშენებული დასახლება, რომელსაც ეკატერინენფელდი ეწოდა. გერმანელთა ახალშენის სახელწოდება შერჩენილ იქნა ვიურტემბერგის სამეფოს დედოფლის, ეკატერინეს სახელის მიხედვით, თავდაპირველად აქ 102 კომლი უნდა დასახლებულიყო, მაგრამ კარგ ადგილზე მეტი მსურველი აღმოჩნდა. მიწა 116 კომლს მოუზომეს, თუმცა განზრახული 35 დესეტინის მაგიერ 27 დეს. აკმარეს თითოეულ კომლს.

1826 წ. რუსეთ-ირანის ომის დროს ირანელებმა ეკატერინენფელდში დახოცეს 29 და ტყვედ წაიყვანეს 142 გერმანელი. ამ დროს მოახალშენენი შავი ჭირის მსხვერპლნიც გამხდარან. მიუხედავად ამისა, მთავრობის ხელშეწყობით ეკატერინენფელდელმა გერმანელებმა ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიეს. 1874 წ. მათ ორბელიანებს წაართვეს ქციის სათევზაო ადგილები. 1880 წ. თავად ი. ორბელიანისაგან შეიძინეს 457 დეს. მიწა (ერთი დეს. 35 მანეთად), ხოლო თავად ვ. ორბელიანისაგან – 733 დესეტინა (ერთი დეს. 6 მანეთად) (ქუთიძე 1967: 112-127).

მოახალშენეთაგან დამოუკიდებლად, კიდევ ერთმა გერმანელმა დატოვა დმანისხევში თავისი კვალი. ეს იყო ალექსანდრე ფერდინანდის ძე ფონ-კუჩენბახი, ძველი გერმანული აზნაურული გვარის წარმომადგენელი. 1862 წ. ოროზმანის მახლობლად,მამუთლოში მან დასაბამი მისცა შვეიცარული ყველისა და ერბო-კარაქის წარმოებას. 1872 წ. მან საფარლუსთან მინის ქარხანა აამუშავა, რომელიც შაჰნაზარის (ტაშირშია) კვარცს იყენებდა. მასვე მოუწყვია სახერხი, აგურისა და კრამიტის ქარხნები, ჰყოლია 300-400 სკა ფუტკარი. დაახლ. 1909 წ. კუჩენბახის ვაჟები ჩამოსცილდნენ მინის წარმოებას, შემოიფარგლნენ ყველისა და ერბო-კარაქის წარმოებით (შარიქაძე 1987: 78).

1941 წ. გერმანელები შუა აზიაში გადაასახლეს. გადასახლებას გადაურჩნენ მხოლოდ ქართული გვარების მატარებელნი. 1957 წ. ისინი რეაბილიტაციის გარეშე დააბრუნეს უკან, თუმცა მათგან მხოლოდ ნაწილი დაბრუნდა.

გერმანელებისაგან განსხვავებით, XVIII ს-ში შემოსახლებული დმანისხევის სომხური მოსახლეობა დროდადრო ახლაც ამჟღავნებდა გაქართველების ტენდენციას. 1818 წ., როდესაც ქვეშელმა სომეხმა გაქართველება განიზრახა, ქვეშის მრევლს მისი საჩივრის პასუხად სომეხთა არქიეპისკოპოსმა ნერსესმა განუმარტა, რომ ხელმწიფე-იმპერატორის უკაზით, სარწმუნოების ძალდატანებით შეცვლა დაუშვებელია, მაგრამ მსურველისათვის ამის დაშლა შეუძლებელიაო (შარაშიძე 1986: 115).

დმანისხევში, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ზემოაღწერილის საპირისპირო მოვლენებიც ხდებოდა. მაგალითად, 1902 წლის „ივერიაში“ სტეფანე ბაიდოშვილი წერდა, რომ ქართული

ძეგლები დმანისიდან არახლომდე თათრების ან სომხების ხელშია და თანდათან ნადგურდება. ზოგან ქართულწარწერიან ქვებს ხსნიან და მათ მაგივრად სომხურწარწერიან ფილებს სვამენ. ავტორი ასახელებს აკაურთის კვირაცხოვლის ეკლესიას,რომლის შიდა და გარე კედლები მეტისმეტად შებღალული ყოფილა. სომხებს ეკლესია „რატევანში კიდევაც გადაუკეთებიათ თავიანთ წესზედ და არ შერცხვენიათ იმისა, რომ ეკლესიის ამშენებელი, ქართველი თავადი ბ. ბარათაშვილი შიგ ასაფლავია. ბოლნისის (ხატის სოფელი) წმ. გიორგის ეკლესია დიდი ხანია მონათლეს „სურბ გეურქათ“ (ბაიდოშვილი 1902).

მოსახლეობის მოძრაობა დმანისხევში XX ს-შიც გრძელდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯავახების დასახლება ყალამშიანსა და მიჯაში, რის გამოც სოფელს ჯავახი დაერქვა (1949 წ.); ასევე რაჭველების ჩამოსახლება ნასოფლარ სატრედოს მიდამოებში,სადაც შეიქმნა სოფ. რაჭისუბანი. მნიშვნელოვანია ზვავიანობით დაზარალებულ სვანთა ახალშენების შექმნა დაბა დმანისის მიდამოებში. მოსახლეობის დინამიკა ახლაც არ წყდება.

## თეთრიწყაროს რაიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ამჟამინდელი თეთრიწყაროს რაიონი ისტორიული ქვემო ქართლის, ძირითადად, ორი ხეობის აუზს მოიცავს; ესენია – მანგლისის ხევი, ანუ ალგეთი და ქციის ხრამი, ანუ მდ. ქციის შუა წელი. ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს ორი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, წერილობით წყაროებში **მანგლისის ხევისა და სამშვილდის ქვეყნის,** გვიან კი **ქციის ხრამის** სახელებით იხსენიებიან.

### მანგლისის ხეობა

ალგეთი მანგლისის ხეობის ძირითადი მდინარეა, რომელიც კლდეკარის მთიდან გამოდის, ორივე მხრიდან იერთებს მცირე ხევებს და მტკვარს მიერთვის. იგი შიდა ქართლის ხეობებს ემიჯნება თრიალეთის ქედით, აღმოსავლეთიდან მას მტკვარი საზღვრავს, სამხრეთიდან კი ბედენის ქედი და წინწყაროს პლატო, რომელიც მარნეულთან ველში გადადის, დასავლეთიდან ალგეთის ხევს თრიალეთის ზეგანი ეკვრის.

აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, „იყო ალგ ტომი, აქედან ერთის მხრით მივიღეთ ალგ-ეთ-ი, მეორე მხრით ალგისი, მალგისი, მანგლისი... ალგეთი დარჩა ქვეყნის სახელად („ალგეთს ლეკვები“), ხოლო მანგლისი პუნქტის სახელად და ამავე დროს ქვეყნის სახელად“ (ნ. ბერძენიშვილი 1975: 646).

ხეობის ზემო წელი მკაფიოდ განსხვავდება ქვემოსაგან, რომელიც ქვემო ქართლის ველის შემადგენელი ნაწილია. ზემო წელს ზომიერი ჰავა ახასიათებს, ხშირი წიწვოვანი ტყეები და საძოვრები, ქვემო წელს კი ნოყიერი ნიადაგები და მორწყვის შესაძლებლობები აქვს. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „პატივანს ზეით კლდე-კარ-დიდგორამდე არა არს ვენახნი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილნი აღვსწერეთ მოსავლითა. გარნა არს **ტყიანი, ნადირიანი.** პატივანს ქვევით ვაკეს არს ლოდი, რომელი, გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს

წვიმა, ხოლო წუმიანობასა მიწა თუ შეაყარო, ნაცარი და გარდააბრუნო, იქნების უწვიმრობა“ (ვახუშტი 1941: 46). როგორც ჩანს, სოფლის სახელწოდება „ვაკე“ მთური მეურნეობის საზღვარს და ვენახ-ხილიანი ზოლის დასაწყისსაც აღნიშნავდა ალგეთის ხეობაში. რელიეფისა და ჰავის ნაირგვარობამ განსაზღვრა მეურნეობის მრავალმხრივობა. წერილობითი წყაროებითა და მატერიალური კულტურის ნაშთებით დასტურდება, რომ ალგეთის ხეობაში მეურნეობის მთური და ბარული ტიპი მეზობლად არსებობდა, ხშირად კი შერწყმული იყო ერთმანეთში. ალგეთის ხეობის ქვემო დინების მეურნეობის მრავალფეროვნებას ხატოვნად აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ალგეთის შესართავის ჩრდილოთ, იაღლუჯამდე, მტკვრის პირს, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი **ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა** თესლმარცვლისა. აკეთებენ აბრეშუმსა. მოხარკენი არიან მეფისა, **სავსენი ყოვლითა პირუტყუთა.** საყალტუთნის დასავლით არს იაღლუჯის მთა უტყეო და უწყლო, სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლაშე. არამედ **არს ფრიად ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულს მოუკლებელი, რომელსა ზედა იზრდებიან არვენი, მროწლენი, ჯოგნი და აქლემნი.** იპოვების მგზავსი იამანის ქვისა, დიდი და მცირე, მრავალფერნი. აქა არს ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვენ და ნაცრითა მით ადუღებენ საპონს უმჯობესსა... ამის მთის დასავლით, ხოშაგერმას იქით, არს ობის ციხე ველსა ზედა და აწ შემუსვრილი, და ამის ჩრდილოთ არს ტბა კუმისისა... ამ ტბის დასავლით არს კუმისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღუანი, ბროწეულიანი, ხილიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯ-ბამბის გარდა; კანაფი უმუშაკოდ სცენდების...“ (ვახუშტი 1941: 48).

მანგლისის ხევს ქართლის გავართა შორის პირველად იხსენიებს VII ს-ის სომხური გეოგრაფია, რომელიც IV-V სს-თა ვითარებას ასახავს. იქ დასახელებულია პარუარი, რომელიც „გარს აკრავს თბილის ქალაქს“ და მანგლეაცფორი, რაც ქართული მანგლისის ხევის ზუსტი თარგმანია (ერემიანი 1963: 104). მთელ ხევზე მანგლისის სახელწოდების გავრცელება ნიშნავს, რომ IV-V სს-ში მანგლისი ალგეთის ხეობის ცენტრალური პუნქტია; ეს კი განპირობებული იყო იქაური უძველესი ქრისტიანული სალოცავის მნიშვნელობითა და პოპულარობით. ლეონტი მროველის ცნობით, მირიან მეფის თხოვნით, კონსტანტინე კეისრის მიერ გამოგზავნილმა იოანე ეპისკოპოსმა ერუშეთისა (არტაანი) და წუნდის (ჯავახეთი) გამოვლით მოაღწია მანგლისს და „იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“ (ლეონტი მროველი 1955: 118). ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა, ქართლის პირველ ეპისკოპოსთა შორის მანგლისის ეპისკოპოსიც განაწესა (ჯუანშერი 1955: 198). საყურადღებოა ისიც, რომ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე „მანგლისის ჯვრისათვის“ თაყვანისსაცემად საქართველოში სომხებიც დადიოდნენ

(ეპისტოლეთა წიგნი 1968: 122).

როგორც ჩანს, სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული მანგლისის ხევი (მანგლეაცფორ) მხოლოდ ალგეთის აუზით არ იფარგლებოდა. ამის საბუთს იძლევა ის, რომ პარუარსა და მანგლისის ხევს შორის ცალკე არაა დასახელებული ვერის ხევი ანუ სკვირეთი, რაც სხვა ქართულ-სომხურ წყაროებში გვხვდება. სომხურ გეოგრაფიაში მისი მოუხსენებლობა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ვერის ხევის ქვემო წელი პარუარში შედიოდა, ხოლო ზემო წელი – მანგლისის ხევში. ამიტომაც ვახუშტი ბატონიშვილი „თბილისის მხარეში“ მიათვლის ვერის ხევის ქვემო დინების სოფლებს: წყნეთს, ახალდაბას, ლისს (ვახუშტი 1941: 54, 197). საყურადღებოა ისიც, რომ ალგეთის ხეობის სოფლებისათვის ერთ-ერთი დიდი სალოცავი იყო წვერის წმ. გიორგი, ვერის ზემო დინებაზე, რაც ალგეთ-ვერის ხეობათა წარსულს უნდა უკავშირდებოდეს (ბოჭორიშვილი 1956: 172). ზემოთქმულს ემოწმება ჯუანშერის მონათხრობი VIII ს-ის ამბებზე: მეფეს ერთ-ერთი ერისთავისთვის მიუცია „ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისის ჰევი და ტფილისი“ (ჯუანშერი 1955: 242). აქაც ვერის ანუ სკვირეთის ხევი მანგლისის ხევსა და თბილისშია ნავარაუდევი. ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ XII-XIII სს. ვერის ხევის ორი დიდი მონასტრიდან ერთი (ბეთანია) ალგეთელ ორბელთა საძვალე იყო, მეორე კი (ლურჯი მონასტერი) – ქართლისა და თბილისის ამირთ-ამირა აბულასანის ოჯახისა.

არაბობის დამყარებისას, ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ VII ს-ში გაცემული სიგელი ქვემო ქართლის ერთი ნაწილის (საპიტიახშოს) ცენტრად მანგლისს ასახელებს (ს. ჯანაშია 1952: 364).

მანგლისის დაწინაურებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ გამავალ უძველეს გზას, რომლითაც შიდა ქართლი (მცხეთა-თბილისი) უკავშირდებოდა ქვემო ქართლს, თრიალეთს, ჯავახეთს... ხეობაზე გამავალი გზა მანგლისს ვერ ასცდებოდა, აქვე იყრიდა თავს მეზობელ ხეობებთან დამაკავშირებელი რამდენიმე გადასასვლელი. ალგეთის ხეობის გზამ განსაკურებული მნიშვნელობა მიიღო მას შემდეგ, რაც კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა რომ-ბიზანტიასთან უმთავრესად ხმელეთის გზით (ანატოლიით) გაჩაღდა. სწორედ ამ გზით მოვიდა კონსტანტინე კეისრის მიერ გამოგზავნილი ეპისკოპოსი მცხეთაში (იხ. ზევით), ამ გზაზეა ცნობილი კლდეკარი, ძველთაგანვე კლდეში გაკვეთილი გასასვლელი.

ალგეთის ხეობაში გვხვდება ძველ სამოსახლოთა ერთი სახე – ლოდოვანები. ისინი სამხრეთ საქართველოს სხვა ხევებშიაცაა, მაგრამ აქ **ლოდოვანები და „ციკლოპური“ ხასიათის გორა-სიმაგრეები ზოლადაა გაჭიმული ალგეთის ხეობის სამხრეთ საზღვარზე,** ლაკვის წყლის სათავეებიდან (ბედენის, გოხნარის, ლაკვის ლოდოვანები) ვიდრე

ლომთაგორამდე*. როგორც ჩანს, ლოდოვანები სხვადასხვა ეპოქაშია დასახლებული ადამიანის მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დათარიღებისათვის გადამწყვეტი სიტყვა არქეოლოგიურ შესწავლას ეკუთვნის. ლაკვის ლოდოვანში მიკვლეულია ადრეფეოდალური ხანის ეკლესიის ნანგრევი და სტელა ხელის გამოსახულებით (თ. თოდრია), ბედენის ლოდოვანში კი შუა საუკუნეების ფერადჭიქური კერამიკის ნაშთები აღმოჩნდა (გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი).

ყველაზე შთამბეჭდავი ალგეთის ხეობის „ციკლოპურ“ ნაგებობათაგან არის ჩხიკვთის ძველი ციხის გალავანი, რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „ჩხიკუთის სამჭრით არს ეკლესია სამება, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკურველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი **კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ**. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კარგი. **ძველად იწოდა გმირთ-ნაკუეთი, და იყო ციხე**, ხოლო აწ ეკლესია“ (ვახუშტი 1941: 47).

ექვთ. თაყაიშვილს ჩაუწერია გადმოცემა, რომელიც ამ გალავნის შესახებ ყოფილა გავრცელებული: სამებასა და დევს დავა ჰქონიათ ამ მთის დაპატრონებაზე. ბოლოს სამება დათანხმებულა წასვლაზე, თუკი დევი მოასწრებდა გალავნის აგებას მამლის პირველ დაყივლებამდე. დევს და მიშველიებია – დამდგარა მოპირდაპირე „საწურბლის“ გორაზე, სადაც დიდი ლოდოვანია, იქიდან ტყორცნიდა ქვებს, რომლებსაც დევი იჭერდა და გალავნად ალაგებდა. საქმე სწრაფად წასულა წინ. სამებას შეშინებია – დევი შეასრულებს დაპირებულსო და ჰაერში აუგდია წითელი ნაჭერი, რომელიც მამლად ქცეულა და დაუყივლია. დამარცხებული დევი გაქცეულა ბირთვისის კლდეებში, სამება მიჰყოლია და ისრით დაუჭრია, რომელსაც დევი კლდეზე მიულურსმავს. ექვთ. თაყაიშვილის აზრით, ქრისტიანობამდე სამების მთა გამოყენებული იყო ზოროასტრიული რელიგიის მსახურებისათვის. მთის თხემზე არსებული ბუნებრივად ბრტყელი და გრძელი ლოდი ორმუზდის მსახურთა მსხვერპლშეწირვის ადგილი იყო. თაყაიშვილის აზრით, ლეგენდაში აღრეულია ზოროასტრული რელიგიისა და ქრისტიანობის ცნებები: აჰურა-მაზდის როლი სამებაზეა გადატანილი. მამალი ზოროასტრული რელიგიის წმინდა ფრინველია, იგი ქმნილებაა აჰურა-მაზდისა და მისი მსახური. ის დარაჯობს ხალხს ღამ-ღამობით და თავისი ყივილით აფრთხობს არიმანის მსახურ ავ სულებსა და დევებს (თაყაიშვილი 1905: 14-15).

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ალგეთის ხეობისა და საერთოდ, ქვემო ქართლის ლოდოვანები, „ციკლოპური“ ნაგებობანი, „გმირთ-ნაკვეთები“ – ესაა ნაგებობანი მეჯოგე ტომებისა, მათი თავშესაფარი, მათი ციხე-ქალაქები, ცხოვრების ასეთი ფორმა კი სხვადასხვა ტომში,

* ჩხიკვთის სამება, საწურბლე, მაწევანი, დედა ღვთისა, წინწყარო, დურნუკი...

შესაძლებელია, სხვადასხვა ტექნიკური ფორმისა ყოფილიყო. ესა თუ ის ტომი, შეიძლება ბარის ფეოდალურ ხანაშიც კი, ასეთ „ქალაქებში“ ცხოვრებულიყო, თუ ის საზოგადოებრივი (სამეურნეო) განვითარების იმ საფეხურზე იდგა. ეს საერთო თავდასაცავი თუ საცხოვრებელი „ქალაქი“ შესაძლოა მას თლილი ქვისაგან და კირზე ნაგებიც ჰქონოდა (ბარისაგან ნასესხები ტექნიკით), როგორც, მაგალითად, ქუშხევი თიანეთის რაიონში... ქვემო ქართლის ლოდოვანები ეს არის ერთ-ერთი ტიპი მეჯოგე ტომის ქალაქისა და ძვირფასი იმითაა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით შემოინახა დღემდე (ნ. ბერძენიშვილი 1950).

ალგეთის ხეობაზე გვაქვს სამოსახლოთა სხვა ტიპიც, ე. წ. გორანამოსახლარები; ასეთებია ზრბითში, ჩხიკვთას, მაწევანში, დიდ თონეთში და სხვ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ამ სამოსახლოთაგან ზოგიერთი მშრალი წყობის გალავნებითაა გამაგრებული. წინწყაროს დასავლეთით, სოფლის თავში არის განმარტოებით მდგარი ამგვარი გორანამოსახლარი. იგი საკმაოდ შელახულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ მოსახლეობას, მის ირგვლივ და დასავლეთით მაინც, საკმაო ფართობი სჭერია. აკად. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ წინწყაროდან ამ ნამოსახლარის დაშორების გამო, გორის მოსახლეობას დღევანდელი სოფლის წყაროებით (იქ ასეთი ორია) ვერ უნდა ესარგებლა. მას სასმელი წყალი ჩრდილოეთის მხარეზე, ალგეთის პირისკენ უნდა ჰქონოდა, სადაც ის ახლაც მოიპოვება. ასეთ პირობებში კი, მეცნიერის აზრით ტოპონიმი „წინწყარო“ მარჯვედ წარმოქმნილი სახელი ჩანს: ორ წყაროს შორის განლაგებული გორისა და მისი დაბის მოსახლეობისათვის, მის აღმოსავლეთით გამომდინარე წყარო მართლაც „წინწყარო“ უნდა ყოფილიყო. ამ მხარეში „წინ“-ისა და „უკან“-ის გეოგრაფიული გაგებისათვის, ავტორი იშველიებდა ტოპონიმ „უკანდაღეთს“, რომელიც სოფ. დაღეთის დასავლეთით მდებარეობდა. ჩანს, აქაურებისათვის „წინ“ მდინარის (ალგეთი, ქციის) დინების მიმართულებით აღმოსავლეთით იგულისხმებოდა, ხოლო „უკან“ – მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით დასავლეთისაკენ. სწორედ ასეთია ტოპონიმ წინწყაროს გეოგრაფიული ორიენტირიც.

ცნობილია წინწყაროდან მოღწეული VI-V სს. სამარხის მდიდრული ინვენტარი, ბ. კუფტინმა რომ შეისწავლა, ასევე სხვადასხვა დროს იქ მოპოვებული მონეტები: რომის კეისრის ავგუსტუსისა (I ს.), ერეკლე კეისრისა (VII ს.) და ბიზანტიური სპილენძის მონეტა XI ს-სა (ნ. ბერძენიშვილი 1950).

ვახუშტი ბატონიშვილი არ ეჭვობდა, რომ წინწყაროში უძველესი მოსახლეობის ნაკვალევი ჩანდა; მის ყურადღებას იქცევდა აქ „ყოფილი შენობანი ფრიადნი, დიდ-დიდნი“. XVIII ს-ის დასაწყისს წინწყარო იყო „ქალაქი მცირე, მოსავლიანი, კეთილ-ჰაეროვანი, მაღალს ადგილზედ მდგომი. აქა არს წყარო: უკჳთუ მით მოხარშო მარცვალნი რომელნიმე და დღეთა შენთა ხარშნო, ვერაოდეს მოხარშავს, გარნა სასმელად და

საკმარად კეთილი“ (ვახუშტი 1941: 47). „დასტურლამალისა“ და მეწინავე დროშის აღწერის მიხედვით, წინწყარო მაშინ დედოფლის საყმო იყო და 150 კომლზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა (ლორთქიფანიძე 1935: 372-373; სურგულაძე 1970: 703, 78-709, 721).

ალგეთის ხეობის ადრეფეოდალური ხანის მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო ორბეთი. აქედან მოდის პიროვნების სახელი ორბელი, რაც ამ ციხის მფლობელს აღნიშნავდა და შემდეგ – ორბელთა საგვარეულოს, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (შდრ. თმოგველნი, გაგელნი, პანკელნი...). ეს ციხე ალგეთის შუა წელზეა, მის მარცხენა შენაკად – ზრბითისხევის მარჯვნივ, მაღალ, კლდოვან მთაზე (დაახლ. 500 მ). მთის თხემის მცირე ფართობი მისასვლელ ადგილებში კედლებითაა გამაგრებული, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში მცირე დარბაზული ეკლესიის ნაშთია თლილი ქვით ნაგები (IX-X სს.). აქვეა წყლის აუზი (შიგნიდან ამოლესილი), ქვევრები, ხოლო კლდეებში 2-3 გამოქვაბულიც.

სახელი ორბეთი ამ მთას ეწოდება (სოფელი ამ სახელწოდებით ვახუშტიმ არ იცის, ის ახალია) და მართლაც ორბის ბუდის მსგავსია. აქედან ყოველმხრივ გაშლილია თვალსაწიერი, მოჩანს ალგეთის მთელი ხეობა, მანგლის-გოხნარი, შორს – კლდეკარი, უძო-კოჟორი, დურნუკ-მარნეული, დიდგორის მთები, ყარაიასკენ გაშლილი ველი, ტაშირის მთები, თრიალეთის მისადგომები... ცხადია, ესაა აზნაურ ორბელთა ციხე, თავისი ეკლესიით. იგი გზას არ იცავს, არ აკონტროლებს, მისი მფლობელი კი გარკვეულ ქვეყანაზე ბატონობს – „ორბეთის ძირის“ სოფლებზე (ბერი ეგნატაშვილი 1959: 342, 344), რომელთაც ვახუშტი იხსენიებს როგორც „ორბეთის გარემონი“ (ვახუშტი 1973: 388, 389), ე. ი. ვინც აქ ზის, ისაა ამ ქვეყნის მებატონე, ხოლო მოსულ მოქიშპეს თუ ამ ქვეყანაზე ბატონობა სურს, ბატონობის ამ სიმბოლოს უნდა ფლობდეს.

ორბეთის ციხის მნიშვნელობით უნდა აიხსნას ის შეცდომა, რომ ლეონტი მროველი (1955: 8) ორბეთს სამშვილდესთან აიგივებს (მატიანე ქართლისა (1955: 297, 307) მათ ცალ-ცალკე ასახელებს). ამ მხრივ ნიშანდობლივია ბარათაშვილთა საგვარეულო გადმოცემაც, რომ მათი წინაპარი – ბირიან აბაში დასახლებულა ორბეთსა და გმირთაკვეთილს, ე. ი. ჩხიკვთის სამების ნაციხარზე (თაყაიშვილი 1893: 114). ვახუშტის დროს აქ ციხე აღარ იყო, რის გამოც იგი წერს: „... ზრბითის ჭევზედ, მაღალს კლდეზედ, არს ეკლესია ორბეთი“ (ვახუშტი 1941: 47), რომელიც წმ. გიორგის სახელობისაა და დღეობა ნოემბერშია, გიორგობას.

გაცილებით რთულ სისტემას ჰქმნის ბირთვისის ციხის კომპლექსი, იმავე ალგეთის შუა წელზე. ვახუშტი მის შესახებ აღნიშნავს: „ტბისის უკან, ჩდილოთ კერძ, არს ციხე ბირთვისი, კლდესა ზედა შენი და გარემო კლდითა მოზღუდვილი, ეჯ-ნახევარი ოდენ და შეუვალი, და დიან მის შორის წყარონი“ (ვახუშტი 1941: 47).

ბირთვისის კლდეები, მართლაც, ხშირად ბირთვებსა ჰგავს – მრგვალი თავები აქვთ. ამის გამო უნდა შერქმეოდა ამ ადგილს ბირთვისი (ისე როგორც კლდეისი, გოხნარი ან ტინთა...). ეს არაა ჩვეულებრივი ციხე, ე. ი. კედლების შიგნით მოქცეული ფართობი. ესაა მაღალ კლდეებში მოქცეული ორი ღრანტე, რომელთა კლდეები (ბევრგან სრულიად მიუვალი) ოდნავ მისასვლელ ადგილებში კედლებითაა გამაგრებული. ერთგან კლდეთა წვერებზე ოთხკუთხა კოშკია, უსარკმლო და უსათოფურო, ზოგან გვხვდება კლდეებში ამოღებული ორმოები, ალბათ, სურსათისა და წყლის მარაგისათვის. ვახუშტის ჩვენება რომ კლდით მოზღუდული ფართი ეჯ-ნახევარია, ნიშნავს რომ ამ კლდეებს უჭირავთ დაახლ. 2 კმ² ტერიტორია (ეჯი-ფარსანგია, ე. ი. დაახლ. 3000 მ). კოშკის ირგვლივ გამაგრებული კლდეების ფართი დაახლ. 60 მ²-ია, მაგრამ ცხადია, რომ ამოდენა ტერიტორიაზე სხვა კლდეებზედაც შეიძლებოდა გამაგრება.

ვახუშტი წერს ზრბითის ხევზე,რომ „სად ერთვის ალგეთს ხევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი – ფარი ბირთვისის ციხისა,აწ შემუსვრილი“ (1941: 47). ეს უკანასკნელი ორბეთსა და ბირთვისთან შედარებით ადვილმისადგომია; განმხოლოებულ, არც თუ მაღალ გორაზე მდგარი ფარცხისის ციხე, ჩანს, საკუთარი კედლების სიმტკიცეს ემყარებოდა. საფიქრებელია, რომ ფარცხისი სახელია არა ციხის, არამედ მის გარშემო მდებარე სოფლისა (დაბის) და იგი თავისი წარმოშობით სამეურნეო იარაღთან (ფარცხი) უნდა იყოს დაკავშირებული (შდრ.: ნიჩბისი,წერაქვი და სხვ.). ფარცხისის ციხე-გალავანი ოვალური სახის ფართო ტერიტორიას შემოუვლიდა, რომელზე მოპოვებული სიძვე-ლენიც მოწმობენ, რომ ადრეული ციხე რაღაც ძველ ნასაცხოვრისზე უნდა ყოფილიყო აგებული (ი. გძელიშვილი, თეთრიწყაროს რ-ნის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები, 1954). ეს ციხე ფეოდალური ხანის მთელ სიგრძეზე ფუნქციონირებდა და მრავალი გადაკეთების კვალიც კარგად ეტყობა. ვახუშტის დროს ის უკვე „შემუსვრილი“ იყო. ფარცხის ციხე იცავდა კარს ქვემო ალგეთიდან ზემო ალგეთისაკენ, ასევე მეორე გზასაც,რომელიც აქედან სამებაზე გავლით სამშვილდეს მიდიოდა.

ორბეთი, ბირთვისი და ფარცხისი, მიუხედავად მათი ადრიდანვე სავარაუდო არსებობისა, ქართულ წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიებიან. „მატიანე ქართლისა“ მათ დაახლ. ერთ ხუთწლეულში ასახელებს; აქ ჩანს,რომ სამივე ციხე თბილისის საამიროში შედიოდა და, ამდენად, ალგეთის ხეობა მთლიანად მას ემორჩილებოდა. ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანებაში კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა თბილისის ამირა ჯაფარს წაართვა ბირთვისის ციხე; მალე ამას მოჰყვა თბილისის ალყა, რომლის დროსაც მეფის ლაშქარმა ამირას წაართვა ორბეთისა და ფარცხისის ციხეები (მატიანე ქართლისა 1955: 297). ამ ციხეების მფლობელობა ასევე დარჩა კარგა ხანს, ვიდრე XI

ს-ის შუა წლებში შეპყრობილ ლიპარიტს ბაგრატმა ბირთვისი არ ჩამოართვა (მატიანე ქართლისა 1955: 305).

ალგეთის ხეობის შუა წელზე სამი უმნიშვნელოვანესი ციხის ერთმანეთის სიახლოვეს არსებობა აკად. ნ. ბერძენიშვილს აფიქრებინებდა, რომ სამივე ციხე ურთიერთთან მჭიდრო კავშირშია და ორბეთისა თუ ბირთვისის მფლობელი არ შეიძლებოდა ფარცხისის მფლობელი არ ყოფილიყო, ან ისინი ურთიერთისაგან დამოკიდებული არ ყოფილიყვნენ. ასე რომ ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას ფარცხისის წარმოსადგენად, ვითარცა საფარი ციხისას ბირთვისისათვის, გარკვეული საფუძველი ჰქონდაო (ნ. ბერძენიშვილი 1950).

მიუხედავად ამისა,როგორც ქართული წყაროები მოწმობენ,ყოფილა გამონაკლისებიც, როცა სამივე ციხეს ერთი პატრონი არა ჰყოლია, მაგ., ლიპარიტი და ბაგრატი XI ს-ში (ბირთვისი ლიპარიტს ეპყრა, ორბეთი და ფარცხისი – მეფეს)* ან ვარდან დადიანი თამარის დროს, რომელიც ორბეთის ციხეს ფლობდა, მაგრამ ბირთვისი და ფარცხისი არ ჩანს რომ მისი ყოფილიყო (ისტორიანი და აზმანი: 49); ასევე ცალკე იხსენიება ბირთვისის ციხე თემურ-ლენგისა და შაჰ-თამაზის შემოსევებისას (ბერი ეგნატაშვილი 1959: 337, 364), ხოლო ფარცხისი და ორბეთი იქ არ ჩანს და სხვა. როგორც ჩანს, ყოველ ცალკეულ შემთხვევას თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს. აქ გამორიცხული არაა ამ ციხეთა ქრონოლოგიური მონაცვლეობა – როცა ერთი რომელიმე პირველობს, ან დაქცეულია სხვათა ფუნქციონირებისას; ეგების ეს ციხეები იცვლიდნენ თავიანთ დანიშნულებას დროისა და გარემოების შესაფერისად. მაგალითად, სახელი და გვარსახელი ორბელი უნდა აღნიშნავდეს ამ ციხის უძველეს რეზიდენციობას ბირთვისსა და ფარცხისთან შედარებით; მართალია, სახელი ბირთველ გვიან ჩნდება ორბელიშვილთა საგვარეულოში (სტეფანოს ორბელიანი), მაგრამ იგი გვარსახელად არ ქცეულა; ფარცხისელი ან ფარცხელი კი საერთოდ არ გაჩენილა; ე. ი. ერთ დროს ფარცხისის ციხეს სხვა დატვირთვა ჰქონდა (გზათა კონტროლი, გარკვეულ სოფლებზე ბატონობა), ბირთვისისას – სხვა (თავდაცვითი სიმაგრე, მიმდებარე სოფლების ფლობა), ორბეთისას კიდევ სხვა (საგვარეულოს ძირი სალოცავი, რეზიდენცია, გარემო ქვეყანაზე გაბატონება)...

ვახუშტი ბატონიშვილი ალგეთის ხეობის აღწერისას ამბობს, რომ „კლდე-კარი აღაშენა ლიპარიტ ბაღუაშმან, და არს მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე, ამ მთას გამოსდის ალგეთი... ამას ქვეით ერთვის ალგეთს საყავრის-ჴევი ჩრდილოდამ. ამას ქვეით ერთვის ალგეთს მჭავის-ჴევი, გამოსდიან კლდეკარს. ამათ უწოდებენ კლდეკრის სოფლებად“ (ვახუშტი 1941: 46). როგორც ვხედავთ, ალგეთის

* XI ს-ის 60-იან წლებშიაც ბაგრატმა ფადლონს სხვა ციხეებთან ერთად წაართვა ფარცხისიც, ბირთვისი და ორბეთი არ ჩანს.

2 შენაკადის სოფლები ადმინისტრაციულად კლდეკარის ციხეს ექვემდებარებოდა. ვახუშტი იქვე ალგეთის შენაკად 9 მცირე ხევს ჩამოთვლის, ხოლო სოფელთა სიებს 8 ერთეულად გამოჰყოფს. ცხადი ხდება, რომ ესენი ტერიტორიული ერთეულებია, რომელთაგან ყველა ცალკე საციხისთავოდ ვერ ჩამოყალიბდა, ზოგიერთში კი ერთზე მეტი ციხე თანაარსებობდა. მაგ.: ალგეთის ხევის 25 სოფელზე შესართავიდან ვაკემდე იყო ობისციხე, ლომთაგორა, ფარცხისი, ბირთვისი. ობისციხე და ლომთა-გორა თუ ალგეთის ქვემო წელის ბარზე ბატონობდნენ, ფარცხისი და ბირთვისი ხეობის შუა წელის სოფლებით იფარგლებოდნენ. ზრბითის ხევის 9 სოფელი უნდა ყოფილიყო „ორბეთის ძირის“ სოფლები, „ორბეთის გარემონი“. ვახუშტის სოფლების სიის მიხედვით, ესენი იყო: საღირაშენი, ზრბითი, აწუფისი, ღარღლუპი, წრისი, თაკვი, ოშეთი, ამლივი, აბრამეთი. საინტერესოა, რომ ვახუშტი იმავე **ზრბითის ხევში** აერთიანებს არამარტო ალგეთის მარცხენა შენაკადის – დვალთისწყლის 11 სოფელს, არამედ ალგეთის მარჯვენა შემდინარე გუდარეხისწყლის 3 სოფელსაც. ამ ერთიან სიაში ზრბითის, დვალეთისა და გუდარეხისწყლის სოფლები ცალ-ცალკე, რიგითაა დანომრილი. ეს იმას აღნიშნავს, რომ **ალგეთის ამ შენაკადთა ცალკე ტერიტორიული ერთეულები თავისი სოფლებით გაერთიანებულია ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც ზრბითის ხევი ჰქვია.** ამ ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი უნდა ყოფილიყო ორბეთის ციხე, რომელსაც დაექვემდებარებოდა გუდარეხისწყლის სათავეში მყოფი ციხეც. ორბეთი ზრბითის წყალზე იყო და სწორედ ამან განაპირობა ადმინისტრაციული ერთეულის ზრბითის ხევად ჩამოყალიბება და არა გუდარეხის, ან დვალთის ხევად.

ვახუშტი წერს, რომ კაბენის მონასტრის სამხრეთით „არს ციხე აზეულასი და აწ კოურისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჴრით არს სასახლე მეფისა კოჟორი... დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“ (ვახუშტი 1941: 47-48). აკად. ნ. ბერძენიშვილმა კოჯრის ციხე ძველი ქართული წყაროების აგარათა ციხესთან გააიგივა. **იგი ბატონობდა ადმინისტრაციულ ერთეულზე**, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი აერთიანებდა **კოდას** სახელწოდებით. აქ მას ჩამოთვლილი აქვს ასურეთისწყლის 11, კოჯრისა და გუდელისის წყლების 12 სოფელი.

ბოგვის ხევის ერთეული, თავისი 5 სოფლით, ვახუშტის ცალკე აქვს დასახელებული. აქაურ ორ სოფელში – ბოგვსა და ენაგეთში, მის რუკაზე აზნაურის რეზიდენციებია აღნიშნული. ციხე ამ ერთეულს არ გააჩნია, თუმცა კი არის სოფელი სახელწოდებით **ციხია,** სადაც, შესაძლოა, ძველად მართლაც ყოფილიყო ასეთი რამ. უციხო ერთეულია ზის ხეობაც, თავისი 6 სოფლით ალგეთის ზემო წელზე, მის მარჯვნივ. აქ, პატივანში, ვახუშტის რუკაზე მთავრის რეზიდენციაა აღნიშნული. ცალკეა გამოყოფილი ლაკვა, რომელშიც ამ ხევის 7 სოფელია გაერთიანებული. **მანგლისი და მისი ხევი** კი კველთისწყლის,

მჭავისისა და საყავრისწყლების 18 სოფელს აერთიანებდა. ამათგან 2 სოფელი მჭავისი და საყავრე კლდეკარის სოფლები იყო, თუმცა კი ტერიტორიულად მანგლისის ხევში მდებარეობდნენ.

მანგლისის ტაძრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ იგი „აროდეს შემუსრვილ არს. სამჴრით, გუნბათსა შინა მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყჳან, ამის გამო მოჰმადიანთა არა შეუმუსრავთ. **ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის ჴეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე“** (ვახუშტი 1941: 46). მანგლელი ეპისკოპოსის სამწყსო ალგეთის ხეობის გარდა მოიცავდა ქციის ხეობის სოფლებსაც. ვახუშტის დროს ეს ყოფილა დაბა ქციის ზევით მყოფი სოფლები თრიალეთამდე, მაგრამ ჩანს, რომ მანგლელის სამწყსოში ადრე ქციის ხრამის სხვა ნაწილებიც ყოფილა. 1584 წ. ერთი საბუთის მიხედვით, კათალიკოსმა მანგლელს დაუმტკიცა სოფ. შოშილეთი „ქციის გაღმა“ (ე. ი. მარჯვენა სანაპიროზე), რომელიც შედიოდა დავითისა და აბაშის (ბარათაშვილები) კერძო მამულებში (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 245). 1699 წ. კათალიკოსი მანგლელს ასე მიმართავდა: „მოგეცით სამწყსოდ, რაც პატრონის აბაშისა და დავითის კერძი მამული არის აზნაურშვილი და გლეხნი მთასა, ანუ ბარსა უკლებად. კიდევე მას ზედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი, გაგისამძღვრეთ ვაკე, ღორისთავი, გუდარეჯი, ცოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უბუდეთი, გოგასგვერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით... კიდევე თქვენ და დმანელს სამწყსოზედ სარჩელი შეგქონდათ და ბატონიშვილს კათალიკოზს გაესამზღვრა და გაერიგებინა; და ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ“-ო (ი. დოლიძე 1970: 620). აქ ჩამოთვლილი სოფლებიდან ორი უკანასკნელი თრიალეთშია, ხოლო გარისი, ვარხუნა, კრეფა და ლიპები ქციის შუა წელზე, მის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობენ. მანგლელ ეპისკოპოსს ყმა-მამული ჰქონდა ალგეთის ხევში, ქციის ხრამში, თრიალეთის სოფ. მეთრევანაში და საჯავახიანოს სოფლებში – ზაკვსა, ფიცესსა, კრკონსა და ქვენადრისში (ი. დოლიძე 1970: 584, 701).

ალგეთის ხეობაში, მანგლისის გარდა, მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრები იყო გუდარეხში, საძელისსა და კაბენში. ვახუშტის სიტყვით, „გუდარეხს არს მონასტერი უგუნბათო ბენდერის მთის ძირს, ფრიად შვენიერი, შვენიერს ადგილს, მრავალნი შენობანი; ზის წინამღვარი. მას ზეით, ბენდერის მთისკენ არს ციხე და ადგილი კლდოვანი, კლდითავე მაგარნი“ (ვახუშტი 1941: 46). აქ მონასტერი არსებულა X ს-ში, რომლის 3 წარწერიანი ქვა XIII ს-ში აგებული მთავარი ტაძრის ეკვდერში ჩაუშენებიათ. სამონასტრო კომპლექსი კარგად ნაგები ზღუდითაა გარშემორტყმული და დაახლ. 4,5 ჰა ფართობს მოიცავს. იგი შედგება მთავარი ტაძრის, სამრეკლოს, სასახლის, საჯინიბოს, ეკლესიის, ბერების საცხოვრებელი სენაკების და სხვა შენობათა ნანგრევებისგან. წარწერების მიხედვით, სამრეკლო აგებულია 1278

წ., ხოლო მთავარი ტაძარი 1282-1283 წწ. დაუწყიათ დემეტრე II-ის ქალის, რუსუდანის სახსრებით; გარდაცვალების შემდეგ იგი აქვე დაუმარხავთ. 1586 წ. სიმონ მეფემ გუდარეხის მონასტერი დმანისის ღმრთისმშობლის ეკლესიას შესწირა, მაგრამ მალე გუდარეხი ისევ დამოუკიდებელი ფეოდალური სენიორია გახდა. XVII ს-ში გუდარეხის მონასტერს შეწირულობის სახით მიღებული ჰქონდა ყმა-მამული ვერხვნალასა და ხოპისში, აბელიაში, ცოვრეთში, სოფ. გუდარეხში, ღორისთავში. 1643 წ. როსტომ მეფემ ყოფილი სამეფო მონასტერი გუდარეხისა უბოძა გერმანოზ ბარათაშვილს და მის მემკვიდრეებს. ამიერიდან გერმანოზაშვილებმა გუდარეხი საგვარეულო მონასტრად და სასაფლაოდ დაიმკვიდრეს, რაზედაც მეტყველებენ მათი საფლავების წარწერები XVII-XVIII საუკუნეებისა (მჭედლიძე 1986: 53-62).

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „კიკეთს ქვეით, ჴევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა, ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ, სამჴრით, მას ზემოთ არს ციხე აზეულასი და აწ კოჯრისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჴრით არს სასახლე მეფისა კოჯორი“ (ვახუშტი 1941: 47). კაბენის მონასტრის კომპლექსში შედიოდა ღმრთისმშობლის მიძინების გუმბათიანი ტაძარი, სვიმონ მესვეტისა და მიქელ მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ეკლესიები. მონასტრის ზღუდის გარეთ მყოფი მომცრო დარბაზული ეკლესიის წარწერიდან ჩანს, რომ ვინმე გიორგის შვილებს – ნიკოლოზს, ვასილს, ოქროპირსა და გრიგოლს, თამარის მეფობაში დაუმთავრებიათ ადრე დაწყებული ეკლესიის მშენებლობა. ეს მონასტერი სამეფო იყო, მაგრამ 1637 წ. როსტომ მეფემ იგი ელისბარ სოლაღაშვილს სამკვიდრო სასაფლაოდ უბოძა. ამავე სათავადოში შედიოდა XV ს-დან კოჯრის ციხე, საქართველოს მეფეთა საზაფხულო სადგომი კოჯრისა კი გვიანამდე შემორჩა (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 115).

საძელისის მონასტრის ადრევე არსებული კომპლექსი 1683 წ. განუახლებია პაპუნა გოსტაშაბის ძე ბარათაშვილს. ეს აღნიშნულია მთავარი ეკლესიის მხედრულ წარწერაში, საიდანაც ჩანს, რომ მას **აუგია ეკლესია და სამრეკლო თავისსავე საძვალედ და მონასტრად, შეუმკია სასახლით, სენაკებით და მარნით**. ოსტატები ყოფილან პაპუა და პავლე. ეკლესიის შიგნით საღებავით შესრულებულ წარწერაში იხსენიება **მთავარდიაკონი გრიგოლ** (ან გაბრიელ).

საგოსტაშაბიშვილოს სათავადოს სასახლე ამლივში ჰქონდა, სადაც შემორჩენილია, აგრეთვე, კარის ეკლესიის, კოშკისა და მარნის ნანგრევები.

ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში **მანგლისის ხევი საბარათიანოდ იწოდებოდა, რადგან აქ იყო ამ საგვარეულოს განაყარ სათავადოთა მამულები.**

## ქციის ხრამი

ქვემო ქართლის მდინარეთა შორის, ქცია ერთ-ერთი უდიდესია. შარვაშეთის მთიდან გამომდინარე, იგი გამოივლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამს, ნახიდურთან გაივაკებს და ყის-ყალასთან შეერთვის მტკვარს; ამ გრძელ მანძილზე იგი იერთებს ყველა მცირე და დიდ ხევს, გარდა ალგეთის აუზისას.

**ქციის ხრამი – ესაა ღრმა და განიერი კანიონი მოდამნახის ციხიდან ნახიდურამდე (დღ. არახლო)**, შემდეგ კი გაშლილი ველი ქციის ქვემო წელისა. ვახუშტის სიტყვით,ქციის ხრამი მაშინვე ყოფილა „ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი, ვენახოვანი, ხილიანი“. ქციის ხრამის შენაკადებიდან კლდეისისა და ძველ გომარეთის ხევებია უხილო და უვენახო, დანარჩენები სათავეებისკენ მთური მეურნეობით, ქვემო წელზე კი ბარული მეურნეობით ხასიათდებოდნენ. სამშვილდესა და ნახიდურს შორის ტერიტორიაზე, ვახუშტის დროს, ხარობდა ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი, ზაფხული – ცხელი, ზამთარი თბილი იყო იმდენად, რომ აქაურებს შეშა არ სჭირდებოდათ. ქციისა და მისი შენაკადების ხრამებში მრავალი გამოქვაბულია, სახიზრად გამოკვეთილი კლდეებში. ვახუშტის დროსვე მრავალი მათგანი უკვე მიუვალი იყო და იქ ფუტკრებს დაებუდებინათ,რის გამოც იქიდან თაფლი გადმოედინებოდა: „კვალად არს ქციასა შინა თევზთა სიმრავლე ფრიად და გემოიანნი“-ო წერდა იგი. სწორედ აქაური თევზია, დღესაც რომ „ხრამულის“ სახელითაა ცნობილი. „არს აქა ფრინველთა სიმრავლე შინაურ-გარეულთა და უფროს კაკაბთა, ნახიდურს ქვეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მაჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშკრენი მეფისა... არამედ არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე. ნაყოფიერებს ყოველნი მოსავალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უცთური და მრავალი აბრეშუმი, ბამბა მრავალი, პირუტყვნი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი ყოველნი აურაცხელნი, და ფრინველით სანადირო წარჩინებული ყოველთაგან“-ო, წერს ვახუშტი (1941: 45).

ქციის ხრამი აღწერითი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინია, რომელიც ძველი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი გახდა მას შემდეგ, რაც მისი ცენტრი – ციხე-ქალაქი სამშვილდე მოიშალა, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში **ამ ერთეულს ერქვა სამშვილდე, ან „ყოველი სამშვილდე“.**

წერილობითი წყაროების მიხედვით,სამშვილდე ქართლის უძველესი ქალაქია, ლეონტი მროველის მიხედვით „ქართველთა მამამთავარმა ქართლოსმა პირველად ქართლის მთაზე შექმნა სიმაგრენი, ხოლო შემდეგ სამშვილდისა და ხუნანის ციხეები ააშენა (ლეონტი მროველი 1955: 8). ალექსანდრე მაკედონელს ქართლის ციხე-ქალაქთა შორის უნახავს „დედა-ციხე სამშულდე“ (ლეონტი მროველი 1955: 18). სამშვილდე

და ხუნანი გახდნენ ქვემო ქართლის ორი საერისთავოს ცენტრები. ფარნავაზმა ერისთავთაგან „მესამე გაგზავნა ხუნანის ერისთავად... მეოთხე გაგზავნა **სამშვილდის ერისთავად, და მისცა სკურეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი** (ლეონტი მროველი 1955: 24). როგორც ვხედავთ, ლეონტის აზრით, სამშვილდის საერისთავო სკვირეთის (დღ. ვერის) ხევიდან სომხეთის საზღვრამდე ვრცელდებოდა უკვე ძვ. წ. III ს-ში. ახ. წ. V ს-ისთვის ჯუანშერი მოიხსენიებს ნერსარან ხუნანის ერისთავს და **ადარნასე სამშვილდის** ერისთავს. მათი სამფლობელოები აქ განსაზღვრული არაა; შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორის აზრით ისინი ისევე რჩებოდა, როგორც ფარნავაზის დროს იყო. XI ს-ის ქართველ ისტორიკოსთა წარმოდგენით, ფარნავაზს ქართლი საერისთავოებად დაუყვია „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“, იქ კი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულები – სატრაპიები, მცირე ეპარქიებად დაყოფილნი, არსებობდნენ ძვ. წ. V ს-დან. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის დროინდელი საერისთავოები მთელ ანტიკურ ხანაში ტრადიციული იყო გაერთიანებული ქართლის სამეფოსათვის, თუმცა იგი ყოველთვის უცვლელი არ იქნებოდა. აღწერილი სურათი უფრო უნდა ასახავდეს ვახტანგ გორგასლის მმართველობის სისტემას (მელიქიშვილი 1959: 465).

ძველი დროის სამშვილდის საერისთავოში შედიოდა ვერისა და მანგლისის ხევები, ქციის ხრამი, ქვეშის, ბოლნისის, წოფის ხევები, ტაშირი და კანგარქი.

საერისთავოს ცენტრად გახდომამდე, სამშვილდეს ჯერ თავისი ქვეყანა უნდა ჰქონოდა. სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციები სამშვილდეს, როგორც უმნიშვნელოვანეს ქალაქს, იხსენიებენ თბილისისა და მცხეთის გვერდით. მიუხედავად ამისა, მისი ერთეული ქვემო ქართლის გავართა ჩამოთვლისას არ ჩანს. თუ აქ რაიმე გამოტოვებული არაა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ქციის ხრამი, სომეხი გეოგრაფის წარმოდგენით, შედის მანგლისის ხევსა და ქვეშის ხევებში, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით იხსენიება (ერემიანი 1963: 104); მაინც უცნაური იქნებოდა ქვემო ქართლის უძველესი და უდიდესი ციხე-ქალაქი მანგლისის ან ქვეშის ციხის სახელებით აღნიშნულ ხევებში შესულიყო და იქ ცენტრი „დედა-ციხე სამშვილდე“ არ ყოფილიყო.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციებში მოხსენიებული ტორნისხევ-ტარნრისხევი არის ქციის შენაკადის სახელი (ივ. ჯავახიშვილი 1965: 32), რომელსაც ვახუშტი ასახელებს; ე. ი. ქციის ხრამი ამ გეოგრაფიაში ტორნისხევად აღნიშნული ცალკე ერთეული იქნებოდა. ირკვევა, რომ ტორნისხევ-ტარნისხევი გორგოვათისხევსა და მანგლისის ხევებს შორისაა ჩამოთვლილი, რაც ქციის ხრამს გამორიცხავს ხეობათა თანმიმდევრულად დასახელების

გამო. რაც მთავარია, ვრცელი რედაქცია ამ ადგილას აღნიშნავს ტუნისხევს „რომლის თავშიაც არის დეკციხე“ (ერემიანი 1963: 104), ეს კი უეჭველად ტანისხევ-თეძმისხევს გულისხმობს, სადაც მართლა მდებარეობს დეკციხე.

სამშვილდის დასახელება ქართლის უმნიშვნელოვანეს ქალაქთა შორის მაინც იძლევა საბუთს, რომ მისი ხევი, ე. ი. ქციის ხრამი, IV-V სს-ში ცალკე ერთეულად იყო ჩამოყალიბებული და სომხურ გეოგრაფია-ში იგი შემთხვევითაა გამორჩენილი. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ქვეშაფორი (ქვეშის ხევი), რომელიც სამშვილდესავით გამოტოვებულია ვრცელ რედაქციაში. იმდროინდელი სამშვილდის დაწინაურებაზე მეტყველებს იქაური სიონის აშენება, რასაც ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის დედას მიაწერს (ჯუანშერი 1955: 142). ეს ფაქტი კი არქეოლოგიური გათხრითაა დადასტურებული (ნ. ჩუბინიშვილი).

VIII ს-ის სამშვილდის საერისთავოში სკვირეთი და მანგლისის ხევი აღარ შედიოდა, სამაგიეროდ მას შემოუერთდა თრიალეთი*. ეს ერთეული, შექმნილი ქციის აუზის ხევთა გაერთიანებით, ლეონტი მროველს უკვე IV ს-ში ეგულება. მისი სიტყვით, ბაქარ მირიანის ძემ თავის სიძე ფეროზს მისცა „სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა“ (ლეონტი მროველი 1955: 130-131).

ძველი სომხური და ქართული წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ქართლის საპიტიახშოს ძირითადი ტერიტორია სამშვილდის საერისთავო უნდა იყოს და ქართული წყაროების აქაური ერისთავი პიტიახშია. ამის დამადასტურებელ სხვა საბუთებს შორის ძირითადია წარწერა სამშვილდის სიონზე, რომლის მშენებლები 777 წ. არიან ვარაზბაკურ და იოვანე – „ნათესავით პიტიახშნი“, რომლებიც გუმ-ბათოვან ტაძარს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აშენებენ (ლ. მუსხელიშვილი 1943: 85-106). წყაროებში ჩანს ქართლის სამეფო საგვა-რეულოს წარმომადგენელთა ხშირი ყოფნა სამშვილდეში, მეურვეობა მასზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უძველეს პერიოდში სა-მშვილდის საერისთავო საუფლისწულოა.

სამშვილდის საერისთავოში მოქცეული ხევები გაერთიანებულნი იყვნენ ლაშქრის ორგანიზაციის საფუძველზე, რომელსაც ერისთა-ვი მეთაურობდა. მას ექვემდებარებოდნენ ხევისუფლები, რომლე-ბიც ცალკეულ ხევებს განაგებდნენ და ციხისთავები, თითოეულ ხევში რამდენიმე საციხისთავო შეიძლებოდა ყოფილიყო. რამდე-ნად მემკვიდრეობითი იყო ეს სახელოები, არ ჩანს; პიტიახშობის დამკვიდრება ერთ საგვარეულო სახლში და „ნათესავით პიტიახშო-ბის“ ხაზგასმა სამშვილდის წარწერაში უნდა მოწმობდეს, რომ ერისთავობაც მემკვიდრეობითი უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოში.

* ასევე სოფლის სახელწოდება „საპიტიახშო“ თრიალეთის დასავლეთ ნაწილში.

მოსალოდნელია, ასევე ყოფილიყო ხევისუფალთა და ციხისთავთა სახლებშიც, რომელთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები (საციხისთავო, ხევი) უფრო ბუნებრივი და მტკიცე გაერთიანებანი იყვნენ. უნდა ვიფიქროთ, არაბთა შემოსევის შემდეგ სამშვილდის საერისთავო-საპიტიახშო შემცირდებოდა. მაგრამ თავისი მფლობელი სამშვილდეს შემდგომშიაც შერჩენია. ამაზე მეტყველებს სამშვილდის ბრწყინვალე სიონის მშენებლობა, რომელიც დიდ მფლობელსა და ქვეყნის მმართველს შეეფერებოდა.

სინას მთის ახლადაღმოჩენილ ხელნაწერებს შორის,ერთ მინაწერში იხსენიება **სამშვილდელი დედოფალი დებორა, „რომელმან სამშვილდესა ეკლესიაჲ აღაშენა განსრულებით**“. ეს დებორა დედოფალი, ისევე როგორც ხელნაწერის შემწირველი არშუშაყოფილი იოანე, სრულიად სამართლიანად „ნათესავით პიტიახშთა“ სახლის წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი. ზაზა ალექსიძე სამშვილდის წარწერის ნაკლულ ადგილებში დებორა დედოფლის სახელსაც აღადგენს (ალექსიძე 1991). ამ წარწერაში ბიზანტიელი კეისრების მოხსენიება ლაპარაკობს აქაურ მმართველთა ბიზანტიურ ორიენტაციაზე და მათ მხარდაჭერაზე არაბთა საწინააღმდეგოდ. ამიტომაც სამშვილდის ქვეყანას მაშინ თბილისის საამიროში ვერ ჩავთვლით.

VIII-IX საუკუნეებზე თხრობისას „მატიანე ქართლისა“ შენიშნავს: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“ (მატიანე ქართლისა 1955: 250). ამასთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ „ჴევი ამ დროისათვის საბოლოოდ იქცა ფეოდალურ წარმოებით ერთეულად. ჴევისუფალი იქცა პატრონად, მთავრად“ (ნ. ბერძენიშვილი 1975: 168). დაღეთთან ნაპოვნ წარწერაში IX-X სს (ციციშვილი 1966: 51), **ქობულ ჴევისუფალი** დამოკიდებული არ ჩანს არც თბილისის ამირაზე, არც „ნათესავით პიტიახშებზე“, არც სომეხთა ბაგრატუნებზე, რომლებმაც IX ს-ის ბოლოდან სამშვილდე დაიპყრეს (იოანე დრასხანაკერტელი 1965: 224). უნდა ვიფიქროთ, სომეხ ბაგრატუნთა აქაური მფლობელობა ადგილობრივ ქართველ ხელისუფალთა მმართველობას ეგუებოდა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სამშვილდის საერისთავო აღარ არსებობდა, მაგრამ ციხე-ქალაქი სამშვილდე და მისი ქვეყანა ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულად რჩება ქვემო ქართლში. ამ ერთეულს მთლიანად ფარავს მისი ცენტრის,სამშვილდის სახელწოდება. ამის დამადასტურებელი მაგალითები „ქართლის ცხოვრება“-ში რამდენიმეა. 1072 წ. **„სამშვილდის ტბათა მდგომსა** ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა“, რის გამოც მეფე გარდაიცვალა (მატიანე ქართლისა 1955: 314). სამშვილდის სიახლოვეს ტბა არსადაა. ჭივჭავას სათავეებთან, ნადარბაზევში არის მცირე ტბა, სწორედ ის იგულისხმება ზემოხსენებულ ეპიზოდში, როგორც ვხედავთ, მაშინ ჯერ კიდევ იმ ადგილს საკუთარი სახელი არ ჰქონია და მატიანე ასეთი აღწერითი

სახელწოდებით იხსენიებს – „სამშვილდის ტბანი“. გამოდის, რომ ნადარბაზევის (ეს გვიანი სახელწოდებაა) სამეფო საზაფხულო სადგომი უფრო ადრეულია, ვიდრე ვახუშტისეული „თამარ მეფის ნასასახლევი“. მართლაც, არქეოლოგიური გათხრებით მტკიცდება, რომ იქაური სადგომი IX-X სს-ში არსებობს, ხოლო ინტენსიური ცხოვრება XI-XIII სს-შია, რაზედაც მეტყველებს მოჭიქული კერამიკა, მინის ჭურჭელი, ლაშა-გიორგის მონეტა (ციციშვილი, ზაქარაია, 1955: 101; ზაქარაია 1972: 83).

ზემოხსენებულ „სამშვილდის ტბათა“ გვერდით იხსენიება „სამშვილდის კარი“ (მატიანე ქართლისა 1955: 316), რაც, სხვა მაგალითების მსგავსად („ანისის კარი“,„ლორის კარნი“),ციხე-ქალაქის კარიბჭეს კი არა, არამედ მის სანახებს, მისადგომებს გულისხმობს (ნ. ბერძენიშვილი 1979: 134). გვხვდება გამოთქმაც „სამშვილდის ბარი“ (მატიანე ქართლისა 1955: 318), რაც ქციისა და ალგეთის ქვემო დინებას აღნიშნავს, რადგან „სამშვილდის ბარშია“ დასახელებული ფარცხისის ციხეც; უფრო უკეთ სამშვილდის ქვეყნის ეს შემკრებლობითი ცნება გამოხატულია გამოთქმით „ყოველი სამშვილდე“, სადაც ძირითადად იგულისხმება ქციის ხეობა მოდამნახის ციხიდან მტკვრის შესართავამდე. მაგრამ ამ ციხე-ქალაქის გავლენა ქვემო ქართლის სხვა ციხეებზედაც ვრცელდებოდა. ამის მაგალითია ბაგრატის მიერ სამშვილდარ-ძორაკერტელი კვირიკიანებისთვის სამშვილდის წართმევის ეპიზოდი: შეპყრობილი და ძელზე გასმული სომეხთა მეფის ძმები ბაგრატს სამშვილდის გარდა სხვა ციხეებსაც სთავაზობდნენ ქვემო ქართლში, მეფემ კი მხოლოდ სამშვილდე დაიტოვა და მაინც „ეგრეთვე მონებდეს სომეხნი“ (მატიანე ქართლისა 1955: 307); ასევე მოხდა დავით აღმაშენებლის დროსაც; როდესაც ქართველებმა სამშვილდე აიღეს, სომხითის სხვა ციხეებში ჩამჯდარი თურქები უომრად გაიქცნენ (დავითის ისტორიკოსი 1955: 331-332). ამიერიდან „ყოველი სამშვილდე“ საბოლოოდ სამეფო საკუთრება გახდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ქციის შენაკადებიდან პირველად აღწერს **კლდეისის ხევს,** რომელიც „გამოსდის ბენდერის გამოკიდებულს მთასა. **ჴორჴებს არს ქვაბი კლდისა,** რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმინდა და მრავალი,ზიდვენ ზაფხულს მეფისათჳს. **ამის დასავლით არს ციხე, და არა არს აქაცა ვენახნი და ხილნი“** (ვახუშტი 1941: 43). ამ ხევის 5 სოფელი (ყურის-ხევი, ატამეთი, ქუჯაეთი, კლდეისი, ჴორჴები) ვახუშტის რუკაზე და მისი სოფლების სიაში სწორედ ამ თანმიმდევრობითაა დანომრილი და განლაგებული, ქციის შესაყარიდან ზევით. ვახუშტის აღწერილობაცა და ტოპონიმებიც – კლდეისი, ჴორჴები – კარგად მიგვანიშნებენ მთიანსა და კლდოვან გარემოს, სადაც კლდეისი უმნიშვნელოვანესი პუნქტია, ხევისთვის სახელის მიმცემი. იქაური ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია დიდი ნაგებობა

ყოფილა, მრავალი წარწერის შემცველი. მათ შორის იხსენიებიან ივანე, ქავთარ ტბელნი, ვინმე სპირიდონ, ივანე ერისთავი, ვაჩე ე˜ევი, კვირიკე მცირე და სხვ. (თაყაიშვილი 1913: 118-119). ეკლესია და წარწერები X-XI სს-ებს განეკუთვნება, ხოლო აქაურ წარწერათა სიმრავლე დიდ აზნაურთა მოხსენებით კლდეისის უპირატეს მნიშვნელობას აღნიშნავს. შესაძლოა, ამას განაპირობებდა ბუნებრივი საყინულე ხორხებში და აქ გამავალი მოკლე გზა თრიალეთისაკენ, რომლის ჩამკეტად დგას ხორხების ციხე განვითარებული ფეოდალიზმის ხანისა. ეს ციხე მდებარეობს კლდეისის დასავლეთით, ხეობაში გადმომყურე ქედის ბოლოზე. მისი გალავანი სწორკუთხაა და უკავია ფართობი დაახლ. 60მX20მ. ნაგებია თანაბარი ზომის კლდის ქვით, კირის ხსნარზე; ხშირია შეკეთების კვალი. გალავნის სიგრძეზე კედლებს ოთხ-ოთხი ბურჯი აქვს, სიგანეზე – სამ-სამი. ერთი ბურჯია მხოლოდ ოთხკუთხა აღმოსავლეთ კედელში. სამხრეთი კედლის შემოსასვლელის ორივე მხარეს არსებული ბურჯები კოშკებადაა ქცეული. კედლის სიმაღლე ზოგან 3-5 მ-ს აღწევს. გალავნის შიდა ტერიტორია სათავსოთა ბუდეებს უკავია. უნდა ვიფიქროთ, ამ საციხისთავოს ემორჩილებოდა პირველ ყოვლისა კლდეისის ხევის სოფლები, ხოლო კლდეისში მოხსენიებული ე˜ევები, თუ აზნაურები ხორხების ციხის გამგებლებიც იქნებოდნენ. ვახუშტის მიერ ნათქვამი, რომ აქაურ ბუნებრივ ყინულს ზაფხულობით მეფეებს უზიდავენო, უნდა გულისხმობდეს ნადარბაზევის საზაფხულო სამეფო სადგომს, რომელიც კლდეისის სიახლოვესაა. კლდეისი იყო მთავრის (ანუ თავადის) რეზიდენციაც.

მოდამნახის ციხე თრიალეთის და ქციის ხრამის საზღვარზეა, მდინარის მარჯვნივ, მაღალ კლდეზე. ხუთკუთხა გალავანი ევლება ფართობს დაახლ. 15მX30მ. კედლები ნაგლეჯი ქვითაა ნაგები კირხსნარზე. სიმაღლე მათი ზოგან 10 მ-მდე აღწევს, სისქე – 1 მ-ია. ხშირია გადაკეთების კვალი. არის ძველი ჰორიზონტალური წყობაც. გალავანს 5 ნახევარწრიული ბურჯი აქვს. არის ოთხკუთხა და მრგვალი კოშკებიც. დასავლეთიდან ამომავალი ერთადერთი ბილიკი სამხრეთით გაჭრილ კარს მოადგება; ყველა სხვა მხრიდან ციხე სრულიად მიუვალია. სამზერი ორია – სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ; არის სათოფურებიც. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დარბაზული, ბრტყელსაკურთხევლიანი ეკლესიის ნაშთია, დასავლეთი შესასვლელითა და აღმოსავლეთით ერთი სარკმლით. ეზოში მოზრდილი მრგვალი წყლის აუზია, შიგნიდან ამოლესილი. ციხე განვითარებული ფეოდალიზმის ხანიდან უნდა არსებულიყო გვიანამდე. იგი მოხერხებულად კეტავს ქციით მიმავალ გზას თრიალეთისაკენ და მარჯვნიდან შემდინარე ჭოჭიანის ხევის (კარწახისწყალი ვახუშტისთან) აყოლებით, გომარეთისაკენ მიმავალ მეორე გზას.

სახელწოდება მოდამნახე ქციის გარდა კიდევ ორ ციხეს ჰქვია

იმერეთში და ერთს – კახეთში; ცხადია, ესაა ზოგადი სახელი გარკვეული თვისების ციხეებისა, რომლებიც განსაკუთრებული მიუვალობით ხასიათდებიან. სახელწოდებაში სწორედ ის ჩანს, რომ მტერი ამ ციხეს ნახვის მეტს ვერას დააკლებს*. მართლაც, იმერეთის მუხურასთან მყოფ მოდამნახეზე ვახუშტი აღნიშნავს, რომ ის იყო **„მაგარი კლდითა და შეუვალი“** (ვახუშტი 1941: 154), ხოლო საჩხერის მოდამნახე კი ყოფილა „მოზღუდვილი კლდითა, **მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან“** (ვახუშტი 1941: 156). მსგავსი სახელწოდებანი ჰქონიათ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებშიაც. საბუთებიდან ჩანს, რომ მოდამნახეს ციხეს თავისი სოფელიც ჰქონია ციხისავე სახელწოდებით, რომელიც XVI ს-ში უკვე ნასოფლარი ყოფილა და ამიტომ არც ვახუშტი მოიხსენიებს სოფელს სიებში. ეს იქნებოდა ციხის სოფელი („ციხისძირი“, „ციხისგვერდი“), მაგრამ ამ საციხისთავოში იქნებოდა, აგრეთვე, ქციის ხრამის სხვა სოფლებიც: ვარდის ჭალა, ლიპარიტისუბანი, სოფ. ქცია, ჯაბარყელა, შოშილეთი, საკეცე (ეს სახელი კეცისათვის გამოსადეგ თიხნარს აღნიშნავს), რომელიც მეთუნეების სოფელი უნდა ყოფილიყო.

ქციის ხრამის მარცხენა სანაპიროზეა ცხნარის ციხე, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ხანის სიმაგრეა, კლდეზე გაშენებული მისი გალავანი ზღუდავს ფართობს დაახლ. 25X10 მ. კლდეებს ახლავს 5 ნახევარწრიული ბურჯი. კლდის სხვადასხვა ზომის ლოდები კირ-ხსნარზეა ნაგები. სამზერი და სათოფური აღმოსავლეთით იყურება ქციას ამოყოლილი გზისკენ. ეს გზა აქ მეორე გზითაც იკვეთება, რომელიც დმანისხევიდან გადმოდის და ირაგის ხევისკენ მიემართება. ამდენად ციხის სტრატეგიული მდებარეობა სავსებით ცხადია. ზემოხსენებული სოფ. შოშილეთი სწორედ ცხნარის ციხისკენ მომავალ გზაზე მდებარეობს მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, მისი სახელწოდებაც გზასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან შოშინება, და-შოშინ-ება, საბას განმარტებით, „მცირედ დამშვიდებას“ ნიშნავს (სულხან-საბა ორბელიანი 1991; 1993); ე. ი. ეს უნდა ყოფილიყო მოსასვენებელი ადგილი (შდრ. სავანე, სავანეთი და სხვ.). ცხნარის ეკლესიაზე ბალავრის წარწერაში იხსენიება დავით ულუ და ვარამ გაგელი, რომელიც ამ სოფლის პატრონი ყოფილა. ცხადია, მასვე ემორჩილებოდნენ აქაური მეციხოვნენი (დ. ბერძენიშვილი 2006: 41-50). ვახუშტის სოფლების სიაში ცხნარი და ფიტარეთი ცალკეა აღნუსხული, ე. ი. ცხნარის ციხეს ფიტარეთიც ექვემდებარებოდა. აქვე, ცხნარის სამხრეთით მყოფი აბანოც მის გამგებლობაში ექცეოდა. ვახუშტის, შეცდომით, აბანო ქციის მარჯვენა შენაკად ფოცხვერიანის წყალზე აქვს აღნიშნული თავის რუკაზე. სინამდვილეში იგი ქციის მარცხნივაა, რასაც ადასტურებს მოზრდილი ნასოფლარი, ნაეკლესიარი

* ამიტომაც არაა სწორი აწინდელი ფორმა სახელისა „მოდი ნახე“.

და აბანოს შენობის ნანგრევი, რომელშიაც თიხის მილები ჩანს წყლის შემოსაყვანად.

ვახუშტის სოფლების სიაში ცალკეა აღნუსხული ფოცხვერიანის ხევის 4 ნასოფლარი (აბანო აქ შეცდომითაა დამატებული), ესენია: კიპრუჭი, ფოცხვერიანი (ორი) და მთაწმინდა. საკუთრივ ციხე ამ ხეობის სოფლებს არ გააჩნიათ და უნდა ვიფიქროთ, ცხნარის საციხისთავოში შედიოდნენ, შემდეგ კი, როდესაც ხულუტის ციხე აშენდა (XVII ს-ის I მესამედში) ყაფლან ორბელიშვილის მიერ, უკვე ამ ციხე-დარბაზის შესავალი სოფლები გახდებოდნენ. ვახუშტი წერს: „ერთვის ქციას **ფოცხვერიანის ჴევი, ვენახიანი, ხილიანი,** ქვეით მისა ქციის კიდესა ზედა არს **„ციხე ხულუტისა“** (ვახუშტი 1941: 44). ხულუტის ჭალა ახლაც ხილის ბაღებითაა სავსე, ხოლო სახელწოდება სოფლისა კიპრუჭი, საბას განმარტებით, **გამაგრებული თაფლია** (სულხან-საბა ორბელიანი 1991). ასეთი ტოპონიმი დმანისხევშიაც არის: ჩანს, იგი ზოგადი სახელია იმ ადგილისათვის, სადაც ველური ფუტკარი მრავლდება და გადმონადენი თაფლი მაგრდება.

ვახუშტის სიტყვით, ხულუტის ქვევით, „მის ქვეით, სამჴრით, არს **ციხე ბერიქალისა,** კლდესა ზედა, კლდითვე მოზღუდვილი, შეუვალსა და მაგარს ადგილს“ (ვახუშტი 1941: 44). მართლაც ყოვლად მიუვალ ამ ციხეს კლდოვანი მთის თხემი უჭირავს. გალავანს აღმოსავლეთით მრგვალი კოშკი აქვს. კედლებს ეტყობა სხვადასხვა დროის გადაკეთების კვალი. **უძველესია** ადრეფეოდალური, თანაბარი, საშუალო ზომის ქვათა რეგულარული მწკრივები, რომლებიც კირხსნარზეა ნაგები. გალავნის შიგნით სადგომების ბუდეებია; გვიანი ხანის კედლებში სამზერ-სათოფურებიცაა დატოვებული. ბერიქალის ციხე დმანისხევიდან სამშვილდეში მიმავალ გზას დარაჯობს და თავის დაქვემდებარებაში აქცევს ქციის მარჯვენა სანაპიროს სოფლებს – დიას, ბერიქალსა და სენებს. ციხის სახელწოდება უნდა მოდიოდეს სოფ. ბერიქალისაგან, რაც ამ სოფლის მომშენებელს უნდა გულისხმობდეს (შდრ. ბერიკაცი). შესაძლოა ის ბერი ქალი მონაზონიც ყოფილიყო, რადგან მეზობელი სოფლის სახელი სენები, სენას სიმრავლეს გულისხმობს. ეს კი (სენა, სენაკი) ძვ. ქართულში ბერის, ან მონაზვნის სადგომი, მისი ქოხია.

ბერიქალის ციხის შემდგომ ვახუშტი წერს: „ქვემორ მისა ერთვის ქციას ჴევი ტორნე, ირაგის ჴეობის მდინარე გამოსდის ბენდერის მთას... არამედ ჴეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი, მოსავლიანი, გარნა ბენდერის მთის კერძოდ, ვითარცა სხვა მთის ალაგნი“ (ვახუშტი 1941: 44). გამოდის, რომ ტორნე მდინარის სახელია (შდრ.: ტანა, ძამა, მაშავერი...), რომელსაც შემდეგ ირაგის ხეობა დარქმევია, სოფ. ირაგის მიხედვით. ვახუშტის სოფლების სიაში ამ ხეობის 19 სოფელი გაბმითაა აღნუსხული და ჩანს ისინი წყლისპირა სოფლებია, რადგან შემდეგი 8 სოფელი, ცალკე ნუმერაციით რომაა ჩამოთვლილი, მთაშია დასახელებული. ეს მთები კი, ირაგის წყლისა

და ქციის წყალგამყოფი მთებია, სადაც მდებარეობდნენ სოფლები: მონასტერი, სამღერეთი, გვიანა, ლიპი, კამარეთი, რაფაქეთი, ბოცეთი და ლიყურეთი. ამ მთის სოფლებს საკუთარი ციხე არ ჰქონიათ, მაგრამ სამღერეთში მთავრის რეზიდენცია იყო, რომლის ირგვლივაც იქნებოდნენ ეს სოფლები გაერთიანებულნი.

ციხე არ ჩანს ირაგისწყლის დანარჩენ 19 სოფელშიც, მაგრამ საბუთებში ირაგის მარჯვნივ, სოფ. კრეფასთან იხსენიება **ჩალის ციხე,** რომელიც XVI ს-ში უკვე ნასოფლარია (ი. დოლიძე 1972: 30; თაყაიშვილი 1910: 140-141) და ამიტომ ვახუშტი მას უკვე აღარ იხსენიებს. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აქ ციხე უნდა ყოფილიყო, რასაც ემოწმება საქართველოში არსებული ციხეები მსგავსი სახელებით: ვარდციხე, იისციხე, თხმელის ციხე, ლასტის ციხე... ირაგის ხევის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის არსებობას ადასტურებს, აგრეთვე, ჯიგრაშენში (ირაგის მეზობლად) ნაპოვნი ორი წარწერიანი ქვა, სადაც ეკლესიის ტრაპეზის მაშენებლად ნიკოლოზ ერისთავია დასახელებული (ბაქრაძე, ბოლქვაძე, 1953: 30). ცხადია, ეს ერისთავი იქნებოდა გამგებელი ირაგის ხეობის სოფლებისა და ჩალის ციხისაც.

„ყოველ სამშვილდეში“ ცალკე ერთეულად ჩანს ჭივჭავას ხეობა, ქციის მარცხენა შენაკადისა, რომელშიც შედიოდა ციხე-ქალაქი სამშვილდეც. ჭივჭავა, ტორნესავით, მდინარის სახელია და ასეთი პუნქტი აქ არ არსებობდა. ცხადია, ამ ხევის 11 სოფელი იყო ის ძირითადი მომსახურე მასა („მოჯალაბე“-ნი), რომელიც სამეფო სამშვილდისა და ნადარბაზევის საზაფხულო სასახლის სამეურნეო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. სახელწოდება სამშვილდე უნდა უკავშირდებოდეს მშვილდს (შდრ.: სა-თოფ-ე), რაც ჯერ კიდევ იოანე დრასხანაკერტელს (X ს.) შეუნიშნავს და აუხსნია როგორც „სამი მშვილდი“ (იოანე დრასხანაკერტელი 1965: 224). არქეოლოგიური გათხრებით მტკიცდება, რომ მოსახლეობა აქ ადრებრინჯაოს ხანიდან გაჩენილა. ასევე დასტურდება ძვ. წ. IV-III სს. ფენები, რაც ქართული წყაროების ჩვენებებს ეთანხმება სამშვილდეს ძველი ქალაქობის შესახებ (ჭილაშვილი 1969: 32). ვახუშტის აღწერით, მას „სამჴრით უდის ქცია, ჩრდილოთ უდის ჭივჭავა, საშორისსა ზედა არს გარდავლებული ჴრამით ჴრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა... ხოლო ქციის ჴრამი აქა არს სიმაღლით ს მჴ**არი** (ე. ი. 200 მ. – დ. ბ.) და მეტიცა, და განიც თ მჴარი (560 მ), და ჭივჭავას ჴრამი ს მჴარი (200 მ). აქ ჭივჭივასა ზედა არს კლდე სპეტაკი, და მისგან სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ, მწვეტი ორკერძოვე“ (ვახუშტი 1941: 44). სამშვილდის ხერთვისი, ორი მხრიდან სრულიად მიუვალი, მხოლოდ დასავლეთი მხრიდანაა მისადგომი და ამიტომაცაა აქ აგებული 6 მ სისქისა და 12 მ სიმაღლის კედელი (ის უფრო მაღალიც იქნებოდა ადრე), რომელსაც ვერაფერს დააკლებდა ფილაკავანი და ზარბაზანი

ფეოდალური ხანისა. ციხის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია სასახლისა და ორი აუზის ნანგრევი,აღმოსავლეთ მხარეს კი 3 ეკლესია, ამათგან ერთი – გუმბათიანი სიონი. ნაქალაქარის ტერიტორიაზე 4 ეკლესიისა და საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებია. ირაგის ხევიდან გამოყვანილი წყალსადენი ქალაქს სასმელი წყლით ამარაგებდა. დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული, ციხე-ქალაქი სამშვილდე და მისი „ყოველი ქვეყანა“ სამეფო იყო XV ს-მდე. სამშვილდის ერთი ეკლესიის ფრესკულ წარწერაში იხსენიება ვინმე ე˜ევი და მეუღლე მისი დარეჯან, რომელთაც სამშვილდის ციხის ქონების ჟამს აქ ეკლესია აუგიათ და ციხე შეუკეთებიათ, წარწერას 1110-1125 წწ. ათარიღებენ (ბარამიძე 1983: 25); რაც მოწმობს იმას, რომ დავით აღმაშენებელი სამშვილდის ქვეყანას ამ ე˜ევის მეშვეობით განაგებდა. გიორგი III გარდაცვალების დროს, სამშვილდეში მეფის და რუსუდანი იჯდა (ისტორიანი და აზმანი 1959: 24), ხოლო აბელიის ეკლესიის XIII ს-ის წარწერაში, დავით ულუს და დავით ნარინის „წყალობით“ შენდება ეკლესია (თაყაიშვილი 1905: 16-19), რაც ამ ქვეყანას ისევ სამეფოდ ახასიათებს.

ქციისა და მტკვრის შესაყარში არსებული ყის-ყალის ციხე, რომელსაც ვახუშტი შეცდომით ხუანის უწოდებს, ბატონობდა ქციის ქვემო წელის ველზე. ამ ციხეს აიგივებენ არაბულენოვანი წყაროების ყალა-იბნ-ქანდამან-თან და ჯარდამანთან, რაც ქართული წყაროების გარდაბანი უნდა იყოს (ჭილაშვილი 1958: 187-194). ჩანს,ეს ციხე ადრევე დანგრეულა და დაკარგვია ძველი სახელი. ყოველ შემთხვევაში,მას ამ სახელით ქართული და სომხური წყაროები არ იხსენიებენ.

ქციის ჭრამში მანგლელი ეპისკოპოსის სამწყსოზე ზემოთ აღვნიშნე; აქ უნდა დაემატოს ისიც, რომ აბელიის ეკლესიის წარწერაში XIII ს-ში იხსენიება არსენი მშვილდაჲს ძე მანგლელი მთავარეპისკოპოსი – ეკლესიის მაშენებელი (თაყაიშვილი 1905: 16-19). უნდა ვიფიქროთ, აბელიაც მანგლელისა იყო ან სამწყსოდ, ან სამკვიდროდ.

ქციის ხრამში არსებულ სოფლებზე ხელი მიუწვდებოდა ტფილელ ეპისკოპოსსაც. ვახუშტის სიტყვით, ტფილისში იჯდა „ეპისკოპოზი, მწყემსი ტფილისის სამჭრით ქციისამდე“ (ვახუშტი 1941: 53). XV-XVI სს. საბუთებში იხსენიებიან თბილელ-მანგლელი ეპისკოპოსები (იოსელიანი 1866: 171-172), ხოლო მანგლელთა სოფლები ქციის ხრამში ზემოთ დავასახელე. თბილელ ელისე საგინაშვილს XVII ს-ში ექვემდებარებოდა **პირღებულის მონასტერიც** ქციის მარცხენა სანაპიროზე. ამას მოწმობს წარწერა, რომლის მიხედვით, თბილელმა საგინაშვილმა ელისემ „მეორედ აღაშენა გაოხრებული მონასტერი“, განაახლა ხატებითა და საკურთხეველითა, 3 კომლი ნასყიდი კაცი შესწირა და 2 წისქვილი ააბრუნა მონასტრისათვის (თაყაიშვილი 1904: 20-23). 1671 წ. ერთი საბუთიდან ჩანს, რომ თბილელ იოსებს **სამწყსოდ ემორჩილებოდა** ქციის ხრამის სოფლები **წრაუთი და ბალახაური,**

რომლებზედაც პრეტენზიები ჰქონია დმანელ ეპისკოპოსსაც (ჟორდანია 1903: 221-222). 1721 წ. მეწინავე სადროშოს აღწერიდან ჩანს, რომ თბილელს ქციის ხრამში სამწყსო სოფლების გარდა, სამკვიდრო ყმა-მამულიც ჰქონია (ლორთქიფანიძე 1938: 309, 459).

გარდა საეპისკოპოსოთა სამწყსო-სამფლობელოებისა, ქციის ხრამში მნიშვნელოვანი საკულტო ცენტრები იყო მონასტრების სახით. მათ შორის ვახუშტი პირველად ასახელებს ვარდისუბნისას: „მოდამნახეს ქვევით არს **ვარდის-უბანს მონასტერი** უგუნბათო, შვენიერს ადგილს“ (ვახუშტი 194: 43). ეს მოზრდილი, ერთნავიანი, დარბაზული ნაგებობაა სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენებით. მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ქვებით, რომლებსაც არსად არ ახლავს ჩუქურთმა. მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის ერთი სარკმელის თავზეა ამოკვეთილი მცირე ჯვარი. ეკლესიაში გდია მოზრდილი ლოდი სამსტრიქონიანი წარწერით, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ჯერ კიდევ სამხრეთ შესასვლელის თავზე დახვედრია XIX ს-ის ბოლოს. მეცნიერს ეს უცნაური წარწერა თურქული თუ არაბული მოსჩვენებია და ვერ ამოუკითხავს (თაყაიშვილი 1913: 123). სინამდვილეში ესაა ქართული მხედრულით (თუმცა უჩვეულო) შესრულებული წარწერა, სადაც ქვის შეწირვაზე უნდა იყოს საუბარი; იგი ასე იკითხება: „...გჯჩიძ(ე) მ (ა) ნ შ (ე) ეს (წირე) დ (ა) იჳს (ე) ნ ს(ა) ტ (ა) ნჯ (ვე) ლისაგ (ა) ნ სულის (ა)“. წარწერა XV ს-ისა უნდა იყოს.

შემდეგი მონასტერი ქციის მარჯვენა სანაპიროზე არის ლიპარიტის უბანში. ვახუშტის სიტყვით, კლდეისის ხევის „ქვეით ქციაზედ არს ლიპარიტის-უბანს მონასტერი მცირე, კეთილშენი, და აწ არიან ეს ორნი მონასტერნი ცარიელნი“-ო (ვახუშტი 1941: 43-44); აქ ზემოხსენებული ვარდისუბნის მონასტერიც იგულისხმება. უკვე სახელწოდებიდან ჩანს, რომ აქ ბაღვაშთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ივარაუდება, რაც მიუთითებს მის აქაურ მფლობელობაზე და ეგების მონასტრის დაარსებაზეც კი (შდრ. დავითის უბანს, მონასტერი მაშავრის სათავეებთან). მონასტრიდან ამჟამად გადარჩენილია გალავნის ნაშთი, მოზრდილი ნაგებობის (სასახლე?) ნანგრევი და მცირე სადგომთა კედლები, ეკლესია აღარ შერჩენილა. ექვთ. თაყაიშვილს აქ უნახავს გათლილი ქვით ნაგები გალავნის კარიბჭე, ეკლესია კარგად ნაგები თლილი ქვისა, რომელიც დარბაზული ყოფილა, დასავლეთი და ჩრდილოეთი მინაშენებით, იქვე ყოფილა ორსართულიანი კოშკი ნაგლეჯი ქვით აშენებული, ალბათ, უფრო გვიან, ვიდრე ეკლესია; ეკლესიის კარ-სარკმლები და ლავგარდანები მდიდრული ჩუქურთმით იყო დაფარული. შიგნიდან კარის თავზე ყოფილა მოხატულობაც. ღვთისმშობელი და მთავარანგელოზები წარწერებით: „წმიდაჲ მიქელ“, „წმიდაჲ გაბრიელ“. გალავნის ქვაზე ასომთავრულ წარწერაში ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით იხსენიებოდა თევოდორე იოდოსის ძე, რომელსაც აუგია ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობაზე, თამარისა

და დავითის მეფობისას, ე. ი. 1189-1209 წწ. მეცნიერის აზრით, შეიძლება ეკლესიის ამგები იყოს ქართლის კათალიკოსი თევდორე, თამარის დროის მოღვაწე, თუმცა ის თავს კათალიკოსად წარწერაში არ იხსენიებს. ეზოში ყოფილა ორსართულიანი სასახლე და სხვა დამხმარე ნაგებობანიც. რომელთაც ექვთ. თაყაიშვილი ლიპარიტის სასახლედ და სატრაპეზოდ მიიჩნევს (თაყაიშვილი 1913: 109-115). საქართველოს მეფეთა სალოცავად ეკლესიის აშენება ლიპარიტის უბანში აშკარად მიუთითებს ქციის ხრამის სამეფო საკუთრებად გადაქცევას დავით აღმაშენებლის დროიდან*.

ვახუშტის სიტყვით, ძველი გომარეთის ხევის „ქვემორ არს დაბა ქცია მდინარის ქციის პირს. აქა არს მონასტერი კეთილი და აწ ხუცის სამარად“ (ვახუშტი 1941: 44). უკვე ვახუშტი ვარაუდობდა, რომ მდინარეს სახელი ამ დაბის გამო შეერქვა, რაც სწორი უნდა იყოს. ქციის მარჯვენა შენაკად ფიჭვების წყლისა და ქციის შესაყარში მოთავსებული დაბა ორი ეკლესიის შემცველია; ერთი ორეკლესიიანი ბაზილიკაა სამხრეთიდან მინაშენით, რომელიც IX-X სს-სა უნდა იყოს, მეორე ნაგლეჯი ქვით ნაგები – მოგვიანო ხანისა. პირველი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში საძვალე ყოფილა, რომელიც ექვთ. თაყაიშვილის დროსვე უკვე გაძარცვული იყო. სამხრეთი მინაშენის შესასვლელს ქვის ამყოლები აქვს, რომელზედაც XVI-XVII სს. მხედრულით ამოკაწრულია ლექსი: „ესე სოფელი ქცია მტერმა ვერ დააქცია“. 1721 წ. აღწერის მიხედვით, აქ იყო 4 მებატონე ქავთარაშვილები, ეკლესიას ჰქონდა მამულები, ცხოვრობდა 17 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 357). 1727 წ. ერთ საბუთში იხსენიება ქციელი დეკანოზი (თაყაიშვილი 1899: 292), ალბათ, ის, რომელზედაც ვახუშტი ზემოხსენებულ ცნობაში ამბობს: ქციის მონასტერი არის „აწ ხუცის სამარად“-ო.

ქციის შემდეგ ვახუშტი ასახელებს ფიტარეთის მონასტერს, რომელიც არის „შვენიერნაშენი, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი“ (ვახუშტი 1941: 44). საბას განმარტებით, ფიტა თევზია, ხოლო ფიტი – თაფლგამოცლილი ფიჭა (სულხან-საბა ორბელიანი 1993). საფიქრებელია ერთი ამათგანი უნდა იყოს ფიტარეთის ფუძე, რითაც ეს პუნქტი ხასიათდებოდა**. გალავანშემოვლებული სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია გუმბათიანი ტაძარი, რომლის წარწერიდან ჩანს, რომ იგი აუშენებია გიორგი ლაშას ამირეჯიბს – ქავთარ ქაჯიფაის ძეს 1213-1222 წწ. შერჩენილია გუმბათის ყელისა და კარ-სარკმლების ოშვიათი ხელოვნებით შესრულებული ჩუქურთმები, შიგნით ჩანს მოხატულობის კვალიც. აკად. ს. ჯანაშიას

* 1721 წ. აღწერით, ლიპარიტის უბანში იყო ერთი მებატონე – იოთამიშვილი და ერთი გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 323)

** 1701 წ. აღწერაში გვხვდება ამ სახელწოდების სხვა ფორმაც: „ფიტიელი“.

ვარაუდით ვახუშტის ცნობა და გადმოცემა ბარათაშვილთა ქიჩიბაძეთაგან წარმომავლობაზე სწორედ ამ ქავთარ ქაჯიფაის ძეს უნდა გულისხმობდეს (ს. ჯანაშია 1952: 472), ისიც ნიშანდობლივია, რომ ბარათაშვილთაგან მომდინარე ყაფლანიშვილთა ერთ-ერთი საძვალე ფიტარეთის მონასტერი იყო. აქაური მებატონეები ჯერ ბარათაშვილები, შემდეგ ყაფლანიშვილები იყვნენ; მემამულეებად ჩანან: წინამძღვარი, დეკანოზი, ქიტოაშვილი, შიოშვილი, მღრეული. XVII-XVIII სს-ში აქ მოღვაწეობდა ღმრთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი იობ ფიტარელი, ცნობილი თავისი მწიგნობრობით, ქადაგებით და გალობით. 1701 წ. აღწერით ამ სოფელში 36 გამომღები გლეხი, 2 ბოგანო და ერთი აყრილი ყმა ითვლებოდა (ლორთქიფანიძე 1935: 354).

ფიტარეთის შემდეგ ვახუშტი ასახელებს მე-5 მონასტერს: „სამღერეთს ზეით, გვიანას, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ“ (ვახუშტი 1941: 44). სახელი გვიანა „გვიან“ ფუძიდან მოდის და მოსავლის აქ მოგვიანებით შემოსვლას უნდა გულისხმობდეს. მართლაც, ვახუშტი მას ირაგის წყლის მთის სოფლებს შორის ასახელებს სოფელთა სიაში. სამონასტრო კომპლექსიდან აქ გადარჩენილია მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ჩონჩხი, სრულიად პერანგახდილი, გათლილი ლოდების ნაკვალევი კარგად ჩანს რეგულარულ მწკრივებად ასახული კირხსნარზე, აქვეა ორსართულიანი სასახლე სამი განიერი სარკმლით და ერთი თაღოვანი შესასვლელით სამხრეთიდან. შიგნით თახჩებია და ბუხარი. სასახლესთან მოგრძო შენობა სატრაპეზოა. აქ სარკმლის ერთ ამყოლად ადრეფეოდალური ხანის სტელის ნატეხია ჩადგმული. ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ოთხკუთხა კოშკია, ნაგები თარაზული წყობით შიგნით და გარეთ, სარკმლები ფართოა. გალავანს ნახევარწრიული ბურჯები ახლავს. კომპლექსის ძირითადი შენობები XII-XIII სს-ით თარიღდება (ციციშვილი 1951: 295-297). გვიანდელი ხანის ცხოვრება ნაკლები ინტენსიურობისა უნდა ყოფილიყო („ხუცის სამარ“).

გვიანის შემდგომ არის „მონასტერი ქციის ჴრამსა შინა პირღებულს, კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა“-ო, წერს ვახუშტი (ვახუშტი 1941: 44). სახელწოდება ამ ადგილისა მოდის მაღალ კლდეებში ბუნებრივი ღრმულებისაგან, რომლებშიც ჩამონადენი წყლებისგან შერჩენილი თეთრი ზოლებია; ეს კი ძალიან წააგავს დიდი მხეცის დაღებულ პირს. პირღია ჰქვია გამოქვაბულს ხვამლის კომპლექსშიც (ლეჩხუმი). ბუნებრივი გამოქვაბულების სიმრავლეს ქციის ხრამის ამ მონაკვეთში, ჩანს, ადრევე მიუქცევია მოსახლეობის ყურადღება და მაშინვე გახდა მიზეზი მონასტრის აქ დაარსებისა. მონასტრის გალავანს კარიბჭე და ბურჯებით გამაგრებული კედლები აქვს. შემორჩენილია ორი ეკლესიის ნანგრევი, სასახლის, სამეურნეო და საცხოვრებელ სადგომთა ნაშთები, კოშკი, 9 გამოქვაბული ბერების

სენაკებად. მდიდრული ჩუქურთმები XIII საუკუნისაა და ამართლებს ვახუშტის გადმოცემას „იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა“-ო. მონასტრის გალავნის გარეთ, აღმოსავლეთით 300 მეტრზე 2 ათეულამდე გამოქვაბულია განლაგებული 3 იარუსად. გამოქვაბულთა ჯგუფებია მონასტრის გაღმაც, ქციის მარჯვენა სანაპიროზე. ყველა ესენი ბერების სენაკები და სამეურნეო დანიშნულებისა უნდა იყოს. მონასტერი მეორედ აუშენებია ელისე თბილელს XVII საუკუნეში. ვახუშტის დროსაც იგი მოქმედი იყო. აქაურ საფლავის ქვებზე წარწერებით ირკვევა, რომ იქ იმარხებოდნენ ბარათაშვილთა ერთი შტოს – აბაშიშვილების წარმომადგენლები (თაყაიშვილი 1904; თაყაიშვილი 1905; თაყაიშვილი 1913).

მეშვიდე მონასტერი, რომელსაც ვახუშტი ქციის ხრამში ასახელებს, ესაა სამშვილდის ძირში, „ქციის პირს, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ“ (ვახუშტი 1941: 44). ვახუშტი ამ ადგილის სახელს არ იხსენიებს, აქ კი ნასოფლარია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ჭანდარს უწოდებს. აქ ორი დარბაზული ეკლესიაა, ორი ორსართულიანი შენობა, კოშკი და სხვა სადგომთა ნაშთები. დასავლეთით მდგარი მცირე ეკლესია რუხი გათლილი ქვებითაა ნაგები ჰორიზონტალური წყობით, მას სამხრეთიდან მინაშენი აქვს ღია კარიბჭით. იგი განვითარებული ფეოდალიზმის ხანისაა, შესაძლოა XI-XII სს-ისა იყოს. მეორე ეკლესია პირველის აღმოსავლეთითაა, იქვე. იგი უფრო მოზრდილი დარბაზული შენობაა, რომელსაც წინული ორნამენტიანი ქვები ამკობდა. დასავლეთ სარკმელთან ასეთივე ჩუქურთმიანი კოპია ჩასმული ზედ სომხური ასოებით, რომლებსაც თუ თარიღად მივიღებთ, გამოვა 1656 წ. ეს ქვა გადმობრუნებული ჩაუსვამთ ეკლესიის შეკეთების დროს. ამავე კედლის 3 ქვაზე სომხური წარწერის ნაშთია, რომელიც სრულად აღარ ირჩევა, მაგრამ მონასტრის კურთხევაზე უნდა იყოს საუბარი. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე მოყვითალო ქვაა სომხური წარწერით, რომელიც ასევე დაზიანებულია. აქ ამოკითხული სიტყვებიდან ირკვევა, რომ **მეფის ასულის გადიას, ვინმე მოღიკს აუშენებია ეკლესია გიორგის მეფობაში** და რუსუდანისა... უნდა ვიფიქროთ ესაა ქართლის მეფე გიორგი XI, ვახტანგ V-ის ანუ შაჰნავაზის ძე, რომელიც მეფობდა XVII ს-ის ბოლო მეოთხედში. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ ძველ ქართულ მონასტერში XVII ს-ში სომხებმა ძველი ეკლესია შეაკეთეს და წარწერაც მაშინდელია. ამას უნდა მოწმობდეს დასავლეთით მდებარე მცირე ეკლესია, რომელიც უფრო ძველი ჩანს (მას წარწერა არ აქვს) და სომხურ წარწერიან ეკლესიაზე ჩატარებული მეორე აღმშენებლობის კვალი: ჩუქურთმიანი ქვების მოშორება ან უკუღმა ჩაყენება დასავლეთ ფასადზე. საინტერესოა, რომ სამშვილდის ნაქალაქარის გარეთ არსებულ დარბაზულ ეკლესიას მხედრული წარწერა ჰქონია, რომელიც უნახავს და წაუკითხავს ექვთიმე თაყაიშვილს; **იქაც ეკლესიის მეორედ მაშენებელია ზილიხან-გამდელი ვახტანგ V (შაჰნავაზის)**

**მეუღლის ელენესი**, თარიღი 1672 წ. (თაყაიშვილი 1905: 41). აქედან კარგად ჩანს, რომ სამშვილდე ამ დროსაც სადედოფლო საქონებელი იყო, რომლის ეკლესია-მონასტრებზე ზრუნვა დედოფლის უახლოეს პირებს ევალებოდათ. მანამდე კი, XV ს-დან მოკიდებული, სამშვილდე ბარათაშვილების სათავადოს ცენტრი იყო ქვემო ქართლში და ისინი „სამშვილდის მებატონეებად“ იწოდებოდნენ.

ქციის ხრამის 45 კმ-ის მანძილზე გამოქვაბულთა 17 ჯგუფია აღრიცხული. ცხადია ისინი სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ქმნილებებია. გათხრებით შემოწმებამ დაადასტურა,რომ ზოგი მათგანის ათვისება ადრებრინჯაოს ხანიდან იწყება და ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებამდე გრძელდება, მათ შორის, გვხვდება საცხოვრებელი, სამეურნეო, თავდასაცავი სახიზარები: ნახიდურთან 4 კმ-ზე მდინარის აყოლებით, ქოსალართან – ნასოფლარ ანდრიას აყოლებით, დაღეთიდან სამშვილდემდე ქციის ორივე ნაპირზე, ჭივჭავასა და ქციის შესაყარში ჭივჭავას ორივე ნაპირზე და სხვ.

საინტერესოა გამოქვაბულთა ორი ჯგუფი დაღეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქციის მარცხენა შენაკადის კანიონში. აქ მარჯვენა სანაპიროს მეორე იარუსზე 6 გამოქვაბულის ჩამორღვეული ფასადი ქვითკირის კედლებითაა აღდგენილი, რომლებშიც გვხვდება ზღუდეები, ნახევარწრიული კონქები, გვირაბები და ლუკები. ერთ გამოქვაბულში დარბაზული ეკლესიაა, რომელსაც ამოშენებული აქვს სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები, დანარჩენი ნაწილები გამოქვაბულის კლდისაა. აღმოსავლეთი სარკმლის ჩუქურთმიანი ქვა XII-XIII სს-ისაა. გათხრების შედეგად აღმოჩნდა მოტკეპნილი, მოკირწყლული იატაკი, ალიზის კერები, გამომწვარი თიხის თონეები, შელესილი წყლის რეზერვუარები. აქვე აღმოჩნდა პერგამენტზე და ქაღალდზე ნუსხურით შესრულებული ოთხთავის ფრაგმენტები XI-XIV სს-სა, მოჭიქული ჭურჭელი XII-XIV სს-სა. საძვალეში ქალების ჩონჩხები და ორ ჯამზე ხუცური მონოგრამა „თმ“ (თამარ?) გამთხრელს აფიქრებინებს, რომ აქ ყოფილა ქალთა მონასტერი, რომელიც XIII-XIV სს-ში დაურბევიათ, რასაც მოწმობს იატაკზე უწესრიგოდ მოფანტული ნივთები და რუსუდანის მონეტა.

XVII-XVIII სს-ში აქ ცხოვრება ისევ განახლებულა ქალთა მონასტერში. ამდროინდელია ქაღალდზე მხედრულად ნაწერი ბარათი, რომლითაც მარიამს მიმართავს მისი „და და რძალი თინათინი“, იხსენიება თინათინის დედ-მამა, გამჯელი, ბიძა, რომლებიც ბატონ სიძეს მოკითხვას მოახსენებენ. ესაა მონაზონი ქალის საპასუხო ბარათი, რომლის გაგზავნაც მას ვერ მოუსწრია. წერილის დასაწყისში მოხსენიებული წმიდანების ირინესა და მარინეს „თანაზიარობის“ სურვილი, შესაძლოა, მიუთითებდეს, რომ ქალთა მონასტერი მათი სახელობისა იყო. აქვე აღმოჩნდა ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი სახარების ფრაგმენტები. მონასტრის ცხოვრება ძალადობით შეწყვეტილა. არის

ხანძრის კვალი, ეკლესიის გვერდით გამოქვაბულში კი დაუმარხავი, ადგილზე მოკლული ქალის ნეშტია. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1750 წ. მუგუთის ქვაბებს ლეკები აოხრებენ, რის შემდეგაც ქციის ხრამის მოსახლეობა ერეკლეს ქალაქს ჩამოუყვანია (ბახტაძე 1988: 33-48).

აწინდელი **თეთრიწყარო** გაშენებულია ძველ ნასოფლარ **გარისსა** და **ვარხუნაზე,** რომელთა სახელები თურქულ მოსახლეობას შეუცვლია „აღ-ბულახით“, აქ მდებარე წყაროს გამო. აქედან რუსული Белый ключ და ქართული თეთრიწყარო მივიღეთ.

# „ხევი ბოლნისისა“*

ბოლნის-შულავრის ხეობათა ისტორიის ცალკეულ საკითხებს, XIX საუკუნიდან მოყოლებული, არაერთი მკვლევარი შეხებია (დ. ბერძენიშვილი 1979: 3-6). ამ საქმეში ახალი საფეხური დაიწყო ბოლნისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა 1936 წელს. გათხრების შედეგები, დაზვერვებით მოპოვებული და წერილობითი წყაროებიდან ამოკრეფილი ისტორიული მასალა მან 1938 წელს გამოაქვეყნა (ლ. მუსხელიშვილი 1938).

ამ ხეობების ისტორიულ-გეოგრაფიულ დაზვერვებში მონაწილეობა მომიხდა 1956 წლიდან 1961 წლამდე. ძირითადად მაშინ მოპოვებულ მასალაზეა ეს წერილი დამყარებული**. მადლობით მინდა მოვიგონო ყველა, ვინც სხვადასხვა დროს ჩემთან ერთად მონაწილეობდა ამ დაზვერვებში: გ. ცქიტიშვილი, რ. აბრამიშვილი, ი. კიკვიძე, შ. დედაბრიშვილი, დ. მუსხელიშვილი, თ. ტატიშვილი, გ. გრიგოლია, თ. თოდრია, გ. ტონია, გ. ამაშუკელი.

* * *

ბოლნისისხევი, ანუ ფოლადაური, ლელვარის მთიდან გამოდის, უფრო დასავლეთით მას ლოქის მთა აკრავს. ლელვარის კალთებიდან მოედინება შულავრისწყალიც, მანხუტისა და ტალავრისხევებიც. ამ ხეობათა ზედა დინებანი უფრო ტყიანია – ძირითადად ფოთლოვანი ტყეებია, ქვემოწელი კი გაშლილ ველზე გამოდის, სადაც ეს წყლები მაშავერას მარჯვნიდან უერთდებიან.

აქაურ ჰავას ახასიათებს საშუალო წლიური ტემპერატურა

---

* პირველად დაიბეჭდა კრებულში „დმანისი“ IV თბილისი 2003, გვ. 118-309.

** ამიტომ ტექსტში ნახსენები „200 წლის წინ...“ და სხვა ამ წლებიდან უნდა მოითვალოს.

+11,5–13°C, უცივეს თვეებში კი -0,3–0,0°C. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 350–500 მმ-ია.

დაბალი დონეების ვაკეებს (400–500მ) ახასიათებთ წაბლა ნიადაგების ნაირსახეობანი, ამაღლებულ ვაკისებურ და დამრეც ადგილებს კი – შავმიწისებრი, ყავისფერი ყომრალი ნიადაგები. მცენარეული საფარი წარმოდგენილია სტეპური, ტყესტეპური და ტყიანი ტიპებით. იგი ადამიანის მიერაა გარდაქმნილი. არსებული ვაკეების ტყეები, ისევე როგორც მთისწინეთისა და მთების ქვემო სარტყელთა მცენარეები, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მოუსპიათ.

მდინარეული ხეობები – ბოლნისისწყალი, შულავრისწყალი, ტალავრისწყალი, მანხუტისწყალი ამოვსებულია თიხნარებითა და რიყნალებით. ამიტომაც მათ ბრტყელი, ხშირად ტერასისებური ფსკერი ახასიათებთ. ხეობათა სიგანე ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება მათში გამდინარე ნაკადების წყალმცირე რეჟიმს. სომხითის მთისწინა ქვერაიონის აბსოლუტური სიმაღლეები ცვალებადობენ 350მ-დან 700–900 მ-მდე. ხეობების ფსკერი, თითქმის მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უკავია. მთისწინეთის ფერდობები კი დაფარულია ბუჩქნარებით. ქვერაიონი თითქმის მოწყვეტილია შავი ზღვის კლიმატურ ზეგავლენას და აზერბაიჯანის დაბლობის მნიშვნელოვან ზემოქმედებას განიცდის (მარუაშვილი 1969: 263–264, 266–267).

შულავერ-ფოლადაურის ხეობათა აუზები, რკინის საბადოებით, ერთი ყველაზე მდიდარი კუთხე ყოფილა. ფოლადაურისხევში დამოწმებულია 25–30 უბანი ხარისხიანი რკინის მადნის გამოსავლითა და ძველი გამონადნობის კვალით (გაბუნია 1933: 228–229). ეს ადვილად მისადგომი ზედაპირული გამოსავლები დიდი ხნის წინ უნდა ყოფილიყო ამოწურული (თვალჭრელიძე 1958: 91).

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ჭაპალის დასავლით არს ჭევი სარკინეთისა. სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იპოების მცირე ლაჟვარდიცა“ (ვახუშტი 1941: 36). ავტორს თავის რუკაზედაც, ორი სოფელი სარკინეთი ტალავრისხევის მარცხენა შენაკადზე აქვს აღნიშნული. 1800 წლის ერთ საბუთში ტალავრისხევს ჯერ ისევ სარკინეთისხევი ერქვა (ი. დოლიძე 1977: 155–156).

სომხითის საბადოებს აღნიშნავდა გიულდენშტედტიც: „ქციის სამხრეთ ნაპირიდან და მის სამხრეთ-დასავლეთით არის ახალი ციხე ტალავერდი (ტალავერი – დ. ბ.) და სამხრეთ-დასავლეთით სარკინეთი, საიდანაც თბილისსა და მთელ ქართლში გააქვთ წისქვილის ქვები... შემდეგ შეგვხვდა ღართისოფლის (ხატისოფლის–დ.ბ). ნანგრევები და კიდევ 1/4 საათში წულრუღაშენისა, ამის შემდეგ გზიდან 2 ვერსის მოშორებით, მდ. ფოლადაურზე დავინახეთ ბოლნისის ციხე, მის პირდაპირ, მდინარის მეორე ნაპირზე, წინათ უდვნიათ სპილენძი. 1/4 საათის შემდეგ, დასავლეთ–სამხრეთ-დასავლეთით მივედით სოფ. ჩორში (შორში – გ. გ.), სადაც იყო სპილენძისა და რკინის ძარღვი. ის

არის 3 საჟენის სიმძლავრისა“ (გიულდენშტედტი 1962: 79–81). სხვაგან იგი ისევ შენიშნავდა, რომ „მდ. ფოლადაურის აღმოსავლეთ მხარეზე, დანგრეული ციხის სახუნდარის ახლოს და... დანგრეული ციხის ბოლნისის დასავლეთით სამიოდე ვერსზე არის რამდენიმე საჟენის სიმძლავრის ძარღვი, რომლებიც შეიცავენ ერთმანეთში შერეულ სპილენძის მწვანესა და რკინაქვას, მათი ძარღვის ქანი კვარცია, ხოლო შემცველი ქანი კი - ქვიშაქვა... პროვინცია სომხითს სამთო და სადნობი (მეტალურგიული) სამუშაოებისათვის საკმარისად აქვს ხეტყე... სპილენძის, ტყვიის, რკინისა და თუთიის დნობა... ყოველთვის სარფიანი იქნება“ (გიულდენშტედტი 1964: 185; 13).

ზემოაღნიშნული ბუნებრივი მონაცემები, ცხადია, ძველთაგანვე მიიქცევდა იქ მოსახლეთა ყურადღებას და ბიძგს მისცემდა მეტალურგიული წარმოების სწრაფ დაწინაურებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, იოს. გძელიშვილის მიერ შორის ნასოფლართან გათხრილი ქურა, ნამოსახლარი და სამაროვანი გვიანბრინჯაოს ხანისა; და ჩვენი დაზვერვების დროს, შულავრისხევში, სოფ. ოფრეთთან ნაპოვნი აღმოსავლეთქართული ცულის ყალიბი (დ. ბერძენიშვილი 1964: 7–8); ცხადი ხდება, რომ იქაური მადანი და რკინის წარმოება უნდა ყოფილიყო უპირველესი პირობათაგანი ამ მხარის მჭიდრო დასახლებისა და დაწინაურებისა, რადგან რკინის ფართო ათვისების ხანაში სხვა ვერაფერი იქნებოდა ამაზე მნიშვნელოვანი. ასევე, დიდად საყურადღებოა, განვითარებული ფეოდალიზმის ხანის რკინის მომპოვებელი და დამამუშავებელი სახელოსნოს აღმოჩენა წუღრუღაშენისხევში, სოფ. გონბათთან და სოფ. ფოლადაურის სამხრეთ-დასავლეთით; XVII-XVIII სს-ის ასეთივე სახელოსნოების ნაშთები სოფ. ბოლნისთან, მდ. რკინისწყალზე (გძელიშვილი 1964). XIX ს-ის II ნახევარში მგლის კარის უღელტეხილის გადაღმა, პრივოლნოეში მუშაობდა სპილენძსადნობი ქარხანა; რკინისსადნობი ქარხანა მოქმედებდა ჩათახშიც; ლოქის მთასთან კი ცნობილი იყო რკინისა და სპილენძის მადნით მდიდარი მთა, რომელსაც დამირ-ტაში – ე. ი. რკინის ქვა ერქვა (ფილიპოვი 1872: 80–81). ამრიგად, რკინის წარმოების როლს ამ ხეობაში თვალი მიედევნება ისტორიის მთელ სიგრძეზე, რაც ასე ცხოვლად აისახა აქაურ ტოპონიმიაში: ფოლადაური, სარკინე ხევი, სარკინეთები, რკინის მთა და რკინის წყალი.

ამასთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ სახელწოდება ბოლნისიც. საქმე ისაა, რომ უძველეს წყაროებში დამოწმებული სახელის ეს ფორმა, ფეოდალიზმის გვიანი საუკუნეების საბუთებში, ბოლნელთა აღსანიშნავად შეცვლილი სახით გვევლინება: იქაური ეპისკოპოსიცა და გლეხიც „ბოვნელად“ იწოდება. ეს არაა გამონაკლისი და ასეთი შემთხვევები ჩვენ სხვაც გვაქვს: გლოლა → გლოველი, ქართლელი →ქართველი, წალკა → წავკისი, слобода → свобода და სხვ. ქართველ ენათმეცნიერთაგან გ. როგავა თვლის, რომ „ვ“ ძველი ქართულისა,

მეორეული ფონემა უნდა იყოს, მომდინარე „ლ“ სონორისაგან (როგავა 1962: 113–114); ივ. ქავთარაძე კი მიიჩნევს, რომ ბოლნისი ბოვნისიდანაა მიღებული (ქავთარაძე 1964: 200–201, 382).

როგორც არ უნდა იყოს, შესაძლოა, აქ სიტყვის ფუძის გააზრებამაც იქონია გავლენა; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „ბოვი-ილეკროს პირველად გამოსადნობელია... ბოვი არს სადა ოქრო, ვერცხლი, ბრპენი, სპილენძი და მისთანანი ითხრების და გამოიდნობის“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991). ამასთან დაკავშირებით ისიც საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს სოფლების სიაში აღნიშნული აქვს სოფ. ბოვაძორი, რაც ქართულად ბოვისხევს ნიშნავს. ავტორს თავის რუკაზე ეს სოფელი სწორედ შუა და ზემო ბოლნისებთან, მათგან დასავლეთით აქვს აღნიშნული. ასეთივე სახელწოდების სოფელი ყოფილა ახალციხის ლივაში, ასპინძის ნაჰიჲეში. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მას ბოვისწყარო ჰქვია (ჯიქია 1958: 186).

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ბოლნისისხევს: „არს შემკობილი ყოვლითა, ვენახნი და ხილნი მრავალნი, არამედ მთის კერძოდ არა არს. თესლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. მროწლენი, არვენი, კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი, ღვინო მრავალი, მთათა ნადირნი ურიცხვი და ფინველნი... უთვალავნი. ჰაერი... კეთილი, ტყენი ბევრნი, წყარონი ცივნი და მშვენნი უამრავნი... ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა. სახლობენ თავადნი, ხოლო აზნაურნი მრავალნი“ (ვახუშტი 1941: 37).

საბუთებში, დასტურლამალში, კარგად ჩანს, რომ აქ განვითარებული იყო მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა; მთაში თესდნენ ქერს; შულავერსა და თეთრ სოფელში მოყავდათ ბამბა, ფეტვი, აქვე იყო „ბრინჯის მიწები“ (ცსა ფ. 1450 დავთ. 25 №9; დათ. 5 №46).

ბოლნის-შულავრის ხეობებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მევენახეობასა და მეღვინეობას. ფოლადაურის, ტალავრის, მანხუტის, შულავრის ხევთა დიდი ნაწილი ვენახებსა და ზვრებს ეკავა. ტყეში ახლაც შეხვდებით გაველურებულ ვაზს, ნასოფლარებში კი მარნებს 10-ზე მეტი ქვევრით. 1736 წ. ერთი საბუთის მიხედვით, ზემო ბოლნელი ბეჟუა კაკაშვილი ორბელიშვილებს – ელიზბარსა და ვახტანგს მოახსენებს: „ჩვენი სამკვიდრო მარანი მოგყიდეთ... თავისის 70-ის ქვევრითა... მოწამენი... ზემო ბოლნელები სულ ხელთ-ერთ-პირად“... (თაყაიშვილი 1909: 382). XVII ს-ში ყაფლანიშვილის ზვრებს, მარტო ბოლნისის ხეობაში, 443 საპალნე ღვინო მიუცია მისთვის, კულუხს კი – 110 (ჟორდანია 1897: 442–443).

ამ კუთხის შესახებ არსებული ნასყიდობის წიგნთა დიდი უმრავლესობა ზვარ-ვენახების ყიდვა-გაყიდვას ეხება. ეს მოწმობს იმ ცხოველ დაინტერესებას, რასაც მაშინ იჩენდნენ მეურნეობის ამ

დარგისადმი. მრავალი საბუთიდან კარგად ჩანს – ვინღა არ ცდილობს სხვადასხვა გზებით აქ ფეხის მოკიდებას, მაგრამ დამახასიათებელია, რომ საბოლოოდ ზვარ-ვენახების ყველაზე დიდი მფლობელი სწორედ სამეფო სახლია. არც ისაა შემთხვევითი, რომ XVII ს-ის ერთი საბუთის მიხედვით, სამეფო კარის მეღვინეთუხუცესობა ატენისა და ბოლნისის მესთველობასთანაა დაკავშირებული (ხეც ფ. H-2830). დასტურლამალითაც საღვინისა და საშარბათოს მოხელეებშიც, სწორედ, შულავრელი და ბოლნელი პირები ჩანან (ი. დოლიძე 1965: 249).

დასტურლამალში, ქვემო ბოლნისის სამეფო ზვრიდან 50 საპალნე ტკბილის კოჟორს ატანაზეა საუბარი. შემდეგ ნათქვამია: „კულუხი რასაც ბატონი შეაგდებს მოსავალზე ჰკიდია. რაც კულუხი და ან ზვრის ტკბილი დარჩება, ზოგს ბატონი ჩამოატანინებს და ზოგი სოფელმა უნდა ჩამოიტანოს ქალაქს“. ცხადია, რომ ბოლნისის 50 საპალნე ტკბილის წამოღების შემდგომ, კიდევ საკმაოდ რჩებოდა ჩამოსატანი. ბოლნისის ზვრის ყოველწლიური მოსავალი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მისი ტკბილის ჩამოსატანად მარტო ბოლნისელები არ კმაროდნენ და კიდევ რამდენიმე სოფელს, ბოლნისის ტკბილის საზიდად ულაყების გამოყვანა ეკისრებოდათ: წინწყაროელებს, ოფრეთელებს, გომარლებს, ურცევნელებს (ივ. ჯავახიშვილი 1964: 64–65).

ბოლნისს საუკეთესო ღვინის სიუხვით ახასიათებს იოანე ბატონიშვილიც თავის „კალმასობაში“ (იოანე ბაგრატიონი 1936: 204).

უფრო ადრეული, ამ მხრივ, დამახასიათებელი მოწმობა შეიძლება იყოს თედორწმიდანის მონასტრის XIII ს-ის წარწერა, რომელიც ბოლნისის სიახლოვესაა. წარწერის დასაწყისივე გვამცნობს: „...მე იოანე ქარეფარეხელმან შევსწირე წმიდასა თევდორეს ვენაჳი და ჭურნი-“ო (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 49). იქნებ აქაური მეღვინეობა და მას მოყოლილი მემთვრალეობა ასაზრდოებდა ერთ თავს იოანე ბოლნელის ხატოვანი ქადაგებიდან სახარების თემაზე: „ღუინის მსმელთათვის და მომთვრალეთათჳს“, რომლის პერსონაჟები აგრე რეალისტურად არიან დანახულნი: „და ესეცა უწყოდეე ჰოე კაცო რასა იგი იქმ მოყუსისა მიმართ შენისა... ეც სამე პური მას და ასუ სასუმელი კეთილად სამე ჰყოფ. ხოლო რაჟამს იწყე მეტსა მის ზედა და გარდაჰრიე ღუნითა და ასხემდი ვითა თხიერსა, უწესოებით მაშინ იწყოს მან აღმობოყინებად და აღმოთხევად. აწ მითხარღა მე შენ რაჲ კეთილი უყავ ძმასა შენსა, რომელ ასუ მას ღუნოჲ და დაათრევ იგი. მოეღო მას ძალი იგი ძლიერებისაჲ მისისაჲ მისგან, მოეხუნეს მას ჴელნიცა და ფერხნიცა, მოეღუ მას სიმჴნე ძარღუთაგან მისთა, მიჰჴდა წესიერი იგი ფერი პირისა მისისაგან, ენაჲცა მისი მოვეეღო მისგან. იხედავს იგი თუალითა, ვითა ბორგნეული. ცაჲ და ქვეყანაჲ ვითა წისქჳლი და ვითა ურმის თუალი წინაშე თუალთა მისთა ეგრეთვე იქცევის. იქმნა იგი ყოვლად ვითა უგუნური და თუ ზე აღდგეს, დაეე-

ცეს და თუ პოოს კედელი ებჯინებოდის, მიდამო ტორტმანებდეს, ვითა უფერჴოჲ და ვითა თხიერი წარჴსნილი წარდიოდეს იგი. ვითარმედ არა ძაღლნიცა ჰლოშნიდნენ პირსა მისსა. ნუ უკუც მოვიდნენ მჴეცნიცა ველისანი, პოონ და შეჭამონ იგი, ანუ პოონ იგი ყორანთა ცისათა და აღმოჰჴადნენ თუალნი მისნი. და უკუცთუ იხილონ მოყუარეთა მისთა შეწუხნენ, ვითა მტერნი მისნი ეკიცხევდნენ მას. მე ვითარ ვჰგონებ, არაჲ კეთილ უყავ ძმასა მას შენსა, არამედ ყოველი ბოროტი. ანუ არაჲ უწყია რაჲ იგი შეემთხვა მამად მთავარსა ნოვეს, ვითარ სუა მან ღუნოჲ და დაითრო და იდუა იგი განშიშუელებული. უწყოდე საქმეცა იგი ლოთისი, რომელი დაითრო იგი და შესცთა იგი ორთავე ასულთა მისთა თანა და არა ცნა სიმთრვალისა მისგან... ისმინე, ესეცა, თქუეს მამა დედათა მათ სამფსონ ძლიერისა, ვითარმედ „ღუნოჲ და თაფლუჭი არა სუა“. და ვიდრემდის იგი არა სუამდა ღუნოსა, ლომნი ჴელითა მისითა მოისრვოდეს... და მკლავითა მისითა ბჭენი ქალაქისანი აღიფხურებოდეს. ხოლო რაჟამს ეუფლა მას ღუნოჲ და სიმთრვალე, შევარდა სიძვასა და დალილა თავი დაჰყვნა მას და იდვა იგი წინაშე უცხო თესლთა მას სამღერელად“... (იოანე ბოლნელი 1911: 83–85).

იქაური მევენახეობის განვითარების აუცილებელი პირობა მორწყვა იყო, რაც უსათუოდ არხებს საჭიროებდა. ამათი მატერიალური დადასტურება კი დღესაც კარგად ჩანს, ფოლადაურის ხეობას ოთხი არხი რწყავს. ახლაც იმავე სახელით იხსენიება საბუთებში ხშირად დამოწმებული „პატარა“ და „დიდი რუ“ (თაყაიშვილი 1909: 184,197). გვხვდება „ბოვაძურის ძველი რუ“-ც (ცსა ფ. 1450 დავთ. 5 №41 138). ერთი არხი სამწვერისის პირისპირ, ფოლადაურის მარცხენა სანაპიროზე გამოდის, გამოივლის სამწვერელთა ვენახებს, ინჯაოღლის, ხაჩინს და ქაფანაქჩისაც რწყავს. ამას „დიდ არხს“ ეტყვიან და შესაძლოა ზემოხსენებულ „დიდ რუს“ ეხმაურება. მეორე „პატარა არხი“ ინჯაოღლისთან იწყება და ხაჩინის ჭალებს რწყავს. მესამე, ხატისოფლის არხი ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროზეა, ის ინჯაოღლისთან იღებს სათავეს.

აშკარად შეიმჩნევა ძველი ნაარხალებიც. ერთი მათგანი ჩათახიდან იღებდა სათავეს, მერე ქედ-ქედ გამოივლიდა და იოსებ ბოლნელის წარწერიან ნასოფლართან, დასავლეთით უხვევდა, შემდეგ ჩრდილოეთით მოუხვევდა და ხის „ნავით“ გადაივლიდა დემირ-სუს. მის მარცხენა სანაპიროზე მყოფ ნასოფლარს მორწყავდა და დაეშვებოდა ველზე, ბოლნის-ხაჩინისაკენ. ამ ნაარხალს ყველა გვაჩვენებს, თუმცა არავინ მოსწრებია. მეორე ნაარხალი ჩათახში იღებდა სათავეს, გადმოდიოდა ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროზე, რწყავდა იქაურ ნასოფლარებსა და დღევანდელ სამწვერისს; სამწვერისის შემდეგ ნაარხალი გადის ძველ ნასახლარებზე, შემდეგ „ნავით“ გადადის „ბრმა წყაროს“ (კუი ბულახ) ხევზე და მის მარჯვნივ მდებარე ნასოფლარს მორწყავდა.

ნაარხალები ჩანს ტალავრისა და მანხუტის ხევებშიც; შულავრის-

ხევის წყალი კი ისე ნაწილდება 7 არხში, რომ ზაფხულობით იგი ვენახებს არც სცილდება.

1799 წლის ერთ საბუთში ნახსენებია ხატისოფლის „ქვემო არხი“ (ცსა ფ. 1450 დავთ. 5 №41). 1800 წლის მეორე საბუთი კი ვრცლად აგვიწერს ფოლადაურიდან გაყვანილ არხს: „ბოლნისის ფოლადაურის წყლიდამ ამოღებული არხი გამოივლის სახასოს მამულსა და შემოვა ჭაპალის მამულში და ირწყვის ჭაპალის მამულები; გამოივლის ეს არხი და შემოვა მუხრანის ბატონის მამულში; აქა-იქ დანაკლულდება და რწყამს მიწებსა; მოადგება ეს არხი მანხუტისა და სარკინეთის ხევი რომ ჩამოვარდება, ამ ხევზედ გაღმა-გამოღმა ქვითკირით გაკეთებული არის, ზედ ნავით წყალი ყოფილა გატანილი და ურწყამს მუხრანის ბატონის მამულები; მოვა ეს არხი არამთაფასთან, სადაც მუხრანის ბატონისა და ამილახვარიანთ ყოჩაქილისის მიჯნები სხედს; აქ გაწყდება ეს არხი“ (ი. დოლიძე 1977: 155–156).

ამ მხარეში მესაქონლეობის განვითარებას უძველესი დროიდანვე ყველა პირობა ჰქონდა: ლოქისა და ლელვარის მთები, მათ გადაღმა კი ტაშირი, შესანიშნავი საძოვრებითაა დაფარული... ზაფხულობით იქ ძველთაგან იყრის თავს ყველა მიმდებარე ხეობათა საქონელი. ქციისა და მტკვრის ველები კი ცნობილია თავისი საზამთრო საძოვრებით. აქ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დავითის ისტორიკოსის ცნობას, რომელიც ამ მხარეს ჩვენთვის საინტერესო კუთხით ახასიათებს: „ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი,ყოვლითა ფალანგითა მათითა ჩამოდგიან გაჩიანთა და პირსა მტკურისასა... ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის,ვითარცა არეთა გაზაფხულისასა ითიბების თივა და აქუს შე-შა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერი და საშუებელი ყოველი... და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან განისუენებდიან და იხარებდიან და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. გაზაფხულსა თანა იწყიან სულა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა, აგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდეს შუება და განსუენება (დავითის ისტორიკოსი 1955: 331–332).

გარდა მტკვრის აუზის ველებისა, ქვემო ქართლის, კერძოდ, სომხითის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი,ტყის საძოვრებს ზამთრობით ცხვრის შესანახად იყენებდა. ამის გამო, მესაქონლეობის ეს დარგი, იქ, ცნობილია ტყის მეცხვარეობის სახით. ამ ტიპის სამეურნეო ბაზების ნათელი მაგალითებია ზამთრის სადგომები, ანუ გომი სოფლებში: ქვემო ბოლნისის (ალმალი, ფირფიჯანი, ფორთფორთი), ფოლადაურისა (ყარადაღი, კერენტი), შულავრისა (ბინაძორი, კარმირქარი), წერაქვისა (სარაჩლო, ყუდრო), სიონისა (ხუდაბექირი, ზარგარი), ოფრეთისა (ახკენ-ტი, ხეჩანი), სამშვილდისა (ხრამი, ახალშენი; შამილაძე 1979: 117–118).

აქაურ მკვიდრთა მეურნეობაში უთუოდ დიდი ადგილი უნდა სჭეროდა მონადირეობასაც. ამ ტყეებში ახლაც შესანიშნავი სანადირო

ადგილებია. სწორედ მათი მახასიათებელი ტოპონიმებია – „სატრედო“, „კატავეთი“, „მარალუ“ – შვლების სადგომი, „ქეჩი ყაღა“ – თხის ქარაფი, „დონღუზ-დარა“ – ღორის ხევი, სახუნდარი – ნადირისათვის ხუნდის დასაგები ადგილი. ნასოფლარი სახუნდარი კი, დღესაც კარგი სანადიროა, რომლის ეკლესიაში ვეფხვისა, თუ ავაზის შესანიშნავი ბარელიეფია ამოკვეთილი. „დასტურლამალში“ ქორის ბუდეები ჩამოთვლილია შემდეგ პუნქტებში: ჯონჯლის ბუდე, ფეთხაინისა, ჯიმშირისა, ფირფიჯანისა, აცუტისა, სოსნისა, ჩორთნისა, კარასორისა, საბის ბუდე, დეღცნუტისა, ორთაშუისა, ნადვალეთისა, ხუჯაბისა და ხანძოვარის ბუდეები (ი. დოლიძე 1965: 324).

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ლეონტი მროველთან, გაჩიანის ძველი სახელწოდება „სანადირო ქალაქი“ ყოფილა, ის კი სომხითის აღმოსავლეთ კიდეზე იგულისხმება (ლეონტი მროველი 1955: 9).

სომხითს მეზობელ მხარეებთან დასაკავშირებლად მოხერხებული გზებიც გააჩნდა. ტაშირისაკენ ფოლადაურის აყოლებით, მგლის კარის უღელტეხილით ადის ძირითადი გზა. მეორე გზა ფოლადაურის მარცხენა შენაკადს, გიულ-მაჰმედ-ჩაის მიჰყვება, მესამე კი, ფოლადაურისავე შემდინარე ლოქისწყალს აჰყვება და ლოქის უღელტეხილით ადის ტაშირში. ფოლადაურის ზემოხსენებული სამი გზა უმოკლესია ტაშირს მიმავალ სხვა (დმანისის, დებედის ხეობათა) გზებთან შედარებით.

შულავრისხევს აყოლილი გზა, ოფრეთის ციხესთან, ფოლადაურის ხევში გადაუხვევს და იმავე მგლის კარით მიემართება. ოთხსავე ზემოხსენებულ გზაზე დღესაც ადის მანქანა, ურმისათვის ის ყოველთვის გამოსადეგი იყო. ტალავრისა და მანხუტის შედარებით მოკლე ხევებიდან ბილიკები ადის ოფრეთში და შემდეგ ისევ ფოლადაურ-მგლის კარით მიემართება.

გზები მიჰყვება ბოლნისისხევიდან დმანისხევში გარდამავალ ყველა უღელტეხილს, ასევე ტალავრისა და მანხუტის ხევებისაკენ. მართალია, ისინი არაა ერთნაირად საურმე, მაგრამ ძველად მათ დიდ მნიშვნელობაზე მოწმობენ წერილობით წყაროებსა და საბუთებში შემორჩენილი ჩვენებანი, ასევე, ამ გზებზე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები. პაპუნა ორბელიანის ცნობით, XVIII ს-ის შუა წლებში, „წაბძანდა მეფე ცხებული, თეიმურაზ ერანში ყაენთან... გაბძანდა ქალაქით... მიბძანდა სამშვილდეს... მესამეს დღეს წაბძანდა სამშვილდით და მიბძანდა ბოლნისს... მიბძანდა ბატონი, ჩამოხდა ლორის მიწაში... გამოესალმნენ ქართველნი და კახნი ბამბაკს და გამობრუნდნენ... მეფე თეიმურაზ... ერევნის მიწაში მიბძანდა“... (პაპუნა ორბელიანი 1981: 125). იგივე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ 1755 წ. „წამოვიდა ჯარი ისევ ლეკისა განჯიდამ და დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა-იქ და დადგა გზებზე, მრავალი

მიმსვლელ-მომსვლელი ქარავანი წაახდინა... წავიდა ეს ლეკის ჯარი და ჯავახეთისა მთებზე ავიდა, შეკრა გზები“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 225).

1652 წლის ერთ საბუთში იხსენიება „ძველი ლორის გზა“, რაც შესაძლოა ტალავრის ხევის აყოლებით მიმავალს, ან ლოქისწყლის ხევის გზას გულისხმობდეს (ცსა ფ. 1450 დავთ.28 №4); 1726 წ. კი, ზემო ბოლნისთან დასახელებულია „დიდი შარა“ (თაყაიშვილი 1899: 306–7). კიდევ უფრო საინტერესოა 1717 წლის საბუთი, რომელიც ოფრეთელთა და შანშიაშვილების მიწების გამო დავას ეხება. იქ იკითხება: „კაჭაჭკუტის გადუკიდამ რომ სომხითისაკენ გზა გარდმოვა, სომხითისა რომ გარდმოიხედავს,...თავს საბაჟოს ქვის ყრილობა,იმასთან ელის შარა რომ შემოივლის, გზის კლდე ნადვალეთის საზღვრამდის დარჩა შანშიაშვილებს გაღმით, იმის გამოღმა დარჩა ოფრეთელთ“ (ი. დოლიძე 1972: 274). აქ ტაშირიდან მგლის კარის უღელტეხილით, სომხითს გარდმომავალი გზაა აღწერილი. ნადვალეთი და ჭიპექი ფოლადაურის ზემოწელის სოფლებია.

იქაურ გზებზე,წერილობითი წყაროების გარდა,ნათლად მეტყველებენ ჯერაც შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები. საამისოდ მნიშვნელოვანია ქვის ხიდები მაშავერაზე, ნასოფლარ სატრედოსთან, სადაც სამთაღიანი ხიდია გადარჩენილი; იმავე მდინარეზე, სოფ. გოჩულუსთან ერთთაღიანი მეორე ხიდია, რომელიც მახლობლად მდებარე ჭაპალის ციხესთან გამავალ გზას უერთდება. ეს ხიდები არა მარტო ბოლნისისა და დმანისის ხევებს აკავშირებდა, არამედ უფრო შორეულ მხარეებსაც. ისინი XVI-XVII სს-ზე ადრეულები არ ჩანან, მაგრამ გზათა მიმართულებას აშკარად გვისახავენ. მდინარის დაყოლებით, შულავრისა და დებედის ხეობისკენ შეიძლებოდა სვლა, ფოლადაურის ხევის აყოლებით მიმავალ გზას კი, ბერდიკის ციხე კეტავდა. ამ გზასთან დაკავშირებით, საყურადღებოა XVII ს-ის შუა ხანების ბოლნისის სიონის სამრეკლოს წარწერა ნიკოლოზ ბოლნელისა, იქ,ბოლნისის სიონისათვის სხვა შეწირულობათა გვერდით,ნახსენებია ქარვასლისა და დუქნების მშენებლობა (ლ. მუსხელიშვილი 1938: 35). შესაძლოა ეს ქარვასლა გამოდგეს ჩათახის სიახლოვეს შერჩენილი, მოზრდილი ნაგებობის ნანგრევი. შემდეგ ეს გზა ამავე მდინარეზე კიდევ ორ ხიდს გადაჰკვეთდა – „ძაღლის ხიდს“ ხეობის შუაწელზე (იდქერფი) და აღქერფის, ანუ „თეთრ ხიდს“ მდინარის ზემოწელზე. მგლის კარის უღელტეხილამდე ეს გზა ჰუჯაბის მონასტერს გაივლიდა (XIII ს.). საინტერესოა, რომ ჰუჯაბი (ხუჯაბი) არაბული სიტყვაა და მრავლობითი რიცხვის ფორმაა სიტყვისა ჰაჯიბი (ხაჯიბი), რაც ეჯიბს, მეკარეს, კარის მცველს ნიშნავს, ე. ი. ჰუჯაბი კარის მცველთა, ეჯიბთა აღმნიშვნელია. XVII ს-ის საბუთების მიხედვით, ჰუჯაბის მახლობელი სოფლები ეჯუბისშვილებს ექვემდებარებოდა, რაც იმავე ეჯიბს, მგლის კარის მცველებს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ

საბუთის სპარსულ ტექსტში, დონდარა ეჯუბისშვილი მოხსენიებულია, როგორც „დონდარ-ბეგ თუშმალი“, ეს უკანასკნელი კი სპარსულში ისევ მეკარეს, კამერდინერს აღნიშნავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნასოფლარი ოდესღაც ეჯიბთა (ეჯუბიშვილთა) მიერ მოშენდა და სახელი ჰუჯაბიც აქედან მიიღო. ვახუშტის რუკაზე ამ სოფელში აზნაურის რეზიდენციაა აღნიშნული. ალბათ აქ იჯდა მგლის კარის ეჯიბთა, მეკარეთა უფროსი. ასეთი სახელი XVII ს-ის საქართველოში სხვაგანაც დასტურდება. 1604 წ. ტაშისკართან ომის დროს, გიორგი სააკაძემ წინასწარ შეკრა მტრის გასაქცევი გზა ხეობაში. იოსებ ტფილელი წერს: „ჩვენი სიკვდილი არ გვიჩნდა იოტად, ანუ კეკრისა, გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსო მეკრისა“. ე. ი. კორტანეთის გზაზე მეკარეთა უფროსი ვინმე შალვა ყოფილა. ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ჰუჯაბშიაც (დ. ბერძენიშვილი 1988: 7–8).

ციხე იდგა ლოქისწყლის ვიწროებში, იქვეა ანდიკის მონასტერი, რომლის წარწერაში აქ გამავალი გზა, მონასტრისათვის შეწირული მიწის საზღვრად იხსენიება. ლოქის უღელტეხილზე, ტაშირში მიმავალ ამ გზას, ლოქის ადრეფეოდალური ხანის ციხე კეტავდა.

ფოლადაურის ხეობის ვახუშტის რუკისეული სოფლების სიმრავლე ჩვენმა დაზვერვებმა დაადასტურა. ასევე, ბევრი ნასოფლარი აღმოჩნდა ლოქისწყლის ხევზეც. ასე რომ, ეს გზები ტყეში კი არ გადიოდა, როგორც ახლა, არამედ მჭიდროდ დასახლებულ ხეობებში. უნდა აღინიშნოს, რომ ლოქისწყლის ხეობაში ფეოდალიზმის გვიანი საუკუნეების ნასოფლარები აღარ გვხვდება. ვახუშტიც თავის რუკაზე ამ ხევს უსოფლოდ აღნიშნავს. შესაძლოა, გვიან საუკუნეებში „ძველი ლორის გზა“ აქ მოიშალა და ფოლადაურის ხეობაში გადაინაცვლა.

ამავე გზებთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ ბოლნისში აღმოჩენილი სასახიდური დრაქმების განძი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა საფლავის თხრისას. პეროზის სახელით მოჭრილი 29 მონეტა 459–485 წწ-ს განეკუთვნება და ადასტურებს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ, თუ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს იმდროინდელ ირანთან (აბრამიშვილი, წოწელია 1977: 150–152). რკინისწყლის ხევიდან მაშავრის აუზში გარდამავალ გზას ბუჩუკუნის ციხე კეტავდა, იქვე დიდი სოფელი და მონასტერი იყო. შულავრისხევის ქვემოწელს შულავრის ციხე იცავდა; იქ, სადაც შულავრისხევიდან გზა ფოლადაურისაკენ გადაუხვევდა, მას უერთდებოდა წოფისხევიდან მომავალი გზაც. ამ გზასაყარს ოფრეთის ადრეფეოდალური სიმაგრე აკონტროლებდა.

კოშკი დგას ბეჯნაზარის სიახლოვეს, იქ, სადაც ტალავრისა და მანხუტის ხევებიდან გზები გადმოდის ფოლადაურის ხეობასა და ოფრეთისაკენ. ამ თურქული ტოპონიმის (ბეჯნაზარ) მეორე ნაწილი – ნაზარ-მეთვალყურეს, ზედამხედველს ნიშნავს. არაა გამორიცხული, ეს სახელწოდებაც გზასა და კოშკთან იყოს დაკავშირებული.

ოფრეთისაკენ მიმავალი გზის ბოლოსაც გორულის კოშკი დარაჯობდა.

XIX საუკუნეში გზა თბილისიდან ალექსანდროპოლში (ლენინაკანი, გუმრი) შემდეგი მარშრუტებით მიემართებოდა: 1. სოღანლუღი – კუმისი – კოდა – მარნეული – ქოლაგირი – არუხლუ – გოჩულუ – ჭაპალა – კაპანაკჩი – ხაჩინი – ჩათახის ქარხანა – გიულ-მაჰმედ-ჩაის მარცხენა ნაპირით – ლოქის უღელტეხილი – სარჩაპეტი – შიშთაფა – ყარაქილისი – ვორონცოვკა – ყარაყალა – ყარააღაჯ; 2. სოღანლუღი – კოდა – მარნეული – ალავარი – შულავერი – ხოხმელი – ახკერპი – მგლის კარი (იქვეა მთა Крестовая – ე. ი. საჯვარე) – პრივოლნოე – აიდარბეგი – ურუტი – ჯალალ-ოღლი (ფილიპოვი 1872: 300–310).

* * *

ბოლნის-შულავრის ხეობათა აუზებში ძველი ქვის ხანის ადამიანის ნაკვალევი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. შესაძლოა, ეს შემთხვევითიც გამოდგეს, რადგან მეზობელი დმანისის უძველესი ადამიანის ნაშთები და წოფის მიდამოებში შესწავლილი პალეოლითური სადგომები საფუძველს იძლევა ამ პერიოდის მოსახლეობა ზემოხსენებულ პუნქტებს შორის – ბოლნის-შულავრის ხეობებშიც ვივარაუდოთ.

ძვ.წ. VI–IV ათასწლეულების ენეოლითური, ადრესამიწათმოქმედო კულტურის სამოსახლოთა ჯგუფები მიკვლეული და შესწავლილია შულავერთან, ხატისოფელთან. ესენი 4 და 5 ბორცვისაგან შემდგარი სამოსახლოებია, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ძნელია: შემდგომი ეპოქების განუწყვეტელი მიწათმოქმედება სპობდა მათ ნიშანწყალს.

სოფ. იმირის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე შულავრის გორაზე გამოვლენილია 32 საცხოვრებელი, თუ სამეურნეო ნაგებობა. კედლები ამოყვანილია ხელით დაყალიბებული ალიზის აგურით და ორსავე მხრიდან შელესილია თიხის ხსნარით. შენობებს ძირზე შემორტყმული აქვთ მტკიცედ მოტკეპნილი თიხის რკალი-ბალიში. ნაგებობანი, უმეტეს შემთხვევებში, მცირე ნაწილით ზის მიწაში. ისინი გეგმაზე წრიული, ან ელიფსურია და კონუსურ-გუმბათური, ცილინდრული მოყვანილობის სხეული აქვთ. მათ არ გააჩნიათ ცალკე კედელი და ცალკე გადახურვა: კედლის წყობის ყოველი ახალი რიგი 2-3 სმ-ითაა ცენტრისკენ გაწეული, ამით კედლის სიმაღლის ზრდასთან ერთად, მიღწეულია შენობის დიამეტრის შემცირება; ამ ხერხით შეკრულია ცრუ გუმბათი, რომელშიც ივარაუდება ერდოს არსებობა. სათავსების სიმაღლე 2,5 მ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. აქაა საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები, ასევე – სამეურნეო ორმოები და კერები. შენობის ფართობი 7-დან 17 კვ. მ-მდეა. მათში თიხატკეპნილი იატაკია, ზოგჯერ ოქრით შეღებილი.

საცხოვრებლებში, კედლთან, იატაკში ჩადგმულია კვერცხისებრტანიანი გამოუწვავი თიხის კერები, წყლის რეზერვუარები ძირითადად ეზოებში იქნებოდა მოწყობილი.

გათხრების დროს აღმოჩენილია რქის წანაზარდისაგან დამზადებული თოხი, მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ქედისაგან დამზადებული მიწის საჩიჩქნი იარაღი, კოვზი, სატარენახვრეტიანი ირმის რქის ცული, ისრისპირი, ობსიდიანისა და ქვის საჭრისები, საფხეკები, სახვრეტები, ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები, სანაყები, ხელჩაქუჩები, ლახტისთავის ფრაგმენტები. აქვეა თიხის, მეტად სქელმატური ქანდაკება ქალისა, კონუსური სხეულით, დამჯდარი, ფართოდ გაშლილი, წინ გაჭიმული ფეხებით. თავი და მკლავები გამოსახული არაა, ფეხებზე დატანილია 8-8 მოკლე, ჰორიზონტალური ნაჭდევი.

ასეთივე ნამოსახლარი გორა აღმოჩნდა სოფ. იმირთან, შულავრისწყლის მარცხნივ. აქ, სამეურნეო ეზოს გარს შემოუყვება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები ქმნიან რა ერთ საცხოვრებელ კომპლექსს. საცხოვრისი და სამეურნეო დანიშნულების სათავსები წრიულია. კერები და წყლის რეზერვუარები ეზოშია მოწყობილი. ჩანს, ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ეზოში წარმოებდა. აქვე ყოფილა ქვის იარაღების სახელოსნო.

გორაზე ერთი შენობა ხანძრისგანაა განადგურებული. გეგმის მიხედვით, ის ოვალურია, დასავლეთიდან მოდგმული აფსიდით, აქვს პილასტრები, მცირე ზომის ალიზის სვეტი, პოდიუმი, ბანური სახურავი სვეტებს ეყრდნობოდა. ეს განსხვავებული შენობა შესაძლოა საკულტო ყოფილიყო. აქაც გვხვდება რქიდან დამზადებული თოხები და ცულები, თიხის, რეალისტურად შესრულებული ქალის ფიგურა. ქვისა და ობსიდიანისაგან დამზადებული ისრისპირები, ნამგლის ჩასართი, ცულები და სატეხები, ხელსაფქვავები, უროები, სანაყები...

სოფ. სიონში, შულავრისწყლის მარცხნივ აღმოჩნდა იმავე პერიოდის ნახევრად მიწურები, რომელთა ქვის საძირკველზე ალიზის კედლები უნდა მდგარიყო. კერამიკა და ქვის იარაღები ზემოთ აღწერილი ძეგლებისას წააგავს, მაგრამ შინაური ცხოველების ძვლების სიჭარბე, ხელსაფქვავების არარსებობა ამ, შედარებით მაღლობ ადგილას, მესაქონლეობის წამყვან როლზე მიგვანიშნებს.

ხატისოფლის მახლობლად, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩნდა ენეოლითური ნამოსახლარიდან დარჩენილი სამეურნეო დანიშნულების ორმოები, კერამიკა და ქვის მასალა, მსგავსია ზემოთ აღწერილებისა (საქართველოს არქეოლოგია 1992: 35–44, 57–59, 61).

ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩენილია შულავერსა და შაუმიანს შორის. აქ კოლექტიური დაკრძალვისათვის განკუთვნილი ყორღანი ცარიელი აღმოჩნდა. მიწაყრილში კი ორი სამარხი იყო, სადაც, კერამიკასთან ერთად იყო ხარისა და ცხვრის ძვლები, ძვლის კვირისტავი.

ქვემო შულავრის მახლობლად, ქციის ძველი კალაპოტის მარჯვენა ნაპირზე, აღმოჩნდა იმავე პერიოდის ნასახლარი და სამაროვანი, სადაც კერამიკულ მასალასთან ერთად იყო ბრინჯაოს საკინძები, ჭურჭლის სადგარი.

ამავე ხანის ყორღანები გაითხარა სოფ. იმირს, ქვემო სარალსა, შულავერსა და შაუმიანს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. იქ დადასტურდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევრის პირები, ბრინჯაოსა და ობსიდიანის ისრისპირები, ქვის ლახტისთავი, ბრინჯაოს ყუამილიანი და ბრტყელი ცული, ბრინჯაოს სატეხი, სადგისი, ბატკნის ჩონჩხი და ორმოს პირზე ხის გადახურვის კვალი (საქართველოს არქეოლოგია 1992: 171–172, 202–204).

ენეოლითური ხანის იარაღები აღმოჩნდა წუღრუღაშენის მახლობლადაც. ესაა ობსიდიანის კარგად დამუშავებული საფხეკები, რომლებიც დიდ მსგავსებას იჩენს მეზობელი ხევების ასეთსავე იარაღებთან, კერძოდ, შულავრისხევში, ოფრეთთან ნაპოვნ დანისპირთან (გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 72).

აღნუსხული, მაგრამ გაუთხრელია ყორღანები შულავრისწყლის ზემოწელზე – სამი, ტალავრისხევში – ერთი, ასევე ნამოსახლარი გორები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა (დ. ბერძენიშვილი 1964: რუკა I). მათი უმრავლესობა შედარებით გაშლილ ადგილებშია, სადაც მეტია სახნავ-სათესი. ეს ნამოსახლარი გორები, თითქმის ყველა, შემდგომ ხანებში ფეოდალურ სოფლად ქცეულა, რაზედაც მახლობლად მყოფი ნაშთები მეტყველებენ. ასეთი მოზრდილი ნამოსახლარები გამოირჩევა ოფრეთში, შულავერში, სიონში, ყუდროსა და დარბაზში, სარაჩლოში, ხატისოფელში, ბოლნისსა და სამწვერისში.

საყურადღებო ჩანს აქაური გამაგრებული გორებიც. ესენი ძალზე წააგავს ერთმანეთს: არჩეულია მაღალი მთები, ან ძნელად მისასვლელი ფერდები, რომელთაც ბუნებრივი, კლდოვანი თხემი აქვთ: ეს კლდეები, უფრო ადვილად მისასვლელ ადგილებში, ამოვსებულია ქვის მშრალი წყობის კედლებით. ასეთივე კედლები ევლება არაკლდოვან ნაწილებსაც და, შეძლებისდაგვარად შეკრულია ტერიტორია დაახლ. 100მX75მ. კედლის სისქე 2 მეტრამდე აღწევს, მისი წყობა თითქმის ყველგან ერთგვარია: მოზრდილი, მოგრძო ქვები დალაგებულია კედლის სიბრტყის პერპენდიკულარულად ორსავე მხრიდან, შუაში კი ჩაყრილია ხურდა. უმეტეს შემთხვევებში, გალავნის შიგნით, ან მის გარეთ ასეთივე წყობის სათავსებია შერჩენილი. ისინი გალავნის კედელთან შეერთებისას სწორ კუთხეს ჰქმნიან, ხოლო ორი დანარჩენი კუთხე მომრგვალებულია, დაახლოებით, ნალისებურად. ასეთი ლოდოვანები ადრეც იყო ცნობილი თეთრიწყაროს რაიონში (ლომთათიძე, გძელიშვილი 1951: 321–322).

ქვემო ქართლში და სხვაგანაც ასეთი გორების სიმრავლე აიხსნება ლავური ქანების რღვევა-დაშლით შექმნილი, ხელშემწყობი ბუნებრივი



სურ. 1. „შაითან-ყალა“ სამწევრისთან

პირობებით, რომლითაც ადრევე უსარგებლიათ. ჩვენ მიერ აღნუსხული ასეთი პუნქტები დაახლოებით ერთი ხანისა ჩანს, გამაგრებული მწვერვალები, სადაც შიშიანობის დროს თავს აფარებდა მოსახლეობა და საქონელი. ამ სიმაგრეთა უმეტესობას ნასახლარები ახლავთ, სადაც კერამიკული ანაკრეფი მასალა იპოვება. ერთგან კი (დონღუზ-

სურ. 2. გამაგრებული გორა „ყარა-დაღი“

დარა ფოლადაურის მარცხნივ), გეოლოგების მიერ გათხრილ ჭრილში, ადრერკინის ხანის ბრინჯაოს თავგამსხვილებული საკინძი აღმოჩნდა. შემდგომ (ფეოდალურ) ხანაშიც მოსახლეობა ამ სიმაგრეებს სხვადასხვა მიზნით გამოიყენებდა, რასაც მოწმობს ფეოდალური ხანის კერამიკული ფრაგმენტები აშკარად ძველ, ანაკრეფ ნატეხებთან ერთად.

ჩათახ-სამწვერისის ირგვლივ სამი ასეთი სიმაგრე-ნასოფლარია – შაითანწყალი, ყარადაღი, დონღუზდარა (სურ. 1-3). საინტერესოა, რომ სამწვერისში შემორჩენილი გადმოცემა ამ სოფლის სახელს მის ირგვლივ მყოფ სამ მთის წვერს უკავშირებს. ბუნებრივად იბადება საცთური ამ ტრადიციაში ზემოხსენებული გამაგრებული პუნქტები ვივარაუდოთ. მართლაც, არაა გამორიცხული ხალხური ეტიმოლოგიის სისწორე და შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც, იგი ასევე ასახავდეს სინამდვილეს, როგორც სახელწოდება სამგორი.

მომდევნო პერიოდის ძეგლებიდან მნიშვნელოვანია ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი, რომელიც შორის ნასოფლარის დასავლეთით მდებარე ქედზე აღმოჩნდა. აქ გამოვლენილ იქნა ქვით ნაგები საცხოვრებლები, საცხობი ღუმელი და სამეთვალყურეო-თავდაცვითი ხასიათის ქვის ნაგებობა. აქ მოსახლენი მახლობელ მინდორში



სურ. 3. მშრალი წყობით ნაგები გალავანი „დონღუს-დარა“

მყოფ სამაროვანზე იმარხებოდნენ, სადაც გაითხარა 22 სამარხი ძვ. წ. VI–V სს-ისა. აქ აღმოჩენილი, ადგილობრივ დამზადებული თიხის ჭურჭლიდან ყურადღებას იქცევს მეღვინეობასთან დაკავშირებული ქვევრები, სამტუჩა დოქები, ხელადები და კოკები; მეცხოველეობასთან დაკავშირებული სადღვებელი და რძის პროდუქტის შესანახი ქილები, დერგები, ცხოველთა ძვლების სიმრავლე; ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული სამკაულები, იარაღები: შუბისპირები, ნამგლები, დანები, კოლხური ცული, ხელსაფქვავების ქვები. ყველაფერი ეს ადასტურებს ზემოთ აღწერილი მეურნეობისა და ხელოსნური დარგების ადრიდანვე დაწინაურებას ამ კუთხეში (ტყეშელაშვილი 1969: 76–78, 85).

ზემოაღნიშნულ სამოსახლოთა უძველესი გამაერთიანებელი ფაქტორი იქ მაცხოვრებელთა საერთო წარმომავლობა, მოდგმა-მონათესავეობა უნდა ყოფილიყო; ისინი თანდათან, ერთ გეოგრაფიულ გარემოში (ხევი) მოქცევისას, საერთო სამეურნეო საქმიანობით (მორწყვა, საძოვარი, ტყე) „ჰევებად“ ჩამოყალიბდნენ წინარეანტიკურსავე ხანაში.

* * *

ადრეფეოდალური ხანის ძეგლები ამ მხარეში უმეტესად ეკლესიების, რელიეფიანი სტელებისა და ციხეების სახით გვხვდება. უმნიშვნელოვანესი მათ შორის, ცხადია, ბოლნისის სიონია. ლეონტი მროველის ცნობით, „დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი, ძისწულის წული ფეროზისი სახელით ფარსმან...ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მჭედარი შემმართებელი... და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“ (ლეონტი მროველი 1955: 137–138). „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით კი, „... მეფობდა ბაკურ, ძჱ თრდატისი, და მთავარ ებისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ 1964: 92). ამ ცნობების მიხედვით, ბოლნისის სიონი IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისშია აგებული. შესაძლოა დღეს არსებულ ნაგებობამდე აქ სხვა შენობაც მდგარიყო; ცნობილია, რომ ადრეული ქრისტიანული მშენებლობა წარმოებდა წარმართული კულტების ადგილებზე. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ბოლნისის სიონი დგას იმ გორაკის განაპირას, რომელიც მრავლად შეიცავს ანტიკური ხანის კერამიკულ ფრაგმენტებს. ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე გათხრილმა საცდელმა ჭრილმა კედლები გამოაჩინა, რომლებიც გორაკს უნდა ევლებოდნენ. იქ მოპოვებულ თიხის ჭურჭლის ნატეხებში, ერთს ჯვრის გამოსახულება ამკობს. ასეთი მაგალითები ცნობილია გვიანანტიკური ხანიდან. ამ მხარის ძეგლების იშვიათი ხელოვნება ნათლად მეტყველებს, რომ ადრექრისტიანულ მშენებლობას აქ


ბოლნისხევი პრეისტორიულ და ანტიკურ ხანაში
ბოლნისი
ხატის სოფელი
შულავერი
სიონი
ლოქი
მგლის კარი
ენეოლითური გორანამოსახლარი
ენეოლითური სადგომი
გვიანბრინჯაოს ხანის გორანამოსახლარი
გორა გალავნით
გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი
ყორღანი
ანტიკური ხანის სამაროვანი
უღელტეხილი

ძლიერი, განვითარებული ბაზა ჰქონდა. ბოლნისის სიონის ხარის გამოსახულებიანი რელიეფი ბრწყინვალე მაგალითია ეკლესიის მიერ წარმართული კულტურის ქრისტიანულ ნიადაგზე გადმონერგვისა. საქართველოში განსაკუთრებული პატივისცემით მოსილი ხარი, თეთრი ლაქით შუბლზე – ნიკორა, ერთ-ერთი უძველესი „ხატია“ ტაძრის კედელზე, რომლისთვისაც თეთრი ლაქა ჯვრით შეუცვლიათ (მაცულევიჩი 1938: 63–64). ძველი წარმართული წარმოდგენებიდან ნასესხები მოტივები გვხვდება საყდრის სხვა ნაწილებშიაც: ფრთოსანი ლომები, ფარშევანგები და სხვ.

ბოლნისის სიონის წარწერები ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესია ქართულ ეპიგრაფიკაში. ბუნებრივია, რომ მათ შესახებ ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა. ბოლო ხანებში ისტორიკოსები იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ბოლნისის სიონი აგებულია IV ს-ის დასასრულისა და V ს-ის დასაწყისის ქართლის მეფეების – ფარსმანისა და ბაკურის დროს. მშენებლობის დასრულება ივარაუდება 410-იანი წლების შუაში. ადრე დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით კი, ბოლნისის სიონი დამთავრებულია 494, ან 503 წ. (ბოგვერაძე 1994: 17–18; სილოგავა 1994: 64–65).

პირველი მოსაზრების მიღებისას გამოვა, რომ სააღმშენებლო წარწერა შესრულებულია ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე, საეპისკოპოსოების დაარსებამდე. დავით ეპისკოპოსის წარწერა კი, რეფორმის შემდგომი ხანისაა და უკვე აგებულ ეკლესიაზე კეთდება. მეორე მოსაზრების მიხედვით კი,დავით ეპისკოპოსი ბოლნისის სიონის მშენებლობაში მონაწილეობს, თუმცა კი სააღმშენებლო წარწერაში, მისი სახელი მხოლოდ ნავარაუდევია აღდგენილ სტრიქონში.

მკვლევრებმა ყურადღება გაამახვილეს ჯერ კიდევ ლ. მუსხელიშვილის მიერ შენიშნულ ასოთა ჯგუფზე „ახპ“, რაც ს. კაკაბაძემ აღადგინა როგორც „ნახპეტობასა“. მანვე ასეთ პიროვნებად ჩათვალა მირიან მეფის სიძედ მოხსენიებული ფეროზის შთამომავალი (საურმაგ კაკაბაძე 1985: 150–153). შემდგომში ეს აზრი სხვებმაც გაიზიარეს, მცირე შესწორებებით (პატარიძე 1984; ბოგვერაძე 1985).

მართლაც, ლეონტი მროველის ცნობით, მირიან მეფემ „მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ... და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თჳსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ“ (ლეონტი მროველი 1955: 68–69). მირიანის მეფობაში ფეროზის გაქრისტიანება ვერ მოხერხდა; მირიანის შემდგომ გამეფებულმა ბაქარმა კი, „გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანისგან, და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან“ (ლეონტი მროველი 1955: 130–131). ბუნებრივია, ბოლნისი და მისი ხეობა

ფეროზის ამ საერისთავოში აღმოჩნდებოდა, რაც უფრო მეტად ზრდის შესაძლებლობას, რომ ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერაში მისი ნახპეტობის დრო აღნიშნულიყო.

უნდა ვიფიქროთ, ფეროზის შთამომავლები იმავე ქვეყნის ერისთავებად დარჩებოდნენ, რასაც თითქოს უნდა ემოწმებოდეს ბოლნისის სიონის კედელში ჩასმული ჯვრიანი ქვა, რომლის წარწერაში ასონიშნები „ნპ̣ჲ“ იხსნება როგორც „ნახპეტისაჲ“, ბოლნისის სიონთანვე აღმოჩენილ კიდევ ერთ ჯვრიან ქვაზე ასოები „ნახ“... ისევ „ნახპეტს“ უნდა აღნიშნავდეს (შოშიაშვილი 1980: 75–76).

ლეონტი მროველისავე ცნობით, IV ს-ის მიწურულს „ერისთავმან სპარსთამან წარიყვანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისანი, და ქუეყანა მათი საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე“ (ლეონტი მროველი 1955: 137). ან. ბოგვერაძის აზრით, 420-იანი წლებიდან აღნიშნულ მხარეში მმართველი საგვარეულო შეცვლილია არშუშა პიტიახშისა და მისი მემკვიდრეების სახით. ისინი საუკუნეთა მანძილზე პიტიახშებად იხსენიებოდნენ და არა ნახპეტებად (ბოგვერაძე 1999: 89–90).

ასეთია საკითხების წრე, რომელსაც ბოლნისის სიონის უძველესი წარწერები აღძრავენ. საერთოდ კი, მისი შესანიშნავი დახასიათება მოცემულია ძეგლის პირველი გამთხრელის ლ. მუსხელიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „ბოლნისი“: „სიდიადე შეერთებული სისადავესთან, ცოტათი მძიმე და მოუხეშავი, მაგრამ მტკიცე, ურყევი ფორმები, თავშეკავებული შემკულობა, ზომიერი, შეიძლება ითქვას ძუნწი ჩუქურთმა, არც ერთი ნაკვთი გასართობად, მხოლოდ თვალის გასახარებლად – აი რა ახასიათებს ბოლნისის სიონს. თუმცა თავდაპირველი შენობა მერმინდელი არაერთგზისი გადაკეთებით ძლიერაა დამახინჯებული, იგი მაინც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს. იშვიათად თუ მოიპოვება ჩვენში ასეთი დუმილით მეტყველი ძეგლი. მხოლოდ ღრმა და წრფელი სულიერი განცდით, სერიოზული, უყოყმანო, ჯერ კიდევ გულუბრყვილო რწმენით გამსჭვალულ კოლექტივს შეეძლო ასეთი ტაძრის აგება თავისი ღვთაებისათვის და მხილველსაც უნებლიედ იპყრობს ამ მიზანმიმსწრაფი, შერწმენილი ნებისყოფის ძალა“ (ლ. მუსხელიშვილი 1938: 324).

ბოლნისის სიონის უძველესი წარწერების ხანისა უნდა იყოს მოსახსენებელი წარწერები უკვარცხლბეკო სტელა-ჯვრებზე, რომლებიც ბოლნისის მიდამოებში აღმოჩნდა დაზვერვებისა, თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ბოლნისის სიონისავე გავლენით შეიძლება აიხსნას ე. წ. „ბოლნურ მედალიონთა“ გამოსახულების სიმრავლე-გავრცელება ამ რაიონში. ბოლნისის ტაძრის შიგნითა წყობაში ჩასმული ასეთი ჯვრიანი ქვები, აკად. გ. ჩუბინიშვილის აზრით, აღნიშნავდა ადგილებს, სადაც ღვთისმსახურების დროს, ალბათ, მათი შემომწირველნი დგებოდნენ (გ. ჩუბინაშვილი 1940ა: 83). სხვა

ადგილებშიც ამავე დანიშნულებით, აგრეთვე საფლავის ქვებადაც გამოიყენებდნენ ასეთ გამოსახულებებს.

ამ მხრივ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, იქცევს ე. წ. „ლამაზ გორაზე“ გათხრილი სამონასტრო ანსამბლი, რომელიც ბოლნისის სიონის ჩრდილო-დასავლეთით დაახლ. 800 მ-ზე მდებარეობს. 1959წ. ჩატარებული გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი იოს. გძელიშვილი), გაირკვა, რომ სამონასტრო ანსამბლის ეკლესია, თავიდან ერთნავიან დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენდა, რომლისთვისაც შემდგომში დაუმატებიათ სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები. გალავანშემოვლებულ სამონასტრო კომპლექსში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია, რომელთა კედლებში სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ ქვის სტელები, ქვები ქართული ასომთავრული წარწერების ნაშთებით, წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრებით, აყვავებული ქვის ჯვრები, მკლავებზე შროშანის გამოსახულებით, სიონის მოდელი და სხვა. (ამირანაშვილი 1968: 14).

წარწერიან ქვათა შორის არის ტუფის სწორკუთხოვანი ფილა, რომლის ზემო ნაწილზე გამოსახულია ტოლმკლავა, ბუნზე დანდობილი ჯვარი; ის პატარა სამკუთხედებისაგან შემდგარ მედალიონშია ჩასმული. ჯვრის ქვემოთ ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომლის დასაწყისი ერთ-ნახევარი სტრიქონი ამოღარულია, დანარჩენი კი – რელიეფური. აქ იკითხება: „ესე ჯუარი ბარნაბაჲსი. რომელმან აღმოიკითხოს ლოცვასა მომიჴსენეთ“. წარწერა V–VI სსით თარიღდება.

ასეთსავე მედალიონში ჩასმულ მეორე ჯვარს, ქვევით რელიეფური ასომთავრულით შესრულებული, დაზიანებული წარწერა ახლავს, სადაც შესაძლებელია აღდგეს სიტყვები: „მამასახლისი ქრისტე შეიწყალე“. სხვა ასეთსავე ჯვრიან ქვაზე, დაზიანებული რელიეფური წარწერა შესაძლოა აღდგეს, როგორც: „...შეიწყალე დედოფალი მზ... სა“. ეს წარწერებიც V–VI საუკუნეებს განეკუთვნება ბოლნისის სიონის წარწერების მსგავსად და, შესაძლოა, ერთ სახელოსნოშიც ყოფილიყო დამზადებული (შოშიაშვილი 1980: 82, 84, 85).

ფიქრობენ, რომ, ეს ქვები საფლავებზე ვერტიკალურად იქნებოდნენ დასმულნი, რის საფუძველსაც იძლევა სტელა ასომთავრული წარწერით –„კვირიკე“, რომელიც ჯერ კიდევ საფლავზე აღმართული აღმოაჩინა ექსპედიციამ. ქვის ჯვრები, რომელთაგან ზოგიერთს შერჩენია „აყვავებული ჯვრის“ ფრაგმენტები და ბუდეში ჩასასმელი ძგიდეები, ასევე, მიჩნეულია საფლავზე დასადგმელად (ამირანაშვილი 1968: 36, 41).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ზემოაღწერილ ქვებთან ერთად აღმოჩენილი, რელიეფური გამოსახულება დიდი საერო ხელისუფლისა. მას ერთ ხელში სატევარი უჭირავს, მეორეში კი ქარქაში; საინტერესოა ტანსაცმლის მორთულობაში ოქროს ღილაკები,

საყურეები და თმის ვარცხნილობის სასანური წესი. ჯ. ამირანაშვილი, რომელმაც სტელა შეისწავლა, ფიქრობს, რომ აქ გამოსახულია ქართლის პიტიახში საზეიმო ვითარებაში, რომელსაც ინსიგნიის სახით სატევარი აქვს ხელში. ავტორის აზრით, არმაზის გათხრების დროს ნაპოვნი პიტიახშ ასპარუგის მდიდარი სამარხის ინვენტარი – ძვირფასი ქვებით შემკული, ოქროს ტარიანი სატევარი, ასევე შემკული ოქროს გარსაკრავიანი ქარქაში ცხადყოფს, რომ ესაა საზეიმო იარაღი, ინსიგნია. ამისდა კვალად, ბოლნურ რელიეფზე გამოსახული პიროვნება უნდა იყოსო ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი; ამგვარად, რელიეფი თარიღდება V ს-ის მეორე ნახევრით და განსაზღვრულია, როგორც საზეიმო დანიშნულების სტელა (ამირანაშვილი 1968: 33).

ამ გამოსახულებიანი ქვის მეორე მხარეს, ამოკვეთილია მედალიონში ჩასმული, თანასწორმკლავებიანი ჯვარი, რომელიც ბუნზეა დადგმული. ჯვრის ქიმები ორმაგი კონტურით არის ამოკვეთილი, ხოლო ქიმების ცენტრში ბურთულებია ამოჭრილი. ჯვარს გარშემო ევლება ორმწკრივად, წრიულად განლაგებული, პატარა სამკუთხედებით შედგენილი მედალიონი. ქვა გადატეხილია და ჩვენ არ ვიცით იყო, თუ არა აქ რაიმე წარწერა, ან როგორი იყო დიდი საერო ხელისუფლის ტანსაცმლის ქვედა ნაწილი სტელის მეორე მხარეს. სტელის ეს ნატეხი, საზეიმო დანიშნულებისაა იგი, თუ მემორიალური, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ბოლნისი ამ დიდი ხელისუფლის (ნახჰეტის, პიტიახშის...) საბრძანებელში იგულისხმებოდა. როგორც ჩანს, სამონასტრო კომპლექსის ადგილზე, თავდაპირველად სასაფლაო იყო, თავისი ერთნავიანი დარბაზული ეკლესიით.

მსგავსი ჯვრიანი ქვები აღმოჩნდა სოფ. სამწვერისის ეკლესიის კედლებშიც. სამწვერისის სამება სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდოვან ბორცვზე დგას. ეს დარბაზული ტიპის მოზრდილი ნაგებობა, ძველი ეკლესიის ადგილზე ახლად აუშენებიათ. შიგნიდან და გარედან კირით თეთრად შელესილს, ეტყობა ძველი ქვების გამოყენება ჰორიზონტალურ რიგებად. აქვე ჩაუშენებიათ გვიანდელი საფლავის ქვებიც. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, მის მარჯვენა ამყოლს კვადრი ამთავრებს, რომელზედაც ბოლნური ჯვარია გამოსახული. დასავლეთ სარკმელს წარბიანი ქვა ადევს, წარბი რელიეფური, სწორი ხაზია. აღმოსავლეთი კედლის წვერში, ქვაზე რელიეფური ჯვარია გამოყვანილი, წნული ჩუქურთმით შევსებული.

ჰორიზონტალურ მკლავებთან ერთსტრიქონიანი, ასომთავრული, ამოკაწრული წარწერის კვალი შეიმჩნევა. ჯვრის ქვევით, მარცხნივ ბოლნური ჯვარი გრეხილ მედალიონშია ჩასმული. ჯვრის მკლავებს შორის ხაზებით დამუშავებული გირჩებია, უფრო დაბლა სიმაღლეზე დაყენებული ფილაა ჩასმული, რომლის ზედა ნაწილში ისევ ბოლნური ჯვარია. იგი პატარა სამკუთხედებით შედგენილ მედალიონში ზის. ჯვრის ქვევით რელიეფური ხაზებით გამოყოფილ სიბრტყეზე,

რელიეფური ასომთავრულით შედგენილი წარწერაა: „ეფეაზი“ – 𐌴𐌦𐌴𐌸𐌹. მთელი ქვედა ნაწილი ფილისა სუფთაა. ზემოთ აღწერილი ბოლნურჯვრებიანი ქვები ძალიან წააგვანან „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილ მემორიალურ ქვებს. წარწერაშიც ვიღაცის სახელი უნდა იყოს აღნიშნული. ეს ქვებიც V-VI სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

აღმოსავლეთი სარკმლის ზევით, მარცხნივ მოგრძო ქვაზე ბარელიეფია – ორ მამაკაცს თითო ხელი ჯვრებზე უკიდიათ. ხელის ქვევით, ჯვრების ქვედა მკლავები თოკისებური გრეხილით გრძელდება და კვარცხლბეკებს ეყრდნობა. მამაკაცთა თმა-წვერი ხაზებითაა დამუშავებული. სარკმლის მარჯვნივ, მის შუა წელზე, ისევ ბოლნური ჯვარია სამკუთხედებიან მედალიონში. აქაც ერთ სტრიქონად, რელიეფური ასომთავრულით იკითხება – ...𐌳𐌴𐌸... („...ოდა...“). მეორედ მშენებლობის დროს, ეს ქვა დაუმოკლებიათ და დაუვიწროვებიათ, ამიტომ წარწერა ნაკლულია თავსა და ბოლოში.

სოფლის სამხრეთ განაპირზე გვიანდელი სომხური ეკლესიაა – „ვანქი“, ზედ შედგმული სვეტებიანი სამრეკლოთი. დასავლეთი შესასვლელის ზედა კუთხეებში ჩაუსვიათ ძველი ფილები ბოლნური ჯვრებით სამკუთხედებიან მედალიონებში. ქვევით წარწერის ადგილი გადაფხეკილია და გადაჭრილიც.

„ვანქის“ სიახლოვეს, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ეკლესიის მხოლოდ ბუდეა გადარჩენილი. შესასვლელთან სტელის ნატეხია, რომელზედაც მოგრძო ჯვარია გამოსახული, მოკლე და ვიწრო სადგამზე დანდობილი. ჯვრის ზედა და ჰორიზონტალურ მკლავებს შორის თითო სამყურა, შროშანისებრი ყვავილია; ქვედა, ვერტიკალურ მკლავს ორივე მხრიდან თითო ფრინველი უზის, რომლებიც ნისკარტებით ჯვარს ეხებიან. შესაძლოა, ეს „აყვავებული ჯვრის“ ნაკლებად გავრცელებული რედაქცია გამოდგეს.

ცალკეა აღსანიშნავი სამწვერისის გვიანდელ სასაფლაოზე ნაპოვნი ფილა. აქ გამოსახულია გრეხილ მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი, რომლის მაღალი სადგამი ალბათ ბაზას ეყრდნობოდა. მედალიონის ქვემოთ, მარცხნივ ორმაგი ლილვით შემოხაზული მცენარეული მოტივია, რაც „განედლებული ჯვრის“ ელემენტი უნდა იყოს. მარჯვნივ ადამიანის ფიგურაა, რომელსაც მარჯვენა ხელში ლოტოსის ყვავილი უჭირავს. მიუხედავად ორი გრძელი ნაწნავისა, ის კაცის გამოსახულებადაა აღიარებული, ხოლო ოთხფურცლიანი ყვავილი დაწინაურებული საერო პირის ძალაუფლების მაჩვენებელია. გამოსახული პიროვნების ქალად მიჩნევას, თითქოს ხელს უწყობს ზედა ნაწილში მოთავსებული წარწერა... „ასული ძალანდუხტ“ (შოშიაშვილი 1980: 151); მაგრამ წარწერის მოთავსების ადგილი და მიმართება რელიეფთან, ხელოვნების ისტორიკოსებს აფიქრებინებს, რომ წარწერა მოგვიანო ხანისაა. მართლაც, საფლავის ქვებად ძველი სტელა-ჯვრების მეორადი გამოყენება,ბოლნისის მიდამოებში სხვაგანაც

გვხვდება. ეს პირი შესაძლოა ქართლის სამეფოს რომელიმე მოხელეც იყოს, რაზედაც მისი დიადემაც უნდა მიგვითითებდეს. მამაკაცის მოსასხამი და თავსამკაული ბიზანტიურ საზეიმო კოსტიუმადაა მიჩნეული, რაც იმპერიის ზეგავლენითაა ახსნილი (ნ. ჩუბინაშვილი 1972ა: 59–61; მაჩაბელი 1998: 151,159).

სტელაზე გამოსახული ჯვარი, ზომით საგრძნობლად აღემატება მამაკაცის ფიგურას, რაც მას სცენის აზრობრივ ცენტრად წარმოაჩენს. აქ წარმოდგენილია ჯვრის თაყვანისცემის ორიგინალური რედაქცია, რომელშიც ჩანს ქვეყანაში არსებული რელიგიური პრაქტიკის ანარეკლი (მაჩაბელი 1998: 141).

სოფ. სამწვერისის სამხრეთ-დასავლეთით მთაზე ბილიკი ადის, რომელიც კლდეში იკვეთს გზას და მშრალი წყობით ნაგებ სიმაგრეს მიადგება. აქაა კოშკის ნაშთი და გალავანი, რომელიც დაახლ. 100 მ-ზე ვრცელდება; კედლის სისქე 2 მეტრამდეა, დიდ საპირე ლოდებს შორის ჩაყრილია ხურდა. სიმაგრის მახლობლად 3-4 ოთახიანი ნასახლარებია ისევ მშრალი წყობისა. სიმაგრეცა და ნასახლარებიც შეიძლება წინარეფეოდალური ხანისა იყოს, რომელსაც ფეოდალურ ხანაშიც თავდასაცავად გამოიყენებდა სამწვერისის მოსახლეობა. გამოდის, რომ ეს სოფელი ბოლნისთან ერთად, მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა ხეობის შუა წელზე ადრეფეოდალურ ხანაში. ამაზე მეტყველებს სოფლის სახელწოდებაც -ისი დაბოლოებით (შდრ: ბოლნ-ისი), ბოლნური ჯვრები რელიეფური წარწერებით, აქაური ეკლესიის სახელი – სამება; საინტერესოა, რომ ბოლნისის სიონიც, წარწერის მიხედვით, თავდაპირველად თითქოს სამების სახელზეა აგებული (ლ. მუსხელიშვილი 1938: 327). აქ არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ ბოლნურ სტელაზე გამოხატული დიდმოხელე სპარსულ კოსტიუმშია გამოწყობილი, სამწვერისელი კი – ბიზანტიურში. თუ ჩაცმულობაში ქვეყნის მაღალი წრის პოლიტიკური ორიენტაცია აისახებოდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბარელიეფები თანადროულნი არ არიან და სამწვერისისა უფრო გვიანი გამოვა.

კიდევ ერთი სტელაა ცნობილი ბოლნისის ახლო ნასოფლარიდან, რომელსაც ბაღდადს უწოდებენ. XVII ს-ში აქ უკვე ნასოფლარი იყო, რომელიც მცირე ხევის მარჯვნივ, ქედზეა შემორჩენილი. მის თავში ეკლესიის ნანგრევია, ირგვლივ კი – სასაფლაო. დარბაზული შენობის ფართობია დაახლ. 3მX6მ. კედლები კირხსნარზეა ნაგები საშუალო ზომის დამუშავებული ქვებით, წყობა შიგნითაც და გარედანაც რეგულარულია. შენობას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, რომლის მარჯვნივ, ქვედა კუთხეში ბოლნურმედალიონიანი კუბი დევს, მარცხნივ კი – კედელში ჰორიზონტალურად ჩაშენებული სტელა. გარე პირი მთლიანად გადაშლილია და გამოსახულება აღარ იკითხება. ამ ეკლესიის საკურთხეველში ჯერ კიდევ 1957 წ. ყოფილა მეორე ქვასვეტის ნატეხი, რომელიც ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს ჩამოუტანია

იქიდან. გადატეხილი ქვასვეტის ამ ქვედა ნაწილზე რელიეფური გამოსახულებაა მამაკაცისა, რომლის თავთან, მარცხნივ დაქარაგმებული ორი ასონიშანია – შ̃გ, ალბათ, სახელი ამ პიროვნებისა.

ქვასვეტზე გამოხატულ მამაკაცს აცვია მხედრული კაბა, რომელიც წინ გახსნილია და მორკალული კალთა მუხლქვემოთ სცემს. ის მკერდზე ამოჭრილია ჩოხის მსგავსად, კისერთან მრგვლად ამოჭრილი პერანგი მოჩანს. კაცს წელზე ქამარი არტყია, რომლიდანაც ჩამოსულ, სხვადასხვა სიგრძის ორ ზონარზე ქარქაშიანი სატევარია ჩამოკიდებული. მარჯვენა მხარზე მოსასხამის ნაწილია დამაგრებული, რომელიც ზურგს უკან გადადის. მამაკაცს მარცხენა ხელი მკერდთან აქვს მიტანილი. მოსასხამის ამგვარი გამოსახვა გარკვეულ ანალოგიებს პოვებს ატენის სიონის ქტიტორთა გამოსახულებებში. კაბის ქვეშ მოჩანს ფეხებზე კარგად მომდგარი ვიწრო შარვალი, რომლის მსგავსი აცვიათ ზოგიერთი სხვა ქვასვეტების საერო პირებს. იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში მამაკაცს კვერთხი უპყრია. ამგვარი ინსიგნია გვხვდება კატაულას ქვასვეტზედაც, სადაც ერთ პერსონაჟს იგი სხვა კტიტორთაგან გამოარჩევს (მაჩაბელი 1998: 156–158).

ნ. ჩუბინაშვილი ამ გამოსახულების გამო აღნიშნავდა, რომ ასეთ სტელებზე მამაკაცებს იარაღით არსად არ ვხვდებით; კვერთხი და სატევარი ეგების მიგვანიშნებს, რომ პიროვნება მამასახლისია. იქვე ავტორი დაქარაგმებულ ასონიშნებს კითხულობდა კაცის სახელად – შერგილ (ნ. ჩუბინაშვილი 1972ა: 98–99); უფრო სწორი იქნებოდა შ̃გ წაგვეკითხა როგორც შმაგ, ან შავლეგ.

მამაკაცის გამოსახულებიანი სტელა ჩაშენებულია სოფ. ჩათახის გვიანი ხანის ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმელთან, თუმცა მას წარწერა არ ახლავს. სტელის ნატეხი იყო იქაური მოსახლის ეზოს ყორეშიც. მის ერთ მხარეს ბოლნური მედალიონია გამოსახული, რომელიც მოგრძო სადგარით კვარცხლბეკს ებჯინება. კვარცხლბეკის ზედაპირი ჩაჭრილი სამკუთხედებითაა შევსებული. მეორე და მესამე გვერდებზე მამაკაცების ბარელიეფები ყოფილა. ერთ-ერთის თავზე რელიეფური წარწერა (ალბათ სახელი ამ პიროვნებისა) გადაშლილია.

ქვაჯვართა ბაზისები და სტელის ნატეხია ჩაყოლებული ნასოფლარ ანდიკის (ლოქისწყლის მარცხენა სანაპირო) 1189წ. აშენებული ეკლესიის კედლებში. სტელის იმ გვერდზე, რომელიც კედლიდან მოჩანს, გამოსახულია ბოლნური მედალიონი და ვაზის რტო.

ფოლადაურის მარცხენა შენაკადის რკინისწყლის (დემირსუ) მარჯვენა სანაპიროზე, გვიან გადაკეთებულ ეკლესიათა კედლებში ისევ გვხვდება ჩაშენებული სტელებისა და მათი ბაზისების ნატეხები (სურ. 4). აქ გამოსახულ ბოლნურ მედალიონებსა და მოგრძო ჯვრებს მკლავებზე რელიეფური კოპები აქვთ, მკლავებს შორის კი – ლოტოსები; აქვეა ყურძნის მტევნები და სიცოცხლის ხეები – სამოთხის სიმბოლოები. სტელის ერთ გვერდზე მედალიონების მწკრივია:

ერთიმეორის შენაცვლებით წრეში ჩასმული პატარა ბოლნური ჯვრები და ლოტოსები. მეორე, გვიანი ეკლესიის საკურთხევლის მარცხენა მხარეს, თავდაყირა ჩაშენებულ ქვაზე რელიეფური, ასომთავრული წარწერის ნაშთია: ...ⴒⵗⵃⵛ...ⵇⵚⵃ... ე. ი. „...ვინა...უნ...“ ამავე ეკლესიის დასავლეთი შესასვლელის მარცხნივ, ქვაკუთხედად ჩაშენებულია ჯვრის, ან სტელის ბაზისი. მას ექვსსტრიქონიანი წარწერა ჰქონია, რელიეფური ასომთავრულით შესრულებული,რომელიც გადაშლილია.



სურ. 4. რკინისწყლის ხევის ძეგლები

კარგად ირჩევა სტრიქონთა გამყოფი რელიეფური ზოლები, მეორე სტრიქონში ასონიშანი „ო“, მეექვსეში კი – „...კვ (?)წ“.

სოფ. ხატისოფლის დასავლეთით, მოქმედ სასაფლაოზე, ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში შიგნიდან პილასტრად გამოყენებული მაღალი სტელაა ჩაყოლებული, რომელიც კაპიტელით ბოლოვდება. სტელის მთელ სიმაღლეზე, ერთმანეთში ჯაჭვურად ჩახლართული, ორზოლიანი წრეების უსასრულო მწკრივია გამოხატული. ამ მწკრივს ორსავე მხრიდან თოკისებური ჩარჩო აუყვება, მათ შემდეგ კი ჩამოთლილ ძგიდეებზე ჩაჭრილი სამკუთხედების მწკრივია. კაპიტელის გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია, მარჯვნივ ორი მოგრძო ფოთოლიდა ჩანს. კაპი-ტელის ზედა ნაწილში ვაზის რტოა შემორჩენილი.

დასავლეთ კედელშიც სტელაა ჩაყოლებული კაპიტელითურთ, ოღონდ აქ ორივე ერთ ქვაშია გამოკვეთილი. კაპიტელზე ბოლნური მედალიონია ორ რელიეფურ წრეში ჩაჭრილი, სამკუთხედებით.

მედალიონში ტოლმკლავა, ბოლოებგაგანიერებული ჯვარია კოპებით მკლავებზე და მკლავებს შორის. მედალიონის ქვევით,ჰორიზონტალურ მწკრივად ისევ სამკუთხედებია, ზევიდან კი დაზიანებული ლოტოსის ყვავილები. სტელა ორი ჩაჭრილი ზოლით სიმაღლეზე სამადაა გაყოფილი: შუა ვიწრო სვეტია, მარჯვენა და მარცხენა კი – უფრო ფართო.

მოგვიანებით, ამ ეკლესიის გაწმენდისას 1972წ. აღმოჩნდა კიდევ ერთი სტელის ქვედა ნაწილი ბაზისში ჩასასმელი გათლილი დაბოლოებით. მის ერთ გვერდს, ორ მხარეზე სიგრძივ გასდევს წიწვოვანი ორნამენტული არშია. მათ შორის წიწვის სამი ტოტია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე შეყენებული. მეორე მხარეს ამოღარული ასომთავრული წარწერაა, რომელსაც ნაკლული ასოების აღდგენით ასე კითხულობენ: „ესე ჯუარი აემართა სალოცველად სულისა მა მამასახლისისა“. მ. სინაურიძე ხატისოფლის სტელებსა და წარწერას VI-VII სს მიაკუთვნებს, ნ. შოშიაშვილი კი წარწერას ათარიღებს IX ს-ით (სინაურიძე 1977: 34; შოშიაშვილი 1980: 136–137).

ასეთივე სტელებია ჩაშენებული ტალავრისხევის დარბაზთან, გვიან გადაკეთებულ დარბაზულ ეკლესიაშიც. ძველი სტელები აქ ჩაყოლებულია საკურთხევლის გამომყოფ პილასტრებად. ერთ მათგანზე გამოსახულია ბოლნური ჯვრები, რომელთა მედალიონები ჩანაჭდევი სამკუთხედებითაა შევსებული. ეს მედალიონები მაღალი სადგამით ორსაფეხურიან ბაზისებს ეყრდნობიან, ასევე სამკუთხედებით შევსებულს. თახჩასა და აღმოსავლეთ სარკმელსაც ამგვარივე სტელების ნატეხები ამკობს. საკურთხეველთან სტელისა, თუ ჯვრის ბაზისი დგას, რომელზედაც პალმეტების უსასრულო მწკრივია გამოსახული. ამგვარი ორნამენტი არის რკინისწყლის ეკლესიასა და დმანისხევის ორსაყდრებშიაც (ლ. მუსხელიშვილი 1941: 28-29; ტაბ. VI-10). პარალელური მასალის გათვალისწინებით, ზემოთ აღწერილი სტელები და ბაზისები VI-VII და VIII-IX სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ყველა ეს სამლოცველო და საფლავზე დასადები, ან დასადგმელი სტელა-ჯვრები, მიგვანიშნებენ აქაურ საერო და სასულიერო ხელისუფალთა უფლება-პრივილეგიებზე: მოსახსენებელი ეკლესიაში, სამლოცველო ფეოდალური სახლისა, საფლავი ეკლესიასთან... ამავე დროს ისინი ბოლნისის მიდამოებში არსებულ საფეოდალო ერთეულებსაც აღნიშნავენ. ასეთები იქნებოდნენ შულავრის, ტალავრის, მანხუტის ხევებშიც, მაგრამ ბოლნისის ირგვლივ მათი სიმრავლე მაინც თვალში საცემია: იგრძნობა ხეობის ცენტრის, მთავარი სამლოცველოს დიდი გავლენა.

ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა დაჩის გამეფებისას, „დაუტევნა მის თანა შჯდნი წარჩინებულნი მისნი; მათ შორის ყოფილან „ნერსარან ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამშკლდისა“ (ჯუანშერი 1955: 185). მიუხედავად იმისა, რომ ამ

ერისთავთა სამფლობელოები აქ განსაზღვრული არაა, ბოლნისის ხევი სამშვილდის საერისთავოში უნდა იგულისხმებოდეს ტრადიციულად.

ჯუანშერისავე მოწმობით, ვახტანგ მეფეს შეუქმნია პირველი საეპისკოპოსოებიც, მათ შორის, „ერთი ჯავახეთს, წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს“ და სხვ. (ჯუანშერი 1955: 198–199). ეს უნდა მომხდარიყო V ს-ის 70-იან წლებში. 506 წ. საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ მამამთავრებში კი უკვე დასახელებულია სამუელ დმანელი, დავით ბოლნელი და იაკობ ცურტაველი ეპისკოპოსებიც (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97, 161). ცხადია, ეს საეპისკოპოსოები ბოლნისისა და მის მეზობლად არსებული, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.

ბოლნისის სიონში საეპისკოპოსო კათედრის დაარსება უეჭველად მისცემდა ბიძგს ამ ხეობაში ახალი ეკლესიების მშენებლობას. მართლაც, ქვემო ბოლნისში (ბოლნის ქაფანაქჩი), სოფლის მახლობლად, გზის პირას დგას V–VI სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა. შუა ეკლესიის სამხრეთი შესასვლელების თავზე ამოკვეთილი იყო რელიეფური კომპოზიციები: მარცხენაზე, ღმრთისმშობლის ამაღლება, მარჯვენაზე კი – ანგელოზთა მიერ ქრისტეს ამაღლება. ეს უკანასკნელი ამჟამად აღარ არსებობს.

აღარაა არც დასავლეთ კედელში შიგნიდან ჩაშენებული სტელის ნატეხი, ბოლნური ჯვრითა და ადამიანის ფიგურის გამოსახულებით; ასევე, ამავე კედელში გარედან ჩაშენებული ქვა ბოლნური მედალიონით, რომელიც ჩაჭრილი სამკუთხედებით ყოფილა შევსებული. სამაგიეროდ, 1938 წ. ჩატარებული გამწმენდი სამუშაოების დროს, აღმოჩნდა სვეტის ბაზისი, ან კაპიტელი, რომელიც კუთხეებში შროშანისებრი ყვავილებითაა შემკული (გ. ჩუბინაშვილი 1970: 107).

ზუსტად ასეთივე გეგმის, პროპორციებისა და აბსოლუტური ზომების მქონეა კიდევ ერთი სამეკლესიიანი ბაზილიკის ნანგრევი, ქვემო ბოლნისის აღმოსავლეთით და ხატისოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე, რომელსაც ვახუშტის რუკაზე სოფ. ვანათი ჰქვია (სურ. 5). ქვემო ბოლნისის ეკლესიისაგან მას განასხვავებს შუა ეკლესიის წინ გაზიდული საკურთხევლის აფსიდა, რომელიც ვანათში ხუთწახნაგაა, ქვემო ბოლნისში კი – ნახევარწრიული. აკად. გ. ჩუბინაშვილი ვანათის ეკლესიასაც V–VI სს-სად მიიჩნევს (გ. ჩუბინაშვილი 1970: 115).

ამავე ხანის ორი შესანიშნავი ეკლესიის ნანგრევია მანხუტისხევის (ამჟ. საღსაღანისწყალი) მარცხენა სანაპიროზე, სოფ. სარაჩლოდან სამხრეთით, დაახლ. 2 კმ-ზე. ვახუშტის რუკაზე აქ სოფ. მანხუტია აღნიშნული. ჩანს აქ მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, რაკი ხევსაც მისი სახელი მიუღია, რაც აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“. ორი ეკლესია დაახლ. 100 მ მანძილითაა ერთმანეთს მოშორებული, ერთი გორაკის თხემზე, მეორე კი – ფერდზე. ორივე



სურ. 5. ვანათის ეკლესიის გეგმა

ნაგებია კარგად გათლილი, მოყვითალო ბოლნური ტუფით, რომელსაც მზის სხივი ოქროსფრად ანათებს. ორივეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, მათი არქიტრავის ქვებს ზევიდან ღია თაღი გადასდით. თითო სარკმელი სამხრეთსა და აღმოსავლეთ კედლებშია გაჭრილი, რომლებსაც ზევიდან წარბი ამკობთ.

ზედა ეკლესიას (სურ. 6) ჩრდილოეთიდან სამკვეთლო აქვს მოწყობილი, აფსიდა ნალისებურია. ეკლესიის ლავგარდანი ამოჭრილი



სურ. 6. მანხუტის ზედა ეკლესია

ნახევარწრეების მწკრივითაა შემკული. შესასვლელის მარჯვენა, შიდა ამყოლის ლოდზე, ამოკაწრული ასომთავრული წარწერაა: ⴒ̃ⴍ ⴗⴖⴑⴍ ⴟⴗⵗ̃ⵊ ე. ი. „წმიდაო ეკლესიაო შეიწყალე გიორგი“. ამ წარწერის ზევით, ისევ ასომთავრულით შესრულებული, ამოკაწრული წარწერაა: ⵜⵊ ⴟⴗ ⵊ ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე ი (ვანე?)“. პირველი წარწერის გასწვრივ ისევ რამდენიმე ასოა მიტოვებული წარწერისა: ⴒ̃ⴍ ⵏ̃ⴍ ე. ი. „წმიდაო ღმერთო“... ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ქვაზე დახაზულია სქემა შენობისა, შიგ კი ნუსხურით ამოკაწრული წარწერაა: ⵝⵇⵒⵗⴄ ⵖⵇⵒⵒⴍ ⴍ̃ⵇ ე. ი. „სახელ კახთ თ̃ა“.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ყველაზე ძველი ჩანს I წარწერა, სადაც ასონიშნებს „ე“ს, „ლ-“ს, „გ“-ს ზედა ჰორიზონტალური ხაზი მოკვეცილი აქვთ. უფრო მოგვიანო ჩანს II წარწერა, რომლის „ე“-ს ჰორიზონტალურ ხაზს ორი ვერტიკალური კბილი აქვს. საერთოდ პილიგრიმული გრაფიტების დათარიღება რთულია, მაგრამ აქ შესაძლებელია ვივარაუდოთ VIII–IX და X–XI სს.

ქვედა ეკლესიის (სურ. 7) ნალისებური საკურთხევლის, ასეთივე თაღის მარცხენა მხარე ლამაზ კაპიტელზეა დაყრდნობილი. დასავლეთიდან მასზე გამოსახულია ბოლნური მედალიონი ჩაჭრილი სამკუთხედების ორმაგი სარტყლით. მედალიონის მარჯვნივ სიცოცხლის ხეა. ასეთივე იქნებოდა დაზიანებულ მარცხენა მხარეზეც. კაპიტელის სამხრეთი მხარის ზედა ნაწილში, ჰორიზონტალურად გამწკრივებული ე. წ. „კოვზისებური“ ორნამენტია; რელიეფური ზოლით გამოყოფილ ქვედა



სურ. 7. მანხუტის ქვედა ეკლესია

ნახევარზე კი,ასევე გამწკრივებული სიცოცხლის ხეებია. განსხვავებით ზედასაგან, ქვემო ეკლესია შვერილაფსიდიანია, თუმცა კი ორივე V–VI სს-თა მიჯნითაა დათარიღებული (ნ. ჩუბინაშვილი 1985: 22).

ორი ეკლესიის აშენება მანხუტში, ერთმანეთის სიახლოვეს მანძილითაც და დროითაც, ახსნილია სხვადასხვა სექტების შესაძლებელი არსებობით (ბანძელაძე 1988: 70). არაა გამორიცხული სასოფლო ეკლესიის გვერდით ადგილობრივი ხელისუფლის მიერ საკუთარი სამლოცველოს აღმშენებლობაც. ვახუშტის რუკაზე, მანხუტის მეზობლად აღნიშნული აზნაურის სადგომი რეზიდენცია, ეგების ამის მოწმობად გამოდგეს.

ქვედა ეკლესიის გათხრა-გაწმენდის დროს, რესტავრატორმა იოსებ ბანძელაძემ და ფიზიკოსმა თამაზ კილაძემ 1979 წ. აღმოაჩინეს 10 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი. ისინი ბიზანტიური ჰექსაგრამებია, დაკავშირებული ჰერაკლე კეისრის სახელთან და მოჭრილია 615–632 წწ. ეს განძი ეკლესიაში დამარხულია VII ს-ის 30-იან წლებში,ჰერაკლე კეისრის სპარსეთზე გამარჯვების შემდეგ.

ქართული წყაროები ჰერაკლეს საბრძოლო გამარჯვებათა გარდა, მართლმადიდებლობის სასარგებლოდ სხვადასხვა დამსახურებებსაც მიაწერენ. მას დაუწყია აწყურის დიდი საყდრის მშენებლობა; გარდაბანში „იწყო შენებად ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინვალეს არს ყოველთა ეკლესიათა და წარვიდა ბერდუჯს და...აღმართა ჯუარი ქვისა და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა და აღასრულა გუმბათი მისი“; მას დიდი სისასტიკე გამოუჩენია წარმართების, ცეცხლთაყვანისმცემლების და საერთოდ არამართლმადიდებლების მიმართ; მათი სისხლით მოურწყავს ეკლესიები და მემატიანეთა აზრით, ასე „განწმინდა სჯული ქრისტესი ღმრთისა ჩუენისა“ (ჯუანშერი 1955: 224; სუმბატ დავითის ძე 1955: 375; მოქცევაჲ ქართლისაჲ 1964: 96). როგორც ვხედავთ, საქართველოს იმდროინდელ ბიზანტიასთან კულტურულ-პოლიტიკურის გარდა, ეკონომიკური ურთიერთობებიც მჭიდრო ჰქონია. ნიშანდობლივია ამ მხრივ ისტორიკოს ჯუანშერთან დამოწმებული ფაქტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განძების დაფვლის შესახებ სწორედ ჰერაკლეს ლაშქრობათა დროს და მის შემდგომ პერიოდშიც (ჯუანშერი 1955: 233).

მანხუტის ეკლესიათა წარწერებიცა და განძიც, ისევე როგორც სასაფლაო და გალავანი ქვედა ეკლესიასთან, მეტყველებენ ამ სალოცავთა ფუნქციონირებაზე საუკუნეთა განმავლობაში. შემჩნეულია, რომ VIII ს-ის შემდეგ შვერილაფსიდიანი ეკლესიები ძირითადად რამდენსამე რეგიონში შენდება; როგორც ჩანს, ძირითადად იქ, სადაც შესაბამისი სამშენებლო ტრადიცია ჩამოყალიბდა. ქვემო ქართლში, ამ თვალსაზრისით, გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა ბოლნისის სიონის შვერილაფსიდიანი ტაძრის გამორჩეულ პოპულარობას. ის

ერთგვარ ნიმუშად უნდა ქცეულიყო მომდევნო ხანის ზოგიერთი ხუროთმოძღვრისათვის. ეს კარგად ჩანს ქვემო ბოლნისის, ვანათის, მანხუტის ქვედა ეკლესიისა და თვით დმანისის სიონის ტაძრის მაგალითზედაც (არჯევანიძე: 22–23).

კიდევ ერთი, ადრეული ხანის ეკლესიის ნანგრევია ფოლადაურის მარცხენა შემდინარე რკინისწყლის (დემირ-სუ) სათავეებში (სურ. 8). ხევის მარცხნივ დიდი ნასოფლარია, რომლის დასავლეთ ნაპირზე მოზრდილი, დარბაზული ტიპის, ერთნავიანი, სახურავჩაქცეული ეკლესია დგას. გვიანი გადაკეთების კვალი კედლების წყობას ეტყობა. მათ ქვაკუთხედებად სტელების ნატეხებია ჩატანებული აღმოსავლეთ მხარეს, კედლების ქვედა რიგები კარგად დამუშავებული მოყვითალო ქვებისაა. ასეთივე ქვები ბოლნური ჯვრებით კედლებში სხვადასხვა ადგილასაა ჩაშენებული და ნანგრევებშიაც ყრია. აფსიდა ნალისებურია, ხოლო მისი თაღი ორნამენტირებული ქვებითაა გადაყვანილი: თითოეულ ქვაზე ორხაზიანი რკალებია, რომლებიც ერთი მოტივის უსასრულო მწკრივს ქმნიან. კედლებში სწორად გაჭრილი, მაღალი სარკმლები გადაკეთებისას შეუვიწროვებიათ. შერჩენილიცა და ჩამოვარდნილი ლავგარდანის ქვები ამოჭრილი ნახევარწრეებითაა დამუშავებული. მთავარ ნავს მოგვიანო ხანის სამხრეთი და დასავლეთი მინაშენები აქვს. ეკლესიას ახლა „სურბ სარგისს“ უწოდებენ.

ადრეულ ეკლესიათა ზემოხსენებულ ჯგუფს შეიძლება დაემატოს




სურ. 8. ეკლესია რკინისწყლის ხევში

შულავრისხევის მარცხნივ, სოფ. შულავრის ვენახებში შემორჩენილი ნანგრევი. ეს მცირე, ერთნავიანი შენობაა 4მX1,5მ ფართობით. კედლები გარედან გათლილი ქვების ლამაზი წყობითაა ნაგები. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია, რომლის ამყოლს სიმაღლეზე ტეხილი ხაზი ამკობს. საკურთხეველში ამოსულ კაკლის ხეს აფსიდა ორად გაუპია და სარკმელიც შეუწირავს. შენობის დასავლეთი კედლის გარეთ, მოზრდილი კუბური კვარცხლბეკი დგას, რომლის ზომებია 1,2მX0,9მ. ამაში, ალბათ, ასევე, დიდი ქვაჯვარი, ან სტელა იდგა...

ბოლნისის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის („ჭევი“) პირველი წერილობითი დადასტურება „სომხურ გეოგრაფიაში“ გვხვდება („აშხარაცუიც“). მისი მონაცემები საქართველოს შესახებ IV-V სს-ს უნდა ეკუთვნოდეს (დ. მუსხელიშვილი 1977: 170), რაც უძველესი ცნობაა ამ ერთეულის შესახებაც. ბოლნისისხევი „სომხურ გეოგრაფიაში“ დასახელებულია „ბოლნოფორ“-ად (Բողնոփոր); ის ქართული სახელწოდების სრული შესატყვისი სომხური თარგმანია და მოქცეულია ქვეშისხევისა და წოფისხევის ერთეულებს შორის (ერემიანი 1963: 104). აქედან კარგად ჩანს, რომ ბოლნისია ის ცენტრი, მთელ ხეობაზე რომ ავრცელებს თავის სახელწოდებას. ბოლნისისხევში უნდა ვიგულისხმოთ შულავრისხევის ქვემო და შუაწელი, მანხუტის, ტალავრისა და ფოლადაურის ხევები. ტაშირისაკენ საკუთარ გასასვლელს მოკლებული ეს ხევები, ფოლადაურის ხეობითა და მგლის კარის უღელტეხილით სარგებლობდნენ; მათ ერთი ჰქონდათ მთა-საძოვარი და ამ მთაში მიმავალი „ცხვრის გზაც“. ასეთი პირობები, ცხადია, ხელს შეუწყობდა ამ ხევთა გაერთიანებას ბოლნისისხევის ერთეულში. შულავრისხევის ქართულ სოფ. სიონში შემორჩენილია გადმოცემა, რომლის მიხედვით, სიონის ეკლესია ბოლნისის სიონის ტოტი, მისი შტოა. იქაც იმავე დღეებში იხდიან დღეობას, როგორც ბოლნისის ქართველებით დასახლებულ ხატისოფელში (ამ სოფელს ბოლნისისაგან არ ასხვავებენ). გადმოცემას შესაძლოა რეალური საფუძველი ჰქონდეს.

„სომხურ გეოგრაფიაში“ ქვემო ქართლის ხევები სომხური დაბოლოებითაა მოხსენიებული: ქვეშაფორ, ბოლნოფორ, წოფოფორ და ა.შ. ამ ხევების „ფორ“-ებად დასახელება, განპირობებულია ავტორისეული შეხედულებით – წარსულში ამ მხარის სომხეთისადმი პოლიტიკურ კუთვნილებაზე. მას მიაჩნდა, რომ ეს ხევები ქართველებმა სომხებს „წაართვეს“...

მოგვითხრობს რა VIII ს-ის ამბებს არჩილ მეფის დროს ჯუანშერი წერს: „მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი... სახელით ადარნასე... შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს და მუნ დაშთომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკჳდრი შენი მომეც ქუეყანა“ და მისცა შულავერი და არტანი“ (ჯუანშერი 1955: 243). ქართლის ცხოვრების

ძველ სომხურ თარგმანში კი, ადარნასესათვის მიცემულ ადგილებად დასახელებულია „რიშა, შულავერი და ატონე“ (ი. აბულაძე 1953: 199).

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ქვემო ქართლის შულავერი „სომხურ გეოგრაფიაში“ ცალკე ერთეულად არ იხსენიება და ის ბოლნისისხევში უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. აკად. ნ. ბერძენიშვილიც ფიქრობდა, რომ ნაკლებ მოსალოდნელია არტანიდან ასე დაშორებულ ქვემო ქართლის პუნქტზე ყოფილიყო საუბარი. მისი აზრით, ჯუანშერთან იგულისხმება არტანის მახლობლად, ერუშეთის მთიდან გამომდინარე, მტკვრის მარცხენა შენაკადი შულავრისხევი, რომელიც იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ და რუკაზედაცაა აღნიშნული (დ. ბერძენიშვილი 1964: 21).

გ. აბრამიშვილმა უპირატესობა მიანიჭა ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის ცნობას და ჩათვალა, რომ ადარნასემ მიიღო რუსთავი კუხეთისა (რიშა), შულავერი ქვემო ქართლისა და ატენი შიდა ქართლისა (აბრამიშვილი 1977: 53–56). კ. თუმანოვი კი დაასკვნიდა, რომ ადარნასეს მიუღია ერუშეთი (რიშა), შულავერი (ერუშეთის მახლობლად) და არტანი – ყველა მტკვრის ზემო დინებაზე (თუმანოვი 1963: 35). ამრიგად, ჯუანშერთან მოხსენიებული შულავერი ხელს ვერ შეუშლის ბოლნისისხევის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ზემოხსენებულ ფარგლებში წარმოდგენას.

* * *

VIII–IX სს-ში ბოლნისის სიონის მახლობლად „ლამაზ გორაზე“ არსებული ეკლესია სამონასტრო ანსამბლად ჩამოყალიბდა, რომელიც ბოლნისის სიონს ექვემდებარებოდა. სამეურნეო ხასიათის ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, ეს მონასტერი იკმაყოფილებდა შინაური საშუალებებით; მას ჰქონდა სამზარეულო, მარანი, ხაროები, სამჭედლო (ამირანაშვილი 1968: 55, 60). იქვე აღმოჩენილი მინის წიდა და მინის ნადუღი ნაწარმი ადასტურებს მონასტერში მინის საწარმოს არსებობას; იგი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. ასევე ყოფილა გუდარეხის სამონასტრო კომპლექსშიც (ჩხატარაშვილი 1982: 135–136).

ბოლნისის სიონში გათხრების დროს აღმოჩენილია ბრტყელი ქვა, რომლის ერთ მხარეს რელიეფით გამოყვანილია მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი. მის ქვეშ ამოკაწრული, ასომთავრული წარწერაა – ეპიტაფია იოანე ბოლნელი ეპისკოპოსისა. მეორე მხარეს კი, ასეთივე წარწერაა ვინმე შუშანიკისი. ქვის აღმომჩენი ლ. მუსხელიშვილი მიიჩნევდა, რომ ჯვარი უფრო ძველია, ვიდრე იოანე ბოლნელის ეპიტაფია, რომელსაც ის X ს-ით ათარიღებდა. მისი აზრით, შუშანიკის წარწერა XI ს-სა უნდა ყოფილიყო (ლ. მუსხელიშვილი


ბოლნისხევი ადრეულ შუა საუკუნეებში
ქვეშისხევი
ბოლნისი
ბუნუკუნი
ლოქი
ოფრეთი
ციხექალაქი
ციხე
მონასტერი
კათედრალი
სოფელი ეკლესიით
გზა
უღელტეხილი
გალავანი

1938: 338–339).

ნ. შოშიაშვილმა ორივე წარწერა IX ს-ს მიაკუთვნა (შოშიაშვილი 1980: 153–154); უკანასკნელ ხანს მათ ვალ. სილოგავაც შეეხო; მისი აზრით, პირველად შესრულდა შუშანიკის წარწერა: „ესე ჯუარი შუშანიკისი“. ის მიემართება მეორე მხარეს მოთავსებულ ბოლნურ მედალიონს და ორივე VIII–IX სს-საა. მაშასადამე, ეს ფილა ვერტიკალურად მდგარა ვინმე შუშანიკის საფლავზე. IX ს-ში ეს ქვა ხელმეორედ გამოუყენებიათ საფლავზე დასადებად; ჯვრის ქვემოთ ამოუკვეთიათ წარწერა,როგორც ჩანს,შუშანიკის „თჳსის“ იოვანე ბოლნელის ეპიტაფიით: „ესე საფლავნი იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისანი და ვინ სხუაჲ დაეფლას ამასცა, ნუ ეგების“. მისივე სიტყვით, ამ დროს ფილა დაგებული იქნებოდა საფლავზე, და არა აღმართული, რადგან მაშინ გამოჩნდებოდა ზურგის წარწერაც შუშანიკისა. აქედან გამომდინარე, ავტორი ვარაუდობს, რომ დაახლ. IX ს-დან მაინც, ძველი ტრადიციისაგან განსხვავებით, ქვის ფილები საფლავებზე დაგებული ყოფილა ჰორიზონტალურად და ეს წესი შემდგომში საყოველთაოდ გავრცელებულა (დ. მუსხელიშვილი 1980: 239, 241, 242).

მოტანილ მსჯელობაში დაუსაბუთებელი ჩანს იოანე ბოლნელის გამოცხადება შუშანიკის „თჳს“-ად. ისიც აუხსნელია: თუ შუშანიკის წარწერა ბოლნური ჯვრის თანადროულია, რატომ ჯვრისავე მხარეს არ ამოკვეთეს იგი, როგორც ეს მიღებული იყო (შდრ. ბარნაბას წარწერა). სწორედ ჯვართან ამოკვეთის გამო მიაჩნდა ლ. მუსხელიშვილს ბოლნელის წარწერა უფრო ადრეულად, ვიდრე შუშანიკისა. რაც შეეხება გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში სამარხთა აღმნიშვნელი, მაგრამ ფილების შვეულად დაყენების წესს, ეს ადრეც იყო შენიშნული, მაგრამ IX საუკუნე ამ წესის შეცვლის თარიღად არ აღნიშნულა (ამირანაშვილი 1968: 36–37).

ბოლნისის სიონის სამხრეთი შესასვლელის წირთხლის ქვაზე შერჩენილია ელია ბოლნელის საყურადღებო წარწერა X ს-სა. წარწერის ბოლო წანაკითხი ასეთია: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, წმიდისა გრიგოლისითა მე, გლახაკმან (!) ელია ბოლნელმ მღვდელ-თმოძღურად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისსა. და ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულიყო კჳრასძალთა. მე დავდევ და ზედაშე ღამისმთეველთათჳს საგალობელად ღმრთისა.

ადიდენ ღმერთმან დავით მამფალი და შვილნი მათნი და აბულ მამფალი.

და აწ ვინ შემდგომად ჩემსა ესე ღამისთევაჲ და ზედაშჱ ამის ეკლესიისაგან ფიჩოსანთა შეუცვალოს, შეჩუენებულმცა არს ღმრთისაგან და ამის საყდრისაგან. ვინ ესე აღჴოცოს კანონსა ქუეშემცა არს“. ავტორის აზრით, ელია ბოლნელ მღვდელთმოძღვარს ღამისთევა დაუწესებია შაბათობით („კჳირასძალს“), ხოლო ზედაშე

(„შესაწირავი ღვინო“) ღამისმთეველთათვის (სილოგავა 1994: 17).

იმავე კარის მარცხენა და მარჯვენა ამყოლზე, ისეთივე ხელით ამოკოდვილი ყოფილა წარწერა, რომლის მხოლოდ მარცხენა მხარეს ირჩეოდა ასოები. ეს წარწერა პირველად გამოსცა მ. ბროსემ, დიუბუა დე მონპერეს მიერ გადაღებული გრაფიკული მონახაზის მიხედვით. ეს მონახაზი გამოაქვეყნა ნ. შოშიაშვილმა. პალეოგრაფიული და შინაარსობრივი მსგავსების გამო, მანვე ამ წარწერაშიც ელია ბოლნელი ივარაუდა და წარწერა ასე აღადგინა: „სახელითა ღმრთისაჲთა, შეწევნითა წმიდისა გიორგისა, დავდევ მე, ელდა ცოდვილმან... კჳრასა ღამისთევაჲ“ (შოშიაშვილი 1980: 251).

კიდევ ერთი X ს-ის წარწერა აღმოჩნდა ბოლნისის სიონში 1937წ. სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარებისას. გათლილ ფილაქანზე ორნამენტული ჩარჩოა, რომლის შიგნით, ფილის ზედა ნახევარზე, ამოღარული ასომთავრული წარწერაა. ლ. მუსხელიშვილმა ეს წარწერა ეპიტაფიად ჩათვალა და იქ მოხსენიებული ბოლნელი იოანედ ივარაუდა (ლ. მუსხელიშვილი 1938: 342). ნ. შოშიაშვილმა ამავე წარწერაში ბოლნელად თევდორე აღადგინა (შოშიაშვილი 1980: 253). ვალ. სილოგავამ კი, აქაც ელია ბოლნელი ივარაუდა და წარწერა შემდეგნაირად აღადგინა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მადლითა წმიდისა გრიგოლისითა, მე, ბოლნელმან ელია გურგენ ერისთავთა ერისთავსა დაუდევ აღაპისა დღე ხარებაჲ, სალოცველად სულისა მათისათჳს; ღმერთმან შეიწყალე“. ე. ი. წარწერაში გურგენ ერისთავთა ერისთავისათვის აღაპის დაწესებაზე, და მისი სულის შეწყალებაზეა საუბარიო. ასეთ შემთხვევაში წარწერა 941 წლით დათარიღდება (სილოგავა 1994: 19).

ლ. მუსხელიშვილის ვარაუდი, რომ ეს ქვა საფლავისა იყო, ემყარებოდა მის ფორმასა და წარწერის მოჩარჩოებას, აგრეთვე იმას, რომ ქვა იატაკზე იყო დაგებული. საფლავის ქვად მისი აღიარება საეჭვოდ სცნო დ. მუსხელიშვილმა (1980: 193) და ნ. შოშიაშვილმა, რომელმაც წარწერაში დაინახა „წმიდა საყოფელის აღშენება“ (1980: 253). როგორც ვნახეთ, ვალ. სილოგავაც აღაპის დაწესებას ვარაუდობს და გამორიცხავს საფლავის ქვად მის გამოყენებას. თუ ეს მოჩარჩოებული წარწერიანი ფილა თავიდან კედელში იყო ჩასმული, მაშინ დაგვრჩენია ვივარაუდოთ,რომ ის გვიან მოხვდა ტაძრის იატაკში. როგორც არ უნდა იყოს, ამ წარწერაში დანამდვილებით იკითხება გურგენ ერისთავთ-ერისთავი და ბოლნელი სახელის გარეშე.

სამხრეთი ფასადის პირველ წარწერაში მოხსენიებული „დავით მამფალი და შვილნი მათნი და აბულ მამფალი“ სხვა წყაროებით უცნობი პირებია: შესაძლოა ისინი ძმები იყვნენ, რომელთაგან უფროსი დავითი იქნებოდა. X ს-ში ცნობილია კიდევ ერთი დავით მამფალი, ძე სუმბატ არტანუჯელისა, მაგრამ ძნელია მისი გაიგივება ბოლნისის წარწერის დავითთან: ის დავითი არტანუჯელი იყო „მონაზონქმნილი“

და ჰყავდა ძმა – ბაგრატ მამფალი არტანუჯელი (მატიანე ქართლისა 1955: 251–260). ბოლნისის სიონის წარწერაში დავით და აბულ მამფლების დიდებით მოხსენიება მღვდელმთავარ ელია ბოლნელის მიერ, ცხადია მიუთითებს, რომ ეს მამფლები ბოლნისისა და მისი ქვეყნის პატრონები არიან.

ასევე ბოლნისისხევის მფლობელად შეიძლება ვიგულისხმოთ გურგენ ერისთავთ-ერისთავი, უსახელო ბოლნელთან ერთად რომ იხსენიება ბოლო წარწერაში. ეს უნდა იყოს გურგენ დიდი, ძე ადარნასე II-ისა, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, რომელმაც „უმეტესნი სიმხნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი“. იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, მას კვირიკიანთა საჯდომი ციხე-ქალაქი სამშვილდეც კი უგდია ხელთ, თუმცა ვეღარ შეუნარჩუნებია (დ. ბერძენიშვილი 1962: 103).

დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი ფლობდა მთელ გვიანდელ ზემო ქართლს ტაოს გამოკლებით, კლარჯეთიდან ქვემო ქართლამდე და სომხეთიდან „აფხაზეთის“ სამეფომდე. მისი უაღრესად აქტიური პოლიტიკა სომხეთის მიმართ, გამოიხატებოდა მიტაცებული ქართული მიწების შემომტკიცების მცდელობით (დ. მუსხელიშვილი 1980: 143). ყველაფრიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მესვეურები იძულებულნი გამხდარან შეგუებოდნენ ქართველ მამფლებს ბოლნისსა და ტაშირში, სამშვილდესთან ქობულ ხევისუფლისა და გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის პრეტენზიებს (დ. ბერძენიშვილი 1979: 72).

ფოლადაურის შუაწელზე, მის მარჯვენა სანაპიროზე მყოფ ნასოფლართან, რომელიც კირაკოზას სოფელი უნდა იყოს, გვიანი ხანის დარბაზული ეკლესიაა. ამ ადგილს ახლა „ფორთ-ფორთ“-ს უწოდებენ. ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, რომლის ბალავრის ქვაზე სომხური წარწერაა 1534 წლისა. იქ ეკლესიის განახლებაზეა საუბარი. კარის ზევით, მარცხენა და მარჯვენა მხარეზე ორი ქვაა ჩასმული. მათზე რელიეფური ასომთავრულით შესრულებული ქართული წარწერაა, სტრიქონები რელიეფურივე ხაზებითაა გამოყოფილი. პირველი ქვის შვიდი სტრიქონი მეორე ქვაზე გრძელდება და იქვე სრულდება ექვს სტრიქონად. წარწერა პირველად გამოაქვეყნა დ. მუსხელიშვილმა, სავარაუდოდ IX ს-ით დაათარიღა, თუმცა იქვე შენიშნა ქორონიკონის აღმნიშვნელი ასოების საეჭვო წაკითხვა (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 48). ბოლო გამოცემა ვალ. სილოგავას ეკუთვნის, რომლის მიხედვით, წარწერა 1080 წლისა გამოდის: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, ღირს ვიქმენით ჩუენ, ... დისწულნი, აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა გიორგისა, სალოცველად სულისა ჩვენისა და შვილთათჳს და მშობელთა ჩუენთა სალოცველად. აქა ეკლესიაჲ



სურ. 9. ბერდიკის ციხე

არა ყოფილიყო ქვითკირისა.

ქორონიკონი იყო ტ.

დაიწერა გლახაკისა მახარებლისა ჴელითა და ლოცვა ყავთ“ (სილოგავა 2000: 244). როგორც ვხედავთ, ეკლესიის აღმშენებელნი ვიღაცის დისწულნი ყოფილან,რომელთა სახელები გლახაკ მახარებელს წარწერაში არ მოუხსენიებია. შეიძლება ვიფიქროთ, ნაკლული ან ამოტეხილი ასონიშნები სახელს, ან წოდებას გვამცნობდნენ მაღალი საეკლესიო პიროვნებისას (ბოლნელი?), რომელსაც შვილები არ ჰყოლია და ქვითკირის ეკლესიის აგება მის დისწულებს უკისრიათ, ალბათ ხის შენობის სანაცვლოდ „აეშართა ქუვიტკირი წმიდისა გიორგისი“-ო, იკითხება ჯრუჭის ეკლესიის X ს-ის წარწერაში (ბოჭორიძე 1995: 223), სადაც ეს სიტყვა ეკლესიის შენობას გულისხმობს.

XI–XII სს-ში უნდა იყოს აგებული ზემოხსენებული სოფლის მახლობლად მდებარე ციხე, რომელსაც იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ციხე ბერდიკისა მაღალს კლდესა ზედა ფრიად მაგარი“ (ვახუშტი 1941: 37). ციხეზე ორი მომრგვალებული კოშკია შერჩენილი და გალავანი მრგვალი ბურჯებით (სურ. 9, 10).

კედლები ნაგებია ნაგლეჯი ქვით ბათქაშზე, შეინიშნება გვიანი შეკეთების კვალიც. კოშკებიდან ერთი ოთხსართულიანია, სამზერსათოფურებით. კოშკებს შორის მიწაში ჩადგმული შენობაა თაღური გადახურვით, რომელსაც ლასტის ანაბეჭდი ატყვია. გალავნის შიგნით შეინიშნება სათავსების ნაშთები. ციხეზე მოძიებული მოჭიქული კერამიკის ნატეხები უნდა ადასტურებდეს ჩვენს ვარაუდს ციხის აგების თარიღზე. ბერდიკის ციხემ, როგორც ჩანს, შეცვალა მახლობლად მყოფი სამწვერისის ადრეული ციხე. იგი ფოლადაურის

ხეობის გაშლილი დაბლობიდან ვიწროებში შესასვლელს კეტავს და მდებარეობით ძალზე წააგავს ხოჟორნის დაახლოებით ამავე ხანებში აშენებულ ციხეს (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 39). ამ ციხის პატრონი ერთდროულად აკონტროლებდა ხეობის მთასა და ბარს. ის შეიძლება კირაკოზას სოფლის ეკლესიის მაშენებელიც ყოფილიყო, ან წულრუღაშენის მემამულე ჰასან არსენის ძე.

ფოლადაურის მარცხენა შემდინარე ლოქისწყლის (ლოკ-სუ) მარცხენა სანაპიროზე, ჩათახიდან დაახლ. 6 კმ-ზე, არის ნასოფლარი და ეკლესია, რომელსაც „ორთა-ფოშთს“ უწოდებენ. ადგილობრივთა განმარტებით, ეს თითქოს უნდა აღნიშნავდეს საფოსტო გზის შუა ადგილს; თურქულად „ორთა“ მართლაც „შუას“ ნიშნავს.

ეკლესია დარბაზული ტიპის მოზრდილი, ერთნავიანი შენობაა, უმეტესად ტუფის ქვით ნაგები. მას სამხრეთიდან და დასავლეთიდან კარიბჭეები აქვს მიშენებული (სურ. 11). კარები, ამყოლები, თაღები განსხვავებული ქვისაა. შიგნიდან ეკლესია შელესილია, ემჩნევა მოხატულობის კვალი. კარიბჭეები ხანძრის გამო შებოლილია. ასომთავრული წარწერა სამხრეთი კარის ბალავრის ქვასა და ამყოლებზეა. ის რამდენჯერმეა გამოქვეყნებული. ბოლო წაკითხვა ვალ. სილოგავას ეკუთვნის: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, მე, ფადლის ძემან ელმელიქ აღვაშენე ეკლესიაჲ ესე და მონასტერი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, სადიდებლად მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, სამკუიდრებელად და სალოცველად სულისა ჩემისა და დოფისა, და მშობელთა და შვილთა ჩემთა მზეგრძელობისათუის, და ყოველთა მომავალთა ჩემთათუის, ძუელსავე და მკუიდრსა მამულსა ჩემსა შინა და შევსწირე და მოვაჴსენე მონასტერსა ამას ანდიკაჲ, მისითა მზღვრითა, ნაკალოებისა



სურ. 10. ბერდიკის ციხის გეგმა



სურ. 11. ანდიკის ეკლესიის გეგმა და ჭრილი

წყლისა აქაჲთ, ზემოჲთა, რომელ გზაჲ გაჰვალს და ჩაღმა წყლისა მისსა ნაკალოებნი მიწაჲ. ვინცა ჩემი ესე შეწირული, ანუ რამანცა კაცმან შეცვალოს – შემცაიცვალების სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა და იუდაჲსა თანა არს ნაწილი მისი; დამამტკიცებელნი ამისი დაამტკიცოს ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან“.

იმავე კარის მარცხენა ამყოლზე: „ქ. აშენდა ესასი ესე მეფეთმეფობასა თამარისსა ინდიქტიონსა ე .“ ე. ი. 1189 წ.

კარის მარჯვენა ამყოლის მეზობელ ქვაზე იმავე ხელით ამოკვეთილია: „ქრისტე შეიწყალე სულითა თჳსლეს მკუიდრნი“ (სილოგავა 1990: 101–108).

სხვა წყაროებით უცნობი ეს ფეოდალი XII–XIII სს-ის ერთი ხელნაწერის ანდერძში უნდა იხსენიებოდეს: „უფალო ღმერთო მეოხ ექმენ ელმელიქს და დოფსა და მათთა ძეთა გიორგის, დადუნასა“.

აკად. მ. ბროსემ, რომელმაც ამ წარწერის მხოლოდ დასაწყისი ნაწყვეტი გამოაქვეყნა, აღნიშნა, რომ ეს ელმელიქი უცნობია, ფადლი კი ხშირია ბენი შედადის ჩამომავალთა შორის. მისი აზრით, ეს ორი მუსლიმანური სახელი შედადიანთა დინასტიაშია საძებნი და მიუთითა სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ისტორიაზე, სადაც ფადლონის უმცროსი ძმა ქრისტიანადაა მოხსენიებული.

შედადიანთა დინასტიის წარმომადგენელთა შორის, ფადლი ხუთჯერ იხსენიება, უცნობია ელმელიქი (ბოსვორტი 1971: 132). ვარდან დიდის მიხედვით, ანის აღების მერე, ჯერ დავით აღმაშენებელმა გადმოასახლა საქართველოში იქაურ შედადიანთა წარმომადგენლები, შემდგომ ასევე მოიქცა გიორგი III-ც. არაა გამორიცხული მათი შთამომავალი იყოს ფადლის ძე ელმელიქი, გაქრისტიანებული და გაქართველებული (დ. ბერძენიშვილი 1964: 35–36), რომელიც თავის „ძუელსავე და მკუიდრსა

მამულსა შინა“ აშენებს მონასტერს.

დოფი-დოფაჲ ჰრქმევია თამარ დედოფლის გამზრდელს, რომელიც იხსენიება ათონის მონასტრის ერთ აღაპში: „ამასვე დღესა აღაპი დოფაჲსი, თამარ დედოფლის გამზრდელისაჲ. ამან კურთხეულმან დედაკაცმან დიდსა გაჭირებასა და უღონოებასა ასი დუკატი შემოსწირა ამას მონასტერსა“ (კეკელიძე 1945: 235). ვალ. სილოგავას მიაჩნია,რომ ეს დოფი და იმავე მონასტრის სხვა აღაპში დამოწმებული ოფიდოფი ერთი და იგივე პიროვნებაა, ცოლი ფადლის ძე ელმელიქისა (სილოგავა 1990: 101–108); მაგრამ ელ. მეტრეველმა აჩვენა, რომ ოფიდოფი სამოხელეო ტერმინია, აღნიშნავს მოხელეს, რომელიც კრებს გადასახადებს, აწარმოებს აღრიცხვას; ამიტომ ის სხვაა და თამარ დედოფლის აღმზრდელი დოფი – სხვა პიროვნება (მეტრეველი 1998: 245). ამას გარდა არ გვაქვს საკმარისი საფუძველი თამარ დედოფლის აღმზრდელი დოფი, უსათუოდ ელმელიქის ცოლად ჩავთვალოთ; არც ისაა აუცილებელი ელმელიქს თავისი მონასტრისათვის შეეწირა ხელნაწერი, რომლის მინაწერში ის თავისი ოჯახით იხსენიება (სილოგავა 1990: 101–108).

წარწერაში უდავოა ის, რომ „ელმელიქი თავის მონასტერს სწირავს სოფელ „ანდიკას მისითა მზღვრითა“, რომლის ერთ ნაწილს „ნაკალოებნი მიწა“ უნდა რქმეოდა და ეს ანდიკაჲ ის ნასოფლარია, სადაც ეკლესიაა შემორჩენილი.

საინტერესოა, რომ 1695 წ. ერთი საბუთის მიხედვით, სომხითის მელიქმა ავთანდილმა ქაიხოსრო ორბელიშვილს მიჰყიდა ნასოფლარი ანდიკა მისის მთით, ბარით, მიწა-წყალ-წისქვილით, სასოფლოთა და მონასტრითა (ცსა, ფ. 1448, დავთ. 15, საბ. № 95). ცხადია, ეს ზემოხსენებულ სოფელსა და მონასტერს გულისხმობს. ვახუშტი ბატონიშვილი ამ სახელწოდების მქონე სოფელს ბალიჭის ხეობაში ასახელებს, რაც, უნდა ვიფიქროთ, შეცდომაა (ვახუშტი 1941: 192).

წარწერაში ნახსენები „აშენდა ესასი ესე“, აკ. შანიძის განმარტებით ქრისტიანული ტაძრის არაბული სახელია და ნიშნავს „შენებულებას“ (შანიძე 1942: 8).

შესაძლოა ფადლის ძე ელმელიქისავე იყო ციხე, რომლის ნანგრევები ანდიკის მონასტრის სამხრეთით მყოფ ქედზეა შემორჩენილი (სურ. 12). ეს ქედი ლოქის წყლისა და მისი მარჯვენა შენაკადის ხერთვისშია. ქედის თხემი კლდოვანი მოედანია დაახლ. 50მX25მ, მოზღუდული კირზე ნაგები, 2 მ სისქის კედლით. კედლის სიმაღლე ზოგან 3-4 მ-ია, გამაგრებულია წინგამოსული ნახევარწრიული ბურჯებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გარედან მომრგვალებული ბურჯი, შიგნიდან ოთხკუთხა კოშკია. გალავნის შიგნით შეიმჩნევა ნაგებობათა ბუდეები. კედლის წყობაში ჩანს მშენებლობის ორი პერიოდი, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ხანას არ გადმოსცდება. ეს ციხე მნიშვნელოვანი საყრდენი იქნებოდა ანდიკელი ფეოდალისა,



სურ. 12. ციხე ანდიკის მახლობლად

რომელიც ლოქის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზას ეფექტურად გააკონტროლებდა ციხის მეშვეობით. ჩათახის დღევანდელი მოსახლეობა ამ ქედს „ნიკოდაღ“-ს, ე. ი. ნიკოს მთას უწოდებს, თუმცა ამ უკანასკნელის ვინაობა უცნობია მისთვის.

საინტერესოა, რომ XIII ს-ის ბოლოს და XIV ს-ის I მეოთხედში ჩანს ვინმე ელმელიქის ძე სვიმონ, რომელიც აღდგომის მოძღვარი და დეკანოზი, შემდგომში ჯვარის მამა ყოფილა (მეტრეველი 1962: 136–138, 142). უცნობია, არის თუ არა რაიმე კავშირი ზემოხსენებულ ელმელიქებს შორის.

ციხის შემდეგ ნიკოდაღის ქედს სამხრეთ-დასავლეთისაკენ გზა მიუყვება. დაახლ. მეოთხე კმ-ზე, ქედის დადაბლებულ უნაგირა მინდორში, რომელსაც „ფაფახჩი თალას“ ეტყვიან, შემორჩენილია მოზრდილი, დარბაზული, ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი. მას სახურავი ჩაქცეული აქვს, ხოლო ჩრდილოეთი კედლის პერანგი – მთლად შემოცლილი. კედლები ნაგებია კარგად დამუშავებული, მოყვითალო ქვის ჰორიზონტალური წყობით გარედანაც და შიგნიდანაც. დარბაზის ზომებია დაახლ. 10მX5მ. ნახევარწრიული საკურთხევლის სარკმელი საკმაოდ დაბლაა, ისევე როგორც სამხრეთისა – შესასვლელის სიმაღლეზე. დასავლეთი კედლის სარკმელი გაცილებით მაღლაა. აფსიდას ორი კვადრატული ნიშა აქვს; გრძივი კედლები თითო პილასტრით ორადაა გაყოფილი. კედლებისა და საკურთხევლის თაღების საყრდენებად პროფილირებული კაპიტელებია. ეკლესია შელესილი ყოფილა და მოხატულიც. საკურთხევლის მარცხენა მხარეს კარგად ჩანს სამი ფიგურისათვის გამოყოფილი ადგილი. ალბათ მოციქულებისა. არავითარი მორთულობა, ან ჩუქურთმის კვალი

არსად ჩანს. შესაძლოა იგი გამოწვეული იყოს ქვის შლადი თვისებით, რომელზედაც ძნელი იყო ჩუქურთმის ამოჭრა. ეს კარგად ეტყობა ბალავრის ქვას,სამხრეთ შესასვლელს რომ გადახურავს. აქ არსებული ასომთავრული წარწერიდან ბოლო სტრიქონების რამდენიმე ასონიშანი ირჩევა: 1. ...ⴀⴋⴑ ⴆⴀⵁ... 2. ...ⵖⴆⴃⴗⴊ(?) 3. ...ⵝⴔⴐ(?) ... ქვა მარილივით იფშვნება, რამაც წარწერა შეიწირა. ეკლესია შეიძლება XII–XIII საუკუნეებისა იყოს. ეკლესიის დასავლეთით დიდი სასაფლაოა, საფლავის ქვებად – მოზრდილი, დაუმუშავებელი ლოდები.

ფოლადაურის ხეობის სათავეებში, მის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ახ-ქერფის მახლობლად მდებარეობს ჰუჯაბის (ხუჯაბის) სამონასტრო კომპლექსი. ვახუშტი ბატონიშვილი მოკლედ აღნიშნავს: „...არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს“. სამონასტრო კომპლექსს გალავანი ჰქონია, რომლის შიგნით ორი ეკლესია და სხვადასხვა ნაგებობათა კვალი ჩანს. გალავნის შესასვლელთან დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევია, საშუალო ზომის თანაბარი ლოდების ჰორიზონტალური წყობით ნაგები. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, ეს მცირე ნაგებობა ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს. გუმბათიანი ეკლესია ნაგებია გათლილი ქვის ლოდებით, გამოყენებულია აგურიც. სარკმლები და გუმბათის ყელი უხვად ყოფილა შემკული ქართული წნული ჩუქურთმით. ასეთივე ორნამენტითაა შევსებული მოზრდილი ჯვარი სარკმელთან. შიგნიდან ეკლესიას მოხატულობის კვალი შერჩენია. ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები ამ ნაგებობას XIII ს-ის I ნახევარს მიაკუთვნებენ. მონასტრის სიახლოვეს, ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროს ორი ხევის შესაყარში ნასოფლარია შემორჩენილი, საკუთარი ეკლესიის ნანგრევით. ეს უნდა იყოს ჰუჯაბის ნასოფლარი. მონასტრის დაარსება მგლის კარის უღელტეხილზე მიმავალი გზის ნაპირას, ისევ ამ გზის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს, რომელიც ძველთაგან მოქმედია (დ. ბერძენიშვილი 1988: 5–6).

კიდევ ერთი, ამავე ეპოქის გუმბათიანი ტაძარია ბოლნისის სიონს გაღმა, ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროს ფერდზე. ამჟამად მას წუღრუღაშენს უწოდებენ, მაგრამ როგორც წარწერა გვამცნობს, ადრე მას გუნბადი რქმევია. ეკლესიას გალავანი ჰქონია, რომლის დასავლეთი შესასვლელი ძველი ქვების შემცველია: სტელების მაღალი ლოდები, ქვა ბოლნური მედალიონით. ტაძარი შემკულია მდიდრული ჩუქურთმით, განსაკუთრებით კი აზიდული გუმბათის ყელი. ეკლესიას ორი სააღმშენებლო წარწერა ჰქონდა დაახლოებით ერთნაირი შინაარსისა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა წმიდისა გიორგის ხუთშაბათის ჯუარისაჲთა, მეფობასა შინა დიდისა გიორგი მეფეთა მეფისასა, მიწამან მეფობისა მათისამან, არსენის ძემან ჰასან, დავიწყე შენებაჲ ტაძარსა გუნბადს, მამულსა ჩემსა, უწყებითა და გამოცხადე-

ბითა ამისვე მთავარმოწამისა მიერ, სადიდებელად ღმრთისა“.

სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე არსებული, მეორე ასომთავრული წარწერა ამჟამად ძლიერაა დაზიანებული. ადრე ის უკეთ ჩანდა და იკითხებოდა: „ქ. შეწევნითა ღმრთისაჲთა და წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა წმიდისა გიორგის ხუთშაბათის ჯუარისაჲთა, მეფობასა შინა დიდისა გიორგისსა, მიწამან მეფობისა მათისამან, არსენის ძემან ჰასან, დავიწყე შენებაჲ ტაძრისა გუნბადს, უწყებითა და გამოცხადებითა მისვე მთავარმოწამისა მიერ... სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გვირგვინოსანთა მეფეთა მეფისა გიორგისა... სა მადლითა და კაცთმოყვარებითა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე ამინ“ (ზაქარაია 1952: 35).

1960 წ. ტაძრის დასავლეთი კარის თავზე კიდევ ირჩეოდა ორი სიტყვა: ...ᲗᲡ ᲘᲗᲡᲯᲠᲢᲜ, ე. ი. „...ის ღმრთისმშობელი“. ბორცვი, რომელზედაც ეკლესიაა აღმართული შეიცავს მოჭიქული კერამიკისა და კრამიტების ნატეხებს. აქვეა ნასახლარები – ნაგებობათა ბუდეები, ალბათ ნასოფლარ გუნბადისა, რომელსაც სხვა წყაროებით უცნობი ჰასან არსენის ძე უწოდებს „მამულსა ჩემსა“.

წარწერებში მოხსენიებული „წმიდისა გიორგის ხუთშაბათის ჯუარი“, ვალ. სილოგავას აფიქრებინებს, რომ სოფელში იდგა ჯვარი წმ. გიორგის სახელზე, რომლის დღესასწაული ხუთშაბათობით აღინიშნებოდა (სილოგავა 2000: 227). დასავლეთი შესასვლელის წარწერაში გამქრალი ასონიშნები ალბათ ტოპონიმს აღნიშნავდნენ, ეგების „(გუნბად)ის ღმრთისმშობელი“; იქვე დასახელებული მეფე გიორგი, თამარის ძე ლაშა გიორგია. ორივე წარწერა ერთი შინაარსისაა, მაგრამ შეინიშნება განსხვავებაც: მეორე წარწერაში გუნბადი მამულად არ სახელდება, ტაძრის შენება ხდება „სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გვირგვინოსანთა მეფეთა მეფისა გიორგისა... სა“... ე. ი. ლაშა გიორგის გარდა, კიდევ ვიღაცაა ნაგულისხმევი („გვირგვინოსანთა“), შესაძლოა დაკარგული ასონიშნები მის სახელს აღნიშნავდნენ. ორსავე წარწერაში ხაზგასმულია ტაძრის მშენებლობის დაწყება, ეგების სხვამ განასრულა იგი, ვისი სახელიც აღარ ჩანს. ეს ტაძარი თავიდანვე მონასტრად არ აღშენებულა – ეს არ ჩანს წარწერებში; ის ჰასან არსენის ძის საძვალე იქნებოდა. ამასვე უნდა ადასტურებდეს ჩრდილოეთიდან მოგვიანებით მიშენებული ეგვტერი. შესაძლოა, შემდგომში, ამ ტაძრის გარშემო სამონასტრო კომპლექსიც გაშენდა, რადგან ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ბოლნისის სიონის პირისპირ „არს მონასტერი წუღრუღაშენს, გუნბათიანი, შვენიერად ნაშენი შვენიერს ადგილს და აწ უქმს არს“ (ვახუშტი 1941: 37). გუმბად-ი/გუნბად-ი ძველ ქართულში სახურავს, საფარველს აღნიშნავს (სარჯველაძე 2001: 59). შეიძლება ვიფიქროთ, ადგილის ეს სახელწოდებაც ბუნებრივი პირობების ისეთივე მახასიათებელი

იყო, როგორც მეზობლად მყოფი ტალავარი – „საჩრდილობელი რამე ნაგები“ (სარჯველაძე 2001: 79); უცნობია როდის შეერქვა გუნბადს წულრუღაშენი.

წულრუღაშენის ხევის სათავეში გათხრილი და შესწავლილია რკინის საწარმოო უბანი, ნასოფლარი და ძველი გვირაბები მადნის საბადოებში. იქაური რკინის სადნობი ქურა შესანიშნავია თავისი სიდიდითა და სიმძლავრით (ასეთივე ქურები გათხრილია ბოლნისის ხევის სხვა ადგილებშიც). ყველაფერი ეს დათარიღებულია XII–XIII სს. (გძელიშვილი 1963). ჩვენ არ ვიცით, ეკუთვნოდა თუ არა ეს საწარმოო უბანი ჰასან არსენის ძეს, მაგრამ მის დიდ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე კარგად მეტყველებს ზემოხსენებული ტაძრის მშენებლობის მასშტაბი და ხარისხი.

გაერთიანებული საქართველოს სამეფოში,ქვემო ქართლის სწორედ დიდი ეკონომიკური მნიშვნელობით, განსაკუთრებით მისი რკინის წარმოების აღმავლობით, შეიძლება აიხსნას გამაერთიანებელ მეფეთა (დავითი, თამარი, ლაშა) დიდი დაინტერესება და ყურადღება ქვემო ქართლისადმი, მათი იქაური აღმშენებლობა. აკად. ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ 45 000 მეომრის აღჭურვა, ადგილობრივ რკინის წარმოებას ემყარებოდა; რომ „მეფისავე რეგალიას შეადგენდა მადნები (თუ ბოლნისისა არა, ახტალა-დამბლუტისა და წედისისა მაინც)... ამის მანიშნებელია თითქოს რკინის კაცნი (წედისელი მემადნეები) და მათი მოურავი მხეიძე“ (ნ. ბერძენიშვილი 1975: 113–114).

XIII ს-ის კიდევ ერთი მონასტერია წულრუღაშენსა და ხატისოფელს შორის ნასოფლარში, რომელსაც თევდორწმინდანი უნდა რქმეოდა. მთავარი ეკლესია მოზრდილი, დარბაზული ტიპის შენობაა, ნაგები კარგად გათლილი ქვებით. მთავარ ნავს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები აქვს. ამათგან სამხრეთი სტოა შესაძლოა მოგვიანო იყოს, რადგან მინაშენი კედელი ფარავდა ორსტრიქონიან ასომთავრულ წარწერას, რომელიც ამის გამო წარწერების გამომცემლებს შეუმჩნეველი დარჩენიათ. სარკმლებს ჩუქურთმიანი საპირეები ამკობთ. აღმოსავლეთი კედლის სარკმლის მარცხნივ ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა თევდორესაჲთა, და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, ესე დაწერილი ჩუენ თევდორწმიდელთა მღუდელთა და მწირთა, მას ჟამსა ოდეს ამას ეკლესიასა ვაშენებდით, მოგუცა პ დუკატი გაბრიელ ჩაბაჲსძემან. გაუკუეთეთ დეკენბერსა თ. რავდენიცა ხუცესი იყოს, ჟამსა წირვიდენ და აღაპი გარდაიჭდებოდეს, სიწმიდისა გარდმოყენებასა მღუდელი მოიჴსენებდეს. ვინ ესე შეცვალოს, კრულმცა არს პირითა ღმრთისაჲთა, ამენ“.

სამხრეთი კარის მარჯვნივ ასეთივე ასომთავრული წარწერაა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, ესე დაწერილი მე ივანე ქარეფარეხელმან

შევსწირე წმიდასა თევდორეს ვენაჯი და ჭურნი და გავიკუეთე გ დღე ქრისტეშობისა, მივეც ხუცესთა სალოცავი. ვინ ესე აქციოს, კრულ“.

სამხრეთი მინაშენის აღმოსავლეთი კედლის ქვეშ იკითხება: †. ⵛⵒ:†ⵐⵚ…ⵒⵔⵣ˜ⵖ:ⵖⵐ˜ⵛ ⵜⵣⵖ:ⵚⵚⵏⵙ˜ⵚ:ⵢ˜ⵖⵖⵏⵖ, ე. ი. „ქ. ესე ქვა(ჲ) ბერმან კავთელმან დასუა, შეუნდვენ ღმერთმან“.

როგორც ზემოხსენებული წარწერებიდან ირკვევა, ეკლესიის მშენებლობის დროს, თევდორწმიდელ მღვდლებსა და მწირებს გაბრიელ ჩაბაჲსძისაგან შეწირული 80 დუკატი მიუღიათ; მისი მოხსენიების დღედ 9 დეკემბერი დაუდგენიათ, ჟამის წირვითა და აღაპის გადახდით. ეს გაბრიელი შეიძლება ადგილობრივი ფეოდალი იყოს, რომელიც ახალი ეკლესიის მაშენებლებს საფასით დახმარებია. ასევე ადგილობრივი ფეოდალი შეიძლება იყო ივანე ქარეფარეხელიც, რომელსაც ვენახი და ჭურები შეუწირავს წმ. თევდორეს ეკლესიისათვის. მასვე ხუცესებისათვის მიუცია სალოცავი. ძველ ქართულში სალოცავი, სალოცველი აღნიშნავდა სამლოცველო დანიშნულების სახლს (молельня, часовня) (ჩუბინაშვილი/შანიძე 1984) შესაძლოა იგულისხმებოდეს ხუცესებისთვის სახლის გადაცემა, ან აშენება. ივანეს გვარსახელი ქარეფარეხიდან წარმომავლობაზე მიუთითებს, თუმცა კი უცნობია მისი ადგილმდებარეობა. ვახუშტი ბატონიშვილი თრიალეთის სოფლებში ასახელებს ფარეხასა და გველფარეხას (ვახუშტი 1941: 195), წარწერაში კი აშკარად იკითხება „ქარეფარეხელმან“.

კავთელი ბერი ალბათ შიდა ქართლის კავთიდან იქნებოდა; ცნობილია კავთის ციხე და წმ. გიორგის ეკლესია კავთურას ხეობაში (კასპის რ-ნი). არაა გამორიცხული, წარმომავლობით კავთელ ბერს, თევდორ-წმიდანის მონასტერში ეცხოვრა და აქვე თავისი საფასით გათლილი ქვა შეეწირა ეკლესიისათვის.

წარწერებიდან ჩანს, რომ აქ წმ. თევდორეს ამ XIII ს-ის ეკლესიის აშენებამდეც მონასტერი ყოფილა, რომლის მღვდელნი და მწირნი თევდორწმიდელებად იწოდებოდნენ. არ ჩანს როდის დაარსდა აქ მონასტერი, მაგრამ უძველესი ეკლესიის არსებობაზე მიუთითებს ქვაჯვრის ფრაგმენტი, რომელიც გვიანი სომხური ეკლესიის საკურთხეველში ჩაუყოლებიათ. ის მთავარი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით მყოფი პატარა შენობაა. აქვეა მონასტრის ბერთა სადგომების მოზრდილი ნაშთები და სასაფლაო. სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს დიდი ნასოფლარია, რომელსაც სახელი მიუღია წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიისგან (შდრ.: გიორგიწმინდა, სტეფანწმინდა...).

XIX საუკუნის რუსი არქეოლოგის ივანე ბართოლომეის ცნობით, თევდორწმიდანის მთავარ ეკლესიაში ყოფილა ფრესკული მხატვრობის ნაშთი ქართული და ბერძნული წარწერებით, ძლიერ დაზიანებული გამოსახულება ეკლესიის მაშენებლისა მისივე მაკეტით ხელში. ესენი

ექვთ. თაყაიშვილს ვეღარ უნახავს (თაყაიშვილი 1929: 96–97).

ფიტარეთის მონასტრისა და საყდრის მაშენებელ ქავთარ ქაჯიფაძეს, ფიტარეთის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს ხმლით მოგებული საფასით ნაყიდი სოფლები – ტანძია და თევდორწმიდანი. ექვთ. თაყაიშვილის აზრით, ეს სწორედ ბოლნისისხევის ზემოხსენებული სოფელი უნდა იყოს (თაყაიშვილი 1929: 96–97). საბუთების მიხედვით, ქვემო ქართლში მხოლოდ ერთი სოფელია ამ სახელწოდებისა და ისიც მრავლობითშია დასახელებული – „თევდორწმიდათა“, რაც სახელობითში იქნება თევდორწმიდანი. აქაური ეკლესიის წარწერაში მრავლობითის ფორმა არ ჩანს, მხოლობითშია ის ფიტარეთის წარწერაშიც – თევდორწმიდაჲ. თუ ეს შემთხვევითი არაა, მაშინ უნდა დავუშვათ ან სხვა თევდორწმიდას არსებობა, ან რაც უფრო მოსალოდნელია, მონასტრის სიახლოვეს ერთი სახელის მქონე ორი სოფლის არსებობა. ამ შემთხვევაში გასაგები იქნებოდა ახლად აგებული და მოქმედი მონასტრისათვის ერთი სოფლის დაქვემდებარება, ხოლო ფიტარეთის მონასტრისათვის მეორე თევდორწმიდაჲს ყიდვა და შეწირვა. ორი სოფლის აღსანიშნავი იქნებოდა მაშინ სახელწოდების მრავლობითი ფორმა-ნი (თევდორწმიდა–ნი).

XI–XIII სს. უნდა იყოს შუა (ბოლნის-ხაჩინი) და ქვემო (ბოლნის-ქაფანაქჩი) ბოლნისების გორებზე შემორჩენილი გალავანთა ნაშთები (სურ. 13). ბოლნისის სიონის დასავლეთით მყოფი გორის თხემზე საცდელი გათხრა ჩაატარა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1959 წ. (ხელმძღვანელი იოს. გძელიშვილი). აქაური გალავანი ნაგლეჯი, სხვადასხვა ზომის ქვითკირზე იყო ნაგები. კედელი ალაგ-ალაგ წინ გამოსული მრგვალი ბურჯებით გამაგრებული აღმოჩნდა. განათხარ კერამიკაში მრავლად იყო XI–XIII სს. მოჭიქული ჯამებისა და სხვა ჭურჭლის ფრაგმენტები; აქვე ვიპოვეთ რკინის ორფრთიანი ისრისპირები და რკინისავე რაღაც იარაღის ნატეხი ხის ნაშთით. გალავნის ორსავე მხარეს ნახშირის კვალი ჩანდა – აშკარა ნიშანი ბრძოლა-ხანძრისა. კედლის სისქე 1 მეტრი იყო.

ასეთივე გალავანი ჰქონდა შემოვლებული ქვემო ბოლნისის გორასაც: ნაგლეჯი ქვის მეტ-ნაკლებად რეგულარული წყობით, კირზე ნაგები; კედელი აქაც ნახევარწრიული ბურჯებით იყო გამაგრებული. ზედაპირზე აკრეფილი კერამიკული ფრაგმენტების უმეტესობა მოჭიქული იპოვებოდა, იყო სამკუთხა, ორფრთიანი ისრისპირი, მსგავსი შუა ბოლნისში ნაპოვნისა. როგორც ჩანს, ესენი თანადროული სიმაგრეებია,ასევე ერთდროულად განადგურებულნი. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხორეზმელების შემოსევისას, 1229 წ. ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ რუსუდან მეფემ ჯარი შეჰყარა ნაჭარმაგევს და გაგზავნა სულთანთან საბრძოლველად; „წარემართნეს და განვლეს ტფილისი. ხოლო სულტანი დაბანაკებულ იყო სომხითს, ჰევსა ბოლნისისასა.



სურ. 13. შუა ბოლნისის სიმაგრე

და ვითარ იხილეს დარაჯთა სულტნისათა, აცნობეს სულტანსა. ხოლო იგი აღიჭურა, რამეთუ იყო უშიში ბრძოლათა შინა, წინა განეწყო და იქმნა ომი სასტიკი... და იძლივნეს სპანი მეფისანი... ხოლო სულტანი კუალად მივიდა ტფილისად... არბევდა ქუეყანათა მათ ზემოჴსენებულთა“ (ჟამთააღმწერელი 1959: 183). ამ დროს დაინგრეოდა ზემოაღწერილი ორი სიმაგრე და არამარტო ისინი,რადგანაც ბრძოლა ბოლნისისხევში მომხდარა.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „... დის მდინარე ფოლადაური... ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი. მას ზემოთ ეკლესია დიდი,უგუნბათო ბოლნისისა“ (ვახუშტი 1941: 37). აქედან ცხადია, რომ მცირე ქალაქი ბოლნისი ქვემო ბოლნისია, რადგანაც რუკაზედაც და სოფლების სიაშიც იგი სამ ბოლნისს აჩვენებს: საეპისკოპოსო კათედრალი შუა, მცირე ქალაქი კი ქვემო ბოლნისად აქვს აღნიშნული რუკაზე. ქვემო ბოლნისთან V–VI სს. ეკლესიაა შემორჩენილი; მაშასადამე აქაური დასახლებაც უძველესი ჩანს. ამ დასახლების გაქალაქების ყველაზე შესაფერისი დრო X–XIII სს. უნდა ყოფილიყო. ამავე საუკუნეებში ქალაქობენ დმანისი, ლორე, თრიალეთის ახალქალაქი. თითქოს ამასვე მოწმობს ზემოაღწერილი გალავანიც. ეს იქნებოდა უციხო და უგალავნო დაბა-ქალაქი ბარალეთის და გოკიის (ჯავახეთში) ტიპისა.

ლ. მუსხელიშვილს ნასახლარებით დაფარულ 4–5 ჰა ტერიტორიაზე 6 ეკლესია უნახავს ფეოდალური ხანის გვიანი საუკუნეებისა. შენობები სწორ რიგებად ყოფილა ჩამწკრივებული, ისე რომ მათ შორის განირჩეოდა შუკები. მკვლევრის დასკვნით, ესაა ძველი ნაქალაქარი, ვახუშტის დროის „მცირე ქალაქი ბოლნისი“ (ლ. მუსხელიშვილი 1938: 321–322). უეჭველია ბოლნისის დაბა-ქალაქი (თუ იყო მაშინ ასეთი) მძიმედ დაზარალდებოდა ჯალალ ად-დინის შემოსევისას.

ფოლადაურისა და მაშავრის შესაყარიდან დაახლ. 3 კმ-ზე აღმოსავლეთით, ფართო ველის დასაწყისში ამოზიდულ კლდეზე, მოზრდილი და ლამაზი ციხე დგას, გვიან საუკუნეებში ჭაპალად სახელდებული (სურ. 14). ციხის მთავარი ნაწილი,რამდენიმე მრგვალი კოშკისაგან შემდგარი, დასავლეთ ნაპირზეა, უფრო შემაღლებულ კლდეზე. კლდოვანი ბორცვის თხემი მთლიანად შემოზღუდულია სქელი კედლით, რომლის სიმაღლე ზოგან 3 მ-მდე აღწევს. ის ნახევარწრიული ბურჯებითაა გამაგრებული, რომლებიც კუთხეებსა



სურ. 14. ჭაპალის ციხე

და სხვა საჭირო ადგილებში მრგვალ კოშკებად იქცევა. ეზოში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებია.

კედლის წყობა ძირითადად ყველგან ერთნაირია: ბათქაშზე „ჭადრაკულად“ ნაგები ქვისა და აგურის მონაცვლეობა, რომელიც ძალიან წააგავს თბილისის ნარიყალას კედლებს. ციხის ძირითადი ნაწილის ქვევით, მრგვალი კოშკების ქვეშ, კლდეში ტალანია გაჭრილი. იმჟამად ღია მხრიდან ის ამოშენებული იქნებოდა კედლით, ხოლო ზევიდან გადასახურავად, კლდეს მთელ სიგრძეზე, ხის ძელებისათვის ამოჭრილი ბუდეები მიუყვება. კლდის სიღრმეში სამი უზარმაზარი ორმოა ამოჭრილი. ესენი წყლის საცავები უნდა იყოს, რომლებიც მისი მარაგის დიდ რაოდენობას დაიტევდნენ. გალავნიდან კოშკებში ამოსასვლელად კლდეში კიბის საფეხურები და ბილიკია ამოჭრილი. კიბის სამხრეთით კლდის ორი გვირაბი ჩადის, რომლებიც ახლა ამოვსებულია და ღრმა ორმოებადაა დარჩენილი.

1974 წ. ჩატარებული საცდელი გათხრების შედეგად (მ. სინაურიძე), ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა აბანოს, თონეებისა და ქვევრების ნაშთები, მინის სამაჯურების, მოჭიქული კერამიკისა და შორენკეცების ნატეხები. ყველაფერი ეს არქეოლოგების მიერ დათარიღებულია XI–XIII სს-ით, აგრეთვე ფეოდალური ხანის გვიანი საუკუნეებით (სინაურიძე 1977: 44).

ციხის ჩრდილოეთით და დასავლეთით ნასახლართა ბუდეებია, სამი ეკლესიის ნანგრევით. ამათგან ორის პერანგშემოძარცულ კედლებს შიგნიდან და გარედან ჰორიზონტალური წყობის ანაბეჭდები აქვს. ორსავე ეკლესიას ძველი სასაფლაო ახლავს – მოზრდილი, დაუმუშავებელი ლოდები. აქვე შეიმჩნევა ნაარხალი, რომელიც მაშავრიდან გამოყვანილი წყლით მორწყავდა სოფლის ვენახებსა, თუ ბოსტნებს. ეს ციხე, რომელსაც გვიანი ხანის წერილობით წყაროებში ჭაპალა ერქვა, უნდა იყოს XI–XV სს-ში მოხსენიებული ქავაზინი-ქაოზიანი (დ. ბერძენიშვილი 1964: 42–44).

ქავაზინ-ქაოზიანს, როგორც ყველა ციხეს განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, თავისი „შესავალი ქვეყანა“ ექნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო ბოლნისისხევის ქვემო წელი, მაშავერ-ქციის ქვემო დინება, მანხუტისა და ტალავრის ხევები; აქვე იქნებოდა ბოლნისიც. ამ ციხესა და მის ქვეყანას უნდა აღნიშნავდეს სახელწოდების მრავლობითი ფორმა, რომელსაც დავითის ისტორიკოსი ხმარობს: „ქავაზინნი“ სხვა ციხე-ქვეყნებთან ერთად დავით აღმაშენებელს აუღია (დავითის ისტორიკოსი 1955: 344).

ქავაზინი ქართულ წყაროებში პირველსავე ხსენებისას სამეფო ციხე ჩანს. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, რომ ბაგრატ IV 1069 წ. „თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი“ (მატიანე ქართლისა 1955: 312). ასევე დარჩა შემდგომაც, მაგრამ XIII ს-ში ეს ციხე უკვე ვარამ გაგელის

მფლობელობაშია. მოგვითხრობს რა ჯალალ ად-დინის ლაშქრობებზე საქართველოში, ალ-ნასავი წერს, რომ სულთანი გაემართა გაგისა და ქავაზინის სიმაგრეებისაკენ, რომლებიც სამი თვის მანძილზე ალყაში იყვნენ მოქცეულნი. გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველებს მშვიდობა ფულით უყიდიათ (ბუნიატოვი 1971: 165). XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდან ვარდაპეტი კი, მონგოლთა შემოსევებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მათ ვარამ გაგელისათვის დაუბრუნებიათ წართმეული ციხეები, მათ შორის „უძლეველი სიმაგრე ქავაზინი, სახელგანთქმული ციხე გაგი თავისი ოლქით“ (ვარდანი 1861: 190).

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში შულავრისხევის ქვემოწელზე შენდება ციხე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გახვრეტილ ქვას („წაკ-ქარ“) უწოდებს. ამ ციხის ნანგრევები შულავრის ჩრდილო-დასავლეთით აღმართულ კლდეებშია შემორჩენილი. გალავანი მხოლოდ ადვილმისადგომ ადგილებს კეტავს. კლდეებში გამოქვაბულთა ნაშთებია და თხემზე სადგომთა ბუდეები. გალავნის კედლის წყობა „ჭადრაკულია“, ჭაპალისა და ნარიყალას ციხეთა მსგავსი. კლდეში საცალფეხო საფეხურებია ამოჭრილი თხემზე ასასვლელად. ნაციხარის ტერიტორიაზე მრავლად იპოვება მოჭიქული კერამიკის ნატეხები XI–XIII სს-სა. სიმაგრის შეკეთება ფეოდალიზმის ხანის გვიან საუკუნეებშიც ჩაუტარებიათ. ეს ციხე, გარდა იმისა, რომ შულავრელი ფეოდალების სადგომი იყო, მოხერხებულად ჩაკეტავდა შულავრისხევით მგლის კარისაკენ მიმავალ გზას.

კიდევ ერთი ნაციხარის ნაშთია შულავრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შორიდანვე შესამჩნევი, ლამაზი სილუეტის კლდეებში. მას სურუ-დაშს ეტყვიან („გალავნიანი კლდე“). აქაური კედლის ნაშთები მსგავსია წაკქარის კედლებისა, არის გვიანი საუკუნეების შეკეთების კვალიც. ანაკრეფ კერამიკაში ჩანს მოჭიქული ნატეხები. სიმაგრე XI–XIII სს-ად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც მოგვიანებითაც გამოიყენებოდა.

შულავრისხევის მარცხენა შენაკადს „ბინაძორს“ უწოდებენ. შულავრიდან დაახლ. 5,5 კმ-ზე, ხსენებული ხევის ზემოწელზე შემორჩენილია დარბაზული ტიპის დიდი ეკლესიის ნანგრევი. ის მოპირკეთებული ყოფილა კარგად დამუშავებული მოყვითალო ქვით. ეკლესია ერთსაფეხურიან ხარისხზე დგას; საკურთხევლის სარკმელი, შესასვლელის ამყოლები წნული, გრეხილი ჩუქურთმითაა შემკული. მთავარ ნავში შესასვლელი სამხრეთიდანაა, აქვეა მიშენებული კარიბჭე. ჩრდილოეთ კედელში გაჭრილ კარს ჩრდილოეთიდანვე მიშენებულ მცირე ეკლესიაში გავყავართ. ეკლესია შელესილი და მოხატული ყოფილა. საკურთხეველში კარგად შეიმჩნევა 12 მოციქულის ფრესკებისათვის დაყოფილი თაღები. სარკმლის წირთხლში ორი ფიგურაც გაირჩევა. სახურავი მთლიანად ჩამოქცეულია. ეკლესია XII–XIII სს. უნდა ეკუთვნოდეს. ტაძრის ირგვლივ ნასახლარებია კარგად შემორჩენილი კედლებით, ხაროებით. ეკლესიის აღმოსავლეთით,

დაახლ. 500 მ-ზე დიდი სასაფლაოა ძველი და გვიანი საუკუნეების საფლავის ქვებით.

შულავრისხევის შუაწელზე, მისი მარცხენა შენაკადის სათავეში ქვემო წერაქვის ნასოფლარია. მის ჩრდილო განაპირზე სამონასტრო კომპლექსია შემორჩენილი, რომელსაც გალავანი ერტყმის; ალაგ-ალაგ მრგვალი ბურჯებით გამაგრებული. გალავნის შიგნით 3–4 ნაგებობის ნანგრევი საცხოვრებელი, თუ სამეურნეო დანიშნულებისა იქნებოდა. ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია დარბაზული ტიპის ორნავიანი შენობაა, კარგად გათლილი ქვების ჰორიზონტალური წყობით ნაგები. ეკლესია ორსაფეხურიან ხარისხზე დგას. ორივე ნავს შვერილი აფსიდა აქვს – ხუთწახნაგა და სამწახნაგა. ეკლესიაში შესასვლელები სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა, რომლებზედაც ორმხრივ გახსნილი, თაღიანი კარიბჭეებია მიშენებული. სამხრეთისას ორნამენტირებული გვირგვინის ნაწილი შერჩენია, სადაც შესაძლოა ერდო ყოფილიყო დატოვებული. კარებსა და სარკმლებს წნულჩუქურთმიანი, ფართო საპირეები ამკობთ. ეკლესია შიგნიდან შელესილი და მოხატული ყოფილა. სამხრეთ მინაშენში ფრესკული წარწერებიდან ორი ასოა შერჩენილი – K˜A. ეკლესია XII–XIII სს-ითაა დათარიღებული (დ. ბერძენიშვილი 1960: 96).

ადგილის სახელდება სამეურნეო იარაღების სახელწოდებით ქვემო ქართლში სხვაგანაცაა: მანგლისი, ფარცხისი (შდრ.: ნიჩბისი შიდა ქართლში), რაც უნდა მიგვანიშნებდეს ამ იარაღების ხშირად სახმარ გარემოზე. ამიტომ წერაქვი იქნებ კლდოვან ადგილთან, ან ქვის სამტეხლოსთან იყოს დაკავშირებული.

შულავრისხევის ზემოწელზე, სოფ. ჩანახჩის სამხრეთით 3 კმ-ზე, მდებარეობს სომხური მონასტერი ხორაკერტი. მისი წარწერიდან ირკვევა, რომ ეკლესია აუგია ვინმე სტეფანოს ჰოვანესის ძეს 1252 წ. დავითის მეფობაში, მამამთავარ კონსტანტინეს და არქიეპისკოპოს ჰამაზასპის დროს. წარწერაში მოხსენიებული მეფე დავით ულუ უნდა იყოს, კონსტანტინე – სომხეთის კათალიკოსი, ჰამაზასპი – ახპატის არქიეპისკოპოსი. იქვე ნახსენებია „ქვეყნისმპყრობელი და მხედართმთავარი“, რომლის სახელი აღარ იკითხება (კოსტანეანცი 1913: 97).

ხორაკერტის ტაძრის სიახლოვეს კიდევ ორი მცირე ეკლესიის ნანგრევია. ეს დარბაზული შენობები ერთნაირი ზომის ქვების რეგულარული წყობითაა ნაგები. თლილი ქვის თაღები და აფსიდები ორივე ეკლესიაში ნალისებური მოყვანილობისაა, რაც მათ ადრეფეოდალური ხანის სამლოცველოებად გვისახავენ. მონასტრის ირგვლივ ძველი სასაფლაოა და დიდი ნასოფლარი ხორაკერტისა.

მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შულავრისწყლის მარჯვენა სანაპიროზე შემორჩენილია ოფრეთის ციხის ნანგრევები, მას ახლა ჩახლაბერდს უწოდებენ (სურ. 15). ეს მოზრდილი ციხე-დარბაზი, თავისი



სურ. 15. ოფრეთის ციხე

მცირე ეკლესიით, აშკარად ადრეფეოდალური ხანის ძეგლია: ეკლესიის ნალისებური აფსიდა, ციხის კედლების წყობა (ე. წ. „უჯარმული“), საპატიო სიძველის მანიშნებელია. ამ მხრივ ნიშანდობლივია დიდი მსგავსება წოფის ციხესთან სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც, გეგმარებითაც.

X ს-ის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მას შუშანიკის წამებასთან აკავშირებს, ე. ი. ციხე მას ვარსქენ პიტიახშის საკუთრებად წარმოუდგენია უკვე V ს-ში (უხტანესი 1974: 199). ოფრეთის ციხესთან ამოდის გზა ხოჟორნისხევიდან, უერთდება შულავრისწყლის გზას, გადადის ფოლადაურის ხეობაში და თეთრი ხიდის („აღ-კერპი“) გავლით მიემართება მგლის კარის უღელტეხილისაკენ. ამრიგად ციხის მდებარეობა სტრატეგიულად ძალზე მომგებიანია და ასრულებს იმ გამაგრებული ბორცვების რიგს, რომლებიც წოფისხევით მომავალ ძველ გზას იცავდნენ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 38). შეიძლება ვიფიქროთ, რომ შულავრისხევის ზემოწელი, სადაც ოფრეთის ციხე ბატონობდა, შედიოდა „აშხარაცუიცში“ მოხსენიებულ წოფისხევის („წობოფორ“) ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში. ეს კი სწორედ ბოლნისისხევს („ბოლნოფორს“) ემიჯნებოდა (ერემიანი 1963: 104).

დაახლ. IX ს-დან ქვემო ქართლის ძველი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები – ხევები იცვლებიან ახალი ერთე-

ულებით. ზოგიერთმა ციხემ დაკარგა ხევის გამაერთიანებელი მნიშვნელობა (წოფი, ქვეში...), გაჩნდნენ ახალი ციხეები – ხოჟორნი, ბერდიკი, ქავაზინი, დმანისი, ლორე... ასევე უფრო მცირე სიმაგრეები ლოქისწყალსა და შულავრისხევზე. ცხადია, ყოველი მათგანი თავისი მნიშვნელობის შესაფერის ციხე-ქვეყანას შეადგენდა. ვარდან დიდის ცნობით, გურგენ კვირიკიანს 978 წ. მემკვიდრეობით მიუღია ქვემო ქართლის ოლქები და ციხეები, მათ შორის „... ხორხორუნიქი... რომელიც არის ხოშორნი და ხორაკერტი და ბაზუნიქი – ბაზკერტი ტაშირის მხარეებში. სხვა ცნობილი ციხეებიც ერგო გურგენს, რომლებსაც ქართველები სომხითს უწოდებენო“ (ვარდანი 1861: 122). აქ დასახელებული ხოჟორნი თავისი ოლქით იგულისხმება, ე. ი. ძველი წოფისხევით, რომლის ზემოწელზე აშენდა ის; ხორაკერტიც შულავრისხევის ზემოწელს უნდა მოიცავდეს ოფრეთის ციხესთან ერთად.

კვირიკიანთა ხელში იყო ოფრეთის ციხე XI ს-შიაც. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, 1065 წ. ბაგრატ IV-მ შეიპყრო კვირიკე სომეხთა მეფე და ძმა მისი სუმბატ. ძელზე გასმულ კვირიკეს ბაგრატმა სამშვილდე მოსთხოვა. „აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კურიკესი: ოფრეთს და კობას და ვარზაქარსა“. ქართველთა მეფემ „მისცნა და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი... სამშვილდე ოდენ იურვა სახლად თჳსად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი“ (მატიანე ქართლისა 1955: 306–307). ე. ი. მიუხედავად დამორჩილებისა, ოფრეთი შულავრისხევის ზემოწელთან ერთად, ისევ კვირიკიანებს დარჩენიათ. ბაგრატისათვის სომეხთაგან შეთავაზებულ ციხეთა შორის არ ჩანს ხოჟორნის ციხე, რომელიც ამ დროისათვის უკვე მხარგრძელთა ხელში იყო, ეგების მათგანვე საკუთარ რეზიდენციად აშენებული (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 39).

სამშვილდის აღების შემდეგ, მალე ბაგრატ მეფემ ქავაზინი და გაგიც აიღო. სამეფოდ იქცა ამ ციხეთა შემავალი ოლქებიც, აქვე იქნებოდა ბოლნისისხევისა და შულავრისხევის ქვემო დინებანი.

დაახლ. 1185 წ. თამარ მეფემ სარგის მხარგრძელს ამირსპასალარობასთან ერთად, „უბოძა ლორე, სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა“ (ისტორიანი და აზმანი 1959: 83). როგორც ჩანს, მხარგრძელებს ლორე უბოძეს სამემკვიდრეო მფლობელობაში, ასე დარჩენილა შემდგომშიაც (მესხია 1979: 294). ლორის მეპატრონეებს არც ძველი მამული – ხოჟორნი დაუკარგავთ: XIII ს-ის I მეოთხედის იქაურ წარწერებში შანშე ზაქარიას-ძე მხარგრძელი იხსენიება. ამიტომ შესაძლოა ხორაკერტის წარწერის „ქვეყნისმპყრობელი და მხედართმთავარი“-ც შანშე მხარგრძელი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში შულავრისხევის ზემოწელი, ხოჟორნისხევთან ერთად, ლორის სამფლობელოში აღმოჩნდებოდა (დ. ბერძენიშვილი 1979: 86).

XII–XIII სს. ამბებთან დაკავშირებით, ოფრეთის ციხე აღარ


ბოლნისხევი განვითარებულ შუა საუკუნეებში
ციხექალაქი
ციხე
კათედრალი
მონასტერი
სოფელი ეკლესიით
ხიდი
გზა
უდელტეხილი
გალავანი
Ტ ა შ ი რ ი

იხსენიება. ჩანს, რომ ლორე-ტაშირის დიდ ერთეულში გაერთიანების შემდგომ, მას დაუკარგავს ძველი ფუნქცია. ალბათ ამასვე მოწმობს ის, რომ ციხეს არ ეტყობა გვიანი შეკეთების კვალი. რუბრუკვისი, რომელიც შანშე ზაქარიას ძესთან სტუმრად იყო ნამყოფი, წერდა: „ეს საჰენზა (შაჰანშა–შანშე– დ. ბ.). წინათ მეტად ძლიერი ქართველი ყოფილა, მაგრამ დღეს ხარკს აძლევს თათრებს, რომელთაც ყველა მისი ციხესიმაგრე გაუნადგურებიათ“ (რუბრუკვისი 1942: 173). მათ შორის იქნებოდა ოფრეთის ციხეც, აქამდე თუ მოაღწევდა საერთოდ.

* * *

ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში ბოლნისისხევი ძირითადი ერთეული იყო სამეფო-სამოურავო სომხითისა. სამეფო ოჯახი იქ მამულების ერთი უდიდესი მფლობელი იყო თავიდანვე. 1721 წლის აღწერით მეფეს ეკუთვნოდა ქვემო ბოლნისში 84 გლეხი; სამწვერისში – 40; კერატას სოფელში – 1, შათიკას სოფელში – 13, შულავერში – 52 გლეხი. დედოფალს შუა ბოლნისში ეკუთვნოდა 68 გლეხი, თეთრ სოფელში – 11, ოფრეთში – 20, შაქარას სოფელში – 21, ჭიპექებში – 3, ხუჯაბში – 12, ზემო ხუჯაბში – 11 გლეხი. ბატონიშვილებისა ყოფილა ნაქალაქევში 13 გლეხი, ვანქში – 2, თუმანაშენში – 5, მანხუტში – 13, სარკინეთში – 14, ყარა სოფელში – 5, ქარის სოფელში – 6, წუღრუღაშენში – 13, ახალ წუღრუღაშენში – 12 გლეხი.

სხვა ფეოდალთაგან გამოირჩეოდნენ ყაფლანიშვილები,რომლებსაც ჰყოლიათ დამბლუტში 10 გლეხი, დარბაზ თალაში – 20, წყლამში – 10, ჯურორში – 4, პატარა გორულში – 3, ზემო ბოლნისში – 1, ვაკერანში – 3, შამირზას სოფელში – 6, ჩიტალში – 4, ხანძორკუტში – 2, შუა ბოლნისში – 7, დეღცნუტში – 5, მირაშას სოფელში – 5, ურუტში – 3, ვანქში – 2, ჯიმშურას – 1 გლეხი (ლორთქიფანიძე 1938: 201–215).

ადგილობრივ მფლობელებში დაწინაურდნენ სამწვერისელი აზნაურები გოგიბაშვილ-შანშიაშვილები. დოლმაზ გოგიბაშვილ-შანშიაშვილი XVII ს-ის შუა წლებში ყაფიჩიბაშიც ყოფილა (სამეფო კარის მცველთა უფროსი). მისი ყმა-მამული ძირითადად ბოლნისისხევში იყო, სოფლებში: ახოთას, ქვემო ბოლნისს, წერაქვს, ჯიმშურასა და ბაღდადის ნასოფლარში; მისი სოფლები იყო ზიკრუტი და ტანძუტი ფოლადაურისწყალზე, რომლებიც მას მოუშენებია, ხოლო როსტომ მეფეს გაუთარხნებია იქაური გლეხები (კლდიაშვილი ... 1991: 682).

1721 წლის აღწერით, შანშიაშვილებს ეკუთვნოდათ ყმები სოფლებში: სამსონში – 2 გლეხი, შუა ბოლნისს – 3, ბორის სოფელში – 6, სახუნდარში – 19, პატარა სახუნდარში – 9, სოსანში – 7, ტანძუტს – 3, შანში სოფელში – 4, ჰაცუტში – 7, სამწვერისში კი ერთი გლეხი

(ლორთქიფანიძე 1938: 214–215). ზემოხსენებული შანში სოფელი სახელის მიხედვით, შანშიაშვილთა აშენებული უნდა იყოს.

იმავე აღწერით, დიდი მფლობელი ჩანს ამილახორიც, რომელსაც ათ სოფელში (არქაუნი, გოზალას სოფელი, თათოზას სოფელი, კატავეთი, მახრაღაჯი ზემო, მახრაღაჯი ქვემო, ნუგზარას სოფელი, სვიმონას სოფელი, ტრაცუ, წაკქარი) 68 გლეხი ჰყოლია (ლორთქიფანიძე 1938: 200–201).

1632 წელს, როდესაც ირანის შაჰმა როსტომი საქართველოს მეფედ დასვა, როსტომისავე თხოვნით, მას ირანიდან გამოაყოლეს შაჰის კარზე მყოფი ქართველი თავადები; მათ შორის იყვნენ სომხითის მელიქი, ზემოხსენებული ათაბეგი თავისი ძმებით, ჰასანბეგ ბარათაშვილი და თურმანბეგ თურმანიძე (ფარსადან გორგიჯანიძე 1990: 86–87). ეს უკანასკნელი იხსენიება ხატისოფლის ეკლესიის დასავლეთი შესასვლელის მხედრულ წარწერაში, რომელიც ასე იკითხება: „...ზე, ადიდოს ღმერთმან მეფეთ მეფე პატრონი შაჰნავაზ და დედოფალთ დედოფალი პატრონი მარიამ. ჩვენ თურმანიძე თურმან და მეცხედრე ჩუენი ქეთევან ყიზილბაში ვყვენით და როდესაც ბედნიერმან ყაენმან წყალობა უყო და მეფე როსტომ ქართლს სამეფოდ გამოგზავნა, ჩვენც წყალობა გვიყო და თან გამოგვატანა და გვიბოძა ჩვენი მამული სამკვიდრო და ხატისოფელი აოხრებული დაგვხვდა. ბედნიერის ყენისა და როსტომ მეფის წყალობით, ისრევ ავაშენეთ და ასრე ვათარხნეთ საქართველოს მეფეთა და მეპატრონეთაგან, არა ეთხოებისრა არ საური, არ კოდის პური, არ საბალახე, არ კულუხი, არა საჭელმწიფო სათხოვარი არა ეთხოებისრა ერთის ლაშქარ ნადირობისგან მეტი.

მოვძულდი ღმერთსა მე, ქეთავან და მოიწია ჩვენზედა განგება რისხვა ღმრთისა და მსოფლიოთ გარდაჴდა პატრონი ჩემი და შვილი ჩემი გედალი. დავრჩი უძეოდ აქა მიიცვალა, ავაშენე ყოვლად წმიდის ტაძარი სულისა მისისა საჴსრად. ეჰა, უბიწო ბიწეშეუხებელო, რომელმან დაიტიე დაუტევნელი ქრისტე, მეუფე ღმერთი ჩვენი, შეიწირე მცირე მისართმეველი ესე და ნაცვლად მიუგე ბედლის (sic – დ. ბ.) მოწყალება შენი და ასმინე ჴმატკბილი სამეუფო“.

შესასვლელის მარცხნივ, იმავე ხელით: „ქ. მოიხსენე უფალო ამისი ოსტატი ღარიბჯანა ამინ“; მარჯვნივ – „ნიკოლოზ უფალო შეიწყალე, ქა˘ტნიე˘“ – 1677 წ.

ღმრთისმშობლის სახელობის მცირე დარბაზული ეკლესია, როგორც წარწერიდან ირკვევა, აუგია თურმან თურმანიძის მეუღლეს ქეთევანს, ქმრისა და შვილის გარდაცვალების შემდგომ, შაჰნავაზის (ვახტანგ V) მეფობაში 1658–75 წწ. მანამდე კი, თურმან თურმანიძეს სპარსეთიდან დაბრუნებულს როსტომ მეფესთან ერთად, ხატისოფელი – მისი სამკვიდრო მამული აოხრებული დახვედრია, რომელიც მოუშენებია და გაუთარხნებია ყოველგვარი გადასახადისაგან.

ხატისოფლის აოხრება უნდა დაწყებულიყო 1584 წლიდან, როდესაც

ხონთქარმა ფერჰად-ფაშა ოსმალთა ჯარით სიმონ მეფის წინააღმდეგ გამოგზავნა. მან „აღიღო ციხე ლორისა, და დაიპყრა ლორე, მოვიდა და დაიბანაკა ხატის სოფლისა ბოლოს. მაშინ მეფემან სვიმონ შეჰყარა სპა თჳსი, მივიდა და დაიბანაკა ხრამის გაღმა... და მოირთო ელჩად თჳთ და მივიდა ფაშას თანა სვიმონ მეფისა მაგიერად, და მიუთხრნა სიტყუანი ლიქნისანი, ვითა: „თქუენცა გასმიან, თუ რაოდენნი ჭირნი და პყრობილებანი და ტყუეობანი მოწევნულ არიან ყიზილბაშთა მიერ ჩემ ზედა. და აწ არღარა ძალმიძს ესეოდენი სისხლი და ბრძოლა ხვანთქრისა და სპათა მისთა, რამეთუ საქმე ესე არა ნებითა ჩემითა მიქმნიან, არამედ მძლავრებითა ყიზილბაშთათა. ამიერითგან არღარა მნებავს მონება ყიზილბაშთა, და აღმირჩევიეს მორჩილება ხვანთქრისა უფროს ყიზილბაშთა... შევრიგდეთ და ვიყვნეთ მშჳდობით...

ხოლო ვითარ ესმა ფაშასა მას საქმე ესე, განიხარა ფრიად და მიუმცნო მეფესა სვიმონს, ვითარმედ: „კეთილად განგიზრახავს... აწვე გავრიგდეთ და ამიერითგან იყოს მშჳდობა და ერთობა ჩუენ შორის“. და წარმოვიდა მეფე სვიმონ სპათა თჳსთა თანა. მაშინ განიმსტრო ბანაკი იგი ოსმალთა და იხილა ყოველივე საქმე ესე, და სიმაგრე მათი, და სიმრავლე მებრძოლთა მათთა. და მასვე ღამესა წარვიდა მათ ზედა: შემოვლო ხატის-სოფლის გორასა და დაესხა თავსა ოსმალთა, და მოსწყჳდნა მრავალნი პირითა მახჳლისათა, სხუანი შეიპყრნა უმრავლესნი და გაემარჯუა ძლიერად. და იავარყვეს ბარგი მათი, და წარმოიღეს საშოვარი ურიცხჳ, და მოვიდეს გამარჯუებულნი ტფილისს...“ (ახალი ქართლის ცხოვრება-III 1959: 529–530).

ამის შემდგომ ხატისოფელს კიდევ ერთი განსაცდელი დაადგებოდა შაჰ აბასის შემოსევათა დროს, ასე აოხრებულა თურმანიძის მამული.

თურმანიძეთა მფლობელობა ბოლნისისხევში შემდგომშიაც დასტურდება საბუთების მიხედვით და ადგილის სახელწოდებიდან – თურმანიძა, რაც ამ საგვარეულოს კუთვნილს, ან მოშენებულს უნდა აღნიშნავდეს, შდრ.: შანშისოფელი, თუმანაშენი, მელიქაშენი...

1651 წლით თარიღდება წარწერა, რომელიც დარბაზული ეკლესიის ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი დემირ-სუს ნასოფლარში, ჩათახიდან ჩრდილოეთით, მისგან დაახლოებით 3 კმ-ზე. ასომთავრული წარწერა დასავლეთი შესასვლელის არქიტრავზე გვამცნობს შემდეგს: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა მე, რევის შვილმან ბოლნელ ეპისკოპოზმან იოსებ, ოდეს მოველ მეორეთ იერუსალემით, აღვაშენე ეკლესია ყოვლად წმიდისა სახსრად სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად და ჟამთა ვითარებისაგან მოშლილი ზემო ბოლნისი ახოთა და თალა ჴელახლა ვიშოე და ვათარხნე ჴელმწიფეთაგან და არა ეთხოებისრა ერთის სათათროს საურის მეტი, არა სამელიქო, არა სატარუღო. დაიწერა ქრონიკონსა ტ˜ ლ თ“ 1651 წ.

მაშასადამე, ბოლნელ ეპისკოპოსს, იოსებ რევიშვილს, ბოლნისის ტაძრის კუთვნილი სამი სოფელი, ჟამთა ვითარებისაგან მოშლილი,

ხელახლა უშოვია, მოუშენებია და გაუთარხნებია გადასახადებისაგან. „მოშლილი“ არ ნიშნავს აოხრებულ-განადგურებულს და მართლაც 1632 წ. ერთ საბუთში, ზემო ბოლნისში დადასტურებულია მელიქის მამული ვენახითა და გლეხებით (ფურცელაძე 1881: 7); 1641 წ. იქვე იხსენიება მელიქისაგან გაყიდული გლეხი,ვენახი,მიწა,წყალი,წისქვილი და როსტომ მეფის მიერ წყალობად გაცემული მამული (ფუთურიძე 1955: 158–160).

ასევე 1630 წ. იხსენიება ახოთა, რომელიც სიმონ მეფეს მიუცია დოლმაზა გოგიბაშვილ-შანშიაშვილისათვის, ხოლო ამ სოფლის „სამჭმო მიწები“ მისთვისვე დაუთმია ზაქუმ ზაქუმისშვილს (კლდიაშვილი ... 1991: 682). მაშასადამე, ამ სოფლების მიმართ იოსებ ბოლნელის მიერ ნახმარი გამოთქმა „მოშლილი“, უნდა აღნიშნავდეს ზემო ბოლნელი და ახოთელი გლეხების ბოლნისის სიონისადმი სამსახურის მოშლას, „საქმის აღარა ქმნა“-ს (სულხან-საბა ორბელიანი 1991). სწორედ ამიტომაც იოსებ რევიშვილს ისინი „ხელახლა უშოვია“, ხელახლა მოუპოვებია (ჩუბინაშვილი/შანიძე 1984) ბოლნისის სიონისათვის და გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან.

საინტერესოა, რომ ამდროინდელ საბუთებში არ ჩანს თალა, ეგების ის მაშინ ნასოფლარია.

ამ წარწერას, ბოლნისების მდებარეობის საკითხისათვის, სპეციალურად შეეხო აკად. გ. ჩუბინაშვილი და დაასკვნა, რომ წყაროებში მოხსენიებული ქვემო ბოლნისი უნდა ყოფილიყო დღევანდელ ბოლნის-ქაფანაქჩისთან, შუა ბოლნისი – ხაჩინთან, ზემო ბოლნისი კი, ამ ეკლესიის შემცველი ნასოფლარი დემირ-სუ იქნებოდაო (გ. ჩუბინაშვილი 1940: 234).

ვახუშტის რუკისა და სოფელთა სიის განხილვა გვარწმუნებს, რომ ქვემო, შუა და ზემო ბოლნისი ერთმანეთის მიყოლებითაა განლაგებული ფოლადაურის მარცხნივ და მათ შორის სხვა სოფლები არ ყოფილა. ამიტომაც ვარაუდობდა ლ. მუსხელიშვილი, რომ ზემო ბოლნისი სიონს ზემოთ, დღევანდელ ხაჩინს და მის მიმდებარე ნანგრევებს უნდა გულისხმობდეს (ლ. მუსხელიშვილი 1938: 321). ზემოაღნიშნულ წარწერიან ნასოფლარსა და ბოლნის-ხაჩინს (შუა ბოლნისი) შორის ახლა არსებობს სოფ. ინჯაოღლი, რომლის სახნავებში კარგად გაირჩევა ძველი ნასახლარები. სოფლის ჩრდილოეთით, 2-3 კმ-ზე კიდევ სამი ნასოფლარია, რომლებსაც ნაეკლესიარები ახლავთ; ასე რომ საეჭვოა დემირ-სუს ნასოფლარი ზემო ბოლნისი ყოფილიყო, რადგან მასა და შუა ბოლნისს შორის სხვა სახელწოდების სოფლები აღმოჩნდებოდა, რასაც არ ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილის რუკა და დოკუმენტების მონაცემები: 1677 წ. ზაქუმ ზაქუმიშვილმა ვახტანგ მდივანბეგს ნასყიდობის წიგნი მისცა – „მოგყიდეთ ზემო ბოლნური ჩვენი მკუიდრი... მამა-პაპათაგან აშენებული ზვარი... ზეით ტერ-სტეფანას წისქუილამდის და ფოლადაურისკენ რჩეულასშვილის

ვენახის სამძღურამდის და ბოვაძურისაკენ ძველი რუ რომ არის, იქამდინ და ქუემო შუა ბოლნისისაკენ ჰეჯუბაშვილის მიწებამდინ... არის ამისი მოწამე... რევის შვილი ბატონი ბოლნელი იოსებ... შვა-ბოლნელი მამასახლისი შერმაზანა“... (თაყაიშვილი 1909: 138–139). როგორც ვხედავთ, გაყიდული ზემო ბოლნისის ზვრის ზემო და ქვემო საზღვრებია მოცემული; ამათგან „ზეით“ დასახელებულია ფოლადაურისაკენ რჩეულასშვილის ვენახი და ბოვაძურისაკენ ძველი რუ; „ქუემოთ“ კი, შუა ბოლნისისაკენ ჰეჯუბაშვილის მიწები. მაშასადამე, ზემო ბოლნურ ზვარს ფოლადაური, ბოვაძორი და შუა ბოლნისი ესაზღვრება. ბოვაძორი კი ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია ზემო ბოლნისის დასავლეთით, ე. ი. „ზეით“, სოფლების სიაში – ახოთასა და სამწვერისს შორის.

1687 წ. ერთი საბუთის მიხედვით, ბაინდურ გოგიბაშვილ-პაპი-აშვილმა ელიარაშვილ ბირბიჩნელ დუშიასაგან იყიდა მიწა ზემო ბოლნისში ბოვაძორის ვენახების ბოლოს (ცსა, ფ. 1450, დავთ. 6, № 13). აქაც ზემო ბოლნური მიწა ბოვაძორის ვენახების ბოლოს, ე. ი. ქვემოთ უნდა იგულისხმებოდეს. XVII ს-ის სხვა საბუთიდან ჩანს, რომ ხეჩუმამ ბატონ შიოშს მიჰყიდა მკვიდრი ვენახი შუა ბოლნისსა და ზემო ბოლნისს შორის (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 94); 1703–04 წწ. საჩივრის წიგნში ვკითხულობთ: „შუაბოლნელნი შეყრილიყვნენ ერთობით და ზემობოლნელთ სასარესა და ცოტას რასმე ყორუღში შეშის წამოსაღებად წასულიყვნენ. იმ მთაში მისასვლელი გზა შუაბოლნელთ სხვაც ჰქონდათ, მაგრამ, ჩხუბის გულისათვინ ზემო-ბოლნისში შეევლოთ, მუქარა და იმ სასარის მოჭრის წამოღება დაექადათ და შეეტყობინებინათ.

ამაში ზემობოლნელნიც სიტყვით შეჰყოლოდნენ და ჩხუბი გამო-რეოდათ, დაეშინათ ერთმანეთისთვინ. იქ ბოლნელის კრებულიც ყოფილიყვნენ და ორგნითვე ძალიან ნაცემულობაები და თავების დამსხვრევა მომხდარიყო. მაგრამე ბოლნელის კრებულთ, დიაღ ძალა დამართებოდათ... ამ ჩხუბსა და წაკიდებაში ბატონი ბოლნელი იქ ბოლნისს ბრძანებულიყო. ამ ჩხუბის დასანელებლად... ისიც თურმე გამობრძანდა. ამაში შუაბოლნელთაგან უკადრისად მოკიდება რამე მომხდარიყო“... ამის გამო ჩხუბის თავს 4 თუმანი, მამასახლისებს 3-3 თუმანი დაედოთ ბოლნელის სასარგებლოდ„„ერთობით შუაბოლნელნი“ კი – 35 ძროხის ფასით დააჯარიმეს (ი. დოლიძე 1972: 211–212).

1736 წ. ბეჟუა კაკაშვილმა ელიზბარ ორბელიშვილს თავისი სამკვიდრო მარანი მიჰყიდა, თავისი 70 ქვევრით. ამისი მოწმენი იყვნენ ქვემო ბოლნელი მადათა, შუა ბოლნელი გურგენა და „ზემო ბოლნელები სულ ხელი-ერთ-პირად“ (თაყაიშვილი 1909: 382), ალბათ იმიტომ, რომ ეს მარანი ზემო ბოლნისში იყო.

მოტანილი საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ ზემო ბოლნისი უმეშვე-ოდ ესაზღვრებოდა შუა ბოლნისს და ის დემირ-სუს ნასოფლარი ვერ

იქნებოდა. იოსებ ბოლნელი ეპისკოპოსის წარწერაში სამი სოფელია დასახელებული, რომელთაგან ერთ-ერთში, უნდა ვიფიქროთ, ის ამ ეკლესიას ააშენებდა. შეიძლება ეს იყოს წარწერაში ჩამოთვლილ სოფელთაგან ბოლოს ნახსენები თალა („ზემო ბოლნისი, ახოთა და თალა“...). დემირ-სუს ნასოფლარს ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ყველაზე მეტად შეესატყვისება სოფ. ბერდიკი და თალის სოფელი. მაგრამ ბერდიკი საბუთების მიხედვით, ბოლნელის სოფელი არ იყო, მაშინ როდესაც წარწერითა და საბუთებით თალა ბოლნელის საბატონოა. 1677 წ. ხურდიყულაშვილები შერმაზან და შიოშ მიმართავდნენ „ბოვნელ ეფისკოპოზს ბატონ, იოსებს ასრე და ამა პირ-სა ზედა, რომე თალას პირდაპირ ხოდაბუნი სიონთა ღვთისმშობლის მამული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებაში ჩვენ დაგვეჭირა და ამაზედ შევისარჩლენით... საყდრის სამკვიდრო მამული ისრევა თქვენ დაგანებეთ“ (ცსა, ფ. 1449, L. 1805).

1703 წ. იაღიკაშვილმა ბეჟუამ დონმაზა შანშიაშვილს ნასყიდობის წიგნით მისცა: „ჩვენი სამკვიდრო თელის წყაროსთავის ექვსის დღის მიწა, ქვეით საქცევი სამწევრის მამასახლისის ყაზარას ჭალის მიწა, ზეით საქცევი დიდი რუ“ (თაყაიშვილი 1899: 302). „თელის წყაროსთავის ექვსი დღის მიწა“ ესახღვრება სამწვერელ მამასახლისის ჭალის მიწას, რაც ძალიან წააგავს დემირ-სუს ნასოფლარის მდებარეობას სამწვერისის გაღმა, ფოლადაურის მარცხენა სანაპიროზე. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იოსებ ბოლნელის მიერ აშენებული „ეკლესია ყოვლად წმიდისა“ თალის სოფელში იყო. 1721 წლის აღწერით, იქ მებატონედ ისევ ბოლნელი ეპისკოპოსი ითვლებოდა, ასევე იყო ახოთაშიც (ლორთქიფანიძე 1935: 288, 312).

თალის სოფლის ნასოფლარზე, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლე-თით საფლავის ბრტყელ ქვაზე მხედრული წარწერა გვაუწყებს: „ქ. ესე მიცვალებული მონა ხვთისა, ავთანდილას მეუღლე შრუბნასია, ვინაც წაიკითხოს შენდობა უთხრას. ქკსა უიზ“= 1729 წ.

ზემოთ სამი ნასოფლარი ვახსენე, რომლებიც ინჯაღლის ჩრდილოეთით შემორჩენილა. დანამდვილებით ძნელია თქმა, რომელია მათ შორის ახოთა და ბოვაძორი. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ახოთა შუა ბოლნისის დასავლეთით, ბოვაძორი კი ზემო ბოლნისის დასავლეთითაა აღნიშნული; ასევეა სოფლების სიაშიც – ჯერ ახოთა, მერე ბოვაძორი, სამწვერისი და ბერდიკი. სამწვერისი დღესაც თავის ადგილზეა, ფოლადაურის მარჯვნივ, ბერდიკის სოფელი კი, ამ რუკაზე ფოლადაურის მარცხნივაა აღნიშნული, მაშინ როცა ბერდიკის ციხე ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროზეა. საფიქრებელია სოფ. ბერდიკი მისსავე ციხის ძირში იქნებოდა, ფოლადაურის მარჯვნივ, ხოლო ვახუშტის რუკა ამ ადგილას არ უნდა იყოს ზუსტი ისევე, როგორც მას არევია თანმიმდევრობა სოფლებისა ლურჯვანქი, კირაკოზას სოფელი, შერმაზანას სოფელი (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 26). ამაში გვარწმუნებს

1697 წ. ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთი სომხითის მელიქის ავთანდილ ქამარბეგიშვილისა მდივან გივი თუმანიშვილისათვის მიცემული: „მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო... უცილობელი მამული შამირზას ნასოფლარი, მისის სასაფლაოთი, სახლ-კარითა, ჩვენგანვე გაკეთებულის მარნითა, მთითა, ბარითა... ვენახითა, სანადიროთა... ერთი სამძღვარი კირაკოზას სოფლის სამძღვრამდის, მეორე გვერდი ლურჯვანქის სამძღვრამდინ, მესამე გვერდი ჩიტალის სამძღვრამდინ და მეოთხე ბერდიკის სამძღვრამდინ... აგრევე რომელიც ჩვენს მამულში მყოფს გარდა იმ ნასოფლარში ნასახლები კაცი სხვის მამულში იყოს და მოიყვანო, არც იმას შემოგეცილოთ და არც ჴელი გვქონდეს“.

აქედან ირკვევა, რომ ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროზე ზევიდან ქვევით სოფლები განლაგებულია ასე: კირაკოზას სოფელი, შერმაზანას (შამირზას) სოფელი, ლურჯვანქი. შერმაზანას სოფლის ასეთ ლოკალიზაციას პირდაპირ აცხადებს 1616 წ. სომხური წარწერა იქაურ ეკლესიაზე: „წმიდაო ჯუარო შაჰმირზისა“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 46). საბუთში ნახსენები ჩიტალი ვახუშტის რუკისეული ჩიტალაზია, რომელიც დაახლოებით დღევანდელი ჩათახის ადგილზეა აღნიშნული და შესაძლოა ძველი სახელის თურქული გააზრებაც კი იყოს (ჩატალ-ი მდინარეთა შესაყარს ნიშნავს, აქ ფოლადაურს მარცხნიდან უერთდება ლოქისწყალი). სოფ. ბერდიკი მდინარის მარჯვნივ ყოფილა, შამირზის (შერმაზანას) სოფლის საზღვრად და არა მდინარის მარცხნივ, როგორც ეს ვახუშტის რუკაზეა. ამაში საბოლოოდ გვარწმუნებს ზემოხსენებული საბუთის სპარსული ტექსტი: „... სომხითის მელიქმა ავთანდილმა... სომხითში მდებარე სოფელი შაჰმირზა... რომლის ოთხი საზღვარი თავდება და შემოფარგლულია ოთხის მხრივ კირაკოზას სოფლით, ლურჯვანქით, ჩიტალით და ბერდიკით, მდივან გივ-ბეგს... მიჰყიდა“ (ფუთურიძე 1955: 383–385). მაშასადამე ოთხი მხარე აქ აღნიშნულია ორ-ორი, ერთმანეთს დაპირისპირებული სოფლით: კირაკოზას სოფელი – ლურჯვანქი, ჩიტალი–ბერდიკი. ბერდიკის ნასოფლარი შერმაზანას სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფოლადაურის მარჯვენა შენაკადის პირას მყოფი ნასახლარები უნდა იყოს, რომელსაც მოზრდილი დარბაზული ეკლესიაც ახლავს; ამ ადგილს მოლაოღლის უწოდებენ. აქვე რკინის სადნობი ქურა გათხარა არქეოლოგმა იოს. გძელიშვილმა, რომელმაც იგი XI–XIII ს-ით დაათარიღა.

1630 წლამდე სოფ. ბერდიკი გიორგი სააკაძისა ყოფილა, ამ წელს კი, მეფე სვიმონ II იგი ბაკა თულაშვილს სამკვიდროდ უბოძა: „სოფელი მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა“ (ფუთურიძე 1955: 86). 1658 წ. როსტომ მეფემ თუმანიშვილებს თაყასა და ბირთველს უბოძა „ბოლნისის ჴევს სოფელი ბერდიკი ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, მთით ბარამდის უნაკლულოდ“ (თაყაიშვილი 1909: 130). 1721

წლის აღწერით, ბერდიკში ითვლებოდა 15 გამომდები და 7 ბოგანო ყმა თუმანიშვილების საკუთრებაში. 1785 წ. ერთი საბუთიდან ჩანს, რომ სოფ. ბერდიკი ისევ თუმანიშვილ მანუჩარს ეკუთვნოდა, რომელსაც ის ზამთარში საქონლის დასაყენებლად აქირავებდა წელიწადში სამ თუმნად (ი. დოლიძე 1977: 643). ასე დაწვრილებით ჩამოთვლილ სოფ. ბერდიკის სანახებში არ იხსენიება მისი ციხე; შესაძლოა ეს მიუთითებდეს მისი ფუნქციის დაკარგვაზე ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში, თუმცა კი სამწვერისში ბოლო ხანებამდე შემორჩა გადმოცემა, რომ ციხეს საბოლოოდ სამწვერისელი შანშიაშვილები დაეპატრონნენ.

ჩათახის შემდეგ, ფოლადაურის აყოლებით მის მარჯვნივ, პირველი ნასოფლარი ლურჯვანქია. საბუთებში და ვახუშტი ბატონიშვილთან სოფლის სწორედ ეს ფორმაა დამოწმებული, რაც ქართულად ლურჯ მონასტერს ნიშნავს. ასევე უთარგმნიათ ექვთ. თაყაიშვილისათვის ეს სახელი ადგილობრივებს, რასაც თითქოს ადასტურებდა მოლურჯო ქვით ნაშენი დარბაზული ეკლესია. ნასოფლარი და ეკლესია ახლაც შერჩენილია ჩათახიდან დაახლ. 2 კმ-ზე, იქვეა სასაფლაო თავისივე პატარა საჟამნოთი, რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. ექვთ. თაყაიშვილი ლურჯვანქიდან სახუნდარისკენ მიმავალ გზაზე, აღწერს ნადარბაზევის მოზრდილ, საცხოვრებელ შენობას, რომლისათვისაც მას დიდი სიძველე ვერ შეუნიშნავს. ეს უნდა იყოს ვახუშტის რუკაზე ფოლადაურის მარჯვნივ აღნიშნული დარბაზი სახუნდარის სიახლოვეს.

საბუთებსა და ვახუშტისთანაც ორი სახუნდარია ნახსენები. სოფლის სახელი სანადირო ადგილს აღნიშნავს, სადაც ხუნდს უგებდნენ ნადირს, „ნადირთ მოსავალი ადგილი“ (საბა). აქ აზნაურის რეზიდენციაა ვახუშტის რუკის მიხედვით. მოზრდილ ნასოფლარში დარბაზული ეკლესიაა, რომელსაც გალავანი არტყია მრგვალი ბურჯებით გამაგრებული. ეკლესია, გალავანსავით ნაგლეჯი ქვით ბათქაშზეა ნაგები. სარკმლებს ჩუქურთმიანი ტუფის ქვები ამკობს. შესასვლელი დასავლეთიდანაა, რომლის მხედრული, ორსტრიქონიანი წარწერა განგებაა ამოტეხილი. შიგნიდან გრძივი კედლები სამ-სამი თაღითაა დაყოფილი. სამხრეთი კედლის შუა თაღში ორ ფეხზე შემდგარი ვეფხვის რელიეფური გამოსახულებაა. წინა, მარცხენა თათით ის თავმომწონედ ულვაშს ისწორებს და წელზე სარტყელი აკრავს.

გალავნის შიგნითვეა მოქცეული სამსართულიანი სამრეკლოს ოთხკუთხა შენობა, რომლის გუმბათი 8 სვეტზეა დაყრდნობილი, გუმბათი აგურისაა. გალავნის გარეთ, ეკლესიის ჩრდილოეთით ორი შენობა დგას ნაგლეჯი ქვებით ნაგები, სარკმელთა მაგივრად სათოფურებია. გალავნის აღმოსავლეთით, წყაროსთან ისევე ნაგები დარბაზული ეკლესიაა. ეკლესიის სამრეკლოს ირგვლივ საფლავის

ქვებია ერთმანეთზე მიწყობილი. ერთ ბრტყელ ქვაზე მხედრულით აწერია: „ღმერთმან უშველოს საბაბსა (sic – დ. ბ.). ქ. ესე საფლავის გაცლელისე (!) ტერ შამონასია, ვინც წაიკითხოს შენდობა უთხრას“. არის სომხური ქვაჯვარიც (ხაჩქარ) სომხურივე მთავრული წარწერით: „წმიდაო ჯუარო, მეოხ ექმენ ასლამაზს წელსა 1655“.

XVII–XVIII სს. სახუნდარში მებატონეებად შანშიაშვილები ჩანან. 1641 წ. როსტომ მეფე ერთი საბუთით მიმართავდა თავის „სახასოს და მკვიდრსა აზნაურისშვილთა“ შანშიაშვილს გიორგის... მის ძმებსა და შვილებს... „თქუენს სამკვიდროს, სომხითს სახუნდრისა და ბორის სოფლის წიგნის განახლებას დაგუეჯენით... ჩუენც ესე სიგელი გაგიახლეთ... და დაგიმტკიცეთ...“ (ფუთურიძე 1955: 161). 1679 წ. უკვე ზემო სახუნდარი იხსენიება, რომელსაც ნაზარალიხანი 1688 წ. სომხითის აზნაურიშვილს გოგიბაშვილს პაპიაშვილს (იმავე შანშიაშვილებს – დ. ბ.), სოიბათ იასაულ ბაინდურს და მის ძმებს აძლევს: „ნახევარი ძველად თქვენ გქონდათ და იმ ნახევრისასა წყალობა ჩვენ გიყავით და გაგიერთეთ მთლივ ზემო სახუნდარი... თავისის მთითა, ბარითა, წისქვილითა, წყლითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, სათიბითა“... (ხეც, Hd-10147).

1696 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ შანშიაშვილები გაყრილან: „პატარა სახუნდრული ახოები სამათ გაიყონ. დივანხანა და საჯინიბო დოლმაზაშვილებს დარჩა და ამირეიზას ქალი... კიდევ სახუნდარს დოლმაზაშვილებს პაპიაშვილთან სახლისა, კალო-საბძლისა და ბოსტნებისა სალაპარაკო ჰქონდათ... მოსაქმემ გასინჯოს და გაურიგოს... კიდევ ნასყიდას სახლი და ბოსტანი, მამუკას სახლი დოლმაზაშვილმა და ნაზარამ გაიყონ“ ნათქვამია განჩინებაში (ი. დოლიძე 1972: 171–172). 1721 წლის აღწერით, ქვემო და ზემო სახუნდარში მხოლოდ შანშიაშვილები იყვნენ მებატონეებად, სადაც მათ 13 გამომღები და 15 ბოგანო ყმა ჰყოლიათ (ლორთქიფანიძე 1935: 346).

ლურჯვანქიდან სახუნდარს მისული ექვთ. თაყაიშვილი ვანქის ნასოფლარში ჩაუყვანიათ, რომლის XIII ს-ის ზემოთ გარჩეული წარწერებიდან მეცნიერს დაუსკვნია, რომ ამ ვანქის ძველი სახელი თევდორწმიდანია (თაყაიშვილი 1929: 96–97). შეცდომაა, როდესაც კობა ხარაძე წიგნში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი“, თბ., 1991 წ. გვ. 100, აიგივებს თევდორწმინდანს ლურჯვანქთან („ლურჯი მონასტერი“); წიგნს დართულ რუკაზე ფოლადაურის მარჯვნივ, ბერდიკის ციხის სამხრეთით მას ლურჯვანქი დაუტანია, თევდორწმინდა კი ლურჯვანქის მეზობლად, მდინარის აყოლებით. სინამდვილეში თევდორწმიდანი წუღრუღაშენსა და ხატისოფელს შორის მდებარეობს (იხ. ზევით).

თევდორწმიდანი უკანასკნელად 1523 წ. იხსენიება. 1543 წ. კი უკვე არის ვანქი, სადაც მებატონეებად გერმანოზიშვილები არიან. 1633 წ. როსტომ მეფემ ჰასანბეგ ბარათაშვილს უბოძა მისი სამკვიდრო ვანქში

(ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 86). 1638 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ვანქში გერმანოზ ბარათაშვილის ახალშენია, რომლის ნაწილი, ალიხან არეშიშვილის კუთვნილი, ახლა გერმანოზს დაუთმეს (თაყაიშვილი 1899: 482–483).

1653 წ. ყაფიჩიბაშმა დონმაზ გოგიბაშვილმა ოთარ და პაატა ბარათაშვილებს მამული გაუცვალა: „ყოვლის კაცის უცილობელი აბელია ჩვენ გვქონდა და თქვენზედ სამხროდ და მარჯვედ იყო, და ვანქს თქვენი სამკვიდრო მამა-პაპათ ნაქონი მამული მიწა და წყალი სომხითს ჩვენზე ახლო იყო... და გაგიცვალეთ“ (თაყაიშვილი 1899: 381–382). გვიანი საუკუნეების საბუთებიდან ჩანს, რომ „ბოლნისის ვანქში“ ყოფილა ვენახები, „ნიგვზის ღელეები“, საწნახლები და შარა წულრუღაშენისაკენ მიმავალი (ცსა, 1450, დავთ. 33, № 60); 1721 წლის აღწერით, იქ ითვლებოდა 18 მებატონე: ყაფლანიშვილი ოთარ, იესე ბატონიშვილი, სვიმონ ბატონიშვილი, გოსტაშაბიშვილი, შალიკაშვილები, თუმანიშვილი, ალიხანაშვილი, შაყულიშვილები, იეგულაშვილები, 21 გამომღები, 5 ბოგანო და 1 აყრილი ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 307).

1782 წ. ვანქი დაქვეითების გზაზეა, სოფლისა და მამულის გამო დაობენ შანშიაშვილი გიორგი და იაგულაშვილი ზაალ (სახლიკაცები); ვანქში სახნავი, სავენახე, საწისქვილე, ნასოფლარი, სახლის ალაგი, მთა, ბარი, ტყე, ჭალა – ყველაფერი მათ შუა გაუყვიათ (ი. დოლიძე 1974: 174–175).

როგორც ჩანს, შაჰ აბასის შემოსევების შემდეგ, XVII ს-ის შუა ხანებში საჭირო გამხდარა ბოლნისის სიონის აღდგენა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, იგი „შემუსვრილი აღაშენა პთ დედოფალმან მარიამ“, როსტომ მეფის მეუღლემ (ვახუშტი 1941: 37). ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ტაძრის ხელახლა გადახურვა და ისრული თაღების ამოყვანა. ამავე ხანებშია აშენებული ბოლნისის სიონის ეზოში სამრეკლო, რომლის შესახებ მოგვითხრობს ნიკოლოზ ბოლნელის მხედრული წარწერა ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, შესასვლელს ზემოთ: „ქ. შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ, მუხრანის ბატონის შვილმან, ბოლნელ ეფისკოპოზმან, ბაგრატის ძემან პატრონმა ნიკოლოზ, მოვედით ბოლნის სიონთა ღმრთისმშობლის საჭისმპყრობელად, ამისი პატიოსნობა ვიგულეთ, დაუხატვინეთ შიგნით კანკელი, საფსალმუნე და სალხინებელი აუშენეთ და კარით და ხატით შევამკევ და შევწირე ერთი წინსაძღომი ჯვარი, ერთი ჯვარსანთელი, ერთი ყავარჯენი, ერთი ჰელი სულ სირმით ნაკერი საეფისკოპოზო შესამოსელი, ერთი ჰელი სამღდლო შესამოსი, ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, ნაკერი პერექლები. ესები უკლებრივ შემიწირავს. კიდევ ერთი ჰელი წიგნები. მეფის გიორგის ბძანებით, სამრეკლო, ქარვასლა, დუქნები აუშენე ჩემთვის შესანდობლად, მამის ჩემისა და დედის ჩემის სასულიეროდ, შენდობასა იტყოდით, ამენ“.

წარწერაში მოხსენიებული მეფე, არის გიორგი XI და წარწერაც

თარიღდება 1678–1688 წლებით (ლ. მუსხელიშვილი 1938: 349–351). სამრეკლოსთან ერთად, ნიკოლოზ ბოლნელს სიონისათვის აუშენებია ქარვასლა და დუქნები, რომელთაგან ტაძარს, ცხადია შემოსავალი ექნებოდა. დუქნები აღარსადაა, ქარვასლა კი შესაძლოა ის ნაგებობა იყოს, რომელიც შემორჩენილია ფოლადაურისა და ლოქისწყლის შესაყარის ქვევით დაახლ. 300 მ-ზე ფოლადაურის მარჯვნივ. ამ ოთხკუთხა, სახურავჩაქცეული შენობის ზომებია დაახლოებით 14X10 მ; ნაგებია ნაგლეჯი ქვით ბათქაშზე. სამივე კედელში, აღმოსავლეთის გარდა, თითო კარი და ვიწრო, მოგრძო სარკმელია გაჭრილი. დასავლეთი შესასვლელი ფართოა და თაღოვანი, დანარჩენი ორი – ოთხკუთხა და შედარებით მომცრო. აქვე ძველი ნაგზაური ჩანს. ქარვასლის აქ აშენებას გაამართლებდა ლორე-ტაშირიდან ორ მდინარეს გამოყოლილი გზები ფოლადაურისა და ლოქისწყალზე, რომლებიც აქ შეიყრებოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ახკერპისა და იდკერპის ხიდები ფოლადაურზე, სატრედოსა და გოჩულუს ხიდები მაშავერაზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 1689 წლის ერთი საბუთი, სადაც ყაფლანიშვილი-ორბელიშვილები ბრძანებენ: „ქ. ბოლნისზე თუ თრიალეთზე, ამ ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის, ბაჟი სულ ჩვენია: აბრეშუმზე აბაზი; ენდროზე და ბამბაზე ორი შაური; ფარჩაზე და ლანდრაზე ექვსი შაური; ხიზილალაზე, თევზზე ერთი შაური; ბრინჯზე ერთი შაური; რკინაზე, რისაც ფერის; ერბოს, თაფლის ბაჟი არა გვინახავსრა“ (ხეც, Sd-1932). აქედან კარგად ჩანს, თუ რა საქონელი გაივლიდა ბოლნისის საბაჟოზე; აქ ნახსენები რკინა, ალბათ, ადგილობრივი საბადოებიდან იქნებოდა მოპოვებული, რასაც ბოლნისისხევში გათხრილი რკინის სადნობი ქურებიც მოწმობენ.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ყაფლანიშვილებს ბაჟის აღების უფლება ისევ შერჩენიათ: „ქ. ეს დასტურამალი ამა წლის მუსტაჯირებმან... მოგეცით თქვენ, ყაფლანიანთ გორჯასპის შვილს ქაიხოსროვ-ბეგს, ასე რომ რაც ქალაქს გარდა ქარავანმა გაიაროს სომხით-საბარათიანოს მამულშიდ და ყაიყულის, ასე რომ გატეხილ ხიდიდამ რომ აქეთ გამოსცილდეს, თუ არაყელი, თუ ჰადირბეჯანელი, თუ სომეხი, თუ თათარი, თუ თათი, თუ ურუმი და თუ ურუმის ქვეყნიდამ ამ მამულებშიდ ქარავანმა გაიაროს, ამაების ბაჟი შენ აიღო... რაც ამაში ბარათი სწერია, ამ კვალად აიღოთ, ან მოქალაქე, ან საქართველოს კაცი, ყუელასგან აიღო შეუწყენებლივ. ამაზედ ნამეტნავობა არა ქნათ რა“... შემდეგ ჩამოთვლილია საქონელი, რომელმაც შეიძლება აქ გაიაროს და მათზე დაწესებული თანხის რაოდენობა; დასახელებულია აბრეშუმი, ქამანის ფარჩა, თავრეზის ფარჩა, ბამბა, ხამი ხალათი, ბაგრასტი და მაუდი, ლანდრა, ბეწვეული, ქათანი, სპილენძი, შაბი, კინა (რკინა?), ბრინჯი, ერბო, ქონი, თაფლი, ენდრო, ძროხის ტყავი.

„ამაებს გარდა, რაც სომხით-საბარათიანოს მამულში ფარჩა

გაისყიდოს, ქალაქს მოსულს გარდა, თუმანზე აბაზი აიღეთ. რაც ამ გზებზედ საპალნეს გარდა წვრილათ ფარჩა გაიაროს, თუ ურუმისაკენ წავიდეს, თუ ყიზილბაშისაკენ, თუმანზე ორი შაური აიღე...

ქ. ამებს გარდა, ურუმიდამ რომ ჯალაბმან გაიაროს, თუ განჯისკენ, თუ ერევნისაკენ, ცხენზე რ (ორი შაური), ძროხაზედ ნ (შაური), ცხვარზე ი (ორი ფული). ესენიც ამ კვალად აიღე და ქალაქისაკენ მომავალთან ხელი ნუ გაქვსთ. და ქალაქიდამ თუ ვისმე რამე გამოეპარებინოს, თუმანზე ორი შაური აიღე“ (ნ. ბერძენიშვილი 1953ა: 275–276).

ბოლნისებიდან საბუთებში უმეტესად მინიშნებულია ზემო, შუა და ქვემო, მაგრამ არის შემთხვევები მსაზღვრელის გარეშე ბოლნისის დასახელებისა. შეიძლება ვიფიქროთ, ასეთ დროს აქ შუა ბოლნისი უნდა იგულისხმებოდეს, მაგალითად ერთი საბუთი 1782 წლისა: „ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი მისცეს თქვენს ყმას სახასო აზნაურშვილს ბოლნელს ფერშანგიშვილს ზურაბს. ქ. სანატრელმა ბატონიშვილმა ლევან ერთი ბეითალმანი მიწა გვიბოძა წიგნით. ახლა მელიქ მისაელა არ გვანებებს თქვენ უოქმოთ“ (ი. დოლიძე 1981: 560).

ამავე წლის მეორე საბუთიდან ჩანს, რომ შანშიაშვილებს ყმები ჰყავთ ბოლნისში, რომლებსაც დედოფლის ყმობა სურთ (ცსა, ფ. 1448, № 457). თითქოს ცხადია, რომ ორსავე შემთხვევაში შუა ბოლნისზეა საუბარი, რადგან შუა ბოლნისი „სადედოფლო სოფელია სულობით“ (ლორთქიფანიძე 1935: 293). აქ მამულები და ვენახები ჰქონდათ მეფეს, დედოფალს, ორბელიშვილ-ყაფლანიშვილებს, ბოლნელს, დმანელს და სხვებს. 1635 წ. ნასყიდობის წიგნის მიხედვით, ომან სულეიმანისშვილმა დემეტრე ყაფლანისშვილს მისცა შუა ბოლნისს მამამისის ნასყიდი ზვარი, „ქვემო ბოლნისის რუს ზეითი და ქვეითი მხარი, იოანეს ზვარი ერთი, ორღობე, ქვემო კაცია ღრეულის ვენაჯი, თავის სამართლიანის სამძღვრით, როგორც ჩვენ გვჭეროდეს ნიგვზით, ხილითა, შესავლითა, გასავლითა; გაოჯრებული იყო, მოგყიდეთ თქვენ და ავიღევით ფასი სრული“ (თაყაიშვილი 1909: 379); 1674 წ. შუა ბოლნისის მამასახლისს ფინეზას გიორგი ყაფლანიშვილისათვის მიუყიდია მისი ნასყიდი ვენახი „შუა ბოლნისს ბოლნელის ვენაჯს ქვეით“... აუღია „8 თუმანი ნაღდი თეთრი და სხვა ვეჯი“. ამის მოწმეებად დასახელებულნი არიან – თვითონ ბატონი ბოლნელი, შუა ბოლნისის ნაცვალი დათუნა და შუა ბოლნისის ამფაები... ხასადარი ბერუა, ბატონის დედოფლის ეშიკაღასი მანთაშა და „სრულა ერთობილნი სამივ ბოლნელნი“ (თაყაიშვილი 1909: 256–257).

შუა ბოლნისში ყოფილა ბაიდრისუბანი. ბაიდარი ელის მოსახლეობა იყო ქციის ქვემოწელზე. ჩანს ამათი ნაწილი შუა ბოლნისშიც მოსულა. 1690 წ. მეფე გიორგიმ ფეშანგი ფინეზაშვილს უბოძა „შუა ბოლნისს ბაიდრისუბანში ფეშანგის განაყოფის ამოვარდნილის ადიბეგაშვილის

მამული და გლეხი“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 87–88).

ამავე წლით დათარიღებულ მეორე საბუთში, შუა ბოლნისის ზვარს მართებდა 140 საპალნე ღვინო, ქვემო ბოლნისს – 43, წუღრუღაშენის ზვარს – 50,„სოფელს კულუხი საპალნე ორმოცდაათი“ (ხეც, Sd-1932v). ეს ზვრები სამეფო-სადედოფლო იქნებოდა.

სადედოფლო დასტურლამალში შუა ბოლნისის გარიგებისათვის ცალკე თავია გამოყოფილი, სადაც იკითხება: „შუა ბოლნისს თავზედ მალი მინალთუნი და ორი შაური. ეს უზალთუნი მემალისაა. ღალა შვიდზედ ერთი ათეული, ათეულის ერთი კოდი გამოვა. სამეხრეოსი ამ სოფელმა მკოს, ლეწოს; აზნაურშვილის ყმამა სამს დღეს უნდა მკოს, ერთ დღეს ლეწოს. აგრევე ზვრის მუშაობა, სარი, თუ დაბარვა. იმ სოფელმა და აზნაურშვილის ყმამ სამს დღეს ბარვა უშველოს.

კულუხი მეფის გიორგისაგან აწყვით: სამზედ ერთი ბატონისა,ახლა ხან ისე, ხან შეგდებით. ეს ღვინო და პური თემმა უნდა მოიტანოს თვითანვე.

სასვიანო მარჩილი ხუთი, სააღდგომო ძროხა ერთი, ცხვარი სამი, ბატკანი ორი, ქათამი ოცდაათი, კვერცხი ასი“... დაახლოებით ასეთივეა საშობაო და საყველიერო გამოსაღები; ბოლოს: „პირისთავი, ნახირისთავი, ღორის საბალახე, ძმრის ტკბილი. სახლთხუცესს საშობაო ცხვარი ერთი, მდივნებს – თვითო, სუფრაჯს – ერთი; ეშიკაღასს, მესტუმრეს – აბაზი, ხოჯას აბაზი“ (სურგულაძე 1970: 709–710). ბოლოს მოხსენიებული ხოჯა, შუა ბოლნისის მაჰმადიანებს უნდა გულისხმობდეს, ალბათ ბაიდრისუბანში.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1715 წ. ზაფხულში ჭარელ ლეკთა 8000-იანი მხედრობა საქართველოში შემოსულა: „ამათ მოსტყუვნეს ბოლნისნი და ქციის ჴევნი თავრგვალამდე“. აშიაზე მინაწერია: „პირველად ბოლნისის წახდენა ლეკთაგან“ (ვახუშტი 1973: 496). ამ დროს აოხრდებოდა სამივე ბოლნისიცა და მიმდებარე სოფლებიც. ლეკთა შემოსევა განმეორებულია 1730 და 1742 წელსაც. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1743 წ. ისინი „დაესხნენ ბოლნისებს და მრავალი ტყვე და საქონელი წაიღეს. ქვემო ბოლნისის მამასახლისი მადათა თავისავ სახლში გაუმაგრდა, არცარა დაანება და ხუთ ლეკს თავიც მოსჭრა. ამ ლეკის ჯარისაგან ზოგნი მოვიდნენ და დმანის ქვეითი ააოჴრეს, აღარსად გაუშვეს შენობა თვინიერ ციხეებისა“. ბოლნისები ლეკებს 1745 წელსაც „წაუხდენიათ“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 66, 98). 1747 წ. ლეკები ისევ დაეცნენ „ბოლნისის ხეობას“; მეფე ერეკლემ ქალაქიდან ყაფლან ორბელიანი მიაშველა; ფიცხელ ომში ყაფლანს თურმე თოფი ჰკრეს, დაწყლულებული მიუყვანიათ ბოლნისს, სადაც იგი გარდაცვლილა (პაპუნა ორბელიანი 1981: 133).

ამ წლებში ერეკლესაგან განმდგარი აბდულა-ბეგ ბატონიშვილი სამშვილდეს იდგა. იქვე ჰყავდა მას ლეკთა ჯარი, რომელიც გამუდმებით არბევდა სომხითს. „მთელს სომხითში ბოლნისის მეტი და სამწვერისის

მეტი შენობა აღარსად იყო“-ო, წერდა პაპუნა ორბელიანი. აბდულა-ბეგი სამშვილდიდან თავის ბატონობას ავრცელებდა არა მხოლოდ საბატონიშვილო, არამედ სამეფო-სადედოფლო სოფლებზედაც. ამიტომ, როდესაც თეიმურაზ მეფემ ის შემოირიგა, აბდულა-ბეგს მისცეს, რაც საბატონიშვილო იყო სომხით-საბარათიანოში, ხოლო ბოლნისები, წინწყარო და სხვა, რაც ძალით ეჭირა – ჩამოართვეს (პაპუნა ორბელიანი 1981: 239, 152). ამის მიუხედავად, აბდულა-ბეგის კარის კაცნი და მოხელეები სულ ყველა ბოლნისებში ყოფილან. თეიმურაზ მეფემ გაგზავნა რევაზ ამილახორი, რომელმაც ბოლნისის მოურავი – გლახა ციციშვილი დაიჭირა და აბდულა-ბეგის ყველა მომხრე ბოლნისიდან თბილისში მოიყვანეს. ბოლოსდაბოლოს, 1750 წ. ბოლნისები ისევ სახასო შეიქნა, ბატონიშვილს კი საბატონიშვილო სოფლები უბოძეს სარჩოდ (პაპუნა ორბელიანი 1981: 158, 176).

ლეკთა თარეში არც ამის შემდეგ დამცხრალა. 1755 წ. ერთი მათი მარბიელი ჯგუფი სომხითს მოსულა; „სამწვერისისა ციხესა შინა შეუტყვეს ადრე, ზოგნი გაუმაგრდეს შიგავ ბურჯებში და ზოგნი გამოცვივდეს ქვეით პატარას კარიდამ და ჩამოვიდნენ ციხესა ბოლნისისასა“. ამას მოჰყვება პაპუნა ორბელიანის თხრობა ბოლნისის ციხეში ლეკებთან ომზე. აღწერილობით მტკიცდება, რომ ესაა ბოლნისის სიონის გალავანი, სამრეკლო და გალავნის ბურჯები: „მოვიდა ცხენოსანი ლეკის ჯარი, დაყარეს ცხენები ტყეთა შინა, დააკეთეს კიბეები, მივიდნენ ბოლნისისა ციხესა ზედა, მიადგეს კიბენი და გარდვიდნენ ციხეში. მაშინ ბოლნისის ციხეში დადგენილიყო იოთამისშვილი დავით. შეუტყვეს მაშინვე აცვივდნენ კოშკებში, გაამაგრნეს ბურჯები და საყდრის თავში აიყვანეს დედაკაცნი ანუ ყმაწვილნი და რომელი იყვნეს ციხესა შინა, დაუშინეს თოფი, დახოცეს ლეკნი, რომ გალავანი სულ ლეკის სისხლით შეღებნეს, ხოცდენ ლეკთა გალავანზე და არა შეიშინეს და კიდევ გარდადიოდნენ ლეკნი ციხესა შინა, აივსო ლეკითა ციხე, იყო ერთი დღედაღამე ერთმანეთში სროლა, ლეკნი სახლებში იყვნეს და ციხის კაცნი – კოშკსა და ბურჯებში. ასე მამაცურად იყვნენ ბოლნელები, რომ დიდად საქებელი არის, აგრევე ორბელიანთ აზნაურიშვილები და ყმანი დაესწრნენ ციხეში, ასე ლომგულად ომი გარდაიხადეს, რომ მნახავთათვის სანატრელი იყო. აცნობეს მუხრანის ბატონს, წამოვიდა მაშინვე შველად მათდა, ჭაპალას რომ მოვიდა, ამბავი დახვდა: „ლეკნი ციხიდამ გავიდნენო“, თითონ აღარ ავიდა, ჯარი აარჩივა ციხისა კმა-საყოფელად და შეგზავნა ციხეში ბოლნისისასა. ლეკნი წავიდნენ დამარცხებულნი“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 234).

ზემოთ აღწერილი ამბები დაადასტურა ბოლნისის არქეოლოგიურმა გათხრებმაც: გამოჩნდა გალავანი დაახლ. 90მX56მ, რომლის ჩრდი-ლო-დასავლეთი კედელი შიგნიდან გამაგრებული ყოფილა ბურჯებითა და სამი კოშკით. გალავნის შიგნით აღმოჩნდა სახლების ნაშთებიც

(ლ. მუსხელიშვილი 1938: 353–354).

ბუნებრივია ამ გამუდმებულ შემოსევებს ვერ გაუძლებდა ისეთი მდიდარი მხარეც კი, როგორიც ბოლნისი იყო. 1765 წ. საბუთიდან ჩანს, რომ ბოლნისი გაუკაცრიელებულა: „ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ბოვნისელმა ერანგოზაშვილმა ნასყიდამ და შვილმა ჩემმა მამიამ, თქვენ ეშიკაღასბაშის ასლანიშვილებს გივსა და იოვანეს, ასე რომ თქვენი ნასყიდი ვიყავით და წყალობა გვიყავით, თავი დაგვახსნევინეთ და ჩვენს სოფელში კაცი არა სახლობს, მადამდინ ჩვენი სოფელი ისევ აშენდებოდეს და კაცი დასახლდებოდეს, ისევ შენს მამულში ვიდგე... ღმერთმან რომ მაღირსოს და ჩემი სოფელი აშენდეს, ისევ ჩემს სოფელში წავიდე“ (თაყაიშვილი 1910: 466).

1777 წ. იოანე მუხრანბატონის შვილი ერეკლე მეფეს სწერდა: „22 წელიწადი არის, რომ სომხითი და ბოლნისი დაიცალა. მაშინ ერთის დედით და ორის დით ეს ოსეფა მოვიდა მუხრანს და ჩემთან დადგნენო“ (ი. დოლიძე 1981: 384). მაშასადამე ბოლნისი 1755 წლიდან დაცლილა.

1780 წ. ლეონ ბატონიშვილი მანუჩარ მდივანს მიმართავდა: „დღეს ბოლნისში მივდივარ და ხვალისათვის ჩემთან გამოიყვანე ყველა ბოლნისელები მოხუცნი და ჯეელნი, რომელნიც თქვენთან დარჩნენ“ (ლ. მუსხელიშვილი 1938: 354). არ ჩანს სად იყვნენ გახიზნულნი ბოლნისელები, ან ელირსათ, თუ არა დაბრუნება.

ლ. მუსხელიშვილს გამოქვეყნებული აქვს ბოლნისის სიონის საფლავის ქვათა მხედრული წარწერები:

1. „განჩინებისა მისგან მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე მიწაო(?) და მეც ადამად აღვესრულე მკერვლისშვილი გივი და სახლეულნი ჩემნი დაუტევენ სულთქმით მტირალნი. სამარით გამო დუმილით გევედრები აღმომკითხველთა, შენდობას მიყოფდეთ(?). ქკს უმ“ = 1752წ. მკერვლისშვილები შუა ბოლნისს მოსახლე აზნაურნი და ყაფლანიშვილების ყმანი ყოფილან.

2. „ქ. სამარხოსა ამას შინა მონასა დავითს შენდობას უბძანებდეთ“...

3. „ქ. მოიხსენე უფალო მონა შენი, ცოდვილი დეკანოზი ონოფრე, ამინ“.

ეს ორი წარწერა უთარიღოა, მაგრამ ხელის მიხედვით, XVIII ს-სა ყოფილა.

4. „აქა მდებიარობას (sic) გვამი სახელმწიფო ყმის გიორგი ივანოვისა, რომელიც გარდაიცვალა ამიერ სოფლით ჩემთ წელსა მარტის ბ (?) დღესა. მხილველნო შენდობა ბძანეთ“ (ლ. მუსხელიშვილი 1938: 357).

ფეოდალური ხანის გვიანი საუკუნეების საბუთებში, ასევე ხშირად იხსენიება ქვემო ბოლნისი. ამ დროს ისიც სამეფო სახასო ჩანს, თუმცა აქ მამულები ბევრს სხვასაც ჰქონდა. 1636 წელს როსტომ მეფემ ბარათაშვილ ყაფლანს და მის შვილებს უბოძა ქვემო ბოლნისს ბარათას ნაქონი ზვარი, „ვითაც რომე ნასყიდობით ირჩოდითო“ (ხეც, Hd-14476).

1642 წ. იმავე როსტომმა მელიქ ნარიმანიშვილებს მისცა მირანშას ნაქონი მამული ქვემო ბოლნისში“...თავად აყრილი იყო და მერმე უშვილო და მისი ნაქონი სამართლიანი მამული და მიწა, წყალი, სასახლე და ჭურმარანი, მთით ბარამდისინ...თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია“-ო (ფუთურიძე 1955: 169).

1646 წ. მეფე როსტომმა ვინმე ყარჩიღა ნახიდურის მოურავად დააყენა; რაკი იქ ვენახი არ იყო,ამიტომ ქვემო ბოლნისში მასვე უბოძა კეჭუაშვილის ნაქონი ვენახი (ფუთურიძე 1955: 195).

საინტერესოა მინაწერი ერთი სახარების ბოლოს, რომელიც გარეჯის ნათლისმცემლის მღვდელს გაბრიელ საგინაშვილს ეკუთვნის: „ქორონიკონსა უვ მიუჴდა ლეკის ჯარი ბოლნისს მკათათვის იე წმიდას კვირიკობასა, სიონი გატეხეს წაიღეს ჯვარი და ხატი და ტყუჱ ბევრი ქუემოს ბოლნისიდამ“. ამავე ცნობის მიხედვით, ბაქარ ვახტანგის ძეს გაუგზავნია ჯარი ბატონიშვილების მეთაურობით. ქართველები მარაბდის ბოლოს შებმიან ლეკებს, დაუხოცავთ 300 მათგანი და გაუმარჯვიათ. ავტორი ქებით იხსენიებს ქართველ მებრძოლებს, განსაკუთრებით ბარათაშვილებს (თაყაიშვილი 1913-1914: 113). მაშასადამე 1718 წ. ლეკებს ბოლნისები კიდევ ერთხელ აუკლიათ და განსაკუთრებით ბევრი ტყვე ქვემო ბოლნისიდან წაუყვანიათ. ქართველ ისტორიკოსებს რატომღაც ეს შემოსევა არ აღუნიშნავთ.

ქვემო ბოლნისში ნაყიდი მამული ჰქონია ყარდაშა თუმანიშვილს 1736–1742 წწ. (ი. დოლიძე 1981: 18); ორი ნაყიდი ვენახი და ექვსი დღის მიწა – იოსებ ყორღანაშვილს 1796 წ. (ი. დოლიძე 1985: 390); სტეფანე ფირადაშვილს კი – მეფე ერეკლესაგან ნაბოძები სამი კომლი კაცი, რომელიც 1761 წ. ქვემო ბოლნელ ლუარსაბისშვილს მენაბდე ბეჟანას მისთვის წაურთმევია და იმსახურებდა. ამ საბუთზე ერეკლე II მიუწერია: „ქ. მდივანბეგებო, სომხითელთ აზნაურთა და გლეხთაგან მოკითხულობით შეიტყევით, და თუ სახასო ყოფილიყოს ასე რომ საბატონო; თუ არა და ვისიც ყმა ყოფილიყოს, იმას დაანებეთ“ (ი. დოლიძე 1981: 66).

საბუთების მიხედვით ქვემო ბოლნისში ჩანს მემკვიდრეობით დალაქი, ფორუმა მღებარი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 223), მენაბდე ბეჟანა (ზევით); მეჩონგურე შალვა, მეტიკისპირე როსტომა (ნ. ბერძენიშვილი 1940: 74). ხელობის ეს დარგები ქვემო ბოლნისში,შესაძლოა მისი დაბა-ქალაქობის მემკვიდრეობა იყო. ძალიან საინტერესოა 1800 წლის ერთი განჩინება,რომლის მიხედვით ჩანს,რომ თამაზ ორბელიანის ყმა გოგია ფანოზაშვილი მეფეს მოახსენებს: „მე ქვემო ბოლნელი თქვენი სახასო ყმა ვარ და ეშიკაღასბაში თამაზ ყმობით მეჭიდებაო“. საამისო ვერც წერილი და ვერც მოწმე მას ვერ წარმოუდგენია. თამაზ ორბელიანის ნათქვამ საბუთებს გოგია მაშინვე დამოწმებია და განუცხადებია – ორბელიანის ყმობა იმიტომ უარვყავ,რომ მაგან თავის აზნაურს მიმცაო.

სასამართლოს შუამდგომლობით, თამაზ ორბელიანმა ეს ფანოზაშვილი აღარ უნდა გასცეს, თავის სახასოდ ამყოფოს და თუ უნდა, ამის სამაგიეროდ თავის აზნაურშვილს სხვა კაცი მისცეს (ი. დოლიძე 1977: 176). ე. ი. XVIII ს-ის ბოლოს, ბოლნისისხეველი გლეხისათვის ყველაზე სასურველი მეფის სახასო ყმობა იყო, მერე – თამაზ ეშიკღასბაშისა, ყველაზე არასასურველად მიაჩნდა ორბელიანის აზნაურის ყმობა. ამის მიზეზი იქნებოდა სამი კატეგორიის მფლობელთა მიმართ, ფეოდალურ ვალდებულებათა განსხვავებული სიმძიმე და ასეთივე ყმათა რაოდენობა. ამისავე მოწმობად ჩანს არჩილ მეფის წერილი 1739 წ.: „ჩვენო დიდათ იმედათ მისაჩენელო და არაოდეს არ-დასავიწყარო შანშიას-შვილო ავთანდილ! ვისაც უნდოდეს, მოვიდეს და სამწერისის ჩვენს მამულში მოხნას. ღალას რვაზე ერთს გამოვართმევთ, მეტს არა ვთხოვთ“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 286–287).

ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიაში და მისსავე რუკაზე ზუკრუტი (ზიკრუტი) ბოლნისისხევის ბოლო, ორმოცდამერვე სოფელია ფოლადაურის სათავეებში. 1646 წ. როსტომ მეფე ასე მიმართავდა თავისი კარის ყაფიჩბაშს დონმაზა გოგიბაშვილ-შანშიაშვილს: „თქვენი სოფელი ზიკრუტი, ერთს ავს ხაშმს ალაგს ესახლა და იქიდამე აყრა მოინდომეთ და მაღალს ალაგს დასახლება და ვითაც სახლის აშენებასა და მოწყობაზედ ბევრს გაირჯებოდნენ, სამს წელიწადს სითარხნეს დაგვეაჯენით და ამ წესით ვითარხნეთ, რომე ერთის ლაშქრობისა და სათათროს საურის მეტი არა ეთხოებოდეს რა“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 30). არ ჩანს სად ესახლა და რა ერქვა ამ სოფელს ადრე, მაგრამ „ავი და ხაშმი“ (არაჯანსაღი, მავნე) ადგილი ბოლნისისხევის ბოლოს, ქციის ნაპირზე იქნებოდა. ახალი სოფლის სახელი კი პანტიანს აღნიშნავს სომხურად, რაც სავსებით შეესატყვისება მაღალსა და ტყიან გარემოს.

1711 წ. ვახტანგ ბატონიშვილმა სომხითის აზნაურიშვილს გოგიბაშვილს მისცა ჯოგის ადგილი ზიკრუტს, ტანძუტს და ჭიპექებში (ცსა, ფ. 1450, დავთ. 5, № 44). ჩანს, ეს ორი უკანასკნელი დასახლებაც სომხითის მთის სოფლებია, სადაც ჯოგის დაყენება იყო შესაძლებელი. ჭიპექი ვახუშტისთან უცნობია, ასევე ტანძუტი, რომელიც შესაძლოა მასთან აღნიშნული ხანძუტი იყოს – ჰუჯაბის მეზობელი სოფელი. 1722 წ. გოგიბაშვილ-შანშიაშვილებს ისევ ჰქონიათ მამულები ზიკრუტში, შანშისოფელს, ტანძუტსა და ჭიპექებში (ი. დოლიძე 1985: 881).

დღევანდელი აღ-ქერფი სწორედ ისევე ემეზობლება ჰუჯაბს, როგორც ხანძუტი ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში. ამიტომ შეიძლება ეს იყოს აღ-ქერფის ძველი სახელი. ამაშივე უნდა გვარწმუნებდეს აღ-ქერფიდან ზევით 1,5 კმ-ზე მდებარე ნასოფლარი დამბლუტი. ამ სახელწოდების სოფელი ვახუშტის რუკაზე ფოლადაურის მარცხნივაა, რაც ემთხვევა ნასოფლარის მდებარეობას ჰუჯაბისა და აღ-ქერფის სიახლოვეს. დამბლ-სომხურად ქლიავია, ე. ი. აქ მრავლად ყოფილა ქლიავი.

ტყით დაფარულ დიდ ნასოფლარში ტერასებად ჩანს ძველი სახნავ-სათესი. ნასოფლართან ძველი სასაფლაოა – დიდი, დაუმუშავებელი, ბრტყელი საფლავის ქვებით. ოდნავ მოშორებით შერჩენილა ნაეკლესიარის ბუდე, რომელშიც ხაჩქარებია აყუდებული. „დასტურლამალის“ შედგენის დროს, „სომხითის მთის“ ეს სოფელი მეფეს ეჭირა. 1721 წ. აღწერით, დამბლუტში ითვლებოდა 6 გამომღები, 5 ბოგანო და 6 აყრილი ყმა; მებატონეები – ზავრიშვილი და ყაფლანიშვილები (ლორთქიფანიძე 1935: 299).

ხუჯაბი 1721 წ. აღწერით ორი სოფელი ყოფილა: ზემო ხუჯაბში (სადაც მონასტერია), მებატონედ ითვლებოდა დედოფალი, მემამულეებად – ელიარაშვილები, 8 გამომღები და 3 ბოგანო ყმა. სოფ. ხუჯაბშიც მებატონედ დედოფალი ყოფილა, მემამულეებად – მამასახლისი და ელიარაშვილები, 8 გამომღები და 4 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 379). დედოფლის აზნაურ ელიარაშვილისა იქნებოდა ის რეზიდენცია, ვახუშტის რუკაზე რომაა აღნიშნული. აქვე ყოფილა ქორის ბუდე (ი. დოლიძე 1965: 324).

შაჰ აბასის შემდგომი პერიოდის სომხითისათვის დამახასიათებელია მფლობელობის ხშირი ცვლა, მიწების ამოძრავება, მათი თავმოყრა ადგილობრივ მსხვილ მიწისმფლობელთა ხელში. ასე მაგალითად, 1626 წ. სვიმონ II მახარებელ კოტრაშვილს უბოძა უზბაშ გიორგის ნაქონი სოფ. ხანძორკუტი (ხანძორისი) შულავრისწყლის მარჯვნივ, მის ზემოწელზე (ფუთურიძე 1955: 51–52); 1632 წ. იგივე ხანძორისი, უკვე ნასოფლარად ქცეული, ბაგრატ მეფემ ნასრ თუმანიშვილს უბოძა (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 271); 1633 წ. კი, როსტომ მეფემ ზურაბ ყაფარაშვილს გადასცა სომხითს სოფელი ხნძორკუტი, რადგანაც „უპატრონო იყო ასრე, რომე მემკვიდრე კაცი აღარა ჰყოლებოდა“-ო (ცსა, ფ. 1448, № 3255); 1702 წლისათვის დავით ურდუბეგაშვილმა ორბელიძე სარდარ სახლთუხუცეს ლუარსაბს ნასყიდობის წიგნი მისცა „მოგყიდეთ ჩვენი ალალი და სამკვიდრო მამულისაგან ხინძორკუტს, გზას ქვეით გულიაზას მიწა 3 დღისა, სასახლეს უკან ფანოზას მიწა ორის დღისა, ზვარები ნასყიდაშვილის მიწა ორდღენახევრისა...

ქ. ამას გარდა კიდევ მოგყიდე მირზიკაშვილის სახლი და კარი, კალო-საბძელი და ორის დღის თევდორეს მიწა.

ქ. მირზიკაშვილისა და ევატაშვილის მიწები სრულ თავისის ჩიგუნარითა, პანტას ზეით აკანათლის სამძღურამდის, ჴევს გაღმით ჩემი წილი მიწები, მაზმანიშვილის მიწა, გზასა ზეით თევდორას წილი ნავენახარი, ბუდახას წილი ნავენახარი, ბუდახას მიწა ერთი დღისა, ხორის მიწა, ფარსიაშვილის მიწა ჰაცუტისა. ესენი კიდევ თქვენთვის მოგვიყიდია“ (თაყაიშვილი 1909: 445).

1630 წ. თეიმურაზ I შიოშ სოლაღაშვილს წყალობის წიგნი მისცა: „სომხითს სოფელი ტალავერი ამას წინათ თქუენ გქონებოდათ ბედნიერის ბატონებისაგან და ახლაც თქუენ გქონდა... და ჩუენცა

გიბოძეთ მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა... და მისის მიშტარაშნითა თქუენთვის სამკუიდროდ და სამამულედ გუიბოძებია:... (თაყაიშვილი 1909: 410). ვახუშტის რუკაზე ტალავერში მთავრის რეზიდენციაა აღნიშნული, რომელიც სოლაღაშვილებისა უნდა ყოფილიყო. თავის „აღწერაში“ ავტორი, მის თანადროულ მთავართა ჩამოთვლისას ამბობს: „სოლაღაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა“ (ვახუშტი 1941: 24).

როსტომ მეფემ ბიძინა სოლაღაშვილს 1654 წ. უბოძა „მასრუტს (უნდა იყოს მანხუტს – დ. ბ.) ორსავ ჴევს შუა მისის ნასოფლარითა, ზემო ბეგის ძირს რომ გზა გავა, მის დატანებით... ვითაც ძველთაგან მამა-პაპა თქუენს ჰქონებოდათ“, ისევ ისე გქონდეთო (თაყაიშვილი 1909: 416). მანხუტის (მამხუტის) ხევი ტალავრისწყლის მეზობლადაა. სოლაღაშვილებისავე იყო XVII ს. ჭაპალის ციხე და სოფელი. 1664 წ. მეფე შაჰნავაზმა ელიზბარ სოლაღაშვილს საბუთში ჩაუწერა: „თქუენი მამა-პაპათ ძუელითგან სამკუიდრო და ყოვლის კაცისაგან მოუსარჩლელი ყოფილიყო, ჩუენცა... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჭაპალა მისის ციხითა, სასახლითა, მისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, უხნავითა... სამკვიდროდ და საბოლოოდ გვიბოძებია“. საბუთის სპარსული ტექსტით ვიტყობთ, რომ ელიზბარისათვის ჭაპალასთან ერთად გადაუციათ „მისი კუთვნილი სოფლები, მიწები და ველები“ (ფუთურიძე 1955: 303–305).

1749 წ. ზაზა სოლაღაშვილმა ჭაპალა დიმიტრი ორბელიანს მიჰყიდა: „სამკვიდრო და მამა-პაპათაგან დაგდებული... მამული სოფელი ჭაპალა... მომიყიდია თავის სამართლიანის საზღვრითა: ზეით ხატისოფლისა და ბოლნისის სამძღვრამდი, ბოლოს აღბაბალუს სამძღვრამდი, გვერდით მაშავრის სამძღვრამდი, მეორე გვერდი გორის ძირამდე... თავისი ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა და სახნავ-სათიბითა, ჭალითა, მთითა, ბარითა და ციხითა, ზვრითა, ხოდაბუნითა, ქვევრ-მარნითა შესავლითა და გასავლითა“ (ცსა, ფ. 1448, № 9230).

ამ საბუთში ნახსენები ჭაპალის ციხე, როგორც ჩანს, მაშინ დაზიანებული ყოფილა, რადგანაც 1750 წელს, მეფე თეიმურაზის ბრძანებით, დიმიტრი ორბელიანს აუშენებია შულავრის, მარნეულისა და რატევნის ციხეები, ხოლო ერეკლე მეფის ბრძანებით, მასვე განუახლებია ჭაპალის ციხეც. თამაზ ორბელიანს ლექსად აღუწერია იგი:

„შვილისა მსგავსად აღმზარდა მეფემ ერეკლემ სვიანმა,
კოშკი ავაგე სალხინოთ მე თამაზ ორბელიანმა;
რა განახე ციხევ ჭაპალავ, მაგარსა, მაგარ კლდევანსა,
არტილერია გარს გარტყავს, უპყრია მეციხოვანსა.
მიხარის ყოფნა ველსა ვჭვრეტ და ბაღსა ბულბულოვანსა,

გაუძნელდება შემოსვლა მტერსა მსხდომ ძალგულოვანსა.
უცხოს გზით შემკობილი ხარ შიშით აშტერებ ყოველსა,
უგულოს მისცემ ძალ-გულსა, შეჭირვებაში თმენასა!
თუ ვარსკვლავებსა შეიპყრობს, რა ღირსა აღმაფრენასა
და აქ ეს არის საჭირო, რომ ვსჭვრეტდეთ წყლისა ჩქერასა“
(იოსელიანი 1980: 94–95).

ეს თამაზ ორბელიანი გიორგი XII დროინდელი ეშიკაღასი უნდა იყოს, რომლის ლექსიდან ჩანს, რომ ჭაპალის ციხეს თავისი ფუნქცია არ დაუკარგავს XIX ს-მდე, თუმცა ბოლო სტრიქონი წყლის ნაკლებობაზე მეტყველებს. მართლაც 1800 წლის საბუთში ჩანს, როგორ დავობენ ფოლადაურიდან ამოღებულ სარწყავ არხზე თამაზ ორბელიანი და იოანე მუხრანბატონი. ამ წლის საბუთებში ჭაპალის მამულის ქვევით დასახელებულია სოფლები აღდაში და ყოშაქილისა (ი. დოლიძე 1977: 155–156; ი. დოლიძე 1985: 604–605). ამ სახელწოდების სოფლები კი XVIII ს.-ის I მეოთხედში ტაშირშია დამოწმებული (ლორთქიფანიძე 1935: 285, 362). ეს ორი სოფელი ქართულ ხელისუფლებას ტაშირიდან, როგორც ჩანს, XVIII ს-ის II ნახევარში გადმოუყვანია და ჭაპალის მამულის ბოლოს დაუსახლებია.

1755 წ. ერთ საბუთში, აქ უნდა იგულისხმებოდნენ ყოშაქილისის ელის თათრები, რომლებსაც ბახუტა შანშიაშვილი ფეტვსა და ბამბაზე უჩიოდა (ენუქიძე 1964: 25).

1801 წ. ყოშაქილისა დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდა (თაყაიშვილი 1910: 300).

ყოშაქილისა თურქულად წყვილ ეკლესიას ნიშნავს, ქართულ ორსაყდრებს (ნასოფლარია მაშავრისხევში). ასეთი მოვლენა შესაძლოა ქართულ-სომხური ნარევი მოსახლეობის ნაკვალევი იყოს. ყოშაქილისა კი ძველ ქართულ ნასოფლარზეა დასახლებული. იქაური დარბაზული ეკლესია გათლილი ქვითაა ნაგები შიგნიდან და გარედან ჰორიზონტალური წყობით. დასავლეთ საკმელს ორმაგი, რელიეფური ჩარჩო აქვს, რომელსაც ზევიდან რელიეფურივე ჯვარი აზის. აღმოსავლეთ სარკმელსაც ორმაგი რელიეფური ლილვით გამოყვანილი წარბი ამკობს. დასავლეთი შესასვლელის ბალავრისა და ამყოლის ქვები აღარაა. სამხრეთით, 10-ოდე მეტრზე შერჩენილია მეორე ეკლესიის (?) ბუდე. ამ შენობებს, რომელთაგან გადარჩენილი შესაძლოა განვითარებული ფეოდალიზმის ხანისა იყოს, ირგვლივ გალავანი ჰქონია. სოფლის ძველი ქართული სახელი არ ჩანს. ვახუშტის რუკაზე ამ ადგილებში ორი თათრული ობაა აღნიშნული მირასანი და დურღაია. ეს უნდა იყოს დასტურლამალში ელის მოსახლეობაში ჩამოთვლილი „დურღა იმირ ჰასანი კომლი 67“ (ი. დოლიძე 1965: 289). მირასანი თუ დღევანდელი იმირასანია, მაშინ ყოშაქილისამ შეიძლება დურღაია შეცვალა. სოფლის სიახლოვეს,

მდინარის პირას ნამოსახლარი გორა ჩანს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკული ნაშთებით.

ტალავრისხევში სოლაღაშვილების გარდა მამული ჰქონიათ ეჯიბისშვილებსაც. საბუთში, რომელსაც მათ როსტომ მეფე აძლევს 1651 წ. ხსენებული ხევის საინტერესო რეალიებია ასახული, თან დასახელებულია სოფელი, რომელიც შემდგომში აღარ ჩანს: „გიბოძეთ ძველთაგანც თქუენი ნაქონი ტალავრის თავს... სოფელი მიშტარაშენი... ტალავერს ჩუენი სახასო მებადური შავერდაშვილები... ტალავრისა და დარბაზის სამზღვარზე და თქუენგან ნასყიდი მიწა, სავენაჰე, ახალშენი ბაგა“ (თაყაიშვილი 1909: 266).

ზევით ვნახეთ, რომ მიშტარაშენი სოლაღაშვილებს ჰქონდათ, 20 წლის შემდეგ ის ეჯიბისშვილებისაა და ისიც „ძველთაგან...“ ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე და სოფლების სიაში ასეთი სოფელი აღარაა, ამ საბუთში კი მისი მდებარეობა განსაზღვრულია „ტალავრის თავს“; ე. ი. ეს გამოთქმა შეიძლება გავიგოთ როგორც „ტალავრისხევის სათავეში“ ან მის კიდეზე, რადგან ასეთი შემთხვევები საბუთებში ჩვენ სხვაც გვაქვს: „ახალქალაქის თავს სოფელი ოკამი“ ჯავახეთშია. (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 30). ტალავრისხევის ზემოწელზე, სოფ. დარბაზის მიდამოებში რამდენიმე ნასოფლარია, გვიან საუკუნეთა ეკლესიების ნანგრევებით. შესაძლოა ერთი მათგანი ყოფილიყო მიშტარაშენი. ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში აქ აღნიშნულია სოფლები გილაგდაგი, ხოვარას სოფელი, ხანძორკუტი, ისაკას სოფელი. ერთ ნასოფლარს ტალავრისწყლის მარცხნივ, ეკლესიის ნანგრევი და სასაფლაო რომ ახლავს, ალმალიღ-ს უწოდებენ, თურქულად ის ქართულ ვაშლოვანს აღნიშნავს. ეს უნდა იყოს ვახუშტისეული სოფელი ხანძორკუტი, რაც ამ სახელის სომხური შესატყვისია (ხნძორ – ვაშლი).

ტალავერი ამჟამად არ ჩანს. მისი სახელი მხოლოდ ხევს შერჩენია (ტალავერ-ჩაი). ვახუშტის რუკაზე ის ხევის მარცხენა ნაპირზეა,პირველ სოფლად აღნიშნული ჭაპალის ციხის სამხრეთით. ზემოხსენებულ საბუთში ის დარბაზს ესაზღვრება („...ტალავრისა და დარბაზის სამზღვარზედა თქუენგან ნასყიდი მიწა“...)

1772 წ. გიულდენშტედტი შულავრიდან ყოშაქილისას მისულა, „ის მდებარეობდა რამდენიმე ასეული ნაბიჯის მოშორებით ქციის სამხრეთი ნაპირიდან. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ახალი ციხე ტალავერი და სამხრეთ-დასავლეთით – სარკინეთი, საიდანაც თბილისსა და მთელ ქართლში გააქვთ წისქვილის ქვები“ (გიულდენშტედტი 1962: 79).

1715 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ტალავერი ბოქოულიშვილისაგან აღალუა ყორღანოვთან ყოფილა დაგირავებული. იმის ქირას თეთრის სარგებელში, აღალუა იღებდა ქაფანაქჩელთაგან 22 თუმანსა და 8 მინალთუნს წელიწადში (ნ. ბერძენიშვილი 1955: 442) ე. ი. ტალავრის მიწები მაშინ ქაფანაქჩელებს ქირით ექნებოდათ აღებული.

ეს უნდა იყოს ნასოფლარი და ეკლესია სოფ. დარბაზის ჩრდილოეთით, მდინარის მარცხნივ, რომელსაც თანაჰლის უწოდებენ. ეს სიტყვა ადგილობრივ, თურქულენოვან მოსახლეობაში აღნიშნავს ნავენახარ ადგილს. მართლაც აქ მრავლადაა საწნახელთა ნაშთები, გაველურებული ვაზი და კაკლის ხეები. მარცხენა სანაპიროს დარბაზიდანვე ნაარხალი მოუყვება შედარებით გაშლილ ფერდზე. ტალავრისწყლის მარცხენა შენაკადის ნაპირას დიდი ნასოფლარია კაკლის ხეების ტყით დაფარული. აქვეა საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია ნაგლეჯი ქვით კირზე ნაგები, შიგნიდან შელესილია. ეკლესიას გალავანი არტყავს. მის აღმოსავლეთით ორი საფლავის ქვაა, ერთ მათგანზე ადამიანის სტილიზებული გამოსახულებაა. ეკლესიის დასავლეთით ოთხოთახიანი შენობის ნაშთია ბუხრებითა და თახჩებით. აქვე მოზრდილი კოშკის ნანგრევია. ყველაფერი ეს უნდა იყოს ძველი ტალავერი, რასაც ვახუშტის რუკაც უჭერს მხარს.

ხევგაღმა მეორე ნასოფლარია, დარბაზული ეკლესიით, რომლის კარ-ფანჯრები და საკურთხეველი ისრული თაღებითაა ამოყვანილი. აღმოსავლეთ კედელზე სარკმელთან სომხურწარწერიანი ქვაა ჩასმული, საიდანაც ჩანს, რომ ვინმე ნაზარს აუგია ეკლესია 1682 წ. გიულდენშტედტის მიერ დასახელებული ტალავრის ახალი ციხე, უნდა იყოს დღევანდელ ტილ-დაღის მთაზე, მშრალად ნაწყობი კედლებით ნაგები გალავანი. კედლის სისქე 1,5 მ-ია, სიმაღლე – 2 მ-მდე. კედლებში დაყოლებულია სამზერები, თუ სათოფურები. შიგნით, კედლის გაყოლებით მცირე სადგომთა ნაშთებია.

ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაშიც დარბაზი მანხუტისხევშია; სინამდვილეში კი ასეთი სოფელი დღესაც ტალავრისხევში, მის მარჯვენა სანაპიროზეა. 1643 წ. თეიმურაზ მეფემ რევაზ ბარათაშვილს უბოძა „ტალავრის დარბაზი, შუა ბოლნისის მოურაობა“ (ცსა, ფ. 1449, № 1267). ორი წლის შემდეგ კი როსტომ მეფემ, სომხითის ტალავრისხევში მყოფი აგარაკი დარბაზი, ქარატაკისა და მამხუტის საზღვრებამდე შესწირა სვეტიცხოველს (საურმაგ კაკაბაძე 1967: 173). ქარატაკი დმანისხევშია, ამიტომ აქ მანხუტისხევში მყოფი სოფელი კირაკოზასი შეიძლება ვიგულისხმოთ.

1780 წ. ანტონ კათალიკოსმა დარბაზის მოურავობა თაზიშვილებს უბოძა იმ პირობით, რომ „რადგან ის სოფელი ვერანა არის, უნდა გაისარჯნეთ და ააშენოთ და რომელიც მართებულია, ისე გვამსახუროთ“ (თაყაიშვილი 1910: 167). თაზიშვილებს ეს სოფელი აუშენებიათ; ანტონ II კათალიკოსმა 1803 წ. სვიმონ თაზიშვილს სიგელი მისცა: „გიბოძეთ სომხითს ჩვენს სახასოში დარბაზს ორი კომლი კაცი... თავისის მთითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა, ვენახითა და სახნავითა“ (თაყაიშვილი 1910: 185).

სოფ. დარბაზს დასავლეთიდან ქედი დასცქერის, რომელზედაც სომხური ეკლესია დგას. ის თითქმის სანახევროდ ხაჩქარებითა

და მათი ბაზისებითაა ნაგები. შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. დასავლეთ კედელში ორი დიდი ხაჩქარი გამოსაჩენ ადგილზეა ჩაყოლებული, ორი მცირე კი – სულ დაბლა რიგში. ერთ მათგანს სომხური მთავრული ასოებით თარიღი უზის 1615 წელი. ჩრდილოეთი შესასვლელს ბალავარზე სომხური დაზიანებული წარწერა აქვს, საიდანაც ირკვევა, რომ 1627 წ. ძმები გრიგორ, ბარსელ და წერიკ (?) აშენებენ ეკლესიას.

ამავე სოფლის აღმოსავლეთით ქედზე მეორე გვიანი ეკლესიაა, რომლის კედლებში ჩაყოლებული უძველესი სტელები და ბაზისები ზევით მოვიხსენიე.

ზემოხსენებულ საბუთებში დარბაზის არსებობა ტალავრისხევში იმიტომაა ხაზგასმული, რომ ფოლადაურის მარჯვნივ, შუა ბოლნისის სიახლოვეს იყო მეორე დარბაზიც. 1626 წ. ერთი საბუთის მიხედვით, სვიმონ მეფემ თუმანიშვილებს თაყას, ბირთველს, მანუჩარს, დავითს, ერთგულებისათვის უწყალობა დარბაზი „სამკვიდროდ და საბოლოოდ“. ამ საბუთის სპარსულ ნაწილში იკითხება: „ვუბოძეთ მამუკა ქართლელის შვილებს – მანუჩარს, თაყას, ბირთველს და დავითს... სომხითს დამოკიდებული სოფელი პატარა დარბაზი“ (ფუთურიძე 1955: 53, 55). წუღრუღაშენსა და სამწვერისს შორის მდებარე ამ დარბაზში, სამწვერისიდან იქ მიმავალი გზა იხსენიება ერთ საბუთში (ცსა, ფ. 1450, დავთ. 10, № 9). ეს სოფელი შემდგომ ხანებშიც თუმანიშვილებს შერჩენიათ. გასპარა შატკერაშვილი 1719 წ. ზაალ თუმანიშვილს მოახსენებდა: „დარბაზელი თქვენის ყმის გოგიაშვილი დათოასაგან ჭალის პირს ცოტაოდენი მიწა ვიყიდე, ჩვენს ვენახს შევრთევ. ჩემის ნებაწადილობით კულუხი დავიდევ, რომე წელიწადში ერთი ბატონის... ტკბილი კულუხი მოგაბარო ყოველს სთველზე გაურჯელათ“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 182).

იმავე დარბაზს უნდა გულისხმობდეს 1785 წლის ერთი საბუთი, რომლის მიხედვით პაპა ელიარაშვილი დარეჯან დედოფალს მოახსენებდა, რომ მისი ნავენახარი „სახასო არ ყოფილა, დარბაზის მამული ყოფილა, დარბაზელებისაგან ნასყიდია“. ამას ემოწმებიან სხვებიც: „... მოწამე ვარ, ელიარაშვილს იასეს ბოლნის ჭული დარბაზის მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ჰქონდა ვენახი... გოგია მოლარე შანშიაშვილი ამა ზემოთი ნაწერი, შაბურიშვილის ნაწერის მოწმე ვარ, რომ ეს მულელაშვილის ყოფილა, შვაბოლნისის მამული არ არის და დარბაზის არის თუმანიანთ ყმისაგან ნასყიდი არის... იაგულაშვილი ზაალ ამის მოწამე ვარ, რომ ბოლნის ჭული დარბაზის მიწაში ერთი ვენახი ქონდა და იასე ელიარაშვილს თუმანიანთ ყმისაგან ჰქონდა ნასყიდი... შანშიაშვილი სიმონ ამის მოწამე ვარ: ელიარაშვილს იასეს ბოლნის ჭული დარბაზის მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ვენახი ჰქონდა“... (თაყაიშვილი 1910: 170–171). ამ საბუთში სამჯერ ნახმარი „ბოლნის ჭული“ თითქოს დარბაზის მსაზღვრელია, რითაც ის ალბათ

განსხვავდებოდა ტალავრის დარბაზისაგან; ეს სოფელი იგივე პატარა დარბაზი უნდა იყოს, შუა ბოლნისის მეზობლად მყოფი.

ტალავრისხევის ბოლოს დიდი სოფელი ფახრალუა. იგი XVIII ს-შია დასახლებული თურქმანული ტომებით. ჩანს ისინიც ძველ ნასოფლარზე მოსულან, რადგან სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მყოფ გორაკზე გვიანი საუკუნეების ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი, რომელსაც ირგვლივ სასაფლაო ახლავს, მოზრდილი, დაუმუშავებელი საფლავის ქვებით.

სპარსულ და ქართულ საბუთებში შემორჩენილია ცნობები ფახრალუს ელის შემოსახლების ვითარებაზე. 1746 წლის სპარსული საბუთი გადმოსცემს ერეკლე II ბრძანებას: „... რაკი ფახრალუს ჯამაათის ხელმძღვანელობა და უფროსობა, რომელიც ჩვენ განჯიდან ჩამოვიყვანეთ, ამ რამდენიმე ხნის წინ მოვსეს არღუთ ოღლის ჩაბარდა, ხოლო ახლა, რაკი მისი ურიგო საქციელის შედეგად მაღალი ვექილისათვის მისი ბოროტი ვერაგობა აშკარა შეიქმნა და გამომჟღავნდა, ამიტომ იგი თანამდებობიდან გადაყენებული იქნა, მას ხსენებული ელი ჩამოერთვა და ... ეს თანამდებობა მაღალადგილოვან ივანებეგ მეითარისათვის გვიბოძებია, რათა ხსენებულმა ელმა ამიერიდან... სამსახურის შესრულებაში თავდადება გამოავლინოს, ხოლო მან (ივანე-ბეგმა) თავის წილ ხსენებული ელი თავის ერთგულ ქვეშევრდომად იგულოს“ (ტაბატაძე 1985: 133–134).

1778 წ. ერთ ქართულ საბუთში ერეკლე მეფე შიოშ არღუთაშვილს მიმართავდა: „ფახრალი ელი საქართველოს მიწაწყლიდან აყრილიყო და განჯას მისულიყო და იქ დამდგარიყო, კარგა ხანი იქ დაეყვნათ. თქვენ დიდად გაისარჯენით და მრავლის ცდით ეცადენით და განჯიდამ ჩვენის დასტურით და ნებით, ფახრალი ელი საქართველოს მიწაში მოასხით... ჩვენც წყალობა გიქმენით და საყმოდ თქვენვე გიბოძეთ“. იქვე ნათქვამია, რომ ვიღაცის შესმენით, ეს ელი მეფეს ცოტა ხნით ჩამოურთმევია არღუთაშვილებისათვის, მაგრამ შემდგომში დარწმუნებულა მათს უცოდველობაში და ფახრალი ელი მათთვის უკანვე დაუბრუნებია (სცა, ფ. 1450, დავთ. 20, № 47).

ეს ორი საბუთი ერთმანეთს ავსებს, საიდანაც ვიტყობთ, რომ ელი განჯიდან მეფის ინიციატივით ჩამოყვანილი, ისევ უკან გაბრუნებულა. არღუთაშვილების მცდელობით, შემდგომში იგი საქართველოში მოსულა და ერთ ხანს ივანე მეითრისათვის ჩაუბარებიათ; საბოლოოდ ფარხალუ ისევ არღუთაშვილებს დაუბრუნეს.

ტალავრისხევის მეზობელ მანხუტისხევში, ჩანს ძველთაგანვე მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა მანხუტი (მამხუტი), რომლის შესანიშნავი ეკლესიები ზემოთ აღვწერე. სოფელს არც გვიან საუკუნეებში დაუკარგავს თავისი ფასი და, როგორც საბუთები მოწმობენ, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. 1636 წ. როსტომ მეფემ სომხითს სოფ. მამხუტი „მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა,

ვენახითა“, შიოშ ხმალაძეს დაუმტკიცა (ფუთურიძე 1955: 133); 1643 წ. კი, მეფემ ეს სოფელი ძველსავე მფლობელებს დაუბრუნა, შიოშ ხმალაძეს კი სხვა მამული მისცა: „ოდეს მუხრანის ბატონისა და ბატონიშვილის გიორგის სოფელი ამას წინათ თქუენ წყალობად გიბოძეთ და ვითაც იმათი სამკვიდრო იყო, მამხუტი გამოგართვით და იმათ უბოძეთ“-ო (ფუთურიძე 1955: 180), ზემოთ ვნახეთ, რომ აქვე მფლობელობა ჰქონიათ სოლაღაშვილებსაც.

1651 წლითაა დათარიღებული საბუთი, რომელიც მანხუტისხევის სოფლების შედარებით ძველ ვითარებას აგვიწერს. როსტომ მეფე მიმართავს კარის მესტუმრეს დონდარ ეჯუბისშვილს და მის ძმას ზურაბს: „მას ჟამსა, ოდეს ბედნიერთ ჴელმწიფეთა პაპა-მამათა ჩუენთა პაპა თქუენი და მამა თქუენი ლორიდაღმა აეყარა და სომხითს გარდმოესხა და ბედნიერს პაპასა ჩუენსა მეფესა პატრონსა ლუარსაბს და მეფესა, პატრონსა სვიმონს პაპა-მამათა თქუენთათვის წყალობა ექნა და ებოძებინა სომხითს ოჴერი ნასოფლარი ყუდრუ და ნასოფლარი შიხჩობანი, და პაპა-მამათა თქუენთა აეშენა და სამკუიდროდ დაგრჩომოდა... აგრეცე შულავერს ერთი ვენაჴი მამის თქუენისაგან ნასყიდი; კიდეცე მამხუტის თავს ნასყიდი მთის მიწები“... ყველა ამათი დამწვარი სიგელები მეფეს განუახლებია: „გიბოძეთ სოფელი ყუდრო და სოფელი შიხჩობანი მათის ნასოფლარებითა... შულავერს თქუენი ნასყიდი ვენაჴი და მამხუტის თავსა ნასყიდი მთის მიწები“ (თაყაიშვილი 1910: 2).

გამოდის, რომ დაახლოებით XVI ს-ის შუა ხანებში, როდესაც ეჯუბიშვილები ლორიდან სომხითში გადმოუსახლებიათ, მანხუტისხევში ყუდრო და შიხჩობანი ნასოფლარები ყოფილან, რომლებიც ეჯუბიშვილებს დაუსახლებიათ. მათვე უყიდიათ „მამხუტის თავს მთის მიწები“, რომლებიც ყუდროსა და შიხჩობანის სიახლოვეს იქნებოდა. საინტერესოა, რომ მას მერე, რაც ყუდრო და შიხჩობანი სოფლებად იქცნენ, მათ მაინც დარჩენიათ ნასოფლარები – „სოფელი ყუდრო და სოფელი შიხჩობანი მათის ნასოფლარებითაო“. ე. ი. ძველი ნასოფლარების გვერდით, იმავე სახელწოდების ახალი სოფლები გაშენებულა.

ზემოთქმულს ადასტურებს ადგილზე არსებული ვითარებაც: არის სოფ. ყუდრო საღსაღანისწყლის მარცხნივ, მის ზემოწელზე, და არის დიდი ნასოფლარი „ბაშ-ყუდრო“ სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან დაახლოებით 2 კმ-ზე. „ბაშ“ თავია თურქულად და ნასოფლარის სახელი უნდა გავიგოთ, როგორც „მთავარი“, „ძირითადი ყუდრო“. ეს მოზრდილი ნასოფლარი ქედზეა შეფენილი, სადაც კარგად შენახული დიდრონი ნასახლარებია. მათ შორის სიდიდით გამოირჩევა 6-7 ოთახიანი შენობის ნაშთი, თავისი დიდი მარნით. აქვე დარბაზული დიდი ეკლესიის ნანგრევია, საკურთხეველთან გამოყოფილი სამკვეთლოთი და სადიაკვნეთი; ეკლესიაში ხაჩქარი გდია, გარეთ – ერთი ბრტყელი

საფლავის ქვა. ნასოფლარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 200 მ-ზე, კიდევ ერთი დარბაზული ეკლესიაა, ნაგლეჯი ქვით კირზე ნაშენი; ირგვლივ ძველი სასაფლაოა, დაუმუშავებელი საფლავის ქვებით, მხოლოდ ერთზეა გამოსახული გულხელდაკრეფილი ქალი.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ყუდროსთან აღნიშნულია აზნაურის რეზიდენცია, რაც ზემოთ აღწერილ ნანგრევებთან შეიძლება გავაიგივოთ, 1721 წლის აღწერით, ყუდროში მებატონეები იყვნენ თუშმალიშვილები (ლორთქიფანიძე 1935: 363).

დღევანდელი სოფელი ყუდროს სომხური მოსახლეობა, მათივე თქმით, შულავრიდანაა გადმოსული დაახლოებით ამ 200 წლის წინ. სოფელში ახალი დარბაზული ეკლესიაა, რომლის წყობაში ძველი ხაჩქარებია ჩაყოლებული, მას სურბ-სარგისს უწოდებენ. ირგვლივ ძველი და ახლაც მოქმედი სასაფლაოა, არის ყოჩების ქანდაკებები, აქვეა დიდი ხაჩქარი.

სოფ. ყუდროს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხევგაღმა მთაზე ნასოფლარია და ეკლესიის ნანგრევი. ახლა ამას გონდაღ-საზს უწოდებენ. ეკლესიის ნანგრევში, საკურთხევლის ადგილას ლამაზი ხაჩქარია ჩადგმული; ირგვლივ სასაფლაოა, დაუმუშავებელ საფლავის ქვათა შორის, ორზეა ადამიანის სქემატური გამოსახულება; აქედან დასავლეთით, დაახლოებით 300 მ-ზე, სახურავჩაქცეული მეორე დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, დასავლეთ შესასვლელს ისრული თაღი აქვს. შესაძლოა ეს ყოფილიყო შიხჩობანი, ანუ ჩოხჩობანი, როგორც მას ვახუშტი ბატონიშვილის სოფელთა სიაში ვხვდებით. სოფლის სახელწოდება ეგების დაუკავშირდეს ვინმე შიხიას სახელს. საინტერესოა, რომ 1721 წლის აღწერით, ისევე როგორც ყუდროში, აქაც მებატონეებად ითვლებოდნენ თუშმალიშვილები (ლორთქიფანიძე 1935: 368). ესენი კი ლორიდან გადმოსახლებულ ეჯიბიშვილ-ეჯუბიშვილთა შთამომავლები უნდა იყვნენ, რომელთაც ყუდროს და შიხჩობანის ნასოფლარები დაასახლეს. ქართულ-სპარსულ საბუთებში ქართული ტექსტის დონდარ ეჯუბისშვილს, სპარსული ტექსტი „დონდარ-ბეგ თუშმალს“ უწოდებს (ფუთურიძე 1955: 294–296).

შიხჩობნის მეზობლად ყოფილა ირისკოპოზის სოფელი, რომელიც სანაინის ეპისკოპოსის აშენებულად ითვლებოდა და ქართველ მეფეთაგან მისთვის შეწირული მამული იყო (ფუთურიძე 1955: 293–294). 1679 წ. ერთი საბუთის მიხედვით, „თუშმალი ზურაბა და მისი ძმისწულები და სანაინის ეპისკოპოზი ჩხჩობნისა და ირისკოპოზის სოფლის მიწების სამძღვარზედ შეცილებულიყვნენ და ბატონს შემოსჩივლეს“. მეფის მიერ საქმის გასარჩევად გაგზავნილ პირებს მოწმეები მოუყვანიათ ადგილობრივ მოსახლეთაგან: „ყაულიამ იმოწმა ერთხელ ბატონის ბაგრატის დროს სამიოდ-ოთხის დღის მიწის ღალა ავიღეთო და ჩვენს სოფელში მოვიტანეთო და სხვა სრულ ტყე იყო და პარონტერმა გააყენაო, მას უკან ყველას პარონტრის სოფელი სჭამსო.

პარონტერმა სხვა მოწმეები მოასხა. იმათ ასრე იმოწმეს: ეს ალაგი დიდი ტყე იყო და იმ ირისკოპოზის სოფლელთ გააყენესო და ესენი სჭამენო. სხვა ცილება არ გაგვიგონია... სანაინის პარონტერმა სანაინის ყოვლადწმინდის ხატი და სამების ხატი მოასვენეს და სრულ ერთპირად სოფელი შეიყარა და ფიცევდეს და თუშმალმა და შავერდამ არ აფიცეს. მიწები იმავე ეფისკოპოზს დარჩა“ (ი. დოლიძე 1972: 142–143).

პირველი მოწმის მიერ დასახელებული ბაგრატი ბაგრატ-ხანია, დაუდ-ხანის ძე. მაშასადამე XVII ს-ის დასაწყისში ჩოხჩობანსა და ირისკოპოზის სოფლის საზღვრად ტყე ყოფილა, რომელიც ირისკოპოზის სოფლელებს გაუჩეხიათ და მიწები აუთვისებიათ („სჭამენო“). თუშმალი ზურაბი ზემოხსენებული დონდარ ეჯიბისშვილის ძმა იყო, შავერდა კი – დონდარის ძე. ჩანს ამ წლებში ისინი იყვნენ შიხჩობნის მებატონენი. სანაინის ყოვლადწმინდის ხატთან ერთად მოუსვენებიათ სამების ხატიც. ეს სამება მანხუტისხევის ეკლესია და სოფელი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც სოფელი ერთპირად დაიფიცებდა. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე და სოფლების სიაში სოფელი სამება მანხუტისხევშია მდინარის მარცხნივ, მანხუტის დასავლეთით.

სოფ. სარაჩლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 1 კმ-ზე დიდი ნასოფლარია და ეკლესიის ნანგრევი. ის იმავე ყვითელი ქვითაა ნაგები, როგორც მანხუტის ორი ადრეული ეკლესია. ასეთი ქვა სარაჩლოს მახლობელი კარიერიდან დღესაც იჭრება. შენობა ორსაფეხურიან ხარისხზე მდგარა. ეკლესიის კედლების წყობა შიგნიდან და გარედან ერთნაირია: გათლილი ქვები ჰორიზონტალურად ნაწყობი. შესასვლელი სამხრეთიდან ყოფილა, საკურთხეველში კი ორი კვადრატული თახჩაა. აფსიდა ნალისებურია, გარედან – სწორი. სიგრძივ კედლებს შუაზე ჰყოფს თითო პილასტრი.. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, ნასოფლარში იპოვება მოჭიქული კერამიკა. ეკლესიის მშენებლობის ხარისხი, სიძველე თითქოს იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ აქ დავიგულოთ საბუთში მოხსენიებული „სამების ხატი“.

სარაჩლო მანხუტისხევის ბოლო სოფელია. ესაა დასტურლამალში მოხსენიებული „სარაჯლუ ემინს თაბუნი იყო კომლი 94“ (ი. დოლიძე 1965: 288). ამ დიდ სოფელში ქრისტიანული სიძველეები არ ჩანს, თუმცა მის სიახლოვეს ორი-სამი ნასოფლარი და გვიანი ხანის ეკლესიის ნანგრევია.

შულავერი, რომელმაც სახელი მისცა ხეობას (შდრ.: ბოლნისი, ტალავერი, მანხუტი), თავისი ხეობის ცენტრალური პუნქტი იყო. ეს დიდი სოფელი ამჟამად სომხებითაა დასახლებული, რომლებიც ამ 200 წლის წინ ყარაბაღიდან და განჯიდან მოსულობას ამბობენ. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, გორაკზე სასაფლაოა და ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ღვთისმშობელს უწოდებენ. მეორეა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, გათლილი ქვის რეგულარული წყობით კირზე

ნაგები. აქვეა ხაჩქარები, ახლაც რომ სანთლებს უნთებენ. აქაურ ნანგრევებს ქართული სახელები შერჩენიათ: მარიამობა, წმ. გიორგი, წმ. ბარბარე. აქვეა საფლავის ქვები ქართული წარწერებით, ერთს აწერია: „იორამისშვილი, იშხნელის მეუღლე მარიამ“. საფლავის ქვათა უმრავლესობა სომხურია, მაგრამ ადგილობრივი სომხები ახლაც აქ იხდიან ქართულ გიორგობას.

მთის წვერზე შორიდანვე მოჩანს ეკლესია, რომელსაც სურბ სარგისს ეტყვიან. ის ნაგლეჯი ქვით ბათქაშზეა ნაგები, აქვს შეერილი აფსიდა და აშკარად გვიანდელი საუკუნეების შენობაა.

შულავრის სიახლოვეს კლდეებში აგებული ციხე – წაკქარი, ფეოდალიზმის გვიან საუკუნეებშიც მოქმედი ციხეა. ვახუშტის რუკაზე და სოფლების სიაში სოფელი სახელწოდებით წაჰქარი მანხუტისხევშია, მის მარცხენა სანაპიროზე; 1721 წლის აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე – ამილახორი და ცხრა გამომდები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 371). თუ სწორია ადგილობრივ მოსახლეთა ეტიმოლოგია და წაკქარი გახვრეტილ კლდეს აღნიშნავს, მაშინ იგი უეჭველად შულავრისწყლის მარცხნივაა.

ზემოხსენებულ ციხეს უნდა გულისხმობდეს ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც წერს: „შულავერი არს დაბა დიდი, ქვემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი ღის, ზეით მცირე ციხე“ (ვახუშტი 1941: 36).

1660–61 წწ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზს) ქუთაისი აუღია. „კუალად შეიპყრა ვახტანგ მეფემან ჭყონდიდელი ჩიქოვანი, ძმა კაციასი, და წარმოიყვანა პატიმრად“ (ვახუშტი 1973: 836). იმავე ამბავს ფეშანგი ფაშვიბერტყაძე ასე აგვიწერს:

„მეფე გაუწყრა, გააძო; „რას მეუბნების გრძნეული!“
ჴელი შეუკრეს თოკითა, შეიქნა გამოძეული,
უთხრა თუ, სომხითს გაგზავნეთ, მათი შეიქნას წყეული;
საპყრობილესა ჩააგდონ, ლხინი დავიწყდეს წლეული“
(ფეშანგი 1935: 71).

სომხით'ში ჭყონდიდელის პატიმრობის ადგილს ისევ ვახუშტის ისტორიიდან ვიტყობთ: „განდიდნა ჭყონდიდელი ჩიქოვანი, რომელი გამოეპარა ვახტანგ მეფესა შულავრიდამ, მოვიდა და დაიპყრა ჭყონდიდლობავე“ (ვახუშტი 1973: 842). მაშასადამე ჭყონდიდელი დაპატიმრებული ყოფილა შულავრის ზემოხსენებულ ციხეში.

შულავრის ციხე XVIII ს-შიც ისევ აქტიურად ფიგურირებს სომხითის ისტორიაში. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1744 წ. „გარდმოვიდა ჯარი ურუმისა, ჩამოიარეს ორბელიანთ მამულზე, ჩავიდნენ, ჩამოხდენ ბაიდარში... მივიდნენ, გატეხეს შულავრის ციხე, ტყვით, საქონლით სულ აიკლეს, წავიდნენ, გარდაიტანეს ნაშოვარი უვნებელად“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 79–80).

ჩანს, მაშინ დაზიანებული შულავრის ციხე 1750-იან წლებში აღუდგენიათ, რაზედაც ისევ პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „უბძანა მეფემან ცხებულმან თეიმურაზ დიმიტრი ეშიკაღაბაშს ორბელიანსა და წარავლინა აღშენებად ციხეთა და სიმაგრეთა ქვეყანასა სომხითისა და საბარათაშვილოსათა. ისმინა ბრძანება და აღაშენა მალიად ციხე შულავრისა, ციხე მარნეულისა და ციხე რატევნისა, დააყენა მეთოფენი მცველად ციხისა და დაასახლნა გლეხნი, რაოდენი დაიტევდენ ციხენი ესენი“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 174). 1785 წ. შულავრის ციხე ისევ იხსენიება. მაშინ ერეკლე მეფეს ხელში ჩავარდნია თარხოს შამხლის ნათესავი, ბელადი მურად შაჰი; მეფის ბრძანებით, იგი ჩამოუხრჩვიათ „შულავრის მაღლა ციხეში“ (იოსელიანი 1980: 158–159).

შულავერი სახასო დაბა იყო, რომლის მოხელეებს, მეფე ან ბატონიშვილები ნიშნავდნენ; დასტურლამალში ცალკე კარი იყო „შულავრის დებულობისა და მოკვლეებისა“, სადაც ისევე როგორც ბოლნისში, განსაზღვრული იყო საბატონო, სამოურავო, ნაცვლის, მელიქის, მამასახლისის და სხვათა სარგო, თუ გამოსაღები. იქვე ნათქვამია: „თუ ვინმე შულავრის ბოლოს თათარი დასახლდეს და ზამთარი დაჰყოს, თუთუნჯაკი კომლზე სამი აბაზი.

თუ ვინმე გარეშემ იქ ცხვარი დააყენოს, პირზე ერთი ცხვარი, ძროხაზე ორი ფული, ღორზე პირზე ერთი, მარნის რეცხა... წელიწადში კომლზედ თვითო შაური საბატონო მოგროვდების, იმისგან ხუთი აბაზი მოურავისა არის“ (ი. დოლიძე 1965: 287–288).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1722 წ. „მოსრულ იყო განჯის ხანი შულავერს, ეოტნა სპანი და მოესრნა შულავერი“ (ვახუშტი 1973: 502). ამის საპასუხოდ ქართველებმა ბორჩალოს ელი აიკლეს...

1724 წ. იესე მეფემ, მისი სახასო შულავრის მოურავობა ამილღაბარ გოსტაშაბიშვილს უბოძა (თაყაიშვილი 1899: 139); თეიმურაზ მეფემ კი 1750 წ. შულავრის მამასახლისობა თამაზ ასლამაზასშვილს უწყალობა (ხეც, ფ. Qd, საბ. 8754).

1774 წ. ერთი საბუთიდან ჩანს, თუ როგორ უჩივიან ერეკლე მეფესთან აივაზლუს მსახლობელნი შულავრელებს: „მოგეხსენებათ იქიურს რუზე რა ჭირნახული გავწივეთ. შულავრელთ წყალი მოიტანეს და ჩვენს რუში ჩაუშვეს, ღვარის ქვიშითა და მიწით აავსეს, ორი ხიდი იდვა, რომ იმით საქონელი ზედ გადიოდა, ისიც დააქციეს... მოსავალი მოურწყავი დაგვრჩა“-ო (ნ. ბერძენიშვილი 1953: 87). აქ კარგად ჩანს, შულავრის ბოლოს დამჯდარი ელის მესაქონლე მოსახლეობა როგორ გადასულა მიწათმოქმედ მეურნეობაზე, რასაც ქართული ფეოდალური წყობა განაპირობებდა; ასეა დღესაც.

შულავერი აწვდიდა ნახშირს სპილენძის საბადოს ტაშირში. ერეკლემ და იულონ ბატონიშვილმა 1793 წ. ალიხან არღუთაშვილი მისხანის ქომურჩიბაშად დანიშნეს; შულავრის მელიქებმაო „ქომურჩი (ნახშირი – დ. ბ.) თვე და თვე რაც განწესება აქვს შულავრიდამ

უნდა მოგვცენ ყოველთვის უკლებრათ... რომ მადნის მუშაობა არ დააკლდეს“ (ცსა, ფ. 1447, საბ. № 5544).

ლეკიანობისა და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად აოხრებულ სომხითში, ჩანს შულავერი ისევ რჩებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ღონიერ პუნქტად. 1797 წ. მეფე გიორგი წერდა: „ჩვენი ბრძანება არის შულავრის მელიქებო, მერმე ადიბეგას ოთხი რკინის მადანჩი და ექვსი სხვა ცხენიანები უნდა გაატანო, რომ ბოლნის მიჰყვნენ და იქაური წყალი უნდა მოგვიტანონ და მარაბდამდის მშვიდობით მოიყვანონ და მასუკან თითონ წამოვლენ“ (ცსა, ფ. 1448, № 8831).

1790 წ. ჯავად განჯის ხანმა „აჰყარა შამშადილი და მოიყვანა შულავერს“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1983: 63). შეიძლება მაშინ შეიქმნა მეორე შულავერი, რადგან იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ უკვე გვაქვს დიდი და პატარა შულავერი, რომლებიც ალექსანდრე ბატონიშვილს ეკუთვნოდა. მისი დამარცხებისა და გაქცევის შემდეგ კი მეფე გიორგიმ „ეს ორი შულავერი ჯილდოდ უბოძა თავისსა შვილსა მეფის ძეს იოანეს“ (იოანე ბაგრატიონი 1986: 56–57).

XIX ს-ის I მესამედის ერთი საბუთის მიხედვით, დიდი შულავერი 23 კომლისაგან შედგებოდა, წლიურად მახთას 150 „თეთრეულს“ იხდიდა, ასევე 400 კოდ ხორბალს, 200 კოდ ქერს. მადნის მორიგეს თავისი ხარჯით წელიწადში 40 მუშას აძლევდნენ; „ჩვენს სოფელზე გამვლელ-გამომვლელის ხარჯს და საძოვარს სულ უფასოდ ვასრულებთ... გლეხური მუშაობისათვის დრო აღარ გვრჩება და მოწევნილ ვართ უკანასკნელ სიგლახაკესა შინა“-ო (შარაშიძე 1986: 116).

ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიისა და რუკის მიხედვით, შულავრის უახლოესი დასახლება ყოფილა თეთრი სოფელი. რუკაზე ის ხევის მარცხენა ნაპირზეა, შულავრის სამხრეთით. ეს სიახლოვე წყაროებში იმითაც დასტურდება, რომ შულავერი და თეთრი სოფელი, მათი მოხელეები, თუ გამოსაღები, საბუთებსა და დასტურლამალში ხშირად ერთადაა დასახელებული. როსტომ მეფისდროინდელი ერთი საბუთის მიხედვით, სუფრაჩი ჰამზაბეგ და მდივანი ბირთველ თუმანიშვილი მეფის ბრძანებით მისულან „შულავრისა და თეთრი სოფლის საცილობრის მამულის გარდასაწყვეტლად... რაც სხუა საერთოდ საჴნავი მინდურის მიწა იყო, იმისი ასრე გავაჩინეთ და გარდავსწყუიტეთ, რომე რაც თეთრის სოფლის კაცმან სამის გუთნით ან ანეული მოჴნას ან ქერი ან ბამბა და ან ფეტუი, იმის ღალას ბატონიშვილი იორამ თავისთუის აიღებინებდეს... წყლისა და რუს საქმისა ასრე უნდა ქნან: რა რიგადაც ამას წინათ ერთობაში რიგით ჰქონებოდეს, ისრევ... იჴმარონ... მამულისა და სარწყავისაგორად გაიყოფდენ...

და ვინც ამას გარდავიდოდეს, ჴელმწიფეს სამი კომლი კაცი თარჯიმნად დაუდოს“ (ი. დოლიძე 1972: 111).

ეს თეთრი სოფელი საბუთებში ზოგჯერ თეთრ უბნადაც იხსენიება, შეიძლება ვიფიქროთ, შულავრის ერთ-ერთ უბნად (შუა ბოლნისშიც იყო ბაიდრის უბანი). 1665 წ. გიორგი ბატონიშვილი და მისი ძმები, ქაიხოსრო რატიშვილს და მის ძმას ფარემუზს ასე მიმართავდნენ: „ჴელმწიფის მამის ჩვენისაგანაც გქონდათ... ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ შულავრისა და თეთრის უბნის და ნაქალაქ ეკლესიას მოურაობა ყოვლითურთ შულავრის შესავლით, შენით და ოჯრით, აგრევე თეთრის უბნით და წითლის ეკლესიით, ქ˜ს ტ˜ნგ“ (ხეც, Hd-2433).

ბოლოს დასახელებული წითელი ეკლესია „ნაქალაქ ეკლესიას“ უნდა გულისხმობდეს. ეს შეიძლება ის დიდი ნასახლარი და გალავნიანი ეკლესია იყოს, რომელსაც ახლა ბინაძორს უწოდებენ. იგი შულავრის სამხრეთ-დასავლეთითაა დაახლოებით 4 კმ-ზე; ნასახლართა ბუდეებში 3-4 ოთახიანი კომპლექსები მოჩანს. მათ შორის მოზრდილი ოთხკუთხა გალავანია, კუთხეებში მრგვალი კოშკებით; კოშკებს სათოფურები აქვთ. კედლები გარედან ნახევარწრიული, შიგნიდან კი ოთხკუთხა ბურჯებითაა გამაგრებული. გალავანი ნაგებია ნაგლეჯი ქვით, შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ქვით ნაშენ ეკლესიას გუმბათი აგურისა აქვს. დასავლეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე სომხური წარწერაა, მისი თარგმანი ასეთია: „წელსა 1663 ნებითა ღვთისათა იესუ ქრისტესითა აღეშენა იოვანე მღვდლისა მიერ“. ასევეა დათარიღებული ამავე კედელში ჩასმული პატარა ხაჩქარიც. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, ეკლესიას საკუთარი გალავანი აქვს, რომლის შიგნით, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებთან სათავსებია მოწყობილი. სამაროვნის სომხური ხაჩქარების თარიღებია 1665 წ. და 1684 წ; ერთი ხაჩქარის სომხური წარწერის ქართული თარგმანია: „წმიდაო ჯუარო მეოხ ეყავ რევაზს და მის თანამეცხედრეს, 1684 წ.“. აქვეა ერთი პატარა საფლავის ქვა, ქართული მხედრული წარწერით: „ქ:. ესე:. საფლავი:. ასლამაზას ქალისა:. ხანფერვანისაი ვინცა:. წაიკითხოს:. შენდობა:. თქოს“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 58; ტაბ. VII–4).

აღწერილი „ნაქალაქ-ეკლესიის“ ქვევით, ბინაძორის ხევის მარჯვნივ ნასოფლარია ტყეში; იქ ეკლესიის ბუდეა და სასაფლაო; მას ახლა სპიტაკშენ-ს უწოდებენ, რაც ქართული თეთრი სოფლის სომხური შესატყვისიაო, გვიმოწმებენ სოფ. სიონის ქართველი მოხუცები. 1695-1700 წწ. ერთი საბუთი გვამცნობს, რომ შულავერში მცხოვრებ ბოშაშვილს ვენახი ჰქონია თეთრ სოფელში, რომელიც მისგან უყიდია დურმიშხან ალიხანაშვილს (კლდიაშვილი ... 1991: 555).

დასტურლამალის მიხედვით, თეთრ სოფელს შულავერთან ერთად 3 თუმანი ჰქონდა შეწერილი ყეენის საფეშქაშოდ. 1721 წლის აღწერით იქ ითვლებოდა ორი მებატონე – დედოფალი და შალიკაშვილი ნაზირი ედიშერი, ერთი უყმო აზნაური, 13 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 313).

გოსტაშაბისშვილებისა და ციციშვილების მამულების საქმეზე, 1784 წლის განჩინებიდან ჩანს, რომ ნადირ-შაჰის დროს (1735–47 წწ.) ქაიხოსრო ციციშვილმა „ერთი ბატონის სახასო თეთრი სოფელი, ერთი... სოფელი ზემო წერაქვი და ერთი როჭიკაშვილის სოფელი დიაღარა – მაშინ სპასალარისაგან იშოვნა, მერე თეთრ სოფელზედაც ხელი აიღო, როჭიკაშვილმაც თავისი სოფელი გამოართვა“ (ი. დოლიძე 1974: 244). 1802 წ. სულხან თუმანოვის მიერ დედოფალ დარიასადმი გაგზავნილი წერილიდან ვიტყობთ, რომ ადრე როჭიკაშვილებს თეთრ სოფელში მამული ჰქონიათ; შემდეგ მეფეთაგან ჩამორთმევიათ და სანამ თუმანიშვილებს მიეცემოდათ, „სხვადასხვა გვამთ მეფეთ, დედოფალთ და თავადთ სჭერიათ; და არცერთ დროს შემდგომად ჩამორთმევისა, როჭიკაშვილებს იქ წილი აღარ ჰქონიათ“ (ი. დოლიძე 1985: 749–750).

ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე შულავრის ზევით, ხევის ორსავე ნაპირზე, ორი სოფელი ხაზითაა შეერთებული, მათ მახრაღაჯი აწერიათ. საბუთებით ცნობილია ზემო და ქვემო მახრაღაჯი; რუკის მიხედვით, ზემო მარცხენა სანაპიროზეა, ქვემო – მარჯვენაზე. 1630 წ. საბუთიდან ჩანს, რომ ეს სოფელი ამილახორისა ყოფილა, ამ წელს კი სვიმონ II-ს იგი ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის მიუცია: „... გიბოძეთ მახრაღაჯი ზემოთის სახნავითა, ნაოხრითა და ... ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა, როგორადაც ამილახორს ჰქონებოდეს, მახრაღაჯი უკლებლათ თქუენთუის გუიბოძებია... ვინ იცის ამილახორი მოვიდეს და იმისი მამული იმასვე მივსცეთ, თქუენ უნაცულო არ გაგიშვათ“ (ფუთურიძე 1955: 80–81). ჩანს, ამილახორი მოსულა და თავის მამულს დაპატრონებია. 1692 წლის ამილახვართა ერთსახლობის განჩინებით, „მახარაღაჯის სოფელი ბატონს ანა ხანუმს უწინაც ეჭირა და ახლაც დავანებეთ. სანამ ცოცხალი ბრძანდებოდეს, იმას ეჭიროს და სჭამოს და საქორწილოს მეტს ამილახვარი ნურას გამოართმევს.

რახან სოფელმან მისი არ დაიშალოს და ბატონი ანა ხანუმ აღარ ბრძანდებოდეს, ის სოფელი სახასოდ დაიდვას და მისთვინ ამილახვარმან იოთამს და ავთანდილს სხვა სარჩო მოუმატოს“ (ი. დოლიძე 1972: 158). 1721 წლის აღწერით, ზემო და ქვემო მახარაღაჯში მებატონედ ამილახორი ითვლებოდა, ზემოში ერთი მემამულე, 6 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა იყო, ქვემოში კი – ერთი უყმო აზნაური (ქანანაშვილი) და 12 გამომღები ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 327).

1766 წ. დემეტრე ამილახვრიშვილი თავის სახლიკაცებს გაეყარა. „მეფეს ერეკლეს მიერთვა დემეტრეს რაც სახლის კაცებიდამ შეფარდებით ერგო და ან სათავისთავო ქონდა რამე, ყველა ბატონს მიერთვა დიდის განჩინების ძალით“... ქართლის სხვა სოფელთა გვერდით აქ ჩამოთვლილია სომხითის სოფლებიც: „ქ. არაქაუნი მერვედი ბატონისაა. ქ. ზემო მახარაჯის მერვედი ბატონისა არის. ქ. ქვემო მახარაჯის მერვედი ბატონისა არის. ქ. ყოშაქილისის მერვედი

ბატონისა არის... ქ. თათოზას სოფლის მერვედი ბატონისა არი. ქ. სვიმონას სოფლის მერვედი ბატონისა არის. ქ. გოზალას სოფლის მერვედი ბატონისა არი. ქ. კატავეთის კაცი რაც იყო ქართლში, გაიყო, ხარაბის სოფლის მერვედი ბატონისა არის“... (ი. დოლიძე 1972: 521–522, 524.).

არაქაუნი, არქაუნი, არქუნი საბუთებში ქვემო ბოლნისის შემდეგ იგულისხმება, მდინარის დაყოლებით; შესაძლოა ეს ძველი არქევანის გამოძახილი, ან სახენაცვალი ფორმა იყოს. ბოლო 4 სოფლიდან თათოზას, სვიმონას, გოზალას სოფლების მდებარეობა უცნობია, მაგრამ 1721 წლის აღწერით, ისინი სომხითში ითვლებიან და იქ ამილახორი მებატონეობს (ლორთქიფანიძე 1935: 297, 311, 345). კატავეთი, ვახუშტის რუკისა და სოფლების სიის მიხედვით, მანხუტის ხევშია, მაგრამ ამ დროს, ჩანს, გაუკაცრიელებული ყოფილა. საინტერესოა, რომ სოფ. სიონის ქართველ მოსახლეობას შერჩენია ხსოვნა – ხევის დაყოლებით, მარჯვნივ მახრაღაჯია და იქვე ადგილი ამირახორიო. იქაურ ნასოფლარში მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები იპოვება; იქვე ნასახლარები, ხაროები, ქედზე ნაეკლესიარია ისრული თაღით, საკურთხეველში ორი ხაჩქარია. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, ზოგიერთ ქვაზე ადამიანის სქემატური გამოსახულებით.

როსტომ მეფისდროინდელი აღმშენებლობის კვალი ჩანს სოფ. სიონის ერთ-ერთ ეკლესიაზე მოთავსებული მხედრული წარწერის მიხედვით. იგი ასე იკითხება: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისითა და მეოხებითა მეტეხთა ღმრთისმშობელისაითა, ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი წინამძღვარი სერაპიონ ჩიჯავაძე წმიდისა ამის ეკლესიისა აღშენებად სახელსა ზედან ყოვლად წმიდისასა, სულისა ჩემისა სახსრად და ცოდვათა ჩემთა შესანდობელად, მეფობასა როსტომ მეფისასა და დედოფლობასა მარიამისასა“. ე. ი. ეკლესია აგებულია 1634–1658წწ.

ეს მარიამ დედოფალი, ლევან დადიანის და, როსტომმა შეირთო 1634 წ. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „კარგის წესითა და ჰელმწიფურის ზითვით და მორჭმა სიმდიდრით, კარგის თავადთა და აზნაურ შვილების მხლებლებით... მზე შავი ზღვით ამოსრული, მარიამ დედოფალი ქართლისაკენ წამოაბრძანეს“. აქ მისი ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ვარიანტი, ზემოთ კი ვნახეთ, რომ ბოლნისის სიონიც მარიამ დედოფალმა შეაკეთებინა (დ. ბერძენიშვილი 1970: 3–5).

ლევან დადიანისაგან როსტომ მეფისათვის მიცემული მზითვის წერილის გრძელ სიაში, სხვებს შორის დასახელებულია „კარის მწირველად თავადის შვილი ჩიჯავაძე სერაპიონ, მისის მსახურითა“ (ს. ბარნაველი 1962: 215–216). ჩიჯავაძეთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი, მარიამისათვის მზითვში გამოყოლილი სერაპიონი, ჩანს წინამძღვარი გამხდარა და ზემოხსენებულ

სოფელში ეკლესია აუგია. მისი აშენება „მეოხებითა მეტეხთა ღმრთისმშობელისაითა“ გვაფიქრებინებს, რომ სერაპიონ ჩიჯავაძე თბილისის მეტეხის წინამძღვარი იყო; ის ხომ სწორედ კარის ეკლესია იყო ისნის სამეფო სადგომში, რომელიც დიმიტრი თავდადებულმა განაახლა: „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა“.

სერაპიონის წინამძღვრობა მეტეხსა და მარიამ დედოფლის კარზე, 1640-იანი წლების მერეა მოსალოდნელი, როდესაც ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა „მეტეხთ წინამძღვრად“ ნამყოფმა იერუსალიმს მიაშურა. XVII ს-ის ნახევრიდან მეტეხი უკვე მიტოვებულია; შარდენის სიტყვით, ამის მიზეზი მეხის დაცემა ყოფილა (ვ. ბერიძე 1969: 15). შულავრისხევის სიონში ეკლესიის აშენება, საფიქრებელია მანამდე მოხდებოდა. ეს აქტი გვაგულისხმებინებს, რომ ამ დროს აქ ნასოფლარი იქნებოდა, დაკარგული ძველი სახელით.

„ხუცის სოფელი“ სომხითში XVII ს-დან ჩნდება (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 278); ახალი ჩანს ის თავისი შინაარსითაც: სახელი გამოხატავს სოფლის კუთვნილებას მისი ამშენებელი მებატონისადმი და დგას ასეთივე გვიანი წარმოების სახელთა რიგში. ქვემო ქართლში ხშირია „მდივანბეგის სოფელი“, „შანში-სოფელი“, „შერმაზანას სოფელი“„ირისკოპოზის სოფელი“, „ვასაკას სოფელი“, „ასანას სოფელი“ და სხვ. ცხადია, ყველა ესენი სახელდაკარგულ, ძველ ნასოფლარებზე აღდგენილი დასახლებანია, რომელთა მთავარი ნიშანი ამ მებატონეთა იქაური კუთვნილებაა. 1721 წლის აღწერის მიხედვით, ამ ხუცის სოფელში ერთადერთი მებატონე ისევ კარის წინამძღვარია, 16 გამომღები და 3 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 379).

ხევგაღმა ნასოფლარში გვიანი დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, გახსნილი შესასვლელით დასავლეთიდან. ამას წმ. გიორგის ეტყვიან და დაჟინებით გვარწმუნებენ „ბოლნისის ძმაა“, „მისი ტოტიაო“. აქაც მაშინაა დღეობა, როგორც ბოლნისშიო, ამ ბოლნისში კი ხატისოფლის გიორგობას გულისხმობენ. ბოლნისში დიდი დღეობის ტრადიცია XX ს-შიც ყოფილა, რაც ასახულია ფიროსმანის ნახატზე – „დღეობა ბოლნის-ხაჩინში“.

XVIII ს-დან, როდესაც ბოლნისის საეპისკოპოსო თბილისის სიონს დაექვემდებარა, თბილელ-ბოლნელი ეპისკოპოსები ბოლნისის საეპისკოპოსო მიწებს იჯარით გასცემდნენ. შულავრელი და წერაქველი მოხუცების გადმოცემით, სანამ სოფელი სიონი აშენდებოდა, მისი მიწებით სარგებლობისათვის, მეზობელი სოფლელები თბილისის სიონს უხდიდნენ ცვილსა და თაფლს.

XVIII ს-ის გამანადგურებელმა ლეკიანობამ სომხითში, სოფლების უმრავლესობა ააოხრა... ამის შემდგომ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, საფლავის ქვის მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც ჩიჯავაძისეულ ეკლესიაში დევს. აი, მისი ტექსტი:

„ამავე სოფლისა მიზეზი აშენებისა, აქა მდებარე გვამი ჩემი საბა ადამაშვილი. წამკითხველნო და მხილველნო, გთხოვთ შენდობა გვიბრძანოთ. დავიბადე 1842 წ. თებერვლის 2, გარდავიცვალე 19...“. ესაა მიხ. ჯავახიშვილის მამის საფლავი, რომელიც სოფ. წერაქვიდან გადმოსულა ამ ნასოფლარში, სოფელი მოუშენებია და სახელად სიონი შეურქმევია (დ. ბერძენიშვილი 1970: 4). უნდა ვიფიქროთ, ამას ხელს შეუწყობდა თბილისის სიონის მფლობელობა აქაურ მიწებზე.

სოფ. სიონის ზევით, მისგან დასავლეთით, ქართული სოფელი წერაქვია. იგი შულავრისწყლის მარცხენა შენაკადი ხევის სათავეებშია. მეორე წერაქვი იმავე ხევის მარჯვნივაა, უფრო ახლოს შულავრისწყალთან. ამ ნასოფლარს ქვემო წერაქვს (ძველ წერაქვს) უწოდებენ. თავისი მდებარეობით ცხადია, რომ ზემო წერაქვი დღევანდელი სოფელია. 1643 წლის ერთი საბუთის მიხედვით, შულავრის ხევის ზემო წერაქვი როსტომ მეფემ მისცა გოგიბაშვილებს ახოთას სანაცვლოდ, რომელიც ბოლნისის სიონის ძველიდან კუთვნილი სოფელი ყოფილა (ცსა, ფ. 1450, დავთ. 7, № 27). არ ჩანს როდის დაკარგეს გოგიბაშვილებმა ეს სოფელი. უკვე 1689 წ. საბუთით ნაზარალიხანი პაპუნა ბარათაშვილს მიმართავს: „მოკითხული ვქენით და ამოვარდნილის თალგამოზისშვილის ნაქონი მამული ყოფილიყო და თქვენ მოგცემოდათ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ და სიგლითა ამით გაგიახლეთ ზემო წერაქვი, მისის სამართლიანის სამძღვრით და მამულით“ (თაყაიშვილი 1899: 78–79). ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილების მამული იყო ზემო წერაქვი XVIII ს-ის მიწურულსაც. სოფ. წერაქვის სიახლოვეს, ქედზე ძველი და ახალი სასაფლაოა. აქვეა გვიანი საუკუნეების დარბაზული ეკლესია. სოფლის აღმოსავლეთით, ხევგაღმა ნაეკლესიარის ბუდეა გორაკზე შემორჩენილი. მას ირგვლივ ყორე ევლება. აფსიდაში ერთი ხაჩქარი და გუმბათიანი ეკლესიის მოდელი დევს, სიმაღლით დაახლოებით 40 სმ. ამ სალოცავს კვირაცხოველს უწოდებენ და სოფლელები კვირაცხოვლობას აქ დღესასწაულობენ.

ქვემო წერაქვი ზემოსაგან დაახლოებით 3 კმ-ზეა დაშორებული. მის ზემოთ აღწერილ ეკლესიას, აღმოსავლეთ ფასადზე დაზიანებული ასომთავრული წარწერა შერჩენია, რომელიც ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, შეწევნითა სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, ვიწყე მე დიდმან ფანასკერტელმან... მან მეორედ განახლებად ამის წმიდისა ღმრთისმშობლის ეკლესიისა სულისა ჩვენისა სახსრად და სამლოცველოდ“. წარწერიდან ჩანს, რომ დაზიანებული ეკლესია განუახლებია „დიდ ფანასკერტელს“, რომლის სახელი დაკარგულა. განახლების კვალი კარგად ეტყობა დასავლეთი კარიბჭის თაღს, რომელიც აგურითაა გადახურული. ეკლესიის განმაახლებელი სხვა წყაროებით ცნობილი ზაზა ფანასკერტელი უნდა იყოს, XV ს-ის გამოჩენილი პიროვნება. ეტყობა მაშინ მას წერაქვზედაც მიუწვდებოდა ხელი (დ. ბერძენიშვილი 1960: 97, 139). საინტერესოა, რომ

1721 წლის აღწერით, წერაქვში ყმები ჰყავდათ ციციშვილებს, რომლებიც ფანასკერტელთა შთამომავლები იყვნენ (ლორთქიფანიძე 1938: 216). როგორც ჩანს დიდი წერაქვიც ერქვა; ასეა იგი დასახელებული როსტომ მეფის მიერ გერმანოზ ბარათაშვილისათვის მიცემულ საბუთში 1643 წ., „გიბოძეთ... ჩვენი სახასო სოფელი სომხითს დიდი წერაქუი, მისითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენახითა, ჭალითა, სათიბითა, ეკლესიითა, სასაფლაოითა“... (დუნდუა 1980: 126–128). უნდა ვიფიქროთ ეს წერაქვი იგულისხმება იმ შემთხვევებშიც, როცა სოფლის სახელი მსაზღვრელის გარეშეა ნახსენები. ასეა როსტომის ზემოხსენებული საბუთის სპარსულ ტექსტში: „...სომხითის მხარის სოფ. წერაქვი...“, ასევე განჩინებაში მელიქ ავთანდილისა და უთრუთ ციციშვილის მამულის საქმეზე 1688–1703 წწ. (ი. დოლიძე 1972: 201).

ზემო წერაქვის დასავლეთით, დაახლოებით 4 კმ-ზე, ქედზე ნასოფლარია, რომელსაც ფეშიქ-ქიანდს უწოდებენ (კატის სოფელი); ნასახლარებზე მოზრდილი ოთახები გამოირჩევა, მრავლადაა ხაროებიც. ნასოფლარში იპოვება რკინის წიდა, შესაძლო ნიშანი ადგილობრივი წარმოებისა. გორაკზე სასაფლაო და ეკლესიაა ნატეხი ქვით ნაგები; შესასვლელთან ბალავრის ქვა გდია სომხური წარწერით, რომელიც ასე იკითხება: „მეფეთა ქართველთა ბაგრატუნიანთა შესწირეს სანაჰინის წმ. ღვთისმშობელს ეს სოფელი წინამძღვრობასა ...ეღ ეპისკოპოსისა. მე სარგის ეპისკოპოსმა აღვაშენე ეკლესია მკვიდრობისა წმ. ღმრთისმშობლისა მომიხსენეთ ქრისტეს მიერ. წელსა 1638“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 53). წინამძღვრის სახელის შერჩენილი დაბოლოება -ეღ, შეიძლება აღვადგინოთ როგორც ბარსეღ: სანაინის ერთ-ერთ უთარიღო წარწერაში ამ სახელის მქონე არქიეპისკოპოსი იხსენიება (კოსტანიანცი 1913: 248). ეკლესია აუშენებია სარგის ეპისკოპოსოსს როსტომის მეფობაში, მაგრამ სოფლის შეწირვა სანაინის ეკლესიისათვის ამაზე წინ მომხდარა. სოფლის ძველი სახელი არ ჩანს; ნასოფლარის ახლანდელი სახელწოდება – კატის სოფელი ვახუშტისეულ კატავეთს მაგონებს, მაგრამ ის მანხუტისხევში აქვს ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული.

ამ ნასოფლარში მეორე ეკლესიის ნანგრევიცაა, რაც შესაძლოა ქართულ-სომხური მოსახლეობის თანაცხოვრების მაჩვენებელი იყოს.

როსტომისავე მეფობაშია აშენებული ნასოფლარ ზარგარის ეკლესია შულავრისწყლის შუაწელზე, მისი მარჯვენა შენაკადის სათავეში. სომხური წარწერა დასავლეთი სარკმლის ზედაზღა ამოკვეთილი, რომელიც ასე იკითხება: „წელსა 1657 ხელმწიფობასა სპარსელის შაჰაბაზისა, უფლობასა ბაგრატუნიან როსტამისა, მამათმთავრობასა უფლისა იაკობისა, წინამძღვრობასა სარგის არქიეპისკოპოსისა, ჩვენ შალელთა (?): ბატონმა მანთაშმა, ულხანმა, სარგისმა, ჰათერცმა (?) ერთობით აღვაშენეთ წმ. ღვთისმშობელი, მოსაგონებლად მშობელთა და შვილთა ჩვენთა“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 54). აქ დასახელებული

იაკობი სომხეთის კათალიკოსი უნდა იყოს, ხოლო სარგისი – სანაინის არქიეპისკოპოსი, ალბათ იგივე, ფეშიქ-ქიანდის წარწერაში რომ იხსენიება. სანაინის 1654 წლის წარწერაში იგივე შაჰ აბასი, როსტომ ბაგრატუნიანი, იაკობ მამამთავარი და სარგის არქიეპისკოპოსი ერთად იხსენიებიან, სარგისი არღუთიანთა საგვარეულოს ეკუთვნის (კოსტანეანცი 1913: 154).

ნასოფლარის სიახლოვეს, გზის პირას ტყეში სამაროვანია, რომლის სომხური წარწერები ასე იკითხება: „ესე საფლავი შალუკისა, ბატონ ულხანის შვილისა. 1680 წ.“. შალუკი შესაძლოა იმ ულხანის შვილი იყო, ეკლესიის წარწერაში რომ იხსენიება.

მეორე ქვაზე იკითხება: „ესე საფლავი გულფარიკისა. 16.... წელი“. ეკლესიისა და საფლავის ქვათა წარწერები გრამატიკულად გამართული არ არის, ერთგან სომხურის მაგიერ ქართული „ნ“ წერია; ყველაფერი ეს იმდროინდელ სოფელში შერეულ ქართულ-სომხურ მოსახლეობას გვავარაუდებინებს (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 54).

ეკლესიის მაშენებელი პირები ადგილობრივი მფლობელები იქნებოდნენ. საინტერესოა, რომ 1721 წლის აღწერით, მანთაშაშვილი ოთარი დედოფლის მემამულე იყო, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სომხითში; მანთაშაშვილი როსტომი და შალვაც მებატონეებად ითვლებოდნენ სომხითში (ლორთქიფანიძე 1938: 403).

ზარგარი ოქრომჭედელს ნიშნავს (თურქ.). ოსკერიჭის სოფელი (ოსკიპარა) – ოქრომჭედლის სოფელი (სომხ.) იყო ტაშირში. შესაძლოა მოგვიანებით იქიდან გადმოსახლებულებმა, შულავრისხევშიც მოიტანეს ეს სახელი, რადგან ვახუშტის დროს აქ ასეთი სოფელი არ ყოფილა.

ქვემო წერაქვსა და ოფრეთს შორის, შულავრისწყლის მარცხენა შენაკადი ხევის სათავესთან, არის ნასოფლარი გორული. ის ოფრეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 3 კმ-ზეა. გარემო მართლაც გორაკოვანია, რომელთა ფერდებზედაც ნასახლარებია შეფენილი. ადგილი ძველთაგანვეა ათვისებული, რაზედაც აქ აღმოჩენილი გორანამოსახლარი მეტყველებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა, სადაც აღმოსავლეთქართული ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი აღმოჩნდა (იხ. ზევით).

ნასოფლარში მაღლობზე კარგად შენახული, ოთხკუთხა კოშკია. ის ოთხსართულიანია, მძლავრი სქელი კედლებით. ყველა მხარეს სარკმლები და სათოფურებია. შესასვლელი მაღლაა, სადაც მისადგმელი კიბით აისვლება. კოშკი XVII ს-სა უნდა იყოს. კოშკის აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მ-ზე მოზრდილი აბანოს ნაშთია, ისიც კოშკის თანადროულია. აქ გაშლილ ნასახლარებში 3 დარბაზული ეკლესია ყოფილა, რომელთაგან ორი XVI–XVII საუკუნეებისაა.

ოფრეთელები მოზრდილ დარბაზულ ეკლესიას „აი-ნიკოლას“, წმ. ნიკოლოზს უწოდებენ. იგი ნატეხი ქვითაა ნაგები, ხოლო სამხრეთი და დასავლეთი შესასვლელები გათლილი და მოჩუქურთმებული ქვებითაა

ამოყვანილი, ასევე სარკმლებიც. სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე ასომთავრული წარწერაა, რომელიც ასე იკითხება: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, მე ბატონმან დარეჯან, ქსნის ერისთავის ქალმან, აღვაშენე ესე მონასტერი ყოვლად წმიდისა, ჩემს სახსრათ, ცოდვათა ჩემთა მისატევებლად, შვილთა ჩემთა სადღეგრძელოდ. ოდესმე ვიწყე აღშენებად ჟამსა როსტომ მეფისა, გავათავე გიორგი მეფისა ზე“. მთავარი წარწერის ზემოთ, იმავე ქვაზე ასომთავრულით: „მამანო და ძმანო მოიხსენეთ ოსტატი პაპია“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 52). წარწერის თანახმად, შენება როსტომ მეფის დროს დაუწყიათ (1632–58 წლებს შუა), საგრძნობი ინტერვალის შემდეგ (იმავე XVII ს-ში) დაუმთავრებიათ რამდენადმე შეცვლილი პროექტით. პაპია სწორედ მეორე პერიოდის მშენებელია. ჩუქურთმის სახეებში იგრძნობა ისლამური მოტივების შემოჟონვა, რაც დამახასიათებელია იმდროინდელი სხვა ძეგლებისთვისაც (ვ. ბერიძე 1967: 196).

წარწერიდან ირკვევა, რომ დარეჯანს მონასტერი აუგია ყოვლად წმინდა ღმრთისმშობლის სახელზე, წმ. ნიკოლოზის სახელი შესაძლოა გვიან მოსული ბერძნების შერქმეული იყოს. „ქსნის ერისთვის ქალი“ ადგილობრივი ფეოდალის მეუღლე იქნებოდა, რომელსაც დარეჯანი არ იხსენიებს – ალბათ ცოცხალი აღარ იყო.

ამავე ეკლესიის საკურთხეველში, ხის თაროზე იდო საშუალო ზომის ბრტყელი სწორკუთხა ქვა სომხური წარწერით; აქედან ვიტყობთ, რომ 1615 წ. ეკლესიის ამშენებელს (სახელი არ იკითხება) ჰყოლია ექვსი შვილი, რომელთაგან დიდი ბატონი ათაბეკი ამ ქვეყნის მელიქი ყოფილა. მისი ძმების ჩამოთვლილი სახელებიდან იკითხება მირიმანი, ასლანი და ზაკუმი (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 52–53);

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „სომხითის მელიქი არა არს გვარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისათვის“ (ვახუშტი 1941: 24). იოანე ბაგრატიონის სიტყვით, მელიქიშვილები „პირველ იყვნენ სომეხნი ლორის მელიქთა ნათესავთაგანი აზნაურნი და ოდეს მოვიდა შააბაზ ყაენი... გამოართო მეფეთა ლორე თვისთა ხეობითა და დაადგინნა მხედრობანი თვისნი, მაშინ მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობაი და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“ (იოანე ბაგრატიონი 1997: 34).

ზემოხსენებულ სომხურ წარწერაში ათაბეკისა და ზაკუმის მამის სახელი არ იკითხება, მაგრამ ისქანდერ მუნშის ცნობით, ის თამაზბ-ყული-ხანი გამოდის: 1602-1603 წელს შაჰ-აბაზის ერევნის ციხესთან ყოფნისას, შაჰის მეჯლისის მონაწილე და თანამოსაუბრე ყოფილა „თაჰმასბ-ყული-ხანი, მელიქ მირმან სომხითის ძე, შაჰის პირადი ღოლამი, სასახლეში მიღებულ პირთა რიგებს რომ ეკუთვნოდა“ (ისქანდერ მუნში 1969: 43).

1616 წ. ერთი საბუთის მიხედვით, შაჰ აბასის მიერ შეწყალებულ სომხითის მელიქს ათაბეგს და მის ძმას ზაქარიას (ალბათ ზაქუმი უნდა იყოს – დ. ბ.), ბაგრატ VII-მ მისცა შულავრისხევის სოფელი ქვემო წერაქვი (საურმაგ კაკაბაძე 1967: 82). ეს ბაგრატი მეფედაა დასახელებული ქართულ წყაროებში, მაგრამ ის შაჰ აბასის მიერ დასმული ტიპური ხანი იყო. სიმონ მეფის ძმის – გამაჰმადიანებულის დაუდ-ხანის ძე, ბაგრატიც გამაჰმადიანდა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით „ესე ბაგრატ იყო ფრიად მოჰმადიანი და არა რაჲ კეთილი იყო მის თანა, სძულობდნენ ქართველნი და იყო საბარათიანოს და უჴმობდნენ საბარათიანოს ბატონსა, არცაღათუ ეგდენ ერჩდნენ და მორჩილებდნენ. შემდგომად ბოლნისს ყოფასა შინა მოკუდა ბაგრატ“ 1619 წ. (ვახუშტი 1973: 428).

წარწერაში დასახელებულ მელიქ ათაბეგს ისქანდერ მუნში იხსენიებს. მისი მეორე ცნობის მიხედვით, 1617 წ. თბილისს მოსული შაჰ აბასი წასულა სომხითისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა თურმე „მელიქ მირმან სომხითარის შვილიშვილის ათაბეგის სამყოფელს, რომელიც (ირანის შაჰების) წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა. აქედან სევანის ტბის საზაფხულო ბინებისაკენ წავიდნენ“ (ისქანდერ მუნში 1969: 111).

ვახუშტი ბატონიშვილი 1624–1625 წწ. ამბების თხრობისას გვამცნობს, რომ სომხითის მელიქი ათაბეგი და ზაქუმი (გორულის სომხურ წარწერაში მოხსენიებულნი) ყაენის ერთგულები იყვნენ: „მიუჴდა ამათ მოურავი და წაგუარნა დედაწულნი და ქონებანი და წარმოვიდა“ (ვახუშტი 1973: 434). იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს ამის გამო ათქმევინებს:

„მელიქ ათაბეგ მჩხუბევდა, ენას ხმარობდა გველადო,
ლორის სიმაგრეს შემიდგნენ, ვერ მოვიხელე ველადო,
მელიქს და ზაქუმს ჯაშუში მე დავაყენე მცველადო,
მიუხე, ვეღარ დამაგრდა, კლდეს ექმნა შიგ გამძვრელადო.
საქონელი და ცოლ-შვილი ყველა ხელთ დამრჩა სულობით,
იგი გარდმეჭრა, წავიდა, იარებოდა სულობით,
ვეჭვ მათი ხმალი დაჟანგდეს პირი წაუხდეს სულ ობით,
შევსთვალე „ძებნე ცოლ-შვილი, როდეს მოხვიდე სულობით“
(იოსებ ტფილელი 1989: 639).

ზემოხსენებული წყაროებით ირკვევა, რომ სომხითის მელიქის სოიურღალი, მისი ძირითადი მამული ხოჟორნისა და ჭოჭკანის ხეობებში იყო (დ. ბერძენიშვილი 1979: 100). შეიძლება ვიფიქროთ, გორულშიც იყო მისი რეზიდენცია, რასაც იქ ეკლესიის აშენება და წარწერაც უნდა მოწმობდეს. ამასვე დაუჭერდა მხარს ვახუშტის რუკაზე აღნიშნული დიდი მთავრის რეზიდენცია გორულში.

გორული (გორუმი) საბუთებში სომხითის მელიქის სამკვიდრო

სოფლადაა დასახელებული, სადაც მათ ყმა-მამული აქვთ (ცსა, ფ. 1448, № 8848). გორული ორი ყოფილა – დიდი და პატარა; 1721 წლის აღწერით, დიდ გორულში მებატონეებად მელიქიშვილები ითვლებოდნენ, იყო ხუთი მემამულე (აბაზაშვილი, ოდიშელიძე, მაშათაშვილი), ორი უყმო აზნაური, 32 გამომღები და ერთი ბოგანო ყმა. პატარა გორულში მებატონეები იყვნენ სომხითის მელიქი ლევანი და ყაფლანიშვილი ზურაბ სუფრაჯი, ერთი უყმო აზნაური, 6 გამომღები და 2 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 298).

შულავრისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ხშირ ტყეში ნასოფლარი აღეკია. იქ ნასახლართა ოცზე მეტი ბუდეა და ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც ირგვლივ გვიანი ხანის სომხური სასაფლაო არტყია. საფლავის ქვებში გამოირჩევა XVII ს-ის ხაჩქარები; აღეკი ადგილის მახასიათებელი სახელი უნდა იყოს, სომხურად კეთილს, კარგს აღნიშნავს (შდრ.: ველკეთილი). ეს გვიან მოსული მოსახლეობის მიერ შერქმეული, მეორადი სახელწოდება უნდა იყოს; აქაური უძველესი დასახლება ქართული რომ ყოფილა, ამას მოწმობს ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი ადრეფეოდალური ხანის სტელა წმ. გიორგის გამოსახულებით; ცხენზე მჯდომი წმინდანი შუბით ვეშაპს გმირავს. ამოკვეთილი ასომთავრული წარწერიდან იკითხება სიტყვა „ვეშაპი“.

აღეკი (აღეგი) სამეფო სოფელი იყო, რომლის მცხოვრები ალიხანა, თეიმურაზ მეფემ 1631 წ. ასლამაზსა და პაპუნას მისცა ქვემო ბოლნელი სუხუაშვილის სანაცვლოდ (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 27).

დასტურლამალში ცალკე კარად იყო გამოყოფილი „სომხითში, აღეკისა და მისის მოხელეებისა“, სადაც ჩამოთვლილი იყო გამოსაღები ბატონისათვის: „3 დღე ხვნა, მკა, ზიდვა, ლეწვა, თავზედ 3 აბაზი მალი. საქვრიო ძროხა ბატონის არის. ფურზედ ჩარექი ერბო... ფეტვისა ამოკვეთილი აქვსთ.

კომლზედ თითო ულაყი. საშობაო ორი ცხვარი და ათი ქათამი, ასევე სააღდგომო ...ბეგარა რაზედაც დაუძახონ – უნდა წავიდნენ. სამი დღე ზვარი უნდა იმუშაონ. თავზე თითო კონა სარი აქვსთ. თუ ქურდობა შეაჩნდეს ვისმე – საზღაური ბატონისა არის და ათისთავი მოურავისა“ (სურგულაძე 1970: 589).

1721 წ. ამ სამეფო სოფელში ითვლებოდა ერთი მებატონე (ნაზირი ოსეფა), 5 გამომღები და 3 ბოგანო ყმა (ლორთქიფანიძე 1935: 285).

საინტერესოა ერთი საბუთი 1787 წლისა, საიდანაც ირკვევა, რომ მეფის ძე გიორგი სადუხ-ბეგ იედიგარაშვილს აძლევს სოფ. აღეგს ლორეში. აქ მან უნდა დაასახლოს თავისი გლეხები. ლორის მდივანს, მელიქს და სხვა მოხელეებს მათთან ხელი არ ექნებათ. გლეხებმა უნდა ხნან და თესონ. მოკრეფილი მოსავლიდან ნახევარი წავა სამეფოდ, ნახევარი სადუხ-ბეგს დარჩება (ფურცელაძე 1882: 48). სოფ. აღეკი ლორეში არ ყოფილა, ის ერთი იყო შულავრისწყლის ზემოწელზე. ჩანს XVIII ს-ის მეორე ნახევარში საჭირო გამხდარა

აქ ხალხის დასახლება და სოფლის მოშენება, თუნდაც მოსავლის ნახევრის ფასად. სადუხ-ბეგი გაქართველებული მაჰმადიანი შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ელის მოსახლეობაზე.

მნიშვნელოვანია აღეკის დასახელება ლორეში და არა სომხითში; ეს უნდა მიგვანიშნებდეს ამ სოფლის და ეგების შულავრისხევის ზემოწელის, ლორისადმი ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაზე. აკი ნათქვამია ლორის მდივანს, მელიქს და სხვა მოხელეებს აქაურებთან ხელი არ ექნებაო. ასეთი მოვლენა სხვაგანაც ჩანს: ლორეში ითვლებოდა სანაინიც, ახპატიც, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულად ორივე დებედის ზემოწელზე მდებარეობდა. შესაძლოა ეს უფრო ძველი ვითარების ანარეკლიც იყოს, როდესაც შულავრისხევის ზემოწელი წოფისხევში ითვლებოდა: XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც ხომ „ტაშირის მხარეებში“ თვლიდა ხონაკერტსა და ხოჟორნის მათი მიმდებარე ოლქებით (დ. ბერძენიშვილი 1979: 33, 47, 86). ეს იგივე ლორის საგამგეო იყო, დროდადრო ცვალებადი (ვიწრო და ფართო) შინაარსის მატარებელი.

აღეკის შემდეგ შულავრისწყლის მარჯვნივ, ოფრეთის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან დაახლ. 1 კმ-ზე, გაშლილ ქედზეა შეფენილი ნასოფლარი ველეთი (შდრ. გორული). ასეთი სახელწოდების სოფელი ტაშირშიც იყო, მაგრამ სხვა ენობრივ წრეში, ჩანს მან სახე იცვალა – ველათი.

ნასოფლარში დარბაზული ეკლესია დგას ნატეხი ქვით ბათქაშზე ნაგები. დასავლეთიდან მას ისრულთაღიანი ფართო შესასვლელი აქვს; აქედან უნდა იყოს ჩამოვარდნილი ბალავრის ქვა სომხური და ქართული წარწერით, ორივე დაახლოებით ერთი შინაარსისაა. სომხური წარწერის ქართული თარგმანი ასეთია: „ღმერთო შეიწყალე ზაალის ეკლესია, ამინ.“ მეორე სომხური წარწერა: „მე, ენოშმა, ეს კარი ავაგე სამახსოვროდ ბახუტისა. ვინც იხილოს, ერთპირად შენდობა სთქვას. წელსა 1711.“

ამ წარწერის ქვეშ ქართული მხედრული წარწერა ასე იკითხება: „აქა ესე საყადარი და კარი ავაგე მე, ცოდვილამ იანოშამა, ჩემისა მამისა ბახუტას და ჩემი შესანდობრად ვინც წაიკითხოთ შენდობა ბძანეთ“.

ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმლის თავზე, ბრტყელ ქვაზე მარჯვნივ რელიეფური ჯვარია გამოსახული, მარცხნივ კი სომხური წარწერა; მისი თარგმანი ასეთია: „წმიდაო ჯუარო მეოხ ეყავ ჭაპუტს (ჭაბუკს?)“.

ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, სადაც საფლავის ქვათა დიდ, დაუმუშავებელ ლოდებს შორის არის XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისის სომხურ და ქართულწარწერიანი ქვებიც. სომხური წარწერები ასეთი შინაარსისაა: 1. ხოსტროზის შვილი ფარსადანი. 1689 წ. 2. ესე საფლავი ქალბატონ მარეესა (?), უსტა ნესესის მეუღლისა 1690 წ. 3. ესე საფლავი ზაალის დედის ქალბატონ თინათინისა; 4. ესე

საფლავი ზაალის შვილის მანუჩარისა. 1684 წ. 5. ესე საფლავი ბახუტისა, ვინც იხილოს შენდობა ბრძანოს. 1707წ. 6. ესე საფლავი ხარსის შვილის დაბისა. 7. ესე საფლავი ალავერდის დედის თინათინისა. 8. ესე საფლავი თამაზისა. 1705 წ. 9. ესე საფლავი ქალბატონ ლელისა. 1679 წ. 10. არის ერთი სომხური ხაჩქარიც ასეთი წარწერით: წმიდაო ჯუარო, მეოხ ეყავ არაქელს. უცოდველი მოჰკლეს ველათის მიწაზე საგინამ (?), რომელიცაა მოატხანისა (?). 1628 წ.

არის მხედრული ქართული წარწერებიც: 1. ქ. უფალო. წარწერა დაუმთავრებელია; 2. ქ. უფალო ღმერთო,მოიხსენე თამარ. ამ წარწე-რას სომხური მთავრულით აქვს თარიღი – 1655 წ. 3. ქ. ღვთით შეიწყალე სალიას მეუღლე – ? ძემან ჩვენმა მანუჩარ ქ̃რს ტნ̃ით = 1681 წ. (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 55–57). ეს სალია შესაძლოა ზემოხსენებული ზაალი იყოს.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გორულის ზევით არის „ოფრე-თი, მცირე ქალაქი და ციხე მისი“ (ვახუშტი 1941: 36). დღევანდელი სოფ. ოფრეთის აღმოსავლეთით, ველზე გაშლილი ნასოფლარია ეკლესიის ნანგრევით. მისი კედლების წყობაში ჩაშენებული ყოფილა ადრექრისტიანული სტელების ნაწილები. ერთი ფრაგმენტი „სადა ბუნიანი ჯვრებით“, ხელოვნების მუზეუმშია ჩამოტანილი, რომელიც უახლოეს პარალელს პოულობს ხოჟორნის VI ს-ის I ნახევრის სტე-ლასთან (გაგოშიძე 1998: 87) ოფრეთისა და აღეგის სტელები ხო-ჟორნის ხეობაში VI–VII სს-ში მოქმედი ერთ-ერთი სახელოსნოს პროდუქციადაა მიჩნეული (გაგოშიძე 1997ა: 27). შესაძლოა ეს კიდევ ერთხელ მიუთითებდეს შულავრისხევის ზემოწელის წოფისხევისადმი („წოფოფორი“) ადმინისტრაციულ დამოკიდებულებაზე უძველესი დროიდან. ამ მხრივ ისიც საინტერესოა, რომ ნაეკლესიარის შერჩენილ კედლებში ჩანს წოფის მარმარილოს კარიერის თანაბარი ზომის ქვათა გამოყენება. ამ ნასოფლარისა და ნაეკლესიარის ქვები დღევანდელი ოფრეთის მცხოვრებლებს თავისი მშენებლობებისათვის გამოუყენებიათ.

ვახუშტის რუკაზე ოფრეთი დაახლოებით იქვეა აღნიშნული, სადაც ამჟამინდელი სოფელია. იმავე რუკაზე ციხე და ციხის სოფელი შულავრისწყლის მარცხნივაა შეცდომით აღნიშნული. სინამდვილეში ეს ორივე ხევის მარჯვენა მხარესაა, სოფ. ოფრეთიდან დაახლოებით 2,5 კმ-ზე. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიუხედავად ასეთი მდება-რეობისა, იძულებული ვხდებით ოფრეთის ციხედ ვაღიაროთ დღეს არსებული ნანგრევი („ჩახლაბერდ“), რადგან ოფრეთის მიდამოებში სხვა ციხე არსადაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონის თანადროული ოფრეთის „მცირე ქალაქი და ციხე მისი“ შულავრისწყლის ორსავე ნაპირზე ვრცელდებოდა.

1684–1689 წწ. სადედოფლო დასტურლამალის მიხედვით, ოფრეთი დედოფლის კუთვნილი სოფელი იყო, რომლის გარიგება ცალკე კარადაა

ჩამოყალიბებული: „ოფრეთს: პირისთავი, ნახირისთავი, საბალახე, ღორის საბალახე, მალი მინალთუნი... ღალა შვიდზედ; გუთნეულის მკა, ლეწვა, მოტანა, ბატონთან ბოლნისის ტკბილის ზიდვა, აყრაზედ ულაყი, აჯილღის ქერი, სასვიანო მარჩილი 5, საშობაო ძროხა ერთი, ცხვა-რი 3, ერბო ლიტრა 3, ქათამი 15, კვერცხი 100, საყველიერო ერბო ლიტრა 3, ყველი ლიტრა 2, კვერცხი 100.

საქვრიო ხარი ბატონს... სარდლის ბატკანი – 1, მეჯინიბის ბატკანი – 1, სალთხუცესს სააღდგომო-საშობაო ცხვარი თვითო, აგრევე მდივნებს თვითო; აგრევე სუფრაჯს, ეშიკაღასს, ხოჯებს, მესტუმრეს – საშობაოდ აბაზი თვითოს, სააღდგომოთაც აბაზი და პისტი 5, სკა არის, სანთელი ლიტრა ორნახევარი.

მოურავებს ერთს დღეს უხვნენ, ულეწავენ, კომლზედ ულაყი და ორი კოდი პური, თავისგასამტეხლო ხარი, გასამყრელო ხარი, საქვრიო მარჩილი, საქორწილო მარჩილი და ხევისთავიც მოურავია.

მამასახლისს ერთს დღეს უხვნენ, უმკიან; გასამყრელო აბაზი, საქვრიო აბაზი, საქორწილო აბაზი; ხვნას გარდა ნაცვალსაც ასე“ (სურგულაძე 1970: 710–711). დასტურლამალისავე მიხედვით, ოფრეთს შეწერილი ჰქონია აჯილღის („სარემე, კურატი“ – საბა) ქერი 30 კოდის ოდენობით (ი. დოლიძე 1965: 280).

ოფრეთის მიწები, ჩანს ფოლადაურამდეც აღწევდა, რაზედაც ცხადად მეტყველებს განჩინება შანშიაშვილებისა და ოფრეთელთა მამულის საქმეზე 1717 წლისა: „მეფეთ-მეფის პატრონის ვახტანგისა, დედოფალთ-დედოფლის პატრონის რუსუდანის და საქართველოს გამგებლის პატრონის ბაქარის ბრძანებით მოვედით ჩვენ, დედო-ფლის ეშიკაღასი თავყელიშვილი ხოსიტა, სააკაძე შანშიაშვილებისა და ელიარაშვილებისა და ოფრეთელთ სამძღვრების გასარიგებლად. შევყარეთ იმ ხეობის მამასახლისები, უფროსნი კაცნი და ქეთხუდე-ბი. მოკითხული ვქენით. რადგან ელიარაშვილებისა, შანშიაშვილების შუა ოფრეთელნი იყვნენ, მამულიც იმათი იყო. შუაში ოფრეთელისა და ოფრეთელთა და შანშიაშვილის სამძღვარი: თავს კაჭაჭკუტის გადუკიდამ რომ სომხითისაკენ გზა გარდმოვა, სომხითისა რომ გარდმოიხედავს, წინ ერთი სერი არის, სახელი ურაცთალა ქვიან, იმას გაღმითაც ერთი სერი არის კაჭაჭკუტისაკენ. რაც ამ ორს შუა ჭევი ჩამოვარდება ჭიპექის წყლამდის, რასაც ჭიპექის წყალი ჩამოიტანს, მანამდის დამღალუს წყალში ჩამოვარდება, ამ ორის წყლის შესაყრის სისწორ სერი რომ შემოივლის თავს საბაუოს ქვის ყრილობა, იმასთან ელის შარა რომ შემოივლის, გზის კლდე ნადვალეთის სამძღვრამდის დარჩა შანშიაშვილებს გაღმით. იმის გამოღმა დარჩა ოფრეთელთ“ (ი. დოლიძე 1972: 273–274). აქ ნახსენები კაჭაჭკუტის გადუკი სხვაგან არ გეხვდება, მაგრამ ნათელია, რომ ტაშირიდან ფოლადაურის ხეობაში გადმომავალი გზა იგულისხმება მგლის კარის უღელტეხილით. იქ პირველი სოფელი ჭიპექი ყოფილა, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის

სოფლების სიაში არ ჩანს, მაგრამ 1736 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ეს სოფელი როსტომ მეფის დროიდან შანშიაშვილებისა ყოფილა (თაყაიშვილი 1909: 387). ჭიპექისა და დამღალუს წყლების შესაყართან, სერზე საბაჟოს ქვაყრილი და ელის შარა ყოფილა. ყველა ესენი ფოლადაურის მარცხენა სანაპიროზე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სოფ. ნადვალეთი ვახუშტის რუკაზე მდინარის მარცხნივაა, რაც შანშიაშვილებს დარჩენიათ „გაღმით“. „იმის გამოღმა“ ე. ი. მარჯვენა სანაპირო დარჩათ ოფრეთელებს.

ვახუშტის რუკაზე ოფრეთის მეზობლად, სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია გოლის სოფელი. საბუთებში მის ფარდად „გოგისა“ და „გოგისოფელი“ გვხვდება. 1781 წ. ზაალ დავითიშვილი დარეჯან დედოფალს მოახსენებდა: „თქვენი წყალობა ერთი პატარა სოფელი მაქვს გოგისა სომხითში, ოფრეთზე ახლო არის და ამ წყალობას ვითხომთ, ერთი ოქმი მიბოძოთ სოლომონ მდივანბეგზედ, რომ ოფრეთელებისაგან იმ სოფლის სამძღვარი გამირჩიოს“ (ი. დოლიძე 1981: 507).

1784 წლის საბუთიდან ჩანს, რომ გოგისოფლის ნაწილი ელიზბარ დავითისშვილისაგან ოსეფა ყორღანაშვილს შეუსყიდია (თაყაიშვილი 1909: 495–496). 1796 წლის საბუთით ირკვევა, რომ იოსებ ყორღანაშვილს გოგისოფლის ნაწილი „ბატონისათვის“ უყიდია: „ქ. დავითისშვილის ზაალისა და ელიზბარისაგან ბატონისათვის ნასყიდობის სომხითში გოგისოფლის სიგლები მქონდა თავთავის წილისა; და მდივანბეგებისაგან იმ სოფლის გაყოფის ბარათებიც მე მქონდა. იქაური ყმა არსადა ჩნდა, მაგრამ თუ გამოჩენილიყო, ასე ეწერა სიგლებში, რომ ბატონის იქნებოდა, მთით და ბარით იყო ნასყიდი“ (ი. დოლიძე 1985: 389–390). ჩანს ამ დროისათვის სოფელი მოსახლეობისაგან დაცლილა.

დღევანდელი სოფ. ოფრეთის შემდეგ, შულავრისწყლის აყოლებით მის მარცხნივ, ახლა სომხური სოფელი ჩანახჩია. იქაურების თქმით, XIX ს-ში მათი მოსვლის დროს, აქ არავინ დახვედრიათ. აქაური გვიანი ეკლესიის კარის ბალავრის ქვაზე, სომხური წარწერა გვაუწყებს: „დამიიდან გადმოსახლებულთა ჩანახჩის საზოგადოებამ წმ. ღმრთისმშობლის სახელით აღვაშენეთ ეს საჟამნო 1880 წელს“. იქვე ერთ საფლავის ქვაზე ისევ სომხურად აწერია: „ესე განსასვენებელი მეჰრაპისა“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 58). სოფ. დამია, საიდანაც ამ ნასოფლარში გადმოსულა სომხური მოსახლეობა, შულავრისწყლის შუა დინებაზეა, მისი მარჯვენა შემდინარის სათავეში.

ჩანახჩის ძველი ნასოფლარი დღევანდელი სოფლის აღმოსავლეთითაა, შულავრისწყლის მარჯვნივ. იქ გორაკზე ეკლესიის ნანგრევია, სამხრეთიდან მიშენებული კარიბჭით. კედლის წყობა ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებს განეკუთვნება. ირგვლივ სასაფლაოა – ძველი, მოზრდილი, დაუმუშავებელი საფლავის ქვებით.

შესაძლოა აქ ყოფილიყო ძველი ქართული სოფელი ჩაყლაპუნი, რომელიც ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია სოფ. ჯილიზამდე, ამავე სანაპიროზე.

ჩანახჩი მარცვლეულის საწყაოს – ჩანახის მკეთებელს ნიშნავს თურქულად. 1728 წ. თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ჩანახჩის ეკლესიას სომხითში 20 კომლი ექვემდებარებოდა, 46 სული. მათი ჩამოთვლილი სახელებიდან ჩანს ნარევი მოსახლეობა: შაჰნაზარ, ბაირამ, დავით, აკოფ, კარაპეტ, იაკობ, ავთანდილ, გოდერძი, ფირან ავთანდილის შვილი, აბრამ ასატურ, საჰაკ, სარუხან, ოჰანეზ, თეიმურაზ, მღვდელი, შაჰ-ნაზარ, ვართან, ბერო... ესენი რომ ქრისტიანები იყვნენ ჩანს იქიდან რომ საქრისტიანო გადასახადს – ისფენჯის იხდიდა 45 კაცი. მათ მოყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ჰყოლიათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, ჰქონიათ წისქვილი. მათი წლიური გამოსაღები შეადგენდა 46 000 ახჩას* (დავთარი 2010: 262-263).

სოფ. ჯილიზა ჩანახჩის აღმოსავლეთითაა, შულავრისწყლის მარჯვნივ, ოფრეთის ციხის დასავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ზე. სოფლის დასავლეთით კლდოვანი ბორცვია („თუმბულ-ქარ“ –“ქვაყრილი“). იქ მართლაც ორი, ვეება მრგვალი ლოდია ბუნებრივი წარმოშობისა; თუმცა ეს ბორცვი ნამოსახლარი გორაც ჩანს, აკრეფილი კერამიკის მიხედვით – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა.

სოფელში გვიანი საუკუნეების გუმბათიანი ეკლესია დგას, აშკარად გადაკეთებული ბოლო ხანს მოსული მოსახლეობის მიერ. სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1,5 კმ-ზე სასაფლაოა დიდი, დაუმუშავებელი ლოდებით, მას პატარა ნასოფლარიც ახლავს.

1628 წ. სვიმონ II-ს მიერ მანუჩარ თუმანიშვილისადმი მიცემული საბუთის სპარსულ ნაწილში იკითხება: „ვუბოძეთ... მეითარ მანუჩარს თიულად... ხოჯა ნასრის თიულში შემავალი სოფელი ჯალისი, რომელიც მის ძმისწულს რამაზს ჰქონდა თიულად დამტკიცებული. სომხითის მელიქებმა და ქეთხუდებმა და ხსენებული სოფლის გლეხებმა მოხსენებული (მანუჩარი) უნდა იცნონ თავის თიულდარად“; საბუთის ქართულ ტექსტში ნასრის სასახლეცაა ნახსენები (ფუთურიძე 1955: 75); 1635 წ. როსტომ მეფემ თაყა თუმანიშვილს, სომხითის სოფელ ჯილიზაში ამოვარდნილი რამაზასი და გოჩიას წილი მამული უბოძა, „წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენახითა“; საბუთის სპარსულ ნაწილში ნათქვამია, რომ გლეხებმა „მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი, სომხითის ოლქში მოქმედი წესისა და რიგის მიხედვით, მას უნდა გადაუხადონ“ (ფუთურიძე 1955: 118, 120); XVII ს-ის კიდევ ერთი საბუთის მიხედვით ჩანს, რომ თუმანიშვილები ჯილიზაში ყმა-მამულის მფლობელები არიან; გაყრისას ჯიმშიტას რგებია „ერთ

* მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ცის. აბულაძეს ამ ცნობების მოწოდებისათვის.

წილად არაქელა პოღოსას შვილი, მეღორის შვილი დღეს რისაც მჭონებელი იყოს თავის მიწა-წყლით“ (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 282).

* * *

ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში სომხითი, ანუ „ქართლის სომხითი“ გარკვეული ერთეულია ქვემო ქართლისა, სომხითის სამოურავო, რომელიც თანდათან იზღუდება ჩრდილოეთიდან. ვახუშტი ბატონიშვილი, თემურლენგის გარდაცვალების პერიოდს ეხება და წერს: „ხოლო შემდგომად მოკლეს მეფე კონსტანტინე იმერეთს და არა დაშთა ძე, არამედ ძმისწული დიმიტრი“... ავტორის სიტყვით, გიორგი VII დაუპყრია იმერეთი; „მიერთნენ ყოველნი წარჩინებულნი: დადიანი მამია, გურიელი, შერვაშიძე და სუანნი. ხოლო მოსცეს მეფესა დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა უმეტეს გულდებისა და ერთგულებისათჳს; არამედ მეფემან არარაჲ ავნო, გარნა წარმოავლინა ქართლის სომხითს და მისცა საზრდო და ყოველნი სამჭირონი მისნი (ვახუშტი 1973: 275).

ვახუშტი არ აზუსტებს დიმიტრის ადგილსამყოფელს, მაგრამ, ალბათ, მის თანადროულ „ქართლის სომხითს“ გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ შემდგომი პერიოდის მოვლენებს (დაუთ-ხანი, ბაგრატ-ხანი) დიმიტრისაც დმანისხევში, ან ბოლნისში ექნებოდა ბინა, თუმცა ამისი კვალი არ შემორჩენილა. XV ს-ში დმანისხევი სომხითში იგულისხმებოდა.

სადედოფლო დასტურლამალში ცალკე კარია: „სომხითში ელის კაცნი, რომ ბატონი უნდა მოშლის, უნდა ათარხნებს: მოლა ბაბაოღლი აბულ ყასუმასი... 5 მინალთუნი. ...მუღანლუ ალიოღლი მაჰმადასი...5 მინალთუნი. ქაფანაქჩი ჰაჯი შეფიასი... 2 თუმანი. 5 მინალთუნი, 10 შაური. ნაჯბადინლუ მოლა ალიასი... 5 მინალთუნი. არუხლუ ხან მაჰმადასი... 1 თუმანი, 5 მინალთუნი. დემურჩი ჰასანლუ მოლა მაჰმადასი... 5 მინალთუნი. არუხლუ ახვერდასი... 2 თუმანი. ზარგარი ჰაჯი მაჰმადასი 6 თვისა... 2 მინალთუნი, 10 შაური“ (სურგულაძე 1970: 562–563). სომხითის რომელ ნაწილში იდგნენ ეს ელის კაცნი უცნობია. არაა აუცილებელი რომ დღევანდელ, ამავე სახელწოდების სოფლებში მდგარიყვნენ, რადგან დღევანდელი არუხლუ ნახიდურია. ამავე წყაროში კი „ნახიდურის გარიგებისათვის“ ცალკე კარია.

1723 წლის საქართველოს რუკაზე, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობითაა შედგენილი, საორბელო შეიცავს ტერიტორიას ქციიდან მაშავერ-ფოლადაურის წყალგამყოფამდე; ვახუშტისეული სომხითი – ტერიტორია დებედიდან „ბოლნისის დასავლის მთამდე“, აღნიშნულია სახელწოდებით – ბოლნისი (მეტრეველი 1956: 231).

1728 წ. „თიფლისის ეიალეთის დავთრის“ მიხედვით, ქვემო ქართლი შედგება ასეთი ადმინისტრაციული ერთეულებისაგან: ბარათლი (საბარათიანო – დ. ბ.), თუმანის (დმანისი – დ. ბ.), ბაიდარი, დემურჩი-ჰასანლი, სომხითი, ტაშირი, პეთექი, აღჯაყალა, ინჯა, ჩუვარი, აღსტევი, თურქი.

ოთხი უკანასკნელი გაერთიანებული იყო ყაზახის ლივაში, რომელიც ექვემდებარებოდა თიფლისის ეიალეთს. ოსმალობისას ბორჩალო არ წარმოადგენდა ცალკე ერთეულს. სომხითში ჩამოთვლილია 131 სოფელი, რომელთაგან 117 ქრისტიანულია, 4 – გაურკვეველი, დანარჩენი 10 გამომცემლების მიერ მაჰმადიანურ სოფლებადაა მიჩნეული (დავთარი 2010).

შულავრისხევის ბოლოს, ქციის შესაყართან ყულარის 6 ობა მდგარა, რაც აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის რუკასა და სოფლების სიაშიც. 1735 წლის ერთი საბუთის მიხედვით, ქელბალიხანი წერს: „რადგან დემეტრე ყაფლანიშვილმა ჰელმწიფის სამსახურში თავდადებით იმსახურა, ყულარისა და ჰაიდარბეგის (ტაშირშია – დ. ბ.) ტარუღობა იმისთვის წყალობა გვიქნია... რაც აყრილი, დაფანტული კაცი სადმე წასული იყოს, თავის ალაგას დაასახლოს, ხვნასა და თესვას ბეჯითი იყოს...“ საბუთის სპარსული ნაწილი უმატებს: „...ჰავაი და სარგებელი რამე, რაც ხსენებულ სოფელში იქნება, თავის კუთვნილებად იცნოს, აიღოს და თავის საცხოვრებელ სახსრად ხარჯოს... ხსენებული სოფლის გლეხებმა მიწათმოქმედებმა და მცხოვრებლებმა... თავისი მალუჯათი და დივანის გადასახადი ერთი დინარი და ერთი მარცვალიც არ მისცეს ხსენებულს“ (ფუთურიძე 1955: 437–438). როგორც ვხედავთ, ელის მოსახლეობის სომხითში დამაგრებით, ხელისუფლება თავის სასარგებლოდ ზრუნავდა.

გიულდენშტედტის ცნობით, პროვინცია სომხითს „უჭირავს არარატის მთისწინეთის ჩრდილო ნაწილი, მტკვრის შენაკადებს ქციასა, ანუ ნახატირსა და ახსტაფას შორის“ (გიულდენშტედტი 1962: 241).

იგივე ავტორი დემურჩი-ჰასანლუს გამო აღნიშნავს, რომ მისი თათრები ცხოვრობდნენ კახეთში იორზე. ნადირ-შაჰისაგან დარბეულ-დაფანტულებიდან მეფეს ნაწილი თელავთან დაუსახლებია, „ხოლო უმეტესობა... სამელუხში (ალბათ სომხითში – გ. გ.) გადაასახლა, სადაც მათ კვლავ შექმნეს მხარე დემურჩი. მათი სოფლებია: 1. ქესალო 2. ყაფანახჩი 3. ქეშალო 4. ილიმარლუ (ილმაზუ?) 5. ნაზარლუ და 6. სარვანი“ (გიულდენშტედტი 1962: 246). ეს ცნობები შესაძლოა მთლად ზუსტი ვერ იყოს, მაგრამ მაინც უნდა ასახავდეს ვახუშტი ბატონიშვილის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. დასახელებული სოფლები დღესაც არსებობს, ეგების არა თავდაპირველ ადგილზე: მაჰმადიანი ელები ხშირად გადაადგილდებოდნენ და იცვლიდნენ პირველსაცხოვრისს.

იაკობ რაინეგსი, ერეკლეს კარზე მყოფი 1778–1781 წლებში, პროვინცია სომხითში ასახელებს სხვადასხვა „სამფლობელოებს“, როგორიცაა კოტა (კოდ – გ. გ.), ზემო, შუა და ქვემო ბოლნისი. ოცდაათი წელი ეს ნაყოფიერი და მშვენიერი მხარე იყო უდაბური და მხოლოდ ერეკლეს ზრუნვით კვლავ დასახლდა. მას აქვს ძალზე მდიდარი რკინისა და ვერცხლის მადნები, რომლებიც უაღრესად


ბოლნისხევი გვიან
შუა საუკუნეებში
სამშვილდე
ნახიდური
სატრედო
ჭაპალა
ქვეში
ხატის სოფელი
ბოლნისი
ოფერეთი
ოფერეთი
ჭუჯაბი
დმანისი
ბუნუბური
სამწვერისი
ბერდიკი
ლოქი
ლორე
ახტალა
ოფერეთი
ზარგარი
ხიონი
ჭურაქვი
ბანხუტი
შულავერი
ალჯაყალა
ციხექალაქი
ციხე
კათედრალი
მონასტერი
დაბა
სოფელი ეკლესიით
ქარვასლა
ხიდი
გზა
ულელტეხილი

დაუდევრად და მცდარად მუშავდება... სამფლობელო ქვეში, სავსეა საძოვრებითა და ნაყოფიერი ველებით, ისევე როგორც მარმარილოთი და მწვანე და წითელზოლიანი იასპის სატეხებით... უფრო სამხრეთით არის ჯერაც უკაცური სამფლობელო დამბლუტი; აქ არის ძალზე მდიდარი ტყვიის, ვერცხლისა და ოქროს საბადოები". ავტორი ამავე პროვინციაში ასახელებს ნახატირს (ნახიდური–დ. ბ.), უზუნლარს, სანაინს. „ამას ესაზღვრება აგრეთვე ხე-ტყით, სპილენძითა და დასამუშავებელი ყანებით მდიდარი სამფლობელო შულავერი და ოქროთი და ვერცხლით მდიდარი მხარე, ახტალა". აქვეა აღწერილი მუღანი და ბორჩალო, ყაზახი და შამშადილი (რაინეგსი 2002: 150–161).

ზემოთ განხილულ წყაროთა ჩვენებებიდან, უფრო სანდოდ ვახუშტი ბატონიშვილისა უნდა ვაღიაროთ. მასთან ყველაზე ახლო ჩანს 1723 წლის რუკა და თბილისის ეიალეთის დავთრის ცნობები 1728 წლისა. ვახუშტის მიერ სომხითში ჩამოთვლილი ქრისტიანული სოფლების რაოდენობა 120-ია, რაც ძალიან წააგავს თბილისის დავთრისეულ 117 ასეთსავე სოფელს (4 გაურკვეველია). სამაგიეროდ ვახუშტისთან აღრიცხული 29 თათრის ობა (10-ია დავთარში) მიუთითებს მაჰმადიანური მოსახლეობის ზრდაზე.

* * *

ბოლნისისხევის საეკლესიო გეოგრაფია, ცხადია ბოლნისის საეპისკოპოსოთი უნდა დავიწყოთ. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, საეპისკოპოსო კათედრა იქ ვახტანგ გორგასალს დაუარსებია V ს-ში. მისი სიტყვით, მეფემ დასვა ეპისკოპოსებად „...ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს... და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით" (ჯუანშერი 1955: 198-199); ეპისკოპოსი იქ ვახტანგს თითქოს უკვე არსებულ ეკლესიაში დაუსვამს. ამიტომაც ფიქრობდა ა. ბოგვერაძე, რომ 475 წლამდე ბოლნელი ეპისკოპოსი იყო სამოელი, მის შემდგომ – იოანე (ბოგვერაძე 1985: 160).

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილი ეპარქიები უძველესი ცენტრებია, ხოლო „ეპისტოლეთა წიგნში" დამატებული საეპისკოპოსოები შემდეგ ჩამოყალიბებულან, 506 წლამდე. ე. ი. ქვემო ქართლში მანგლისის, ბოლნისის და აგარაკის ეპარქიებს მიმატებია შემდგომ დმანისისა და ცურტავისა (დ. ბერძენიშვილი 1979: 115).

ბოლნისის სიონის წარწერაში აღმოსავლეთი სარკმლის ზედანზე იხსენიება დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ. ცხადია, მის მიჩნევას ჩვენთვის ცნობილ უძველეს ბოლნელ მამამთავრად, მეტი საფუძველი აქვს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგივე დავითი იხსენიება „ეპისტოლეთა წიგნში", 506 წ. საეკლესიო კრებაზე დამსწრე ქართველ ეპისკოპოსებს შორის (ივ. ჯავახიშვილი 1996: 165). აქ ის პირველთა შორისაა

დასახელებული მეხუთე ადგილზე: „სამუელ ეპისკოპოსი დმანისელი, დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა, იაკობ ეპისკოპოსი ცურტავისა“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97). ამ ჩამოთვლაში გეოგრაფიული თანმიმდევრობაც იგულისხმება და ბოლნისის ეპარქია დმანისისა და ცურტავის საეპისკოპოსოთა შორის გამოდის. დმანელის სამწყსო ძირითადად დმანისხევს მოიცავდა, ცურტაველისა კი, ქციიდან უნდა გავრცელებულიყო დებედის ხეობის ზემოწელამდე და მის შენაკადებზე ორსავე მხრიდან.

საეპისკოპოსოები ჩვენშიაც უკვე არსებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების გათვალისწინებით ყალიბდებოდნენ. უკეთუ სომხურ გეოგრაფიაში („აშხარაცუიც“) მოხსენიებული ბოლნისისხევის („ბოლნოფორ“) ერთეული მოიცავდა ფოლადაურის, ტალავრის, მანხუტისა და შულავრისხევს მის ზემოწელამდე (იხ. ზევით), მაშინ ამავე ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო ბოლნელი ეპისკოპოსის ხელისუფლებაც.

საეპისკოპოსო კათედრის დაარსება ბოლნისში კიდევ უფრო ზრდის ხეობის ცენტრის ავტორიტეტს და გავლენას ამ ადმინისტრაციულ ერთეულში. აქაური სიონის ტაძარი ნელ-ნელა ისაკუთრებს ფოლადაურისა, თუ მეზობელი ხევების მიწებს. ამის დასტური უნდა იყოს ხატისოფელი: უნდა ვიფიქროთ, ეს უძველესი დასახლება ერთი პირველთაგანი შეიქნა ბოლნისის ხატის საკუთრებად, სადაც ბოლო დრომდე დღესასწაულობდნენ ბოლნისის გიორგობას 10 ნოემბერს ძველი სტილით. ბოლნისის სიონისავე გავლენად უნდა ჩაითვალოს ე. წ. „ბოლნურ მედალიონთა“ სიმრავლე-გავრცელება ამ რაიონში. მოჩუქურთმებულ წრეში ჩასმული ეს ტოლმკლავა ჯვრები, ყველაზე დიდი რაოდენობით ბოლნისის სიონში და მის სიახლოვეს მოიპოვება. ბოლნისის ტაძარი, თავიდან წმ. სამების სახელობისა, შემდგომში ღმრთისმშობლის სახელობისად ითვლებოდა. შესაძლოა ამის გავლენით აიხსნას სამების რამდენიმე და ღმრთისმშობლის ეკლესიათა დიდი სიმრავლე ბოლნისისხევში.

VI–VII საუკუნეებში ჰერაკლეს ლაშქრობამდე, აღმოსავლეთ საქართველოში ჩანს სხვადასხვა ქრისტიანული სექტები. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ვიტყობთ თანაარსებობას მონოფიზიტებისას, დიოფიზიტებისას თუ ნესტორიანებისას. ერთი საეპისკოპოსოს შიგნით სხვადასხვა თემებიც ერთიანდებოდნენ. VII ს-ის დამდეგს ცურტავის საეპისკოპოსოში მსახურება სრულდებოდა ქართულ და სომხურ ენებზე, თავ-თავისი „მოძღვრებით“. ცურტავისა და ბოლნისის ეპარქიათა მეზობლობა ზ. ალექსიძეს ასეთსავე ვითარებას ბოლნისისხევშიც აგულისხმებინებს. მისი ვარაუდით, ბოლნის-ქაფანაქჩის სამეკლესიიანი ბაზილიკა (ალბათ, ვანათისაც), ერთი ეკლესიის შიგნით განსხვავებულ თემთა გამიჯვნას ემსახურებოდა, რომ წირვის დროს მათ ერთმანეთისათვის ხელი არ შეეშალათ. ამ ვარაუდის მხარდასაჭერად

იგი ეგვიპტის ერთ ეკლესიას ასახელებს, სადაც სამი საკურთხეველი სომხების, კოპტებისა და ქალკედონიანებისათვის იყო განკუთვნილი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 266).

უძველეს ბოლნელ ეპისკოპოსთა საკითხისათვის საინტერესოა VIII–IX სს. წარწერა დმანისხევის სოფ. კიანეთის ეკლესიიდან. შესაძლოა ეს ქვა, გვიან, შეტრიალებით ჩაშენებული ფრაგმენტია სტელა-ჯვრის ბაზისისა, რადგან მასზე გამოსახული, მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, „ბოლნური ჯვრის“ ვარიაციაა, რომლის ზევიდან ასომთავრული წარწერაა ამოჭრილი. დაზიანებულ წარწერას მისი უკანასკნელი გამომცემელი ასე აღადგენს: „...წმიდაო სამებაო, მე, გლახაკმან სტეფანე ბოლნელ ეპისკოპოსმან აღვმართე ესე ჯუარი, სალოცველად სულისა ჩუენთათვის. და ვინ აღმოიკითხოს ლოცვასა მოგუიჴსენეთ ჩუენ და ამის ჯურისა შემწენი. უფალო შეიწყალე სტეფანე ებისკოპოსი“ (შოშიაშვილი 1980: 254–255).

გამოდის, რომ ბოლნელ ეპისკოპოსს, მეზობელ დმანისხევში, დმანელის ეპარქიაში აღუმართავს ჯვარი თავისი სულის სალოცველად. ბოლნელი ეპისკოპოსი, იმავე დმანისხევის ისპიანის ტაძრის გვიანი საუკუნეების მოხატვაშიც მონაწილეობდა (თაყაიშვილი 1951: 156). შესაძლოა ჯვარი ბოლნისის სიონის კუთვნილ მიწაზე აღიმართა დმანისხევში. გვიან საუკუნეებში დმანელსაც ჰქონდა მამული ბოლნისში.

XIII ს-ით დათარიღებულ საბუთში, მეფის კურთხევის დროს დარბაზობის განგებას რომ შეიცავს, მოტანილია მამამთავართა დასხდომის რიგი. იქ იკითხება: „25. შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელსა ქუემოთ. 26. შემოვიდეს ბოლნელი მამამთავარი და დაჯდეს ვალაშკერტელსა ქუემოთ. 27. შემოვიდეს კარელი მამამთავარი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ“. ზოგიერთ ნუსხაში ბოლნელის შემდგომ ანელია დასახელებული (ი. დოლიძე 1965: 49). ამავე ჩამონათვალში ბოლნელის „ქუემოთაა“ ტფილელი, დმანელი, წალკელი, ასე რომ ბოლნელს ჯერ კიდევ მაღალი პატივი შერჩენოდა.

ხორაკერტის ეკლესიის 1252 წ. წარწერიდან ჩანს, რომ ის აუშენებია ვინმე სტეფანოს იოვანეს ძეს დავითის მეფობისას, უფალ კოსტანტინეს მამამთავრობისა და ამაზასპის არქიეპისკოპოსობის დროს. ეს მეფე ულუ დავითია, ხოლო ქვეყანა ჯერ მონგოლთაგან აუწერელია და მძიმედ დაბეგრილი არაა. ესეც განაპირობებდა ასეთ მასშტაბურ მშენებლობას. უფალი კოსტანტინე სომეხთა კათალიკოსია მოხსენიებული მრენის 1251 წ. წარწერაში; ხოლო ამაზასპი ახპატის ეპისკოპოსია, 1255 წ. იქაურ წარწერაში დასახელებული (კოსტანეანცი 1913: 95–98). ხორაკერტის წარწერაში „ქვეყნისმპყრობელის და მხედართმთავრის“ სახელი აღარ იკითხება; ის მეფის წინაა დასახელებული და შესაძლოა შანშე ზაქარიასძე მხარგრძელი ყოფილიყო, რომელიც იხსენიება მეზობელი ხოჟორნისა და ხნძორექსის ეკლესიათა წარწერებში. ისიც საინტერესოა,

რომ ხორაკერტის გუმბათქვეშა კაპიტელებზე ხოჟორნის ეკლესიის ორნამენტული ხვიების ზუსტი ასლებია გამეორებული. უეჭველია, ეს სახე ოსტატს ხოჟორნის ეკლესიიდან უსესხია (გაგოშიძე 1998: 152). ხორაკერტის წარწერაში სომეხთა კათალიკოსის მერე ახპატის ეპისკოპოსის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ახპატის მონასტერს შულავრისხევის ზემოწელზე მამული ჰქონდა, რომელიც ამ დროს შანშე მხარგრძელისეულ ლორის საგამგეოში შედიოდა. სტეფანოს იოვანეს ძე შესაძლოა ადგილობრივი ფეოდალიც ყოფილიყო.

1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დასახელებულია ხატისოფელი და დარბაზი, რაც ბოლნისისხევის სოფლებს უნდა გულისხმობდეს, ამიტომ ამათ წინ დაწერილი „სიონს გაღმა წმიდის გიორგის მონასტერი შესავლითა და თავმგურგუალა“, შესაძლოა ბოლნისის სიონსა და წუღრუღაშენის მონასტერს გულისხმობდეს, რომლის წარწერებშიც წმ. გიორგის ჯვარია ნახსენები (იხ. წინ).

1447 წ. გიორგი VIII მცხეთას დაუმტკიცა სომხითის ახოტა (ი. დოლიძე 1970: 191). ეს სოფელი ბოლნისის სიახლოვეს მყოფი, ბოლნისის სიონისა იყო შემდგომში ისევ ბოლნელმა დაიბრუნა.

საინტერესოა ერთი საბუთი 1558 წლისა, საიდანაც ჩანს, რომ ბოლნისებში მეფის ჯვარისმტვირთველს საკუთარი სარგო ჰქონია: „ესე განაჩენი განუახლეთ ჩვენ, მეფედ მეფემან ლუარსაბ ამას ზედა რომელ ჯვარის მტვირთველნი კარისა ჩვენისა შეისარჩლენ მიქაძე ამბროსი და თორელი ქაბულ, ბოლნისთა სახასადრო და მემალობის სარგო საერთო არისო. ამაზე მიქაძემ ძველთა მეფეთა სიგელნი წარმოადგინა, რომელ საკუთარი მისი იყო. აგრევე დიდმა მნათობმა კათალიკოსმა ზებედემ უწამა გუჯართა განრჩევით და გამოძიებით. ამისთვის ჩვენც ესრეთ დაუმტკიცეთ ყოველი საჯვარის მტვირთველო სარგო საერთოდ ედვასთ და ბოლნისთა ათეული საკუთრად მიქაძე ამბროსი დეკანოზისათვის დაგვიც. რადგან ძველადვე ესრედ განწესებულა, ჩვენც აგრევე დაგვიმტკიცებია“. მაშასადამე, მიქაძეები სასულიერო ყმები და მეფის ჯვარისმტვირთველები ყოფილან XVI ს-ის უწინარესაც, ხოლო XVII–XVIII სს-ში თბილისის სიონის დეკანოზებად იხსენიებიან საბუთებში (სარგის კაკაბაძე 1924: 174–175).

ბოლნისის სიონის მიერ მახლობელ სოფელთა მიწების დაპატრონება კარგად ჩანს XVII ს-ის საბუთებში. ერთგან ვხედავთ, რომ ზემო ბოლნისთან და სამწვერისთან „ჴელმწიფის ბრძანებით, ხატის მამული ისრევ ხატს მივაბარეთ... მათი სამკუიდრო არის ძუელთაგანაც მათი ყოფილიყო;“ სხვა საბუთში ირკვევა, რომ ახოტის, თალასა და ზემო ბოლნისის ირგვლივ მყოფ მთასა და ტყეში, ბოლნელის უდასტუროდ, არავის ხელი არ აქვს (ცსა, ფ. 1449, საბ. № 1806, № 1936).

1693 წ. ასლუაშვილებმა შანშიაშვილ დოლმაზას ვენახი გაუცვალა: „...თქვენი სამკვიდრო ზემო ვენახი საყდარს დაუდევით და მე ეს ჩემი

კერძი ახალშენი თქვენ მოგეცით ბატონის ჩემის ბატონის ბოვნელ ეფისკოპოზის ივანეს ბრძანებით და მისი დასტურით“. მოწმეთა შორის დასახელებულნი არიან ბოვნელის ძმები – გოდერძი და ბეჟან, ზემო ბოლნელი მოურავი დუშია „და სულ ამ ხეობის კაცნი“ (ხეც, Hd-6609).

1699 წ. იმავე ვენახების გამო გაცემულ საბუთში მოწმეებად ჩანან „ახოთელი მამასახლისი თამაზა და სულ ერთობილნი საყდრის ყმანი“. საბუთის პირველ გვერდს აწერია: „ასლოა და დოლმაზაშვილს ერთმანეთისათვის ვენახი და მიწა გაეცვალა და ჩვენს ყმას ცოტა კიდეც გამოერთმია და მოვიდენ, ჩვენ ბოვნელ მაქსიმეს მოგვახსენეს და ჩვენ დაგვიმტკიცებია, ერთმანეთში სადაო საქმე არა არის რა, ვერც დოლმაზაშვილი სთხოვს ღალას და არც ვენახს ეთხოება კულუხი. ჩვენ ბოვნელ რევის შვილს იოვანეს ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია“ (ხეც, Hd-10257). აქედან ჩანს, რომ იოვანე ბოვნელ ეპისკოპოსს, რევიშვილს ერთ ხანს მაქსიმე ბოვნელი მაჭუტაძე ჩანაცვლებია, 1699 წ. შემდგომ კი ისევ იოვანე რევიშვილია ბოვნელი ეპისკოპოსი.

ბოლნელს ყმები უმრავლდებოდა ცალკეულ შეწირულებათა გზითაც. 1611 წლის ერთი საბუთიდან ჩანს,რომ დედოფალთ-დედოფალმა პატრონმა თამარმა ბოლნისის ღმრთისმშობელსა და ბოლნელ საბას შესწირა „ბოლნისს კუამლი კაცი ერთი ვართანა და მისნი შვილნი, ბოლნისს რისაც მამულის მქონებელი იყოს – სასახლითა, ვენახითა, წყლითა, მიწითა,... ცოდვათა ჩვენთა შესანდობრად და ძისა ჩუენისა, პატრონისა მეფის ლუარსაბის სადღეგრძელოდ...

დაგუიდებია შეკუეთით მეაღაპის ვართანასათუის ცხუარი ორი, ხუთის კოდის ნამცხუარი პური, ღუინო კოკა შუიდი, თევზი ლიტრა ორი, სანთელი ნახევარჩარექი, საკმელი ერთი ქსანი, ბოლნელის საწირავად ფლური ერთი, მღდელისათუის შაური ორი, მთავარ დიაკონსა შაური ერთი; ამას მარიამობას დღესა ბოლნისსა ღ˜თის მშობლის ტაძარს მიიღებდეს, ბოლნელს ერთის მღვდლითა და ერთის მთავარ დიაკუნითა ჟამს აწირვინებდეს და სულისა ჩუენისათუის აღაპსა გარდაიჭდიდეს ; სხუა... არა ეთხოვებოდესრა... სამს დღეს ჭუნასა, სამს მკასა, სამს ლეწვასა და სამს ბარვასა ბოლნელისათუის იმუშავებდეს“ (კაკაბაძე 1913ბ: 7–8).

1622 წ. ბარათაშვილმა ბოლნელმა აბრამმა შანშიაშვილს ზემო ბოლნისში ნაოხარი მიწა მისცა: „ჩვენი საყდრისათვის ბევრი ნამსახური კაცი იყავ და ბევრიც გემსახურნა, ჩვენი მაამებელნი და მოსამსახურენი იყვენითო“ (ცსა, ფ. 1450, № 34).

გარდა ამისა ბოლნელი იძენდა, ან საჭიროების მიხედვით ჰყიდდა კიდევაც მიწებს: XVII ს-ის II ნახევარში ბოლნისის სიონის მოაღაპენი მითარა, ზუბია და მირაქა მოწმენი იყვნენ ხუგაზა ადიბეგაშვილის მიერ ბოლნელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (ხეც, Hd-9275); 1621 წ. კი, ბოლნელმა ეპისკოპოსმა აბრაამ ბარათაშვილმა სოფლის ნაცვალს გიორგი შანშიაშვილს მიჰყიდა 3 დღის სახნავი

ზემო ბოლნისში, რადგან დასჭირდა ფული თბილისის სიონის მშენებლობაზე (ფურცელაძე 1882: 3).

XVII ს-ის 30-იან წლებში მანგლელს ყოველწლიური ულუფა ჰქონდა გაჩენილი შუა ბოლნისიდან. 1632 წლის ერთი საბუთის მიხედვით კი,მეფე თეიმურაზ I მანგლისის საყდარს მამული შესწირა ზემო ბოლნისშიაც: „მელიქის ნაქონი მამული რაც ბოლნისის ღმრთისმშობლისათვის შეწირული არ არის,თქვენთვის შემოგვიწირავსო“ (ჯანდიერი 1980: 94).

უცნობია იმ ბოლნელი ეპისკოპოსის სახელი, რომელსაც როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ომში მიუღია მონაწილეობა როსტომის მხარეზე. ეს ომები 1634–1648 წლებში მოხდა. „არჩილიანში“ თეიმურაზი ამბობს:

„ბოვნელსა ეფისკოპოზსა ჰკითხე რად მოჰყვა ჩემზედა?
მე ქრისტიანე მეფე ვარ, იგ არის თათრის რჯულზედა.
თუ უსამართლო ბერია, ღმერთი გამივლენს მას ზედა,
და თოფი ჰკრეს ორივ თვალები წააყრევინეს ქვაზედა“
(არჩილი 1937: 90).

სანაინის ერთ უთარიღო წარწერაში ბარსელ არქიეპისკოპოსი ჩამოთვლის შეწირულებებს სანაინისადმი სხვადასხვა სოფლებიდან; მათ შორის დასახელებულია სამწერისა და ტალავრის შეწირულებანი (კოსტანეანცი 1913: 248), რომელიც ბარსელს ამ სოფლებში უნდა შეესყიდა. ეს იგივე ეპისკოპოსი უნდა იყოს, 1638 წ. ფეშიქ-ქიანდის ეკლესიის სომხურ წარწერაში რომ იხსენიება (იხ. ზევით); ამრიგად სანაინის უთარიღო წარწერაც დაახლ. ამავე ხანებით შეიძლება დავათარიღოთ. სანაინისათვის ლუარსაბ მეფის მიერ სომხითის სოფ. შიხჩობნისა და ირისკოპოზის ნასოფლარის მიცემა ჯერ კიდევ 1609 წ. დასტურდება (კლდიაშვილი ... 1991: 175).

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ბოლნელ ეპისკოპოზს იოსებ რევიშვილს 1651 წ. ზემო ბოლნისი, ახოთა და თალა ისევ უშოვნია, მოუშენებია და შეუწირავს ბოლნისის სიონისათვის. იმავე იოსებთანაა დაკავშირებული ერთი მინაწერი წმიდანთა ცხოვრებანის XI ს-ის ხელნაწერზე: „ჩუენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან რევიშვილმან, ბოვნელ ეპისკოპოსმან იოსებ, ვიყიდე წმიდა ესე წიგნი „მარგალიტი“ და შემოგწირე წრულვისა(?) მეორედ ჩემგან აღშენებულსა ნათლისმცემლის საყდარს საჭსრად სულისა“ (ჟორდანია 1903ა: 149). აქ კარგად ჩანს იოსებ რევიშვილის მოღვაწეობა ბოლნისისხევის გარეთაც, შესაძლოა გარეჯის ნათლისმცემელი იგულისხმებოდეს.

ბოლნისის სიონის სამრეკლოს აღმშენებელი – ნიკოლოზ ბოვნელი იხსენიებოდა მეზობელ კაზრეთისხევის ისპიანის სამების ფრესკულ წარწერაში: „მოიხსენე უფალო წიაღსა შინა ცხოვრებასა ბატონიშვილი ბოვნელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ წმიდასა ამას მონასტერსა... ჩემის მამის და დედის ბატონის ელენეს შესანდობლად და ჩემის

ცოდვილის თავის მოსახსენებლად. ვინც ამას მონასტერსა შიგან ჟამსა წირვიდეთ, შენდობას ეტყოდეთ ღმრთის მიმართ. ქრონიკონსა ტნი“, ე. ი. 1672 წ. (თაყაიშვილი 1951: 156). შესაძლოა ბოლნელს ისპიანში ყმა-მამულზე მიუწვდებოდა ხელი.

შუა ბოლნისში ვენახი ჰქონია დმანელ ეპისკოპოსსაც. 1665 წ. ყარაბუდახ შიოშბეგიშვილი ბარათაშვილს დმანელს ქრისტეფორეს მიმართავდა: „შუა ბოლნისს ძეგელაშვილის შერმაზანისა და ბადურასაგან მოსყიდული ვენახი გვქონდა, იმასთან 3 კვალი ვენახი ნავროზაშვილის დავითისაგან ვიყიდეთ და ეს ორივ თქვენ მოგყიდეთ... მოწამენი: ბოლნისის ნაცვალი დათუნა, მამასახლისი ფინეზა, ძეგელაშვილი ვერმიშა“ (თაყაიშვილი 1909: 254–255).

XVII ს-ის მცხეთის საკათალიკოსო სოფლების სიაში იკითხება: „... გვაკლია და ხელთა აღარა გვიჭირავსთ ჩვენი მხვედრი შემოწირული სოფლები და ალაგი... სომხითს ხუცის სოფელი,რომელ არს ტერტერას სოფელი, მახარაღაჯი, დარბაზს ერთი კომლი კაცი. ახტალა“... (ხეც, Hd-14532): ე. ი. შულავრისხევის ხუცის სოფელი შემდგომში ტერტერას სოფელი გამხდარა, ალბათ, მოსახლეობის შეცვლის გამო. ეს სოფლები ადრე საკათალიკოსოდ ითვლებოდა.

1693 წ. ნაზარალიხანმა უბოძა მთავარეპისკოპოსს „ჯიმშურა პაპუასი და მისი განაყოფების კერძი“ (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 282–283). სომხითში მყოფი ეს სოფელი ადრე გოგიბაშვილებს ჰქონიათ.

XVII ს-ის 90-იან წლებში ბოლნელს სამამულო დავა ჰქონია შატბერაშვილებთან, რაც საყდრის სასარგებლოდ გადაწყვეტილა. ამას მოწმობს უდაობის წიგნი მიცემული შატბერაშვილების მიერ ბოლნელ მაქსიმე მაჭუტაძისათვის (ჯანდიერი 1980: 28).

ბოვნელი ეპისკოპოსი მაქსიმე მაჭუტაძე იყო ძმა გარეჯის მონასტრის წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძისა. პ. კარბელაშვილის აზრით, ისინი გურიიდან გამოჰყოლიან ლევან ბატონიშვილის (მუხრანბატონი) მეუღლეს გურიელის ასულს თუთას. ონოფრე გარეჯის მონასტრის წინამძღვრად 1690 წლიდანაა (ლომინაძე 1966: 23). საინტერესოა მინაწერი ერთი ხელნაწერის ბოლოს: „ღმერთო მშვიდობასა ახმარე წმიდა ესე წიგნი... მთავარეპისკოპოზს უფალს მაქსიმეს, რომლისა სათნო ყოფითა განახლდა და შეიკაზმა ჴელითა ფრიად გლახაკისა და უღირსისა მღვდელ-მონაზონის ბესარიონისითა უდაბნოსა გარესჯას წმიდისა იოანე ნათლისმცემლის მონასტერსა,რამეთუ დიდი სიყვარული აქვნდა ღირსსა და წმიდასა მაქსიმე ბოვნელსა სულიერისა ძმის ბესარიონისა და მან მტკიცედ სიყვარულისა მისისათვის ესრედ მშვენიერად შეუკაზმა წიგნი ესე. ვინცა ჴელად მოიხუნეთ, მოიხსენეთ ბოვნელი ეპისკოპოზი მაქსიმე, სულიერი ძმა მისი გლახაკი ბესარიონ. ქ(რ)ონი იყო ტპდ=1696 წ. ღმერთო, მშვიდობაში ახმარე ბოვნელ ეპისკოპოზს უფალსა“ (ჟორდანია 1903ა: 223).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1699 წლიდან მაქსიმე მაჭუტაძე დავით

გარეჯის უდაბნოში გადავიდა, სადაც გარდაცვლილა კიდეც. გარეჯის უდაბნოს ონოფრე მაჭუტაძისეულ სიგელში იკითხება: „ჩუენთვის და ჩვენის ძმის ბოვნელის მაქსიმესათვის... ყველას შენდობით გვახსენებდეთ“. ხელს აწერენ წინამძღვარი ონოფრე (ონოფრე მაჭუტაძე) და ბოვნელი მაქსიმე. იქვეა ჩანაწერი: „ბოვნელის საფლავზე ასვენია ხატი მოჭედილი ყოვლად წმიდისა ერთი და სამებისა ერთი“ (ჟორდანია 1903: 53, 68, 70).

1699–1701 წწ. ჩანს იოვანე ბოვნელი ეპისკოპოსი, რევიშვილი. 1701–1727 წწ. ბოლნისის კათედრას დომენტი ტფილელ-ბოლნელი ეპისკოპოსი, ორბელიანი ითავსებს. 1728 წ. იმავე დომენტი ტფილელ-ბოლნელ ეპისკოპოსს ბოლნისის სიონის მამულები იჯარით გაუცია (იოსელიანი 1866: 214–219). საეპისკოპოსოთა გაერთიანება უნდა გამოეწვია სომხითში მრევლის შემცირებას.

1720 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „არის სომხითს ბატონის კათალიკოზისა: ხატისოფელს კომლი 10. დარბას კომლი–30, ბოგანო 5... რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარჭმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს. რაც სახლში საბატიო კაციშვილი და აზნაურიშვილია ვერ დაგვაკლდება. ვისაც შეეძლოს თოფიც იქონიოს და შუბიცა, ვისაც არა და თოფი წამოიღოს. ორის თვის ნუზლის ფიქრი ქნან. რახან შევატყობინოთ ამრიგად ქალაქს შემოგვეყარნენ. მეკომლე ორი წილი ცხენოსანი, მესამედი ქვეითი. ბოგანოც ქვეითი. ვახტანგ“ (ნ. ბერძენიშვილი 1940: 183-185). როგორც ვხედავთ XVII ს-ში დაკარგული ახტალა, მახრაღაჯი და ხუცის სოფელი არც აქ იხსენიება. საინტერესოა, რომ თრიალეთთან და საბარათაშვილოსთან შედარებით, ამ საბუთის მიხედვით, სომხითს უფრო ნაკლები ბოგანო ჰყავს.

1721 წლის აღწერის მიხედვით, კარის წინამძღვარს ხუცის სოფელში 16 კომლი გამომდები და 3 ბოგანო ყმა ჰყოლია, ეპისკოპოსის სოფელში კი – 14 კომლი (ლორთქიფანიძე 1935: 305, 379).

1735 წ. ომან სულეიმანიშვილმა დემეტრე ყაფლანიშვილს მიჰყიდა შუა ბოლნისში თავისი ვენახი (თაყაიშვილი 1909: 379). საბუთს ამოწმებს ტფილელი ეფთვიმი. ეგების ისიც ტფილელ-ბოლნელი იყო.

1736 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ იოსებ ბეგაშვილს თავისი ვენახი და საწნახელი შუა ბოლნისში მიუყიდია დავით ყაფლანიშვილისათვის: „თავს სამძღვარი კაციაშვილის ზურაბას ვენახამდი, ქვეით მალიაშვილის ვენახამდის, აქეთ დმანელის ვენაჯამდი, იქით დათუას ვენაცამდი“. მოწმეთა შორის არიან დმანელი ეპისკოპოსი ელისე, გაბაშვილი დმანისის დეკანოზი მღვდელი ზაქარია და ფიტარეთის დეკანოზი (თაყაიშვილი 1909: 385–386). ბოლნელი ეპისკოპოსი რომ ყოფილიყო მაშინ, ისიც უსათუოდ იქნებოდა მოწმეთა შორის. ამას გარდა, შესაძლოა ახლაც ძალაში იყო ბოლნისის მამულების იჯარით გაცემა. დმანელის მოწმობა მის ვენახთან

მეზობლობითაა გამოწვეული.

1747 წ. თბილისის საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი წერს, რომ მაშინ ქართლში, ეპისკოპოსებად ყოფილან მთავარეპისკოპოსი თბილელი, დმანელი, ბოლნელი, წილკნელი, სამთავნელი, მროველი, ურბნელი, ნიქოზელი (პაპუნა ორბელიანი 1981: 155). აქ ავტორი ბოლნელის სახელს არ იხსენიებს, მაგრამ ის მაინც ცალკეა დასახელებული თბილელისა, მანგლელისა და დმანელის გვერდით დამოუკიდებელი ბოლნელი ეპისკოპოსის ამ ხანებში არსებობას ვახუშტიც ემოწმება. ბატონიშვილის ცნობით, „აწცა ზის ეპისკოპოზი მწყემსი აწინდელის ქართლის სომხითისა“ (ვახუშტი 1941: 37).

1749 წ. ბოლნისის საეკლესიო გლეხებმა უარი თქვეს ბოლნისის არქიეპისკოპოსისათვის გადასახადის მირთმევაზე (ფურცელაძე 1881: 35). იმავე წლის 3/VII ანტონ I-მა გამოსცა ბრძანება: „...ვინცა ვინ ბატონის მოჭელები იყვნეთ და ან ბოლნისს საყდრის ყმანი იყვნეთ, მღდელნი ქართველნი, განჯელნი თუ მანდ მკვიდრნი და ან მოსულნი იყვნეთ,როგორც მეფის ვახტანგის დროსა და ან ჯუმათლის-ბოვნელის დროს ბოვნელის ხელში ყოფილიყოს და ან საყდარს სჭეროდეს,ისინი არც ერთი არ მოიშლება.

ბიძა ჩვენმა მეფეთ-მეფემ თეიმურაზ და ჩვენც ყოვლად სამღდელოს მთავარეპისკოპოზს ტიმოთეს უბოძეთ და დაუმტკიცეთ. თქვენც ბატონის მოხელებმა დაანებეთ და საყდრის ყმათაც ბატონყმობით მოუდექით და მსახურით.

და რომელიც ჯუმათლის-ბოვნელს უკან მამული ან გასყიდულა და ან გაცემულა ჟამთა ვითარებისაგან ოსმალოსა და ყიზილბაშობის დროს, იმისი ღალა და კულუხი ყველა საყდარსა და ბატონს ბოვნელს უნდა მოერთვას. თუ ასე არ დაემორჩილებით, ჴორციელად მეფეს გაგიწყრომებთ და სულიერად ჩვენ გარდაგაჴდევინებთ“ (ი. დოლიძე 1970: 808–809);

როგორც ვხედავთ, ბოლნისის საყდრის ყმებად მაშინ ითვლებოდნენ ადგილობრივი მკვიდრი და განჯიდან მოსული მოსახლეობა. ლ. მუსხელიშვილის აზრით, რადგან ვახტანგ VI დროს ტფილელ-ბოლნელ ეპისკოპოსად იყო დომენტი, მანამდე კი რევიშვილი იოვანე ბოლნელი, ამიტომ ვინმე „ჯუმათელ-ბოვნელი“ ეპისკოპოსობდა დომენტის შემდეგ, ალბათ უმეშვეოდ, რადგან მის დროს მდგომარეობა ბოლნისში ისეთივე ყოფილა, როგორც ვახტანგის დროს და მხოლოდ მის შემდეგ შეცვლილა. მის ეპისკოპოსობას ავტორი 1728–1735 წლებს შორის ვარაუდობდა ეფთვიმე ტფილელამდე (ლ. მუსხელიშვილი 1938: 355. შენ. 7).

ანტონ კათალიკოსის ზემოხსენებული საგანგებო ბრძანებიდან ვიტყობთ, რომ 1749 წ. ბოლნელობა ქართლის მთავარეპისკოპოს

ტიმოთე გაბაშვილისათვის ჩაუბარებიათ. ამავე წლის 27/X „ქართლის მთავარეპისკოპოზ ბოვნელმა ბატონმან ტიმოთე“ გაბრიელ დოლმაზაშვილს მამულის თარხნობის წიგნი უბოძა: „...ძველთაგან სიონთა ღმრთისმშობლის ყმისაგან ასლუაშვილისაგან მამული გქონდათ ნასყიდათა და კიდეც გაგეცვალათ; სამუქფოდ სხვა მამული მოგეცათ... და არას ბოვნელს თქვენთვის კულუხი არ გამოერთმივნა. და ჩვენც ეს წიგნი გიბოძეთ: არამ ბოვნელმა თქვენ ამ მამულის კულუხს არც გედევოს და არცა გთხოოს“ (ი. დოლიძე 1970: 809). ჩანს ტიმოთე მთავარეპისკოპოსად იყო 1754 წლამდე, ალბათ ამ დრომდე ეჭირა მას ბოლნელობაც (ლ. მუსხელიშვილი 1938: 356).*

უნდა ვიფიქროთ ამის შემდგომ ბოლნისის საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა, რადგან 1763–1788 წწ. სამღვდელმთავრო განწესებაში იკითხება: „...და თუ სადმე იქმნეს განახლებაჲ ბოლნელისა საეპისკოპოზოჲსა საყდრისა... ეგ-სახედ წალკელისაცა და დმანელისა საყდართა, რომელნი მოშლილ არიან დღეს,“ ისევ ძველი განწესებით იმოქმედეთო (ი. დოლიძე 1965: 400).

1790 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, თუ როგორ ზრუნავს მანგლელი, ეპისკოპოსი ბოლნისის ეკლესიის მამულებზე. მას ერეკლე მეფისათვის მოუხსენებია: „ღმრთის მოწყალებითა და თქვენის შრომითა საქართველოში მრავალს ადგილს ცეცხლი აენთო. ბოლნისებშიაც შენობა შეიქნა. ბოლნისს რაც ბოლნისისა ღმრთისმშობლის მამულები არის, ვენახებს სადმე ხუნენ, ეკლესიის მამულებსაც სადმე იტაცებენ

---

* ტიმოთე გაბაშვილის ბოლნელობასთან დაკავშირებით ავტორს ბარა-თზე შემდეგი ამონაწერი და შენიშვნა გაუკეთებია: «1749-53. ბოლნისი,ბოლნელი. „1749 წ. გაცემულ საბუთში ანტონ კათალიკოსი უბოძებს ტიმოთე მთავარეპისკოპოსს ოსმალობისა და ყიზილბაშობის შედეგად გაპარტახებული ბოლნისის ეპარქიის მამულების ღალასა და კულუხს. საბუთში ტიმოთე მთავარეპისკოპოსად არის მოხსენიებული, მაგრამ არ ჩანს, აქ მისი ქუთათლობა იგულისხმება თუ ქართლის მთავარეპისკოპოსობა... **1753 წლის ... „მოსახსენებელი წიგნი“, რომელიც ტიმოთე გაბაშვილს სამთავროს ღვთაების ეკლესიაში დაუდვია, დაწერილი და დამტკიცებულია ქუთათელ მთავარეპისკოპოსის მიერ... ამგვარად 1753 წლამდე ტიმოთეს ქართლში საეპისკოპოსო კათედრა არ ეკავა.** 1749 წ. მას, როგორც მაღალი სასულიერო წოდების პირს, მაგრამ უმრეველო მთავარეპისკოპოსს, **ანტონ I-მა სარჩოდ გამოუყო ბოლნისის გაუქმებული ეპარქიის მამულების შემოსავალი.** ტიმოთე 1753 წლამდე ატარებდა ქუთათელ მთავარეპისკოპოსის წოდებას, მაგრამ ამავე დროს ის განაგებდა ქართლის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში შემავალ სამთავროს მონასტრის საქმეებსაც... ანტონ I-ის „სპეკალის“ წინასიტყვაობაში ტიმოთე თავის თავს უკვე „ჳორისა და სამთავროს მიტროპოლიტს“ უწოდებს, რაც ამავე დროს ქართლის მთავარეპისკოპოსობას უდრიდა“ (ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ელ. მეტრეველის გამოც. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბ. 1956, 0108-9).“ **შესამოწმებელია ბოლნისის ეპარქიასთან დაკავშირებით**» – რედ.

და თავისთვის იჭერენ... იმ ეკლესიის ყმა გახლავთ ერთი ბერი კაცი, თურაზა ჰქვიან, იმას, ერთი ოქმი უბოძეთ, რომ რაც ეკლესიის მამულები იყოს, იმან არავის დაანებოს“. საბუთზე ერეკლეს მინაწერია ეშიკაღასბაშ დამიტრისადმი, რითაც მას ევალება მანგლელის კაცებს ერთი თავისი კაციც გაატანოს, ბოლნისის ეკლესიის მამულები აღწერონ და მეფეს მოართვან (ი. დოლიძე 1981: 473). რაკი მანგლელი თავის მოვალეობად სთვლიდა მეფისათვის ამის მოხსენებას, ჩანს, ეს დაკისრებულიც ჰქონდა.

ბოლნისისხევის გავერანებას ვიტყობთ 1780 წლის მეორე საბუთიდანაც, სადაც ანტონ კათალიკოსი მიმართავს მცხეთის ეკლესიის აზნაურიშვილ თაზიშვილებს: „...გიბოძეთ ჩვენის სოფლის დარბაზის მოურაობა, რომ რადგან ის სოფელი ვერანა არის, უნდა გაისარჯნეთ დაააშენოთ და რომელიც მართებულია, ისე გვამსახუროთ“, სამოურავო სარგო ერთმანეთში გაინაწილეთო. აქ რომ სომხითის დარბაზზეა საუბარი, ჩანს 1803 წლის კიდევ ერთი საბუთით: კათალიკოსმა ანტონ II სვიმონ თაზიშვილს უბოძა „სომხითს ჩვენს სახასოში დარბაზს ორი კომლი კაცი... თავისის მთითა და ბარითა, წყლითა და წისქვილითა, ვენახითა და სახნავითა“ (თაყაიშვილი 1910: 167–185).

ბოლნისის ღმრთისმშობლის მამულებზე ზრუნვა მანგლელ ეპისკოპოსს 1782 წელსაც ევალებოდა, თუმცა არ ჩანს, რომ ის მანგლელ-ბოლნელი ყოფილიყო. ნიკოლოზ მანგლელი ერეკლე მეფეს აცნობებდა: ბოლნისის ტაძრის მამულები ზოგი აზნაურიშვილს უყიდია, ზოგი გლეხს და ღალას არ აძლევენო. ერეკლეს ბრძანება იქვეა მიწერილი: „დორათაშვილო ბიძინა! მერმე შენ უნდა მიხვიდე ბოლნისს და ვისაც ბოლნისის ღმრთისმშობლის ეკლესიის მამული ვისმე უყიდნია – თავადს, აზნაურიშვილს, თუ გლეხსა – ამათ იმ ეკლესიის ნასყიდის მამულის ღალა სრულობით აიღო და მანგლელს ნიკოლოზს მიაბარო. რადგანაც ეკლესიის მამული არის, ვინც უნდა იყიდოს, ღალა ისევ ეკლესიისა არის. მელიქ მისაელსაც ყადაღა უნდა უყო, რომ ამ ეკლესიის მამულს ნურას მოხნავს. ვისიც ამ მანგლელის ნება არ არის ვერავინ მოხნავს“ (ი. დოლიძე 1981: 557–558).

იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ (1794–1799 წწ.) ჩამოთვლილია „მღუდელთმთავარნი რაოდენნი ყოფილან და იყვნენ სრულიად საქართველოსანი“. იქ სომხითში დასახელებულია წინწყაროელი, დმანელი, ბოვნელი, ცურტაველი, ანუ ახტალელი“ (იოანე ბაგრატიონი 1986: 83). იქვე ქართლის მღვდელთმთავართა შორის ტფილელი და მანგლელია მოხსენიებული. მაგრამ 1805 წ. დავით ბატონიშვილისა და მისი მეუღლის – ელენეს გაყრის საქმეზე, ანტონ II განჩინებას ხელს აწერს მიტროპოლიტი თბილელ-მანგლელ-ბოლნელი არსენი (ი. დოლიძე 1977: 342).

ბოლნისის საეპისკოპოსოს მოშლაზე, ბოლნელის გავლენის შესუსტებაზე, მეტყველებს 1799 წლის საბუთი, რომლის მიხედვით,

შანშიაშვილმა იარალიშვილმა მოლარე გოგიამ, იოსებმა, ბეჟანმა, შანშემ მიჰყიდეს უცუნის მონასტრის ეპისკოპოსს სვიმონ ვართაპეტს პატარა გილაგდაგთან ახლო მყოფი ხორის სოფელი. ამავე საბუთზე სვიმონ ვართაპეტს ქართულად და სომხურად მიუწერია: „ვიყიდე ესე სოფლები ჩემის ალალის ჭირნახულობით და შევწირე უძუნის ყ¯დ წმიდის ღვთისმშობლის მონასტერსა პატარა გილაგდაგი, ხორის სოფელი, ხნძორკუტი, ჯილიზის ნახევარი, მარტის სოფელი ქკ˙ ს უპზ (ცსა, ფ. 1448, № 3900). ამათგან ჯილიზა შულავრისხევშია, დანარჩენები ტალავრისხევში: გილაგდაგი, ხორის, ანუ ხოვარას სოფელი, ხნძორკუტი; უცნობია მარტის სოფლის მდებარეობა. უცუნი ოძუნის მონასტერი უნდა იყოს, დებედის ზემოწელზე, მის მარცხნივ მდებარე.

სომხური ეკლესიების სამამულო ურთიერთობებს, ისევე როგორც სომხური სამღვდელოების საქმიანობას, საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა. მათი მამულები გადასახადებით იყო დაბეგრილი და განსაზღვრული ვალდებულებები ჰქონდათ მეფის წინაშე, რომელთა შემსუბუქებას ტერტერები „ერთგული სამსახურით ცდილობდნენ“ (მაისურაძე 1999: 149–150).

წერილობითი წყაროების ნაკლული ცნობების გამო, ბოლნელ ეპისკოპოსთა ჩამონათვალი სრული ვერ იქნება; ზოგიერთი კი, სავარაუდოა და *-ით აღვნიშნავ:

* სამოელ – 468–475 წწ.

* იოანე – 475 წ. ახლო (ბოგვერაძე 1985: 160).

„დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა“ – 506 წ. (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97).

სტეფანე ბოლნელი ეპისკოპოსი – VIII–IX სს. (შოშიაშვილი 1980: 255).

იოანე ბოლნელი ეპისკოპოსი – X–XI სს. (ლ. მუსხელიშვილი 1938: 338).

„ბოლნელ მამამთავარი“ – XIII ს. (ი. დოლიძე 1965: 49).

საბა ბოლნელი ეპისკოპოსი – 1611 წ. (კაკაბაძე 1913ბ: 7–8).

ნიკოლოზ ბოლნელი ეპისკოპოსი – 1615 წ. (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 45).

იოვანე ბოლნელი ეპისკოპოსი რევიშვილი – 1620 წ. (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 45).

აბრაამ ბოლნელი ეპისკოპოსი ბარათაშვილი – 1621–1622 წწ. (ფურცელაძე 1882: 3).

იოსებ ბოლნელი ეპისკოპოსი რევიშვილი – 1645–1677 წწ. (ჯანდიერი 1971: 348).

ნიკოლოზ ბოლნელი ეპისკოპოსი, ბაგრატ მუხრანბატონის ძე – 1678–1688 წწ. (ლ. მუსხელიშვილი 1938: 351).

იოვანე ბოვნელი ეპისკოპოსი რევიშვილი – 1689–1693 წწ. (ჯანდიერი 1971: 348).

მაქსიმე ბოვნელი ეპისკოპოსი მაჭუტაძე – 1696–1699 წწ. (ჯანდიერი 1971: 348).

იოვანე ბოვნელი ეპისკოპოსი რევიშვილი – 1699-1701 წწ. (ხეც, Hd-10257; იოსელიანი 1866: 214–219).

დომენტი ტფილელ-ბოლნელი ეპისკოპოსი ორბელიანი – 1701–1728 წწ. (იოსელიანი 1866: 218).

„ჯუმათელ-ბოლნელი ეპისკოპოსი“ – 1728–1735 წწ. (ლ. მუსხელიშვილი 1938: 355).

* ეფთიმე ტფილელ-ბოლნელი – 1738 წ. (ლ. მუსხელიშვილი 1938: 355).

უცნობი ბოლნელი ეპისკოპოსი – 1747–1749 წწ. (ლ. მუსხელიშვილი 1938: 356).

ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოზ-ბოლნელი გაბაშვილი – 1749–1754 წწ. (ლ. მუსხელიშვილი 1938: 356).

არსენი თბილელ-მანგლელ-ბოლნელი მიტროპოლიტი – 1805 წ. (ი. დოლიძე 1977: 342).

* * *

ბოლნისისხევის ეთნიკური გეოგრაფიის შესახებ უძველეს ხანაში წარმოდგენას გვიქმნიან იქაური ტოპონიმები. ბოლნისი, სამწვერისი ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მეშვეობით შექმნილი უძველესი ქართული მოდელია, რომელიც ასე გავრცელებულია მთელ საქართველოში. ძველი ქართული სახელებია სახუნდარი, თევდორწმიდანი, ხატისოფელი, სამება, გონბადი, ყუდრო, დარბაზი, სარკინეთი, ტალავერი, კატავეთი, ნადვალეთი, შულავერი, წერაქვი, გორული, ველეთი (ველათი), ოფრეთი, ჩორჩანი, ბორი, შორი, მგლის კარი. ესენი წყაროებით და საბუთებში დამოწმებული სახელებია, სადაც ძველი ძეგლებიც გვხვდება.

შედარებით გვიანი წარმოშობის ქართული ტოპონიმებია ბაიდრის უბანი, ვასაკას სოფელი, კირაკოზას სოფელი, შერმაზანას სოფელი.

გვხვდება სომხური სახელებიც, სადაც საკმაო სიძველის ძეგლები ჩანან: ბერდიკი, ხორაკერტი, მამხუტი, ადეკი.

ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში და დღესაც ხშირია –უტ დაბოლოების მქონე ტოპონიმები; კაღნუტი, ჰაცუტი, მამხუტი, ხანძორკუტი, ურუტი, დეღცნუტი, დამბლუტი, ზიკრუტი, ფენჯარკუტი და სხვ. -უტ, -ოტ დაბოლოება სომხურ სახელებში კრებითობის, სიმრავლის მაჩვენებელია, ფუძეები კი მცენარეს, ხილს აღნიშნავენ, რომლითაც ეს ადგილები ხასიათდებიან: კაღნი – მუხაა, ჰაც – პური, მამხ – ხილის ბუჩქი, ხნძორიკ – მაჟალო, დეღძენი – ატმის ხე, დამბლ – ქლიავი, ზკერ – პანტა, ბანჯარიკ – ბალახია.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ამ მხარის უძველესი მოსახლეობა ქართული ჩანს, ალბათ სომხურის მცირე მინარევით. ეს კარგად ჩანს ეპიგრაფიკული ძეგლებითაც – უძველესი წარწერები აქ მხოლოდ ქართულია.

სომხური მოსახლეობის ტალღები ბუნებრივია იმატებდა სომეხ ბაგრატუნთა აქაური მფლობელობის დროს, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში მათი გაქალკედონიტება-გაქართველება ხდებოდა.

ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეებში მოსახლეობა ნარევია, მაგრამ სომხები ქართულად გადაკეთებულ გვარებს ატარებენ. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (ვახუშტი 1941: 37). მსხვილი მფლობელები ძირითადად ქართველები იყვნენ, რაც კარგად ჩანს საბუთებში. 1523 წ. გერმანოზ ბარათაშვილს და მის ძმებს ერგოთ „თევდორწმიდათა ერთწილად მიტიჩაშვილი, დაგვიდებია ზედა გრიგოლა და ბეგიჯანა, მანანა, ველიჯანა; ერთწილად ავეტიზაშვილი, დაგვიდებია ზედა ველინჯანა და ბუნიათა, უსეფა, იაღიშა, აჯაბნუში, სააკა“ (ჟორდანია 1897: 350).

1619 წლის ერთი საბუთის მიხედვით, „ბედნიერი სპარსეთის შახის მიერ სომხური სოფელი ხოხმელი გორის მცხოვრებ დათუაშვილს მისცემოდა. მან ეს ფირმანი სიმონ მეფეს უჩვენა და დამტკიცება სთხოვა. მეფემ დაუმტკიცა მას სომხითის სოფელი ხოხმელი“ (ფურცელაძე 1882: 2). ხოხმელში სომხური ეკლესია, ძველ ორნამენტიან ქვებს შეიცავს, რომლებიც ხორაკერტის ტაძრის დეტალების მსგავსია და მისი თანადროული ე. ი. XIII ს-სა უნდა იყოს.

ბოლნისების მცხოვრებთა შესახებ წარმოდგენას გვიქმნის 1620 წ. ერთი საბუთი, რომლის მიხედვით, შემაზაშვილმა სეხნიამ ყაფლანიშვილებს ვენახი მიჰყიდა შუა ბოლნისში. იქ მოწმეთა შორის დასახელებულია: „ბეჟან როსტომაშვილი, მღვდელი რომანოს და სრული ბოლნელნი და მე გიორგი დეკანოზისშვილს, მღვდელს რამაზას დამიწერია და მოწამეცა ვარ. მოსესაშვილი ბერუკაც მოწამეა ამისი და ბოლნისის მამასახლისი ნოდარა, ნაცვალი კაცია, ფინეზასშვილი ფეშანგი, მისი ძმა გიორგი, ხასადარი ლამაზა, მისი ძმა სამებისა, ჯვარაშვილი სარქისა, შირაქასშვილი თამაზა, ჭონაშვილი მამუკა, აქლაშვილი თამაზა და სრულ ჭელი-ერთპირ შვა-ბოლნისის ანფაები, ქვემო-ბოლნისის მამასახლისი პაპუა, მისი ძმა ტერ-ანდრიასა, მეშარბათე ნაზარა, ჯანდიერისშვილი ავთანდილ და გორჯასპი, არეშისშვილი გორჯასპი, ყადიასშვილი დავითა, შაღულიანასშვილი ამირანა და შანაზარა და სრულ ჭელი-ერთპირ ქვემო ბოლნელნი ამფაები“. განის აშიაზე იმავე ხელით სწერია: „თავად არის ამისი მოწამე სიონთა მღთისმშობელი, მერმე მისი ეფისკოპოსი, რევიშვილი იოვანე ბოლნელი,

მერმე იმისი დეკანოზი ოქროპირი, ზემო ბოლნისის მამასახლისი და მოურავი დუშია, მერმე შანშიაშვილი ნაზირი ბაინდურა, მისი ძმა ყაფიჩი ბეჟან, ბიძა იმისი დოლმაზა, მისი შვილი ნასყიდა, იაგულასშვილი ალავერდა, მისი შვილი დურმიშხან, იაგანასშვილი ბაირამა, მისი ძმა ზურაბა, მირიანასშვილი ფარსადანა, ზინდარი ვახუშტი, ველასშვილი პაპუნა, ყაფიჩი შანაზარა, გოგიბასშვილი ათაბეგა, მისი განაყოფი ბეჟან, თუშმალასშვილი ზურაბა“ (თაყაიშვილი 1909: 252–253). ქვემო ბოლნისში 1622 წ. იხსენიება ჯანადირა, ჯანადირაშვილი, ფირუზა მღებარი, დუშია ოზბეგისშვილი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 223).

აქ უმრავლესობა ქართველებია, მაგრამ შუა ბოლნისის სასაფლაოზე, არსებული სომხური ეკლესია 1688 წელსაა აგებული ბეჟან ბაჰატურიანის მიერ, რაც, ცხადია, სომხურ მოსახლეობას ემსახურებოდა შუა ბოლნისში.

1662–1667 წლებში სახუნდარში უცხოვრიათ სარუხანას, სარქისას, პაპიას, ზაქარას, ავაქას, ბოგანო ტირუმანთ სარუხანას, გრიქორას, მარტიროზაშვილებს, ბაინდურაშვილებს, ველაშვილებს, თუშმალიშვილებს, არღუთაშვილებს, ქანანაშვილებს (თაყაიშვილი 1909: 233–234; 103. გვ. 190). სახუნდარისავე სიახლოვესაა საფლავის ქვა ქართული წარწერით: „ესე საფლავი ტერ-შამუნასია“. სომეხ-ქართველთა თანაცხოვრების ნიშანია პირუკუ მოვლენაც – სომხურ წარწერებში ქართული სახელების მოხსენიება.

ბორისოფელში სახლობდა კირაკოზა ხეჩივართაშვილი, მურადა ჰანესაშვილი, ავეტიზა ვართაიზაშვილი, კირაკოზა ყარახანაშვილი, კირაკოზა ავეტიზაშვილი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 45–46).

მოსახლეობის შეცვლა აისახა ტოპონიმიაშიც. თედორწმიდას 1638 წ. უკვე ვანქი ერქვა, რაც სომხურად მონასტერს ნიშნავს. ამ წელს იხსენიება ვანქელი ქუმჩაშვილი ქაღბათა, ბარამაშვილი პარუმბეგა, ქულიჩაშვილი (თაყაიშვილი 1899: 482–483). 1713 წ. ვანქში ისევ ბარათაშვილები მებატონეობდნენ, რომელთა გაყრილობის დავთარში იხსენიებიან „ვანქს ჯანიაშვილი ტერტერა, ალუა საკაშვილი. იმავე საბუთიდან სოფ. წერაქვში ჩანან: მამასახლისი ალიჯანა, „უბაშვილი კომი ერთი“, შათირიშვილი, მოსესაშვილი, საქუა, სადაღაშვილი ერაპეტა, პარსუმაშვილი კარაპეტა, უსტა პოღოსა, მისი განაყოფი დურგალი, პარსუმაშვილი ტერტერა, აღნიაშვილი ევანეზა, ბაბანაანთ ვართანა, ამირაშვილი ნაზარა, მჭედლიანთ კირაკოზა, პარუნბეგაშვილი სარქისა, ბუღნაზარაშვილი, ხეჩიკაშვილი ერაპეტა, ულუხანაშვილი ხეჩია, ათანასეშვილი გრიქოლა, ხოჯუაშვილი მიტიჩა, შიხუაშვილი საკა, აბდულაშვილი კირაკოზა, ქორფა ყაზარა, მჭედელი გრიქოლა, ბეჟანაშვილი ბაბუა, მაქოსაშვილი პარუა, აღასაშვილი გალუსტა, ოსიაშვილი მამია, დერციკაშვილი სვიმონა, აზრათაღასშვილი თანდილა, მარქუასშვილი სარქისა, სარუხანაშვილი გრიქოლა. გზირი აფრიამა (თაყაიშვილი 1899: 354–355; 360–361). ამ ჩამონათვალში 46 კომლი

ბარათაშვილთა განაყოფს რგებია. ამ საკმაოდ დიდ სოფელში თითო-ოროლა ქართული გვარია.

ბოლნისის ხეობაზე თუმანიშვილების საკომლოების ნუსხაში სოფ. ბერდიკში ყოფილან: პაპალაშვილი სამანა, ხეჩიკა, შათირი, ბაქრაძე მოლაშქრე, ყადიაშვილი ელიზბარა, ჯავარაშვილი დათუნა, სიხარულაშვილი რამაზა, შიჯიშვილი შარმაზან, იორამაშვილი შავერდა, მახარაშვილი თანდილა, ბოგანო კაცია მოლაშქრე, ბოგანო სამებისა მოლაშქრე, იმედა, დემეტრე, ქიტუა, ბოგანო მამუკა მოლაშქრე, ნარიმანა მოლაშქრე, მირიანაშვილი აბრამა, მენახევრე ხოსროვა, „ამათი კოდისპური – ა, ლაშქარი – ბ“, ელიარაშვილი ხუცესი, გარაყანაშვილი ივანე, ბოგანო ივანე მოლაშქრე, ამრუმელაშვილი სეხნია, მირიანაშვილი ბოგანო მოლაშქრე (ნ. ბერძენიშვილი 1940: 123–124). მაშასადამე ბერდიკში მაშინ თითქმის მთლიანად ქართული მოსახლეობა ყოფილა; იხსენიება ხუცესი და არა ტერტერა; მოლაშქრეთა სიმრავლე უნდა მიუთითებდეს ბერდიკის ციხის ფუნქციონირებაზე ლეკიანობის პირობებში.

XVII ს-ის მეორე ნახევარში შულავერში მაცხოვრებელთა გვარებია: თამაზ წოვანშაშვილი, ტერუხანაშვილი ყარახანა, მანგია იაგუნაშვილი, ბაღდადაშვილები, უჰანაშვილი გულაზიზა, ყოჩია და ვათია, მურადაშვილი ვართანა, ჰაცთუხაშვილები, აფრიამაშვილები, კაკოზაშვილები, მირაქაშვილები, ახჯანაზაშვილები (ფუთურიძე 1955: 279–280; 103. გვ. 247). ე. ი. სომხები გაქართულებული გვარებით.

წერაქველები არიან: მირუაშვილი, ევანეზა სეხუაშვილი, შათირიშვილი, ჯანუა, პოღოზა, ერაპეტა სადაღაშვილი, არუთინა მარქოსაშვილი, ვანუა აბდულაშვილი, აზატა ფირუაშვილი, თამაზა შიხუაშვილი, მიტიჩა, ხეჩუა ჯავახიშვილი, კირაკოზა შავერდაშვილი (ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 258); აქ ზოგიერთია ქართველი.

შაჰ აბასის მიერ ბორჩალუს ტომის ჩამოსახლებით, არ შეწყვეტილა თურქულენოვანი მოსახლეობის შემოღწევა სომხითში. ეს პროცესი ყაზახ-შამშადილიდან შემოსახლებისა შემდგომშიც გაგრძელებულა, რასაც ქართული ხელისუფლება არ ეწინააღმდეგებოდა. ამ მხრივ საინტერესოა 1766 წლის ერთი საბუთი შულავრისხევის სოფ. დაღარას (დეღარა) რომ ეხება. როჭიკაშვილი მიმართავს ერეკლე მეფეს: „ახლა ამას გევედრები ჩემო ხელმწიფევ, რომ თქვენის მამის ნაწყალობევი დეღრალა სოფელი რომ თქვენც გვიბოძეთ, ერთი ჩემი კაცი ტერტერასთან მისულა, მე ყაზახელი ვარო, ყაზახელებთან დამწერეო. ამ მიზეზით ის კაცი თავის თავს მართმევს... ტერტერა მოვიდა ჩვენთან, პირობა მოგვცა, რომ არც დამიწერია და არც დავწერო. ჩვენ გვიმასპინძლა, 3 მინალთუნი დაგვახარჯვინა. ახლა ამასთან მისულა. იმისთვინ უთქვამს: შენს ბატონს ჭელი არა აქვს შენთანაო, მე ვიცი და შენმა ბატონმაო. სამნი არიან. სამნივ იმისის მიზეზით იკარგება და ჩვენ რაღამ დაგვარჩინოს“...მიწერილ განჩინებაში იკითხება: „როჭიკაშვილი

გლახა და ყაზახელები რომ ლაპარაკობდნენ ტერნაკანას შვილის ყაზარაზე, ამათი ლაპარაკი ყველა შევიტყევით. მაგრამ თვითონ ყაზახელმან ყულიხანმან თავისის პირითა აღიარა სამართალში, რომ მეფის ვახტანგის ბატონობაში მოსულან და დეღარას სახლებულა. მას უკან ორი წელიწადი და ურუმობას სახლებულა აქავ, და პირველ ყიზილბაშობასაც იქივ სახლებულა. მასუკან არეულობის მიზეზით აყრილა, ცოტას ხანს ყაზახში ყოფილა. იქიდამ ისევ აყრილა და აქავ მოსულა და დღესაც აქავ არის როჭიკაშვილის ყმათ.

რადგანაც მეფის ვახტანგის ბატონობას მოსულა და ახლაც აქავ არის, სამართლით გლახას დარჩა, ყაზახელობით სამართალმა არ წაართვა. რადგანაც ამდენის ხნის მოსული იყო, ვერას შეუვიდნენ. დეღარარელ თავის მეზობლებთან უნდა იყოს“ (ი. დოლიძე 1981: 111–112).

თურქულენოვანი მოსახლეობის სომხითში გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1770 წ. ჭაპალა (დღ. გოჩულუ) ბორჩალოშია დასახელებული: „23 ღვინობისთვეს ერეკლე მეფე ბორჩალოში იყო ჭაპალას. აქ მოუვიდნენ იაზიკოვი და ლვოვი“ (იოსელიანი 1980: 129).

1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში ვკითხულობთ: ქ. არს აოჭრებული სრულად სომხითი. ქვეყანა დიდი და მრავალი. და ამისი აყრილი კაცი ორმოცისგან ერთი თუ დარჩომილა. ერთმანეთში არიან ხიზნად (გამრეკელი, ცქიტიშვილი 1973: 154). როგორც ვხედავთ სომხითი საკმაოდაა აოხრებული, მაგრამ მთლად გაუკაცრიელებულიც არაა.

სომხითში სომხური მოსახლეობის გამრავლება-მომძლავრებაზე მეტყველებს სამწვერელი აზნაურების – შანშიაშვილების საგვარეულოს თავგადასავალიც. 1962 წ. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს, სამწვერისში მაშინ 74 წლის გიორგი შანშიევმა თავისი გვარის შესახებ გადმოცემა ჩამაწერინა: მათი ძველი გვარი გოგიბაშვილი ყოფილა. ერეკლე მეფის დროს ერთ გოგიბაშვილს სომეხი შანშიევის ქალი შეურთავს ცოლად. მეფეს ის დასასჯელად სამწვერისში გადმოუსახლებია და გვარიც ქალისგან შერჩაო. ასეთი საბუთი თითქოს რძალს გაჰყოლია რუსეთში.

საბუთებში გოგიბაშვილ-შანშიაშვილთა კავშირი ერეკლე მეფემდეც დასტურდება. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ გოგიბაშვილთა ერთი ნაწილი სადგერის ხეობიდან გადმოსახლდა ქვემო ქართლში. XVII ს-ის დასაწყისიდან გოგიბაშვილები იხსენიებიან შანშიაშვილებადაც. გოგიბაშვილთა საგვარეულო ბუდიდანაა წარმოქმნილი განშტოებები: შანშიაშვილი, პაპიაშვილი, ესტატაშვილი, დოლმაზაშვილი, ავთანდილაშვილი, დარისპანაშვილი (სურგულაძე 1986: 23–25). შანშიაშვილთა გასომხება შესაძლოა მართლაც XVIII ს-ში მოხდა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში შემოიყვანა ერეკლე მეფემ ფახრალი ელის თურქულენოვანი მოსახლეობა სომხითში (იხ. ზევით.)

1776 წლის საბუთებიდან ჩანს, რომ შულავერი აოხრებულა; მეფე ერეკლეს უპატრონო, ბეითალმალ მამულებზე შამშადილიდან ქრისტიანი სომხები გადმოუყვანია, რომლებსაც ადგილობრივებთან წყალზე ცილობა მოსვლიათ (ი. დოლიძე 1981: 326–327, 353);

1777 წ. მუხრანის ბატონისშვილი იოანე მეფე ერეკლეს მოახსენებდა: „22 წელიწადი არის, რომ სომხითი და ბოლნისი დაიცალა, მაშინ (ე. ი. 1755 წ. – დ. ბ.) ოსეფა, დედითა და ორი დით მუხრანს მოვიდა და აქამდე შემინახავსო. თხოვნაზე ერეკლეს ბრძანებაა მიწერილი: „...რადგან ეს ბოვნელი ოსეფა 22 წელიწადია ამ იოანე მუხრანის ბატონიშვილთან ყოფილა და ტყვეობიდამაც ამას მოსვლია, ეს კაცი ამ იოანესთან უნდა იყოს. მუხრანის მოხელეებს ამასთან საქმე არა აქვთ. და ღმრთის მოწყალებით ბოლნისი რომ აშენდეს, თავის სამკვიდროზე მისვლას ვერ დაუშლის“ (ი. დოლიძე 1981: 384–385).

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, 1780 წ. ჯავად განჯის ხანმა, შამშადილის ალი სულთანთან მტრობის გამო, „აჰყარა შამშადილი და მოიყვანა შულავერს“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1983: 63).

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, XVIII ს-ის II ნახევრის საჩივრების ნუსხაში იხსენიება შულავრელი ხუცესი, რაც იქაურ ქართულ ეკლესიასა და ქართველ მოსახლეობაზე უნდა მეტყველებდეს (ენუქიძე 1964: 49).

გადმოსახლება ხდებოდა ლორიდანაც: 1781 წ. ლორელები სესია ბარათაშვილს უჩიოდნენ, რომ სარქისას შვილი ნიაზა და იმისი შვილები ლორელები არიან, შენი ყმანი არ არიანო. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ სარქისა ვახტანგ მეფის დროს გადმოსულა ლორიდან, გილაქიშვილებს ჰყმობია და ორთაშუას დასახლებულა, ფოლადაურის შუაწელზე. შემდეგ ისინი სესია ბარათაშვილს დარჩენია (ნ. ბერძენიშვილი 1953: 116–117).

იმავე 1781 წ. მეფე ერეკლე წერდა: „ჩვენი ბრძანება არის ქაიხოსრო ნახუცრიშვილო! მერე შამშადილიდამ რომ ელის კაცნი აყრილიყვნენ და ეშიკაღასბაშს დიმიტრის მოსვლოდნენ, იმათი აყრა და შამშადილში მისხმა რომ გიბძანეთ, ჩვენ ასე არ ვიცოდით, ეგენი თურმე ჩვენი დის მზითევნი ყოფილან. როდესაც ნადირშამ ქართლი სანატრელს ბატონს მამა ჩვენს უბოძა, ეგ ახლა მოსული თათრები თუ მაშინ აქ სახლებულან და ბატონს მამა ჩვენს მზითვად უბოძებია, მზითევი არას რჯულში არ წაერთმევა. მაგათ ჯერ ნუ აჰყრი, მანდავ იყვნენ. თავეთის ნებით აყრილან და მოსულან, ძალათ ხომ არავის მოუყვანია“. დიმიტრი ორბელიანმა ერეკლეს ბრძანებით ჭაპალის ციხეც აღადგინა, ეს თათრებიც მაშინ იქ დააყენა (ი. დოლიძე 1981: 504–510). გამოდის, რომ ეს თურქულენოვანი მოსახლეობა სომხითში 1745 წ. მოსულა.

XVIII ს-ის 80-იან წლებში სომეხი მელიქები ირანის ხანებმა შეავიწროვეს. მათ თავშესაფარი ერეკლე მეფეს სთხოვეს. ერეკლემ ისინი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დაასახლა: მელიქ აბოვი,

ჯიმშიდ შახნაზარის შვილი, ფრიდონ ბეგლარის შვილი. მელიქ აბოვს მიეცა ტერიტორია ბოლნის-დმანისთან და კოლბის გზის დაცვა დაევალა. ამის შემდეგ მელიქ აბოვმა 700 მეტი ყარაბაღელი სომხური ოჯახი გადმოასახლა. XVIII ს-ის ბოლოს იგი ისე გაძლიერებულა, რომ საჭიროების შემთხვევაში 1000-მდე მეომრის გამოყვანა შეეძლო (ლომსაძე 1975: 343–344).

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდგომ, 1797 წ. დათუა გოსტა-შაბიშვილი დარეჯან დედოფალს სწერდა: „მოგეხსენებათ, მთელი სომხით-საბარათაშვილოსა თავადისაც და აზნაურშვილისაც ყმა სულ დაფანტული გახლავსთ ქართლში და კახეთში. ჩემი კაცნიც დაფანტულნი გახლავსთ და ერთი კომლი კაცი ელიოზიშვილს ნინიასა ყავს ჩემი“, სამართალში გვალაპარაკეთო (ი. დოლიძე 1985: 445). ასეთ პირობებში მელიქ ჯიმშიდმა გიორგი მეფისაგან მიიღო შულავერიც (ლომსაძე 1975: 344).

1798 წ. თამაზ ორბელიანი აღალუა ყორღანაშვილს ატყობინებდა, რომ შულავრის მელიქები გადასახადს არ იხდიდნენ: „ბატონიშვილის ოქმი გვიჭირამსო, რაც ბარათი მოვიდეს ნურასფერს ნურას მის-ცემთო... ამ მელიქებისთანა გაუთლელი კაცი არ ნახულა. ბარათიც მანდ მიახლებია, ეგების სხვარიგად მოახერხო და გაარიგო, სანამ ბატონიშვილიც მანდ ბრძანდება“ (თაყაიშვილი 1910: 340).

1800 წ. ისმეილ აღა გიორგი XII ატყობინებდა, რომ „მელიქ ჯუმშუ-ტი“ ვისთვისაც მეფეს „ძველი სარაჩლო“ უბოძებია, ამ უკანასკნელს ჰყრის და მიჰყავს. მე დედოფლის მამულში ვარ და ოქმი მიბოძეთ არავის ხელი ჩემთან არ ჰქონდესო. მეფემ ისმეილ აღა დაამშვიდა: „თქვენ ჩვენი სახასონი ხართ... სადაც სდგეხართ მანდავ იყავით, ვერავინ რას გაწყენინებსთ“-ო (ი. დოლიძე 1985: 681).

სარაჩლო შულავრის მეზობლადაა, მის ჩრდილო-დასავლეთით, დასტურლამალის მიხედვით, ამ თათრულ სოფელში 94 კომლი ითვლებოდა (ლორთქიფანიძე 1935 343). ჩანს, შულავერში ჩამოსახლებულ სომეხ მელიქს, თავისათვის იმის უფლებაც მიუცია, რომ თავის სასარგებლოდ ძველი სარაჩლო აეყარა.

დარეჯან დედოფლის მიერ რუსის მმართველობისათვის 1801 წ. წარდგენილ სადედოფლო მამულების ნუსხიდან ჩანს, რომ მეფე ერეკლეს მეუღლისათვის მიუცია ყოშაქილისას ელის 18 კომლი; დარეჯანს „უცხო ქვეყნიდან თათრების მოყვანით“ შეუვსია ეს სოფელი 68 კომლამდე და ამით გაუზრდია თავისი შემოსავალი (თაყაიშვილი 1910: 300).

თუ როგორი იყო ელის მოსახლეობისაგან მიღებული შემოსავალი, ამას ცხადყოფს 1802 წ. დარეჯანის მიმართვა ქაფანაქჩის ჯამაათისადმი: „...ამ თარიღის უწინ 3 წელიწადს ტალავერში მდგარხართ... წარსულის 3 წლისა ზემო თარიღამდინ წელიწადში 22 თუმანი და 8 მინალთუნი... 3 წლის ქირა 68 თუმანი და 4 მინალთუნი იქნება, ამისი 45 თუმანი...

თქვენ მიგაცემინეთ მილახვრის იოსებისათვის თავისის მამულის ალაგის ქირათ... თქვენ რომ მახტა გაძევსთ წელიწადში 100 თუმანი, დანარჩენი იმაში გიანგარიშეთ. ამ წარსულის 3 წლის ტალავრის ღალაც თქვენ გაპატიეთ...რამდენს ხანს თქვენ ტალავერში იდგებით, იმ ალაგის ქირა წელიწადში 22 თუმანი და 8 მინალთუნი თქვენი 100 თუმნის მახტიდამ უნდა აძლიოთ მილახვარ იოსებს და ამას იქით, რაც ტალავრის ღალა იქნება, ჟამზედ ყოველთვის ჩვენ დავაწერინებთ“ (თაყაიშვილი 1910: 288–89).

ამრიგად ბოლნისისხევის – გვიანი საუკუნეების სომხითის ეთნიკური გეოგრაფიის განხილვამ დაგვანახა, რომ უძველესი მოსახლეობა იქ ქართულია, ალბათ, სომხური ელემენტის მცირე შენარევით. XV–XVI სს-დან სომხური შემოსახლება მატულობს; XVII–XVIII საუკუნეებში ქართველობა იქ უმცირესობაშია, მაგრამ სომხები ქართულად გადაკეთებულ გვარებს ატარებენ და ქართველები არიან „ქცევა-ზნითა“ მსხვილ მიწისმფლობელებად სამეფო ოჯახი და ქართველი ფეოდალები რჩებოდნენ. XVIII ს-ის II ნახევარში სომხითი თითქმის სულ იცლება მოსახლეობისაგან. შემდგომში ხდება შემოსახლება თურქულენოვანი ტომებისა, სომხებისა და ქართველებისა ქართლ-კახეთის შიდა რაიონებიდან.

* * *

ბოლნისისხევის დაწინაურება თავიდანვე ძლიერ იყო დამოკიდებული იქაურ მეტალურგიულ წარმოებასა და ძლიერ სასოფლო-სამეურნეო ბაზაზე, სადაც გამოირჩეოდა მევენახეობა-მეღვინეობა.

ბოლნისი ამ მხარის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო, რომლის ირგვლივ სოფლების ჯევად გაერთიანება წინარეანტიკურსავე ხანაში ივარაუდება.

ადრეფეოდალურ ხანაში ბოლნისისხევი (ბოლნოფორ) ტერიტო-რიულ-ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც მოიცავდა ლოქის-წყლის, ფოლადაურის, ტალავრის, მანხუტის და შულავრისხევს მის ზემოწელამდე. თავისთავად ეს ერთეული ქართული წყაროების სამშვილდის საერისთავოში (საპიტიახშო) შედიოდა: ეპარქიალურად კი ბოლნელს ემორჩილებოდა.

განვითარებულ ფეოდალიზმის ხანაში „ხევი ბოლნისისა“, დმა-ნისხევთან ერთად, სამეფო იყო და იქაური მემამულე ფეოდალები მეფის მორჩილნი იყვნენ. მონგოლთა შემოსევის წინ ეს ერთეული გაგელთა საგამგებლო იყო.

ქართული წყაროების სომხითი, ამ მხარეში სომეხ ბაგრატუნთა საუკუნენახევრის ბატონობის მემკვიდრეობად შემორჩა. ფეოდალიზმის გვიან საუკუნეებში ეს ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინი დავიწროვდა,

მოიცვა ძველი ბოლნისისხევი, დებედის ქვემო დინებასთან ერთად. ეს მხარე სამეფო ოჯახის საკუთრებად დარჩა და იქ სათავადო არ ჩამოყალიბებულა, თუმცა ქართველ ფეოდალებსაც ჰქონდათ მამულები. „ქართლის სომხითი“ ბოლნელის სამწყსოდ დარჩა XVIII ს-ის შუამდე.

მეზობელ დმანისხევთან და ქურდვაჭრისხევთან (დებედა) შედარებით, რომელთა აღზევებაც და დაცემაც აქ გამავალი გზების მნიშვნელობასთან იყო დაკავშირებული, ბოლნისისხევმა დღემდე შეინარჩუნა თავისთავადი როლი, როგორც მდიდარმა, სასოფლო-სამეურნეო რაიონმა (ლ. მუსხელიშვილი 1938: 375).

# დებედის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის*

დღევანდელი საქართველოს ფარგლებში შემორჩენილ ქვემო ქართლზე გადის სახელმწიფო საზღვარი სომხეთსა და აზერბაიჯანთან. სამხრეთით იგი სომხეთის ქედს, ანუ ლოქ-ლალვარის მთების ჩრდილო კალთებს მიუყვება, აღმოსავლეთით კი – ბაბაქიარის მთას, რომელიც დებედისა და ინჯა-სუს აუზების წყალგამყოფია. სამხრეთიდან ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ყვება ფინეზაურის ხეობა დაწყებული სოფ. მუღანლოთი, ფოლადაურის ხეობა-ახქერფით, შულავრისხევი – სოფ. ჩანახჩით; დებედის მარცხენა შენაკადის – ბანუშისწყლის ხევში ჩვენ გვეკუთვნის სოფლები: ხოჟორნი, ბრდაძორი, მოლა-ოღლი, გიულ-ბაღი და წოფი; აღმოსავლეთ საზღვართან კი – წითელი, ანუ ძველი ქართული გატეხილი ხიდი.

ქვემო ქართლის ზემოხსენებულ ნაწილში ორი ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონია: მარნეულის ვაკე და სომხითის ქედის მთისწინეთი. პირველი ქვემო ქართლის ვაკის მარჯვენა ნაწილია, რომელიც ალგეთის, ქციისა და მის შემდინარეთა ქვემო დინებით ირწყვის. ვაკის სიგრძე ამ მდინარეთა გასწვრივ 35-38 კმ-ია, უდიდესი სიგანე – 18 კმ; მისი ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლეა 265-400 მ, ზედაპირის დახრილობა მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის პარალელურად.

ნიადაგი წაბლა მიწებია, ალაგ-ალაგ მლაშობ-ბორცვიანი. სტეპები ვაკის უდიდეს ნაწილში კულტურული მცენარეებითაა შეცვლილი. საშუალო წლიური ტემპერატურა 13°C-ია, უცივესი თვისა – –0,3°C, ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 23-24,5 °C-ია.

არახლოს ქვევით, ქციასა და მის შენაკადებში ბინადრობს კასპიის სალამურა, კასპიის ორაგული, კარჩხალი, ხრამული, მტკვრის წვერა, ჭანარი, მურწა, მდინარის ღორჯო. მტკვრის ჭალების სანადიროდ გამოცხადებულ ტერიტორიაზე ბინადრობს ირემი, ტახი, ხოხობი.

სომხითის ქედის მთისწინეთი მოიცავს ქედის ჩრდილო კალთების

* პირველად დაიბეჭდა კრებულში „დმანისი“ V, თბილისი 2006, გვ. 249-346.

მთისწინა ბორცვნალს. ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია ფინეზაურის, ფოლადაურის, ტალავრისწყლის, მანხუტისხევის, შულავრისწყლისა და დებედის მონაკვეთით სოფ. აშაღა-ქერიფლუდან სადახლომდე. ხეობები ამოვსებულია თიხნარებითა და რიყნალებით, ამიტომ მათ ბრტყელი, ხშირად ტერასისებური ფსკერი ახასიათებს. ხეობათა სიგანე ზოგჯერ არ შეესაბამება მათში გამდინარე ნაკადების წყალმცირე რეჟიმს. დებედის ხეობაში ლავური ღვარია ჩაწოლილი, რომელშიც მდინარეს თავისი კანიონისებური კალაპოტი ჩაუჭრია. ამ ქვეარაიონის აბსოლუტური სიმაღლეები ცვალებადობს 350 მ-დან 700-900 მ-მდე.

ხეობების ფსკერი თითქმის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უკავია, მთისწინეთის ფერდობები კი დაფარულია ბუჩქნარით. მაღალი სარტყლის ტყეებში წიფელა ბატონობს, დაბალ სარტყელში – მუხა და რცხილა, ლოკალურად არის ფიჭვნარიც. ალპური მდელოები ლოქისა და ლალვარის მასივებზეა გავრცელებული (მარუაშვილი 1964: 264-267, 315-317).

## წოფისხევი

მდინარე დებედის ქვემო დინება და მისი მარცხენა შემდინარე ბანუშ-ჩაის ხეობა ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვებითაა შესწავლილი 1956–1958 წლებში. მაშინვე ტარდებოდა წოფის ციხისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრები. ამ სამუშაოთა პირველი შედეგები 1960 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულში“.

დებედის ხეობის ამ ნაწილზე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ზოგიერთი ზოგადი დაკვირვებანი გამოთქმულია დ. მუსხელიშვილის ნაშრომში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ I, თბ., 1977 და წიგნში – დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი“, ნაკვ. I, თბ., 1979.

* * *

მარნეულის ვაკის აწინდელი ვითარების ზემოთ მოტანილ აღწერილობას შესანიშნავად ავსებს ვახუშტი ბატონიშვილისეული დახასიათება დებედის ქვემო წელისა: „არს ესე მდინარე სარგებლიანი, სადაცა იწყებს დინებასა ჩრდილოთ კერძ... კვალად აღმოიღებენ რუთა, და ირწყვის ამიერ და იმიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი (საზამთრო

– დ. ბ.), კიტრი, ბადრიჯანი, ხოლო მტილოვანნი (ბოსტნეული – დ. ბ.) ყოველნი და წალკოტთა ხეთანი“ (ხეხილი – დ. ბ.). ვახუშტი იზიარებს ხალხურ ეტიმოლოგიას და წერს, რომ რაკი „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“, ამიტომაც ეწოდა მას დებედაო. მის დროს თურმე იქ მცირე რაოდენობის აბრეშუმსაც აკეთებდნენ; აქ მოსახლე ძველი ტომების მეურნეობაში მიწათმოქმედების წამყვან როლზე მეტყველებს ამართული ქვა (ფალოსი), რომელიც ქციის მარჯვნივ, მინდორში იდგა გატეხილი ხიდის სიახლოვეს. „ჰავით არს ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილმშვენი, რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე ორ. ფრინველნი მრავალნი: ხოხობი, კაკაბი, იხვი ურიცხვნი და სხვანიცა... ხოლო ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრისხევი, და აწ უწოდებენ აღჯაყალას (თეორციხე) იაყუფ ყეენისაგან წოდებულს“ (ვახუშტი 1941: 34).

ამავე სახელწოდებას „ქურდისხევის“ ფორმით პირველად ხმარობს ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი VIII ს-ის ამბებზე თხრობისას (ჯუანშერი 1955: 242), შემდგომში თამარის ანონიმი ისტორიკოსი მას ქურდვაჭრისხევის სახელით მოიხსენიებს. სომხური წყაროები ასეთ სახელწოდებას არ იცნობენ. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, იგი სატომო სახელიდან (ქურდნი) მომდინარეობს, რომელიც დებედის ხეობიდან შაქი-შამახიის მიდამოებში ვრცელდებოდა (ნ. ბერძენიშვილი 1990: 12).

ასევე სრულია ვახუშტისეული აღწერა მისი თანადროული ხოჟორნისხევისა (ახლანდელი ბანუშისწყალი): „ქვემორ ახტალისა არს ჴეობა ხოჟორნისა. ჴეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ყოვლის თესლისა მოსავლიანი. მას ქვემორ საჴლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა და თესლთა ზეითწერილთა, და მტილოვანთა, სავსე პირუტყვითა, ხოლო აწ უწოდებენ ალაღაჯს“ (ვახუშტი 1941: 36).

მართლაც, ჩვენი დაზვერვების დროს (1957-1960 წწ.), ხოჟორნისხევის ნასოფლარებში თითქმის ყველგან გვხვდებოდა საწნახლები და მარნები, ასევე გაველურებული ვაზი. ეს უკანასკნელი იყო ტყეშიაც, რომლითაც დაფარულია რამდენიმე ნასოფლარი. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში მევენახეთა სოფლების რაოდენობა იქ გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღესაა, ხოლო ტყემ ბოლო ხანებში იმატა.

დებედის აუზის ზემოხსენებული მონაკვეთის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდიდა იქაური წიაღისეული საბადოები: ოქრონარევი ქვიშა, ტყვიანარევი ვერცხლი; სპილენძის საბადოები იპოვებოდა დებედის მარცხნივ, ალავერდში, შამბლულსა და ახტალაში, რომელსაც სომხები პღნძაჰანქს, ე. ი. სპილენძის მადანს უწოდებდნენ. XVIII ს-ის ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო შემოსავლის 1/4-ს სწორედ ეს მაღაროები იძლეოდა (დ. ბერძენიშვილი 1979: 12).

ამათ გარდა, წოფში იყო მარმარილოსებრი კირქვების კლდოვანი

მასივი, რომელზედაც მოიპოვებოდა კარგი სამშენებლო მასალა. იქვე აღმართული ციხის გარდა, სწორედ ამ ქვითაა ნაგები ხეობის რამდენიმე ეკლესიაც.

საინტერესოა, აგრეთვე, იმავე ხევის სოფლის სახელი, რომელსაც ქართული წყაროები ბერდაძორს, ბორდაძორს უწოდებენ. სოფელიცა და მისი სახელიც – ბრდაძორ, საკმაო სიძველისაა, რაც სომხურად ნიშნავს მეკეცის ხევს. ადგილობრივი მოსახლეობა იქ ახლაც მიუთითებს მეთუნეობისათვის საჭირო თიხაზე, რომლიდანაც კრამიტს ამზადებენ. იქვე უპოვიათ ძველი ქურებიც, სადაც ალბათ კერამიკის გამოწვა ხდებოდა.

დებედის ხეობის ეს მონაკვეთი მოხერხებული იყო მომთაბარე მესაქონლეობისთვისაც. საქმე ისაა, რომ ლელვარ-სომხითის ქედის საძოვრებზე ცხვარ-საქონელი დღევანდელი ბანუშ-ჩაის ხეობით მიჰყავდათ დებედის ქვემო წელის მოსახლეობას და ხოჟორნის ხეობელებსაც; საზამთრო საძოვრებად კი დებედა-ქციის ქვემო წელს იყენებდნენ.

გარდა აღნიშნულისა, დებედისხევის აყოლებით მიდიოდა გზები სომხეთისკენაც. XIX ს-ში უფრო მოკლე ყოფილა წოფისხევის გზა, რომელიც თბილისიდან კოდა-იმირზე გავლით, სადახლომდე დებედას მიჰყვებოდა; მერე წოფისხევით, ბრდაძორით ალავერდის სპილენძის ქარხნებს გაივლიდა, უზუნლარ (ძველი ოძუნი) – წათერ-ყარაქილისით, ალექსანდროპოლს (ძველი გუმრი) მივიდოდა (ფილიპოვი 1872: 310-36). მესამე გზა სადახლოსა და ხოჟორნის გავლით შულავრისხევში გადადიოდა, ჩანახჩისთან კი – ფოლადაურის ხევში, შემდეგ აღქერფითა და მგლისკარის უღელტეხილით ლორეში მიდიოდა.

* * *

ადამიანის ნაკვალევი წოფისხევში ძველი ქვის ხანიდან ჩანს. აქ მიკვლეული მუსტიეს ხანის სამი სადგომიდან ერთი დებედის მარჯვენა სანაპიროზეა, სოფ. იუკარ ქერიფლუსთან, ორი კი – სოფ. წოფის მიდამოებში. წოფის მღვიმე გათხრილი და შესწავლილია გ. გრიგოლიას მიერ 1957-1958 წწ. იგი მდებარეობს ბანუშ-ჩაის მარცხენა სანაპიროზე, წოფის გორის სამხრეთ ფერდზე. კირქვებში წარმოქმნილ, ნაპრალის ტიპის მღვიმეში ქვედაპალეოლითელ ადამიანს უცხოვრია მანამ, ვიდრე უეცარმა ბუნებრივმა კატასტროფამ (მიწისძვრამ?) არ დააქცია ის. მისი საერთო ფართობი 70 კვადრატული მეტრი იყო, რომლის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა 2 800 ქვის ნივთი. აქვე იყო 3-3 ლოდით შედგენილი 2 კერა, სამეურნეო დანიშნულების, კედლებშებოლილი ორმო, 35 სმ სიღრმისა. ძვლოვანი ნაშთები 11 სახეობის ცხოველისაა: დომბა, გარეული ცხენი, ნამარხი ევროპული

ვირი, კეთილშობილი ირემი, ბეწვიანი მარტორქა, დაღესტნის ჯიხვი, ნიამორი, დათვი, მგელი, რუხი კურდღელი და ოქტონა. ჩანს, ნადირობას შერჩევითი ხასიათი არ ჰქონია. ქვის იარაღები დამზადებულია პორფირიტის, ანდეზიტ-ბაზალტის, ობსიდიანის, კაჟის და სხვა ქვის ქანებისაგან. ესენია: სახოკები, დანა-სახოკები, სახვრეტები, მასიური საჩეხისებური და მინიატურული ხელცულისებრი იარაღები,წვეტანები და სხვ. აბსოლუტური ასაკი 44150 წელია (საქართველოს არქეოლოგია 1991: 117-118).

შემდგომი ხანის ნამოსახლარები აღნიშნულ ტერიტორიაზე განეკუთვნება ენეოლითს, ესენია ნასახლარი გორები, რომელთაგან 5 დებედის ნაპირებზეა, 3 კი – ბანუშ-ჩაის ხეობაში – სოფ. ბრდაძორსა და წოფთან. ამ პუნქტებზე აკრეფილი ზედაპირული მასალა მცირე რაოდენობის ობსიდიანისა და ბაზალტის იარაღებთან ერთად მრავლად შეიცავს კერამიკულ ფრაგმენტებს. მათ აერთიანებს ხელით, უმორგვოდ დამზადების არქაული წესი, ზედაპირის შავად გაპრიალება, შემკობის შერეული ხერხების (ამოღარული, ჩაზნექილი, ამობურცული) გამოყენება, სადაც ჭარბობს სამკუთხედები, სწორკუთხედები, სპირალები.

აღნიშნული ძეგლები წარმოდგენას გვიქმნიან დებედის ქვემო წელზე მკვიდრი მოსახლეობის გარკვეულ სიმჭიდროვეზე, მეურნეობის განვითარებაზე,რაც განპირობებული იყო ზემოხსენებული ბუნებრივი გარემოს ხელსაყრელობით.

წინარექრისტიანული ხანის ძეგლებიდან აღნიშნულ რაიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი მაინც გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარებია. ისინი ძირითადად გორებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ ზედაპირულად აკრეფილი კერამიკა ძირითადად ლეგად და შავადაა გამომწვარი. ის შემკულია პარალელური ღარებით, გრეხილი და ტალღური სარტყლებით, ჭდეული სოლებით და სხვ. (გრიგოლია, ტატიშვილი 1960: 76-78).

ამ გორების უმეტესობა მშრალი წყობის ქვის გალავნებითაა გამაგრებული, თან მათი ერთი ნაწილი, ხეობიდან ხეობაში, წყალგამყოფ ქედებზე გამავალ გზებთანაა დაკავშირებული. ასეთებია ბაბაქიარის ქედზე მდებარე გორა, დებედის ხეობიდან ინჯის ხეობაში გარდამავალ გზაზე ან დებედა-შულავრის წყალგამყოფ ქედზე მდებარე გორები, რომლებიც სწორედ ასეთ გზებს უდგას ყელში, ასევეა წოფისა და ხოჟორნის გორებიც. ამ გამაგრებულ გორათაგან ზოგიერთს არც ადრე შუა საუკუნეებში დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ჩანს, ისინი შემდგომშიც გამოუყენებიათ, რასაც იქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები მოწმობს (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 41-42).

ზემოხსენებული ნამოსახლარი გორების სიმჭიდროვე ნათელი მოწმობაა სოფლების რაოდენობის ზრდისა, რასაც უზრუნველყოფდა განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

# დებედის ხეობის უძველესი ნამოსახლარები და ყორღანები



* * *

შემდგომი ქრონოლოგიური პერიოდი აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე ადრე შუა საუკუნეების ხანის ძეგლებითაა წარმოდგენილი. მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ წოფის გორის ზედაპირზე ანაკრეფ მასალაში გამოირჩევა ელინისტური და რომაული ხანის კერამიკის ფრაგმენტები, რაც ამ გორაზე მაშინდელი ცხოვრების კვალია. ამ პუნქტის თანდათანობითი დაწინაურების შედეგია წოფის გადაქცევა ბანუშ-ჩაის ხეობის ცენტრად, რაც აისახა სახელწოდებაში „წოფისხევი“. ასეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მოხსენიებულია სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცისთან და სომხურ გეოგრაფიაში, რომლის ცნობები IV-V ს-თა ვითარების ამსახველია. აქ „წოფოფორი“ (ე. ი. წოფისხევი) დასახელებულია „ბოლნოფორის“ (ბოლნისისხევი) შემდეგ, „კოლბოფორისა“ (კოლბისხევი) და „ძოროფორის“ (აღსტაფისხევი) წინ. ასეთ პირობებში წოფისხევი მის გვერდით მოხსენიებულ ხევთა თანაბარი ერთეული გამოდის.

წოფის დღეს არსებული ციხე გათხრილი და შესწავლილია; ის VI ს-ითაა დათარიღებული, მაგრამ ივარაუდება, რომ იქ მანამდეც უნდა ყოფილიყო სიმაგრე, რასაც მოწმობს ძველი, მშრალი წყობის კედლების გამოყენება VI ს-ის ციხის მშენებლობისას (ცქიტიშვილი 1960: 91-93).

გათხრების დაწყებისას კლდოვან მთაზე ამართული წოფის ციხიდან შერჩენილი იყო ზედაციხისა და გალავნის ფრაგმენტები, რომლებიც კლდოვანი ფერდობის საკმაოდ დიდ ტერიტორიას შემოზღუდავდა. ზედაციხის კედლებში დაყოლებული იყო ოთხი ნახევარწრიული ფორმის ბურჯი, ცალკე იდგა ერთი წრიული ფორმის კოშკი. ზედაციხეში ყოფილა ორი სათავსი, სადაც მეორე სართულიდან ჩადიოდნენ.

გალავნის შიგნით, ტერასებზე, საცხოვრებელი კომპლექსების ნაშთები იყო, იქვე გაითხარა მცირე ეკლესია ნალისებური აფსიდით. კედლის წყობა უმეტესად ჰორიზონტალური იყო (ცქიტიშვილი 1960: 86).

გალავანი, რომელიც ქვედაციხეს ზღუდავდა, არ იყო ერთიანი. კედლები ამოყვანილი ყოფილა ადვილმისადგომ ადგილებში, მიუვალ ქარაფებს ისინი არ ახლდა. შუა საუკუნეთა ციხის მშენებლებს ხშირად გამოუყენებიათ „ციკლოპური“ გალავანი. (სურ. 1)

წოფის ციხის მიდამოებში ორი დარბაზული ეკლესია გათხარეს, მსგავსი წყობითა და ნალისებური აფსიდებით. ერთ მათგანს შვერილი ხუთწახნაგა აფსიდა აქვს, ამბიონი კი სამი საფეხურითაა ამაღლებული. აქ ნაპოვნ ჩუქურთმათა ფრაგმენტები მსგავსია ბოლნური ჩუქურთმებისა, (სურ. 2, 3) ხოლო ერთ სვეტისთავზე ამოკვეთილია რელიეფი: დედალ-მამალ ირემს ლომი მისდევს. ეკლესიის დასასავლეთ მინაშენში

სურ. 1. წოფის ციხის გეგმა (გ. ცქიტიშვილის მიხედვით)

ჩაყოლებულ სტელის ფრაგმენტზე გამოსახულია ფარ-შუბოსანი მხედარი, რომლის უკან ქვეითი მამაკაცი ჩანს (სურ. 4). ეკლესიათა აღწერილი დეტალები VI ს-ითაა დათარიღებული და წოფის ციხის თანადროულია (ცქიტიშვილი 1960: 89-90). გამოდის, რომ მაშინ აქ ყოფილა ციხე წოფისხევის უფლისა, რომელსაც ახლდა „ციხისძირი“,




სურ. 2. წოფის ეკლესიის გეგმა (გ. ცქიტიშვილის მიხედვით)

ანუ მისივე კუთვნილი და ყველა სამსახურის აღმსრულებელი სოფელი.

კიდევ ერთი ადრეული ეკლესიაა წოფის ციხის დასავლეთით, ქედზე, რომელსაც წოფისაგან მცირე ხევი გამოჰყოფს. ის აღგილობრივი მარმარილოს დამუშავებული კვადრებითაა ნაგები. მთავარ დარბაზს ჩრდილოეთიდან მინაშენი აქვს, ორივე აფსიდის კამარები ნალისებურია, ისინი დამუშავებულ კაპიტელებს ეყრდნობა. ეკლესიას გალავანი ჰქონია, ხოლო დასავლეთით ნასოფლარი ჩანს. ეკლესია VI ს-ისა უნდა იყოს (სურ. 5).

ასევე ადრეულია მელიქაშენის ნასოფლარზე ორი ეკლესიიდან უფრო მოზრდილი, რომელიც სამეკლესიიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე (გაგოშიძე 2003: 8) (სურ. 6).

V-VII სს-თა სტელები თუ რელიეფური გამოსახულებანი ჩვენ დავადასტურეთ ბანუშისწყლის სხვა სოფლებშიაც. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბრდაძორის დიდი სტელა, რომელიც საქართველოში შემორჩენილი სტელებიდან ყველაზე დიდია. დაახლოებით 6 მ სიმაღლის სვეტი, კუბურ ბაზაში ჩასმული, მდინარის მარჯვენა სანაპირო ფერდზე იდგა; მისი ზედა ნაწილი მოტეხილი იყო. ბაზისის დასავლეთისკენ პირმიქცეულ გვერდზე წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. სამხრეთ გვერდზე ექვსსტრიქონიანი

სურ. 3. წოფის ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები (გ. ცქიტიშვილის მიხედვით)



სურ. 4. რელიეფური გამოსახულებანი წოფის ეკლესიის სვეტისთავსა და სტელის ფრაგმენტზე (გ. ცქიტიშვილის მიხედვით)



სურ. 5. წოფის მახლობელი დარბაზული ეკლესია (გ. გაგოშიძის მიხედვით)

რელიეფური ქართული წარწერა საგანგებოდ გადაუშლიათ. ოთხკუთხა სტელის დასავლეთი მხარე უჭირავს რელიეფურ სიუჟეტებს, რომელთაგან ზოგი ძლიერ დაზიანებულია. სვეტის სხვა გვერდებს მცენარეული ორნამენტები სიმაღლეზე მიუყვება (ვაზის რტო, ყურძნის მტევნები და სხვ.).

არ ჩანს, რომ მახლობლად ყოფილიყო სტელის თანადროული ეკლესია. ამავე დროს, სვეტის სალოცავ დანიშნულებაზე აშკარად მეტყველებს მისი ზომები, ხატის მნიშვნელობის სიუჟეტური რელიეფები, დამხრობის მკაცრი ორიენტაცია, სვეტის ირგვლივ არსებული მოედანი, რომელიც მლოცველთა დიდ რიცხვს დაიტევდა. უეჭველია,




სურ. 6. მელიქაშენის სამეკლესიიანი ბაზილიკის გეგმა, რეკონსტრუქცია
(გ. გაგოშიძის მიხედვით)

თავიდან ის ეკლესიის მაგივრობას სწევდა; მის სიახლოვეს ტარდებოდა, ალბათ, რელიგიური საწესო ქმედებანი და უთუოდ ნათლისღებაც იქვე მომდინარე ხევის წყალში, როგორც ეს მიღებული იყო ადრექრისტიანულ ხანაში.

ასეთი ჯვრების გავრცელება საქართველოში სათავეს იღებს წმ. ნინოსა და მირიანის მიერ მცხეთასთან ჯვრის აღმართვიდან; ქვას, რომელზედაც ჯვარი დაამყარეს, ნინოს თხოვნით, მთავარეპისკოპოსმა დასწერა ჯვარი; აქედანვე მოდის წესად, რომ ჯვარია გამოსახული თითქმის ყოველი სტელისა თუ ქვაჯვრის კვარცხლბეკზე. ორი საუკუნის მანძილზე მცხეთის ეს წმინდა სალოცავი ღია ცის ქვეშ იდგა, ვიდრე VI ს-ში მის გვერდით არ ააგეს მცირე ეკლესია, შემდგომში კი ამ ჯვარსაც დიდი ტაძარი დააშენეს (ნ. ჩუბინაშვილი 1972ა: 8-9).

ბრდაძორის XIX ს-ში აგებულ სომხურ ეკლესიაში ჩაშენებული იყო მეორე, უფრო მცირე ქვასვეტი VI ს-სა. მის დასავლეთ მხარეს გამოსახულია ნათლისღების ყველაზე ლაკონიური რედაქცია, რომლის მიხედვითაც ამ მოვლენაში მონაწილეობენ ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი. ნათლისღება ხდება მდ. იორდანეში. ქრისტეს თავს ზევით მტრედის – სულიწმიდის არაპროპორციულად დიდი გამოსახულებაა, რითაც ხაზგასმულია ამ მოვლენის უდიდესი მნიშვნელობა. ქრისტე წარმოდგენილია ბავშვის სახით, რაც არ შეესაბამება ისტორიულ მონაცემებს.

ეს გარემოება სიმბოლურად მიუთითებს, რომ, ძველ ქრისტიანთა

რწმენით, ნათლისღება ახალი სიცოცხლის დასაწყისს მოასწავებდა.

ქრისტეს სასწაულთა ჯგუფს ეკუთვნის ორი ძალზე დაზიანებული სცენა: განრღვეულისა და ბრმის განკურნება. სვეტის დასავლეთი მხარის სცენებს ასრულებს ქრისტეს ამაღლება. ის გამოხატულია სტელის დამაგვირგვინებელ ნაწილზე. ტახტზე გამოსახული ქრისტე მანდორლაშია, რომელიც ოთხ ანგელოზს უჭირავს.

ბრდაძორის მცირე ქვასვეტის სამხრეთ წახნაგზე თავისებურად უნიკალურია ღმრთისმშობლის სულის ამაღლების სცენა: თავიდან ფეხებამდე მოსასხამში გახვეული პატარა ფიგურა – ღმრთისმშობლის სულის განსახიერებაა. ქართველი ოსტატის მიერ ეს თემა ორიგინალურადაა გადაწყვეტილი: მაგალითად, საყვირი მარცხენა ანგელოზის ხელში – განკითხვის დღის რთული თემის ელემენტია. ამავე დღის შემადგენელი დეტალია ცენტრში გამოსახული დიდი საცეცხლური. „ამ კომპოზიციაში უცნაურად არის შერწყმული მეორედ მოსვლის იდეა ღმრთისმშობლის სულის ამაღლებასთან“-ო, დაასკვნის კ. მაჩაბელი (მაჩაბელი 1993: 43-59; მაჩაბელი 1996: 11-15).

ამავე სტელის სამხრეთი მხარის რელიეფურ გამოსახულებებში საინტერესოა წარჩინებული აზნაურის ოჯახი – ცოლ-ქმარი ყმაწვილთან. ქვასვეტი, ცხადია, მისი წევრების სამლოცველოდაა აღმართული ფეოდალის საკუთარ მიწაზე. სტელა ბაზისზე იქნებოდა დადგმული, შესაძლოა იქვე ყოფილიყო წარწერაც (სურ. 7).

მამა-შვილის ტანსაცმელი ირანული ყაიდისაა და მიუთითებს ხანაზე, როცა ქართველი დიდაზნაურები სასანიდური ირანის გავლენით ატარებდნენ მას. ქართველ ისტორიკოსს ჯუანშერს სპარსეთის შაჰის მიერ ვახტანგ გორგასლისათვის გამოგზავნილ საჩუქრებს შორის დასახელებული აქვს „სამოსელი ხუასროვანი ათასი“ (ჯუანშერი 1955: 183).

ირანის მიერ ქართლში მეფობის გაუქმება VI ს-ში, ასევე ქარ-თლის აზნაურებისათვის საერისთავო-საგამგებლო ტერიტორიების სამემკვიდრეოდ დამტკიცება, კიდევ უფრო გაზრდიდა ირანის გავლენას ცხოვრების სხვა სფეროებშიც.

ოჯახის უფროსი მამაკაცი აქ გამოსახულია სიმბოლური ყვავილით მარჯვენა ხელში, რითაც ხაზგასმულია მისი განსაკუთრებული მდგომარეობა სხვა რელიეფებზე გამოხატულ პირებთან შედარებით. ოჯახისთავი, ის შესაძლოა წოფის ხევისუფალიც ყოფილიყო, მაშენებელი, ან მფლობელი წოფის ციხისა.

ადრეული ხანის რელიეფური გამოსახულებები აღმოჩნდა ასევე ბრდაძორის, გიულბაღის, ხოჟორნისა და სხვა ნასოფლართა მოგვიანო ნაგებობებში. უმეტესი მათგანი შესწავლილი და გამოქვეყნებულია. ხოჟორნის ეკლესიის საკურთხევლის შვერილებსა და პასტოფორიუმებში, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ სარკმელთა წირთხლებში ჩაშენებულია სტელათა ფრაგმენტები. მათზე გამოსახული ტოლმკლავა ჯვრები,



სურ. 7. ბრდაძორის მცირე ქვის სვეტი (კ. მაჩაბლის მიხედვით)

მცენარეული ორნამენტები, მოციქულები, მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციები – VI-VII საუკუნეებისაა (სურ. 8).

ხოჟორნის ეკლესიაში ჩაშენებული, ერთი ქვასვეტის ნატეხზე VII ს-ის ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება: „...ღოანე ძმა ღაკობისი“; აქ მოციქულები იგულისხმებიან – იოანე და იაკობი ზებედეს ძენი. სხვა ასეთსავე წარწერებთან ერთად, ეს ფაქტი აქაური ძველი მოსახლეობის ქართულ უმრავლესობაზე მეტყველებს (სურ. 9).

საფუძვლიანია ვარაუდი, რომ ამ ხეობაში მოქმედებდა ქვასვეტთა დამამზადებელი მძლავრი სახელოსნო (გაგოშიძე 1999). ადრეული ქრისტიანობის ეს თავისებური სამლოცველო ძეგლები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. ისინი მორწმუნეთა წარმოდგენაში აცოცხლებდნენ იმ სახეებსა და მცნებებს, რომელთაც ისინი აღიქვამდნენ ღვთისმსახურების დროს. ამავე დროს, ასეთი ძეგლების დადგმით ადგილობრივი აზნაურები თავისი სოციალური პრესტიჟის განმტკიცებას ესწრაფოდნენ.

ხოჟორნიში, შუა სოფლის ერთ შემაღლებაზე, ადგილობრივი



სურ. 8. ხოჟორნის სტელის ფრაგმენტები (გ. გაგოშიძის მიხედვით)

აშოტ მიკოიანის სახლის მშენებლობის დროს, 1953 წ. ერთიანი ქვის სარკოფაგი აღმოჩენილა. მისი ორფერდა სახურავი მშენებლობაში გამოუყენებიათ, სარკოფაგი კი 1958 წ. ჯერ ისევ უპატრონოდ ეგდო. მისი სიგრძე – 2,46 მ, სიგანე – 0,5 სმ, სიმაღლე – 0,54 მ, სისქე კი 0,12 მ იყო. ქრისტიანულად დამხრობილ (O-W) სამარხში 4 მიცვალებულის ჩონჩხი ყოფილა, უინვენტაროდ. სხვათა მსგავსად, აქაც ადრექრისტიანული ხანის სამარხი ყოფილა ადგილობრივი აზნაურის ოჯახისა.

წოფის ციხესთან კავშირში, მისი გამაგრების სისტემაში მოქცეულ ძეგლებად უნდა ვიგულისხმოთ გალავანშემოვლებული ბორცვები ხევის ჩრდილო სანაპიროზე. ამათგან ორი – წოფის ციხის აღმოსავლეთით, ორიც მის დასავლეთითაა, დებედა-შულავრის ხეობათა დამაკავშირებელი გზის გაყოლებით.

აღნიშნულ გორებზე გვხვდება ერთი-ორი მეტრის სიგანის კედლები ნაგლეჯი ქვით ნაგები, პერანგიანი წყობა დუღაბის გარეშეა. ისინი



სურ. 9. ქართული წარწერა ხოჟორნის ქვასვეტზე
(გ. გაგოშიძის მიხედვით)

შემოსაზღვრავს ბორცვების თხემებს, რომელთა ფართობი 50X30 მ²-დან 150X30 კვადრატულ მეტრამდე აღწევს. გალავანთა შიგნით სადგომების ბუდეები ჩანს, ერთგან კი – თითქოს ოთხკუთხა კოშკის ნაშთიც. აქ აკრეფილი კერამიკის ფრაგმენტები შუა საუკუნეების უსახური ნატეხებია.

საინტერესოა, რომ წოფის ციხის დასავლეთით მდებარე ერთ-ერთი ადრეული ნასახლარიდან ამ გამაგრებულ ბორცვამდე ნაგზაური გადმოდის. ბუნებრივი იქნება, თუ ზემოაღნიშნულ პუნქტებს წოფის ციხის არსებობის უმნიშვნელოვანეს პერიოდს დავუკავშირებთ, ე. ი. VI-VII სს-ს. ამ ციხის ეს ერთგვარი საგუშაგოები შესაძლოა აკონტროლებდნენ დებედა-შულავრისხევის დამაკავშირებელ გზას, შემდეგ ფოლადაურის ხეობითა და მგლისკარის უღელტეხილით – ტაშირს მიმავალს. მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთით მდებარე უკიდურესი გამაგრებული ბორცვი სწორედ ბანუშისწყლის დებედასთან შესაყარშია, ხოლო უკიდურესი დასავლეთით მდებარე – წოფისხევიდან შულავრისხევში გადასასვლელზე (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 38).

ძველი ბერძნული და სომხური წყაროები იბერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ასახელებენ გოგარენე-გუგარქის ოლქს. ამ ცნების შინაარსი ოლქის მოცულობასთან ერთად იცვლებოდა; მოვსეს ხორენაცი და სომხური გეოგრაფია მის შემადგენლობაში, სხვა ერთეულების (ძოროფორი, კოლბოფორი) გვერდით, ასახელებენ წოფოფორს (დ. ბერძენიშვილი 1979: 22). გამოთქმულია აზრი, რომ საკუთრივ გუგარქის „თავდაპირველი ტერიტორია“ უნდა ყოფილიყო კანგარქი და წოფოფორი (თუმანოვი 1963: 468-470; დ. მუსხელიშვილი 1982: 11).

ასევე საყურადღებოა სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის (V ს.) ცნობა, რომლის მიხედვით IV ს-ის II ნახევარში, სომეხთა მეფე არშაკს აუჯანყდა „გუგარქის ბდეშხი, ამის შემდეგ ძორის გავარის უფალი, კოლბის გავარის უფალი, მათთან ერთად გარდმანაძორის უფალი და ყველა ისინი, ვინც ახლოს იყო მათთან იმ მხარეებში“ (ფავსტოს ბუზანდი 1953: 123). აქ წოფის გავარის (წოფოფორის) უფალი არ იხსენიება, ალბათ იმიტომ, რომ, ფავსტოსის აზრით, ის იყო სწორედ გუგარქის ბდეშხი (პიტიახში), რომელსაც ეს მეზობელი ხევისუფლები აჰყვნენ. ამის შემდგომ გუგარქი ქართლის სამეფოს დაუბრუნდა და ქართულ-სომხურ წყაროებშიც ჩნდება ცნობები ქართლის პიტიახშებზე, ისინი გუგარქის საპიტიახშოს მემკვიდრეებად იგულისხმებიან (ნ. ჯანაშია 1962: 175-176, 179).

რაკი წოფისხევი, ანუ წოფოფორი გუგარქის, შემდეგ კი ქართლის საპიტიახშოს თავდაპირველ ნაწილადაა ნაგულისხმევი, აქვე დგება საკითხი პიტიახშის რეზიდენციის ლოკალიზაციისა. ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით, ეს ყოფილა დაბა ცურტავი, მდებარე

ფართო ველზე, სომხურად „ვრაც-დაშტი“, ე. ი. „ქართველთა ველი“ რომ ერქვა. წოფისხევი დებედის ქვემო დინებასაც მოიცავდა, ეს კი სწორედ „ქართველთა ველის“ ნაწილი იყო (ქციის შემდინარეთა ქვემოწელი). აქ, დებედის მარჯვნივ, ჩვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს გორაზე აღმართული დიდი ციხის ნანგრევი, გვიანი წყაროების აღჯაყალა, რომელიც ფართო ვაკეზე ბატონობს.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ პირველწყაროა ცურტავის ადგილმდებარეობის დასადგენად, იქ საამისო ზოგიერთი მინიშნებაც გვხვდება: იაკობისეული ტექსტის მიხედვით, შუშანიკის წამება დაწყებულა ვარსქენის მიერ მისი სასტიკი ცემით რვა იანვარს. მეორე დილას ვარსქენმა „ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“, და თჳთ ნადირობად წარვიდა“, საიდანაც იგი იმავე დღის ბოლოს დაბრუნებულა (იაკობ ცურტაველი 1978: 46, 21, 24).

ვარსქენის ეს ერთდღიანი ნადირობა ზამთარში ქვემო ქართლის ზემოაღწერილ ვაკესა და მტკვრის ჭალებში უნდა მომხდარიყო, ცურტავის სიახლოვეს, რომ საღამოსათვის მობრუნება მოესწრო.

ამავე ტექსტიდან ჩანს, რომ ციხე დაბა ცურტავის გარეთაა, მაგრამ არც ძლიერ მოშორებით; იგი ცურტავის ციხედ აღიქმება და სხვა სახელწოდებით არ მოიხსენიება. ვარსქენმა ბრძანაო, რათა „წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი“ (იაკობ ცურტაველი 1978: 27). მართალია, ვარსქენი ამხედრებული მიჰყვებოდა შუშანიკს და ცდილობდა გაეფანტა დედოფლის გამო მოტირალი „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ციხე ძალიან შორს იყო ცურტავისაგან: ამ დროს შუშანიკს სამასჯერ ჰქონდა კვერთხი დარტყმული და ქედზე ჯაჭვდადებული, მაინც ფეხით მიდიოდა; შორ მანძილს წამებული ვერ გაუძლებდა.

არც ის უნდა იყოს სწორი, თითქოს იაკობი აღწერს ციხის კლიმატურ პირობებს და არა ცურტავისას; რომ ამიტომ ციხე და დაბა ერთმანეთისაგან შორს, სხვადასხვა კლიმატურ ზონაში უნდა ვიგულისხმოთ (ნ. ჯანაშია 1988: 300). ტექსტში „მკჳდრნიცა მის ადგილისანი“, ციხეს კი არა, არამედ იქვე მოხსენიებულ „ქვეყანას“ გულისხმობს: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მჴურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკჳდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და ღღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა“ (იაკობ ცურტაველი 1978: 39).

იმ მიზნით, რომ მკითხველმა უფრო დააფასოს შუშანიკის მოწამებრივი ღვაწლი, შესაძლოა ავტორი აჭარბებდეს ცურტავის ბუნებრივ-კლიმატური პირობების აღწერისას, მაგრამ ზოგადი სურათი ძალიან

წააგავს აღჯაყალის ციხის გარემოს: ზაფხულობით იგივე ცხელი, „გაუძლისი“ (ვახუშტი), უწყლო, ძეძვნარით დაფარული გარემო...

X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი წერდა, რომ ცურტავი „მაშინ ერქვა, ხოლო ახლა ეწოდება გაჩიანი. მაშინ სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი (იყო), ხოლო ახლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდინარის პირზე, რომელსაც ეწოდება გაჩენაგეტ, მხარეში, რომელსაც ვრაც-დაშტი ჰქვია, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყანას შორის... ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშისა... დასაბამიდან სამეუფო სამკვიდრებელი და განსასვენებელი იყო წმიდა შუშანიკისი, სადაც ჯერაც არიან ადგილნი მისი მოწამეობის ვნებათა და მისი წმიდა და პატიოსანი ნეშტის განსასვენებელი, სადაც ჩვენ მრავალჯერ მივსულვართ და ვმთხეულვართ წმიდა ადგილს“ (უხტანესი 1975: 65-69).

აღჯაყალის აღმოსავლეთით, დაახლ. 4,5 კმ-ზე, სოფ. ქაჩაგანში იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ქვაჯვრის აღმოჩენის შემდეგ, ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ „თუ შუშანიკის იაკობისეული მარტვილობა სანდოა, მაშინ ცურტავი უეჭველად ქაჩაგან-აღჯაყალაა. ესაა გაჩიანნი, ესაა სანადირო ქალაქი, ესაა საზამთრო ადგილი, ესაა ჰერეთის გვერდში (ჰერეთი აქ რანია), ესაა ზაფხულს გაუძლისი, აქაა ცენტრალური მნიშვნელობის ციხე (პიტიახშის ციხე)“ (დ. ბერძენიშვილი 1979: 29).

ახლა აღარსად ჩანს იაკობის თხზულებაში აღწერილი პიტიახშის სასახლე („ტაძარი“), აღარაა არც საეპისკოპოსო ეკლესია, თუმცა ზემოაღნიშნული ქვაჯვარი შესაძლოა მის მახლობლად მდგარიყო; ამჟამად მხოლოდ აღჯაყალის ციხის ნანგრევებს ვხედავთ, მასაც მრავალგზის გადაკეთებულს, ბუნებრივია, ვეღარ ვიპოვით „ჰიდსა მას ციხისასა“.

დღეს შემორჩენილი ციხის ნაშთი დაახლოებით 20-25 მ სიმაღლის ბორცვზეა, რომლის დასავლეთ ნაწილში შვეული კლდის სიმაღლე 30-35 მ-ს აღწევს; ამიტომაც ციხის ეს ნაწილი გალავნის კედლით აღარ გაუმაგრებიათ. ზედაციხე დაახლოებით 130მX50მ ფართობს მოიცავს; ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი მხრიდან ის გამაგრებულია მძლავრი ოვალური ბურჯებით.

ქვედაციხის ტერასა უფრო მცირე ზომისაა, სალი კლდით ბუნებრივადაა დაცული და ამიტომ მას მხოლოდ ერთი დიდი და ერთი მცირე ბურჯი ამაგრებს. ეს უკანასკნელი იცავს ციხეში შესასვლელს, რომელსაც კლდეში ნაკვეთი საფეხურები შერჩენია. ქვედაციხიდან ზედაში ასასვლელად ასევე ბურჯებით ორმხრივ დაცული შესასვლელი უნდა გაიარო. აქ ნაგებობათა ნაშთები ჩანს; ციხის შერჩენილი კედლების სიმაღლე 4-5 მეტრია, აშკარად გამოირჩევა ადრეული მშენებლობის წყობა: თარაზულად დალაგებული ერთი

სიმაღლის, საშუალო ზომის კვადრები.

მოგვიანო მშენებლობის მოწმობაა მცირე ზომის ნაგლეჯი ქვებით, უსწორმასწორო წყობით ბათქაშზე ნაგები კედლები, ზოგან აგურიც გამოუყენებიათ. აღჯაყალის ციხის გვიანდელ მშენებლობაზე მიუთითებენ ქართული წყაროებიც.

ის ბორცვი, რომელზედაც შემდგომში ციხე აუგიათ, ძველი ნამოსახლარი გორაა, რასაც ადასტურებს იქ აკრეფილი ენეოლითური და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკული ფრაგმენტები. ამ გორაზე ადრე შუა საუკუნეებში ციხე აღუმართავთ; გარდა ზემოხსენებული კედლების რეგულარული წყობისა, ამის მოწმობად შეიძლება გამოდგეს XIII ს-ის სომეხ ისტორიკოსთა ცნობა, რომ აქვე მდგარა ეკლესია და სასწაულმოქმედი ჯვარი, თითქოს აღმართული წმ. მოძღვრის მესროპის მიერ V ს-ში (დ. მუსხელიშვილი 1960: 139).

იაკობ ხუცესი აღწერს ნაცემი შუშანიკის მიყვანას ცურტავის ციხეში: „და ვითარცა მიიწინეს ჴიდსა მას ციხისასა,ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჴითა შენითა სლვაჲ რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“ (იაკობ ცურტაველი 1978: 28). უნდა ვიფიქროთ, ეს იყო ქვედაციხის კართან აბმული, ასაწევი ხიდი, რომელიც ველში მდგარ ამ ციხის ირგვლივ ალბათ წყლიან არხზე გადადიოდა. დაცვის ასეთი სისტემა უძველეს გორა-ნამოსახლარებს ჰქონდა და უცხო არ უნდა ყოფილიყო აღჯაყალის ადრე შუა საუკუნეების ციხისათვისაც ახალი არხის გარდა, ძველ ციხესთან ძველი ნაარხალიცაა (სურ. 10).

საინტერესოა, რომ შუშანიკს ციხეში ყოფნისას, სხვასთან ერთად, წმ. ნინოს მსგავსად, ქრისტეს რჯულზე მოქცევით განუკურნავს სპარსი მოგვი, რაც აღწერილია იაკობისეულ და მასზე დამოკიდებულ სომხურ ტექსტშიაც (იაკობ ცურტაველი 1978: 34). ამ უკანასკნელის გაქრისტიანებას განსაკუთრებული შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, მაშინ, როცა ირანის გავლენით, ვარსქენიც გამაზდეანდა და შვილებიც „მიაქცინა მოგობასა“.

უხტანესის სიტყვით, შუშანიკი „მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა (ე. ი. წმ. ნინოსი – დ. ბ.), როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას. ვინც მასთან მიდიოდა, სწავლობდნენ მისგან კეთილმსახურების ქადაგებას და მრავალი სნეული და ავადმყოფი მასთან მისვლით იკურნებოდა“ (უხტანესი 1975: 20). უკვე აღნიშნულია ნ. ჯანაშიას მიერ, რომ ეს შედარება გადაჭარბებულია; შუშანიკის როლი გაცილებით მოკრძალებულია ნინოსთან შედარებით. ბევრად მოხერხებულია ვრცელი სომხური რედაქციის მიერ შუშანიკის შედარება რიფსიმესთან: წმინდანობის რანგითაც, ქრისტიანობის დასაცავად ურჯულო მამაკაცებთან მტკიცე წინააღმდეგობითა თუ წამებით დასრულებული სიცოცხლით (ნ. ჯანაშია 1988: 139, 141). მისი წამების მეშვიდე წელს შუშანიკი ცურტავის ციხეში გარდაიცვალა.




სურ. 10. აღჯაყალას ციხე

ირანის წინააღმდეგ აჯანყების მეთაურის, ვახტანგ გორგასლის განწყობილება საქვეყნოდ იმით გაცხადდა, რომ, პირველ ყოვლისა, მან ვარსქენი მოაკვლევინა. ამ ამბების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი მოკლედ აღნიშნავს: „ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი (ე. ი. ვარსქენი – დ. ბ.) მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს“ (ნ. ჯანაშია 1962: 243), ანუ 484 წ.

ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი იმავე მოვლენებს VI ს-ის ამბებთან, მაგრამ უფრო ვრცლად აღწერს: „იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასქენ. და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი... შუშანიკ,ასული ვარდანისი. ვასქენ... წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლმსახურ. ხოლო სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა, ერისთავად რანისა... შუშანიკ... დაივიწყა სიყუარული ქრისა თჳსისა... შეუდგა

იგი ქრისტესა აღსრულებად მცნებათა მისთა... და მოკლა იგი ქმარმან მისმან ვასქენ, ერისთავმან რანისამან.

მაშინ ბაკურ, მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველთა ერისთავთა მისთა, და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად, და წარემართა ვასქენს ზედა პარვით; რამეთუ ვასქენ ველსა გარე დგა კიდესა მტკუარისასა, სადა მიერთვის მდინარე ანაკერტისა მტკუარსა. დაესხა და შეიპყრა ვასქენ, დაჭრეს წურილად და ასონი მისნი დამოჰკიდეს ხესა. ხოლო გუამი წმიდისა შუშანიკისი წარმოიღეს დიდითა პატივითა და დაფლეს ცორტავს“ (ჯუანშერი 1955: 216).

ჯუანშერისეულ მონათხრობში ვარსქენი, შაჰისგან განდიდებული, ქვემო ქართლისა და რანის მმართველია. ამიტომაც ძირითადი მოვლენები ცურტავიდან უფრო აღმოსავლეთით იგულისხმება. მტკვრის შენაკადი მდინარე ანაკერტისა, სომხური ჰნარაკერტის, ანუ ხუნანის ოლქის ანარეკლი უნდა იყოს (დ. ბერძენიშვილი 1979: 50, 63); მტკვრისპირა ველი კი, რომლის გარე მდგარა ვარსქენი, სომხურ წყაროებში მოხსენიებული კოდმანის, ანუ ხუნანის ველია (დ. მუსხელიშვილი 1977: 155).

მიუხედავად ამისა, ჯუანშერთანაც ცურტავი პიტიახშის ოჯახის სამკვიდრო-სამარხავი ადგილია სომხითში, სადაც წამოულიათ და დიდი პატივით დაუკრძალავთ შუშანიკი. ამის საპირისპიროდ ვარსქენის გვამი, წვრილად დაჭრილი, ხეზე დაუკიდიათ. შურისძიების გარდა, როგორც ჩანს, აქ აისახა ირანელთა ძველი რელიგიის გადმონაშთი, ზოროასტრულ დაკრძალვის რიტუალებს რომ შემორჩა გვიან ხანაშიც: მიცვალებულთა დაუმარხავად მინდობა ნადირ-ფრინველთა ნებასურვილზე (ფრაი 1972: 167); ისტორიკოსის აზრით, გამაზდეანებულ ვარსქენს დაკრძალვაც ზოროასტრული შეეფერებოდა.

ვარსქენისა და შუშანიკის შემდგომაც ცურტავი ისევ შერჩენილა საპიტიახშო რეზიდენციის ცენტრად. უნდა ვიფიქროთ, იქვე იჯდებოდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში მოხსენიებული არშუშა ქართლის პიტიახში. ამაზევე მეტყველებს მოსე ცურტაველი ეპისკოპოსის წერილი: „მომიხდა მე სიყრმის დღეებში მივსულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს... სადაც მე უღირსს მომანიჭა უფალმა, რომ მივწევნულიყავ სამოძღვრო საყდარს იმავე პიტიახშის სახლის კარზე“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 1). უხტანესის სიტყვით, ცურტავში მოსეს „პიტიახშის სახლის ეპისკოპოსობის საყდრის (დაკავება) მოუხდა“ (უხტანესი 1975: 69). ეს მომხდარა 599/600 წწ. (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 133). ამავე აზრით, საყურადღებოა უხტანესისავე ცნობა, რომ მოსემ სომხეთის კათალიკოს აბრაამს „აცნობა თავისი შევიწროების გასაჭირი და დევნა კირონისაგან, აგრეთვე ცურტავის ქვეყნის შესახებ“ (უხტანესი 1975: 115).

გამოდის, რომ VII ს-ის დასაწყისშიაც ცურტავი პიტიახშის

სახლის რეზიდენცია ყოფილა, საპიტიახშო ქვეყნის ცენტრი. „ეპისტოლეთა წიგნში“ ერთი წერილი სმბატ ვრკანის მარზპანის, სომეხთა ქვეყნის სხვა მთავრებისა და აზნაურებისადმი, გაგზავნილია „კირონ ქართლის კათალიკოსის, ყველა თანამოსაყდრე ეპისკოპოსის და მთავრების – ატრნერსეს, აშუშანის და ქართველთა ქვეყნის ყველა წარჩინებულისაგან“. ისინი სომხებს წმინდა ჯვრისაგან ლოცვას და სიყვარულით მოკითხვას უთვლიან. ეს აშუშა (აშუშან), ქვემო ქართლის პიტიახშთა საგვარეულო სახელია, ცურტავში სწორედ მისი სასახლის კარზე ეწია სამოძღვრო საყდარს მოსე ეპისკოპოსი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 76,155). ვარსქენის შთამომავალი აშუშა ერთი პირველთაგანი მთავარი და კირონის თანამებრძოლია, ადარნასე ერისმთავრისა და ქართლის სხვა წარჩინებულთა გვერდით.

614 თუ 616 წ.-ს ირანის შაჰის ბრძანებით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ დაადგინა: შაჰის მორჩილმა ყველა ქრისტიანმა „სომხური სარწმუნოება“ (მონოფიზიტური) უნდა მიიღოსო. ქალკედონიტი მოღვაწეები – კირონი, ადარნასე ტოვებენ ქართლს და აქ ჰერაკლეს ლაშქრობამდე მონოფიზიტობა ბატონდება (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 251). ასეთ პირობებში აშუშა შესაძლოა ისევ შაჰის ერთგული შეიქნა. ამაზე თითქოს კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს: ირანის წინააღმდეგ ჰერაკლეს ლაშქრობის დროს, რაც ქართლზე გავლით მოხდა, 627 წ. ბიზანტიელებმა, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, „ვარსამუსე, სპარსელების ქვეშევრდომ იბერიელთა მთავარი, ცოცხლად იგდეს ხელთ“ (ს. ყაუხჩიშვილი 1941: 101).

ზოგიერთი მკვლევრის აზრით (მარკვარტი 1903: 401; ინგოროყვა 1941: 279-281), ეს ვარსამუსე ვაჰრამ-არშუშაა, ქვემო ქართლის პიტიახში და ის ზემოხსენებულ წერილში კირონ-ადარნასეს შემდეგ დასახელებული აშუშანია (მურადიანი 1968: 67-68; გოილაძე 1976: 139-140). თუკი ასეა, უნდა ვიფიქროთ, ცურტავიც ვერ გადაურჩებოდა ჰერაკლეს ლაშქარს და მისი, როგორც საპიტიახშოს რეზიდენციის, დამცრობა მაშინ უნდა დაწყებულიყო. ამას მოჰყვა არაბთა შემოსევები. ნიშანდობლივია, რომ ამ მოვლენათა აღმწერ არაბულ წყაროებში არც ცურტავი ჩანს და არც გაჩიანი, ეს მაშინ, როცა იქ იხსენიება ქვემო ქართლის პუნქტები თავისი ქვეყნებით: ხუნანი, გარდაბანი, ქასალი (ყაზახი), სამშვილდე, მანგლისი. ეს უკანასკნელი ს. ჯანაშიასა და დ. მუსხელიშვილს მაშინდელი საპიტიახშოს ცენტრად მიაჩნიათ (ს. ჯანაშია 1952: 364; დ. მუსხელიშვილი 1980: 24-25). სამშვილდის სიონის VIII ს-ის წარწერა კი, სადაც „ნათესავით პიტიახშნი“ იხსენიებიან, მიგვანიშნებს ცურტავში საპიტიახშო რეზიდენციის მოშლაზე.

# დებედის ხეობა ადრეულ შუა საუკუნეებში

* * *

ვარსქენის საპიტიახშოს ცენტრი და რეზიდენცია – ცურტავი, იმავდროულად განაგებდა საეპისკოპოსოს შერეული, სომხურ-ქართული მრევლით, რამაც საბედისწეროდ განსაზღვრა ამ ეპარქიის მომავალი; წერილობითი წყაროების მონაცემებით, ცურტავსა და მის მიდამოებში ქართველებთან ერთად სომხებსაც უცხოვრიათ. მათ შუშანიკის დროიდან ქართულის გვერდით სომხურ ენაზედაც უტარდებოდათ მღვდელმსახურება. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა სომეხთა კათალიკოსი VII ს-ის დასაწყისში. მისი სიტყვით, ცურტავში „სომხური მსახურება წმ. შუშანიკისგანაა დადგენილი“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 67). საინტერესოა, რომ იაკობ ხუცესის თხზულებაში ამის შესახებ არაფერია თქმული. შესაძლოა, ეს მნიშვნელოვანი მომენტი აღნიშნული იყო ამავე ავტორის სხვა ნაწარმოებში, შუშანიკის ყრმობისა და მომდევნო ამბებს რომ შეეხებოდა. შუშანიკ დედოფალი, ჩანს, შუამდგომლად გამოსულა საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის მღვდელმსახურების სომხურ ენაზე შემოსაღებად. ამას კი ალბათ ვარსქენთან კონფლიქტამდე, ე. ი. 466 წ-მდე, თუ შეძლებდა.

პირველი ეპისკოპოსი ქართულ-სომხურად რომ ასრულებდა მღვდელმსახურებას, უნდა ვიფიქროთ, იყო აფოცი, მოხსენიებული იაკობის თხზულებასა და „ეპისტოლეთა წიგნში“ (ნ. ჯანაშია 1978: 180). ზემონათქვამის გამო, შუშანიკის დროიდანვე, ცურტავის ეპარქიაში წესად შემოსულა – სამღვდლოდ გამზადებული ახალგაზრდებისათვის ესწავლებინათ ქართული და სომხური წერა-კითხვა; ცურტავის ეპისკოპოსებს ასევე ევალებოდათ ორივე ენის ცოდნა მღვდელმსახურების ჩასატარებლად. წარმოშობით სომეხი ქართულს აქვე სწავლობდა, ქართულ გარემოცვაში, ქართველი კი სომხეთს იგზავნებოდა, ჩანს, შესაფერი პირობების ადგილობრივ არარსებობის გამო (ალექსიძე 1978ა: 21). ამის შესახებ კირონ ქართლის კათალიკოსი VII ს-ის დასაწყისში წერდა: „ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავში იყვნენ წმინდა შუშანიკიდან მოყოლებული... ეს ეპისკოპოსები ზოგნი სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან იყვნენ, სომხეთში განსწავლულნი, მეცნიერნი და მოძღვარნი“ (უხტანესი 1975: 284).

იაკობ ხუცესის სიტყვით, მოწამისავე სურვილით, იგი დაუკრძალავთ ცურტავის ეკლესიაში, საიდანაც ის ვარსქენმა გამოათრია. მაშინვე დაუწესებიათ მისი ყოველწლიური სახსენებელი. საფიქრებელია, მას დაასაფლავებდნენ საეპისკოპოსო კათედრალის ეზოში, სადაც მისი ინიციატივით შემოიღეს სომხური მღვდელმსახურება. ირკვევა, რომ შუშანიკის საფლავზე შემდგომში აუგიათ სამარტვილე, რაც მოგვიანებით ეკლესიად დამტკიცებულა. ქართულთან ერთად სომხური მსახურება, ბუნებრივია, იქნებოდა კათედრალის გვერდით მდგომ

შუშანიკის სამარტვილესა თუ ეკლესიაში (ნ. ჯანაშია 1978: 185).

შუშანიკის შემდგომაც, ერთხანს, ქართველებისა და სომეხთა მრწამსს შორის განსხვავება არ ჩანდა. ამას ადასტურებს 506 წ. დვინის საეკლესიო კრებაზე დამსწრე ქართველ ეპისკოპოსთა სიაც, სომხებსა და ალბანელებთან ერთად რომ ეთანხმებოდნენ კრების დადგენილებებს. იქ დავით ბოლნელსა და სტეფანოს რუსთველს შორის დასახელებულია იაკობ ცურტაველი ეპისკოპოსი. მასვე იხსენიებს ქართლის კათალიკოსი კირონი ცურტაველ ეპისკოპოსთა შორის, რომლებიც შუშანიკიდან მოყოლებული მოღვაწეობდნენ. იაკობ ცურტაველი იქ მეხუთეა (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 97, 89). ვარაუდობენ, რომ ეს შუშანიკის წამების აღმწერი ხუცესია, რომელიც შემდგომში ცურტავის ეპისკოპოსი გახდა (იაკობ ცურტაველი 1978: 060; ნ. ჯანაშია 1988: 279). ამიტომაც დაემატა იაკობის სახელს „ცურტაველი“, ისტორიულად ასე ხდებოდა ყველგან.

ბოლო ხანებში ზ. ალექსიძემ გამოთქვა აზრი, რომ იაკობ ხუცესისა და ცურტაველი ეპისკოპოსის გაიგივებისათვის არ არსებობს საკმარისი საფუძველი: ძნელი წარმოსადგენია შუშანიკ დედოფლის სულიერი მოძღვარი 465 წ. იმდენად ახალგაზრდა ყოფილიყო, რომ 40 წლის შემდეგ – 506 წ. კიდევ ეპისკოპოსობა შეძლებოდაო (ალექსიძე 1978ა: 12). ერთი ნათელია – „წამების“ წერისას, 482 წ-მდე, იაკობი ხუცესს უწოდებს თავის თავს. გახდა თუ არა ის შემდგომში ეპისკოპოსი – ეს დასამტკიცებელია. უფრო მართებული უნდა იყოს ნაწარმოების ავტორის მოხსენიება იაკობ ხუცესად, როგორც იყო მიღებული თავიდან.

VI ს-ში იწყება ქართული და სომხური ეკლესიების თანდათანობითი დაშორება, რაც 551 წ. სომხების მიერ მონოფიზიტობის აღიარებით დამთავრდა. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლი ქალკედონიტობას უჭერდა მხარს, მაგრამ აქტიურ ანტიმონოფიზიტურ განწყობილებას არ გამოხატავდა.

ჰერაკლეს ლაშქრობამდე აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ქრისტიანული სექტის მიმდევარი თემები ჩანს. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით, ქართლში არა მხოლოდ განსხვავებული აღმსარებლობის საეპისკოპოსოებია (მონოფიზიტური, დიოფიზიტური, ნესტორიანული), არამედ ერთი საეპისკოპოსოს შიგნითაც შეიძლებოდა სხვადასხვა თემის გაერთიანება. VII ს-ის დამდეგს ასეთი იყო ცურტავის საეპისკოპოსო, სადაც მღვდელმსახურება ქართულ და სომხურ ენებზე სრულდებოდა, ქართული და სომხური „მოძღვრებით“, „აღსარებით“. ვარაუდობენ, რომ ასეთი მღვდელმსახურებანი ერთსა და იმავე ეკლესიაშიც შეიძლებოდა აღსრულებულიყო (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 266).

სომხური ეკლესიის მოწოდებას – შეერთებოდნენ მონოფიზიტურ რწმენას, ქართლში უარით შეხვდნენ. მხოლოდ ტაშირისა და ძოროფორის სომხურენოვანმა თემებმა დაუჭირეს მას მხარი (ალექსიძე 1974:

107, 108). ესენი სწორედ წოფისხევის, „ცურტავის ქვეყნის“ მომიჯნავენი იყვნენ. აქ კი ისეთი დაძაბული ვითარება შექმნილიყო, რომ 605-606 წლის ზამთარში მოსემ, ცურტაველმა ეპისკოპოსმა, სამწყსო მიატოვა და სომხეთს გაიქცა. საქმე ის იყო, რომ კირონ ქართლის კათალიკოსმა დიდ ეროვნულ-რელიგიურ პოლიტიკას დაუდო სათავე: მისი მიზანი იყო ქართლის განაპირა ოლქების მთლიანად გაქართველება, არაქართული თემების მცხეთის საკათალიკოსოსათვის საბოლოო დამორჩილება. ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ ქართული ეკლესია სომხურისაგან განსხვავებულ მრწამსს აირჩევდა; ქართული საზოგადოება მხარში ედგა კირონის ღონისძიებებს (ალექსიძე 1974: 109).

605-609 წწ. ქართველ და სომეხ მოღვაწეთა მიმოწერიდან კარგად ჩანს მაშინდელი ვითარება ცურტავის ეპარქიაში. მაშინ იქ ადრიდანვე ჩასახლებული სომხები ცხოვრობდნენ ქართველების გვერდით, მათში გაბნევით და სოფლებად. მათ აზნაურებსა და გლეხებს იქ ჰქონდათ თავისი თემი მონასტრებით, ბერებით, სოფლის მღვდლებით. ამაზე მეტყველებს სომეხი მოძღვრის – ვრთანეს ქერდოლის საყოველთაო ეპისტოლე, რომლითაც ის მიმართავს „სავანეების ხუცესთა, სოფლის მღვდელთა, აზნაურთა და გლეხთა, მოხუცთა და ყრმათა, ყველა (და) ყოველ ერისკაცს მაგ სომხურენოვან ქვეყანათა, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის განმგებლობის ქვეშ“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 31).

მაშასადამე, VII ს-ის დასაწყისში ამ ეპარქიაში, ანუ „ცურტავის ეკლესიის განმგებლობის ქვეშ“, ქართულთან ერთად იყო სომხურენოვანი თემი ცურტავსა და მისი ქვეყნის ხევებში. ესენი უნდა ყოფილიყო კანგარი, მისი მეზობელი ტაშირის ნაწილი, წოფისხევი, „ქართველთა ველი“. სწორედ ამ მხარეებს ემიჯნებოდა ხუნანის, ბოლნისის, დმანისის საეპისკოპოსოები (დ. ბერძენიშვილი 1979: 118-120).

უხტანესის ცნობით, ტაშირის სოფელ მეჰენკერტიდან ყოფილა ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე (უხტანესი 1975: 69). როგორც ვნახეთ,მან ცურტავის საეკლესიო სკოლაში მიიღო განათლება, გახდა მოძღვარი, ხოლო 599-600 წ. ქართლის კათალიკოს კირონის ხელდასხმით, ცურტავის ეპისკოპოსი შეიქნა. შუშანიკიდან მოყოლებული 605 წლამდე ცურტავსა და მის ეპარქიაში ერთობა იყო ქართველ-სომეხ ეკლესიის მსახურთა შორის. „ისინი და ჩვენი მოძღვარნი ერთმანეთში მშვიდობით ცხოვრობდნენ, ერთმანეთისაგან სწავლობდნენ და ერთმანეთს ასწავლიდნენ... აზნაურები, რომლებიც სომეხთაგან ქართლს დამოყვრებულან, წმინდა შუშანიკის მსახურებაზე და მცხეთის წმინდა ჯვარს მოდიოდნენ, რომ მოელოცათ და სჯულს ზიარებოდნენ. ასევე აქედან მანდ მოდიოდნენ წმინდა კათოლიკეს და სხვა ეკლესიებში მოსალოცად“-ო, წერდა კირონ კათალიკოსი (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 89).

აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლედან ჩანს, რომ ასევე

პოპულარული ყოფილა მაშინ მანგლისის ჯვარი, რომელსაც ერთნაირად მოილოცავდნენ თურმე ქართველები და სომხები. აქ ჩანს, რომ ამ დროისათვის შუშანიკი სომხური ეკლესიისთვისაც წმინდანი იყო, ცხადია, იმ დამსახურებისათვის, მას რომ მიუძღოდა სომხურენოვანი მრევლის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებაში. ამიტომაც იქცა მისი განსასვენებელი სომეხთა მოსალოც წმინდა ადგილად.

უთანხმოება მოსე ცურტაველსა და კირონ ქართლის კათალიკოსს შორის დაიწყო სარწმუნოებრივ საკითხზე. მოსე ჩიოდა, რომ კირონმა უღალატა მონოფიზიტობას, ქართლის სამღვდელოებასა და წარჩინებულებთან ერთად, მიემხრო დიოფიზიტობას. მიუხედავად იმისა, რომ კირონს იგი არ განუდევნია, მოსე იძულებული გამხდარა, მიეტოვებინა თავისი მრევლი ცურტავში და სომხეთს გაქცეულიყო; ის გაჩერებულა ჰოვანავანქის მონასტერში, არაგაწის მთის ძირს (სევანის ტბის დასავლეთით, არაგაწოტნის გავარში).

აქედან მან წერილებით მიმართა ცურტავის სომხურენოვან მრევლს, ასევე სომეხთა კათალიკოსის ადგილზე დროებით მყოფ ვრთანესს. ამ უკანასკნელს ის სთხოვდა მიეწერა წერილი ცურტავის მრევლის, კირონისა და ქართლის წარჩინებულთათვის – არ მიმხრობოდნენ დიოფიზიტობას. მოსესა და ვრთანესის ეპისტოლეთა საპასუხოდ ცურტავის სომხურენოვანი მრევლი სწერდა მათ: „ჩვენთვის მანდედან დახმარებისა და ზურგის გარეშე შეუძლებელია ყოფნა“-ო (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 34). ვრთანესის წერილს კირონმა და ქართლის მთავრებმა არ უპასუხეს; აზნაურთაგან მხოლოდ ზოგიერთებმა მისწერეს: „მოსეს თუ სურს, მოვიდეს, ჩვენ კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ჩვენ ასე მოგვწონს და თავისი ადგილი დაიკავოსო“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 43).

მოსეს ადგილას კირონმა ცურტავის ეპისკოპოსად თავისი კანდიდატი დასვა; მისი სახელი არ ჩანს, მაგრამ მასთანაა დაკავშირებული სომხური მსახურების მოშლის პირველი მცდელობა ცურტავში. ამიტომაც სწერდა მოსე სმბატ მარზპანს: „მსახურებაც რომ შეცვალეს, ცხადია. არაეპისკოპოსი ნესტორიანი რომ დასვეს, ქართული მწიგნობრობაც არ იცის რიგიანად, არამცთუ სომხური“-ო. კირონ ქართლის კათალიკოსი კი წერდა: „ცურტავის ეკლესია იყო, არის და იქნება. ეკლესიის მსახურებაც არა რიგად შეგვიცვლია. ხოლო ეპისკოპოსმა, რომელიც დავადგინეთ, ქართული და სომხური მწიგნობრობა თანაბრად იცის და სამსახურს ორივე მწიგნობრობით ასრულებს“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 82, 78).

VII ს-ის ქვემო ქართლში მომხდარ ამ შემთხვევას, არსენი საფარელი X ს-ში ასე აღწერდა: „განდევნა კჳრიონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოზი ცურტავისაჲ საყდრისაგან თჳსისა, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა. და ითხოვა აბრაჰამ (სომეხთა კათალიკოსმა – დ. ბ. ) კჳრიონისაგან

საყდარი მისი, ხოლო იგი არა ერჩდა მას. და განზჳნდა ცილობაჲ იგი შორის მათსა“ (ალექსიძე 1973: 136).

რაკი ქართლის საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა დიოფიზიტობასა და ბიზანტიაზე აღებული გეზი არ შეიცვალეს, მოსე ცურტაველყოფილმა სომეხ მთავრებს სამხედრო ჩარევისკენაც კი მოუწოდა. თუ რამდენად რეალური ყოფილა საფრთხე, კარგად ჩანს კირონის წერილიდან სმბატ მარზპანისადმი: მოსე „თავის ბოროტ საქმეთათვის ფარულად ღამე რომ გაიქცა და წავიდა, გაემართა განდგომილებაში ვაჰრამთან და ისე ბოროტად აცნობა, რომ ცოტაღა აკლდა კინაღამ ეს ქალაქი ააღებინა“-ო (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 78).

არსენი საფარელის სიტყვით, „მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფესა თანა სპარსთასა, ვითარმედ ჰრომთა უპყრია სარწმუნოებაჲ“ (ალექსიძე 1973: 136); ე. ი. სომხებს სპარსეთის იმედი ჰქონდათ. სმბატ მარზპანმა კი ასე უპასუხა მოსეს: „მე არ ძალმიძს ავიღო მახვილი და ყოველ ქართლს შევერკინო... თუ ამავე სიხელეს იქნებიან და ჩვენთან ერთობისაგან განეშორებიან, მათი სისხლი უფალმა ღმერთმა მათი თავისაგან მოიძიოს და ჩვენ უბრალონი ვიყოთ... თუ დაუმორჩილებლობის შესახებ შევიტყობთ და უფალი ღმერთი მარჯვე დროს მოგვცემს, ვინ იცის, (იქნებ) აქვე მიიღებს კირონი საზღაურს ღმრთისაგან ხორციელ უფალთა ხელით“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 83, 84).

მოსემ ქართლის წინააღმდეგ სომეხი მთავრების წაქეზება ვერ მოახერხა, თავიდანვე მონოფიზიტური ეკლესიის აგენტი ქართლში, ის ახლაც ასეთად რჩებოდა. სომხეთის ეკლესიის მესვეურები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ ცურტავის ეკლესია და მოსე ეპისკოპოსი ჩვენს ორ ქვეყანას შორის შუამავალიაო. თუ რას ნიშნავდა ეს „შუამავლობა“, კარგად გამოჩნდა მოსეს წერილიდან აბრაამ კათალიკოსისადმი: „თუ მე მომეცემა მადლი უფლისაგან, რომ ვიქადაგო ქართლიდან ალბანთა ქვეყნამდე გამოუკვლეველი სიდიადე ქრისტეს დიდებისა და ესოდენი ხალხნი შეგძინო თქვენ და შევწირო ქრისტეს“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 232-233). ცურტავის საეპისკოპოსოს აღმოსავლეთით, ალბანეთამდე იყო კიდევ ერთი საეპისკოპოსო ხუნანისა. იგი აერთიანებდა კოლბისხევს (კოლბოფორი), ძორისხევს (ძოროფორი) და ხუნანს თავისი ოლქით (დ. ბერძენიშვილი 1979: 120). მაშასადამე, მოსე ცურტაველს იმედი ჰქონდა, რომ ამ ხევების მოსახლეობასაც მონოფიზიტობაზე მოაქცევდა. VI ს-ში ძოროფორის სომხურენოვანმა თემმა აკი ერთხელ უკვე დაუჭირა მხარი ასეთ მოწოდებას.

სომხეთის საეკლესიო ხელისუფალთა მცდელობამ ნაყოფი რომ ვერ გამოიღო, აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა საყოველთაო ეპისტოლეში ასე მოუწოდა სომეხ მონოფიზიტებს: „ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით

ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 122).

ქართლის კათალიკოსმა კირონმა თავისი გაიტანა, ცურტავის ეპარქიაში ქართული მღვდელმსახურება გააბატონა და ქართული სავალდებულო ენად დაამკვიდრა. მოსე ვერ ეღირსა ცურტავის ეპარქიაში დაბრუნებას. „ეპისტოლეთა წიგნის“ მეშვეობით ჩვენთვის ცნობილია ცურტაველ იმ ეპისკოპოსთა სახელები, შუშანიკიდან მოყოლებული რომ განაგებდნენ საყდარს VII ს-ის I ათეულ წლებამდე (დაახლ. საუკუნენახევარი). ესენი არიან: აფოცი, გარნიკ, საჰაკ, ელიშა, იაკობ, იოან, სტეფანოს, ესაი, სამუელ, სტეფანოს, იოანე (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 89). ამაზე ადრინდელი ცურტავის ეპისკოპოსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ვიცით მოსე, რომელიც იოანეს შემდგომ ყოფილა. კირონის მიერ მოსეს ნაცვლად დადგენილი ცურტაველი ეპისკოპოსი მეცამეტეა ამ ეპისკოპოსთა ნუსხაში, თუმცა მისი სახელი არ ჩანს.

ცურტავის ეპარქიის შემდგომი ბედი ნათელი არაა. შეიძლება ვიფიქროთ, კირონის ქართლიდან წასვლის შემდეგ, VII ს-ში ეს საეპისკოპოსო ისევ განაგრძობდა არსებობას, როგორც მონოფიზიტური ეპარქია, გაძლიერებული სპარსეთის ძალდატანებით.

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდგომ ცურტავში, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, კვლავ დიოფიზიტობა გაბატონდა. სუმბატ დავითის ძის (XI ს.) ცნობით, ჰერაკლე „წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა და აღმართა ჯუარი ქვისა და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა, და აღასრულა გუმბათი მისი... და განწმიდა სჯული ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, და წარვიდა“ (სუმბატ დავითის ძე 1955: 375). ეს საქმიანობა მან ცურტავის მეზობელ, ხუნანის საეპისკოპოსოში ჩაატარა.

VII ს-ის I ნახევრითაა დათარიღებული ზემოხსენებული ქვის ჯვარი, აღმოჩენილი ქაჩაგანში, აღჯაყალის ციხის მახლობლად, ე. ი. იქ, სადაც ცურტავი დავიგულეთ. ის განსაკუთრებულად დეკორირებულია და წარმოადგენდა პოსტამენტის განვითარებული სისტემის (ბრდაძორის სტელის ტიპის) დაბოლოებას. ასეთი მაღალი მხატვრული ღირსების ნაწარმოები ვერ იდგებოდა გამარტივებული სახის პოსტამენტზე. იგი ამთავრებდა მაღალ სტელას და ალბათ კარგად ჩანდა ცის ფონზე, მსუბუქი, მოხდენილი თაყვანისცემის ობიექტი. ჯვრის ამაღლება ოთხი ანგელოზის მიერ საქართველოს გარეთ უცნობი თემაა. იგი ადგილობრივი წარმოშობისაა და შედეგია ქართველ ოსტატთა ორიგინალური შემოქმედებისა (ნ. ჩუბინაშვილი 1972ა: 16, ტაბ. 46). ამიტომაც ქაჩაგანის ჯვარი ან კირონის ქართლიდან წასვლამდე, ან ჰერაკლეს ლაშქრობათა დროს არის აღმართული ბერდუჯის ჯვრის მსგავსად.

VII ს-ში ცურტავის ეპარქიაში მესამედ შეიცვალა ვითარება. ამის მოწმობაა არსენი საფარელის ცნობა, რომ ჰერაკლეს შემდგომ სომეხმა მოძღვარმა – იოანე მაირაგომელმა „მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას (კამბეჩანს – დ. ბ.) შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკურისა-არარატს, გარდმანს, ძორფორს და სომხითს, და მრავალნი ქმნნა მონაზონ უწესოთა მით მოძღურებითა, და აღავსო ქუეყანაჲ წვალებისა ღუარძლითა“ (ალექსიძე 1973: 144). ამ ცნობაში მოხსენიებული ძორფორი, იგივე ძოროფორია – დღევანდელი აღსტაფისხევი, ხუნანის ეპარქიის ერთი დიდ ხევთაგანი

ცურტავის საეპისკოპოსოს აღმოსავლეთით. მის გვერდით დასახელებული სომხითი კი, პირველ რიგში, ცურტავის ეპარქიას გულისხმობს – წოფოფორსა და კანგარს, ე. ი. დებედის ხეობას. აქ იყო ზემოხსენებული „ნაწილი სომხითისაჲ“, სომხითის სომხურენოვანი სამწყსო, სადაც არსენი საფარელის სიტყვით, წმიდა შუშანიკმა სომხური მღვდელმსახურება დაადგინა (დ. ბერძენიშვილი 1979: 41). არსენი საფარელის აზრით, ამიტომაც მოითხოვა აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა კირონისაგან „საყდარი მისი“ და არა ქართულენოვანი მრევლი. ახლაც იოანე მაირაგომელის მიერ დამოწაფებულთა შორის, სხვებთან ერთად სომხითის, ცურტავის ეპარქიის მონაზვნებიც იქნებოდნენ;

ცურტავის საეპისკოპოსოს მოშლაში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა შუშანიკის ნეშტის შემდგომ ბედ-იღბალს. ვიდრე ის სომხების მოსალოც ადგილად რჩებოდა, ცურტავში სომხური მღვდელმსახურების გაუქმება გაძნელდებოდა. ამიტომაც ფიქრობენ,რომ სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს გადმოცემა – კირონის მიერ შუშანიკის ნეშტის თბილისში გადმოტანის შესახებ. ტრადიციის მიხედვით, შუშანიკის ნეშტი მეტეხის სადიაკვნეში არსებულ აკლდამაში ასვენია. ამ რწმენისა და აკლდამის უგულებელყოფა არ შეიძლება.

უძველეს ცნობას შუშანიკის გადმოსვენების შესახებ ვხვდებით იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“: იქ ნათქვამია, რომ წმინდანი დაკრძალეს ცურტავს, „ხოლო მოთხრობისამებრ მეფე თამარმა შემდგომად მოასუენებინა გუამი წმიდისა და ნეტარისა შუშანიკ დედოფლისა და შთაასვენებინა ლუსკუმასა შინა თბილისის სასახლის ეკლესიასა მეტეხსა მარჯუენით კერძო, წმიდისა ღუთის მშობლის დაუჯდომელობისა, რომელიც დღემდესცა მუნ ასვენია“.

შემდეგ მოთხრობილია სასწაულებისა და განკურნებათა შესახებ, მოწამის საფლავთან რომ ხდებოდა. იოანე ბატონიშვილი არ ასახელებს იმ „მოთხრობას“,საიდანაც მან ეს ცნობა აიღო; ასევე უცნობია წყარო XIX ს-ის ავტორებისა, რომლებიც შუშანიკის ნეშტის მეტეხში გადმოტანას კირონს ან სიმონ კათალიკოსს მიაწერენ (ბერიძე ... 1969: 8-10; კავკაზი 1885; ივერია 1903). მათი წყარო ზეპირი გადმოცემა უნდა იყოს. სომხებმა ამას დაუპირისპირეს თავისი ვერსია, რომლის

მიხედვით, წმინდანის ნეშტი ახპატშია დასვენებული (ალექსიძე 1978ა: 22).

უხტანესი ზემოხსენებულ „ისტორიაში“ წერს, რომ ცურტავი „დასაბამიდან სამეუფო სამკვიდრებელი და განსასვენებელი იყო წმიდა შუშანიკისი, სადაც ჯერაც არიან ადგილნი მისი მოწამეობის ვნებათა და მისი წმიდა და პატიოსანი ნეშტის განსასვენებელი, სადაც ჩვენ მრავალჯერ მივსულვართ და ვმთხვეულვართ წმიდა ადგილს“ (უხტანესი 1975: 67-69). ამ ცნობაზე დაყრდნობით, ნ. ჯანაშია თვლიდა, რომ უხტანესის დროსაც (X ს-ის II ნახევარი) შუშანიკის საფლავი ცურტავში ყოფილა (ნ. ჯანაშია 1988: 121). მეორე მოსაზრებით, შესაძლებელია წმინდანის ნეშტის თბილისში გადმოტანა სწორედ კირონ კათალიკოსის ეროვნულ-რელიგიური პოლიტიკის გამოხატულება ყოფილიყო; ამ შემთხვევაში ნეშტის განსვენების ძველი ადგილი, როგორც ხშირად მომხდარა, შემდგომშიც შეინარჩუნებდა უპირატეს მნიშვნელობას (უხტანესი 1975: 246; დ. მუსხელიშვილი 1980: 22).

შუშანიკის „ხსენებანი“ ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში IX ს-დან გვხვდება. მაშინ გადაწერილ „იერუსალიმის განჩინების“ ნუსხის დედანში, 17 ოქტომბერს ყოფილა ხსენება შუშანიკისა, „რომელი ქართლს იწამა“; იოანე-ზოსიმეს X ს-ის კალენდარშიც 17 ოქტომბერს არის „ჴსენებაჲ კოზმანისი და დამიანჱსი მარტვილთაჲ და შუშანიკისი, რომელი ქართლს იწამა“. შუშანიკის გარდაცვალების დღეს მისი ხსენების დაწესება ზემოთ აღნიშნულ რიცხვში და წამების ადგილად ქართლის დასახელება, მოდის იაკობის ტექსტიდან (ნ. ჯანაშია 1988: 134, 135).

მიქაელ მოდრეკილი, რომელმაც ერთ წიგნში გააერთიანა თავისი და სხვათა საგალობლები (X ს.), წერდა: „სძალსა ქრისტესსა ნინოს, ქართლისა ქადაგსა, ვარსკულავსა მნათობსა საღმრთოჲთა მით ნათლითა, კერპთა სიბნელისა მაოტებელსა მოვედით, შევამკობდეთ; გაენეს და რიფსიმეს და მჴნესა შუშანიკს მათ თანავე ვაქებდეთ“ (იაკობ ცურტაველი 1978: 013).

* * *

უხტანესი პირველია, რომელიც ძველ ცურტავს X ს-ის II ნახევარში გაჩიანს უწოდებს. ხსენებული პუნქტების იგივეობას ქართული წყაროები არ აღნიშნავენ; ლეონტი მროველის მიხედვით, გაჩიანის ძველი სახელი ყოფილა სანადირო ქალაქი (ლეონტი მროველი 1955: 25), ამ უკანასკნელს კი უხტანესი არ იცნობს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პუნქტი სანადირო ქალაქად იწოდებოდა მისი მდებარეობის გამო – დაბლობში, საზამთრო საძოვრებისა და მდინარისპირა ჭალების სიახლოვეს. ლეონტისავე

ცნობით, იგი ფარნავაზ მეფის სეზონური სადგომი ყოფილა, რომელსაც წესად ჰქონია, რომ „თუენი ზამთრისანი“ იქ გაეტარებინა. სომხითიდან ხუნანამდე ტერიტორიას, ქციისა და დებედის ნაპირებს, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საუკეთესო სანადირო ადგილებად მოიხსენიებს ვახტანგ მეექვსეც თავის პოემაში „სალბუნად გულისა“ (ვახტანგ VI 1975: 29).

მოსე ჯანაშვილი ფიქრობდა, რომ ღმერთებს, როგორც დღეს ფშავ-ხევსურეთში ხატებს, უნდა ჰქონოდათ თავ-თავიანთი მამულები, სახატო მიწები. მისი აზრით, მათგან დაენათლა სახელები გაჩიანს (გაცი – გაჩი – გაჩიანი), ზედაზენს, არმაზმთას, ცაიშს, ჯუმათს (ჯანაშვილი 1906: 89). დაბოლოება – აანი, იანი ქართულში შთამომავლობას, მოდგმას აღნიშნავს და გვაროვნული სახელებიდან ტოპონიმებსაც აწარმოებს, რომელთა მაგალითები მრავლად გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოში; გაჩიანიც ამ გზით მიღებული სახელი უნდა იყოს.

უხტანესი წერდა, რომ ძველ ცურტავს „ახლა ეწოდება გაჩიანი, მაშინ სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი (იყო), ხოლო ახლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდინარის პირზე, რომელსაც ეწოდება გაჩენაგეტ“ (უხტანესი 1975: 67). საინტერესოა, რომ გაჩიანს როგორც სომეხი (უხტანესი, სამუელ ანეცი, სტეფანოს ორბელიანი), ისე ქართველი ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), მრავლობითი ფორმით იხსენიებენ – გაჩიანნი, გაჩიანთა. ლეონტი მხოლოდ ორჯერ ასახელებს ამ ქალაქს მხოლობით რიცხვში: პირველად გაჩიოსისაგან მის აშენებაზე საუბრისას, მეორედ კი – ფარნავაზის ძე საურმაგის მეფობისას, რომელმაც თითქოს თავის სიძეს „მისცა ასული თჳსი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და საერისთო სამშვილდისა“.

დავითის ისტორიკოსიც გაჩიანს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს, ოღონდ ლეონტი მროველისაგან განსხვავებით, უხსოვარ დროინდელ ამბებთან კი არა, არამედ მისი თანამედროვე ვითარების აღწერისას: „სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა (და) პირსა მტკუარისასა... და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერი და საშუებელი ყოველი“. ძველ წყაროებში დამოწმებული მრავლობითი ფორმა გაჩიანისა ჩვენ უნდა გავიგოთ ოლქის მნიშვნელობით, რომლის ცენტრიც ეს პუნქტი გამხდარა (შდრ.: „გაგნი“, „ქავაზინნი“, „აგარანი“). ზემოთქმულს ემოწმება დავითის ისტორიკოსის ცნობა, რომ თურქები თავისი მრავალრიცხოვანი ჯოგებით იზამთრებდნენ მტკვრისპირა საძოვრებზე და „გაჩიანთა“, რაც მხოლოდ „შემცირებულ და ზომიერ დაბა-ქალაქში“ შეუძლებელი იქნებოდა.

სამუელ ანეცი გაჩიანს იხსენიებს 1139 წლის ამბებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ გაჩიანი ძველ წყაროებში, როგორც ცოცხალი პუნქტი, აღარ გვხვდება. სტეფანოს ორბელიანი, უხტანესის

კვალად ცურტავს გაჩიანად თვლის, რომლის სამწყსო მის დროს (XIII ს.) ჰაღპატის მონასტერს ჰქონია (დ. ბერძენიშვილი 1979: 27-28.).

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა გაჩიანის ანარეკლი ან დამახინჯებული ფორმა იყოს დღევანდელი ქაჩაგანი, სადაც უნდა ყოფილიყო ძველი ცურტავი.

უხტანესი, როგორც თვითონ წერს, ნამყოფია გაჩიანში, რომელსაც ის ძველ ცურტავად მიიჩნევს, ნანახი აქვს შუშანიკის მოწამეობისა და მისი ნეშტის განსასვენებელი ადგილები; მიუხედავად ამისა, იგი არც ცურტავის, არც გაჩიანის ციხეს არ იხსენიებს და გარკვევით მიუთითებს ადგილზე, სადაც 6 წლის განმავლობაში იტანჯებოდა შუშანიკი: „საპყრობილესა და ციხეში, რომელსაც ეწოდება უფრეთ“ (უხტანესი 1975: 199). ესაა ყველაზე არსებითი, რითაც უხტანესის „ისტორიის“ ჩვენება სხვაობს ჩვენამდე მოღწეულ მარტვილობათა წიგნებისაგან. ამიტომ სამართლიანად ფიქრობენ, რომ ავტორს ეს ცნობა წერილობით კი არა, არამედ ზეპირსიტყვიერი გზით უნდა მიეღო თავისი მეგზურისაგან, ხოლო ოფრეთის ციხე მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი უნდა ყოფილიყო (უხტანესი 1975: 384).

ისიც კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უხტანესმა თვითონ ნახა იგი, ტაშირიდან „ქართველთა ველისაკენ“, მგლისკარის უღელტეხილით მომავალმა. ეს ერთი უმოკლესი გზა იყო, რომელიც მდ. ფოლადაურის დაყოლებით, მერე კი შულავრისხევით ან წოფისხევით აქეთ მოემართებოდა. ზემოთქმულს გვკარნახობს ოფრეთის ციხის კლიმატური პირობების ავტორისეული დახასიათება: „ადგილთა სიმყრალე და სინოტივე საპყრობილესი უდიდესი იყო“ (უხტანესი 1975: 201), ეს სინოტივე ახლაც იგრძნობა, განსაკუთრებით ზამთრობით.

ოფრეთის ციხე მთიან და ტყიან ზონაში, შულავრისწყლის მარჯვენა სანაპიროზე დგას. მას სრულიადაც არ შეჰფერის შუშანიკის საპყრობილისა და მისი გარემოს იაკობისეული აღწერა: „ცეცხლებრ შემწუელი იგი მჯურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“, ოფრეთის ციხესთან კი შესანიშნავი, ხევის სუფთა წყალი მოჩქეფს. აქედან „ქართველთა ველამდე“ („ვრაც დაშტ“), სადაც უხტანესი ცურტავ-გაჩიანს ათავსებს, 25 კმ-მდე მაინც იქნება. უნდა ვიფიქროთ, ავტორზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია ოფრეთის ციხეს, რომ ის ერწმუნა ციხის სიძველეს, მასშტაბურობას და მიუხედავად ასეთი დაშორებისა, იგი შუშანიკის საპყრობილედ მიიღო.

საერთოდ კი გამორიცხული არაა, ოფრეთის ციხე ცურტაველი პიტიახშების საზაფხულო სადგომიც ყოფილიყო ისევე, როგორც თრიალეთის საპიტიახშო იქნებოდა სამშვილდელი „ნათესავით პიტიახშებისათვის“. ასეთი ვარაუდის დაშვება კიდევ უფრო გაამართლებდა უხტანესის ზემოხსენებულ ჩვენებას.

ქართული წყაროს ცნობით, XI ს-ში ოფრეთის ციხეში ერისთავი იჯდა (მატიანე ქართლისა 1955: 306-307). მოქმედი იქნებოდა ის უხტანესის

დროსაც, რასაც ვერ ვიტყვით ცურტავის ძველ ციხეზე, რომელსაც აღჯაყალაში ვგულისხმობ: ის ამ დროს დანგრეულ-გაუქმებული იქნებოდა, ამიტომაც არ მოხვდებოდა უხტანესის ყურადღების არეში.

* * *

IX ს-ის ბოლოდან XI ს-ის შუა ხანებამდე ქვემო ქართლში სომეხი ბაგრატუნები გაბატონდნენ; მაგრამ ამ მხარის ცალკეულ ხევებში მომხდარი ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები საქართველოს ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით უფროა შეპირობებული, ვიდრე მმართველ წრეებში მომხდარი დროებითი შენაცვლებით.

ბრდაძორის სტელაზე, სამხრეთი წახნაგის მრგვალ ლილვებზე, კუთხოვანი ასომთავრულით შესრულებული მინაწერია: „ესე მე დავწერე გიორგი“. პალეოგრაფიული ნიშნებით, ის IX-X სს-ს უნდა ეკუთვნოდეს. აქვეა სომხური ასომთავრულით შესრულებული წარწერები, რომლებიც ვერტიკალურად, ზევიდან ქვევით იკითხება; ესენი პირთა სახელებია: „გერსამ“, „მარემიკ“, „ქავოჲ“, „საჲგუშ“, „აბრამ“. ეს მინაწერები ქართული წარწერის ზემოთ და ქვემოთ, X ს-ში, ქართული წარწერის შემდგომ უნდა იყოს ამოჭრილი (გაგოშიძე 1999: 70). ალბათ ამაშიც აისახა ბრდაძორში სომხური მოსახლეობის მოძალება. (სურ. 11)



სურ. 11. ბრდაძორის სტელის წარწერა (გ. გაგოშიძის მიხედვით)

წოფისხევის ამდროინდელი პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ცენტრი წოფიდან გადადის ხეობის ზემოწელში, ხოჟორნიში; ახალი ცენტრის სახელი მთელ ხეობაზე ვრცელდება, წოფისხევი ხოჟორნისხევად იქცევა. XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, სომეხი ბაგრატუნებიდან მეფე გურგენს 978 წ.

სამფლობელოდ მიუღია ტაშირი სევორდით, ძოროგეტი, კაენი, კაეწონი, ხოშორნი, ხორაკერტი, ბაზუნიქი და სხვა ციხეები. აქ ჩამოთვლილი პუნქტები თავისი ოლქებით იგულისხმება; ეს კარგად ჩანს ვარდანისავე მეორე ცნობიდან: „ხორხორუნიქი არის ხოშორნი, თავისი წილი (ქვეყნით)“, რაც, ცხადია, მის ხევს გულისხმობს (დ. ბერძენიშვილი 1979: 33. 47). ამ ცნობაში წოფის მოუხსენებლობა მიუთითებს მისი ცენტრალური როლის დამცრობაზე და ხოჟორნის დაწინაურებაზე.

სოფელ ხოჟორნიში სამი ეკლესია ყოფილა: ორი დარბაზული ტიპის მცირე შენობა ადრე შუა საუკუნეებისაა, მესამე კი – ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიაა. ირკვევა, რომ ის აგებულია X ს-ის შუა ხანებში; მისი გეგმარება ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპის ის ვარიანტია, რომელიც გვხვდება მხოლოდ ტაო-კლარჯეთისა და მიმდებარე რეგიონების ქართულ ძეგლებში. ჩანს, ეკლესია აშენდა ქართული მრევლისათვის ქალკედონიტი ქტიტორის მიერ და მისი სულის მოსახსენიებელი სამლოცველო ეკლესიის სამხრეთ პასტოფორიუმშია მოწყობილი (გაგოშიძე 2003: 60).

ეკლესია შეისწავლა გ. გაგოშიძემ, რომელიც ვარაუდობს, რომ XI ს-ში ეკლესია დანგრეულა (შესაძლოა, მიწისძვრით); ამავე საუკუნის 50-იან წლებში ის ხელახლა უნდა აეშენებინა მხარგრძელთა საგვარეულოს პირველ წარმომადგენელს. ეს უნდა ყოფილიყო ახპატის ერთ სომხურ წარწერაში მოხსენიებული ხოსროვი, რომელმაც სომხური მონოფიზიტური მრწამსი აღიარა.

ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე მოთავსებულ რელიეფზე საერო პირს ორსავე ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს, კოჭებამდე კაბას ჭდეული წრეები უმკობს; მარჯვნივ სასულიერო პირია, რომელსაც მარჯვენა ხელი ეკლესიის მოდელზე უდევს, მარცხენაში კვერთხი უპყრია, თავზე კი კუნკულა ახურავს. მის გვერდით სომხური ასომთავრული წარწერის დაზიანებული ფრაგმენტია. გ. გაგოშიძის აზრით, XI ს-ის შუა ხანების ამ რელიეფზე გამოსახულია ხოსროვი, სასულიერო პირი კი სანაინის ეპისკოპოსი უნდა იყოს, რადგანაც ხოჟორნი ამ დროს სანაინის ეპარქიაში ითვლებოდა.

განახლებული ეკლესიის ხუროთმოძღვრება ადგილობრივ, ქართულადაა ჩათვლილი. მის დეკორში ორგანულადაა შერწყმული ქართული და სომხური ელემენტები, რაც საერთოდ დამახასიათებელია ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილისა და ჩრდილოეთ სომხეთის ხუროთმოძღვრებისათვის (გაგოშიძე 1997ბ: 20; გაგოშიძე 2003: 60). (სურ. 12)

X-XI სს-ისა უნდა იყოს ხოჟორნის ციხეც, ხევის მარჯვენა, კლდოვან მთაზე აგებული. სიმაღლითა და მიუვალობით ის წოფის ციხეს არ ჩამორჩება, თუმცა ფართობით უფრო მცირეა. ნაგლეჯი კლდის ქვით დუდაბზე ნაშენი კედლები ადვილმისადგომ სამხრეთის ფერდზე 3

მ-მდე სისქისაა.

ციხის ძირში, დამრეც ფერდობზე, ციხის სოფლის ათიოდე ნასახლარის ბუდეა, 3-4 ოთახიანი კომპლექსები. აქვეა მცირე ზომის დარბაზული ეკლესია; კედლები, ხოჟორნის სხვა ეკლესიებივით, წოფის მარმარილოსია, სარკმლისა და ლავგარდანის ნაწილები – ტუფისა. შენობა ერთსაფეხურიან ხარისხზე დგას, რუხი ქვის ლორფინებით გადახურული. შესასვლელი და ერთი სარკმელი დასავლეთიდანაა, საკურთხეველი კი – საკმაოდ შემაღლებული. ეკლესიის გარეთ, კედლებთან ხაჩქარებია აყუდებული.

წოფის თანდათანობითი დაქვეითება და ხოჟორნის დაწინაურება გამოწვეული იყო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ახალი, უფრო მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულების წარმოქმნით. წოფისხევის ადრე შუა საუკუნეების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული განვითარებულ შუა საუკუნეებში ლორის საგამგეოში უნდა შესულიყო. ასეთ პირობებში მცირდება წოფის ციხის მაკონტროლებელი როლი შულავრისხევ-დებედის შემაერთებელ გზაზე, რამდენადაც ეს გზაც ლორის საგამგეოს შინაგან გზად იქცა. ხოჟორნის ციხე ზემოხსენებულ გზაზე კი აღარ დგას, არამედ ხეობის მთისა და ბარის საზღვარზე. ძველ გზას თავისთავადი მნიშვნელობა ეკარგება, მისი საგანგებო დაცვა აღარაა აუცილებელი. ხოჟორნის ციხეს ლორეს დაქვემდებარებული ბანუშისწყლის ხეობის ცენტრობა ეკისრება; საამისოდ კი მისი მშენებლობის ადგილი შერჩეულია ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით: მთისა და ბარის მეურნეობის ურთიერთობის რეგულირებისათვის (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 39).

ამ ციხეს ორივე მხრიდან, მთაში მიმავალი, ახლაც მოქმედი გზები



სურ. 12. ხოჟორნის ეკლესიის გეგმა (გ. გაგოშიძის მიხედვით)

მიუყვება, რომლითაც დებედის ქვემოწელის მოსახლეთა ცხვარი ლელვარის მთაზე ხოჟორნის გავლით მიემართება. ძველად ამ ციხის ეკონომიკური ცენტრობა უფრო თავჩენილი იქნებოდა: ციხის ქვევით იშლებოდა მიწათმოქმედი მოსახლეობის სახნავ-სათესი, მის ზევით კი მთური მესაქონლეობის მიმდევართა პატარა სოფლები იყო.

ასეთივე ახალი ციხეების გაჩენა ქვემო ქართლის ხეობათა მთისა და ბარის საზღვარზე ამ პერიოდში თითქოს საერთო მოვლენა ჩანს: ბოლნისისხევში – ბერდიკი, დმანისხევში – დმანისი, ქციის ხრამში – მოდამნახე, თრიალეთში – კლდეკარი და სხვ. მაგრამ საერთო ეკონომიკური თუ სოციალური ვითარების გარდა, ყოველი მათგანის მშენებლობას კონკრეტული, განსხვავებული მოვლენებიც აპირობებდა.

ვარდან დიდის ცნობით, ხოშორნის ციხე, ანუ ხორხორუნიქი ხორის აგებულია (ვარდანი 1861: 122); ეს კი ლეგენდარული მამამთავრის, ჰაიკის შთამომავალია. ასეთი განმარტებით, ავტორს სურდა ეს ადგილები გამოეცხადებინა ხორხორუნიქთა სანახარო გვარის სამკვიდროდ, ხოლო ციხის აგება საუკუნეთა სიღრმეში გადაეტანა. იმავე ვარდანის შემდგომი თხრობიდან ჩანს, რომ XI ს-ის შუა ხანებში ძოროგეტის ბაგრატუნთა გვარის მეფეებს მათთან გადმოსახლებულ და გაქრისტიანებულ მხარგრძელთა ქურთი წინაპრებისათვის საცხოვრებლად ხოშორნი დაუმკვიდრებიათ. ბრძოლებში სიმამაცით მათ დიდ პატივს მიაღწიეს, თამარის მეფობაში კი ლორეც გადაეცათ (ვარდანი 1861: 181).

ამ ცნობაში ხოჟორნის ციხე ნახსენები არაა, მაგრამ მართებული უნდა იყოს ვარაუდი, რომ იგი სწორედ მხარგრძელთა წინაპრებს უნდა აეგოთ თავის უპირველეს რეზიდენციად (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 39). ვარდანთან შემორჩენილი სახელის ფორმა „ხოშორნი“ უძველესია და უფრო მართებულიც. იგი უნდა მოდიოდეს სიტყვისაგან – ხოშორი და მრავლობითის აღმნიშვნელი „ნი“ დაბოლოებისაგან. ხოშორი ნიშნავს საშუალოს წვრილსა და მსხვილს შორის, მომსხოს (სულხან-საბა ორბელიანი 1993). ეს კი ალბათ სოფლისა და ციხის კლდოვანი გარემოს მახასიათებლად იყო შერქმეული (შდრ. გოხნარი, ბირთვისი და სხვ.).

ხოჟორნისხევის ეკონომიკურ სიძლიერეზე X-XIII სს-ში მეტყველებს იმდროინდელი ნასოფლარების სიმრავლე ამ შედარებით მცირე ხევში. მათი რაოდენობა 18-მდე აღწევს. ტყით დაფარულ ფერდობებზე ახლაც ნათლად ჩანს ძველად ხნული ტერასები, რაც უეჭვო მოწმობაა აქაური, მაშინ უტყეო მიწების მაქსიმალური ათვისებისა. ეს ნასოფლარები იქ მოპოვებული მოჭიქული კერამიკით ან ნაკლესიარებით თარიღდება. ნასახლართა რაოდენობა მათში 30-დან 100-მდე აღწევს, 2-3 ოთახიან ბუდეებად შემორჩენილი. ასეთებია ტეფური, მელიქაშენი და განსაკუთრებით დიდი ნასოფლარი ხოჟორნისწყლის მარჯვენა შემდინარის ორსავე ნაპირზე (გოდაგ-დარა).

მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 400 მ-ზე, ხევის მარჯვენა სანაპიროს ქედზე, სწორკუთხა გალავანი ზღუდავს ფართობს დაახლოებით 30მX30მ; კედლები ნაგლეჯი ქვით კირხსნარზეა ნაგები, სისქე 2 მეტრია, სიმაღლე ზოგან 1 მეტრამდე შემორჩენილა. სამხრეთ-დასავლეთ კედელში შესასვლელია, სიგანით – 3 მ. გალავნის შიგნით სადგომის 3 ბუდე ჩანს, გარეთ კი მათი რაოდენობა შვიდამდე აღწევს. შეიძლება შიშიანობის დროს აქ მოსახლეობა აფარებდა თავს.

ხევის მარცხნივ არსებულ ნასახლარებს პატარა, დარბაზული ეკლესიაც ჰქონია, ერთსაფეხურიან ხარისხზე მდგომი. შერჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი, სადაც ორი ოთხკუთხა ნიშაა. სამხრეთიდან კარიბჭის ნაშთიღა შეიმჩნევა. იქვე, დასავლეთით, ოდნავ მოზრდილი ნაგებობა კლდის ბუნებრივ გამოქვაბულზეა მიშენებული. კედლები აქაც ნაგლეჯი ქვით დუღაბზეა ნაგები, სისქით ერთი მეტრი, ხოლო შიგნიდან ექვსი თახჩაა დაყოლებული. უნდა ვიფიქროთ, სენაკი იყო ეკლესიის მსახურთათვის. ირგვლივ დიდი სასაფლაო ჩანს, მოზრდილი, დაუმუშავებელი საფლავის ქვებით.

ნასახლარის ჩრდილო-დასავლეთით, ქედზე, კიდევ ერთი პატარა, დარბაზული ეკლესიაა, შესასვლელით ჩრდილოეთიდან. საკურთხეველში ორი ოთხკუთხა ნიშაა. კედლების ქვები გაუთლელია, ნარევი წყობით. ეკლესიასთან სასაფლაოა, საფლავის ქვები აქაც დაუმუშავებელია. ეკლესიის ჩრდილოეთით, 50 მ-ზე, ხევში ვიპოვეთ რუხი ბაზალტის ქვისგან გათლილი კაპიტელი; სამი მხრიდან დამუშავება მოწმობდა, რომ იგი ნახევარსვეტს აბოლოებდა ეკლესიის შიდა კედელზე.

ნასახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოზრდილი ნაგებობა შემორჩენილა; მისი სწორკუთხა, ერთი მეტრი სისქის კედლები სამხრეთით მრგვალდება. ფართობი 15მX10მ-ია; კედელში თიხის მილი შემოდის. გამყოლის სიტყვით, ადრე თურმე უკეთ ეტყობოდა ხევიდან აქეთ მომავალი თიხის წყალსადენი. შესაძლოა, აქ ძველი წყალმომარაგების ნაშთი იყოს. ნასახლარებს ხეობის ორსავ ნაპირზე ნაგზაურები მიუყვება; ტყეში მრავლადაა გაველურებული ვაზი და ხეხილი. ამრიგად, ბრდაძორის მახლობლად, მის აღმოსავლეთით მდებარე ეს ნასახლარი საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტი ჩანს.

1029-1033 წწ-ის „დაწერილში“ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი, მელქისედეკ კათალიკოსი გეოგრაფიული თანმიმდევრობით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჩამოთვლის სოფლებს, რომლებიც მან ტაძარს შესძინა ტაოში, კლარჯეთს, შავშეთს; შემდეგ წერს: „ჯავახეთს მოვიგე სოფელი ტონთიოჲ... და ფანავრას ავაშენე სოფელი ა (ერთი – დ. ბ.) მახარონი; და საკოეთს შევიპყრენ და ავაშენენ სოფელნი ბ (ორი – დ. ბ.) ნაქალაქევი და ბერდაძორი; და ქართლს – მონასტერი პალავრაჲ ოთხითა სოფლითა“ (ი. დოლიძე 1970: 22).

როგორც ვხედავთ, ფანავრასა და ქართლს შორის აქ დასახელებულია გეოგრაფიულ-ტერიტორიული ერთეული საკოეთი, რომლის

ორი სოფელი საკუთარი სახელებითაა მოხსენიებული: ნაქალაქევი და ბერდაძორი. საკოეთი სხვა წყაროებით უცნობია; ნაქალაქევი ქართლში რამდენიმე იხსენიება, სამაგიეროდ ბერდაძორი არსად ჩანს ქვემო ქართლის გარდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება მივიღოთ, რომ მელქისედეკის „დაწერილში“ საუბარია ძველი წოფისხევის, ანუ ხოჟორნისხევის სოფ. ბრდაძორზე, სადაც ზემოთ განხილული დიდი სტელა-ჯვრის მიხედვით V-VI სს-დანვე მნიშვნელოვანი საკულტო ცენტრი ყოფილა.

კათალიკოსის მიერ ჩატარებული აღმშენებლობიდან ამ სოფელში ახლა აღარაფერი შემორჩენილა, პირდაპირი მითითების გარდა: „ავაშენენ“, რაც სოფლის, მისი მამულის გაშენებას და ეკლესიის შეკეთება-აგებასაც გულისხმობდა ალბათ.

ვახუშტის მიხედვით, ქვემო ქართლში ორი ნაქალაქევი ყოფილა: ერთი ზურტაკეტში, მეორე – შულავრისწყლის მარჯვნივ, სოფ. შულავრის ჩრდილოეთით. ამათი გაიგივება საბუთის ნაქალაქევთან ძნელდება მათი სიშორის გამო ხოჟორნისხევიდან, სადაც ბრდაძორია. ფანავრის გვერდით დასახელებული საკოეთი მისი ბადალი გეოგრაფიული ერთეული ჩანს, სადაც იგულისხმება ის ორი სოფელი. ამიტომ „დაწერილში“ ბერდაძორის წინ მოხსენიებული ნაქალაქევი შესაძლოა ზემოაღწერილ ნასახლარებს გულისხმობდეს (გოდაგ-დარა).

სახელწოდება ნაქალაქევი მიუთითებს, რომ ოდესღაც დიდი, „ქალაქური“ დასახლება დაცლილა, ძველი სახელი დაკარგვია, შემდგომში კი მის ადგილზე ახალი სოფელი მოშენებულა, რომელსაც ძველი ნასახლარების მიხედვით ნაქალაქევი შერქმევია. ეს ყველაფერი XI ს-მდე მომხდარა.

მელქისედეკ კათალიკოსი ცალკე ჩამოთვლის სოფლებს მცხეთისათვის მის მიერ „მოგებულს“, რასაც სიის თავსა და ბოლოში ხაზგასმით აღნიშნავს. „მოგება“ კი – შეძენას, შოვნას გულისხმობს. გზადაგზა ავტორი აზუსტებს სოფლებისა და აგარაკების შეძენის ფორმებს, ესენია: „მიბოძა“ („ბერძენთა მეფემან ბასილი...“) „ვიყიდე“, „მოვიგე“, „მოვიგე და ავაშენე“, „ავაშენე“, ნაქალაქევსა და ბერდაძორზე კი ნათქვამია: „საკოეთს შევიპყრენ და ავაშენენ სოფელნი ბ“. უნდა ვიფიქროთ, ეს „შევიპყრენ“ შოვნის უფრო განსხვავებულ ფორმაზე მიგვითითებს, ვიდრე „მიბოძა“ და „ვიყიდე“ – ა. შეპყრობა-დაჭერას, აღებას, ხელის მოკიდებას, „მკვიდრობას“ ნიშნავს (ი. აბულაძე 1973) და ამ სოფლების მოპოვების უფლებრივ მხარეზე უნდა მიგვანიშნებდეს.

„ყოველნი სოფელნი, რომელნი ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავდგენ ყოველგან სახლნი და ავაგენ ეკლესიანი რიცხვით ყოველნივე“-ო, წერს მელქისედეკი (ი. დოლიძე 1970: 23). შესაძლოა ბრდაძორის მახლობელ, ზემოაღწერილ ნასახლარებში ერთ-ერთი ეკლესია იმდროინდელი იყოს. ახლადმოპოვებული სოფლები, ისევე როგორც მცხეთის ადრე ნაქონი, კათალიკოსს ყოველგვარი

გადასახადისაგან გაუთავისუფლებია და ამ სახით მიუკუთვნებია სვეტიცხოვლისათვის.

ხოჟორნისხევის სხვა სოფლები მხარგრძელთა მფლობელობაში უნდა ვიგულისხმოთ; ეს ხევი კი ლორის საგამგეოში უნდა შესულიყო, მას შემდგომ, რაც ზაქარია მხარგრძელს, როგორც ამირსპასალარს, ლორე საპატრონოდ გადაეცა 1191 წელს. ხოჟორნისხევი მხარგრძელთა ხელშია XIII ს-შიც, რასაც მოწმობს იქ აგებული ეკლესიები და წარწერები მხარგრძელთა მოხსენიებით (დ. ბერძენიშვილი 1979: 84-85).

XI ს-ში დაწინაურებულმა, ქვემო ქართლის ორმა დიდმა ცენტრმა – ლორემ და გაგმა, თანდათან მეტი მნიშვნელობა მოიპოვა სხვა ციხეებთან შედარებით; XII ს-ში ისინი თავის ირგვლივ, ადრეული ხევებისაგან განსხვავებულ, საკმაოდ მოზრდილ, სანაპირო ქვეყნებს აერთიანებდნენ. ლორის საპატრონოს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სამეფო-სახასო ქვეყნები, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი – გაგის სანაპირო.

* * *

გაგის ციხე დღევანდელი აღჯაყალაა (დ. მუსხელიშვილი 1960). ზემოთ, აქვე, ვიგულისხმე ცურტავის ძველი ციხე, რომელიც შემდგომში იმდენად დაქცეულა, რომ მისი სახელიც დაკარგულა. ამ ძველ ნაციხარზე X-XI სს-თა მიჯნაზე ახალი ციხესიმაგრე ააგო გაგიკ I-მა, ანისის მეფემ და თავისი სახელის მიხედვით ციხეს გაგი დაარქვა. სომხური წყაროების ჩვენებით, იქ ყოფილა განთქმული მონასტერი წმ. გიორგისა წმ. ჯვრით და ეკლესიით, რომელიც თითქოს ააშენა და აკურთხა წმ. მოძღვარმა მესროპმა. ეს ეკლესია მდგარა გაგის ციხის თხემზე და ბატონობდა ფართო, უსაზღვრო ველზე. მიუხედავად ამისა, გაგის პირველი ხსენება ქართულ და სომხურ წყაროებში მხოლოდ X-XI სს-დან გვხვდება (დ. მუსხელიშვილი 1960: 124-125). წყაროები იხსენიებენ „გაგის ველს“, რაც დებედის ქვემოწელს უდრის, იგივე წარმოადგენდა „ქართველთა ველის“ („ვრაც-დაშტის“) ნაწილს.

რაკი გაგი, სავარაუდოდ, ძველი ცურტავის ციხის ადგილზე აშენდა, ისიც პირველ ყოვლისა „ქართველთა ველზე“ საბატონოდ უნდა ყოფილიყო მოწოდებული. მაგრამ გაგს ისევე, როგორც ცურტავს, თანდათან დაემორჩილებოდა მეზობელი მხარეები, პირველ რიგში, დებედის ხეობის ნაწილები. XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი (ასოღიკი) ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის; მისი სიტყვით, X ს-ის ბოლოს ქვემო ქართლში გაბატონებულ დავით გურგენის ძე ბაგრატუნს ჰქონდა ტაშირისა და „ვრაც დაშტის მხარეები; სამშვილდის დიდი ციხე-ქალაქი მან სამეფო საჯდომად გაიხადა, დაიპყრო ქალაქი დმანისი, დაიმორჩილა თბილისის ამირა... მაშინ განუდგა მას დემეტრე მარზპანი, მთავრად რომ იყო გაგის ციხეში. მან

მიატოვა მამაპაპეული რწმენა სომხური, ქართველებს მიემხრო, მეორედ მოინათლა (მათ რჯულზე), ხოლო თავისი შვილი – ტაშირის მამფალი, განაწესა ჰიუნე-ვანში. დავითმა განდევნა დემეტრე გაგის ციხიდან, წაართვა ყველა მისი სიმაგრე და სამკვიდრო“ (სტეფანოს ტარონეცი 1885: 256-257). აქ კარგად ჩანს, რომ გაგის მფლობელ მარზპანს სხვა სიმაგრეებიც ემორჩილებოდა, მათ შორის ტაშირის მამფალი დებედის ზემოწელზე.

1065 წ. ბაგრატ IV-მ სომეხთა მეფე კვირიკეს სამშვილდე წაართვა. ამის შემდგომ, ქართლის მატიანის სიტყვით, ქართველთა მეფეს „მონებდეს სომეხნი“. მალე ბაგრატ IV-ს კვირიკიანთა მფლობელობაში ადრე ნამყოფი ციხეებიდან „მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი“ (მატიანე ქართლისა 1955: 307, 313).

1072-1073 წწ. მეფე გიორგი II-ს აუჯანყდა ივანე ლიპარიტის ძე – კლდეკარისა და სამშვილდის პატრონი. მან „გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონს“ (მატიანე ქართლისა 1955: 316). მოტანილ მაგალითებში ისევე, როგორც ადრე, სამეფო ციხე გაგი ციხისადმი დაქვემდებარებული ქვეყნით იგულისხმება, რომელიც სამშვილდისა და განძის ქვეყნებს შორის მდებარეობდა, მაგრამ მისი საზღვრები დასახელებული არაა.

1121 წ. ზამთარში, როდესაც დავით აღმაშენებელი აფხაზეთს იყო, თურქებმა გულდამშვიდებით დაიკავეს მტკვრისპირი. მეფე მოულოდნელად „დაესხა ხუნანს. და აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირითა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“ (დავითის ისტორიკოსი 1955: 339-340). ხუნანზე თავდასხმა, ცხადია, მის ქვეყანას გულისხმობს, დავითის ლაშქარს რომ შეუვსია; აქვეა დასახელებული მისი საზღვრები: სამხრეთიდან ჩრდილოეთით – მთიდან მტკვრამდე, დასავლეთიდან აღმოსავლეთით – გაგიდან მდ. ბერდუჯამდე. გაგში მხოლოდ ციხე კი არა, არამედ მისი ქვეყანაც ითვლება, რაც მდ. ბერდუჯის (დღევანდელი ძეგამი) საპირისპიროდ მდ. დებედის აუზს გვაგულისხმებინებს, ე. ი. აქ „გაგნი“ („გაგთათ“), გაგის ადმინისტრაციული ერთეული, აღმოსავლეთით ჯერ კიდევ ინჯისწყლის აუზამდე უნდა ვრცელდებოდეს, რომლის შემდეგ ხუნანის ქვეყანა იყო (დ. ბერძენიშვილი 1979: 60-61). აღსანიშნავია, რომ ესაა ხუნანის უკანასკნელი ხსენება ქართულ თანადროულ წყაროებში; სომხური წყაროებიდან კი კირაკოს განძაკეცი (XIII ს.) მონგოლთა შემოსევისას, 1220 წ. იხსენიებს მხოლოდ ხუნანის ველს, სადაც ბრძოლა მომხდარა, ქალაქზე კი არაფერს ამბობს (კირაკოს განძაკეცი 1976: 138). ხუნანი არ ჩანს ამ ბრძოლების ამსახველ სხვა სომხურ წყაროებშიაც.

გაგის ციხის ადმინისტრაციული ერთეულის გაფართოება აღმოსავლეთით ხუნანის დამცრობისა და მისი ქვეყნის გაგის დაქვემდებარებაში გადასვლის კვალად ხდება. ამ მხრივ საინტერესოა

თვალის გადევნება ქართული წყაროებისათვის. 1163 წ. მაჰმადიანთა გაერთიანებული ძალები „შეიყარნეს რანს და მომართეს ქუემო კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა, და მოადგეს ციხესა გაგისასა, აიღეს იგი და მოაოჴრნეს ყოველნი საზღვარნი“. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი III-ის საპასუხო ქმედებაზე, „დამყრელთა ყოვლისა, სანოვაგისათა და უფროსღა გაგის შინა მყოფთა განვლეს წყალი ეკლეცისა“ და გაიქცნენ (ისტორიანი და აზმანი 1959: 11).

ამ ცნობაში რანის შემდგომ სომხითის ქვემო ნაწილია მოხსენიებული, სადაც მხოლოდ გაგი ჩანს. ციხე-ქალაქი ხუნანი სწორედ ამ გზაზე იყო, გაგის აღმოსავლეთით. უნდა ვიფიქროთ, იგი ამ დროს აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს და მტრის ყურადღებაც აღარ მიუპყრია. ეკლეციის წყალი (დღ. თაუზ-ჩაი) სახელმწიფოს საზღვრად იგულისხმება და იგივე უნდა ყოფილიყო მაშინდელი გაგის ადმინისტრაციული ერთეულის აღმოსავლეთი ნაპირიც (დ. მუსხელიშვილი 1960: 134).

1191 წ. გიორგი რუსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მეფე თამარმა „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“ (ისტორიანი და აზმანი 1959: 54). ამრიგად ჩამოყალიბდა ქვემო ქართლში მხარგრძელთა გაგელების შტო. ანონიმი ისტორიკოსის ზემოთ ციტირებულ სიტყვებში ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „გაგი ქურდვაჭრითა“. „ქურდვაჭარი“, „ქურდვაჭრისხევი“ დებედის ხეობას ერქვა, ამიტომაც ეს განსაზღვრა მიუთითებს, რომ დებედის ხეობა იყო გაგის ციხის უშუალო შემავალი ქვეყანა (დ. მუსხელიშვილი 1960: 129), ბუნებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის უახლოესი არეალი. ანალოგიური შესიტყვება ნახმარი აქვს „მატიანე ქართლისას“ ავტორს: ბაგრატ IV-მ სულა კალმახელს უბოძა „მამულობით ციხის ჯური და ოძრჩე ბოდო-კლდითა, და სხუანიცა მრავალი საქონელი“ (მატიანე ქართლისა 1955: 305). აქაც ბოდო-კლდე კურცხანის ხეობით, ოძრხეზე დამოკიდებული უახლოესი ტერიტორიაა.

ზემომოტანილ ამონაწერში „გაგი ქურდვაჭრითა განძამდის“ გავრცელებულა. აქ განძის ქვეყანაა ნაგულისხმევი, მაგრამ 1191 წლისათვის გაგის ქვეყნის ასე გაფართოება ნაადრევი ჩანს. ეს უფრო გვიან, 1195 წ., შამქორის ომის შემდგომ უნდა მომხდარიყო, როცა მონაპირე გაგელთა მცდელობით, მათი ტერიტორია თანდათან შამქორის ხევამდე გაიზარდა (დ. მუსხელიშვილი 1960: 132, 135). ასე ჩამოყალიბდა გაგის სანაპირო ქვეყანა; ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვით, „პირველ ქუემოთი სანაპიროი გაგი იყო, რომელნი ჰქონდა ზაქარიას მჴარგრძელსავე, ვარამის მამასა, და ესენი მუნ მონაპირობდეს, კაცნი მჴნენი, ბრძოლასა შინა მრავალგზის გამოცდილნი და განმარჯუებულნი“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 129).

XIII საუკუნეში „გაგი განძამდე“ ნახსენები აქვს ბასილი ეზოს-

მოძღვარსა და ჟამთააღმწერელსაც. ეს უკანასკნელი 1220 წელს, მონგოლთა შემოსევისას აღნიშნავს, რომ ისინი განძიდან „მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, იწყეს დარბევად ქუეყანა გაგისა“. ქართველები გაემართნენ „თათართა კერძო გაგის ბოლოსა მდგომთა... ხოლო იგინი დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა, მყის ამჴედრდეს“ (ჟამთააღმწერელი 1959: 164). მაშასადამე, „გაგის ქვეყნის“, „გაგის ბოლო“ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს ემთხვეოდა, რაც ბერდუჯისწყალზე, ანუ მდ. საგიმ-ძეგამზე გადიოდა.

1225 წელს ჯალალედინს აუოხრებია „გაგი ვიდრე განძამდე, შანქორი. უწინარეს ამისა ვარამ გაგელსა აქუნდა შანქორი და მიმდგომნი მისნი ქუეყანანი“ (ჟამთააღმწერელი 1959: 171-172). აქ კარგად ჩანს, რომ ჟამთააღმწერლის აზრით, გაგის ქვეყანა შამქორსა და მის მიმდგომ ქვეყნებს ვიდრე განძამდე, მოიცავდა მანამდეც – „უწინარეს ამისა“. ასეთი იყო სანაპირო გაგის ქვეყნის აღმოსავლეთით გაფართოების ტენდენცია XII-XIII სს-ში.

ამ ერთეულის დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვრები (შულავრისხევი და მტკვარი) უცვლელი ჩანს, სამხრეთი საზღვარი კი ისევ ცვალებადია. აქ გვეხმარება იმ ციხეების ჩამონათვალი, რომლებსაც ისტორიკოსები მაჰმადიანებისათვის გაგელთა მიერ წართმეულად თვლიან. გაგის სამფლობელოში ირიცხებოდა: გარდმანი, ქარჰერძი, ერგევანქი, ტავუში, კაწარეთი, ტერუნაკანი, შამქო-რი, მაწნაბერდი, ნორბერდი, ქავაზინი. ამ ციხეთა ლოკალიზებული უმეტესობა მტკვრის მარჯვენა შემდინარეთა ზემოწელამდე აღწევს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, გაგელთა სამფლობელოები, ზოგიერთი გამონაკლისით, სამხრეთისაკენ, მთის ზონამდე აღწევდა. (სურ. 15) იქ კი იწყებოდა გაგელთა მონათესავე მხარგრძელების ციხე-ქვეყნები: ლორის სამთავრო – ამირსპასალარ ზაქარიასი, მისი ძმის – ივანესი კი იყო „კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხუთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“ (დ. ბერძენიშვილი 1979: 83-85).

## საეკლესიო გეოგრაფია

ადრექრისტიანული ხანის საეკლესიო გეოგრაფიის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა წოფისხევის სტელა-ჯვრებისა და ცურტავის ეპარქიის მიხედვით შეიძლება.

შემდგომში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა საეკლესიო გეოგრაფიაშიც გამოიწვია ცვლილებები: დაარსდა ახალი სავანეები, აშენდა ქართული და სომხური ტაძრები. ამათგან ყურადღებას იპყრობს ბამბაკისწყლის და დებედის შესაყარის სამხრეთით არსებული სამონასტრო კომპლექსი ვანანა-ვანქისა. მას ადრე ჰღუნევანქი რქმევია,

ვახუშტი კი ძელი ჭეშმარიტის სახელით იხსენიებს. პირველი სომხურ ენაზე ორნაირად შეიძლება აიხსნას: 1. „ჰინ“ – ძველი მონასტერი, 2. „ჰჲუნე“, იონთა, ე. ი. ბერძენთა მონასტერი, ქალკედონიანთა სავანის გაგებით (მელიქსეთ-ბეგი 1964: 317). ასეთ ფორმას ხმარობს სტეფანოს ტარონეცი.

ჰჲუნევანქ-ძელი ჭეშმარიტის სამონასტრო კომპლექსი რამდენიმე ნაგებობის ნანგრევს შეიცავს: ცენტრალურგუმბათიანი ტრიკონქი VIII-IX საუკუნებისაა, შემდგომში რამდენჯერმე გადაკეთებული; მამამთავრის სასახლე, ორსართულიანი საცხოვრებელი-სატრაპეზო მონასტრის ბერებისათვის და სამრეკლო (გ. ჩუბინაშვილი 1967: 78-79).

ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანთა სომხური სამეფოს შექმნა ქვემო ქართლში უეჭველად გამოიწვევდა ახალ დაპირისპირებას ქართულ-სომხურ საეკლესიო წრეებში. ამის მოწმობაა დიოფიზიტური მიდრეკილებების აღმავლობა X ს-ის ანისისა და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოებში. სომეხი ისტორიკოსების, სტეფანოს ორბელიანისა და ვარდანის ცნობით, X ს-ის დასასრულს სომეხთა კათალიკოსს ვაჰანს (ადრე სივნიეთის ეპისკოპოსს) დაუწყია საკურთხეველთა მორთვა საქართველოდან შემოტანილი ხატებით; ბრძანა, ასევე მოქცეულიყვნენ სხვა ეკლესიებიც, უნდოდა შემოეღო ბიზანტიური მღვდელმსახურება. საერთო აღშფოთების გამო ანისის კრებაზე ვაჰანი შეუჩვენებიათ (სტეფანოზ ორბელიანი 1911: 289-290; ვარდანი 1861: 121).

ამ მოვლენებს მოსდევს ზემოხსენებული დემეტრე გაგელი მარზპანის ქართველად მონათვლის ამბავი. სტეფანოს ტარონეცის ცნობით, დემეტრეს თავისი შვილი, ტაშირის მამფალი, ჰჲუნევანქში დაუდგენია, ავტორი არ აზუსტებს, თუ რა თანამდებობა დაიკავა ყოფილმა მამფალმა ეკლესიაში, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, ეს იქნებოდა ეპისკოპოსის ხარისხი. ეს პატივი კი ქართლის კათალიკოსის თანხმობის გარეშე შეუძლებელია გაცემულიყო. მაშასადამე, დემეტრე გაგელი მარზპანის აქცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ქართული ეკლესიის მიზანდასახული პოლიტიკის გატარება დებედის ზემოწელზე მყოფ ქართულ საეპისკოპოსოში. მართალია, ეს უკანასკნელი მაშინ სომხურ სამეფოში ითვლებოდა, მაგრამ ჰჲუნევანქ-ძელი ჭეშმარიტის საეპისკოპოსო კათედრა მანამდეც უნდა არსებულიყო, შესაძლოა ცურტავის მოშლის შემდგომ დაარსებული...

ასოღიკის ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, დავით სამშვილდარსა და ძორაკერტელს (ასე უწოდებს მას „მატიანე ქართლისაჲ“) დემეტრესათვის სამკვიდრო წაურთმევია, მაგრამ მისი ძე ისევ დარჩენილა ეპისკოპოსად. ამაზე მეტყველებს ჰიუნევანქის 1022 წლის ერთი წარწერა. იგი ამჟამად დაკარგულია, მაგრამ ძველ გადმონაწერში იკითხება: „ქ. სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, შეწევნითა წმიდისა ამბაკომისათა, მე გიორგი ჰინვანელმან მთავარეპისკოპოსმან

# დებედის ხეობა განვითარებულ შუა საუკუნეებში



ძემან დემეტრე მარზაპანისამან, ავაშენე ესე ეკლესიაჲ სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა. ზეობასა, ადიდენ ღმერთმან, დავით მეფისასა ქორონიკონი იყო ს და მბ“ = 1022 წ. (ჟორდანია 1892: 243; მურადიანი 1977: 185-89; სილოგავა 1980ა: 170).

აქედან კარგად ჩანს, რომ დემეტრე გაგის მარზპანის ძეს – გიორგის, ჰჲუნევანქის მთავარეპისკოპოსობის მიღების შემდეგ აუშენებია ეკლესია. ეს „აშენება“ „მეორედ აშენებას“, შეკეთებას უნდა გულისხმობდეს უკვე არსებული საეპისკოპოსო ტაძრისა; ამაზე მეტყველებს შერჩენილ ნაგებობათა ხუროთმოძღვრება, წარწერა და სომხური წყაროს ჩვენებაც. მაგრამ უცნობია ჩვენთვის გიორგიზე ადრე აქ მოღვაწე მთავარეპისკოპოსები. დავითი სომეხი ბაგრატუნია, რომელმაც გიორგის მამა დასაჯა. ამ დროს ლორის ციხე-ქალაქი ახალაშენებული იყო და იქ ეს დავითი ბატონობდა, ამიტომ გასაგებია მისი მოხსენიება ქართული ეკლესიის წარწერაში. დავითის რისხვა, დემეტრე გაგის მარზპანზე დამტყდარი, მის ძეს – გიორგი მთავარეპისკოპოსს არ შეხებია.

გიორგის შემდეგ ჰჲუნევანქის მთავარეპისკოპოსად ყოფილა დემეტრე. ის ჩანს მახლობელ სოფელ კურთანის წარწერაში, სადაც იგი დემეტრე მთავარმოწამის სახელზე ეკლესიის მაშენებლად გვევლინება და იხსენიება ვითარცა „გლახაკი დემეტრე ჰინვანელი მთავარეპისკოპოსი“. თითქოს იგივე დემეტრე უნდა იყოს სოფ. შაჰნაზარის ეკლესიის წარწერაშიაც, რომელიც ასე იკითხება: „ქ. სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, შეწევნითა წმიდისა გიორგისაჲთა, თანადგომობითა ნათლისმცემლისაჲთა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, ღირს ვიქმნენით ჩუენ, გლახაკნი და უნარჩევესნი ყოველთა კაცთა – ოთხნი ძმანი ძნელაჲს ძენი შენებად ამას წმიდასა საყდარსა,დასხმად ორ წელ ორთა ბალავართა; აბაზას მეფობასა,დემეტრეს მღუდელთმოძღურობასა, სადიდებლად ღმრთისა, სალოცველად სულთა მშობელთა ჩუენთა, ქორონიკონი სმიე იყო“ = 1035 წ. (სილოგავა 1980ა: 168).

წარწერაში ეჭვს იწვევს მეფის სახელი, რომელიც ამ წლისათვის უცნობია, ამიტომაც ცდილობენ ქორონიკონის ასონიშანთა სხვაგვარად ამოკითხვას (მელიქსეთ-ბეგი 1964: 320; მურადიანი 1977: 156). უპირატესობა მაინც ბოლო წანაკითხს უნდა მიეცეს და „დემეტრეს მღუდელთმოძღურობა“ დემეტრე ჰჲუნევანქელის მთავარეპისკოპოსობას უნდა გულისხმობდეს.

ზემოხსენებული წარწერების მიხედვით, კარგად ჩანს, როგორი გაცხოველებული საეკლესიო მშენებლობა ყოფილა მაშინ საქართველოს სამხრეთის ამ განაპირა საეპისკოპოსოში: ოთხ ძმას ძნელაჲს ძეებს ორ წელიწადში ორი ეკლესიის საფუძველი დაუდვიათ.

ორი ათეული წლის განმავლობაში ამ საეპისკოპოსოს მხოლოდ ორი მღვდელმთავრის სახელი ვიცით. უნდა ვიფიქროთ, საეპისკოპოსო

კათედრა აქ შემდგომშიც იქნებოდა. თითქოს ამაზევე მეტყველებს ჰალუნევანქის მომდევნო ხანის წარწერები. ასეთია, მაგალითად, ასომთავრული წარწერა მოთავსებული ტაძრის გუმბათის ყელზე, რომელიც XIII საუკუნეშია ამაღლებული. იგი ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა შეწევნითა ყოველთა წმიდათაჲთა, ღირს ვიქმენ მე, სუმბატ ძე ივანე დიდისა და ამირსპასალარისა, მეორედ განახლებად და შემკობად დიდებულისა საყდრისა ამისა, სალოცველად და სალხინებლად სულთა ჩუენთა და მშობელთა ჩუენთათჳს და ყოველთა მომავალთა ჩუენთათჳს საუკუნოდ, შემდგომითი შემდგომთა ლოც(ვა ყავთ)... ქრონიკონი იყო ტოდ“ = 1154 წ. (მურადიანი 1977: 140). ეს სუმბატი ორბელი უნდა იყოს, ბეთანიისა და სანაინის წარწერებში მოხსენიებული, დავით აღმაშენებლის თანამედროვე სპასალარის, ივანე ორბელის ძე (მესხია 1979: 16). წარწერიდან ჩანს, რომ მას განუახლებია და შეუმკია „დიდებული საყდარი“.

1200-1206 წწ. კიდევ ერთ წარწერაში საუბარია ეკლესიის კარიბჭის აღშენებაზე, მანდატურთუხუცესის მხარგრძელის დღეგრძელობისათვის და სალოცველად თევდორე მამამთავრისა (მელიქსეთ-ბეგი 1964: 314; სილოგავა 1980ა: 141). ეს უკანასკნელი ადგილობრივი მღვდელმთავარი უნდა იყოს და არა საქართველოს კათალიკოსი, როგორც ამას ლ. მელიქსეთ-ბეგი და პ. მურადიანი ფიქრობენ (მესხია 1979: 250). ამ აზრს მხარს უჭერს იქვე არსებული ერთი საფლავის ქვის წარწერა, სადაც გიორგი მამამთავარი იხსენიება და ცხადია, ისიც იქაური საყდრის მესაჭეს გულისხმობს.

საფლავის ქვათა წარწერები ჰალუნევანქში XIII-XV სს-ითაა დათარიღებული, რომლებშიც იხსენიებიან მამა საბა ნათლულაჲს ძე, მათეს დედა მართა, იოსებ მამაჲ კალონაპეს ძე, კვირილე მამაჲ კალონაპეს ძე (მურადიანი 1977: 140-146). დმანისის სიონის კარიბჭის XIII ს-ის I მეოთხედის წარწერაში გვხვდება ეპისკოპოსი „თევდოსი მამაჲ კალნაპეტის ძე“ (ლ. მუსხელიშვილი 1938ა: 386). შესაძლოა, აქ ერთი და იმავე პიროვნების სახელი იყოს, მაშინ იოსებ, კვირილე და თევდოსი ძმები გამოვლენ.

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალის მიხედვით, XI-XIII სს-ში, თუ უფრო ადრეც არა, დასტურდება ქართულ-ქალკედონური საეპისკოპოსო ჰალუნევანქ-ძელი ჭეშმარიტისა. იქვე ყოფილა მონასტერი. ამ კათედრალის სამწყსოში იქნებოდა გაერთიანებული დებედის ზემოწელის ქართული და გაქართველებული სომხების მრევლი. ამ ეპარქიის შემდგომი ბედი უცნობია, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ იგი არ ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოთა იმ სიაში, რომელიც ახლავს XIII ს-ის II ნახევრით დათარიღებულ საბუთს – „განგება დარბაზობისას“. ქვემო ქართლის ეპისკოპოსთაგან იქ დასახელებულია მანგლელი, ბოლნელი, წალკელი, დმანელი. არ იხსენიებიან ცურტაველი,

ხუნანელი (აგარაკისა), ჰილუნევანქელი, რაც ამ ეპარქიათა გაუქმებას მოწმობს. ქვემო ქართლის მამამთავრების გვერდით აქ იხსენიებიან ვალაშკერტელი, კარელი და ანელი ეპისკოპოსები (ი. დოლიძე 1965: 48-49); ეს კი აშკარად მეტყველებს საქართველოს სახელმწიფოებრივი გავლენის ქვეშ მყოფ სომხეთში ქართულ-ქალკედონური ეპარქიების დაარსებაზე. უნდა ვიფიქროთ, ჰილუნევანქ-ძელი ჭეშმარიტის სამწყსოს ნაწილს მასთან უახლოესი ანისის საეპისკოპოსო დაეპატრონებოდა, მეორე ნაწილს კი – დმანელი ეპისკოპოსი (თევდოსი?). ვახუშტის მიხედვით, XVIII საუკუნისთვის ძელი ჭეშმარიტის მონასტერს უკვე სომხები დაუფლებიან (ვახუშტი 1941: 35).

ზემოთქმულის გარდა, ქართული ეკლესია-მონასტრები დებედის ხეობაში სხვებიც ყოფილა. მათი უმეტესობის ქართულ წარწერებში იხსენიებიან იქ მოღვაწე „ფიჩოსანთა“ – ძაძით მოსილ ბერ-მონაზონთა სახელები. მათ მიერ ჩატარებული აღმშენებლობა ჩანს სოფლების – შანაზარის, ჯუჯაქენდის, ლერნანქის ეკლესიათა, ქობერის მონასტრის წარწერებსა და ეპიტაფიებში.

ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული მონასტერი იყო ახტალისა, დებედის შუაწელზე, მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ჭოჭკანის ხეობის „ქუემორ არს ჩრდილოთ ეკლესია აგარაკისა (რომელსა შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, შემდგომად იქმნა მიტროპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე), გუმბათიანი დიდშენი. აწ უწოდებენ ახტალას“ (ვახუშტი 1941: 36). ვახუშტი ცდება, როდესაც აგარაკის საეპისკოპოსოს ახტალაში გულისხმობს. ცდება იმიტომ, რომ ძველი ხუნანი – ქცია-მტკვრის შესაყარში, ბერდუჯის მდინარე კი დებედის ხეობაში ეგულება. სინამდვილეში ამ ადგილის ძველი სახელწოდება ყოფილა სპილენძის საბადო, სპილენძის მადანი (სომხურად – პღნძაჰანქ), რაც აქ ძველთაგანვე მის მოპოვება-დამუშავებაზე მეტყველებს. ახტალის სამონასტრო კომპლექსში სამი ეკლესია ყოფილა: ორი მცირე, დარბაზული ტიპისა წმ. გიორგისა და წმ. სამების სახელობისა, მესამე კი – ჯვარგუმბათოვანი დიდი ტაძარი ღმრთისმშობლის შობის სახელზე აგებული. ადრე ყოფილა კიდევ ეკვდრები წმ. დიმიტრის, წმ. ბასილისა და ივანესი.

ახტალის მიდამოებში უძველესი წარწერა 1183 წელს ეკუთვნის. ქვაჯვარზე ამოჭრილ სომხურ წარწერაში საუბარია პღნძაჰანქში ჯვრის აღმართვაზე ახპატის წმ. ღმრთისმშობლის სახელობაზე, რომელსაც აკეთებს მარიამ კვირიკეს ასული. ეს კვირიკე და მარიამი ლორე-ტაშირის კვირიკიანთა შთამომავლები, იხსენიებიან ახპატის წარწერებში, ასევე ქობერის მონასტრის ქართულ წარწერებში (მელიქსეთ-ბეგი 1927: 64; მურადიანი 1977: 169). უნდა ვიფიქროთ, პღნძაჰანქის მიდამოები მაშინ ამ საგვარეულოს მფლობელობაში იყო (მელიქსეთ-ბეგი 1964: 315).

სომეხი ისტორიკოსების – ვარდანის, კირაკოს განძაკეცის, სტეფანოს ორბელიანის ცნობებით, ზაქარია მხარგრძელის ძმამ ივანე ათაბაგმა XIII საუკუნეში, მიიღო რა ქართული მართლმადიდებლობა, ჩამოართვა სომხებს პღნძაჰანქი; მანვე ააშენა იქ ქართული მონასტერი და იქვე დაიმარხა (თაყაიშვილი 1901: 144). ამ დროიდან მონასტრის სახელად სპილენძაჰანიც ყოფილა, ე. ი. სომხურ სიტყვას იმავე მნიშვნელობის ქართულად გახმოვანებული „სპილენძი“ ჩაენაცვლა. XIII ს-ის პირველ ნახევარში ქართულიდან სომხურად იქ ნათარგმნ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ ის დაიწერა „მონასტერსა რომელსა ეწოდების სპლენძაჰან, წმ. ღვთისმშობლის საფარველსა ქვეშე, მმართველობასა ივანე ათაბაგისასა, აღმშენებლისა მონასტრისასა“ (მელიქსეთ-ბეგი 1964: 316).

ახტალის მთავარი ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზი ადასტურებს, რომ გეგმით იგი წააგავს ქართულ გუმბათოვან ტაძრებს XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისისას; ამასვე ემოწმება დეკორის სისტემა და ფასადების ორნამენტიკა. აღსანიშნავია, რომ მათი ცალკეული ელემენტები და მოტივები უკავშირდება მუსლიმანურ აღმოსავლეთს და სომხეთს. ტაძარს ეს ანიჭებს სპეციფიკურ ხასიათს, რაც ნიშანდობლივია სომხეთთან მოსაზღვრე ამ რაიონისათვის (შმერლინგი 1943: 10-11).

სტეფანოს ორბელიანს აღწერილი აქვს ახტალის ისტორიისათვის საინტერესო ამბავი; მისი სიტყვით, ვაიოცძორში (სევანის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მდებარე ნორავანის მონასტრის ჯვრები იქაურ ეპისკოპოსს დაუგირავებია აწოპის მონასტერში (ხაჩენში). მონასტრისათვის ისინი ჩამოურთმევია იმ ქვეყნის მთავარს – ვასაკს, ქალკედონიან სომეხს და ერთი ჯვარი ივანე ათაბაგისათვის უჩუქებია; მას კი ის ჯვარი პღნძაჰანქის მონასტერში დაუსვენებია. ივანესაგან სასწაულმოქმედი ჯვარი დაუხსნიათ სარგის ეპისკოპოსსა და სივნიეთის მთავარს ლიპარიტ ორბელიანს, რომლებმაც ჯვარი ნორავანს დააბრუნეს. ათაბაგს გამოსასყიდთან ერთად გადაეცა ჩარექის ციხეც. შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დაუთმო სივნიეთის საეპისკოპოსოს ეპარქიის ნაწილი სარგის ეპისკოპოსმა მის თანამდგომ იოანეს. ამას მოჰყოლია „შფოთი წმინდა ჯვრისათვის. წარვიდნენ ორნივე ეპისკოპოსნი, ლიპარიტი და მისი შვილი ელიგუმი სამსჯავროდ ივანე ათაბაგთან დვინს. და მან დასხა თავისი დიდებულები – ბუბაგი და მარწვანი, ივანე ტბელი და მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, რომელიც მოსულიყო სამეფოდან, ვარძიის წინამძღვარი და პღნძაჰანქის წინამძღვარი, დიდი მამამთავარი გარეჯისა, გაგელი და მაწნაბერდელი, სხვა აგრეთვე მრავალი დიდებული, ტფილისის ყადი, ანისის ყადი და დვინის ყადი, სურმარიის სახელოვანი შეიხი, რომლებთან ერთად (იყვნენ) ანისის დიდი ეპისკოპოსი და ახპატის ეპისკოპოსი, და უბრძანა გამოეძიათ. ამათ გამოიძიეს სამართალი და განსაჯეს ესრე, რომ

მკვდარსა და ტყვექმნილს ერთი აქვთ სახე: ვინც მკვდარს აღადგენს, აღარაა მშობელთა შვილი, არამედ განმაცხოვებლისაა და რომელიც ტყვექმნილს დაიხსნის, აღარაა ის ამიერიდან მფლობელისა, არამედ ტყვის მხსნელისაა. ახლა ამ ქვეყანასავით, რომელიც მახვილითა და ხელით არის აღებული და საქართველოს სამეფოს საკუთარ სამემკვიდრეოდ იწოდება, ის ჯვარიც საკუთარი იყო ივანესი და მისი მიცემის გამო ლიპარიტისა და უფალ სარგისისათვის მრავალი წარსაგებლით 1000 დრაჰკანამდის, ჯერ არს იყოს ლიპარიტისა და მისი ეკლესიის სამარადისო მემკვიდრეობად“. ამ სამართალს ყველა სიამოვნებით დათანხმებია (ი. აბულაძე 1948: 110-116).

უნდა ვიფიქროთ, რომ სპილენძაჰანის ახლად აგებულ მონასტერში დასვენებული ჯვრისათვის მიღებულ გამოსასყიდს ივანე ათაბაგი იმავე მონასტრის საჭიროებებს მოახმარდა. სამონასტრო კომპლექსში შემორჩენილ წარწერებში კარგად ჩანს გაცხოველებული აღმშენებლობა, რომელსაც ბერები ეწეოდნენ. ერთი ქვაჯვრის წარწერა გვაუწყებს: „იორდანეს შეუნდოს ღმერთმან, რომელმან ესე უხმარი ადგილი სახმარ ყო“; მეორე ჯვრიან ქვაზე იკითხება: „ძლევაჲ ქრისტესი. ამა ადგილისა მაშენებელთა დემეტრეს, გიორგის, სიმონს შეუნდვენ უფალო ღმერთო“. საყურადღებო წარწერებია წმ. სამების ეკლესიაში მდებარე საფლავის ქვებზეც: „ღმრთისათვის ლოცვა ყავთ მამანო წმიდანო ცოდვილისა მოსე კანდელაკისათვის“; „იოანეს შეუნდვენ ღმერთმან“; „მოსეს ძმასა შეუნდვენ ღმერთმან“; „დეკანოზსა ნიკოლოზს შეუნდვენ ღმერთმან“; „სიმონს შეუნდვენ უფალო ღმერთო“.

მთავარი ტაძრის პირდაპირ, გორაკზე მცირე სამლოცველოა, რომლის დასავლეთი შესასვლელის თავზე ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „მე უღირსი და სულითა საწყალობელი წინამძღვარი პეტრე ღირს ვიქმენ აღშენებად ეგუტერისა ამის, სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა, სადიდებლად მათდა და პირველ პატრონთა და გამზრდელთა თავთა ჩვენთა სამლოცველოდ და სულისა ჩემისა სალოცველ-სახსენებლად. და განვაჩინე ათორმეტთა მოციქულთა დღესასწაულის მეორე დღე. ვინც ჩემის გუარისა კაცი იყოს, მისისა ძალისებრ ძმათა გამიხსენებდეს და წესითა მიწირვებდეს და მე თქვენთა ლოცვათა შინა მომიხსენებდეთ. და უკეთუ ჩვენთა ცოდვათა მისაგებელი მომაგოს ღმერთმან და ჩემისა გვარისა კაცი აღარავინ იყოს, თქვენ, ქრისტეს მოყვარენო და მგზავსნო, მამანო წმიდანო და ყოველნო ძმანო, ვინცა პატრონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა ზედა, ჩემგნით აღშენებულსა ზედა ღირს იყოთ და აღირსოთ პირველ პატრონთა და თქუენცა, სული მანვე იურვოს დაუკლებლად. ჩემითა ხელითა და ძმისწულისა ჩემისა ილარიონისითა აგვიშენებია და არვინ გვემართლების უხსენებლობასა. ესე ჩემგნით გაჩენილი, ანუ ჩემისა გვარის კაცმან, ანუ ვინ სხვაჲ შემოვიდეს და დააკლოს და შეცვალოს, შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთაჲსა და ცოდვათა ჩემთა

პასუხი მან გასცეს წინაშე ღმრთისა“.

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, წარწერა 1242-1250 წლებისაა (თაყაიშვილი 1901: 144; მელიქსეთ-ბეგი 1964: 311-315). როგორც ზემომოტანილი წარწერებიდან ჩანს, XIII ს-დან ახტალაში დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ტარდებოდა. მონასტრის წინამძღვარ პეტრეს კი მონგოლთა ბატონობის პირობებშიც მოუხერხებია ავაგ ათაბაგის სამწირველო ეგვტერის აშენება.

სპილენძაჭანის ქართულ სავანეში უმოღვაწიათ სომეხ ქალკედონიტ ბერებსაც. უნდა ვიფიქროთ მათ თავისი სამლოცველოც ექნებო-დათ. ამას მოწმობს მონასტრის მახლობლად სოფ. აიორში შემორჩენილი სომხური წარწერები. ერთი მათგანი პატარა ეკლესიასთან აღმართულ ხაჩქარზეა (ქვაჯვარი) და 1245 წლითაა დათარიღებული. მისი ქართული თარგმანი გვამცნობს: „აღიმართა წმიდა ესე საუფლო დღეგრძელობისათვის ავაგისა, წინამძღვრობასა პეტრესა და მამასახლისობასა ამაზასპისა. მე, იაკობ ხუცესმა აღვმართე ჯვარი ესე ჩვენს სასაფლაოზე. მე და მეუღლე ჩემი მოიხსენეთ ლოცვათა შინა“.

ქართულ მართლმადიდებლურ მონასტერში პეტრეს წინამძღვრობა სომხურად დაწერილი ქართული სიტყვითაა გამოხატული – წინამძღვარუთიუნ, მაშინ, როდესაც ანტიქალკედონური ახპატის ეპისკოპოსობა ამაზასპისა – სომხური ჰაირაპეტუთიუნ-ით (მამამთავრობა) გადმოიცემა (მელიქსეთ-ბეგი 1964: 313-314). სომხურ წარწერაში იგივე ავაგ ათაბაგი და წინამძღვარი პეტრე იხსენიება, სამწირველოს ქართულ წარწერას რომ აკეთებს. იაკობი კი სომეხი ქალკედონიტი ხუცესია, მართლმადიდებლურ მონასტერში ქართველების გვერდით მცხოვრები. კირაკოს განძაკეცის ცნობით (XIII ს.), ივანე ათაბაგი დაუკრძალავთ მის მიერ აშენებული ეკლესიის შესასვლელთან, მისი ძე – ავაგი, ასევე მამის საძვალეში (კირაკოს განძაკეცი 1976: 148, 198).

საინტერესოა მეორე სომხური წარწერაც, მოთავსებული პატარა სამლოცველოს სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე. მისი ქართული თარგმანი ასეთია: „ნებითა კეთილმოქმედი ღმრთისა, წელსა ღვთივ ძლიერისა მეფისა დემეტრესი, მამასახლისობასა უფლისა იოვანესი, წინამძღვრობასა სიმონისა, დეკანოზობასა ოქროპირისა, მე, ცოდვილმა“... დემეტრე მეფის ხსენება წარწერას 1270-1289 წლებით ათარიღებს, ახპატის მამამთავარი კი – იოანე IV-ა; სიმონ წინამძღვარი, სპილენძაჭანის ქალკედონიანთა სავანისა და სამეცნიერო-ლიტერატურული სკოლის მესვეურია. ამ წარწერაშიც სიმონის წინამძღვრობა და ოქროპირის დეკანოზობა ქართული სიტყვებია სომხური ასოებით დაწერილი: წინამძღვარუთიუნ და დეკანოზუთიუნ, ხოლო ახპატის ეპისკოპოსი სომხური სიტყვით იხსენიება – არაჯნორდ

(წინამძღოლი) (მელიქსეთ-ბეგი 1964: 313-314). ახტალის ტაძრის XIII ს-ის მოხატულობაში ქართველ მოღვაწეთა მთელი ჯგუფის გამოსახვის საინტერესო მაგალითი გვხვდება; დასავლეთი კედლის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილნი არიან წმ. იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ევაგრე, აგრეთვე ილარიონ ქართველი, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები. აქ ხაზგასმულია სურვილი იმ ქართველ მოღვაწეთა უკვდავყოფისა, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს საქართველოს სამონასტრო საქმიანობის გავრცელებაში (ვოლსკაია 1985: 14-15).

XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არსებობდა თამარ მეფის დროინდელი ერთი მონასტრის ტიბიკონის დაზიანებული ნაწყვეტი. მისი დედანი დაიღუპა, შემოგვრჩა სარგის კაკაბაძის გადანაწერი, თუმცა ტექსტი საბოლოოდ დადგენილი არაა. შინაარსის მიხედვით, ტიბიკონი 1191-1212 წწ. თარიღდება. იქ მოხსენიებული ბოლნისის გამო ვარაუდობენ, რომ ესაა წესი და განგება ბოლნისის სიონის, ან მის მახლობლად მყოფი რომელიღაც მონასტრისა (ი. დოლიძე 1970: 1146; კაკაბაძე 1914: 71; გ. ჩუბინაშვილი 1940ა: 110-111). ამ წესდებაში, ცხადია, განსაზღვრული იყო უფლება-მოვალეობანი იქაური მოძღვრისა და მოწაფისა, მწირი მონაზვნისა, დიაკვნისა, ერისაგანი მსახურისა, განსაკუთრებით კი წინამძღვრისა.

შემორჩენილი ნაწყვეტის პირველი წინადადებაა: „...თუ ვინმე დაიმჭიროს თჳთოისა მეტი, მოძღუარი და მოწაფე ორნივე კიდე გაისხნენ მონასტრით შეუნდობლად“ (კაკაბაძე 1914: 71; ი. დოლიძე 1970: 132). ისევე, როგორც დაახლოებით ამავე ხანებში შედგენილ ვაჰანის ქვაბთა მონასტრის განგებაში, აქაც საუბარი უნდა იყოს ტიბიკონის დამდების სურვილზე, რომ არც ერთი ძმათაგანი არ გახდეს გარეშე მოძღვრის მოწაფე და არც სხვა მოწაფეთა შეძენას ეცადოს შინ თუ გარეთ. ამ-ით დაცული იქნებოდა ძმათა მოუკლებლობა (ი. დოლიძე 1970: 136).

მომდევნო წინადადებაში იხსენიებიან საპყარნი, ე. ი. დავრდომილნი, ან უძლურად მყოფნი ძმანი, „რომელნი განჩენილ არიან ეგრევე იმყოფებოდენ“. მსგავსად ვაჰანის განგებისა, აქაც საუბარი იქნებოდა მომვლელ მონაზონზე, რომელიც „განიჩინებოდის და უძლურმყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს“, დღეში სამგზის შემოვლით და მათი ტრაპეზიდან საწესოს მისართმევით (ი. დოლიძე 1970: 132,140).

უცნობი მონასტრის ზემოხსენებულ ტიბიკონში ნათქვამია: „საწინამძღრონი ადგილნი და გლეხნი და ზუარნი და ვენაჭნი და სხუაჲ მოსავალი ეგრეთვე ჰქონდეს... გ... ცა იკლებდა და ჩიოდა ვითა: პატრონისა და ლაშქართა და სტუმართათჳს ესე მოსავალი არ ეყოფის და ამისთჳს... ეგრეთვე ბოლნისს საღუნე დავდევით“.

მაშასადამე, ჩივილი საწინამძღვრო ადგილებიდან თუ ზვარ-ვენახიდან შემოსული ჰურ-ღვინის სიმცირეზე წესდების დამდებისაგან მარაგის შევსებას მოითხოვს, ისიც ბოლნისში საღვინეს გაიჩენს. „ესე... ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს და ბოლნის(ი)სა (ჩემი კონიექტურაა

– დ. ბ.) ღუნოდ მოიღების ერთი მონასტრის მწირველი, ნაცვალი დ˜წ˜სა დაიყენებოდის და ერთი მწირი და ერთი ვი˜სა ყმად ამას მოსავალსა ზედა“.

გამომცემელთაგან აქამდე აღუნიშნავად დარჩა სიტყვა ქარცების მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში,არავის აქ ტოპონიმი არ დაუნახავს. ამიტომაც ყველა მიიჩნევდა, რომ ტიბიკონის შემორჩენილ ნაწყვეტში მხოლოდ სახელწოდება ბოლნისი იხსენიება. გ. ჩუბინაშვილი კი ამის გამო ტიბიკონს ბოლნისის სიონის განგებად მიიჩნევდა. სიტყვები „ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს“, აღნიშნავს ხორბლის მოტანას ქარცებიდან. ძველად მოქმედებით ბრუნვას დაკისრებული ჰქონდა გამოსვლითი ფუნქციაც. იგი ახლაც შემონახულა მთის კილოებში: ვაჟა „ბახტრიონში“ რომ ამბობს, „თუშეთით მოსულ მზირია“, გულისხმობს თუშეთიდან მოსულს (შანიძე 1980: 74). ასე რომ, ტიბიკონში ქარცები პუნქტია, საიდანაც მონასტერში ხორბალი უნდა მოსულიყო. აქ ჯავახეთის ზეგანზე მყოფი სოფელი უნდა იგულისხმებოდეს. ჯავახური ხორბალი ყოველთვის ცნობილი იყო და ქვემო ქართლში მოუსავლიანობისას მონასტრისათვის მისი მოშველიება გამართლებული იქნებოდა. ტოპონიმი ალბათ ნიადაგის თვისებას გამოხატავდა: ქარცი – მოწითალო, ქერაა. სოფ. ქარცები ახლაცაა ახალქალაქის რ-ნის ოკმის სასოფლო საბჭოში.

მომდევნო წინადადების სიტყვები: „და გი... არს დიდთა და სრულთა მონასტერთადთა მის ღუნისაგან...“ გამოხატავენ ტიბიკონის დამდების სურვილს, მის სავანეშიც ისევე მოეხმარათ შემოსული ღვინო,როგორც დიდსა და სრულ მონასტრებს შეეფერებოდა. შემდგომ ნაკლულ ტექსტს ივ. ჯავახიშვილი ასე აღადგენდა: „ამ მოტანილი ღვინისაგან „პირველად საბაბილო ჭური, საკვრაო შემომწირველთანი ჭურნი აღივსებოდიან და მერმე სხუანი, რავდენიცა ეგებოდეს“. ამ ღვინის დახარჯვის შესახებ განსაზღვრული იყო, რომ „საბაბილოდ ჭური დღეობასა წაიგებოდეს, ვითა მოსაჭმარებლად საჭამსო იყოს, და საკვრაოდ ჯვარამაღლებითგან, ვითა წესი და პირი საქმეთასად მოგცემდესო“... მოხსენებული სხუანი ჭურნი საფიქრებელია, მონასტრის საკუთარი ყმების ვენახებითგან კულუხად მიღებული ტკბილ-ღვინის ჩასასხმელად იქნებოდა განკუთვნილი“ (ივ. ჯავახიშვილი 1964: 23-24).

განწესების შემდგომი სიტყვებიდან ჩანს, რომ მონასტერში „აქამდის“, ე. ი. ტიბიკონის დადებამდეც, ყოფილან „პატრონნი ღმრთისა სწორნი, ლაშქარნი, სტუმარნი დიდნი და მცირენი“, რომლებიც ისეთივე პატივით უნდა გაესტუმრებინათ. ეპითეტი „ღმრთისა სწორნი“ – მეფეთა შესაფერია და ალბათ სამეფო ოჯახს გულისხმობს. სხვა ორ შემთხვევაში მხოლობითში მოხსენიებული „პატრონი, ლაშქარნი და სტუმარნი“, მონასტრის პატრონს და განგების დამდებს, მის ლაშქარსა და სტუმრებს უნდა აღნიშნავდეს.

აქვე გათვალისწინებულია პურისა და ღვინის ნაკლებობის

შემთხვევები სეტყვისა თუ სხვა მიზეზთა გამო,რომელიც უნდა შეივსოს მონასტრის მარაგიდან. ტიბიკონის დამდები წელიწადის დღეებზე გაჩენილი აღაპების რაოდენობას 45-ით აჭარბებს, რომ დანაკლისი ამით შეივსოს ძმათა კრებულმა; ხოლო, თუ ზედმეტი მორჩება რამე, ისიც წმ. ტრაპეზს დაემატება, რომ ყველა უხვებითა და უნაკლულოდ იყოს.

ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მეფეთა მეფის თამარის დღეგრძელობა, წარმართება და შენდობა უფრო უნდა აღემატოს და ითქმოდეს ლოცვებში. მან თურმე „დიდი გულს-მოდგინებაჲ აჩუენა და სოფელნი და აგარაკნი შემოსწირნა და სხუანი აგარაკნი თქუენნი შესავლობისაგან შეუვალყვნა და ყოველი ხარკი და ბეგარა ამოგჴადა“... სამწუხაროდ, შეწირული თუ ბეგარა-ხარკახდილი სოფლებისა და აგარაკების სახელები არ ჩანს.

განსაკუთრებით საყურადღებოა განგების ის ნაწილი, სადაც ივანე მხარგრძელი იხსენიება: „ივანე მჴარგრძელმანცა მსახურთუხუცესმან დიდი სასოებაჲ და გულს-მოდგინებაჲ აჩუენა ამის დედისა ღმრთისა მიმართ და საყოფელისა მისისა, და რომელ მონასტერსა... საბოსტნე და სავენაჴე, რომელი დიდად ეჴმარნეს, ესე ვალანისა ქუეშითგან იყიდა, რომელ... უფროსითა საფასოჲთა და დედასა ღმრთისასა შემოსწირა, რათა მოჴსენებული დიდებულ ყოს ძემან ღმრთისამან და ამან ყოვლად წმიდამან დედამან მისმან“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწყვეტში ივანე მსახურთუხუცესის მიერ შემოწირული მხოლოდ საბოსტნე და სავენახე ადგილებია,მაინც მისი ღვაწლი შეფასებულია, როგორც „დიდი სასოებაჲ და გულს-მოდგინებაჲ“. ტიბიკონის დაზიანებისა და ნაწყვეტის ფრაგმენტულობის პირობებში ეს „დიდი სასოებაჲ“, ანუ მონასტრის დაიმედება ივანე მხარგრძელისაგან სავანისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების მაჩვენებელი შეიძლება იყოს. ძმათა კრებულისათვის დიდად საჭირო და გამოსაყენებელი საბოსტნე და სავენახე ადგილები მას ზედმეტი ფასით შეუსყიდია „ვალანის ქუეშითგან“. ვალანი „ფიცრის გალავანია“, ანუ ხის ღობეშემორტყმული კარ-მიდამო (ჩუბინაშვილი/ღლონტი 1961; ჩუბინაშვილი/შანიძე 1984); შდრ. „ნასყიდის ნაწერები ვარდანისი ავლანისათვის, რომელი მისინოპოლს არს“. პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონში მოხსენიებული ეს „ავლანიც“, ეზო კარმიდამოს აღნიშნავს (შანიძე 1971: 125, 148) და ჩვენი ტიბიკონის „ვალანს“ ეხმიანება. საფიქრებელია, ასეთი ადგილები მონასტრის მახლობლად იქნებოდა, რომლებიც ყველასთვის იყო ცნობილი და სახელით არ მოუხსენებიათ.

მოსავალი ამ შემოწირული ადგილებიდან, როგორც შეეფერებოდა, განუჩენიათ ტრაპეზისათვის, წინამძღვრისათვის, რაც „სტუმარსა და მომავალსა ყოველსავე მისსა ეყოფოდა“; ასევე განუწესებიათ „სამწირველოჲსა სახლისა მისისათჳს“. აქ ტიბიკონის დამდების

სამწირველოც უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ამავე მონასტერში ყოფილა. იგი შემწირველის სულის მოსახსენიებელი წირვა-აღაპის მოწესრიგებას ემსახურებოდა. „სამწირველოჲსა სახლი“ საშემოსავლო ობიექტად არის გაგებული, რომელიც ჯერ კიდევ მონასტრის საერთო შეწირულებას წარმოადგენდა; სამწირველო მამულის შეწირვა იმთავითვე საერთო წმინდანის, მთავარი ეკლესიის სახელზე ხდებოდა და ამ შემოსავალში, მწირველთან ერთად, მონასტრის საერთო წინამძღვარი მონაწილეობდა.

XIII ს-ში სამწირველოს საკურთხევლად ზოგჯერ მონასტრის საერთო-საეკლესიო საკურთხეველი გვევლინება, ხან კი საკუთარი საკურთხეველი არსებობს, რაც ცალკე ეკლესია-ეგვტერს გულისხმობდა (ლომინაძე 1949: 332; ლომინაძე 1954: 157). თუ ახტალის მაგალითზე ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ივანე მსახურთუხუცესის სამწირველოს საკურთხეველი ღმრთისმშობლის სახელობის მთავარ ეკლესიაში იქნებოდა; ავაგ ათაბაგის სამწირველოდ პეტრე წინამძღვარს ცალკე ეგვტერი აუშენებია თორმეტ წმ. მოციქულთა სახელზე, რასაც გვაუწყებს 1242-1250 წწ. წარწერა.

შემდგომ განგებაში ნათქვამია: „და სხუაჲ, რომელი ამისგან დაჰრჩა, ასსავე სახლსა ზედა სახუცოსა და სამწიროსა (ს. . . . სა) წესისაებრ ვითა ჰმართებდა, ზედა გაუყავ სწორად“. მაშასადამე, განგების წინა ნაწილში აღნიშნული მოსავლის ნაკლებობა ისე შეუვსიათ, რომ ყველა სამსახურის გასტუმრების შემდეგ კიდევ რჩება სამყოფი 100 სახუცო სახლისათვის გასანაწილებლად.

თუ გავითვალისწინებთ ზემოხსენებულ ხუცესთა და მწირთა რაოდენობას, ეს მონასტერი დიდი უნდა ყოფილიყო. ვაჰანის ქვაბთა განგების მიხედვით, იქ 51 მღვდელმონაზონი და 10 მსახური იყო. ასევე 50 მონაზონი და ერთი წინამძღვარი იყო პეტრიწონის მონასტერშიაც (შანიძე 1971: 81). ასევე იყო რიფსიმეს ქალწულთა მონასტერში, რომელთაგან მხოლოდ წმ. ნინო გადაურჩა სიკვდილს. სახარებაში 50 (ერგასი) საკრალური რიცხვია: სულიწმიდის მოფენა ორმოცდამეათე დღეს ხდება. ამიტომ ეს დამთხვევა არ იყო შემთხვევითი.

ვაჰანის ქვაბთა წესდების დამდებ მღვდელთა რიცხვს (24) და დიაკონთა რაოდენობას (7) განსაზღვრავს „განწესებისაებრ მოციქულთა კრებულისა და წმიდათა მამათა“. მწირად წოდებულ მონაზვნების რაოდენობას აწესებს – 20 (ი. დოლიძე 1970: 136-137). იგი შესაძლებლად მიიჩნევდა მღვდელ-მონაზონთა უფრო მრავალრიცხოვან კრებულსაც, მაგრამ დადგენილ რაოდენობას ამართლებდა სურვილით – ყოველმხრივ უნაკლულოდ ჰყოლოდა ძმობა (ი. დოლიძე 1970: 137).

ზემოხსენებული უცნობი მონასტრის განგების ნაწყვეტი მთავრდება წინამძღვრის ქცევის ნორმების რეკომენდაციით: „წინამძღუარსა, ვითა ქრისტესა ჰმორჩილებდენ. ნუმცა რაჲ იკადრების წინამძღურისა უნებელი, ვითა ქრისტესი... და წინამძღუარი, ვითა ქრისტე მისთა

მოწაფეთათჳს ტკბილი, სახიერი და ლმობიერი იყოს; წინამძღურისაგან ნუმცა იქმნების ესე თუ: (რომელთა) კითხვა-რჩევით სიყუარული ჰქონდა, რომელმან ეშინოდა და ჰრცხუენოდა და ნუგეშინისცემდა, ასუმევდა, აცმევდა და რომელთა მწირთაგან არცა ეშინოდა და არცა ჰრცხუენოდა“ (ი. დოლიძე 1970: 132-134). აქ საუბარია იმაზე, რომ ზოგიერთ მწირს ეშინია და რცხვენია წინამძღვრისა, ამიტომ ეს უკანასკნელი უნდა ანუგეშებდეს მას.

ზემოთ გარჩეულ ტიბიკონზე დაკვირვებით, ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ ესაა „მსახურთუხუცესის ივანე მხარგრძელის მიერ (მაშასადამე, 1191-1212 წწ.) დაარსებული ქვემო ქართლის, ბოლნისის მახლობლად მდებარე მონასტრის განგება (ივ. ჯავახიშვილი 1964: 22-23). ე. ი. ივანე მხარგრძელი მონასტრის პატრონი ყოფილა და თვითონვეა ტიბიკონის დამდებიც, თუმცა მის ნაბრძანებს სხვა უნდა წერდეს. ამასვე ადასტურებს განგების ბოლოს ნათქვამი: „აწ ესე, ვითა ყოველივე წესი და განგებაჲ ამის მონასტრისაჲ საღმრთოჲ (სით˜ოჲ) და საკაცოჲ ამას ტჯპიკონსა შინა სრულად და უნაკლულოდ დამიწერია, ყოველსავე ეგრეთ აღასრულებდენ“ (კაკაბაძე 1914: 73; ი. დოლიძე 1970: 134). განგების ფრაგმენტულობით უნდა აიხსნას, რომ მონასტრის პატრონის ვინაობა ისე ნათლად არ ჩანს, როგორც ვაჰანის ქვაბთა განგებაში, თუმცა განხილვამ დაგვანახა ზოგიერთი მინიშნება ივანე მხარგრძელზე.

ივანე მსახურთუხუცესს, შემდგომში ათაბაგს, სხვა მონასტრებიც შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ ზემოგანხილული ტიბიკონი უფრო საფიქრებელია, რომ ახტალის მონასტრისა იყოს. ამის საფუძველს იძლევა თანხვედრა შემდეგი მონაცემებისა:

1. ახტალის წარწერებისა და ტიბიკონის მიხედვითაც მთავარი ტაძარი ღმრთისმშობლის სახელობისაა;

2. მონასტერი ივანე მხარგრძელის აშენებულია, ისაა მისი პატრონი და წესდების დამდები;

3. ახლადაგებულ ტაძართან იქმნება მონასტერი, რომლისთვისაც იდება წესი და განგება; ეს ხდება 1191-1212 წლებში, რასაც ემოწმება ტაძრის აგების ქრონოლოგიური საზღვრები, ასევე წერილობით წყაროთა მონაცემები;

4. ტიბიკონში საუბარია მწირველსა და სამწირველოზე, რაც მონასტრის პატრონის სამწირველოს უნდა გულისხმობდეს; ივანე მხარგრძელი მართლაც ახტალის ტაძრის შესასვლელში დაუკრძალავთ, როგორც ამას სომხური წყაროები მოწმობენ;

5. თუ სწორია ის. დოლიძის აღდგენილი ტექსტი და მასში იხსენიება მატური („რომელთაცა ძმათა წინამძღუარი უბრძანებდეს ეკლესიისა და მატურისა (მტ˜რსა) სამსახურად გაგზავნასა“...), მაშინ შესაძლოა, აქ საგვარეულო სამარხი იგულისხმებოდეს. ეს იქნებოდა კიდევ ერთი დამთხვევა: ივანეს ძე, ავაგ ათაბაგიც ახტალის მონასტერშია

დაკრძალული, რასაც მოწმობს პეტრე წინამძღვრის წარწერა და კირაკოს განძაკეცის ცნობა;

6. ქარცებისა და ბოლნისის დასახელება, საიდანაც ხორბალი და ღვინო მოდიოდა მონასტერში, ხაზს უსვამს, რომ იგი ამ პუნქტების გარეთ იგულისხმება, მათ საპირისპიროდ ადგილობრივ ვითარებას ტიბიკონში აღნიშნავენ სიტყვებით: „აქა“, „აქათ“,„ამის ადგილისაგან“, „ამის მონასტრისაჲ“. ადგილის სახელის მოუხსენიებლობა ნაწყვეტის ნაკლულობით უნდა აიხსნას;

7. სამეფო ოჯახის, ლაშქართა, დიდთა და მცირე სტუმართა ხშირად იქ ყოფნა, მიუთითებს მონასტრის სიახლოვეზე მნიშვნელოვან გზას-თან, რასაც ახტალის მდებარეობა ასევე შეესატყვისება;

8. ტიბიკონსა და ახტალის წარწერებში მოხსენიებული მსახურთა თანამდებობანი შეეფერება „დიდთა და სრულთა მონასტერთა“: მამასახლისი, წინამძღვარი, მოძღვარი, დეკანოზი, დიაკონი, კანდელაკი, ხუცესი, წმინდა მამანი და ყოველნი ძმანი, მწირველი, მოწაფე, მწირმონაზონი; ასევე – ერისაგანი, მსახური, განმგე, ნაცვალი, საპყარი, ყმა;

9. განგების ნაწყვეტში იხსენიება პატრონი მონასტრისა, პეტრე წინამძღვარი კი თავის წარწერაში ამბობს, რომ აშენებს ეგვტერს „სადიდებლად... პატრონთა და გამზრდელთა“, ორივეგან ივანე მხარგრძელის ოჯახი იგულისხმება;

10. განგების ბოლოს წინამძღვარი ქრისტესთან სამჯერაა შედარებული („ვითა ქრისტესა“), პეტრე წინამძღვარი თავის წარწერაში ასევე ამბობს: „თქოჳენ, ქრისტეს მოყოჳარენო და მგზავსნო მამანო წმიდანო“... ეს არ ნიშნავს, რომ პეტრე წინამძღვარია ტიბიკონის დამწერი, მაგრამ ის თითქოს ამ წესდების გავლენას უნდა განიცდიდეს;

11. განგების ნაწყვეტის ბოლოს წინამძღვრისაგან მოითხოვენ თანაბარ დამოკიდებულებას, ერთნაირ სიყვარულს, არგამორჩევას მონაზვნებისას მონასტრის მწირთა შორის. ასეთი რამ არ ჩანს ვაჰანის ქვაბთა თუ პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონებში. საფიქრებელია, ეს უნდა მიგვანიშნებდეს განსხვავებულ ვითარებაზე, ახტალის მონასტერში რომ შექმნილა: ქართველი და სომეხი დიოფიზიტი ბერების თანამშრომლობაზე. ასეთ ვითარებაში, თუ კანონზომიერია პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა ბერ-მონაზვნების თანაბარი რაოდენობა – 50, მაშინ, ეგების, ჩვენი ტიბიკონის 100 სახუცო სახლიდანაც – 50 ტომით ქართველი, 50 კი სომეხი დიოფიზიტი მონაზვნისა იყო.

12. ტიბიკონი რომ ახტალის მონასტრისა იყო, საამისოდ ყველაზე ნიშანდობლივი მაჩვენებელი მის გვიანდელ მინაწერებში უნდა ჩანდეს: ტყავის ნაჭრის მეორე, წმინდა გვერდზე ყოფილა 1777 წლით დათარიღებული, მხედრულად ნაწერი, სომხითის მელიქის ძეთა შეწირულების სიგელი გარეჯის ნათლისმცემლისადმი (კაკაბაძე 1914: 73-75). ახტალის მონასტრის განგების ნაწყვეტი მათ ხელში უნდა აღმოჩენილიყო, იმიტომ, რომ ამ თავადური სახლის სამკვიდრებელი

ხოჟორნისხევსა და ჭოჭკანის ხეობაშია (დ. ბერძენიშვილი 1979: 101). აქვე იყო ახტალის მონასტერიც, სასაფლაო სომხითის მელიქებისა XIX ს-ის შუამდე. ამ მხრივ საყურადღებოა XVIII ს-ის ხელით შესრულებული მეორე მინაწერიც ტიბიკონის ნაწყვეტის არშიაზე: „წვიმაში გდებულიყო ქვემოთ ჴევში და მაგიერი ქაღალდი კი მიევეც, ეს აქ აღარას ეჴმარებოდა“ (კაკაბაძე 1914: 71). ამას სომხითის მელიქის ოჯახის წევრი უნდა წერდეს, „აქ“ მისი საცხოვრისისა და ახტალის მონასტრის გვერდიგვერდ არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომელსაც წვიმით გადარეცხილი ეტრატის ნაჭერი, მისი აზრით, ვეღარ გამოადგებოდა.

1213 წლითაა დათარიღებული ხოჟორნის ხეობის ზემოწელზე, ნასოფლარ ხანძორექსის ეკლესიის სომხური წარწერა ბალავრის ქვაზე, მისი ქართული თარგმანი ასეთია: „წელსა 1213. სახელითა ღვთისათა შვილნი ესე ქართველისანი გრიგოლ და სარგის ვეზრახნეთ წმიდასა კრებულსა წმიდისა სარგისისასა, ჟამსა სპარაპეტობისასა სომეხთასა შაჰანშაჰისა ზაქარიას ძისა, წინამძღვრობითა სარკავაგ მოძღვრისათა, აღვაშენეთ ეკლესიაჲ ესე და გაგვიკვეთეს ჩვენ ჟამის წირვაჲ წმიდისა ჯვარისმტვირთველისა(?) ეკლესიათა (?) სარგისს ორი დღისაჲ, გრიგოლს ორი დღისაჲ. სახელითა ღვთისაჲთა, მე დეღსაშარანც (?) ძე ჰასანისა ვეზრახე წმიდასა კრებულსა მიკერისა (?) ნიჭითა წინამძღვრობითა სარკავაგ მოძღვრისათა და სხუათა ძმათა და გამიკვეთეს მე ჟამის წირვაჲ ეკლესიათა ამაღლების დღეჲ, ვინ შეცვალოს კრულმცა არს“.

ამავე ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კედლის წყობის ქვედა რიგებში შედგმულ ფილაზე, მეორე სომხური წარწერა გვამცნობს: „ნებითა კეთილისმყოფელისათა, მე ბახტავორი ვეზრახე წმიდასა კრებულსა და გამიკუეთეს მე ჟამის წირვაჲ ახალ კვირიაკესა. ვინ შეცვალოს კრულმცა არს“ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 59-60). ამრიგად, დაახლოებით ერთი დროის ამ ორი წარწერიდან ვიტყობთ, რომ აქ ყოფილა მონასტერი, რომლის ეკლესია აუშენებიათ ძმებს – გრიგოლსა და სარგისს. ისინი ყოფილან მხარგრძელის ვასალები, ამიტომ არსებული წესის მიხედვით, წარწერაში მოიხსენიეს მათივე პატრონი, მცირეწლოვანი, მაგრამ უკვე „სომეხთა სპარაპეტად“ მიჩნეული შაჰანშაჰი, ანუ შანშე ზაქარიას ძე (მესხია 1979: 222). მონასტერს ჰყოლია წინამძღვარი – სარკავაგ მოძღვარი და სხვა ძმათა კრებული, რომელთაც დაუწესებიათ ორდღიანი ჟამის წირვა გრიგოლისა და სარგისისათვის, ხოლო ერთდღიანი – ჰასანის ძე დეღსაშარინცისათვის და ვინმე ბახტავორისათვის. არ ჩანს ორი უკანასკნელის დამსახურება მონასტრის კრებულის წინაშე.

ძალზე საყურადღებოა პირველი წარწერის დასაწყისი: „შვილნი ესე ქართველისანი გრიგოლ და სარგის“ („ვორდიქს ქართველინ გრიგორ ჲევ სარგის“). მაშინ, როდესაც სომხურში ქართველის აღსანიშნავად

იხმარება „ვრაცი“, აქ სომხური ასოებით წერია „ქართველი“ („“). ჯერ ერთი, ეს „ქართველი“ ნიშნავს „ქალკედონიტს“, თან გრიგოლისა და სარგისის მამის წოდებულება სახელად ქცეულა, ცხადია, შვილებიც ქალკედონიტები იქნებოდნენ (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 59). ამრიგად, ხოჟორნისხევის სათავეშიც ისევე, როგორც ახტალაში, ქალკედონიტური მონასტერი ყოფილა. შესაძლოა, აქაც მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები და წარწერაში მართლწერის თვალსაზრისით დაშვებული შეცდომები, ბუნებრივად იწვევს ვარაუდს, რომ მისი ამომკვეთი ხელოსანიც ქართველი იყო.

XIII ს-ისა უნდა იყოს სომხური წარწერის ნაშთი, შერჩენილი ხოჟორნის ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ბალავრის ქვაზე. მისი თარგმანი ასეთია: „კეთილისმყოფელი ღვთის შეწევნითა და ჩემი პატრონი შაჰან-შაჰის წყალობის იმედით (ვასრულებ იმ) ბრძანებას“. წარწერაში მოხსენიებული ღვთის მონა იოანე სასულიერო პირადაა მიჩნეული და შანშეს ვასალი ჩანს, რომელიც პატრონის ბრძანებას ასრულებს. აქ ეკლესიის შეკეთება უნდა იგულისხმებოდეს. მართლაც, ხოჟორნის ეკლესიაზე XIII ს-ში შეუცვლიათ კარნიზები, გადაუკეთებიათ დასავლეთ და ჩრდილოეთ სარკმელთა თავსართები. შესაძლოა, მთლიანად გადააკეთეს გუმბათი განსხვავებული მომცრო ქვებით. წარწერა 1261 წლამდე ჩატარებულ რესტავრაციას ეხება (გაგოშიძე 1994: 10-11).

აქედან ჩანს, რომ შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელს, მოხსენიებულს ხანძორექსის წარწერაშიც, ეკუთვნოდა ხოჟორნი და ალბათ მთელი ხეობაც.

ხოჟორნის ეკლესიის დასავლეთი კარის არქიტრავზე სომხური წარწერაა, აყვავებული ჯვრის ირგვლივ: „წელსა ჯა კეთილისმყოფელი წმიდა ნიში ჰმავორისა“. 1452 წლით დათარიღებულ ამ სააღაპე წარ-წერაში მოხსენიებული ჰმავორი, ადგილობრივი სომეხი უნდა იყოს, რო-მელმაც შესაძლოა ეკლესიის შეკეთებაზეც იზრუნა; იქვეა მსგავსი შინაარსის და დანიშნულების დაზიანებული წარწერა: „კეთილისმყოფელი წმ. ნიში აბა პავლესი (?)“ (გაგოშიძე 2003: 26).

ხოჟორნისხევის კიდევ ერთ ნასოფლარში, ბრდაძორის მახლობლად, აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების ქვაჯვარი, რომლის უკანა მხარეზე ამოჭრილ ჯვარს ქართული ასომთავრული წარწერა ახლავს: „ქრისტე მესია ძლევაჲ მტერთაჲ. ამა ადგილისა აღმაშენებელსა მოსეს და მისთა გარდაცვალებულთა შეუნდვენ უფალო ღმერთო“. პალეოგრაფიულად წარწერა, XIII ს-ის I მეოთხედით თარიღდება (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 61). უნდა ვიფიქროთ, ეს იგივე მოსე კანდელაკია, ახტალის მონასტერში რომაა დაკრძალული. ახტალის ქვაჯვარზეც მსგავსი გამოთქმებით „ადგილის მაშენებლები“ მოიხსენიებიან, რაც, პირველ ყოვლისა, ეკლესიის ან ბერმონაზონთა სადგომების მშენებლობას გულისხმობდა. ასევე იქნებოდა ბრდაძორის მახლობლადაც. შესაძლოა,

ეს მიგვანიშნებდეს ახტალის მონასტრის მიერ ადგილ-მამულის დაუფლებაზე ხოჟორნის ხეობაში.

კირაკოს განძაკეცისა და ვარდანის ცნობების მიხედვით, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების (1212 წ) შემდგომ მისი მცირეწლოვანი შვილი – შაჰან-შაჰი რჯულით გაქართველებულ ბიძას – ივანე ათაბაგს წაუყვანია აღსაზრდელად. მის მეუღლე ხოშაქს კი შაჰან-შაჰი ქალკედონურ რჯულზე მოუქცევია. ამით ფაქტობრივად დასრულდა მხარგრძელთა ორივე შტოს რელიგიურადაც გაქართველების პროცესი (მესხია 1979: 165). ასეთ პირობებში მათ სამკვიდრო დებედის ხეობაში, ბუნებრივია, მატულობდა ქალკედონური ეკლესია-მონასტრების რიცხვი. ერთი მათგანი იყო ქობაირის მონასტერი დებედის ზემოწელზე. ეს სამონასტრო კომპლექსი გამოქვაბულებსაც მოიცავდა, რაც მის სახელწოდებაში აისახა – ქართული ქვაბ, ქობ. XI ს-დან იქ მცირე მონოფიზიტური ეკლესია არსებულა. 1171წ. ერთ სომხურ წარწერაში იხსენიება სომეხ ბაგრატუნთა ჩამომავალი, კვირიკე მეფის ასული მარიამი, ეკლესიის მაშენებელი. 1186 წ. მეორე სომხურ წარწერაში იხსენიება მონასტრის წინამძღვარი (მურადიანი 1977: 169-170).

კირაკოს განძაკეცის ცნობით, შანშე ზაქარიას ძის მეუღლემ, რომელიც ასევე ქართველი უნდა ყოფილიყო, XIII ს-ში სომხებისაგან იყიდა ქობაირის მონასტერი (კირაკოს განძაკეცი 1976: 236; მესხია 1979: 268); 40-50-იან წლებში ამ ქართულ სავანეში აიგო მთავარი ეკლესია და სხვა შენობები, შეიმკო ქართულწარწერიანი ფრესკებით. აქვე დაუკრძალავთ მანდატურთუხუცესი შანშე, მეუღლე ხუაშასთან ერთად, რაზედაც ასე მხატვრულად გვამცნობს ლექსად გადმოცემული, მათი ცნობილი ეპიტაფია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს წყვილი უნდა იყოს გამოხატული ქობაირის მონასტრის მთავარი ტაძრისთვის მიშენებული სამლოცველოს XIII ს-ის მხატვრობაში (სილოგავა 1990: 116).

შანშეს ერთ-ერთი შვილი, გიორგი, ბერად შემდგარა ამავე მონასტერში და 1276 წ. ქართულ წარწერაში მოგვითხრობს იქ ჩატარებული მშენებლობისა და კარიბჭის მოხატვის შესახებ; 1279 წ. ქართულ წარწერაში, შანშეს მეორე ძე – მხარგრძელი და მისი მეუღლე ვანენი გვამცნობენ სამრეკლო-სამარხავის მშენებლობაზე. მონასტრის ეზოში მრავლადაა საფლავის ქვები ქართული ეპიტაფიებით, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება; მათ შორისაა შანშეს ძე, ბერი გიორგი; ივანე II მანდატურთუხუცესის ძე – ათაბაგი ვაჭრამი; ივანე მანდატურთუხუცესის ასულის და გურკენელისა სულას მეუღლე თამარი; ლოკელი დავითი; ჩაჩას შვილი ივანე; შალვას შვილი დავითი; მონასტრის იკონომისი და ღირსი მამამთავრის შვილი პეტრე; მაკარი, მაკარის შვილი გრიგოლი და სხვები (მურადიანი 1977: 172-185; სილოგავა 1990: 113).

ქართული თუ ქართულ-სომხური შერეული ქალკედონური ეკლე-

სია-მონასტრების გარდა, დებედის ხეობაში იყო მონოფიზიტური ეკლესია-მონასტრებიც, რომელთა შორის უპირველესი იყო ახპატის საეპისკოპოსო, დებედის ზემოწელზე. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკემ თავისი კარის მღვდელი ახპატის ეპისკოპოსად აკურთხებინა XI ს-ში და ამის შემდგომ არსებობდა იქაური საეპისკოპოსო (36-86). ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში ახპატის საეპისკოპოსო ქართველ ხელისუფალთა მზრუნველობით სარგებლობდა; თავისთავად კი ახპატის ეპისკოპოსი საეკლესიო საქმეებში სომეხთა კათალიკოსს ექვემდებარებოდა. 1125 წლის ერთი იქაური ხელნაწერის მინაწერში ნათქვამია: „დაიწერა ესე წიგნი ძოროჲგეტის მხრის ახპატის მონასტერში... ეპისკოპოსობასა შინა უფლისა იოანესი და სომეხთა კათალიკოზის უფლისა გრიგოლის სიკვდილის შემდეგ“ (მელიქსეთ-ბეგი 1928: 66).

X ს-ის 60-იან წლებში დაარსდა სანაინის მონასტერი ახპატის მახლობლად. 979 წელს იქვე შეიქმნა საეპისკოპოსო კათედრა. მაშინდელი ანელი მეფის, სუმბატ II-ს მიერ სანაინისადმი მიცემული სიგელიდან ჩანს, რომ ამ ეპარქიისადმი გადაცემულ მამულთა შორის იყო მიწები ზემო და ქვემო ტაშირიდანაც (გაგოშიძე 2003: 58).

დებედის ხეობაში არსებულ სომხურ მონოფიზიტურ მონასტრებს ქვემო ქართლის მახლობელ სოფლებშიც ჰქონიათ ცალკეული შეწირულებანი. 1211 წლით დათარიღებულ, ახპატის ერთ სომხურ წარწერაში ნათქვამია, რომ სმბატის ძე ნაშმადინს დიდი ნამსახურობისათვის მეფეთა მეფე გიორგისა და თამარისაგან მიუღია წოფი; ახპატში მას შეუქმნია საძვალე და წოფი შეუწირავს წმიდა ხატისათვის; ზაქარიას, შაჰანშაჰისა და ივანეს მზეგრძელობისათვის, ასევე თავისი ცოდვების მისატევებლად, ნაშმადინს შეუწირავს გლეხი და ვენახი (კოსტანეანცი 1913: 51).

როგორც ვხედავთ, წოფი ახპატის მამული გამხდარა XIII ს-ის პირველ ათეულში მაინც, როცა ამ ხეობაში მხარგრძელები ბატონობდნენ და დიდ აღმშენებლობასაც ეწეოდნენ.

ახპატისავე მონასტერში ყოფილა ბრდაძორის წმიდა ხატი; 1273 წლის ერთი სომხური წარწერის მიხედვით, ამ ხატისათვის ძვირფასი ბუდე გაუკეთებია მღვდელ ტერ ოვანესს (კოსტანეანცი 1913: 115). ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრდაძორის უძველესი სალოცავი, რელიგიური განხეთქილების შემდგომაც, ერთნაირი თაყვანისცემის ობიექტად დარჩა როგორც ქართველების (სტელა-ჯვარი), ასევე სომხებისთვისაც (ხატი).

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი თვლიდა,რომ ცურტავის, იმავე გაჩიანის სამწყსო იმჟამად (ამჟამ) ახპატს ეკუთვნოდა (სტეფანოზ ორბელიანი 1911: 105). უნდა ვიფიქროთ, შუშანიკის ნეშტის მისაკუთრების მსგავსად, ქართული და სომხური ეკლესია განხეთქილების შემდგომ ცურტავის სამწყსოსაც ტრადიციულად

ერთმანეთში გაინაწილებდა. ამ მხრივ საინტერესოა ვახუშტის ეჭვიანი ვარაუდიც: „პირისპირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერდუჯის მთასა შინა, არს მონასტერი, რომელი ერთი ხელს კვალად ჭკვიან ჰყოფს, ვგონებ ამას ცურტავად და სასწაულიცა მის მიერ“ (ვახუშტი 1941: 36). ნიშანდობლივია, რომ სტეფანოს ორბელიანისა და ვახუშტის ცნობები ცურტავის სამწყსოსა და მის მონასტერზე ერთმანეთს ავსებს და ცურტავ-გაჩიანის მდებარეობას დებედის ხეობაში გულისხმობს.

ერთ ძველ ქართულ ძეგლში – „განგება დარბაზობისა“, ქართველი მღვდელმთავრების გვერდით იხსენიება „დიდი სომხითის მიტროპოლიტი“, რომელიც მონაწილეობს საქართველოს მეფისა და მირონის კურთხევაშიც (ი. დოლიძე 1965: 47, 48). ფიქრობენ, რომ აქ, ძეგლში უნდა გვქონდეს XIII ს-ის რედაქციის ანარეკლი. ეს მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო დიოფიზიტ სომეხთა მეთაური, ან ერთ-ერთი სომეხი მიტროპოლიტი, რომელიც იმ ეპოქის პოლიტიკური მდგომარეობის გამო მონაწილეობდა ქართული ეკლესიის ზოგიერთ ცერემონიაში (გორდეზიანი 1984: 78).

1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დასახელებულია: „ახტალას კუამლი სომეხი ათი, მათითა მამულითა, კუალად ახტალის ჴევზე სოფელი ვარდისუბანი“ (ი. დოლიძე 1970: 178). აქ მონასტრის მოუხსენებლობა შესაძლოა მიუთითებდეს იმა-ზე, რომ ის არ შედიოდა საკათალიკოსო მამულებში. 10 კომლი სომეხი კი ახტალაში მცხოვრები დიოფიზიტები უნდა იყვნენ, რადგან სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფლები და ყმები სამწყსოდაც მას ექვემდებარებოდნენ (ხახანაშვილი 1891: 82, 86). სოფ. ვარდისუბანი ახტალისხევში, ვახუშტის რუკასა და სოფლების სიაში არ ჩანს, მაგრამ მისი სახელწოდება იქ ქართულ მოსახლეობაზე მეტყველებს.

სახელი ახტალა პირველად ზემოხსენებულ საბუთში უნდა ჩანდეს; სომხური წყაროები მის შესატყვისად ისევ „პღნძაჰანქ“-ს ხმარობენ. ვარაუდობენ, რომ ახტალა ამ ადგილს შეერქვა მონგოლ-თათართა ბატონობის ხანაში, წარმომდგარია სიტყვისაგან „აღ-თალა“ – „თეთრი ველი“, ეს კი ალბათ იქაური მადნების გამო ნიადაგის ბაც ფერს უკავშირდება (დავლიანიძე 1997: 196).

სანაინის 1475 წლის წარწერიდან ჩანს, რომ ბარსელ არქიეპისკოპოსს სანაინის ღმრთისმშობლისათვის სხვა მიწებთან ერთად შეუწირავს ხოჟორნიში ორი ვენახი და 50 დღიური მიწა (გაგოშიძე 2003: 58). ვენახი და საწნახელი ჰქონია ამ მონასტერს ბრდაძორშიაც, ბოლნისისხევის სამწვერისსა და ტალავერში (კოსტანეანცი 1913: 248-249). შულავრისხევის სოფ. ფეშიქ-ქიანდი (კატის სოფელი) ქართველ მეფეებს შეუწირავთ მისთვის (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 53). 1661 წლის ერთი საბუთიდან კი ჩანს, რომ „ლორეს სანაინის ეკლესიის ეპისკოპოზს არღუთაშვილ ტერ-სარქისს“ სომხითში ირისკოპოზის სოფელი აუშენებია (ფუთურიძე 1955: 293-294).

მიუხედავად იმისა, რომ დებედისხევში, ახპატისა და სანაინის გარდა, სხვა სომხური საეპისკოპოსო არ ჩანს, 1799 წ-ს იხსენიება უცუნის მონასტრის ეპისკოპოსი სვიმონ ვართაპეტი (დ. ბერძენიშვილი 1979: 127).

არღუთაშვილების ყმა-მამულის არსებობა სანაინსა და ბრდაძორში ჩანს ქართული საბუთის მიხედვითაც (ცსა, ფ. 1449, საბ. № 313).

გვიან შუა საუკუნეებში ქართლის სამეფოს მთელი სომხური მოსახლეობის მწყემსს – ახპატის ეპისკოპოსს, ქართლის მეფე ამტკიცებდა „მიწერითა ოქივარტერისათა“, ე. ი. სომეხთა ეკლესიის მეთაურის რეკომენდაციით (ვახუშტი 1941: 35).

ახპატ-სანაინის მონასტრების არსებობა ძლიერ იყო დამოკიდებული ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების ნება-სურვილზე. ეს კარგად ჩანს 1798 წ. ახპატის მონასტრის ვართაპეტ პეტროზის წერილიდან გიორგი XII-სადმი: „ჩვენო მოწყალევ, აქ ახპატს ორი ვართაპეტები გახლავართ, სამი დიაკვანი, ორი მიღდისი, კიდევ მეძროხენი და წამსვლელ-მამსვლელნი. ჩვენის ცოდვით ქვეყანა შეწუხდა. ქალაქი გაიფანტა, არსაით მოწყალე არავინა გვყავს, საყდარი უსანთლო გვაქსთ და ჩვენ მშიერ-მწყურვალენი ვყრივართ. მაინც (მაინთ – დ. ბ.) ვერ მოვსულვართ და აქეთ ყაზახის სომხები არას გვეპუებიან და ჩვენს განწესებას არას გვაძლევენ. მოგეხსენებათ თქვენის მეტი მოწყალე არცა გვყოლია და არც არა გვყავს. გევედრებით, თქვენად სადღეგრძელოდ ერთი მაგარი ოქმი გვიბოძეთ ყაზახის სამღვდელოთზე და მამასახლისებზე, რომ ჩვენი ეკლესიის განწესება მოგვცენ. და რომელიც წინ აღუდგეს თქვენ ბრძანებას, თქვენად შემცოდეთ მოეკითხოსთ. ასეთი შიში მიეცით, რომ ჩვენი რიგი მოგვცენ, რომ ჩვენც თქვენის წყალობით, ამ წმინდა მონასტრის სანთელი ავანთოთ და ჩვენი დღიური საზრდოც მივიღოთ, და მარად ჟამს თქვენი ხელმწიფობის გაძლიერებისათვის ვილოცვიდეთ“... მეფეს ოქმი მიუწერია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ყაზახის სომხების მელიქებო, ქევხებო და სამღვდელონო და საერონო... რაც თქვენ ახპატის მონასტრის განწესება და სამსახური გაძევსთ, რომ ყოველ წელიწადს უნდა მისცეთ იმ განწესებისამებრ, ახლაც მისცემდეთ ხოლმე. და თუ არ მისცემთ, მერმე ჩვენი იასაული ჩამოგივათ და ისე გამოგერთმევათ (ი. დოლიძე 1985: 485).

აქედან ჩანს, რომ ახპატის მრევლი ისეა დაფანტული, რომ ვართაპეტები მხოლოდ ყაზახის სომხების იმედზეღა დარჩენილან.

1800 წ. ახპატის არქიეპისკოპოს სარქისისადმი მიცემულ ბრძანებაში გიორგი XII წერდა: „თქვენგან მოწერილი არზა მოგვერთვა, სანაჰინს კახეთში სამწყსო არა ჰყოლიაო და სოლომონ არღუთაშვილისათვის ოქმი მიგიციათო. თუ რომ კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის მეფის ერეკლეს დროსა ყოფილან და ან სანაჰინისათვის სულის კერძი მოკრეფილა... ახლაც სიტყვა არავის ექნება, და თუ სანაჰინს აქამდისინ მანდ კახეთში სამწყსო არა ჰყოლია და არც სულის კერძი

მოკრეფილა,ვერც ახლა აიღებენ... ვერც მეტობას და ვერც ნაკლებობას ვერავინ იხმარებს და შენს სამწყსოს ვერავინ წაგართმევს ახლა“ (ნ. ბერძენიშვილი 1953: 207). როგორც ვხედავთ, შემოსავლის შემცირების გამო ორ უახლოეს სომხურ მონასტერს შორის სამწყსოზე ცილობა შექნილა.

რაც შეეხება ახტალის მონასტერს, ვახუშტის ცნობა ახტალაში ძველთაგანვე საეპისკოპოსო კათედრის არსებობაზე სხვა წყაროებით არ დასტურდება. სამაგიეროდ საყურადღებო უნდა იყოს მისი ნათქვამი ახტალის წინამძღვარზე: „შემდგომად იქმნა მიტროპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე“ (ვახუშტი 1941: 36). ავტორის მიერ ნახმარი ეს „შემდგომად“, ჯერ ისევ ერთიანი საქართველოს პერიოდს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ XIII ს-ის ძეგლში „განგება დარბაზობისა“ ახტალის მიტროპოლიტი არ ჩანს. შესაძლოა დემეტრე II-ის შემდგომ ხანებში, ეგების გიორგი ბრწყინვალის დროს შეიქმნა ქვემო ქართლში ისეთი ვითარება, რომ ახტალის წინამძღვარი მიტროპოლიტი გახდა. ამ მხრივ შესაძლოა ნიშანდობლივი იყოს „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი შენიშვნა გიორგი ბრწყინვალის შესახებ: „ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს ცივზედ მოაწვივა და ამოსწყვიტა, იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო“ (ჟამთააღმწერელი 1959: 325). ასეთ პირობებში ახტალის მიტროპოლიტს დაეკისრებოდა დებედის ხეობის ქართული მოსახლეობის, ასევე მომრავლებული სომეხი ქალკედონიანების მწყემსმთავრობა.

ცნობა იმის შესახებ, რომ გვიან შუა საუკუნეებშიაც არსებობდა ახტალის სამიტროპოლიტო, ვახუშტის გარდა მოიპოვება 1770-იანი წლების კიდევ ერთ საბუთში. იქ ქართლის მაშინ მოქმედ საეპისკოპოსოთა გვერდით დასახელებულია „დაცლილნი აოხრებისაგან სამიტროპოლიტო ახტალისა, საეპისკოპოსო მანგლისისა“ და სხვ. (ი. დოლიძე 1970: 929). ამ პერიოდში მოხდებოდა ახტალის წმ. გიორგის ეკლესიიდან XII-XIII სს-ის ტყავის სახარების გამოტანა, რომელიც შალიკაშვილების ხელში მოხვედრილა (ჟორდანია 1967: 380).

ვახუშტი ბატონიშვილისავე ცნობით, ატენის სიონში „აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს ახტალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი“ (ვახუშტი 1941: 57). მაშასადამე, XVIII ს-ის 20-იან წლებში ახტალა უკვე გაუქმებული ყოფილა. სხვა ფაქტებთან ამ ცნობის შეჯერებით გამოტანილია დასკვნა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ვახუშტის შრომა იწერებოდა, აპირებდნენ, როგორც ჩანს, ატენში ახტალიდან საეპისკოპოსოს გადმოტანას. მას მერე, რაც ატენი გახდა „ნიში“ ახტალისა, შემდეგ – მისი მემკვიდრე, უნდა გაჩენილიყო სომხური პილიგრიმული წარწერები ატენის სიონის კედლებზე. ეს პილიგრიმები ქალკედონიტები იქნებოდნენ, ისევე როგორც

ქალკედონური იყო ახტალის საეპისკოპოსო. ჩანს, აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა: როგორც მომხდარი ფაქტი, იგი არ აისახა ვახუშტის თხზულების გვიანი ხანის ხელნაწერებში; არც შემდგომშია რაიმე ცნობა ატენის საეპისკოპოსოს შესახებ (ალექსიძე 1978: 82).

მომდევნო ხანებში ახტალის მრევლისათვის ისევ მოუყრიათ თავი. ეს ალბათ ანტონ I კათალიკოსის მოღვაწეობის ხანაში (1744-1788 წწ.) მოხდა. ახტალის იმდროინდელ იერარქთაგან ასახელებენ: სოფრომს, ომარ-ხანისაგან დატყვევებულს, შემდეგ ახალციხელ ქრისტიანთაგან გამოსყიდულს; გედეონს, აღესრულა 1792 წ.; ეგნატის, რომელმაც ახტალა მიატოვა 1796 წელს; იოანეს, რომელიც აღესრულა 1798 წელს (ერიცოვი 1872: 20-24).

XVIII ს-ის ბოლოს ახტალის ეპარქიას განაგებდა ვარლამი, ქსნის ერისთავის – დავითის ძე. იოანე ბაგრატიონის ცნობით, ვარლამი, ახტალის ეპისკოპოსი, კათალიკოს ანტონ I-ს აღუზრდია; ვარლამი შემდგომში საქართველოს ეგზარქოსი გახდა (ლოლაშვილი 1982: 183, 234).

1802 წ. ახტალის მაღაროებში მომუშავე ბერძნების თხოვნით, ბერძენი მღვდელი ქ. ანკირიიდან, კვიპროსში აღზრდილი იოაკიმი, ახტალის ეპისკოპოსად აკურთხეს (ერიცოვი 1872: 24); ის აღესრულა 1827 წელს.

## დებედისხევი XV-XIX საუკუნეებში

XIV ს-ის წყაროებში გაგი აღარ იხსენიება. უფრო ადრეც ვარამის ძე აღბუღა აღარ ატარებდა გაგელის ტიტულს. მონგოლთა ბატონობის პირობებში შეცვლილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში გაგმა, ჩანს, დაკარგა ძველი მნიშვნელობა და ციხესიმაგრეც მოიშალა (უკვე მესამედ). XV ს-ში გაგის ადგილზე ქართული წყაროები ასახელებენ აღჯაყალას, რაც თურქულია და „თეთრ ციხეს“ ნიშნავს, „იაყუფ ყენინისაგან წოდებულს“ (ვახუშტი 1941: 34). სახელს, ცხადია, აღმშენებელი აძლევდა, რასაც ერთპირად მოწმობენ ბერი ეგნატაშვილიცა და ვახუშტიც; 1488 წ. „წარმოავლინა იყუბ ყენმან სპასპეტი თჳსი ხალილბეგ სპითა. ეს მოვიდა და იწყო შენება ქაოზიანისა და აღჯაყალის ციხესა. აცნობეს კოსტანტინე მეფესა და უბრძანა ბარათიანთა მტერობა მათი, და ამათ უწყეს ბრძოლა თათართა“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 343; ვახუშტი 1973: 387). საქართველოს, სომხეთის, თურქეთის, დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე 9 აღჯაყალაა დამოწმებული. ამიტომ შესაძლოა, მხოლოდ ფერს კი არა, არამედ ციხის გარკვეულ ტიპს გულისხმობდეს ეს ზოგადი სახელწოდება.

1490 წელს „შემდგომად თათართა წასვლისა შემოკრიბნა მეფემან

კონსტანტინე სპანი, მიუჯდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვივა აღჯაყალა და ქაოზიანი, აღიღო ალაფი მათი და მოვიდა ტფილისს“ (ვახუშტი 1973: 390).

1522 წელს შაჰ ისმაილი საქართველოში მოვიდა, როგორც ვახუშტი ამბობს – იმ მიზნით, რომ ქართველებს მხარი არ დაეჭირათ ოსმალთათვის; „მოვიდა და დადგა აღჯაყალასა და იწყო შენება მისი. მაშინ ევედრა დავით მეფე მშვიდობასა“. ერთი წლის შემდეგ დავითს ისევ აუღია აღჯაყალა, „შემუსრა იგი და განასხნა თათარნი და დაიპყრნა საზღვარნი თჳსი ყოველნი“ (ვახუშტი 1973: 397, 399).

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, 1547 წელს საქართველოში შემოსულ შაჰ თამაზს სიკვდილით დაუსჯია ლორე-ბამბაკისა და აღჯაყალის მმართველები – შერმაზანი და ვახუშტი, რომელნიც ლუარსაბ ქართლის მეფის ერთგულნი იყვნენ (ფარსადან გორგიჯანიძე 1990: 33).

XVI ს-ის ოსმალო ისტორიკოსის, იბრაჰიმ რაჰიმ-ი-ზადე ჩავუშის ცნობით, 1587 წელს დმანისში მყოფმა ფერჰად ფაშამ ყაზახის ხანზე სალაშქროდ ჯარი გაგზავნა. ამ უკანასკნელს შეწყალების სანაცვლოდ დანგრეული ციხესიმაგრის აღჯაყალის აღდგენა უკისრია. იგივე ისტორიკოსი ერთი წლის შემდეგ ყაზახის ხანს აღჯაყალის ბეგლარბეგად მოიხსენიებს: მისი სამყოფელი ბორჩალოს აღჯაყალა არისო. ოსმალო ალი ბეგს ყაზახის ტომის საშველად 200 მეომარი სწორედ ამ აღჯაყალაში გაუგზავნია (ილურიძე 1989: 115, 121).

ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, მიზანდასახულობის მიხედვით, თუ როგორი ცვალებადია დამოკიდებულება ერთი და იმავე ციხისადმი. ამ უძველესი პუნქტის იდენტიფიკაციის შესახებ ზემოთ გამოთქმულ ვარაუდებს თუ გავითვალისწინებთ, ასეთი ხშირი განახლება-აღმშენებლობა აღჯაყალის ციხის დიდი მნიშვნელობის მეტყველი მოწმობაა. აღმოსავლეთიდან ქართლში შემომავალ გზაზე სხვა ციხეები და ქალაქებიც დაეცა მონგოლების შემდგომ: ხუნანი, რუსთავი... მაგრამ ისინი აღარ აღუდგენიათ აღჯაყალის მსგავსად. მაშ რატომ იცვლებოდა ასე ხშირად მისი სახელი? – უნდა ვიფიქროთ, ყოველ დაცემა-განახლებას თან სდევდა მოსახლეობის ცვლა, ტრადიციის დაკარგვა. უცვლელი რჩებოდა გეოგრაფიული გარემო და სტრატეგიული მდებარეობა უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინზე (მტკვრისა და დებედის ხეობები), რომელსაც პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით სულ სხვადასხვაგვარად იყენებდა მომხდურ-დამხვდური. ამასვე ემოწმება შემდგომი მოვლენები.

1604 წელს შაჰ აბასმა ქართლის მეფე გიორგის ლორის ოლქი და დებედის ხეობა ჩამოართვა. ლორეში მან სახანო შექმნა, დებედის ქვემოწელზე კი, თურქმანული ტომი – ბორჩალუ ჩამოასახლა და აღჯაყალის გამგებელს დაუქვემდებარა. ვახუშტის სიტყვით, ამ ადგილს „აქუნდა თჳსი ერისთავი, რომელსა იტყჳან აწინდელსა ხანსა, რამეთუ,

ოდეს მიიღო შააბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა“ (ვახუშტი 1973: 420, 309). ამრიგად, ქართლს ალაყაფი მოერღვა, რომელსაც აღჯაყალა კეტავდა. ეს „ადვილად შესავალ-გამოსავალი“, საუკუნეთა მანძილზე მუდმივი საზრუნავი, ქართლმა ვერ შეინარჩუნა. როსტომის მეფობაშიც მაჰმადიანი ისა-ხანი განაგებდა ლორე-ბამბაკსა და აღჯაყალას (ფარსადან გორგიჯანიძე 1990: 110). ერთხანს თვით ახპატის სოფელიც კი ბორჩალოს ბატონს ჰქონია, ხოლო როსტომის მეფობაში ის ზურაბ ზურაბიშვილისათვის გადაუციათ (თაყაიშვილი 1899: 437).

ლორისა და აღჯაყალის დამაკავშირებელ დებედის ხეობაში ირანის შაჰებმა შექმნეს სომხითის მელიქის სოიურღალი. ეს მემკვიდრეობით ნაწყალობევი სოფლები, სასამართლო და საგადასახადო შეუვალობით, სომხითის მელიქებს მიეცათ ირანის შაჰების ერთგული სამსახურისათვის. მაჰმადიანურ სახანოებს შორის მოქცეულ ხეობაში ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ქართული მიწათმფლობელობის დასარღვევად. სომხითის მელიქის სოიურღალი მოიცავდა ვახუშტისეული ხოჟორნის და ჭოჭკანის ხეობის 15 სოფელს (დ. ბერძენიშვილი 1979: 100-101).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სომხითის მელიქის საგამგეოს შექმნით „სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისათვის“ (ვახუშტი 1941: 24).

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, მელიქიშვილები „პირველ იყვნენ სომეხნი ლორის მელიქთა ნათესავთაგანი აზნაურნი და ოდეს მოვიდა შააბაზ ყაენი მხედრობითა დიდითა და მუნ იხილა მეფე გიორგი ქართველთა და ალექსანდრე მეფე კახთა... შააბაზმან გამოართო მეფეთა ლორე თვისთა ხეობითა და დაადგინნა მხედრობანი თვისნი, მაშინ მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობა და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“ (იოანე ბაგრატიონი 1997: 34).

კ. თუმანოვის აზრით, სომხითის მელიქები იყვნენ ბებუთაშვილების გვარის ავანიანთა შტოს წარმომადგენლები (თუმანოვი 1963: 207, შენ. 250). აღნიშნული ოჯახის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ირანის შაჰის ერთგულებაზე, რასაც სომხითის მელიქები პირნათლად ასრულებდნენ. ამდენადვე დიდი იყო მათი როლი ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1617 წ. თბილისს მოსული შაჰ აბასი, ისქანდერ მუნშის სიტყვით, „გაემართა სომხითისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა მელიქ მირმან სომხითარის შვილიშვილის, ათაბეგის სამყოფელს, რომელიც (ირანის შაჰების) წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა. აქედან სევანის ტბის საზაფხულო ბინებისაკენ წავიდნენ“ (ისქანდერ მუნში 1969: 111).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1624-1625 წწ. „მელიქი სომხითისა ათაბეგ და ზაქუმ ერთგულებდნენ ყეენსა, მიუჴდა ამათ მოურავი, ხოლო იგინი ივლტოდნენ და წაგუარნა დედაწულნი და ქონებანი და წარმოვიდა“ (ვახუშტი 1973: 434). იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს ამის გამო ათქმევინებს:

„მელიქ ათაბეგ მჩხუბევდა, ენას ხმარობდა გველადო,
ლორის სიმაგრეს შემიდგნენ, ვერ მოვიხელე ველადო,
მელიქს და ზაქუმს ჯაშუში მე დავაყენე მცველადო
მიუხე, ვეღარ დამაგრდა, კლდეს ექმნა შიგ გამძვრელადო“
(იოსებ თბილელი 1989: სტროფი 257).

1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაც შაჰის ერთგულების გამო სომხითის მელიქმა ყორხმაზმა გასცა (ფარსადან გორგიჯანიძე 1990: 10).

ვახუშტი ბატონიშვილი, დებედის ხეობის ზემოხსენებული ნაწილის აღწერისას, თავისსავე რუკაზე შეცდომებს უშვებს: მისი ჩვენებით, ახპატის ქვევით ჯერ ჭოჭკანის ხეობაა, შემდეგ – ახტალის; სინამდვილეში წინაუკმო ვითარებასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც არაა სწორი ახტალის ქვემოთ ხოჟორნისხევის დასახელება (ვახუშტი 1941: 36). ის ჭოჭკანისხევის შემდეგ მდინარის დაყოლებით ერთვის დებედას. ამრიგად, თანმიმდევრობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ასეთია: ახპატი, ახტალა, ჭოჭკანი, ხოჟორნისხევი. არაზუსტია სოფლების განლაგება ხეობათა მიხედვითაც: სოფელთა სიებში ახტალა და ყაზანჩი ხოჟორნის ხეობაშია ჩათვლილი, რუკაზე კი ყაზანჩი ჭოჭკანისხევშია დატანილი, ახტალა – ცალკე.

უზუსტობაა ბრდაძორის მოთავსება ჭოჭკანისხევში... ვახუშტის ეს შეცდომები გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სომხითის მელიქის სოიურღალი დებედის ხეობაში ქართლის აღწერას არ ექვემდებარებოდა; არ ევალებოდა მოლაშქრეთა გამოყვანა, სახელმწიფო გადასახადი და ასე რჩებოდა XVIII ს-ის დასაწყისში დასტურლამალის მიხედვითაც (დ. ბერძენიშვილი 1979: 101). ამიტომ ნაკლული უნდა ყოფილიყო ამ სოფლების შესახებ ვახუშტის ხელთ არსებული მასალები.

მელიქის სოიურღალში, ცხადია, იყო გარეშე მებატონეთა მფლობელობა, რომელთა წარმოქმნა სხვადასხვა გზით ხდებოდა. 1646 წლის საბუთებში ერთი ამგვარი ფაქტია: ზაქუმისშვილებს მათი ყმების, მურაჩაშვილების სახლიკაცი შემოაკვდათ შებეზღების ნიადაგზე. მისი სისხლის სანაცვლოდ მურაჩაშვილებმა აზატობა მიიღეს, მათვე უცილობლად მიეცათ, რისი მქონებელნიც იყვნენ ხოჟორნისხევზე: ველი, ვენახი, სახნავი, უხნავი, მიწა-წყალი, წისქვილი. თავის უკეთ დაზღვევის მიზნით მურაჩაშვილებმა ქალაქის მოურავის, მანუჩარის ფულით, ბატონისაგან (ზაქუმისშვილი) თავი დაიხსნეს, მისგან

მოცემული აზატობის წიგნი და საკუთარი თავიც მანუჩარს მიართვეს (ფუთურიძე 1955: 191; ნ. ბერძენიშვილი 1940: 30). ასე გაჩნდა ახალი მებატონე ხოჟორნიში.

1652 წელს როსტომ მეფემ ხიდი ააგო ქციაზე, მტკვრის შესაყარის სიახლოვეს. ხიდი აქ ადრეც ყოფილა, რაზეც მეტყველებს ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები. მართლაც, ამ ძველი ნაგებობის სანაპირო საყრდენები XX ს-ის 70-იან წლებშიც შემორჩენილი იყო „წითელი ხიდიდან“ 95 მ-ის მოშორებით, მდ. ქციის ორსავე ნაპირზე. სანაპირო ბურჯები ერთმანეთისაგან დაახლოებით 70 მ-ით იყო დაშორებული. საფიქრებელია, ხიდს მდინარის კალაპოტშიც ექნებოდა ბურჯები, ალბათ ორ-სამ მალიანი. აქ უძველესი ხიდის აშენების თარიღი უცნობია, მაგრამ შესაძლოა მასთანაა დაკავშირებული აყუდებული ქვა, რომელიც შემდგომში როსტომისეულ ხიდთან გადაუტანიათ. მერე კი – საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (კვეზერელი-კოპაძე 1971: 41-42). უძველესი ხიდი, ასევე კავშირში იქნებოდა ქცია-მტკვრის შესაყარში არსებულ სიმაგრესთან, რომელსაც, არაბული წყაროებით, ძველად ყალა-იბნ-ქანდამანი და ჯარდამანი ერქვა (დ. ბერძენიშვილი 1979: 24).

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, განჯის გზაზე მდებარე ამ ხიდთან როსტომს აუშენებია სოფელი და ქარვასლა მოგზაურთა მოსასვენებლად, რომ უზრუნველი ყოფილიყვნენ ბინითა და საკვებით. მეფე-დედოფალი, დიდებულებთან ერთად, წასულან ხიდის სანახავად და ქარვასლაში გაჩერებულან (ფარსადან გორგიჯანიძე 1990: 117).

„დასტურლამალის“ მიხედვით, გატეხილი ხიდის დებულებაში ჩანს, რომ ამ სახასო სოფელს ევალებოდა ქარვასლის წმენდა, სტუმრის მიღება და ამისი მოურავის სარგო (ი. დოლიძე 1965: 297). ვახუშტის სიტყვით, იქ ყოფილა „ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა პთ (89 – დ. ბ.) მეფემან როსტომ ხიდი ქვითკირისა, დიდშვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვენიერი, მჭვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა, სივრცე ხიდისა ი (10) მხარი. აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი“ (ვახუშტი 1941: 45). ვახუშტის რუკის მიხედვით, სოფელი ქციის მარცხნივ ყოფილა, ყიზყალის ციხის სიახლოვეს.

გიულდენშტედტის სიტყვით, „ხიდი ნაშენია ფილაქნებითა და აგურით... ის არის 200 ნაბიჯის სიგრძისა, ხოლო შუაში სიმაღლე აღწევს 30 ფუტს. ის შედგება ოთხი თაღისაგან. საძირკველი თლილი ქვისაა, დანარჩენი აგურისა და შემდეგ რიყისქვითაა ამოყვანილი... ორივე მხარეს აქვს პატარა ფუნდუკი მგზავრთათვის. შუაში აღმოსავლეთ მხარეს არის კიბე, რომელსაც ჩავყავართ ღია ოთახში. როსტომ მეფემ ის ააშენა შედარებით დაბალი, დანგრეული ქვის ხიდის ნაცვლად, რომელთანაც მდინარის ორივე ნაპირზე თითო ქარვასლა იყო. ახლაც ჩანს ძველი ხიდის ნანგრევები, რომელიც ახლისაგან დაახლოებით 200

ნაბიჯზეა აღმოსავლეთით. ამიტომ ეძახიან ამ ხიდს გატეხილ ხიდს (დანგრეულ ხიდს)“ (გიულდენშტედტი 1962: 71).

ბერი ეგნატაშვილის აზრით, გატეხილი ხიდი ხუნანია (ბერი ეგნატაშვილი 1959: 417, 430). ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს, რომ ხუნანს „პირველ ეწოდა მტკვრის ციხე, შემდგომად ხუნანი, და აწ მოჰმადიანნი უკმობენ ქალისციხე-ყიზყალას, დაბის გამო... ხუნანის ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით. ჟდ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები, და ნაყოფიერებს ფრიად“ (ვახუშტი 1941: 54-56).

ზემოხსენებულ რუს გატანას აღწერს ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძეც. მისი მონათხრობის მიხედვით, 1707 წ. ვახტანგ VI-მ „განიღო რუ ნახიდურითგან ვიდრე ყისყალამდის, აღაშენა ხუნენი, სოფლები უშენსა ადგილებსა“ (სეხნია ჩხეიძე 1903: 25).

1707 წელს კიდევ ერთი საბუთის მიხედვით, ინდო გაბაშვილი მონაწილეობდა თურმე ვახტანგის თაოსნობით ყიზყალის, გულთაფისა და ხუნანის არხების გაყვანაში: „ახალი, მოუგონარი და უცილობელი რუ გავიდევით, ჩვენი სახასო დიდი ურწყავი მინდვრები სარწყავად გავხადეთ“. ამიტომაც ვახტანგ VI-ს ინდო გაბაშვილისათვის ხუნანის მოურავობა მიუცია (ცსა, ფ. 1450, დავთ. 18, 104).

ზემოთქმული მოწმობს, რომ თემურლენგის შემოსევების შედეგად, ქართლის სამეფოს აღმოსავლეთმა საზღვარმა და მასთან ერთად ციხე-ქალაქმა ხუნანმა, დასავლეთით გადმოინაცვლა, მდ. დებედამდე. დაკარგულ ტერიტორიას მომთაბარე თურქმანული ტომები დაეპატრონენ (ატლასი 2003: 81). ამრიგად, თუ აქამდე განჯიდან მომავალი გზა აღჯაყალის გავლით მოემართებოდა ქართლისაკენ, გატეხილი ხიდის განახლების შემდგომ აღჯაყალის გაუვლელად, ქციის გადაკვეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროთი და იაღლუჯის მთის გამოვლით შეიძლებოდა ქალაქში შემოსვლა ისევე, როგორც ახლა.

აღჯაყალის გამგებლობაში გაერთიანებული ბორჩალუს ტომი, ისეთივე მესაქონლე იყო, როგორც ყველა სხვა, აღმოსავლეთ საქართველოში შემოსახლებული მაჰმადიანური ტომები. მაგრამ მათი ცხოვრების ნირს მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ქართული, განვითარებული ფეოდალიზმის გარემოცვაში მოხვედრამ. ამან დააჩქარა მათი ნახევრად ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა და მიწათმოქმედებაში ჩაბმა. 1713 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ბორჩალოს მოსახლენი სახნავ მიწებს ეცილებოდნენ სომხითის მელიქ ათაბეგის შთამომავლებს. შაჰ სულთან-ჰუსეინის ფირმანით, ეს მიწები მელიქის შთამომავლებს დარჩენიათ. ამ საბუთში მელიქი ათაბეგიცა და მისი შვილი ალი-ბეგიც ქართველებად იწოდებიან, რაც ისევ მათ ქალკედონიტობას ნიშნავს (ფურცელაძე 1882: 92-93).

1719 წ. იმამ-ყული-ხანის (ერეკლე I-ის ძე, კახთა მეფე) ბრძანებით, ბორჩალოს სოფელთა მამასახლისებსა და ბოგადარ-ბეგს ხელი

უნდა შეეწყოთ სარწყავი არხების შენახვისათვის, რომ ბორჩალოში მეხორბლეობა განვითარებულიყო (ფურცელაძე 1882: 92-94).

ბორჩალოს სამხრეთით მცხოვრები სომხითის მელიქი ქართლის მეფის მოხელედ ითვლებოდა სომხითში, რისთვისაც ცალკეული სოფლებიდან თავის სარგოს ღებულობდა: ეს იყო „საწნახელზე ტკბილი ჩაფი ოთხი; გუთანზე პური კაბიწი ერთი; თავზე ნახევარშაური“ (ი. დოლიძე 1965: 323). მიუხედავად ამისა, ძირითადი სამელიქო მამულის გეოგრაფიული მდებარეობა ლორე-ბამბაკისა და ბორჩალოს მაჰმადიანურ სახანოებს შორის სომხითის მელიქებს იძულებულს ხდიდა, მუდამ ერთგული ყოფილიყვნენ ირანის შაჰებისა. ამიტომაც იყო, რომ ჯერ მელიქ ქამარბეგს, 1687 წ. „ბრძანებითა მეფისათა ჰკრეს თოფი ფარულად კოჭორსა ზედა და მოკუდა იგი“, შემდგომში კი 1719 წ. სომხითის მელიქი, ქამარბეგისავე ძე, ვახტანგ VI-მ დაახვრეტინა (ვახუშტი 1973: 460, 497).

ირანის შაჰების მიერ ჩამოსახლებული მაჰმადიანური ტომები თავიდანვე ქართლის სამეფოს სამტრო სახანოებად ჩამოყალიბდნენ. ასევე იყო ბორჩალო, რომელიც შაჰის ბრძანებით მორჩილებდა და ეხმარებოდა ყოველ შემოსეულ მაჰმადიან მბრძანებელს.

1722 წელს განჯის ხანმა შულავერი მოარბია. ვახტანგ VI-მ ვახუშტი ბატონიშვილი გაგზავნა საბარათიანოს ჯარით, რომელმაც ბორჩალო ისე ააწიოკა, რომ ხანი აღჯაყალის ციხეში ჩაიკეტა. ქართველები წოფში დაბანაკებულან და იქიდან მარბიელ რაზმებად შესევიან მხარეს. სომხითარებს მაშინვე უცნობებიათ ხანისათვის ვახუშტის უჯაროდ დარჩენა, ხანის დასახმარებლად კი კახელებისა და ლეკების ჯარი წამოსულა. ბრძოლა აღჯაყალასთან ქართლის ჯარის გამარჯვებით დასრულებულა და იგი დიდი ნადავლით დაბრუნებულა თბილისს (ვახუშტი 1973: 501).

1723 და 1725 წლებით დათარიღებული ოსმალური ფირმანებიდან ჩანს, რომ სომხითის სოფლები ხოჟორნი და მელიქაშენი სულთანს გაწეული სამსახურის სანაცვლოდ „სამემკვიდრეოდ უბოძებია“ მდივანბეგ ერასტი ყაფლანიშვილისათვის, რადგან მაშინ ეს სოფლები „თავისუფალი და უპატრონი“ იყო, ერასტის დაევალა დაესახლებინა, მოეშენებინა ისინი, ხოლო ხაზინისათვის ყოველწლიურად 50 ყურუში გადაეხადა.

ორი წლის შემდეგ სულთანმა ისევ გასცა ფირმანი აღჯაყალის მცველ ისმაილისადმი, სადაც ხოჟორნისა და მელიქაშენზე ნათქვამია: ერასტიმ „გვაცნობა, რომ ხსენებული სოფლები ადრე განჯას ექვემდებარებოდა, ახლა კი ამ სოფლების დაკავების წინააღმდეგ გამოსულან. რადგან დახმარება ითხოვა, რათა წინანდებურად მას დარჩეს და მის დაპატრონებას ხელი არ შეუშალონ, სასწრაფოდ მიმართეთ თბილისის დავთრებს და ჩაწერეთ, რომ ხსენებული სოფელი ხოშორნი 7200 ახჩით და სოფელი მელიქაშენი 4800 ახჩით – მთლიანად 12 000

ახჩა შემოსავლით ებოძა და გადაეცა მას (ერასტის) იმ პირობით, რომ 6000 ახჩა სარჩო-საბადებლად მიეცეს ზემოხსენებულს და 6000 ახჩა ყოველწლიურად ჩაბარდეს ხაზინას“ (ც. აბულაძე 1975: 226, 228).

ამ ფირმანებიდან ისევე, როგორც ზემოხსენებული შეტაკებიდან ვახუშტისა და განჯის ხანს შორის, კარგად ჩანს, რომ სომხითის მელიქის არყოფნისას აღჯაყალის მფლობელს ექვემდებარებოდა ბორჩალოსთან ერთად ხოჟორნისხევის სოფლებიც.

1730 წ. უკვე რუსეთს მყოფმა ვახტანგ VI-მ სახლთუხუცეს ელიზბარ ორბელიშვილს წყალობის წიგნით უბოძა: სოფ. წოფა „მისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, საჭნავითა, უჭნავითა, სათიბითა, უთიბითა“. ამ სოფლის ნახევარი თავისი თეთრის გირაოდ სომხითის მელიქისაგან ელიზბარს ადრეც ჰქონია (თაყაიშვილი 1909: 358). როგორც ვხედავთ, ორბელიშვილ-ყაფლანიშვილთა მფლობელობა ხოჟორნისხევში სომხითის მელიქის მამულების ხარჯზე იზრდებოდა.

საინტერესოა 1730-იან წლებში დაწერილი სომხით-საბარათიანოსა და ყაიყულის ბაჟების იჯარის წიგნი, რომელიც ქაიხოსროვბეგ გორჯასპის ძე ყაფლანიშვილს მიეცა: „რაც ქალაქს გარდა ქარავანმა გაიაროს სომხით-საბარათიანოს მამულშიდ და ყაიყულის, ასე რომ გატეხილ ხიდიდამ რომ აქეთ გამოსცილდეს, თუ არაყელი, თუ ჰადირბეჯანელი, თუ სომეხი, თუ თათარი, თუ თათი, თუ ურუმი და ურუმის ქვეყნიდამ ამ მამულებში ქარავანმა აქ გაიაროს, ამაების ბაჟი შენ აიღო“. აქ ჩამოთვლილია: აბრეშუმი, ქაშანისა და თავრიზის ფარჩა, ბამბა, ხამი ხალათი, ბაგრასტი და მაუდი, ლანდრა (сукно), ბეწვეული, ქათანი (ტილო), სპილენძი, შაბი, რკინა, ბრინჯი, ერბო, ქონი, თაფლი, ენდრო, ძროხის ტყავი. „რაც ამ გზებზედ საპალნეს გარდა წვრილათ ფარჩა გაიაროს, თუ ურუმისაკენ წავიდეს, თუ ყიზილბაშისაკენ, თუმანზე ორი შაური აიღე... ამაებს გარდა, ურუმიდან რომ ჯა-ლაბმა გაიაროს, თუ განჯისაკენ, თუ ერევნისაკენ, ცხენზე ორი შაური, ძროხაზე შაური, ცხვარზე ორი ფული... და ქალაქისაკენ მომავალთან ხელი ნუ გაქვსთ“ (ნ. ბერძენიშვილი 1953ა: 275-276).

როდესაც ამ საბუთში დასახელებულ მხარეებსა და პუნქტებს ვითვალისწინებთ (ოსმალეთი, სპარსეთი, აზერბაიჯანი, ერაყი, ყაიყული, ერევანი განჯა, თბილისი), მათი დამაკავშირებელი გზებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებედისხევით მიმავალი გზა უნდა ყოფილიყო.

ამიტომაც იყო, რომ ლეკები სწორედ ამ გზებზე მიმავალ ქარავნებს ეცემოდნენ და ძარცვავდნენ. 1747 წელს პაპუნა ორბელიანის სიტყვით, „წავიდის სამშვილდით ჯარი ლეკისა, მოარბივის სომხითის ხეობა და მოიტანიან ციხესა სამშვილდისასა. შეწუხდა სომხითის ხეობა, ვეღარ შეიძლეს დგომა ქვეყანათა თვისთა, აიყარა მელიქი სომხითისა თავისის სახლის კაცითა და ყმით, ეგრევე არღუთას შვილები, მთლივ სანაინის ხეობა და ახპატის ხეობა, ჩამოვიდნენ ქალაქსა და ქალაქით წავიდნენ ერთპირ მუხრანში, მისცა ალაგი მუხრანის ბატონმა კონსტანტინემ და

დააყენა ქვეყანასა თვისსა“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 139).

შესაძლოა, ქართლის სომხითში შექმნილი ამ გაუსაძლისი ვითარებით იყო გამოწვეული ის, რომ 1749 წ. იბრაჰიმ შაჰმა სომხითის მელიქებს – ყორხმაზს, ათაბეგსა და ბაადურს მამულობით უწყალობა სოფლები გოქჩის ოლქში: ხათუნქენდი, მელიქლი, აღჯაყალე და ბარერანდი (ფურცელაძე 1882: 94).

ირანის შაჰების მიერ ქართლის საზღვარზე ჩამოსახლებული ბორჩალუს ტომი მუდმივი სატკივარი ან ხშირად საზრუნავი იყო ქართლის სამეფო კარისა. ამიტომ დიდ მიღწევად ითვლებოდა 1749 წ. ირანიდან დაბრუნებული თეიმურაზ II-ისათვის შაჰისაგან სიგელის გამოტანება: „როგორც საქართველო, ეგრე ყაზახ-ბორჩალუ იმსახურეო“. მიეგებნენ ყაზახისა და ბორჩალუს სულთნები, თავისის ჯარებით დახვდნენ ყმურად და მიართვეს მისართმევი“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 156).

რამდენად მერყევი იყო მაჰმადიანი ამ სულთნების „ყმური სამსახური“, მალე გამოჩნდა; 1752 წ. აჯი-ჩელებისთან ბრძოლისას „დაიდვეს თავს ორგულობა ქართველ ბატონისა ყაზახელ-ბორჩალუელთა და ბაიდრელთა... თავისის ძალით წაუვიდნენ ქართველ ბატონს და ემსახურებოდნენ აჯი-ჩალაბს... ამისთანა მტრობა ყიზილბაშს არ უქნია, რაც ამათ ქნეს“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 197).

აჯი-ჩელების დამარცხების შემდეგ მოღალატე ხანები ერევანს გადაიხვეწნენ, ბორჩალოში კი თეიმურაზმა და ერეკლემ დანიშნეს მუსა-ყული-ხანი, რომელიც აღჯაყალაში დასვეს. ქართველ მეფეთა აქტიური დამოკიდებულება ბორჩალოსადმი გამოჩნდა 1755 წელს, როდესაც მათ მუსა-ყულის ხანობა ჩამოართვეს და დიმიტრი ორბელიანი ჯარით, ბორჩალოს მონაპირედ დააყენეს. ამავე წელს ლეკთა ჯარი 5 ბელადით სომხითის მელიქის მამულში ჩადგა. ქართველებმა ეს ბელადები მოსალაპარაკებლად აღჯაყალის ციხეში ჩამოიტყუეს. მათ მოყოლილი ჯარის ნაწილი კი პურის შესაგროვებლად ბორჩალოში გაიფანტა. ქართველებმა ბელადები შეიპყრეს, ლეკთა ჯარი გაულიტეს. ამის საპასუხოდ ლეკების ახალი ჯარი მოვიდა განჯიდან, „დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა-იქ და დადგა გზებზე, მრავალი მიმსვლელ-მომსვლელი ქარავანი წაახდინა“ (პაპუნა ორბელიანი 1981: 223-225).

თუკი აჯი-ჩელების დროს ბორჩალო ლეკების მომხრე იყო, 1755 წელს ყვარლის ციხესთან დამარცხებულ ლეკებს ბორჩალო და ბაიდარი მტრულად შეხვდა. მომხდურებმა დებედის მარცხენა სანაპიროს სოფლები აიკლეს. ბორჩალოს ელმა აღჯაყალის ციხეში შეასწრო და მტერს გადაურჩა. ლეკებმა დიდძალი ნაძარცვით, ახპატის ხეობას მიმართეს. ტყვეთა სიმრავლით შეფერხებულმა მძარცველებმა თარაქამებს დიდი რაოდენობის ტყვე და საქონელი მიჰყიდეს, შემდეგ ისევ განაგრძეს მეზობელ მხარეთა რბევა (პაპუნა ორბელიანი 1981: 232).

ბორჩალოს მოსახლეობას ევალებოდა იქ ჩასული ქართული ჯარის სანოვაგით მომარაგება. 1755 წ. ერეკლე თავისი ჯარით მისულა ყულარში. მაშინ ყაზახ-ბორჩალოს ხანებმა „მოართვეს ფეშქაშნი და პურნი და საკლავნი ჯარისა ულუფად“. ეკონომიკური და სამხედრო სამსახური, ქართველი მეფეებისადმი მათ მორჩილებას სასურველს ხდიდა. ამიტომაც აქედან აყრილ-გაქცეულ მოსახლეობას, ქართლის ხელისუფლება ისევ უკან აბრუნებდა (პაპუნა ორბელიანი 1981: 235, 237).

ზემოგანხილული მაგალითებით კარგად ჩანს, რომ საქართველოს საზღვრებში ჩამოსახლებული მაჰმადიანური ელები ქართლ-კახეთის მეფეთა ქვეშევრდომობას გაურბოდნენ, ისინი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და მხოლოდ ძალას ექვემდებარებოდნენ. ამიტომ 1755 წ. ერეკლე II-მ ყაზახში ხანობა გააუქმა და ის ქვეყანა სამოურავოდ აქცია (ნ. ბერძენიშვილი 1965: 210); 1765 წლისათვის უკვე ბორჩალოსაც მეფის მოურავები განაგებდნენ. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, მაშინ ბორჩალოზე ლეკთა თავდასხმისას „მუნ იყო მხნედ თარხანი გიორგი, მოურავი ბორჩალოსი“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1983: 52).

1766 წ. გიორგი ბატონიშვილი ბორჩალოელებს უბრძანებდა: „ვინცავინ ოსმალოდამ, ან სხვას ქვეყნიდამ სავაჭრო საქონელი წამოიღოთ და ყაფლანიშვილის მამულში გამოატაროთ, თავიანთი ბაჟი მიეცით როგორც ბატონის ბრძანება არის და ბატონის განაჩენი უჭირავთ იმრიგად. ქკს უნდ“ (ცსა, ფ. 1448, საბ. № 5311). აქ გიორგი ბატონიშვილის განსაკუთრებული უფლება მოჩანს ბორჩალოზე, რაც შემდგომი ხანის საბუთებით უფრო გაცხადდება. უნდა ვიფიქროთ, ამ დროიდანვე ბორჩალო გიორგი ბატონიშვილს დაექვემდებარა. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, „ელნი... ბორჩალოელთა იყო საბატონიშვილო მემკვიდრისა მეფის ძის გიორგისა“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1972: 51).

იმდროინდელ ბორჩალოელთა მეურნეობაში მიწათმოქმედება უკვე დამკვიდრებულა. 1780 წ. ერთ საბუთში გიორგი ბატონიშვილს მიმართავენ ყაითმაზა და იოვანე, მდივანბეგის ყმები ეივაზლუდან: „ეივაზლუ და ბორჩალოც თქვენია. მეფემ ასე ბრძანა: აქეთ ეივაზლუმ მოხნას, იქით – ბორჩალომა. ახლა ბორჩალოელები გადმოსულან და აქეთ ხვნენ... ამ წყალობას ვითხოვთ: ერთი ოქმი გვიბოძოთ, ვინც აქეთ მოხნავს, რაც რიგი იყოს, მოსცენ, იმით იცხოვროს. თუ ის ჩვენი ადგილი იმათვინ გიბოძებიათ, ჩვენცა გვიბრძანეთ, რომე იქ აღარ დაგვედგომება, ვერცა გავძლებთ. დღეს ჩვენც თქვენი გახლავართ და ისინიცა“. მინაწერი გვამცნობს: „ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბრძანებთ ბორჩალოელნო, მერმე რომელიც ბორჩალოს მიწისა და მდივანბეგის მიწის სამძღვარს აქეთ მოხნავს მდივანბეგის მიწაშია, რაც მართებული ღალა არის თქვენში განწესებული, უნდა უკლებლივ მისცემდეთ ყაითმაზას“ (ი. დოლიძე 1981: 492).

ეს ხალხი უკვე ამ მიწების მემკვიდრეობით მფლობელად გრძნობდა თავს; ამიტომაც ლეკ-ოსმალთა თავდასხმების საპასუხოდ ბორჩალოელნი ახლა აქტიურად მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, 1772 წლისთვის „ჩვენნიცა მარადის უჴდებოდიან და აოჴრებდიან ჯავახეთს ესრეთ, რომელ ძეთა მელიქისათა გიორგიმ და ავთანდილ შეიპყრეს უმეტეს ხუთასისა ორასითა კაცითა მდევარნი თურქთანი. კვალად უჴდებოდის და აოჴრებდის ჯავახეთს და ზედა დასხმასა უყოფდის ლეკთა ხუდია და სხვანი ბორჩალოელნი და სხვანი ელნი ჩვენნი, რომელთაცა მოიყვანეს კერძოი ახალციხისა და ყარსისა ძრწოლასა“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1972: 54).

ბორჩალოელთა გვერდით დასახელებული გიორგი და ავთანდილ, „ძენი მელიქისა“, ქალაქის მელიქს უნდა აღნიშნავდეს, რადგან 1777 წელს სომხითის მელიქები სხვაგვარად იხსენიებიან.

ზემოთ ჩემ მიერ ახტალის მონასტრის ტიბიკონად მიჩნეული ხელნაწერის მეორე გვერდზე მხედრულით შესრულებული მინაწერი გვაუწყებს: „ჩვენ სომხითის მელიქ გვარობით, ბაადურ მელიქის ძეთა, თეიმურაზ და მელიქმან გიორგი, ძმამან მისმან მირმან და ბიძაშვილმან ჩვენმან იოანე და შვილთა ჩვენთა, თეიმურაზის ძეთა ზაალ და სოლომონ და გიორგი მელიქის ძეთა – დავით და იოსებ“, გარეჯის ნათლისმცემელს „შემოგწირეთ ჭოჭკონელი (sic!) სარუხანაშვილი თამაზა, თვისისა მეუღლითა, თვისთა შვილთა მიერ და შვილისშვილთა“ (კაკაბაძე 1914: 74).

საბუთი დაწერილი ყოფილა ძალიან ლამაზი მხედრულით სიონის დეკანოზის შვილის, ზაქარია მღვდლის ხელით. ის გამოირჩეოდა სხვა მინაწერების ცუდი ხელისაგან, რომლებიც იქვე, განზე ყოფილა მოთავსებული: „ქ. წმიდის მონასტრისათინ ესე ქსაი, მე თეიმურაზამა. ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია +“. იქვე სხვა ხელით: „ქ. მელიქისაშვილმა ივანემა შემოგვიწირამს ნათლისმცემლისათვისა. ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია“ (კაკაბაძე 1914: 75). საბუთის ბოლოს მოხსენიებული სიონი თბილისის სიონი უნდა იყოს, სადაც XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან მართლაც მოღვაწეობდა „სიონის დეკანოზისშვილი მღვდელი ზაქარია“ (ბერძენიშვილი, ბერძნიშვილი 1962: 291, 299). მაშასადამე, სომხითის მელიქის შვილებს მისთვის მიუტანიათ ახტალის მონასტრის ტიბიკონის შემცველი ტყავი და მის მეორე, სუფთა გვერდზე მღვდელ ზაქარიას დაუწერია შეწირულების სიგელი ნათლისმცემლისათვის.

1782 წელს იმავე ნათლისმცემლის არქიმანდრიტ ევთიმის სახელზე დაწერილ საბუთში იკითხება: „შეგკადრეთ კნინი“ ესე შემოსაწირავი, ქვრივმან ვინმე, სომხითის მელიქის ათაბეგის ასულმან და მეუღლემან საგარეჯოს მოურავის შვილის ბაიდურისამან ელენე, და შემოგწირე ჩემთა მშობელთაგან გაზრდილი და ჩემთვის მზითევში გამოტანებული

მსახური, ჭოჭკანელი ზურაბასშვილი თანდილა, თავისის შვილითა და მომავლით მომირთმევია და მომიძღვანებია. ამიერითგან შეირაცხოს შენისა მონასტრისა ყმათა თანა“... განზე სხვა ხელით: „ქ. მე,თეიმურაზ მელიქის შვილს, ამ ჩემის დის ელენეს შეწირულების ყაბული მაქს. აგრევე ჩემს ძმისწულს დავითსა“ (კაკაბაძე 1913გ: 101-102).

1784 წ. ერთი საბუთის მიხედვით, ჭოჭკანისხევის ჰაცუტსა და ხოჟორნისხევის ბრდაძორში ყმა-მამული ჰქონიათ სანაინის მეპატრონე არღუთაშვილებსაც. ბრდაძორში მათ ყმებს შორის დასახელებულია ქურთიკაშვილი გიქოა, სანაინში – საფარაშვილი გრიქორა, აკოფაშვილი ზურაბა, ჰაცუტში კი – წარუკანთ ვართანაშვილები, რომლებიც კახეთს ყოფილან გადასულები (ი. დოლიძე 1974: 268).

დებედის ხეობის განსაკუთრებული ეკონომიკური როლი აღორძინდა XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან, როდესაც ერეკლე მეფემ გიუმიშხანეს პროვინციიდან (ოსმალეთი) გადმოასახლა ბერძენ მადნისმწარმოებელთა 800 ოჯახი (2000 სული). 1763 წელს განახლდა ახტალის ვერცხლის საბადოების და შამბლულის სპილენძის დამუშავება, 1770 წელს კი მათ შეემატა ალავერდის სპილენძსადნობიც. თუ ახტალა სომხითის მელიქიშვილების მიწებში ითვლებოდა, ალავერდ-შამბლულის საბადოები – არღუთაშვილებისა და ორბელიანთა მამულებში იყო. ახტალიდან მიღებულ ოქროს ბერძნები მთლიანად მეფეს აბარებდნენ, ვერცხლიდან კი მეფე იღებდა 25%-ს ნატურით, დარჩენილ 75%-ს მეფე ბერძნებს უბრუნებდა ფულის სახით – ვერცხლის აბაზებით, რომელსაც თბილისის ზარაფხანაში ჭრიდნენ.

სპილენძს ბერძნები საკუთარი სახსრებით აწარმოებდნენ და მეფეს აძლევდნენ მხოლოდ 10%,-ს ასევე – ლითონის 2%-ს ქარხნების მუშახელით უზრუნველსაყოფად. მელიქიშვილები მიწისა და ტყისათვის ღებულობდნენ წლიურად 300 მანეთს, ასევე ტყვიისა და ვერცხლის ნაწილს ნატურით. არღუთაშვილები – წლიურად 600 მანეთს და მოპოვებული მადნის 1/10-ს; უფრო ხშირად ვერცხლის წლიური მონაპოვარი შეადგენდა 200 ლიტრას. ერთ წელიწადს მიიღეს 408 ლიტრა, ანუ 91 ფუთი და 23 გირვანქა წმინდა ვერცხლი. მეფის წლიური, სუფთა შემოსავალი იყო 48281 მან., ბერძნებისა – 44920 მან. სპილენძის წარმოებიდან მეფის წლიური სუფთა შემოსავალი 10000 მანეთზე მეტი იყო.

ბერძენი ოსტატები ქირაობდნენ მუშებს; ესენი იყვნენ გლეხები ქართლიდან, ყაზახიდან, ჯავახეთიდან, იმერეთიდან, რომლებიც ოსტატებს მთელი წლისათვის მადნით ამარაგებდნენ. ქარხანაზე მიწერილი ყმა-გლეხები მეფის ბრძანებით ჭრიდნენ ხე-ტყეს, წვავდნენ ნახშირს და ქარხანაში ეზიდებოდნენ (გოგოლაძე 1966: 9-17).

1776 წ. ერეკლე მეფეს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ცხრაგირვანქიანი, ახტალის მადნიდან გაკეთებული ბარძიმი წარწერით (ჟორდანია 1967: 345).

ასე იყო 1785 წლამდე. ამ წელს კი საქართველოს ომარ-ხანი

შემოესია. კახეთიდან ის „წარემართა იედიბოლუქზე, ყარაიას მტკვარს გავიდა, აღჯაყალას მიადგა და ვერ აღიღო, ვინათგან განამაგრა ციხე იგი მოურავმან ბორჩალოსმან მაჩაბელმან დავითმან, ძემან გოგია მაჩაბლისამან... ომარ-ხან აიყარა... ვერცხლის მადანი აღიღო, მრავალნი სულნი ბერძენნი მუნ მსახლობელნი მოსწყვიტნა და ტყვე ჰყო, უზულარის ხევზედ შეიარა, ლორეს მოადგა. ლორე ვერ აიღო რომელიცა აქვნდა გამაგრებული მოურავსა მისსა მალაქია გლურჯიძეს. ლორიდამ წასული ახალციხეს მივიდა“ (ბაგრატ ბატონიშვილი 1941: 59-60).

ამ ომის გამო ერეკლე წერდა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ 20 სექტემბერს ლეკებმა ახტალის ციხის კედელი ააფეთქეს, შეიჭრნენ ციხეში, თუმცა 300 კაცი დაუხოცეს, მათ მაინც აიღეს ახტალა და დაატყვევეს 845 კაცი. მათ შორის ყოფილან მელიქიშვილები იესე და დავით, ასევე დავით მუშრიბი. მტერს წაუღია დიდი რაოდენობის სპილენძი, ტყვია, ვერცხლი და ფული. 21-ში ქართველთა ჯარი სადახლოს მისულა, მაგრამ ლეკებს ომისათვის თავი აურიდებიათ, ასულან უზუნლარში, იქიდან ახალქალაქსა და ჯავახეთში, მერე კი შეერთებიან სულეიმან ფაშას (გამრეკელი 1991: 52-53).

დებედის ხეობის აოხრებული საბადოები 2 წლის განმავლობაში უმოქმედოდ იყო. იქ მუშაობა განახლდა 1787 წლიდან, მაგრამ უკვე შემცირებული წარმადობით: 70-80 ლიტრა ვერცხლი წლიურად (გოგოლაძე 1966: 20).

1788 წელს მეფე ერეკლე იულონ ბატონიშვილს სწერდა: „მადნებში ასი კაცი რომ ამას წინათ გავგზავნეთ, ისინი წამოსულან და მადნები უკაცოდ დაუგდიათ. ახლა მელიქიშვილი იასე უზბაში გამოგვიგზავნია. ასი კაცი ახლა სხვა უნდა გაურიგო 20 დღის ნუხლით. ორი უზბაში უთავე და ამ იასეს მიაბარე, წყალი გაიყვანოს, კაცი გაუმძღვაროს და გაისტუმროს... შენ ხომ იცი რომ ჩემი ჭელის გამმართავი ეგ მადნები არის და ბერძნების სარჩოც ეგ არის და, ღ“თის მადლით, ბეჯითად იყავ მაგ მადნების საქმეზე და ეგ კაცნი გაგზავნე“ (თაყაიშვილი 1910: 45-46).

1792 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ არღუთაშვილებისათვის მეფის მიერ განწესებული სპილენძის წილის მიცემა შეუწყვეტიათ. სპილენძის ეს საბადო ჭოჭკანისხევის სოფ. ჰაცუტში ყოფილა, ასეთივე საბადო მელიქიშვილების მამულშიც გამოჩენილა და მეფის ბრძანებით, ორსავე მემამულეს თავისი წილი უნდა მიეცეს (ი. დოლიძე 1985: 140-141).

ერეკლე მეფეს დიდი მზრუნველობა გამოუჩენია მადნისმწარმოებელ ბერძენთა მიმართ. ახტალაში მომუშავე ილია ბერძნის ნათლობაც კი უკისრია, ჯამაგირი და საკმაოდ უხვი წლიური ულუფაც დაუნიშნია, მის სახლზედაც უზრუნია. ამიტომაც იყო, ილია ბერძენი რომ მოახსენებდა: „თქვენს უბრძანებლად კარის ზღურბლზედ გადასვლაც არ შემიძლიანო“ (ი. დოლიძე 1985: 315-317).

გზებზე მოთარეშე ლეკები მოქარავნეთათვის, ცხადია, დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ. ერეკლეს სპეციალურად უზრუნია ერევნიდან თბილისს მომავალ ვაჭრებზე, რომელთათვის ერთი მთავარი გზა დებედის ხეობით მოდიოდა; აი, მისი 1788 წლის ბრძანება: „ვინცა ვინ ერევანში ჩვენი მოქალაქენი ქარავნის კაცნი იმყოფებით. მერე ჩვენი ნასახჩიბაშის ნაიბი გოგია გამოგვიგზავნია და ყაჰრამან-სულთნისათვისაც წიგნი მოგვიწერია, რომ თავისის ჯარით გამოგიძღვესთ და ლორემდისინ მშვიდობით მოგიყვანოსთ. და იმის მისაცემად გვიბრძანებია, რომ საპალნეზედ 5 აბაზი უნდა მისცეთ სულთანსა და იმის კაცთა. და ლორეს აქეთ ლორელებისთვის გვიბრძანებია, რომ წამოგიყვანონ და ამ 5 აბაზს გარდა ათ-ათი შაური საპალნეზედ ამ ჩვენს ნასახჩიბაშის ნაიბს გოგიასაც უნდა მისცეთ თავისი გასამრჯელო“ (გამრეკელი 1991: 114).

1794-1799 წლებში მეფე ერეკლესა და გიორგის დავალებით, იოანე ბატონიშვილმა აღწერა ქართლ-კახეთის სოფლები. საინტერესოა ამ აღწერილობის მონაცემთა შედარება ვახუშტისეულ აღწერასთან, დებედის ხეობას რომ ეხება. იოანე წერს: „ჭაჭკნის ხეობა, აწ ჭოჭკანად წოდებული“. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში, ყველგან ჭოჭკანია დადასტურებული, „ჭაჭკნის ხეობა“ კი, რომელიც ავტორს სახელწოდების ძველი ფორმა ჰგონია, არსად არ გვხვდება. ვახუშტი ბატონიშვილისეულ სოფელთა სიიდან იოანეს აღწერაში გამოკლებულია სოფ. „ბორდაძორი“, დამატებულია მისხანა გადაშლილი „სანაინის“ ადგილას; აკლია ვახუშტისთან დამოწმებული „არღუთაშვილი სანაინს ბ“ და „ბაშბეუქაშვილი ბ“; გამოტოვებულია ვახუშტისთან აღნიშნული „ალაღაჯში ობა 20“, შემდგომ კი „ხოჟორნის ხეობას“ იოანე ცვლის – „ალაღაჯი აწ ხოჟორნის ხეობად წოდებული“, და იმეორებს ვახუშტის მიერ ჩამოთვლილ 7 სოფელს, ბოლოს კი უმატებს „ქ. ნასოფლარი 3“ (იოანე ბაგრატიონი 1986: 57-58).

ცხადია, ეს განსხვავებანი ასახავენ რეალურ ცვლილებებს, რომლებიც მომხდარა XVIII ს-ის პირველი მესამედიდან საუკუნის მიწურულამდე. მართლაც, სოფელ ბრდაძორის დაცლას ძველი მოსახლეობისაგან და შემდეგ ისევ მოშენებას, მოწმობს 1840 წლის სომხური წარწერა იქაური ეკლესიის ზარზე. წარწერაში ნათქვამია, რომ ზარაკი აჩუქეს ახლად აგებულ ეკლესიას, რომელიც აუშენებიათ სოფლის მთავარი წმინდა ხატის სახელობაზე (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 24, 86). ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბატონიშვილთან აღწერილი და სოფლების სიაში დასახელებული 20 ობა ალაღაჯისა დებედის ქვემოწელზე, ქციამდე რომ იყო დასახლებული, იოანე ბაგრატიონთან აღარ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, ისინი აქედან აიყარნენ, ხოლო მათ მიწებს, ძველებურად, ხოჟორნისხეველები დაეპატრონენ, ამიტომაც სახელწოდება ალაღაჯი შეავსო „ხოჟორნის ხეობამ“ (შდრ.: წოფისხევი).

ეს დაცარიელებული ადგილები გიორგი ერეკლეს ძეს თუმანიშვილებისათვის გადაუცია დასახლებისა და მოშენების პირობით.

ამის შესახებ იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს: „ლორე და ეს ბორჩალო მიხეილს და მათ ძმათ თჳს ეყოდა. ქ. თუმცა მეფემ გიორგიმ მისცა მელიქ ჯიმშიდს ამ პირით: თუ იქ დასახლდებოდა, მოიხმარებდა ამ ადგილს, თუ არა და ისევ სამეფო იყო, არა ქონდა ჴელმწიფება გაყიდვისა“ (იოანე ბაგრატიონი 1986: 60). (სურ. 16).

სომხითის მელიქების ბოლო წარმომადგენელთა საფლავის ქვები ახტალის მონასტერშია შემორჩენილი. მათი წარწერები ასე იკითხება: „ქრონიკონსა უუ (1802 წ.), ა სეკდენბერს. ქ. ტომთა და ნათესავთა ყოველთა მიერ ბუნებისა გარდავიხადე მეცა, რომელი ვიყავ ჯავახიშვილის მზეჭაბუკის ასული და მეუღლე ჩინებულთა თავადთა სომხითის მელიქის თეიმურაზისა, თამარ. აღვესრულე წლისა ნე (55) და დავუტევე ორნი სატრფონი ძენი ჩემნი სოლომონ და იოანე გოდებასა შინა და აქა დავიდევ ახტალის ეკლესიასა, სასაფლაოსა ჩვენსა. გეცქერები მხედთა ოხანი მაგეთ“. თეიმურაზი და მისი ძე სოლომონ მელიქიშვილები იხსენიებიან ზემოთ განხილულ, ახტალის მონასტრის ტიბიკონის 1777 წლის მინაწერში, რომელიც გვამცნობს გარეჯის მონასტრისათვის მათ მიერ ჭოჭკანელი გლეხის შეწირულებას.

1812 წლის მეორე წარწერა საფლავის ქვაზე ასეთი შინაარსისაა: „...საქართუელოს მეფის გიორგის მორდალი თავადი ზაალ დავითის ძე ზურაბიშვილი ბარათოვი, შობისგან წლისა ლ-სა (30) და ჩემთანა მეცხედრე ჩემი, თავადის ამილახორის ასული ანნა, წლისა კვ-სა (ლ. მუსხელიშვილი 1938ა), რომელნიცა ჟამსა შინა სიჭაბუკისასა ვჭყუარობდით მრავალთა კეთილობათაგან. ხოლო უბედურისა გამო შემთხვევისა, ერთსა ცხედარსა ზედა შუაღამ მძინარენი, თთუესა აპრილსა იბ-სა (12) ჩყიპ-სა (1812) წელსა შესაწყალ მოვიკლენით ხანჯლისა გმირვითა ორგულთა ყმათა ჩუენთაგან და დაითხია სისხლი ჩვენი სოფელსა შინა ჩვენსა ახპატს, ხოლო სხეული ჩვენი აქა მცირესა საფლავსა შინა დაიფარა და აღიხოცა ჩვენზედა მემკვიდრება სახლისა ჩვენისა“. ახპატის მონასტრის მატიანე ამ ფაქტს 1790 წლით ათარიღებს, ხოლო მკვლელობის მიზეზად ზაალის უზომო სიმკაცრე მოაქვს (ტერ-ავეტისიანი 1930: 16). საფლავის ქვის თარიღი უფრო სანდო უნდა იყოს.

მესამე წარწერა 1856 წლისაა და ასე იკითხება:

„კნიაჟნა ნატალია ალექსანდროვნა მელიქოვა,
მხევალი ღუთისა განსვენებული...
ჰასაკის გვართა სახელოვანი,
სწავლა ზნეობით წარმატებული.
დასჭნა რა მსწრაფლად ყვავილოვანი,
და რტო ნაყოფად განმზადებული,
რომ უქმნა დღენი განმწარებულნი –
საყვარლის ასულისგან მოკლებული“.

დედა სოფიო ერისთვის ასული მელიქოვისა, ცრემლით დასდებს

ლოდსა ამას, რითა ყოველთა თანა წარმავალთა სთქუათ: წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო, სულსა მხევლისა შენისასა. დაბადებულ არს ჩყლდ-სა (1834 წ.) აგვისტოს კვ-სა (26), გარდაიცვალა ივლისის იზ-სა (17), ჩყნვ-სა (1856) წელსა“ (მურადიანი 1977: 215-217).

## ეთნიკური გეოგრაფია

პირველი ეთნიკური სახელწოდება, რომელიც დებედის ხეობას შეიძლება დაუკავშირდეს, ესაა ძველ ბერძნულ და სომხურ წყაროებში მოხსენიებული გოგარენე – გუგარქი. იგი უძველესი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინია, რომელშიც ადამიანის წარმომავლობის მეგრულ-ჭანური სუფიქსი „-არ“-ი გვაქვს შემორჩენილი „გოგ-ელი“, „გუგ-ელი“-ს მნიშვნელობით.

წოდების პირველად მომხსენიებელი სტრაბონი წერდა, რომ ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში გაძლიერებულმა სომხებმა იბერებს ჩამოაჭრეს „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა არის“. მაშასადამე, გოგარენე იბერიის სამხრეთში მყოფი, სომხეთის მოსაზღვრე კუთხე ყოფილა. მისი მოცულობა დროთა მანძილზე ცვალებადობდა, მაგრამ საკუთრივ გოგარენე-გუგარქი, ვიწრო მნიშვნელობით, იყო ძველი კანგარი ბამბაკის ხეობაში და წოფოფორი. ამ მხრივ ნიშანდობლივია სოფლის სახელი გოგარენი, დებედის ზემოწელზე, დამოწმებული 1802 წელს თბილისის გუბერნიის სოფელთა შორის.

წყაროთა ანალიზის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ გოგარენე – გუგარქი ოდითგანვე ქართულ ქვეყანად ითვლებოდა, მის ძირითად მოსახლეობას შეადგენდა ქართული ტომი, ალბათ ქართული ენის ერთ დიალექტზე მოუბარი (დ. ბერძენიშვილი 1979: 21-23; დ. მუსხელიშვილი 1982: 7, 9, 16). ჯერ კიდევ ნ. მარი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, მტკვრის შენაკად დებედა-ჩაის აუზში, სულაც არ წარმოადგენს ისტორიული სომხეთის ბუნებრივ სამფლობელოს; თუ საკითხი პოლიტიკურად სადავოა... ეთნოლოგიურად სავსებით უდავოა მისი კუთვნილება... იაფეტური სამყაროსადმი, უდავოა იაფეტური ეთნიკურ-კულტურული მემკვიდრეობა მის მოსახლეობაში“ (მარი 1922: 10). ამიტომაც იგი გუგარებს ან გოგარებს ქართების წარმომშობ ეთნიკურ გარემოდ მიიჩნევდა (მარი 1937: 269).

ზემოთქმული არ გამორიცხავს სომხეთის მოსაზღვრე ქართლის ამ ნაწილზე სომხური გავლენის გაძლიერებას მაშინ, როდესაც გუგარქი სომხეთს ემორჩილებოდა. დროდადრო სომხური მოსახლეობის ინფილტრაცია ხდებოდა და ქრისტიანობის შემოსვლას აქ უკვე ნარევი – ქართულ-სომხური მოსახლეობა დახვდა. ეს მოსახლეობა ურთიერთნათესაურ კავშირებსაც ამყარებდა და ერთმანეთის ენაც

ბევრს ესმოდა ალბათ. ლაზარ ფარპეცის ცნობით, ჰმაიკ მამიკონიანის ცოლის და, არშუშა ქართლის პიტიახშის მეუღლე ყოფილა. ჰმაიკის ვაჟები დედამ „აღზარდა და ასწავლა მათ ქართლის ქვეყანაში, ქართლის ბდეშხ აშუშას სახლში“ (ნ. ჯანაშია 1962: 242). იაკობ ხუცესის თხზულებაშიც ქართლშია ვარსქენ პიტიახშის რეზიდენცია – ცურტავი.

სმბატ ვრკანის მარზპანი კირონ ქართლის კათალიკოსს სწერდა: „ჩვენი და მაგ ქვეყნის აზნაურებს შორის თუმცაღა სისხლით ნათესაობაც იყო, მაგრამ სიმტკიცე და მინდობა გვმართებს როგორც ფიცის მიმართ“; მოსე ცურტავის ეპისკოპოსი კი VII ს-ის დასაწყისისათვის აღნიშნავდა: „სომხეთი და ქართლი ერთმანეთის მოსაზღვრენი არიან. აზნაურთაგან მრავალნი და ბევრნი გლეხთაგან აქედან იქ მიდიან და იქიდან აქ“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 75, 80).

რელიგიური განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის, კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ ქართული მღვდელმსახურების დანერგვა, ჩანს, სომხურენოვანი თემის შევიწროებას იწვევდა. ყოველ შემთხვევაში, მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლეს საპასუხოდ სომხურენოვანი სამღვდელოების „მთელმა ძმობამ“ ასე მისწერა: „ჩვენთვის სხვა ღონე არ არის: ან უნდა დავრჩეთ ამ ქვეყანაში და ამის სურვილისაებრ მოვიქცეთ, ან დავტოვოთ და განვეცალოთ“ (ეპისტოლეთა წიგნი 1968: 31). არ ჩანს, რომ სომხურენოვან თემს საქართველო ამის მიზეზით დაეტოვებინოს, მსგავსად მოსე ცურტაველყოფილი ეპისკოპოსისა.

ქართული მოსახლეობის კვალი კარგად ჩანს ახპატისა და სანაინის მონასტრებში. ადრე შუა საუკუნეთა ქართულწარწერიანი ქვა-სვეტების მიხედვით (გაგოშიძე 2003: 6), ასევე წოფისხევის უძველესი ქართული წარწერებითაც (იხ. ზემოთ). შესაძლოა ქართველებისა და სომხების გარდა, სხვა ტომის წარმომადგენლებსაც გულისხმობდეს იოანე დრასხანაკერტელი, IX ს-ის 80-იანი წლებისათვის რომ აღნიშნავს: აშოტ სუმბატის ძემ „ხელი აღმართა ჩრდილოეთის მხარეზე... დაიქვემდებარა მან გუგარეთის ნარევი მოსახლეობა“-ო (იოანე დრასხანაკერტელი 1965: 38). მაგრამ აქ დებედისხევის მეზობელი კუთხეებიც იგულისხმება.

ნესტორიანული სარწმუნოების გარდა, ეგების ტომობრივი განსხვავებაც უნდა ვივარაუდოთ კირონის მიერ ცურტავში ხუჟიკი ეპისკოპოსის შეწყნარების ფაქტში.

სომეხ ბაგრატუნთა ქვემო ქართლში გაბატონებით X-XI საუკუნეებში სომხური მოსახლეობის რაოდენობა იქ მოიმატებდა, მაგრამ ქართული მოსახლეობის სიმრავლე და მტკიცე პოზიციები მაინც ჩანს (იხ. ზემოთ).

დავით აღმაშენებლის ხანიდან მოკიდებული მონგოლებამდე დებედისხევში ისევე, როგორც მთელი ქვემო ქართლის მოსახლეობაში, ძლიერდება გაქართველების ტენდენციები. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა ქალკედონური მოძღვრების აღიარებით. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის მიხედვით, დავით

დებედის ხეობა გვიან შუა საუკუნეებში
ბაიდარი
ბორჩალო
სამელიქო
ლორის სახანო
ხომხიფი
ქცია
ყიზყალა
ალჯაყალა
მტკვარი
ბოლაფრისწყალი
გორული
ალეკი
წოფი
ცოხის სოფელი
ველეთი
ჯილიზა
ხოჟორნა
ტეფური
ხორაკერტი
ხანძორეკსი
მელიქაშენი
ბრდაძორი
დებედა
ახტალა
ახპატი
სანაინი
სოფელი ეკლესიით
ციხე
კოშკი
გალავანი
აბანო
დიოფიზიტური მონასტერი
მონოფიზიტური საეპისკოპოსო
ხიდი
ქარვასლა
ამართული ქვა

აღმაშენებელმა „მოისურვა სომეხთა და ქართველთა შეერთებაც. მოუწოდა იოანეს ქართლის კათალიკოსს, არსენიოს ქართლელს... და სომეხთა ეპისკოპოსებსა და მონასტრების წინამძღვრებს, გამართა კრება“, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ სომეხი მთარგმნელი მოგვითხრობს ქართული წყაროსათვის უცნობ ეპიზოდს, თუ როგორ ჰყვარებია მეფეს სომეხთა ტომი, კერძოდ კი, ჰახბატის წინამძღვარი, სახელად სარკავაგი. მეფე მისგან იღებდა ლოცვა-კურთხევას და სოფელიც უბოძა თურმე მონასტრის ახლოს (ი. აბულაძე 1953: 254-255). ახპატის 1121 წლის წარწერაში, მართლაც იხსენიება მონასტრისათვის მიცემული შეწირულება გიორგის ძე მეფე დავითისაგან (კოსტანეანცი 1913: 28).

ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანის ცნობას დავით აღმაშენებლის მიერ ქართველ-სომეხთა „შესაერთებლად“ მოწვეული კრების შესახებ უშუალოდ მოსდევს თხრობა ახპატის მონასტერსა და მის წინამძღვარზე. არაა გამორიცხული, ეს კრებაც დებედისხევის რომელსამე მონასტერში შემდგარიყო.

ქალკედონიტად მონათლულ კაცს ადრე თუ „ბერძენს“ უკავშირებდნენ, ახლა მას „გაქართველებულს“ უწოდებდნენ. სომხური წყაროებით, „ქართველი“ იყო, მაგალითად, ივანე მხარგრძელი, რომლის მიბაძვით „მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად“ (ისტორიანი და აზმანი 1959: 90). ამ მხრივ სამაგალითოა ზემოგანხილული ხანძორექსის სომხური წარწერა, სადაც იხსენიებიან „შვილნი ესე ქართველისანი გრიგოლ და სარგის“. მაშინ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისათვის ეს ბუნებრივი შედეგი იყო. მხარგრძელთა გაქართველების ნამდვილი აღიარებაა რუსთველური შაირით დაწერილი ეპიტაფია შანშესი და ხუაშასი, ქობაირის მონასტერში რომ შემორჩა:

„გამოვედით სოფლისაგან ცუდ-ქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლნი მომდებიან, ამომდიან პირით ალნი;
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჩის ნაფერთალნი,
და კურთხეულ ხარ ქრისტე ღმერთო, შენ და შენნი სამართალნი“
(მურადიანი 1977: 179-180).

დებედისხევს ძველი ქართული წყაროები იცნობენ ქურდისხევის (ჯუანშერი), ქურდვაჭრის (თამარის პირველი ისტორიკოსი) სახელითაც. ვახუშტი ბატონიშვილი მას ქურდვაჭრისხევად მოიხსენიებს. ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ ეს სახელი ქურდის ტომის ნაკვალევი უნდა იყოს დებედის ხეობაში. აქ შეიძლება ისიც მოგვაგონდეს, რომ მხარგრძელები ქურთული წარმომავლობით იყვნენ ცნობილნი, ხოლო მათი თავდაპირველი სამკვიდრო საქართველოში – ხოჟორნი, ქურდისხევის შენაკადზეა. ამავე ხეობასთანაა დაკავშირებული თბილისის ამირაპეტი, სახელად ქურდი, ამირქურდი (XII ს.), მფლობელი მაჰკანაბერდისა და ახპატისა (დ. ბერძენიშვილი 1979: 107).

XI საუკუნე სომხეთის ტერიტორიაზე ქურთთა გადმოსახლების,

ქართული დინასტიებისა და ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბების პერიოდია. არაა გამორიცხული, დებედისხევის ძველი სახელწოდებაც – ქურდისხევი, ქურდვაჭარი, ქურდვაჭრისხევი მათთან იყოს დაკავშირებული. ეს მით უფრო, რომ ვარაუდობენ მხარგრძელების წარმომავლობას ანისის შედადიანთაგან (მესხია 1979: 236).

საინტერესოა, რომ სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის ცნობით, დავით აღმაშენებელი ანისის აღების შემდეგ „დაბრუნდა თავის ქვეყანაში, თან ჩამოიყვანა აბულსუარი თავისი შვილებით (შედადიანი ამირა აბულასვარი – დ. ბ. ), რომლებიც აღარ დაბრუნებულან, იქვე გარდაიცვალნენ“ (ვარდანი 1861: 157). ამავე ამბავს დავითის ისტორიკოსი ასე გადმოსცემს: „და წარმოიყვანა ბულასვარ, რვითა ძითა მასთა თანა და მჭევალთა და სძალთა და ჩაგზავნა აფხაზეთად“ (დავითის ისტორიკოსი 1055: 345). ასევე მოქცეულა გიორგი III, რომელმაც ვარდანისავე ცნობით, „1174 წელს მეორედ აიღო ანისი... თან წაიყვანა ამირა შაჰან-შაჰი (შედადიანთა დინასტიიდან – დ. ბ.), რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა“ (ვარდანი 1861: 166). შესაძლოა მათი გაქართველებული შთამომავალნი იყვნენ სოფ. ანდიკის (ბოლნისისხევი) წარწერაში მოხსენიებული ფადლის ძე ელმელიქი და უკანდაღეთის (სამშვილდესთან) წარწერაში დასახელებული შადადი.

სახელდებით არ ჩანს წყაროებში დებედისხევი, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, აქაც იმატებდა სომხური მოსახლეობა 1435-1438 წლებში, როდესაც ალექსანდრე მეფემ ბეშქენ ორბელიანს ლორის ციხე უწყალობა; მან თურმე „ხმა მოჰფინა, რათა ყველა მასთან შეკრებილიყო“, რასაც მოჰყოლია სივნიეთიდან 6000 ოჯახის გადმოსვლა. არარატის მხრიდან სომხების ქართლისაკენ წამოსვლას მოწმობს თომა მეწოფელიც (დ. ბერძენიშვილი 1979: 107-109).

ქართველ ისტორიკოსთა მონაცემებით, თურქმანული ტომების შემოსვლა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე XV ს-ის II ნახევრიდან იგულისხმება. მანამდე კი ისინი თანდათან იჭერდნენ მტკვრისპირა დაბლობებს, განსაკუთრებით თემურლენგის ლაშქრობათა შემდეგ.

ქართლის საზღვრებთან ახლო მცხოვრები მეჯოგე თურქმანული ტომები საქართველოზე ყოველ ახალ თავდამსხმელს თან მოჰყვებოდნენ და მათთვის სასურველ ადგილებს იკავებდნენ. ამიტომ მტრის წასვლისთანავე ქართველები „მოსრვიდნენ გარემოთა თათართა“. ნიშანდობლივია, რომ 1488 წელს შემოსეული მტერი აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეებს თავის პლაცდარმად აშენებს. იაყუბ ყაენის ჯარის დამარცხებიდან ორი წლის შემდგომ კონსტანტინე მეფე „მიუჴდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვია აღჯაყალა“. აქედან ჩანს, რომ თურქმანულ ტომებს დებედის ქვემოწელიც დაუჭერიათ.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1556 წელს შაჰ-თამაზმა „დასუა ყაზახის ადგილსა და შამშადილუსა ხანი თჳსი“. ირანის ხანები შემდგომ ხანებშიც ამ მომთაბარეებს ქართლ-კახეთის უფრო შიდა რაიონებში ასახლებდნენ და ახალ სახანო-სასულთნოებს ქმნიდნენ.

ასე დააარსა შაჰ აბასმა ლორის სახანო, დებედის ქვემოწელზე კი ჩამოასახლა ბორჩალუს ტომი. ვახუშტის ცნობით, „მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავთ ბორჩალუთა და დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა“. XVII ს. II ნახევარში შაჰ-სეფიმ შექმნა ბაიდრის სასულთნო. ამ ტომების გამრავლება-დანაწევრება იწვევდა მათ გადაადგილებას უფრო შიდა რაიონებში (დ. ბერძენიშვილი 1979: 109-110).

შემოსახლებული თურქულენოვანი მომთაბარე ტომები ერთ ეროვნებას არ შეადგენდნენ. მათი ნაწილი თანდათან შეერწყა აზერბაიჯანელებს, ნაწილი კი – თურქმანებს. აქაური სასულთნოები თანდათან ქართლის მეფეთა გამგებლობაში გადმოვიდნენ. მათი აღწერა ფისკალური და სამხედრო მიზნით სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. ქართლის მეფეზე იყო დამოკიდებული ელის კაცთა გათარხნება, ის უდგენდა მათ სახელმწიფო გადასახადებსაც. 1749 წელს ირანიდან დაბრუნებისას, თეიმურაზ II-ს შაჰმა სპეციალური სიგელით დაუმტკიცა მანამდე დამოუკიდებელი ყაზახ-ბორჩალოს სახანოები. დაახლოებით 1775 წელს ბორჩალოელები აყრილან და ერევნის სახანოში გადასახლებულან; ერეკლე მეფემ ისინი უკანვე გადმოასახლა. მანვე XVIII ს-ის შუა წლებში მუღანის ველიდან სპარსეთისაგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი გადმოასახლა და შექმნა სოფლები მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰანჯილი (ჯუკაშვილი 1995: 25-33).

1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა დებედისხევისა და მისი მახლობელი დასახლებების შესახებ ასეთ ცნობებს გვაწვდის: „ქ. არს ბაიდარი, ერთი სასულთნო. მრავალი დაფანტულია სხვას ქვეყნებში. და ახლა რომ არის კომლი ორასი. ქ. არს ბორჩალო და ფამბაკის ჴეობა ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი მრავალი გაფანტულია სხვას თემში. და ახლა არის ორი ათას ხუთას სამოცი სომხით“ (გამრეკელი, ცქიტიშვილი 1973: 153). ამ ნუსხის მიხედვით, სომხითში ორმოციდან ერთი კაცია დარჩენილი და ისინიც ერთმანეთში არიან ხიზნად.

სომხითის შესახებ გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ იქაა თურქულ-სომხურ-ქართული მოსახლეობა და რომ ეს უკანასკნელი უმცირესობაა. ამავე მოსახლეობას ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს: „ამა ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (დ. ბერძენიშვილი 1979: 111-112).

ამასვე მოწმობს 1784 წლის გასამყრელო წიგნი სტეფანასი და თაყასი (არღუთაშვილები?); იქ მოხსენიებულია „სანაინელი ქარანთ საქოა, მკალავი ოსეფა, სანაინელი მენაბდე არუთენა, მჭედლის შვილი ჯანოა, სანაინელი წამალანთ ჯანოა, მარტიროზას შვილი მიქელა, სანაინელი პატარა არუთენა, მიქელას ძმისწულები ხეჩოა და პეტროზა, სანაინელი საფარაშვილი გრიქორა, ბერდაძურელი ქურთიკაშვილი გიქუა, სანაინელი ოჰანა, ჰაცუტელი წარუკანთ

ვართანაშვილები და სანაინელი აკოფაშვილი ზურაბა, რომლებიც კახეთს არიან...“ მოწმეებში დასახელებულია: მღვდელი და მოძღვარი მოღნინის დეკანოზი მიღდისი ტერ-აბრამა... შიოშის შვილი ბეჟანა, ყორღანაშვილი უთრუთა... იეგულაშვილი ზაალ, ტერ-ოჰანას ძე მცირე ტერ-დავითა; „ნასირა შვილებისაგან მამა ჩვენს, ავთანდილას რომ ასლანას სოფლის ნახევარი ეყიდნა, ნახევარიც ჩვენ ვიყიდეთ... ქ. მე, სტეფანას ამ სიგლის ყაბული მაქ, ეს ჩემი ხელია“. ბეჭედი „სტეფან“ (ი. დოლიძე 1974: 267-269).

სახელებისა და გვარების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან ორიოდე ქართველია (მჭედლისშვილი, ქურთიკაშვილი, აკოფაშვილი); დანარჩენები – გაქართველებული სომხებია, ქართული საბუთის ენითა და ბეჭდებით („ქცევა-ზნითა ქართულითა“), სარწმუნოებით – სომხები.

სოფლები სანაინი, ჰაცუტი და ბერდაძორი ვახუშტის ჭოჭკანის ხეობაში აქვს ჩამოთვლილი, ასლანას სოფელი (ასანას სოფელი) კი – შულავრისხევში.

1780-იანი წლისათვის იაკობ რაინეგსი ასე აღწერდა დებედისხევის ქვემოწელს: აქ არის „სამფლობელო მუღანი და მეორე მნიშვნელოვანი მხარე სახელით ბორჩალო. ეს სამფლობელო, ისევე როგორც ლორე, უზუნლარი და ბამბაკი, არის ერეკლეს უფროსი უფლისწულის გიორგის საკუთრება... მან დიდი რაოდენობით გადმოასახლა ხალხი სპარსეთიდან და განსაკუთრებით თურქული საზღვრებიდან ამ ბედნიერ მხარეში. ასე რომ, რამდენიმე ხნის შემდეგ ძნელი იქნება დაუმუშავებელი მინდვრების ნახვა“ (რაინეგსი 2002 160-161).

1788 წ. ერეკლე მეფემ სპეციალური სიგელით სადახლუს ტომი სამშობლოში დააბრუნა, ამის მიზეზად „უგუნური ხალხის“ საქციელია დასახელებული (ჯუკაშვილი 1995: 30-37).

დებედისხევის სოფლებიდან აყრა-გადასახლება ქართლ-კახეთის შიდა რაიონებში ხშირდებოდა პოლიტიკური ვითარების გართულებებთან ერთად – ეს ხომ ძირითადი გზა იყო აღმოსავლეთ საქართველოდან სამხრეთის ქვეყნებში მიმავალი. 1798 წელს არღუთაანთ როსტომი გიორგი XII-ს მოახსენებდა: „ოსმალობას სანაჰინი წახდა. მამაჩემი ათს წლის აქეთ გადმოვარდნილა ორიოდი ყმითა. მაშინ ასე დრო იყო ამ ქვეყანასა, რომ სამი დღის მიწა მამული ოთხ მინალთუნათ ყოფილა და აქ (ყვარელში – დ. ბ.) მამული არ უყიდია რა მიზეზითა: თუ მე რომ მამული ვიყიდო, ეს ყმები დამეფანტებიან, ხვალ-ზეგ ღმერთი ჩამოიხედოს, საქართველოს კარი გაეღოს, ისევ ჩემს სანაჰინში წავალ, სულ ყველას თავის ბინაზედ დავაყენებ მეც ვიცხოვრებ და ამ ჩემს ყმებსაც ვაცხოვრებო.

ჩვენი ქვეყანა აღარ გაკეთდა, დავრჩით ამ ქვეყანაში... ამათი საბაბით უმამულო დავრჩით... ახლა ყმები გვეფანტება უპატრონობითო“. გიორგი მეფეს საბუთზე მიუწერია: „ეს არღუთაშვილი იარალი და ამისი შვილი და ძმისწულები მანდ ყვარელში დგანან და ეს თავისი ყმებიც მანდ თავისთან ყვანან... ამათ თავისი ყმები არც გამოერთმევათ და

ვერც არავინ აუყრის მანდიდამ... თავის ბატონს უნდა ემსახურონ“ (ი. დოლიძე 1985: 459-460).

1800 წ. სომხითის მელიქი ფრიდონი გიორგი XII-ს სთხოვდა, რომ მის მიერ თითო-თითოდ მოგროვებული მისი კაცები, ბორჩალოში რომ არიან, „ას-ასი წლის მოსულნი და ოჯახით გამართულნი კაცნი არიან“, მათთვის გადასახადები არ მოეთხოვათ. მეფემ თხოვნა შეუსრულა, სარდალ-სახლთუხუცეს იოანე მუხრანბატონს და მდივნებს მისწერა, რომ ბორჩალოში რაც ფრიდონ მელიქიშვილის კაცები იყვნენ, მათთვის არაფერი გამოერთმიათ.

საინტერესოა, რომ ამავე წელს ბორჩალოს მოურავი დავით აბაშიძე, დავით უფლისწულის ბრძანებით, ბორჩალოს ციხეს ამაგრებს (ი. დოლიძე 1985: 601, 685). ეს იგივე აღჯაყალაა.

1799 წელს ყარაბაღის სომეხი მელიქები უშუალოდ რუსეთის იმპერიის ძალის გამოყენებით ცდილობდნენ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩამოსახლებას. ისინი რუსეთის იმპერატორს სთხოვდნენ: „იქნებ ქართველთა მეფეს უბრძანოთ, რომ მოგვცეს ჩვენ საცხოვრებლად თავისი სამეფოს დაუსახლებელი ადგილი, რომელიც ძველად გუგარქად იწოდებოდა, ახლა კი ყაზახად და ლორის მხარემდე ვრცელდება. ამ ადგილებში უწინაც იყო სომხური სოფლები, რომლებიც მოოხრდნენ. ეს ქვეყანა... მეტად ნაყოფიერია და მდიდარი სხვადასხვა წიაღისეულით, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ტყვია და სხვა... აგრეთვე გამოსაყენებლად ვარგისი ბევრი ტყე, რომლითაც შესაძლებელია დანგრეული ციხეების აღდგენა... ამ დაცვის ქვეშ სომხებიც აყვავებულ მდგომარეობას მიაღწევდნენ და... საზღვრებს გარეთ მცხოვრები ბევრი სომეხი მოვა აქ დასასახლებლად, ჩვენი ერი გამრავლდება“-ო. მელიქ ფრეიდუნმა მიიღო ბორჩალოს ერთი ნაწილი, ჯემშუდმა – ლორე, ყველა თავისი მიწით (მაისურაძე 1999: 125, 127).

1800 წლის ერთი საბუთის მიხედვით მარიამ დედოფალმა გიორგი ციციშვილს უბოძა საკუთარი სოფელი ბორჩალოში ახილო მთელი თავისი მოსახლეობით, „ზოგნი ჩვენ ჭარიდამ და განჯიდამ მოგვიყვანია და დაგვიყენებია და ან სახლობილან, თავისის მთითა, ბარითა, ზანგანის არხითა და ყოვლის სამართლიანის სამძღვრებითა“ (თაყაიშვილი 1910: 343). ეს სოფელი დებედის მარცხენა სანაპიროზეა, ქაჩაგანის დასავლეთით.

1802 წლის 8 მაისის უწყისით, ქართლი დაიყო სამ მაზრად. ლორის მაზრის შულავრის თემში იქ ჩამოთვლილია სოფლები: პატარა შულავერი, დიდი შულავერი, ახტალის მადანი, სპილენძის მადანი, ახპატი, ვორნაკი, სანაინი. ახტალის მადანში მოსახლეობა ქართული და სომხური იყო. სპილენძის მადანში ქართველები ცხოვრობდნენ, ბამბაკის თემში მოსახლეობის უმეტესობა თურქულენოვანი იყო.

1805 წ. მანუჩარ არღუთოვმა თავისი ყმები, ვორნაკელი დემინაშვილები დაიბრუნა. ისინი ერთხანს ხიზნად მდგარან ზურაბიშვილის სოფელ აჭირში, ელიზბარ არღუთაშვილს კი ჰაცუტში გადაუყვანია,

საიდანაც ლეკიანობის ჟამს დაფანტულან (ი. დოლიძე 1977: 352-355). ზემოხსენებული სოფლები ახპატ-სანაინის მიდამოებშია.

1807 წლითაა დათარიღებული მხედრული წარწერა ვერცხლის ხატზე, რომელშიც ზაალ დავითის ძე ზურაბიშვილი თავის თავს უწოდებს „ტომოვნობით ბარათოვს“; ის ყოფილა 26 წლისა, „მემკვიდრე და მეპატრონე ახპატის წმიდის ძელი ჭეშმარიტის მონასტრისა და გარემოთა მამულთა მისთა და სხუათა ადგილთაცა“ (თაყაიშვილი 1905: 3). მისი საფლავის ქვის წარწერა ზემოთ უკვე მოვიხსენიე.

XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე ყაზახ-შამშადილიდან და ბორჩალოდან მოხდა ელების გადასვლა სამცხეში. XIX ს-ის დამდეგს, ბორჩალოს მოურავის მოხსენების მიხედვით, მთელი სოფელი ნაჯბადილუ აყრილ-გაქცეულია.

1816 წელს ყარსის ყარაფაფახელთა წარმომადგენელმა აბულ აღა აბდალ ოღლიმ მთავარმართებელს ბორჩალოს დისტანციაში ჩასახლება სთხოვა. მათთან ერთად ყარსის ოლქიდან 15 სომხური ოჯახიც გადმოსახლდა. მთავრობამ ნება დართო ადგილობრივ პრისტავებს, მიეღოთ წინათ აქედან გაქცეული თათრები (ჯუკაშვილი 1995: 32-37).

1827-1829 წლებში სპარსეთიდან სომხური მოსახლეობის 30000 სული შემოიხიზნა; ნაწილი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი კი ერევნის გუბერნიაში დაეშენა (ივ. ჯავახიშვილი 1919: 32).

1840 წლისათვის სოფ. ბრდაძორში ახალმოსახლე სომხებს ეკლესია აუშენებიათ. ამაზე მეტყველებს სომხური წარწერა ეკლესიის ზარაკზე. იქ ნათქვამია, რომ ზარაკი არის სახსოვარი ახალშენი სოფლის ეკლესიისა, რომელიც აუგიათ მთავარი წმინდა ხატის სახელობაზე. ამავე ხანებში უნდა მოშენებულიყო სოფ. ხოჟორნიც ბანუშისწყლის ხეობაში (დ. მუსხელიშვილი 1960ა: 24).

1829 წელს დებედისხევში ისევ შემოასახლეს თურქულენოვანი ბერძნები არზრუმის მხრიდან (დ. ბერძენიშვილი 1979: 114).

1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ მოტანილი ცნობებით, ბორჩალოს მაზრაში თათრები მოსახლეობის 2/3-ს შეადგენდნენ, სომხები – 1/4-ს, ქართველების, ბერძნების, გერმანელების (1818 წლიდან) რიცხვი უმნიშვნელო იყო.

XX ს-ის დასაწყისიდან საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მეზობელ გუბერნიებში გააქტიურებული პანთურქისტული მოძრაობა. 1928 წლის აღწერით, საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობას აზერბაიჯანელები ეწოდათ.

1939 წელს ისინი მთელი მოსახლეობის 5,3% შეადგენდნენ. ისინი ახლაც ქვემო ქართლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ (ჯუკაშვილი 1995: 36-37).

# რუკების ჩამონათვალი

1. თრიალეთის ძველი სოფლები ——— 61
2. დმანისხევი შუა საუკუნეებში ——— 130
3. ბოლნისხევი პრეისტორიულ და ანტიკურ ხანაში ——— 249
4. ბოლნისხევი ადრეულ შუა საუკუნეებში ——— 266
5. ბოლნისხევი განვითარებულ შუა საუკუნეებში ——— 287
6. ბოლნისხევი გვიან შუა საუკუნეებში ——— 335
7. დებედის ხეობის უძველესი ნამოსახლარები და ყორღანები — 362
8. დებედის ხეობა ადრეულ შუა საუკუნეებში ——— 378
9. დებედის ხეობა განვითარებულ შუა საუკუნეებში ——— 400
10. დებედის ხეობა გვიან შუა საუკუნეებში ——— 437

# დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები


1. ცსა, ფ. 230 (5), დავთ. 2ა, 2ბ, საქმე 23ვ-24ვ, 62ზ-66ზ.
2. ცსა, ფ. 1447, საბ. N 5544.
3. ცსა, ფ. 1448, დავთ. 15, საბ. N 95.
4. ცსა, ფ. 1448, N 457.
5. ცსა, ფ. 1448, N 3255
6. ცსა, ფ. 1448, № 3900
7. ცსა, ფ. 1448, N 5311.
8. ცსა, ფ. 1448, N 8831.
9. ცსა, ფ. 1448, N 8848.
10. ცსა, ფ. 1448, N 9230
11. ცსა, ფ. 1449, საბ. 313
12. ცსა, ფ. 1449, ფ. 777.
13. ცსა, ფ. 1449, N 1267.
14. ცსა, ფ. 1449, 1797.
15. ცსა, ფ. 1449, L. 1805.
16. ცსა, ფ. 1449, საბ. N 1806, N 1936.
17. ცსა, ფ. 1450, დავთ. 5, N 41.
18. ცსა, ფ. 1450, დავთ. 5, N 44.
19. ცსა, ფ. 1450, დავთ. 6, N 13.
20. ცსა, ფ. 1450, დავთ. 7, №27.
21. ცსა, ფ. 1450, დავთ. 10, N 9
22. ცსა, ფ. 1450, დავთ. 18, N 104.
23. ცსა, ფ. 1450, დავთ. 20, № 47.
24. ცსა, ფ. 1450, დავთ. 25, N 9, დავთ. 5, N 46.
25. ცსა, ფ. 1450, დავთ. 28, N 4.
26. ცსა, ფ. 1450, დავთ. 33, N 60.
27. ცსა, ფ. 1450, № 34
28. ცსა, ფ. 1450, დავთ. 39, 44
29. ცსა, ფ. 1450, საქმე 45
30. ცსა, ფ. 1451, საქმე №2, 652.
31. ხეც, ფ. AD-1291
32. ხეც, ფ. H, N 2830.
33. ხეც, Hd-2433.
34. ხეც, Hd-6609.
35. ხეც, Hd-9275.
36. ხეც, Hd-10147.
37. ხეც, Hd-10257.
38. ხეც, Hd-14476.
39. ხეც, ფ. Hd-14532.
40. ხეც, ფ. Qd, საბ, 8754.
41. ხეც, Sd-1932.

42. ხეც, ფ. Sd-1932-ა.
43. ხეც, Sd-1932-გ.
44. ხეც, Sd-1932- ვ.
45. **აბრამიშვილი 1977:** გ. აბრამიშვილი, *სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში,* თბილისი.
46. **აბრამიშვილი, წოწელია 1977:** Т. Я. Абрамишвили, Н. В. Цоцелия, Клад сасанидских драхм из Болниси, *Нумизматический сборник*, Тбилиси.
47. **აბულაძე ი. 1948:** ი. აბულაძე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, *თსუ შრომები* XXXIII- .
48. **აბულაძე ი. 1953:** *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი,* ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი.
49. **აბულაძე ი. 1973:** ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი,*თბილისი.
50. **აბულაძე ც. 1975:** ც. აბულაძე, ორი ფირმანი ერასტი მდივანბეგს, *მრავალთავი,* IV.
51. **აბულაძე ც. 1980:** ც. აბულაძე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად II-ს, *მრავალთავი,* VII.
52. **ალადაშვილი 1972:** ნ. ალადაშვილი, ეძანის ეკლესიის რელიეფი, *ძეგლის მეგობარი,* 29.
53. **ალექსიძე 1973:** ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, *ქართული წყაროთმცოდნეობა* IV, თბილისი.
54. **ალექსიძე 1974:** ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI ს-ის კავკასიაში, *მაცნე, ისტორიის... სერია,* 1.
55. **ალექსიძე 1978:** ზ. ალექსიძე, *ატენის სიონის სომხური წარწერები,* თბილისი.
56. **ალექსიძე 1978ა:** З. Алексидзе, «Мученичество Шушаник» священника Якова, **წგნ.** Яков Цуртавели, *Мученичество Шушаник*. Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тбилиси.
57. **ალექსიძე 1991:** ზ. ალექსიძე, ვინ არის „სრულად აღმშენებელი“ სამშვილდის სიონისა“, *მრავალთავი,* XVI.
58. **ალექსიძე, ბურჯანაძე 1964:** *მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის,* წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბილისი.
59. **ამირანაშვილი 1968:** ჯ. ამირანაშვილი,*ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები,* თბილისი.
60. **ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან,* თბილისი.
61. **არჩილი 1937:** არჩილი, *გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა,* არჩილიანი, ტ. II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.
62. **არჯევანიძე:** ეთ. არჯევანიძე, დმანისის სიონის ტაძარი. ხელნაწერი.
63. **ატლასი 2003:** *საქართველოს ისტორიის ატლასი,*მთავარი რდაქტორი დ. მუსხელიშვილი, თბილისი.
64. **ახალი ქართლის ცხოვრება-III 1959:** *ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი,* ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი

ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
65. **ბაგრატ ბატონიშვილი 1941:** დავით ბატონიშვილი, *ახალი ისტორია*, ბაგრატ ბატონიშვილი, *ახალი მოთხრობა*, თ. ლომოურის გამოცემა, თბილისი.
66. **ბაიდოშვილი 1902:** ს. ბაიდოშვილი, ბორჩალო, *ივერია* №156.
67. **ბანძელაძე 1988:** იოს. ბანძელაძე, სიგრძის საზომი ერთეული და ნაგებობის გეგმის და კვალვის ხერხები ძველ საქართველოში, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ანალიზის და დაცვის საკითხები,* თბილისი.
68. **ბარამიძე 1983:** ალ. ბარამიძე, სამშვილდის წარწერის დარეჯანი, *მრავალთავი*, X.
69. **ბარდაველიძე... 1979:** *ქართული ხალხური პოეზია* VIII, ტომი შეადგინეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ჯ. ბარდაველიძემ, გ. ბარნოვმა, დ. გოგოჭურმა, ე. ვირსალაძემ, ფ. ზანდუკელმა, ვ. მაცაბერიძემ და ა. ცანავამ, თბილისი.
70. **ბარნაველი თ. 1982:** თ. ბარნაველი, ბალიჭური ქვის სამარხის წარწერის წაკითხვისათვის, მაცნე, *ისტორიის.... სერია*, 2.
71. **ბარნაველი ს. 1962:** ს. ბარნაველი, დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXIII-B, თბილისი.
72. **ბასილი ეზოსმოძღვარი 1959:** ბასილი ეზოსმოძღვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
73. **ბაქრაძე 1953:** ა. ბაქრაძე, XIII ს-ის წარწერა გუნია-ყალადან, *საქართველოს საისტორიო მუზეუმის მოამბე*, XVII-B.
74. **ბაქრაძე 1959:** ა. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც საისტორიო წყარო, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XX-B, 1959.
75. **ბაქრაძე, ბოლქვაძე 1953:** *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი*, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ; ილია აბულაძის რედაქციით. 1953.
76. **ბახტაძე 1988:** ნ. ბახტაძე, მუგუთის ქვაბები, *ძეგლის მეგობარი*, 2.
77. **ბახტაძე 1991:** ნ. ბახტაძე, *ქვემო ქართლის კლდის ძეგლები*, თბილისი.
78. **ბახტაძე 2002:** ნ. ბახტაძე, ქვემო ქართლის კლდის სოფლები განვითარებულ შუა საუკუნეებში, *საქართველოს სიძველენი*, 1.
79. **ბერი ეგნატაშვილი 1959:** ბერი ეგნატაშვილი, *ახალი ქართლის ცხოვრება*, *პირველი ტექსტი*, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
80. **ბერიძე ვ. 1967:** ვ. ბერიძე, *ძველი ქართველი ოსტატები*, თბილისი.
81. **ბერიძე ვ. 1969:** ვ. ბერიძე, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბილისი.
82. **ბერიძე ... 1969:** ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, *მეტეხის ტაძარი*, თბილისი.
83. **ბერიძე თ. 1977:** თ. ბერიძე, *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია*, თბილისი.
84. **ბერძენიშვილი დ. 1960:** დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური

საგვარეულოს ისტორიიდან, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, I.

85. **ბერძენიშვილი დ. 1962:** დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, *მაცნე* 6.
86. **ბერძენიშვილი დ. 1964:** დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული* II.
87. **ბერძენიშვილი დ. 1964ა:** დ. ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, XXXIII-B.
88. **ბერძენიშვილი დ. 1970:** დ. ბერძენიშვილი, სოფელ სიონის ისტორიიდან, *ძეგლის მეგობარი*, 21.
89. **ბერძენიშვილი დ. 1971:** დ. ბერძენიშვილი. ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები XVIII ს-ში, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული* IV.
90. **ბერძენიშვილი დ. 1975:** დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული* V.
91. **ბერძენიშვილი დ. 1976:** დ. ბერძენიშვილი, ორი ქვაჯვრის ბაზისი ქვემო ქართლიდან, *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*, თბილისი.
92. **ბერძენიშვილი დ. 1979:** დ. ბერძენიშვილი. *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი*, ნაკვ. I, თბილისი.
93. **ბერძენიშვილი 1982:** დ. ბერძენიშვილი, თრიალეთის უცნობი წარწერები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, VI.
94. **ბერძენიშვილი დ. 1988:** დ. ბერძენიშვილი, ჰუჯაბი, *ძეგლის მეგობარი*, 3.
95. **ბერძენიშვილი დ. 2000:** დ. ბერძენიშვილი, დმანისხევი, *დმანისი*, II.
96. **ბერძენიშვილი დ. 2006:** დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები*, თბილისი.
97. **ბერძენიშვილი ... 2000:** დ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩეიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, *ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გ ზამკვლევი*, თბილისი.
98. **ბერძენიშვილი ნ. 1940:** *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან* I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.
99. **ბერძენიშვილი ნ. 1950:** ნ. ბერძენიშვილი, [ალგეთის ექსპ. 1950 წლის] დღიური... იქვე
100. **ბერძენიშვილი ნ. 1953:** *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან* II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.
101. **ბერძენიშვილი ნ. 1953ა:** *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის* II, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა., თბილისი.
102. **ბერძენიშვილი ნ. 1955:** *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის*, III, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა., თბილისი.
103. **ბერძენიშვილი ნ. 1964:** ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, I, თბილისი.

104. **ბერძენიშვილი ნ. 1965:** ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, II, თბილისი.
105. **ბერძენიშვილი ნ. 1966:** ნ. ბერძენიშვილი, *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში,* თბილისი.
106. **ბერძენიშვილი ნ. 1966ა:** ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები,* III, თბილისი.
107. **ბერძენიშვილი ნ. 1975:** ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები* VIII, თბილისი.
108. **ბერძენიშვილი ნ. 1979:** ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, IX, თბილისი.
109. **ბერძენიშვილი ნ. 1990:** ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* თბილისი.
110. **ბერძენიშვილი, ბერძნიშვილი 1962:** *დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის* (XVI-XIX სს.), I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, თბილისი.
111. **ბოგვერაძე 1985:** ან. ბოგვერაძე,ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან, *მაცნე, ისტორიის... სერია*, № 4.
112. **ბოგვერაძე 1994:** ან. ბოგვერაძე, ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერის დათარიღებისათვის, *ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო*, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი.
113. **ბოგვერაძე 1999:** ან. ბოგვერაძე,ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის დათარიღებისათვის, *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები* VII.
114. **ბოლქვაძე 1994:** გ. ბოლქვაძე, ვარდისუბნის მრგვალი ეკლესია, *ქრისტიანული ცივილიზაციია და საქართველო,* მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი.
115. **ბოსვორტი 1971:** Босворт К. Э. *Мусульманские династии*, Москва.
116. **ბოჭორიშვილი 1956:** ლ. ბოჭორიშვილი. ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, *მასალა საქართველოს ეთნოგრაფიისათვის* VIII.
117. **ბოჭორიძე 1995:** გ. ბოჭორიძე, *იმერეთი*, თბილისი.
118. **ბუნიათოვი 1971:** З.М. Буниатов Сведения Шахиб Ад Дина Ан-Насави о Грузии, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III.
119. **გაბუნია 1933:** К. Габуния, Железо, *Минеральные ресурсы Грузинской ССР*, Москва.
120. **გაგოშიძე 1994:** გ. გაგოშიძე, *ხოჟორნის ეკლესიის სომხური ლაპიდარული წარწერები*, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საშემოდგომო სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები X.
121. **გაგოშიძე 1997:** გ. გაგოშიძე, სანაჰინის მონასტრის მაცხოვრის ტაძრის თარიღისათვის, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები* II, თბილისი.
122. **გაგოშიძე 1997ა:** გ. გაგოშიძე, ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესია, *ძეგლის მეგობარი*, 2 (97).
123. **გაგოშიძე 1997ბ:** გ. გაგოშიძე, *ხოჟორნის ეკლესიის კტიტორთა რელიეფი*, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-

სტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები. 1997 წ. 28-30 მაისი.

124. **გაგოშიძე 1998:** გ. გაგოშიძე, *შუა საუკუნეების ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან.* საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი. თბილისი.
125. **გაგოშიძე 1999:** გ. გაგოშიძე, ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესიის კედლებში ჩაშენებული ადრეული შუა საუკუნეების ქვასვეტები. *ნარკვევები* V.
126. **გაგოშიძე 2003:** გ. გაგოშიძე, *ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესია*, თბილისი.
127. **გაგოშიძე 2004:** გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან, *ნარკვევები* IX.
128. **გამრეკელი 1976:** ვ. გამრეკელი, XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან, *მრავალთავი*, V.
129. **გამრეკელი 1991:** *Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии*. Документы и материалы. Материал подобрал и подготовил к печати В. Н. Гамрекели, II, Тбилиси.
130. **გამრეკელი, ცქიტიშვილი 1973:** ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, *მაცნე, ისტორიის ... სერია*, 1.
131. **გაფრინდაშვილი 1970:** გ. გაფრინდაშვილი, 1000 წლის საამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, *ძეგლის მეგობარი*, 21.
132. **გიორგი მერჩულე 1964:** გიორგი მერჩულე, *შრომად და მოღუაწებად გრიგოლისი არქიმანდრიტისად ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისად*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი.
133. **გიულდენშტედტი 1962:** *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი.
134. **გიულდენშტედტი 1964:** *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი.
135. **გოგოლაძე 1966:** დ. გოგოლაძე, *სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი*, თბილისი.
136. **გოილაძე 1976:** ვ. გოილაძე, არის თუ არა თეოფანე ჯამთააღმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი? *მაცნე, ისტორიის... სერია*, 1.
137. **გომელაური 1966:** გ. გომელაური, ყორანთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლი, *მაცნე*, 4.
138. **გორდეევი:** *Карточки на древне-грузинские памятники культуры*, составил Д. П. Гордеев
139. **გორდეზიანი 1984:** ლ. გორდეზიანი, „განგება დარბაზობისა“, როგორც საისტორიო წყარო, *მაცნე, ისტორიის... სერია*, 4.
140. **გრიგოლია, ტატიშვილი 1960:** გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის*

*კრებული*, I.

141. **გულისაშვილი 1953:** ზაქ. გულისაშვილი, *მოთხრობები და ნარკვევები*, გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი.
142. **გუჩუა, სვანიძე 1973:** ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბილისი.
143. **გძელიშვილი 1963:** ი. გძელიშვილი,. ქართველთა წინაპრები რკინის უძველესი მეტალურგიის პიონერები, *მეცნიერება და ტექნიკა*, 4.
144. **გძელიშვილი 1964:** И. А. Гзелишвили, *Железоплавильное производство в древней Грузии*, Тбилиси.
145. **გძელიშვილი, ამირანაშვილი 1965:** ი. გძელიშვილი, ჯ. ამირანაშვილი, *გათხრები მადნეულის „სარკინეთში“ 1964 წელს*, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი.
146. **გძელიშვილი ... 1966:** ი. გძელიშვილი, ჯ. ამირანაშვილი, გ. ნასიძე, *მადნეულის 1965 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები*, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი.
